ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ზურაბ ლიპარტია, ცისკარა ზარანდია, მაია გელაშვილი

მმართველობითი აღრიცხვა და შიდა კონტროლი

ახალციხე
2011

UDC (უაკ) 005.915+657.312.2+657.63
ლ-652

ნაშრომში წარმოდგენილია ბიზნესის ადმინისტრირების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი ნაწილის – მმართველობით აღრიცხვისა და შიდა კონტროლის თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ასპექტები. საბაზრო ეკონომიკის პირობებში სამეწარმეო საქმიანობის წარმატებული ფუნქციონირებისათვის ფინანსურ აღრიცხვასთან ერთად აუცილებელია მმართველობითი აღრიცხვის, როგორც ბუღალტრული აღრიცხვის ერთ-ერთ პერსპექტიული მიმართულების გამოყენება. ამასთანავე, მნიშვნელოვანია მონიტორინგის განხორციელება დასახული მიზან-ამოცანების რეალიზაციის უზრუნველსაყოფად, რომელიც მოითხოვს მმართველობითი აუდიტის (შიდა საფინანსო კონტროლის სისტემის) შემდგომ განვითარებას, სახელმწიფო (საჯარო) დაწესებულებების კონტროლინგის (შიდა აუდიტისა და ინსპექტირების ასპექტების) და კერძო სამართლის ეკონომიკური სუბიექტების აუდიტური კონტროლის შემდგომი სრულყოფის აუცილებლობას "აუდიტისა და ბარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტებში" შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით. სახელმძღვანელო განკუთვნილია ბიზნესის ადმინისტრირების/საბუღალტრო აღრიცხვის/მენეჯმენტის/ფინანსების/მარკეტინგის სპეციალობის სტუდენტებისათვის, მაგისტრანტებისათვის, დოქტორანტებისათვის, ასევე საკითხით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

სამეცნიერო რედაქტორები:

თინა გელაშვილი ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, სრული პროფესორი

რუსუდან ქუთათელაძე ტექნიკისა და ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, სრული პროფესორი

რეცენზენტები:

ლავრენტი ჩიბურდანიძე ეკონომიკის აკადემიური დოქტორი ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სრული პროფესორი

კობა ბასილაია ეკონომიკის აკადემიური დოქტორი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

ლავრენტი ჭუმბურიძე საქართველოს ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის (ბაფ) აღმასრულებელი დირექტორი, ჟურნალ „ბუღალტრული აღრიცხვის" მთავარი რედაქტორი, ეკონომიკის დოქტორანტი

©ლიპარტია ზ, ზარანდია ც, გელაშვილი მ.
©ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ISBN 978-9941-9222-2-0

წარმოდგენილი ნაშრომი ეძღვნება ბიზნესის ადმინისტრირების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს – მმართველობით აღრიცხვისა და შიდა კონტროლის წარმოების თეორიულ-მეთოდოლოგიურ საკითხებს. საბაზრო ეკონომიკის პირობებში სამეწარმეო საქმიანობის წარმატებული ფუმქციონირებისათვის ფინანსურ აღრიცხვასთან ერთად აუცილებელია მართვის სტრატეგიისა და ტაქტიკის შესამუშავებლად მმართველობითი აღრიცხვის, როგორც ბუღალტრული აღრიცხვის ერთ-ერთ პერსპექტიული მიმართულების გამოყენება. ამასთანავე, მნიშვნელოვანია მონიტორინგის განხორციელება დასახული მიზან-ამოცანების რეალიზაციის უზრუნველსაყოფად, რომელიც მოითხოვს მმართველობითი აუდიტის (შიდა საფინანსო კონტროლის სისტემის) შემდგომ განვითარებას, სახელმწიფო (საჯარო) დაწესებულებების კონტროლინგის (შიდა აუდიტისა და ინსპექტირების ასპექტების) და კერძო სამართლის ეკონომიკური ორგანიზაციების აუდიტური კონტროლის შემდგომ სრულყოფის აუცილებლობას "აუდიტისა და ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტებში" შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით.

წინამდებარე სახელმძღვანელოს I ნაწილის 12 თავში განხილულია მმართველობითი აღრიცხვის ისეთი საკითხები, როგორიცაა მმართველობითი აღრიცხვის არსი და ამოცანები, მართვის საინფორმაციო სისტემა და ელემენტები, მმართველობითი აღრიცხვის ორგანიზაციული სისტემა, დანახარჯების კლასიფიკაცია და დანახარჯთა ქცევის საკითხები, დანახარჯების აღრიცხვა ფუნქციონალური დანიშნულებისა და ზღვრული დანახარჯების მეთოდებით, დანახარჯი-მოცულობა-მოგებისა (CVP) და წარმოების შემზღუდველი ფაქტორების ანალიზი, ფინანსური მათემატიკის ელემენტები, ცაპიტალდაბანდებების (ინვესტიციების) ბიუჯეტირება და კონტროლის ასპექტები, მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღების პროცესის მახასიათებლები და სხვა.

სახელმძღვანელოს მეორე ნაწილში ასახვა პოვა კონტროლის სფეროს კონცეფტუალური საკითხების, განსაკუთრებით მმართველობითი აუდიტის სამეწარმეო პრაქტიკაში დანერგვისა და შემდგომი სრულყოფის საკვანძო საკითხებმა, რომელიც ფრიად აქტუალურია მენეჯერთათვის რაციონალური და მეცნიერული ანალიზის საფუძველზე მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად, ეფექტური მენეჯმენტის უზრუნველსაყოფად, რაც ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი სტაბილური განვითარების აუცილებელი წინაპირობაა. კერძოდ, სახელმძღვანელოს მეორე ნაწილში, რომელიც 19 თავს მოიცავს, განზოგადებულია საერთაშორისო მაკონტროლებელი ორგანიზაციების საქმიანობა და საზღვარგარეთის ქვეყნების ფინანსური კონტროლის თანამედროვე მდგომარეობა. მაღალ აკადემიურ დონეზეა განხილული ფინანსური კონტროლის (აუდიტის) ძირითადი პრინციპები, ფუნქციები და გარემო, აუდიტორული საფინანსო კონტროლის ორგანიზაციული და აუდიტური შემოწმების მიდგომები, საგადასახადო-საბუჯეტო სისტემის აუდიტის ასპექტები, ბიზნესის რისკის მიდგომა აუდიტში, დაგეგმვის საკვანძო საკითხები და აუდიტორული მტკიცებულებების მახასიათებლები, სახელმწიფო ფინანსური კონტროლის სისტემა და საჯარო დაწესებულებების შიდა აუდიტისა და ინსპექტირების ასპექტები, შიდა კონტროლის სისტემის ინტეგრირებულ მოდელ-კონცეფციების ინტერპრეტაციები გარდამავალი ეკონომიკის პირობებში, ფინანსური რისკების შეფასება და მართვის საკითხები, შიდა აუდიტის სამსახურის ორგანიზაცია კომერციულ ბანკებში, მმართველობითი აუდიტის პროცედურების გამოყენება საბანკო ბიზნესის ფინანსური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში და სხვა.

ჩვენი აზრით, „მმართველობითი აღრიცხვა და აუდიტის" წინამდებარე სახელმძღვანელო სრულად შეესაბამება სასწავლო დისციპლინის პროგრამით (სილაბუსით) გათვალისწინებულ მოთხოვნებს და მისი გამოცემით ხელი შეეწყობა ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით ბაკალავრებისა და მაგისტრების მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას. ასევე ნაშრომი დიდ დახმარებას გაუწევს დოქტორანტებს, პროფესორ-მასწავლებლებს, ყველა დონის მენეჯერებს საბაზრო ურთიერთობაზე გარდამავალ ეტაპზე ეკონომიკური პროცესებისა და ბიზნესის ადმინისტრირების სამეურნეო მექანიზმების რადიკალურად გარდაქმნის ახლებურად გააზრებასა და პრაგმატული ინსტრუმენტების დაუფლებაში.

ახალციხის სახელმწიფო სასწაელო უნივერსიტეტის რექტორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, სრული პროფესორი

თინა გელაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, ტექნიკის და ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, სრული პროფესორი

რუსუდან ქუთათელაძე

ქ. ახალციხე, 15 ოქტომბერი, 2011 წელი

ნაწილი I

მმართველობითი აღრიცხვა

თავი 1

ფინანსური ინფორმაცია ხელმძღვანელობისათვის

1.1 ფინანსების მართვა, როგორც მმართველობითი საქმიანობის (მენეჯმენტის) ძირითადი მიმართულება.

ფინანსების მართვის არსი. მართვა – ეს არის განსაზღვრული შედეგების მისაღწევად ობიექტზე მიზანმიმართული ზემოქმედების წესებისა და მეთოდების ერთობლიობა. მართვაზე არის დაქვემდებარებული ადამიანთა საქმიანობის ყველა სფერო, მათ შორის ფინანსებიც. კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპზე, წარმოების საზოგადოებრივი პროცესი, რომელიც შრომის დანაწილებასა და კოოპერირებას ეყრდნობა, მართვაზეა აგებული. ყოველი ერთობლივი შრომა, რომელიც დიდი მასშტაბებით ხორციელდება, მართვას საჭიროებს. მართვის პრინციპები და ხასიათი ეკონომიკური სისტემისათვის დამახასიათებელი წარმოების საშუალებებზე საკუთრების ფორმით და საზოგადოებრივი წყობილებით განისაზღვრება.

მართვა, რომელსაც ახორციელებს სპეციალური აპარატი განსაკუთრებული წესებისა მმართველობითი საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია ფინანსების და მეთოდების გამოყენებით, მათ შორის სხვადასხვაგვარი სტიმულებითა და სანქციებით.

ფინანსების მართვა (მენეჯმენტი) მოიცავს საქმიანობას, რომელიც ეხება სახელმწიფოს მიერ საერთო საფინანსო პოლიტიკის გატარებას, ფინანსურ დაგეგმვას, ფინანსური რესურსების კოორდინაციას, ფინანსების ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ინტერესების სასარგებლოდ გამოყენებას, ფინანსური კანონმდებლობის დამუშავებას. აქვე შედის ბიუჯეტის შედგენა – შესრულება, გაღასახადების ამოღება, სახელმწიფო სესხების გამოშვება და სახელმწიფო ვალების მართვა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ფინანსური მენეჯმენტის პრაქტიკული საქმიანობის არეალი, შემდეგ ეტაპებს მოიცავს:

1. ზოგადი ფინანსური ანალიზი და დაგეგმვა, სადაც ხდება ზემოთ დასმული კითხვების ფორმირება, მათი ფორმალიზება და გადაწყვეტის ხერხების განსაზღვრა;

2. საინვესტიციო საქმიანობის მართვა, რომელიც პასუხობს კითხვაზე: სად დაეაბანდოთ ფინანსური რესურსები მაქსიმალური ეფექტის მიღებით;

3. ფინანსური რესურსების წყაროების მართვა, რომელიც პასუხობს კითხვაზე სად მიეიღოთ საჭირო ფინანსური რესურსები?

4. მიმდინარე ფინანსური მართვა, რომლის ჩარჩოებში ხორციელდება მიმდინარე საქმიანობის დაფინანსება, საწარმოს გადახდისუნარიანიობის უზრუნველსაყოფად.

ამრიგად, ეკონომიკური მიზნების სისტემის უმთავრესი მაჩვენებლების, როგორიცაა, გაყოფრებისა და მსხვილი ფინანსური წარუმატებლობისაგან თავისდაღწევა, კონკურენტებთან ბრძოლაში ლიდერობის მიღწევა, წარმოების მოცულობისა და რეალიზაციის ზრდა, მოგების მაქსიმიზაცია, ბაზარზე განსაზღვრული ნიშის დაკავება და ა. შ. პოზიტიური ინდექსები განსაზღვრავენ კორპორაციული ფინანსების წარმატებული მართვის ნიშან-თვისებებს. თუმცა, ზოგად ცნობილ მაჩვენებლებად მიზნობრივი პრიორიტეტის გამოკვეთა არის მიჩნეული, რომელიც **კომპანიის საბაზრო ღირებულების მაქსიმიზაციის მიღწევას გულისხმობს**, რაც მათ მესაკუთრეთა სიმდიდრის შემდგომ ზრდას განაპირობებს.

კორპორაციის (კომპანიის) საბაზრო ღირებულების ზრდის ძირითადი მიმართულებებად განიხილება:

1) მიმდინარე მოგების სტაბილური გენერაცია ისეთ მოცულობებში, რომელიც საკმარისი იქნებოდა დივიდენდებად გასაცემად და პროგნოზირებადი (დაგეგმილი) წარმოების მოცულობის ან მათი გადიდების, რეინვესტირების უზრუნველსაყოფად;

2) საწარმოო და ფინანსური რისკების მინიმიზირება:

ა) ეკონომიკურად დასაბუთებული ძირითადი საქმიანობის არჩევით;

ბ) საერთო საქმიანობის დივერსიფიკაციისა და რესურსების წყაროების სტრუქტურული ოპტიმიზაციით;

გ) გამოცდილი მმართველობითი პერსონალის (მენეჯერების გუნდის) მოზვეევის საფუძველზე;

3) „მიზნების ხის" შედგენით უმთავარესი მიზნების მიღწევის გზების კონკრეტიზაცია და დეტალიზაცია. ამასთანავე შესაძლებელია შემდეგი მიმართულებები: საბაზრო, საფინანსო-ეკონომიკური, საწარმოო-ტექნოლოგიური და სოციალური მიზნების გამოყოფა;

4) მსხვილ კომპანიებში აქციონერების მიერ ბიზნესის მართვაში გამოცდილი მენეჯერების დელეგირება და მმართველობითი პერსონალის საქმიანობის აუდიტორული შემოწმების (კონტროლის) დაწესება და სხვა.

კორპორაციის მმართველობით იერარქიაში საკვანძო ადგილი ფინანსური მენეჯერის საქმიანობას ეკუთვნის. შესაბამისად, **ფინანსური მენეჯერი** უნდა ფლობდეს საკითხების ფართო სპექტრს, მეთოდებსა და ხერხებს, რამდენად მან უნდა შეძლოს სწრაფი და არგუმენტირებული პროფესიული შეფასება, მიიღოს კონკრეტული გადაწყვეტილებები დაფინანსებისა და ინვესტიციების სფეროებში, კაპიტალის ბაზარზე მოკლე და გრძელვადიანი ხასიათის ფინანსური ოპერაციების მიზანშეწონილების თაობაზე. ამასთანაავე, მენეჯმენტის საქმიანობაში უმთავრეს პრიორიტეტად კომპანიის საქმიანობის დაფინანსების მყარი წყაროების მოძიებისა და მობილიზაციის საკითხები უნდა განისაზღვროს.

პრაქტიკაში ცნობილია, სამეურნეო სუბიექტის ფინანსური რესურსების ფორმირების წყაროების შემდეგი კლასიფიკაცია:

ა) საკუთარი და მასთან გათანაბრებული რესურსები;

ბ) ფინანსურ ბაზარზე ფასიანი ქაღალდების, გასესხება-სესხების ოპერაციების და სხვა საქმიანობის შედეგად მობილიზებული რესურსები;

გ) საბიუჯეტო ასიგნაციების სახით გადანაწილებული რესურსების მიღება;

დ) სხვა სუბიექტების ფულადი სახსრების დროებითი (როგორც მიმდინარე სამეურნეო-საფინანსო ოპერაციების შედეგი) გამოყენება.

ამრიგად, ფინანსური ინფორმაციების მართვაში ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი და მოდელების სახეები კორპორაციის (საწარმოს) ქონებრიეი და ფინანსური მდგომარეობის აღწერისათვის, მთლიანად საწარმოს ან მისი ცალკეული სახეობის საქმიანობის ფინანსური სტრუქტურების დასახასიათებლად, აქტივებისა და ვალდებულებების კონკრეტული სახეების მართვის, ძირითად ფინანსურ მაჩვენებელთა პროგნოზირებისათვის, ფაქტორული ანალიზისა და სხვა კონკრეტული საქმიანობის შესაფასებლად.

12 ფინანსური აღრიცხვა, მენეჯერული (მმართველობითი) აღრიცხვა

მართვის სისტემის ინფორმაციულ ბაზას წარმოადგენს რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინფორმაცია. რაოდენობრივი ინფორმაცია თავის მხრივ იყოფა: **სააღრიცხვო და არასააღრიცხვო ინფორმაციებად.**

- სააღრიცხვო ინფორმაცია მოიპოვება სამეურნეო აღრიცხვის მეშვეობით.
- სამეურნეო სუბიექტებში მიმდინარე სამეურნეო პროცესებზე დაკვირვების შედეგების შესახებ ინფორმაციის თაემოყრის, დაჯგუფებისა და გადაცემის სისტემა წარმოადგენს **სამეურნეო აღრიცხვას.** სამეურნეო აღრიცხვაში გამოიყენება **ნატურალური, შრომითი** და **ფულადი** საზომი ერთეულები.

ნატურალურ საზომ ერთეულებს მიეკუთვნება–რაოდენობის, ზომის, წონის და სხვა ისეთი ერთეულები, როგორიცაა – კილოგრამი, ლიტრი, ცალი და სხვა.

შრომითი საზომი ერთეულებია – შრომადღე, შრომასაათი, კაცდღე, კაცსაათი. მათი მეშვეობით იზომება დახარჯული შრომის რაოდენობა და ხარისხი, რის საფუძველზედაც ხდება შრომის ანაზღაურების განსაზღვრა.

სამეურნეო აღრიცხვაში განმაზოგადებელი და საყოველთაო ერთეულია **ფულადი** საზომი ერთეული, რომელიც საშუალებას იძლევა ყველა სახის, განსხვავებული თეი-

სებების მჭონე საგნებიც კი შეფასდეს ფულით ანუ გამოისახოს ღირებულებითი სახით.

სამეურნეო აღრიცხვა აერთიანებს ოპერატიულ, სტატისტიკურ და ბუღალტრულ აღრიცხვას. აღრიცხვის ეს სახეები ავსებენ ერთმანეთს და ხშირად ერთსა და იმავე ინფორმაციას ემყარებიან. სამეურნეო აღრიცხვა მნიშვნელოვან როლს ასრულებს მართვის ინფორმაციულ უზრუნველყოფის საქმეში.

ოპერატიული აღრიცხვა გამოიყენება საწარმოს საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ოპერატიული მიღებისათვის. ოპერატიული აღრიცხვის ინფორმაცია პირველადი დოკუმენტების საშუალებით, ტელეფონით, ტელეგრაფით და ფაქსით გადაიცემა. ოპერატიული ინფორმაცია აბსოლიტურ სიზუსტეს მოკლებულია. ოპერატიული აღრიცხვის საშუალებით ცალკეული სამეურნეო პროცესები და ფაქტები შეისწავლება უშუალოდ მათი მიმდინარეობისას, თუმცა იგი ვერ იძლევა სამეურნეო სუბიექტის ფუნქციონირების მთლიან სურათს. ოპერატიული აღრიცხვისათვის დამახასიათებელია შეზღუდულობა დროში. როგორც წესი, იგი მართვისათვის თავის მნიშვნელობას კარგავს სამეურნეო პროცესის დამთავრებისათვის.

სტატისტიკური აღრიცხვა ახდენს საწარმოო საქმიანობისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მასობრივი და ტიპიური მოვლენების რაოდენობრივი და თვისობრივი მხარეების, კერძოდ: წარმოების მოცულობის, საქონელბრუნვის, თვითღირებულების, სამუშაო დროის გამოყენების და ხელფასის დინამიკის შესწავლას. სტატისტიკური აღრიცხვის შესწავლის ობიექტია ისეთი მასობრივი საზოგადოებრივი მოვლენები, როგორიცაა მოსახლეობის რიცხოვნობა, სოციალურ-დემოგრაფიული მონაცემები და სხვ.

სტატისტიკური აღრიცხვა იყენებს სპეციფიურ ხერხებსა და მეთოდებს, როგორიცაა დაკვირვების, დაჯგუფების, შედარების, ინდექსირების, საშუალო სიდიდეების მეთოდებს, აგრეთვე ხერხებს, რომლებიც ახასიათებენ ობიექტების ერთობლიობას. სტატისტიკურ აღრიცხვაში გამოიყენება ნატურალური, შრომითი და ფულადი საზომი ერთეულები.

ბუღალტრული აღრიცხვა წარმოადგენს საწარმოს ეკონომიკური რესურსებისა და მათი ფორმირების წყაროების, სამეურნეო ფაქტების ცვლილებათა შესახებ ინფორმაციის თაემოყირის, დაჯგუფებისა და გადაცემის სისტემას, საბოლოოდ ფულად საზომ ერთეულში განზოგადოებული სახით.

ბუღალტრული აღრიცხვა ქმნის საინფორმაციო სისტემას სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის შესახებ. იძლევა საშუალებას განისაზღვროს მისი ქონება და მთლიანი კაპიტალი, შემოსავლები და ხარჯები, სამეურნეო საქმიანობის საბოლოო ფინანსური შედეგი.

ოპერატიული და სტატისტიკური აღრიცხვისგან განსხვავებით, ბუღალტრული აღრიცხვისთვის დამახასიათებელი თავისებურებაა საწარმოს დაარსებიდან მიმდინარე პერიოდამდე მასში მიმდინარე ოპერაციების განუწყვეტელი აღრიცხვა ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, სათანადოდ გაფორმებული დოკუმენტების საფუძველზე. იგი იყენებს სამივე სახის საზომ ერთეულს, თუმცა სამეურნეო ოპერაციებსა და ფაქტებს საბოლოოდ ფულად საზომში განზოგადოებულად განიხილავს.

ბუღალტრული აღრიცხვა საშუალებას იძლევა განხორციელდეს შემდეგი ფუნქციები:

- სამეურნეო მოელენის ანალიზი-დაკვირვებისა და გაზომვის გზით.
- ინფორმაციის დამუშავება-აღრიცხვის, აღიარების, შეფასებისა და დაჯამების გზით.
- ანგარიშგების მომზადება – წლიური ანგარიშგებისა და სპეციალური მიმოხილვების მომზადებისა და მომხმარებელთათვის წარდგენის გზით.

ბუღალტრული აღრიცხვის ინფორმაციული სისტემა იყოფა: საგარეო ანუ **ფინანსურ აღრიცხვად** და შიდა ანუ **მმართველობით აღრიცხვად.**

ფინანსურ აღრიცხვაში თავს იყრის ინფორმაცია საწარმოს მიმდინარე ხარჯებისა და შემოსავლების შესახებ, დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების შესახებ, ფინანსური ინვესტიციებისა და მათგან მიღებული შემოსავლების შესახებ, დაფინანსების წყაროების მდგომარეობის შესახებ და ა.შ., რომელიც აუცილებელია ფინანსური ანგარიშების შესადგენად. ფინანსური ანგარიშგება ქვეყნდება და გამიზნუ-

ლია როგორც საწარმოს ადმინისტრაციის, ასევე გარე მომხმარებელთა მიერ გამოყენებისათვის.

ფინანსური აღრიცხვა სამეურნეო მოვლენების ჩაწერის, შეფასებისა და ფინანსური ანგარიშგებაში განზოგადოების საშუალებას იძლევა, მისთვის დამახასიათებელია ინფორმაციის მომზადება შიდა და გარე მომხმარებლისათვის, ორმაგი ჩაწერის სისტემის გამოყენება, რომლის თანახმად ყოველი სამეურნეო ოპერაცია მთავარი საბუღალტრო წიგნის ორ ანგარიშზე ერთდროულად აისახება. ბუღალტრული აღრიცხვისთვის საყოველთაოდ მიღებული პრინციპებისა და ნორმების სავალდებულო დაცვა, სამეურნეო ფაქტებისა და ნორმების ფულადი საზომი ერთეულით ასახვა და სრული სიზუსტე.

ფინანსური აღრიცხვის ინფორმაცია მხოლოდ ფაქტიურ, რეალურ მონაცემებს წარმოადგენს, მას ობიექტური ხასიათი აქვს და დასრულებულ ოპერაციებს ასახავს. ფინანსური აღრიცხვა ინფორმაციას განსხვავებული სახით წარმოადგენს ფინანსურ ანგარიშგებაში. ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა წარმოებს რეგულარულად, მკაცრად განსაზღვრული პირობების მიხედვით. მაგალითად, წელიწადში ერთხელ.

მმართველობითი აღრიცხვის ინფორმაცია განკუთვნილია შიდა მოხმარებისათვის და გამოიყენება სამმართველო გადაწყვეტილებათა მისაღებად. მმართველობითი აღრიცხვის საშუალებით ხდება ფინანსური აღრიცხვის მონაცემთა დეტალიზირება. ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მთელი სამეურნეო ერთეულის სამეურნეო ფაქტებს, რომელთაც უკვე ჰქონდათ ადგილი რეალურ სინამდვილეში, განზოგადებულია ფულად მაჩვენებელში მათი მოხდენის მომენტისათვის. მმართველობითი აღრიცხვა კი მოიცავს ინფორმაციას საწარმოს ცალკეული ქვედანაყოფის საქმიანობის, პროდუქციის ცალკეული სახეების შესახებ ნებისმიერი საზომი ერთეულით (ტონა, მეტრი, ცალი, კაც-საათი, მანქანა-საათი და სხვა.), მაგრამ აუცილებლობის შემთხვევაში მმართველობით აღრიცხვაში გამოიყენება ფულადი საზომი ერთეული, რომელიც განკუთვნილია შიდა სამეურნეო მოხმარებისათვის, და ხელმძღვანელობისათვის წარმოადგენს ოპტიმალურ სამმართველო გადაწყვეტილებების მიღების საფუძველს. იგი არ შემოიფარგლება ორმაგი ჩაწერის სისტემით. ნორმები და შეზღუდვები არ არსებობს და ერთადერთი კრიტერიუმი ინფორმაციის ეარგისიანობაა. მმართველობითი აღრიცხვა არ ითვალისწინებს ანგარიშგებათა მკაცრი პერიოდულობით წარდგენას. მათი მომზადება და წარდგენა ხდება მომხმარებლის მოთხოვნის შესაბამისად საჭირო დროს.

მმართველობითი აღრიცხვის საგანს წარმოადგენს კომპანიისა და მისი ცალკეული სტრუქტურული დანაყოფების (სეგმენტების) ანუ პასუხისმგებლობის ცენტრების სამე-წარმეო საქმიანობა.

მმართველობითი აღრიცხვის ინფორმაცია ფინანსურისაგან განსხვავებით განკუთვნილია მხოლოდ ადმინისტრაციისათვის. ამიტომ საჭიროა კომერციული საიდუმლოების კონფიდენციალურობის დაცვა და იგი გამოქვეყნებას არ ექვემდებარება.

მმართველობითი აღრიცხვა უფრო ფართო ცნებაა, რომელიც მოიცავს პროფესიულ ცოდნას და ინფორმაციის მომზადებისა და წარდგენის უნარს, ორგანიზაციულ სტრუქტურაში არსებულ მართვის ყველა დონისათვის, ასეთი ინფორმაციის წყარო არის ფინანსური და დანახარჯთა ანგარიშები.

მმართველობითი აღრიცხვა შეიძლება განვსაზღროთ, როგორც კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვის დამოუკიდებელი მიმართულება, რომელიც მმართველობით აპარატს უზრუნველყოფს, როგორც მთელი კომპანიის, ასევე მისი ცალკეული სტრუქტურული ერთეულების დაგეგმვის, მართვის, კონტროლის შეფასებისათვის საჭირო ინფორმაციით.

დაგეგმვის ინფორმაცია საჭიროა სამოქმედო ალტერნატიულ გზებს შორის არჩევანის გასაკეთებლად და გეგმების შესამუშავებლად.

კონტროლის ინფორმაცია ახდენს წარსულის დარგობრივი შედეგების კონტროლს.

ქვემოთ მოტანილ ცხრილში მოცემულია ფინანსური და მენეჯერული აღმრიცხველების ფუნქციების შედარებითი ანალიზი:

ცხრილი 1.2.1

	მენეჯერული აღრიცხველი	ფინანსური აღრიცხველი
ინფორმაცია ძირითადად მომზადებულია:	შიდა მოხმარებისათვის (მენეჯერებისათვის და თანამშრომლებისათვის)	გარე მომხმარებლისათვის (აქციონერებისთვის, მთავრობისათვის და სხვ.)
ინფორმაციის მიზანი:	დახმარება დაგეგმვაში კონტროლსა და გადაწყვეტილების მიღებაში	ფინანსური მდგომარეობის ასახვა ფინანსური ანგარიშების მომზადება
იურიდიული მოთხოვნა:	არანაირი	შპს- და სხვა ეკონომიკური სუბიექტებისათვის სავალდებულოა ფინანსური ანგარიშგების მომზადება
ფორმატი:	მენეჯმენტი წყვეტს რა ინფორმაცია ესაჭიროება და რა არის მისი წარდგენის ყველაზე სასარგებლო გზა	ფინანსური ანგარიშგება მომზადებული უნდა იყოს ბასს-ის მიხედვით
ინფორმაციის ბუნება:	ფინანსური და არაფინანსური	ძირითადად ფინანსური
დროის მონაკვეთი:	წარსულთან დაკავშირებული და მომავალთან დაკავშირებული	ძირითადად წარსულთან დაკავშირებული

ფინანსური მენეჯერი ძირითადად დაინტერესებულია უსრუნველყოს საწარმოს სხვადასხვა აქტივების რენტაბელური გამოყენება და მისი ეფექტური მართვა. იმისათვის, რომ ეფექტურად უსრუნველყოს გარე წყაროებიდან მოზიდული სახსრები, ფინანსური მენეჯერი ვალდებულია განსაკუთრებულად კარგად ფლობდეს ფინანსური ანალიზის საფუძვლებს.

ფინანსური მენეჯერი (დირექტორი) ვალდებულია სრულყოფილად ფლობდეს წარმოების მიმდინარე ფინანსურ მდგომარეობას და ითვალისწინებდეს მომავალში მისი განვითარებისათვის სხვადასხვა ვარიანტების არჩევას.

1.3 ინფორმაციის წყაროები მმართველობითი აღრიცხვისათვის

ანალიტიკური სამუშაოს დანიშნულებაა სხვადასხვა მონაცემების მოყვანა ლოგიკური ურთიერთდამოკიდებულების სისტემაში, რაც საშუალებას იძლევა მოვახდინოთ ფაქტორების სწორი შეფასება.

ანალიტიკური მუშაობა შემოქმედებითი მოღვაწეობის ნაწილია, იგი ხორციელდება დიალექტიკისა და ფორმალური ლოგიკის კანონებით, კვლევის ზოგად-სამეცნიერო მეთოდების გამოყენებით.

ინფორმაციულ-ანალიტიკური მუშაობის ძირითადი ეტაპებია:

1. პრობლემების ზოგადი გაცნობა;
2. გამოყენებული ტერმინებისა და მცნებების განსაზღვრა;
3. ფაქტების განმარტება მოიცავს მათ გაცნობიერებას, შეფასებას, კლასიფიკაციასა და ანალიზს;
4. ჰიპოთეზების აგება;
5. დასკვნები;
6. გადმოცემა – სამუშაოს დამამთავრებელი დოკუმენტის შედგენა.

ეკონომიკურ ლიტერატურაში აღწერილია ანალიტიკური მეთოდების შემდეგი კლასიფიკაცია:

- მართვის პროცესის შინაარსის (ხასიათის) მიხედვით გამოყოფენ პერსპექტიულ (პროგნოზულ, წინასწარ), ოპერატიულ და მიმდინარე ანალიზს;

სივრცითი ნიშნის მიხედვით: შიდასამეურნეო (მიკროეკონომიკური), მაკროეკონომიკური და მეგაეკო-ნომიკური;

- მართვის ობიექტის მიხედვით: სოციალურ-ეკონომიკური, ფინანსურ-ეკონომიკური, ეკონომიკურ-სტატისტიკური, ეკონომიკურ-ეკოლოგიური და მარკეტინგული ანალიზი;
- პროგრამის შინაარსის მიხედვით: კომპლექსური ანალიზი (ობიექტი შეისწავლება ყოველმხრივ) და თემატური ანალი'ზი (შეისწავლება მოღვაწეობის ცალკეული მხარეები, რომლებიც დროის იმ მომენტისათვის წარმოადგენს მეტ ინტერესს)

ანალიზის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საწყისი ინფორმაციის ხარისხსა და საიმედოებას.

ფინანსური შედეგები საშუალებას იძლევა შეფასდეს ბიზნესის ეფექტურობა. მოგება ფასწარმოქმნის ძირითად ფაქტორს წარმოადგენს. კონკრეტულ საქონელზე და მომსახურებაზე, შესრულებულ თუ შესასრულებელ სამუშაოზე ფასი ძირითადად მოთხოვნა-მიწოდების კანონით განისაზღვრება. შედეგად, მოგება ყველაზე მეტად ფასის ცვალებად ელემენტს წარმოადგენს. ფინანსური მენეჯერი მართავს მოგებას, შესაბამის ბაზარზე, არსებული ანალოგიური ეკონომიკური სიკეთის ფასიდან გამომდინარე.

სტრუქტურ'ული საინფორმაციო სისტემები აგროვებენ არაფინანსურ ინფორმაციას მასთან დაკავშირებულ ფინანსურ ინფორმაციასთან ერთად. მონაცემი უნდა მოგროვდეს რაც შეიძლება დაბალი დანახარჯებისა და მაღალი სი'სუტის უზრუნველყოფის პირობებში.

ინფორმაცია განსხვავდება მონაცემისაგან. სიტყვა „მონაცემი" ნიშნავს ფაქტებს. მონაცემი შედგება რიცხვებისაგან, ასოებისაგან, სიმბოლოებისაგან, დაუმუშავებელი ფაქტებისაგან, მოვლენების და ოპერაციებისაგან, რომლებიც მიღებულია, მაგრამ ჯერ არ არის დამუშავებული იმ ფორმით, რომელიც გამოდგება გადაწყვეტილების მისაღებად.

ინფორმაცია არის დამუშავებული მონაცემი, რომელსაც გააჩნია მნიშვნელობა მიმღებისათვის, ინფორმაციის მიმღებს შეუძლია მისი შემდგომი გამოყენება გადაწყვეტილების მიღების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

მონაცემი + მნიშვნელობა = ინფორმაცია

როგორც კი მონაცემი გარდაიქმნება ინფორ-მაციად, ზოგიერთი ელემენტი იკარგება და მის ადგილს იკავებს დასკვნა, რომლის ინტერპრეტაციაც უფრო ადვილია. ადვილად გასაგები ანგარი'შები მზადდება მონაცემთა ელემენტების ოპტიმალური გაცვლის მიზნით. მონაცემთა დამუშავება არის მონაცემების ინფორმაციად გარდაქმნა.

ინფორმაციის ღირებულება წარმოიქმნება გადაწყვეტილების მიმღებთა ქმედების შედეგად, რომლებიც იყენებენ ამ ინფორმაციას მოგების გადიდების მიზნით; მაგ: ზენორმატ'ული ხარჯების შემცირება, გაუმჯობესებული მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება, დანახარჯების გაუმჯობსებული ანალი'ზი და სხვა.

ინფორმაცია არ არის ღირებული, თუ მისი გამოყენება არ ხდება. მას არც მაშინ აქვს ღირებულება, თუ მანამდე იყო ცნობილი (არ გააჩნია „სიურპრიზის" ღირებულება).

ინფორმაციის მოპოვების დანახარჯებია: 1) ინფორმაციის წარმოშობა, სისტემის აგება და ჩამოყალიბება. (მაგ; დანახარჯები დანადგარებზე, დანერ-გვაზე, სწავლებაზე, სისტემის დიზაინზე, ტესტირებაზე) 2) სისტემის ყოველდღიური ფუნქციონირება (მაგ; თანამშრომელთა ხელფასი, მარაგი, სატელეფონო დანახარჯი) 3) შენახვის ხარჯები.

საიმედო ინფორმაცია არის ისეთი ინფორმაცია, რომელსაც გააჩნია ღირებულება მომხმარებლებისათვის, იგი სასარგებლოა ინფორმაციის მიმღებისათვის, რომელ-საც შეუძლია დაეყრდნოს ამ ინფორმაციას, საიმედო ინფორმაცია ეხმარება მომხმარებელს (მის მიმღებს) გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ინფორმაცია უნდა იყოს:

- სრული;
- საქმესთან დაკავშირებული;
- დროული;
- რაც შეიძლება ზუსტი;

- გასაგები;
- მნიშვნელოვანი;

აგრეთვე:

- უნდა გადაეცეს სწორად შერჩეულ პირს;
- გადაცემა უნდა მოხდეს შესაფერისი არხით.

მმართველობითი აღრიცხვისათვის არსებობს ინფორმა-ციის მრავალი წყარო. კერძოდ:

ინფორმაციის შიდა წყაროები

ცხრილი 13.1

ინფორმაციის წყარო	ინფორმაცია
გაყიდვების მთავარი წიგნი	ანგარიშფაქტურების რაოდენობა და ღირებულება, რეალიზაციის მოცულობა
შესყიდვების მთავარი წიგნი	ანგარიშფაქტურების რაოდენობა და ღირებულება, მომწოდებლის მიხედვით გაანალიზებული შესყიდვები
სახელფასო უწყისების სისტემა	თანამშრომელთა ხელფასინამუშევარი საათები მიღწეული შედეგი გამომუშავებული ხელფასი გამოქვითული გადასახადები
ძირითადი საშუალებების სისტემა	შესყიდვების თარიღი საწყისი ღირებულება, ადგილმდებარეობა ცვეთის მეთოდი და კოეფიციენტი წარმოების სიმძლავრე.
წარმოება	მანქანის გაჩერთაობის დრო მიღწეული შედეგი წუნდებული ერთეულების რაოდენობა
რეალიზაცია და მარკეტინგი	მომხმარებლის ტიპები ბაზრის კვლევის შედეგები

ინფორმაციის გარე წყაროები

ცხრილი 13.2

მომწოდებლები	პროდუქციის ფასები, თვისებები
მთავრობა	საგადასახადო პოლიტიკა ინფლაციის განაკვეთი
მომხმარებლები	მოთხოვნები პროდუქციის მიმართ ფასის მგრძნობიაროობა
დაქირავებული მუშახელი	მოთხოვნები ხელფასზე, სამუშაო პირობები
პრესა, მედია-საშუალებები	აქციათა ფასი ინფორმაცია კონკურენტების შესახებ

ხელმძღვანელობისათვის ინფორმაციის მიწოდება ზოგადად ხდება ანგარიშების მეშვეობით. ანგარიში უნდა იყოს: ლაკონური, სტრუქტურული, გარკვეული დაწერილი, კარგად წარმოდგენილი. ინფორმაცია მანამდე რჩება სასარგებლო, სანამ მისი ღირებულება უფრო მაღალია, ვიდრე მისი წარმოშობის ფასი. ინფორმაცია უნდა იყოს რაც შეიძლება სრული და ზუსტი, ისე რომ მისი მოპოვების ხარჯი არ უნდა აღემატებოდეს მის ღირებულებას.

თავი 2

მართვის საინფორმაციო სისტემა. მართვის სისტემის ელემენტები

2.1 საწარმოს (კორპორაციის) მართვის საინფორმაციო სისტემა

მართვის საინფორმაციო სისტემა (მსს) არის დაგეგმილი პროცედურების მოსახერხებელი ფორმების, ორგანიზაციული სტრუქტურისა და საწარმოო სიმძლავრის გამოყენების უნარის მქონე მენეჯერების კომბინაცია.

მართვის საინფორმაციო სისტემების მიზანია ინდივიდუალურ მენეჯერს მისცეს 3 ძირითადი საქმიანობის შესრულების საშუალება; ესენია:

1. გადაწყვეტილების მიღება.

ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებისათვის მენეჯერები საჭიროებენ მაღალი ხარისხის ინფორმაციას. დაგეგმვა და გადაწყვეტილების მიღება მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული.

2. დაგეგმვა და კონტროლი

დაგეგმვა არის მიზნების ჩამოყალიბება და მისაღწევად საჭირო პოლიტიკის, სტრატეგიის და მოქმედების ფორმულირება-შეფასება და შერჩევა.

კონტროლის განსახორციელებლად მენეჯერებმა უნდა იმოქმედონ შემდეგნაირად:

ა) ჩამოაყალიბონ გეგმა, რომელიც ეფუძნება მიღებულ გადაწყვეტილებას;

ბ) დაახასიათონ გეგმის მაჩვენებლები;

გ) განახორციელონ გეგმა;

დ) ფაქტობრივი შედეგები შეადარონ დაგეგმილს (ბიუჯეტს);

ე) შეაფასონ განსხვავება, რათა განსაზღვრონ დამატებითი ქმედების აუცილებლობა;

3. კოორდინირება.

ბიზნესის სხვადასხვა განყოფილებამ უნდა იმოქმედოს ჰარმონიულად

მიზნები წარმოადგენს ქვაკუთხედს ორგანიზაციის გრძელვადიანი გეგმების მიღწევის საქმეში. მიზნების მიღწევა არის ორგანიზაციის წარმატების ან წარუმატებლობის მაჩვენებელი.

სტრატეგია არის რესურსების გამოყენებისა და მოქმედების ზოგადი პროგრამა ფართო მიზნების მისაღწევად.

ღირებულებები არის სოციალური და ეთიკური ქცევის სტანდარტები რომლის მიღებასაც აპირებს მენეჯმენტი.

პოლიტიკა არის დებულება, დასკვნა ან დათქმული პირობა, რომელიც წარმართავს გადაწყვეტილების მიმღებთა აზროვნებას.

მიზნები. მოგების მაქსიმიზაციის არსი მოიცავს საუკეთესო შესაძლო გამოსავლის ძიებას, მეორეს მხრივ დაკმაყოფილება გულისხმობს მხოლოდ ადეკვატური გამოსავლის პოვნას კომპანიის შიგნით, მენეჯმენტი ეძებს ზოგიერთი ჯგუფისათვის (მაგ. აქციონერთა) მოგების მაქსიმიზაციისა და სხვა ჯგუფების ან მის ბიზნესში მონაწილეების (მაგ. მუშახელი) მოთხოვნის დაკმაყოფილების გზებს.

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს ბიზნესში დაინტერესებულ სხვადასხვა მხარეს და პასუხისმგებლობას, რომელიც მენეჯმენტს აკისრია თითოეული მათგანის წინაშე.

ამრიგად, მენეჯმენტი შესაძლებელია ერთი მხრივ მუდმივად მოგების მაქსიმალური დონისაკენ მიისწრაფოდეს, იმისდა მიუხედავად, რომ ეს შეიძლება დაკავშირებული იყოს რისკთან და მენეჯმენტის უფრო დიდ დატვირთვასთან. მეორე მხრივ მენეჯმენტმა შეიძლება გადაწყვიტოს მოგების დამაკმაყოფილებელ დონეზე შენარჩუნება, რისკიანი ქმედების თავიდან აცილების და სამუშაო დატვირთვის შემცირების მიზნით სხვადასხვა

ცხრილი 2.1.1

ბიზნესში მონაწილეები დაინტერესებული მხარეები	მენეჯმენტის პასუხისმგებლობა
აქციონერები, დამფუძნებლები	დივიდენდების გადახდა, აქციების ფასის გაზრდის მცდელობა, აქციონერთა საერთო კრების ჩატარება.
კრედიტორები, ინვესტორები	პროცენტის დროული გადახდა, ძირითადი თანხების შეთანხმებისამებრ დაბრუნება, ზედმეტი რისკის თავიდან აცილება
დაქირავებული თანამშრომლები	ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის ვალდებულებათა შესრულება. ხელფასის გადახდა, გადაწყვეტილების მიღება'ში ჩართვა
მომხმარებლები	ხარისხის უზრუნველყოფა, პატიოსანი გარიგებების წარმოება
მომწოდებლები	დროულად გადახდა, დიდი პარტიებით შესყიდვის ბოროტად გამოყენებისაგან თავის არიდება
საზოგადოება	„მწვანე კონცერნები", მონოპოლიური სტატუსის ბოროტად გამოყენებისათვის თავის არიდება (განსაკუთრებით ახლად პრივატიზებული საწარმოების მიმართ)
მთავრობა	გადასახადების დროულად გადახდა, ყველა კანონის კეთილსინდისიერად შესრულება

ქვეყნებში სამართლებრივი სისტემების ინსტიტუციონალური სტრუქტურების და ტრადიციების მრავალფეროვნების გამო სწორი კორპორაციული მართვის ერთიანი მოდელი არ არსებობს. კორპორაციული მართვაში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება იმ აქციონერთა ინტერესებს, რომლებიც ანდობენ კორპორაციას თავის საინვესტიციო ფონდებს ეფექტიანი გამოყენებისათვის. აქციონერული საწარმოები პირველ რიგში დაინტერესებული არიან მიმდინარე და მომავალი მოგებით, აგრეთვე მისი სტაბილურობით. ამის შედეგად აქციონერებს (ინვესტორებს) როგორც წესი, წარმოების რენტაბელობაზე აქეთ განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებული. ისინი აგრეთვე დაინტერესებული არიან წარმოების საერთო ფინანსური მდგომარეობით, რამეთუ ეს უკანასკნელი საერთო ჯამში ასახავს დივიდენდების გადახდის საშუალებას და თავიდან აცილებს გაკოტრებას.

რეალურ ცხოვრებაში აქციონერთა სიმდიდრის მაქსიმიზაციის გარდა ორგანიზაციები ისახავენ სხვა მიზნებსაც. მენეჯერთა უმეტესობამ იცის, რომ თუ ისინი გააწბილებენ აქციონერებს, აქციების ფასი დაეცემა. ამან შეიძლება გამოიწვიოს ფინანსური სახსრების მოზიდვასთან დაკავშირებული პრობლემები, ფირმის შესყიდვის მცდელობები და მენეჯერთა კარიერის დასასრული, ამასთან ერთად აქციების მზარდი კონცენტრაცია ერთი ინვესტორის ხელში, ნიშნავს, რომ კონტროლისაგან მესაკუთრეობის გამოყოფა შორსაა სრულყოფილებისაგან, ითვლება, რომ მთავარი ინვესტორები, მათ მფლობელობაში არსებულ აქციათა დიდი პაკეტის გამო კომპანიის მენეჯმენტზე ფლობენ დიდ პოტენციურ ძალაუფლებას.

კორპორაციული მიზნისადმი კომპრომისული მიდგომა ექნება საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებულ კომპანიას, თუ მისი უმაღლესი მიზანი იქნება აქციონერთა სიმდიდრის ზრდა, მაგრამ ის დაბალანსებული იქნება სხვადასხვა მხარეთა ზეგავლენით და მიზნებით.

2.2 მართვის საინფორმაციო სისტემის ელემენტები

კორპორაცია შეიძლება ისეთი სისტემის სახით წარმოვიდგინოთ, რომელიც განსაზღვრული სახეობის პროდუქციის მწარმოებელი და რესურსების მომხმარებელი, შეკრული და მართვადი ელემენტებისაგან შედგება.

კორპორაციის მართვის სისტემის ელემენტებს შეადგენენ:

I) რესურსები. მათ მიეკუთვნება: ორგანიზაციის კადრები, კაპიტალი, მასალები, ტექნოლოგია, ინფორმაცია, რომლებიც მთლიანობაში ორგანიზაციის შიდა გარემოს წარმოადგენენ. თითოეული ორგანიზაციის მიზანი, სხვადასხვა რესურსების გარდაქმნას ითვალისწინებს დასახული მიზნის მიღწევისათვის. ყველა სახის ორგანიზაციული ელემენტებიდან, ყველაზე დიდი რეზერვები სწორედ შრომით რესურსებში იმალება კორპორაციის საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

შრომითი რესურსების მართვის რეგულირების ეტაპებია: შრომითი რესურსების მოთხოვნის დაგეგმვა, კანდიდატურების შერჩევა, პერსონალის დაკომპლექტება, შრომითი ანაზღაურებისა და შეღავათების განსაზღვრა, პროფორიენტაცია და ადაპტაცია, სწავლება, საქმიანობის შეფასება, მმართველობითი კადრების მომზადება, სამსახურეობრივ საფეხურებზე გადაადგილება.

2) ტექნოლოგია, ანუ კორპორაციის საქმიანობის მექანიზმი არის შრომის საწყისი ელემენტების ჯამურ (საბოლოო) შედეგებში გარდაქმნის საშუალება (ნედლეულის საქონელსა და მომსახურებაში გარდაქმნის ხერხი).

3) სტრუქტურა. კორპორაცია შეიძლება ორგანიზაციული, საწარმოო და სხვა სახის სტრუქტურის სახით იქნეს წარმოდგენილი, რომელიც დასახული მიზნების მიღწევისათვის მისი საქმიანობის ორგანიზაციის მრავალფეროვანი ფაქტორებისა და ელემენტების ურთიერთმოქმედების მახასიათებელია. ორგანიზაციის სტრუქტურა მჭიდროდ არის დაკავშირებული ორგანიზაციაში მისთვის დამახასიათებელი შრომის დაყოფასთან და კონტროლის სისტემის აგების მოთხოვნილებებთან.

4) მართვა. იმისათვის, რომ ორგანიზაციამ თავის წინაშე დასახული მიზნების მიღწევა შეძლოს, ამისათვის მისი ქვედანაყოფების ამოცანები შრომის ეერტიკალური დაყოფის მეშვეობით უნდა იქნეს კორექტირებული, ამიტომ მართვა ორგანიზაციისათვის არსებითად მნიშვნელოვან საქმიანობას წარმოადგენს. ამასთან დაკავშირებით ორგანიზაცია ხელმძღვანელებს უნდა ნიშნავდეს და მათი ეალდებულებებისა და პასუხისმგებლობის წრეს განსაზღვრავდეს.

მართვის განხორციელება შემდეგი სახის ოთხი ეტაპისაგან შედგება:

- მკაფიო და მოკლე მიზნების ჩამოყალიბება,
- აღნიშნული მიზნების მიღწევის საუკეთესო გეგმების დამუშავება,
- მუშაობის შედეგების კონტროლი, ანალიზი და შეფასება,
- დაგეგმილის შესაბამისად შედეგების კორექტირება.

5) დაგეგმვა განსაზღვრავს, თუ კონკრეტული მიზნის მიღწევისთვის რა უნდა გაკეთდეს აუცილებლად. იგი გრძელვადიანი (სტრატეგიული) და მოკლევადიანი გეგმების დამუშავებასთან არის დაკავშირებული. სტრატეგიული მიზნების არჩევანი კომპანიის განვითარებისათვის საპასუხისმგებლო ეტაპს წარმოადგენს. კორპორაციის საერთო მიზანი (მისია) – მისი არსებობის მკაფიოდ გამოხატულ მიზეზს წარმოადგენს. მთლიანობაში საერთო მიზანი კორპორაციის სტატუსის დეტალიზაციას და სხვადასხვა ორგანიზაციულ დონეებზე ფუნქციონალური სტრატეგიის განსაზღვრისათვის მიმართულებისა და ორიენტირების უზრუნველყოფას ახორციელებს.

სტრატეგიის განსაზღვრა შემდეგ სამ ძირითად საკითხზე პასუხის გაცემას ისახავს მიზნად:

1. როგორი მთავარი მიმართულებებით უნდა იქნეს განვითარებული საწარმოო?
2. როგორი ცვლილებები გახორციელდება საქმიან სფეროში, რომელიც ზემოქმედებას მოახდენს კომპანიაზე?
3. როგორი სახით უნდა გახორციელდეს რესურსების (შრომითი, ფინანსური, მატერიალური), მიზნიდვა, რომ დასახული მიზნები იქნეს მიღწეული?

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ზემოთაღნიშნული იმაზე მიუთითებს, თუ რა საქმიანობას გაახორციელებს კორპორაცია, როგორი მიმართულებით განვითარდება და როგორ გეგმავს იგი დასახული მიზნების მიღწევას.

სტრატეგიის რეალიზაციის ძირითად საშუალებებს წარმოადგენს: *ტაქტიკა, პოლიტიკა, პროცედურები* და *წესები.*

აღნიშნულიდან გამომდინარე დაგეგმვის შემდეგი სტადიები შეიძლება გამოიყოს:

1. ამოცანების განსაზღვრა, რომლებიც მიზნების მიღწევისათვის უნდა იქნეს გადაწყვეტილი,
2. ოპერაციის შესრულების თანმიმდევრობის ჩამოყალიბება, კალენდარული გეგმის შექმნა,
3. საქმიანობის თითოეული სახეობის შესრულებისათვის პერსონალის უფლება-მოსილებების დაზუსტება,
4. დროებითი დანახარჯების შეფასება,
5. ძირითადი ბიუჯეტის დამუშავების მეშვეობით რესურსებზე დანახარჯების განსაზღვრა, რომელიც ოპერაციის გახორციელებისათვის იქნება აუცილებელი,
6. მოქმედების გეგმების კორექტირება.

სტრატეგიული ინფორმაცია ძირითადად გამოიყენება დირექტორებისა და უფროსი მენეჯერების მიერ ორგანიზაციის ერთიანი მიზნებისა და სტრატეგიის დასაგეგმად და შესამოწმებლად, მართლა იქნება თუ არა მიზნები მიღწეული.

ტაქტიკური ინფორმაცია გამოიყენება მენეჯერთა მიერ ყველა დონეზე მაგრამ ძირითადად საშუალო დონეზე ტაქტიკური დაგეგმვისათვის და მენეჯერული კონტროლის საქმიანობისათვის, როგორიცაა ფასწარმოქმნა, შესყიდვა, განაწილება და სასაწყობო საქმიანობა.

ოპერატიულ ინფორმაციას ძირითადად იყენებენ მენეჯერები მართვის ოპერატიულ დონეზე.

ბ) ფინანსები

როდესაც საუბარი კორპორაციის ფინანსების შესახებ მიმდინარეობს, ამ შემთხვევაში ფინანსების ქვეშ გაგებული უნდა იქნეს ყველა ფულადი სახსრები, რომელსაც კორპორაცია ფლობს, ან რომელთა მოზიდვა შეუძლია თავისი საქმიანობისათვის. კორპორაციის ფინანსების მართვასთან დაკავშირებული საქმიანობა (ფინანსური მართვა) ფინანსური რესურსების გამოყენების ეფექტური პროგრამების დამუშავებაზე და რეალიზაციაზე უნდა იქნეს მიმართული. შეიძლება ფინანსური მართვის მიზნები ცალკე იქნეს გამოყოფილი, რომლებიც მთლიანობაში კორპორაციის მიზნების შეშავსებელია. ასეთი მიზნები, მაგალითად, შეიძლება იყოს: **მოგების მაქსიმიზაცია; მოგების მდგრადი ნორმის მიღწევა გეგმიურ პერიოდში; აქციის საკურსო ღირებულების** ამაღლება; კორპორაციის ხელმძღვანელების ან მისი მფლობელების **შემოსავლების** გადიდება (აქციონერებზე დივიდენდების სახით გადასახდელი თანხების გაზრდა) და ა.შ.

2.3 ფინანსური ინფორმაციების ანალიზის მახასიათებლები

საწარმოს პრაქტიკული სამეურნეო საქმიანობის მოთხოვნილებიდან გამომდინარეობს, მმართველობითი და ფინანსური ინფორმაციების ანალიზური დამუშაების, გეგმების შესრულების შეფასება, იმ შიდა და გარეგანი ფაქტორების გავლენის შეფასება – ანალიზი, რომლებიც სამეურნეო პროცესების მიმდინარეობასა და საბოლოო შედეგებზე მონიტორინგის დაწესებას უზრუნველყოფს.

შესაბამისად, წინამდებარე ნაშრომში შემოთავაზებულია სამეურნეო საქმიანობის **კომპლექსურ ანალიზის** მახასიათებლები, რომლებიც გამომდინარეობენ ეკონომიური ანალიზის ძირითადი მიზნებიდან და ამოცანებიდან.[1] კერძოდ:

ა) საწარმოს სამმართველო ინფორმაციების ანალიზის პროცესში:

– საწარმოს ბიზნეს-გეგმების (პროგრამების) და მათთან დაკავშირებული ნორმატიეების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების დადგენა,

– საწარმოო პროგრამების შესრულების მიმდინარეობის ობიექტური ოპერაციული შეფასება,

– წარმოების დანახარჯების სტრუქტურის დადგენა და მათი ფუნქციონალური და ეკონომიკური შინაარსის მიხედვით ანალიზის ჩატარება,

---

[1] უფრო ვრცლად იხ. ზ. ლიპარტია, ნ. გვარამია, ე. ლანჩავა – „ეკონომიკური ანალიზი, ნაწ. II", თბ., „უნივერსალი", 2007, 210-234 გვ.

– მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების რაციონალური გამოყენების შეფასება,

– საწარმოს შინაგანი ფარული რეზერვების გამოელენა-გაზომვა და მათი გამოსაყენებლად ქმედითი ღონისძიების დასახვა და პრაქტიკაში დანერგვა.

ბ) საწარმოს ფინანსური ანგარიშგების ანალიზის პროცესში:

– ბალანსის მონაცემების საფუძველზე გრძელვადიანი და მიმდინარე აქტივების მდგომარეობის დადგენა და მათი ცვალებადობის კოეფიციენტების განსაზღვრა,

– დებიტორული და კრედიტორული დავალიანების დინამიკის გამოკვლევა,

– მოგება-ზარალის მაჩვენებლების ცვალებადობაზე მოქმედი ფაქტორების დადგენა და მათი გაელენის შეფასება,

– საწარმოს საკუთარი კაპიტალის ცელილებების შეფასება,

– ფულადი სახსრების ნაკადების დადგენა და მათი დენადობის დაჩქარების გზების ძიება,

– საწარმოს ლიკვიდურობის (გადახდისუნარიანობის) გამოკვლევა და საწარმოს საერთო ფინანსური მდგომარეობის შეფასება და სხვ.

თავი 3

დანახარჯების აღრიცხვა. დანახარჯების კლასიფიკაცია. დანახარჯთა ძცება

3.1 დანახარჯებისა და ხარჯების აღრიცხვა

დანახარჯები ეს არის ცოცხალი და განივთებული შრომის ერთობლიობა, რომელიც იხარჯება პროდუქციის (შესრულებული სამუშაოების, გაწეული მომსახურების) წარმოებასა და გაყიდვაზე, გამოსახული ფულად ფორმაში ბასს-ის შიხედვით, ხარჯები თავის თავში მოიცავს ზარალსა და დანახარჯებს, რომელსაც ადგილი აქვს საწარმოს სამეურნეო საქმიანობის პროცესში. იგი იმავდროულად ამცირებს აქტივების ღირებულებას. ხარჯების აღიარება ასახვას პოულობს შემოსავლების მიხედვით. ასეთი სახის მიდგომა იწოდება, როგორც ხარჯებსა და შემოსავლებს შორის თანაფარდობა.

ხარჯების აღრიცხვის პროცესი გარკვეულწილად დაკავშირებულია დანახარჯებისა და გასავლების აღრიცხვასთან. ამიტომ მოკლედ შეეხებით გასავლებსა და დანახარჯებს. ხშირად ტერმინები: ხარჯი და დანახარჯი სინონიმებად გამოიყენება და გაუგებრობას იწვევს.

ტერმინი **დანახარჯები** გამოიყენება აქტივების კონვერსიის (გადამუშავების) პროცესთან დაკავშირებით თვითღირებულების განსაზღვრის მიზნით. იგი შეიძლება დაკავშირებული იყოს სასაქონლო მატერიალური ფასეულობების წარმოებასთან, საწარმოს მართვასთან, გრძელვადიანი აქტივების შექმნასა და სხვა პროცესებთან.

ბასს 2-ის მიხედვით სასაქონლო მატერიალური ფასეულობების გადამუშავების (კონვერსიის) დანახარ-ჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან. ეს **დანახარჯებია:** პირდაპირი შრომითი დანახარჯები, მუდმივი და ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯები, რომლებიც გაწეულია ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციად გარდაქმნის, გადამუშავების პროცესში. მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც წარმოების მოცულობის ცვლილებასთან მიმართებაში უცვლელი რჩება. ასეთებია: ამორტიზაცია, საწარმოო შენობებისა და მოწყობილობების ექსპლუ-ატაციის ხარჯები, აგრეთვე წარმოების მმართველობითი და ადმინისტრაციის შენახვის ხარჯები. ცვალებადი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილების პირდაპირპროპორციულად, მაგალითად, დანახარჯები დამხმარე მასალებსა და დამხმარე ცოცხალ შრომაზე (ბასს 2. პუნქტი 10).

დანახარჯი, რომელიც პროდუქციის თვითღირე-ბულებას აყალიბებს, ფინანსური თვალსაზრისით ხარჯად იქცევა მარაგის გაყიდვისთანავე. დანახარჯები და ხარჯები შეიძლება ტოლი იყოს, მაგრამ უფრო ხშირად ისინი განსხვავებული სიდიდეებია. განსხვავება განპირობებულია იმით, რომ:

- წარმოებული პროდუქციის რაოდენობა არ ემთხვევა გაყიდული პროდუქციის რაოდენობას;
- საანრიცხვო პრაქტიკიდან გამომდინარე, ზოგირთი ხარჯი არ მიეკუთვნება პროდუქციის თვითღირებულებას; ან
- ადგილი აქვს დანახარჯების კაპიტალიზაციას.

დანახარჯები, რომლებიც არ ჩაითვლება სასაქონლო მატერიალური ფასეულობის თვითღირებულებაში და აღიარდება პერიოდის ხარჯებში, შემდეგია:

- ნედლეულისა და მასალების, ცოცხალი შრომისა და საწარმოო დანახარჯების ზენორმატიული დანაკარგების თანხები;
- სასაქონლო მატერიალური ფასეულობების შენახვის დანახარჯები, იმ დანახარჯების გამოკლებით, რომელიც აუცილებელია წინა საწარმოო სტადიისათვის;
- ზედნადები ადმინისტრაციული ხარჯები, რომელიც დაკავშირებული არ არის სასაქონლო მატერიალური ფასეულობის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და მათ სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად;
- რეალიზაციის დანახარჯები (ბასს 2, პუნქტი 14).

ტერმინი **გასაყალი** გამოიყენება აქტივებთან მიმართებაში. გასაყალი ზოგჯერ შეიძლება დანახარჯის ან ხარჯის შინაარსს ატარებდეს, მაგრამ ეს მათი გაიგივების საფუძველს არ იძლევა. მაგალითად, აქტივის შესაძენად გადახდილი თანხა არის გასაყალი და არა დანახარჯი ან ხარჯი; საწარმოო ძირითადი საშუალებების რემონტზე მომსახურების ღირებულების გადახდა არის გასაყალი და ერთდროულად დანახარჯი, მაგრამ არა ხარჯი. ხარჯს შეიძლება იგი წარმოადგენდეს ნაწილობრივ ან სრულად გაყიდვის მოცულობის პროპორციულად.

საბუღალტრო აღრიცხვაში გამოყენებული მეთოდოლოგიური საფუძვლებიდან გამომდინარე, ხარჯები შეიძლება აღირიცხოს ორი მეთოდით:

- **საბრუნავ ხარჯთა მეთოდით, რომელსაც საფუძვლად უდევს ხარჯების კლასიფიკაცია მათი ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით;**
- **ერთიან ხარჯთა მეთოდით, რომელიც ხარჯების ეკონომიკური შინაარსის მიხედვით კლასიფიკაციას ემყარება.**

ხარჯების აღრიცხვა ეკონომიკური შინაარსის მიხედვით გულისხმობს შეძენილი მარაგების ჩათვლას დანახარჯებად მათი შეძენისთანავე. ხარჯების კორექტირება წლის ბოლოსათვის ხორციელდება რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯების ფაქტიურ დონემდე.

საწარმოს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია ხარჯების ამსახველი ახალი ანგარიშის გახსნაც. ხარჯების ამსახველი ანგარიშების დებეტში ჩაიწერება ხარჯების გაწევა, ზრდა, ხოლო კრედიტში - მათი ჩამოწერა და გადატანა საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშზე.

ფუნქციური დანიშნულებით ხარჯების აღრიცხვა გულისხმობს დანახარჯების შეტანას პროდუქციის თვითღირებულებაში თითოეულის **ფუნქციური როლის** მიხედვით. ახალ ანგარიშთა გეგმის ფუნქციური დანიშნულებით ხარჯების აღსარიცხავად გამოიყენება ანგარიში 1630 – „დაუმთავრებელი წარმოება". ანგარიშის დებეტში აისახება ყველა გაწეული ხარჯი, კრედიტში კი – მათი ჩამოწერა.

ხარჯები იყოფა ორ ტიპად: 1. **დანახარჯები, რომელიც პირდაპირ (უშუალოდ) არის დაკავშირებული საქონლის წარმოებასთან ან ყიდვასთან (რეალიზებული საქონლის თვითღირებულება)** და 2. **საოპერაციო ხარჯები (ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებასთან, მაგრამ არ შედის რეალიზებული საქონლის თვითღირებულებაში).**

1. **რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება** (ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია საქონლის წარმოებასთან, ან გასაყიდად განკუთვნილი საქონლის შეძენასთან).

იმისათვის, რომ გამოვთვალოთ, წლის განმავლობაში ფირმის გაყიდვებიდან მიღებული მოგება, საჭიროა ნებისმიერ რეალიზაციას გამოვაკლოთ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება. ამის მიზეზი არის ის, რომ ნებისმიერ საქონელს, რომელსაც ყიდის მწარმოებელი ან სავაჭრო ორგანიზაცია, გააჩნია გარკვეული ღირებულება (თვითღირებულება), რომელიც ფირმამ აუცილებლად უნდა შეიტანოს ანგარიშგებაში. მწარმოებელმა, მაგალითად, უნდა გაითვალისწინოს თავისი პროდუქციის წარმოების ხარჯები, ხოლო გამყიდველმა – ხარჯები, რომელიც გაწეულ იქნა გასაყიდი საქონლის შესყიდვაზე.

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება გამოითვლება სხვადასხვანაირად ა). **საწარმოსა** და ბ). **სავაჭრო ფირმებისათვის.**

ა). **პროდუქციის მწარმოებელი და მომსახურების სფეროს საწარმოებისათვის** რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება აღირიცხება ანგარიშზე 7100 – „რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება".

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების გამოსათვლელად, პირველ რიგში მეწარმემ უნდა შეაჯამოს საქონლის წარმოების საერთო ხარჯები, რომელშიც შედის ხარჯები სამუშაო ძალაზე, ნედლეულსა და საწარმოო სიმძლავრეების ექსპლუატაციაზე. ამ ხარჯებს შემდეგ ემატება იმ მზა საქონლის ღირებულება, რომელიც იყო საწარმოში წლის დასაწყისში. ე.ი. დარჩენილი გაუყიდავი წინა წლიდან. შემდეგ მიღებულ თანხას აკლდება იმ საქონლის ღირებულება, რომელიც საწარმოში წლის ბოლოს რჩება გაუყიდავი. მიღებული თანხა წარმოადგენს გაყიდული საქონლის ღირებულებას. ე. ი. ფორმულა შეიძლება ჩავწეროთ შემდეგი სახით:

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება ტოლია წლის განმავლობაში წარმოებული მზა პროდუქციის თვითღირებულებას პლუს წლის დასაწყისში არსებული მზა პროდუქციის თვითღირებულება, მინუს წლის ბოლოს დარჩენილი მზა პროდუქციის თვითღირებულება.

ბ). **საგაჭრო საწარმოებისათვის რეალიზებული საქონლის თვითღირებულება** აღირიცხება ანგარიშზე 7200 – „რეალიზებული საქონლის თვითღირებულება“.

რეალიზებული საქონლის თვითღირებულების გამოსათვლელად, პირველ რიგში უნდა შეფასდეს წლის დასაწყისში ორგანიზაციაში არსებული სასაქონლო მატერიალური მარაგები. ამის შემდეგ ამ თანხას ემატება წლის განმავლობაში განხორციელებული შესყიდვების ღირებულება, რომელსაც აუცილებლად უნდა გამოვაკლოთ შეღავათები, რომელთაც, როგორც წესი, ადგილი აქვს შესყიდვის პროცესში. მიღებული თანხა წარმოადგენს იმ საქონლის ღირებულებას, რომლის რეალიზაცია შეიძლება მოხდეს წლის განმავლობაში. და ბოლოს, მიღებულ თანხას აკლდება იმ საქონლის ღირებულება, რომელიც რჩება წლის ბოლოსთვის გაუყიდავი. ე.ი. ფორმულა შეიძლება ჩაიწეროთ შემდეგი სახით:

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება ტოლია წლის დასაწყისში არსებული საქონლის თვითღირებულებას პლუს წლის განმავლობაში განხორციელებული შესყიდვები, მინუს წლის განმავლობაში შესყიდვების შეღავათები, მინუს წლის ბოლოს დარჩენილი საქონლის თვითღირებულება.

რეალიზებული საქონლის თვითღირებულებაში შედის:

1. საქონლის შესასყიდი ფასი,
2. სატრანსპორტო ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია საქონლის საწყობში მიტანასთან,
3. საწყობში საქონლის შენახვის ხარჯი,
4. შეფუთვის ხარჯი.

თუ ნეტო რეალიზაციას გამოვაკლებთ რეალიზებული საქონლის თვითღირებულებას, მივიღებთ თანხას, რომელსაც ეწოდება **საერთო მოგება**. ე. ი. საერთო მოგების ქვეშ იგულისხმება, თუ რა თანხა მოიგო ფირმამ საქონლის ყიდვა-გაყიდვის შედეგად.

საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს მიეკუთვნება წარმოების მომსახურებისა და მართვის ხარჯები. ამ ხარჯებში შეიტანება მმართველობითი და ადმინისტრაციული აპარატის ხელფასი თანმდევი დარიცხვებით, მიელინების ხარჯები, ფოსტის, ტელეფონის, კავშირგაბმულობის და სხვა ხარჯები, სალიცენზიო მოსაკრებლები, აუდიტური მომსახურების ღირებულება, ადმინისტრაციული დანიშნულების შენობის და საოფისე აღჭურვილობის ცვეთა და მათი მოვლა-შენახვის, რემონტის ხარჯები, საერთო დანიშნულების ტერიტორიის კეთილმოწყობის, დაცვის, კადრების მომზადების (კვალიფიკაციის ამაღლება) ხარჯები და ა.შ. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების აღრიცხვა წარმოებს ხარჯების ცალკე ჯგუფისათვის გამოყოფილი ანგარიშების მიხედვით, რაც აადვილებს ინფორმაციის წარდგენას დანახარჯების ეკონომიკური დანიშნულების მიხედვით დაჯგუფების შემთხვევაში.

საერთო და ადმინისტრაციული მიზნით საწარმოს დანახარჯებს ხარჯებად მოვიხსენიებთ და ეს სამართლიანია იმ მოსაზრებიდან გამომდინარე, რომ საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯი პერიოდის ხარჯია. მისი გადატანა პერიოდიდან პერიოდზე შეუძლებელია, რადგან ძნელია ასეთი ხარჯის გამოყენა შიდა ფუნქციური დანიშნულებით. ზემოთ განხილული იყო დანახარჯების ეკონომიკური შინაარსის მიხედვით აღრიცხვის მეთოდი და ფუნქციური დანიშნულების მიხედვით დანახარჯების აღრიცხვასთან პარალელის გავლებით გამოიკვეთა გარკვეული განსხვავება მათ შორის. განსხვავება უფრო ნათელი იქნება, თუ პარალელის გავლებას გავაგრძელებთ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების აღრიცხვასთან დაკავშირებით.

განვიხილოთ ადმინისტრაციის პერსონალის ხელფასი. იგი ფუნქციური დანიშნულებით ადმინისტრაციული ხარჯია, ეკონომიკური შინაარსის მიხედვით კი სამუშაო ძალის დასაქირაებელი ხარჯი, რომელიც შესაძლებელია მიეკუთვნოს არაპირდაპირი ხელფასის ანგარიშს. მაგრამ საღირიცხვო მონაცემთა მეტი ინფორმაციულობისათვის სასურველად მიგვაჩნია ორივე მეთოდით დანახარჯების აღრიცხვისას ცალკე გამოიყოს ადმინისტრაციული ხარჯი და მისი აღრიცხვა მოეწყოს ხარჯების ეკონომიკური ელემენტების მიხედვით. ამ მოსაზრებებიდან გამომდინარე, ნებისმიერ შემთხვევაში,

გამართლებულად მიგვაჩნია საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების აღრიცხვა ანგარიშთა გეგმაში ცალკე ჯგუფად გამოყოფილ ანგარიშებში.

3.2 დანახარჯების კლასიფიკაცია. დანახარჯთა ქცევა


დანახარჯთა კლასიფიკაცია – მსგავსი დანახარჯები ჯგუფდება მენეჯერთა დასახმარებლად გადაწყვეტილების მიღებაში და გარეშე მხარეთათვის ანგარიშგების მოსამზადებლად აუცილებელი ანალიზის ჩატარებისათვის.

მენეჯმენტის მიერ გამოიყენება დანახარჯების კლასიფიკაცია ფუნქციების მიხედვით:

- ფინანსური ანგარიშგების შესადგენად;
- დანახარჯთა ერთეულის გამოსარკვევად;
- მარაგის შესაფასებლად;
- დანახარჯთა კონტროლის დასადგენად.

პირდაპირია დანახარჯი, რომელიც უშუალოდ შეიძლება გაიგივებულ იქნეს კონკრეტულ დანახარჯთა ცენტრთან.

არაპირდაპირია დანახარჯი (ზედნადები), რომლის პირდაპირი გაიგივება კონკრეტულ დანახარჯთან ან დანახარჯთა ცენტრთან შეუძლებელია. ძირითადი დანახარჯი არის მასალაზე დანახარჯების, პირდაპირი შრომისა და პირდაპირი გასაელების ერთიანობა.



მუდმივია დანახარჯი, რომელიც მთლიანობაში არ იცვლება საქმიანობის დონის მიხედვით. მაგ: იჯარის გადასახადი.

ცვალებადია დანახარჯი რომელიც იცვლება მთლიანად საქმიანობის დონის პირდაპირპროპორციულად. მაგ: პირდაპირი მასალის დანახარჯი.

ნახევრადცვალებადია დანახარჯები, რომლებსაც აქვთ როგორც მუდმივი, ასევე ცვალებადი ელემენტები. მაგ ტელეფონის დანახარჯები.

ეტაპობრივია დანახარჯები, რომლებიც არის მუდმივი საქმიანობის დონეების მთელი დიაპაზონისათვის, შემდეგ იცვლება და მუდმივია ისევ სხვა დიაპაზონისათვის. მაგ: ზედამხედველის ხელფასი.

ლოგიკურ ჯგუფებად კლასიფიკაცია არის დანახარჯების გაანალიზების საშუალება ისე, რომ შეიძლებოდეს მათი გაერთიანება მენეჯმენტისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციად ან გარეშე ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

დანახარჯების ქცევა არის ის, თუ როგორ ზემოქმედებს საქმიანობის დონის ცვლილება საქმიანობის დანახარჯზე.

დანახარჯთა ქცევაზე მოქმედი ფაქტორებია: მოცულობა ან საქმიანობის დონე; დანახარჯების ხასიათი, წარმოების პროცესის ხასიათი, სათადარიგო სიმძლავრის არსებობა და ა.შ.

დანახარჯების ხასიათი ხშირად გეუხმარება დანახარჯთა რაოდენობის პროგნოზირებაში. მაგ: თუ მანქანა დანადგარების ექსპლოატაცია ყოველწლიურად ხდება, მაშინ ექსპლოატაციის დანახარჯი იქნება მუდმივი, თუ ყოველი ნაკეთობატა პარტიის დამზადებისას საჭიროა შეკეთება, მასინ ექსპლოატაციის დანახარჯი იქნება ცვლადი.

რადგან წარმოების პროცესი უფრო ავტომატიზებული ხდება და ნაკლები ინტენსიეობით გამოიყენება მუშახელი, მოსალოდნელია, რომ დანახარჯების უდიდესი ნაწილი იყოს მუდმივი, რადგან ცვეთა (მუდმივი დანახარჯი) ჩაენაცვლება პირდაპირი ხელფასის დანახარჯს (ცვლად დანახარჯს).

დანახარჯების ობიექტი არის ნებისმიერი საქმიანობა, რომლისთვისაც კეთდება დანახარჯების ცალკეული აღრიცხვა.

დანახარჯის ერთეული არის პროდუქტის ან მომსახურების ერთეული რომლის მიმართაც დანახარჯები არის განსაზღერული, ანუ ეს არის საქმიანობის პროდუქტის დანახარჯი. მაგ: საღებავის მწარმოებლისათვის დანახარჯის ერთეული შეიძლება იყოს ლიტრი საღებავი, ბუღალტრული აღრიცხვის ფირმისათვის დანახარჯი შეიძლება იყოს ერთი საათის სამუშაო. მწარმოებელს სურეილი ექნება, განსაზღროს ერთული თეითღირებულება.

დანახარჯთა ცენტრი არის წარმოების ან მომსახურების მდებარეობა, ფუნქცია, საქმიანობა, ან დანადგარის ნაწილი, რომლისთვისაც შესაძლებელია დანახარჯების დადგენა. მაგ: საღებაეს მწარმოებლისათეის დანახარჯთა ცენტრი შეიძლება იყოს: შემრევი განყოფილება, დაფასოების განყოფილება, საწყობი, რეალიზაციისა და მარკეტინგის განყოფილება და სხვა. დანახარჯთა ცენტრის ხელმძღვანელი ფლობს მინიმალურ მმართველობით უფლებებს. დანახარჯთა ცენტრი არის საწარმოს ის სტრუქტურული ქვედანაყოფი, სადაც არსებობს საწარმოო დანახარჯების ბიუჯეტირების, დაგეგმვისა და აღრიცხვის საშუალება, მათი კონტროლის, შეფასებისა და მართვის მიზნით.

შემოსაელის ცენტრი არის პასუხისმგებლობის ცენტრი, რომლის მენეჯერი პასუხს აგებს მიღებულ შემოსაელებზე და ატარებს პასუხისმგებლობას გაწეულ დანახარჯებზე. მაგ. საეაჭრო ორგანიზაციაში – საბითუმო გაყიდვების განყოფილება და სხვ.

შემოსაგლის ცენტრის დანიშნულება არის გაზარდოს შემოსაელები გაწეულ დანახარჯებზე ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე. მაგ: გაყიდვების განყოფილება.

მოგების ცენტრი არის სეგმენტი, რომლის ხელმძღვანელი პასუხს აგებს საკუთარი ქვედანაყოფის როგორც შემოსაელებზე, ასევე დანახარჯებზე. მოგების ცენტრის საქმიანობის შეფასების კრიტერიუმად გეეელინება მიღებული მოგების მოცულობა. მოგების ცენტრის მიზანს წარმოადგენს მაქსიმალური მოგების მიღება გამოყენებული რესურსების, გამოშეებული პროდუქციის მოცულობისა და ფასის ოპტიმალური თანაფარდობით. მოგების ცენტრის მენეჯერები პასუხისმგებელი არიან არაფინანსური შედეგების მიღწეაზეც, როგორიცაა დაკაებული ბაზრის წილი, პროდუქციის ხარისხი და ა. შ.

საინვესტიციო ცენტრი არის ორგანიზაციის სეგმენტი, რომელთა მენეჯერები აკონტროლებენ არა მარტო მათი ქვედანაყოფების შემოსაელებსა და დანახარჯებს, არამედ მათში ინვესტირებული საშუალებების გამოყენების ეფექტურობასაც.

საინვესტიციო ცენტრის საქმიანობა იზომება გამოყენებული კაპიტალზე მიღებული უკუგებით.

როგორც უკვე ვიცით, გადაწყვეტილების მიღების პროცესი გულისხმობს არჩევანის გაკეთებას ორ ან მეტ ალტერნატივას შორის. შაზოგადოდ, ისეთი გადაწყეტილება უნდა იქნას მიღებული, რომელიც მაქსიმალურს გახდის აქციონერთა ღირებულებას.

ასე, რომ ყველა გადაწყეტილების მიღება ხდება რელევანტური დანახარჯებისა და ამონაგების საფუძველზე.

რელევანტური დანახარჯები და ამონაგები ის დანახარჯები და ამონაგებია, რომლებიც იცვლება როგორც გადაწყეტილების მიღების უშუალო შედეგი.

რელევანტურ დანახარჯებსა და ამონაგებს შემდეგი ნიშნები ახასიათებთ:

– ისინი მომავლის დანახარჯები და ამონაგებია;

– ისინი ფულადი სახსრების ნაკადებია;

– ისინი ზრდადი დანახარჯები და ამონაგებია.

რელევანტურ დანახარჯებსა და ამონაგებთან დაკავშირებულია ზოგიერთი სხვა ტერმინი:

დიფერენციალური დანახარჯები არის სხვაობა ორი ალტერნატივის მთლიან დანახარჯებს ან ამონაგებს შორის;

ალტერნატიული დანახარჯი მნიშვნელოვანი ცნებაა გადაწყვეტილების მიღებაში. ალტერნატიული დანახარჯი ხაზს უსვამს იმას, რომ გადაწყვეტილების მიღება სხვადასხვა ალტერნატივასთან არის დაკავშირებული და ერთი გადაწყვეტილების მიღების ალტერნატიული დანახარჯი არის მოგება ან ზღერული მოგება, რომელზეც უარი ითქვა მორიგი საუკეთესო ალტერნატივის არმიღების გამო.

აღმოფხვრადი დანახარჯები არის საქმიანობასთან დაკავშირებული გარკვეული დანახარჯები, რომლის თავიდან აცილება შესაძლებელი იქნებოდა, თუ ეს საქმიანობა არ იარსებებდა.

დანარჯებს, რომლებიც გადაწყვეტილების რელევანტური არ არის, აარელევანტურ დანახარჯებს უწოდებენ და მოიცავს: შეუქცევად დანახარჯებს, გარდაუვალ დანახარჯებს, საერთო მუდმივ ზედნადებ ხარჯებსა და წმინდა საბალანსო ღირებულებებს.

შეუქცევადი დანახარჯები წარსულის დანახარჯებია, რომლებიც პირდაპირ არ არის რელევანტური გადაწყვეტილების მიღებისათვის, მაგალითად, სამეცნიერო-კელევითი დანახარჯები ან ბაზრის გამოკელევის დანახარჯები.

გარდაუვალი დანახარჯები მომავლის დანახარჯებია, რომლის თავიდან აცილებაც შეუძლებელია ნებისმიერ შემთხვევაში, რომელი გადაწყვეტილებაც არ უნდა იქნეს მიღებული.

არაფულადი ისეთი **დანახარჯებია,** რომლებიც არ ითვალისწინებს ფულადი სახსრების მოძრაობას, მაგალითად, ცვეთა დ პირობითი დანახარჯები.

საერთო და მუდმივი დანახარჯები, ჩვეულებრივ, არ არის გადაწყვეტილების რელევანტური. თუმცა, ზოგიერთი მუდმივი ზედნადები ხარჯები შეიძლება გადაწყვეტილების რელევანტური იყოს. აგალიტად, ეტაპობრივად მუდმივი დანახარჯები იზრდება, როგორც მისაღები გადაწყვეტიების პირდაპირი შედეგი.

გრძელვადიან აქტივებთან, კერძოდ, მანქანა-დანადგარებთან დაკავშირებული რელევანტური დანახარჯები იმავე მეთოდით განისაზღერება, როგორც მასალების რელევანტრი დანახარჯები.

თუ მანქანა-დანადგარები უნდა შეიცვალოს მისი სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს, მაშინ რელევანტური დანახარჯი იქნება მისი მიმდინარე ჩანაცვლების ღირებულება. თუ მანქანა-დანადგარები არ უნდა შეიცვალოს, მაშინ რელევანტური დანახარჯი იქნება შემდეგი ორი თანხიდან უდიდესი: რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი (თუ გაიყიდება) და წმინდა ფულადი სახსრების ნაკადები, რომლებიც წარმოიქმნება აქტიეის გამოყენებიდან (თუ არ გაიყიდება).

თავი 4

მასალებზე დანახარჯების აღრიცხვა. შრომითი დანახარჯების აღრიცხვა. ზედნადები დანახარჯების აღრიცხვა

4.1 მასალებზე დანახარჯების აღრიცხვა

მასალებზე დანახარჯი შეიძლება შეადგენდეს საწარმოო დანახარჯების უდიდეს ნაწილს. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ შესყიდული მასალა ზუსტად შეესაბამებოდეს მოთხოვნას ხარისხისა და ღირებულების თვალსაზრისით.

შესყიდვის ანგარიშფაქტურა არის მომწოდებლებისაგან მიღებული ანგარიშფაქტურა. საწარმოო განყოფილებაზე გაცემული მასალა კონტროლდება მასალაზე მოთხოვნის დოკუმენტით. ეს დოკუმენტი ასრულებს ორ ფუნქციას: ის უფლებამოსილებას ანიჭებს საწყობის გამგეს, გასცეს საქონელი და მოქმედებს როგორც მარაგის საალრიცხეო წიგნსა და საალრიცხეო ბარათებზე ინფორმაციის შეტანის საშუალება.

საალრიცხეო ბარათი არის მარაგის მიღების, გაცემის, ნაშთების მარტივი ჩანაწერი. საალრიცხეო ბარათი არის მარაგის საალრიცხეო წიგნში გატარებული რაოდენობისშესახებ ინფორმაციის ასლი, მაგრამ ასეთი სახის ჩანაწერები ხშირად ეხმარება საწყობის გამგეებს მათ საქმიანობაში.

ძირითადი მასალის აღრიცხვა ხდება მარაგის საალრიცხეო წიგნში, რომელიც შეიცავს თითოეული სახის მასალის შესახებ დეტალურ ჩანაწერს. საბუღალტრო წიგნს შეიძლება ჰქონდეს აკინძული თაბახის ფურცლების ან უფრო ხშირად, ამონაბეჭდის ფორმა.

მარაგის საალრიცხეო წიგნს, დანახარჯთა აღრიცხვის სისტემის ნაწილის გარდა, დამატებით აქვს მარაგის კონტროლის ფუნქცია.

მარაგის შეფასების მეთოდები.

არსებობს ხუთი სხვადასხვა მეთოდი, რომლებიც გამოიყენება დანახარჯების აღმრიცხველის მიერ ძირითადი მასალების ღირებულების წარმოებაზე მიკუთვნების პრობლემის გადასაჭრელად:

1. FIFO (პირველი შემოვიდა - პირველი გავიდა)
2. LIFO (ბოლო შემოვიდა - პირველი გავიდა)
3. საშუალო შეწონილი დანახარჯი
4. NIFO (შემდეგ შემოვიდა - პირველი გავიდა)
5. ნორმატიული დანახარჯი

საშუალო შეწონილი ფასი=მარაგის ღირებულება შეძენამდე + შემოსული პარტიის ღირებულება/მარაგის მოცულობა შეძენამდე + შემოსული პარტიის მოცულობა.

ამგვარად გამოთვლილი ფასი გამოიყენება შემდგომი გაშვების შესაფასებლად, სანამ მორიგი პარტია იქნება მიღებული.

მასალების მთლიანი დანახარჯი მხოლოდ შესყიდვის დანახარჯისაგან არ შედგება, იგი ასევე მოიცავს მიღებული მასალის შენახვისა და შეკვეთის განთავსებასთან დაკავშირებულ დანახარჯს.

მარაგი არსებობს იმისათვის, რომ გაიზარდოს რეალიზაცია და მოგება, მარაგის არსებობის შემთხვევაში შეიძლება ფართო ასორტიმენტის პროდუქციის შეთავაზება მომხმარებლისათვის და მათი მოთხოვნის დროულად დაკმაყოფილება. ამასთან, გამორიცხულია წარმოების გაჩერება მასალის მწოდებასთან დაკავშირებული შეფერხების გამო, სასაწყობო მეურნეობის ამოცანა მდგომარეობს მარაგთან დაკავშირებული მთლიანი წლიური დანახარჯის მინიმუმამდე დაყვანა.

მარაგთან დაკავშირებული მთლიანი დანახარჯი მოიცავს:

- მარაგის შენახვის დანახარჯებს;
- მარაგის შეკვეთის დანახარჯებს;
- მარაგის დეფიციტის დანახარჯებს.


მარაგის შენახვა დიდ დანახარჯთან არის დაკავშირებული. მარაგის შენახვის დანახარჯი მოიცავს კაპიტალზე დარიცხულ პროცენტს, დაკავებული ფართისა და აღჭურვილობის დანახარჯს, ადმინისტრაციულ დანახარჯს და დიზაინების, გაქურდვისა და მოძველების რისკს. მარაგის შენახვის დანახარჯი შეიძლება შემცირდეს,

თუ მარაგის დონე მინიმუმამდე იქნება დაყვანილი, ანუ თუ მოხდება მომწოდებლისგან მიღებული მცირე პარტიებით ხშირად შეკვეთა.

შეკვეთის დანახარჯი არსებობს ყოველთვის, როდესაც მომწოდებლისგან შეკვეთილ მარაგს, შეკვეთის დანახარჯი შეიძლება შემცირდეს შეკვეთების რაოდენობის შემცირებით, მაგრამ ამ შემთხვევაში შეკვეთილი მასალის მოცულობა უნდა იყოს ძალიან დიდი.

საგულისხმოა, რომ არსებობს კონფლიქტი შენახვის დანახარჯების მინიმუმამდე დაყვანის პოლიტიკასა (პატარა მოცულობის შეკვეთები, ხშირი ინტერვალებით) და შეკვეთის დანახარჯების შემცირების პოლიტიკას შორის (იშვიათად გაკეთებული დიდი მოცულობის შეკვეთები)

მარაგის დონეების მოდელი. როდესაც პერიოდულად ხდება ახალი მასალის შესყიდვა ან წარმოება, მაშინ მარაგის დონე შეიძლება გამოისახოს შემდეგნაირად:



მარაგის დანახარჯის მინიმუმამდე დაყვანა შესაძლებელია შეკვეთის ეკონომიური მოცულობით, ფორმულას აქეს შემდეგი სახე:

$$EOQ = \sqrt{2 \times Co \times D / Ch}$$, სადაც

EOQ - არის შეკვეთის ეკონომიური მოცულობა;

Co - მუდმივი დანახარჯი ყოველ პარტიაზე;

D - მოსალოდნელი წლიური რელიზაციის მოცულობა

Ch - მარაგის ყოველი ერთეულის შენახვის წლიური დანახარჯი

1. მორიგი შეკვეთის დონე არის მარაგის ის დონე, რომელზეც კეთდება მარაგის მორიგი შეკვეთა, თუ ვივარაუდებთ, რომ მარაგის დეფიციტს არა აქვს ადგილი, მაშინ მორიგი შეკვეთის დონე იქნება:

2. მაქსიმალური მოთხოვნა×მაქსიმალურ შეკვეთის ციკლში

4. 2 შრომითი დანახარჯების აღრიცხვა

შრომითი დანახარჯი წარმოადგენს პროდუქციის წარმოების დანახარჯს. ერთეულზე მასალის დანახარჯის ცოდნასთან ერთად, აუცილებელია ვიცოდეთ შრომითი დანახარჯის რაოდენობაც, რადგან ეს უკანასკნელი შედის პროდუქციის თვითღირებულებაში.

შრომითი დანახარჯის დოკუმენტაცია, გამოთვლა და ანალიზი აუცილებელია შემდეგი მიზეზების გამო:

ა) მუშახელის ანაზღაურების მთლიანი და წმინდა მაჩვენებლის გამოთვლისა და ხელფასის გაცემისათვის;

ბ) ფინანსური აღრიცხვისათვის აუცილებელია ამ მონაცემის, როგორც პერიოდის შრომითი დანახარჯის ჩართვა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში;

გ) მმართველობითი აღრიცხვის და მარაგის თვითღირებულების შეფასებისათვის საჭიროა პერიოდის შრომითი დანახარჯი მიკუთვნებულ იქნეს პერიოდის განმავლობაში ჩატარებულ ოპერაციებსა და წარმოებულ პროდუქციაზე.

ხელფასის დანახარჯი წარმოადგენს ძირითადი და დამხმარე მუშახელის შრომის ანაზღაურების დანახარჯს. სამუშაო დროის აღრიცხვის ბარათი არის დოკუმენტი, რომელზეც ფაქტობრივი დასწრების დროის დადგენისათვის აღნიშნულია მუშახელის სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო. შეკვეთის საკალკულაციო ბარათი წარმოადგენს შეკვეთაზე დახარჯული დროის ჩანაწერს. იგი ჩვეულებრივ გვიჩვენებს შრომით დანახარჯს. სამუშაო დროის ტაბელში ასახულია, თუ როგორ იქნა დახარჯული დრო მუშაკის მიერ.

დანახარჯთა აღრიცხვისას უნდა მოხდეს ძირითადი და დამხმარე შრომითი დანახარჯების განკალკევება და მიღებულ უნდა იქნეს გადაწყვეტილება ისეთი დანახარჯების აღრიცხვის შესახებ, როგორიცაა მოცდენის დრო, ზენორმატიული სამუშაო დროის ანაზღაურება, ბონუსები, სახელმწიფო დაზღვევა და საპენსიო ანარიცხები. ასევე უნდა იქნეს მიღებული გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ მთლიანი ანაზღაურების რა ნაწილი უნდა განისაზღვროს, როგორც პერიოდის დანახარჯი და წარმოქმნისთანავე ჩართული იქნეს მოგება-ზარალის ანგარიშში.

პირდაპირია შრომითი საათები, რომლის დროსაც ხდება პროდუქციის წარმოება. ეს დანახარჯები განიხილება, როგორც პირდაპირი და ჩართულია წარმოების დანახარჯებში, მარაგის ღირებულებისა და რეალიზაციის თვითღირებულების მაჩვენებლის განსაზღვრისას.

არაპირდაპირია შრომის საათები, რომლის დროსაც არ ხდება პროდუქციის წარმოება. არაპირდაპირი საწარმოო შრომითი დანახარჯი (როგორიცაა ექსპლუატაციის ინვენტარის ხელფასი) შეიძლება მიკუთვნებულ იქნეს დანახარჯთა ერთეულზე, ან განხილულ იქნეს, როგორც პერიოდის დანახარჯი.

მოცდენის დრო ანუ გაცდენილი დრო არის ის დრო, რომლის განმავლობაშიც გაიცემა ანზღაურება, მაგრამ ამაეე დროს არ ხდება პროდუქციის წარმოება.

ზენორმატიული სამუშაო დრო, რომლის ანაზღაურება, ძირითადად ხდება დანაძატის სახით, ზენორმატიული საათების მიხედვით.

არსებობს ანაზღაურებისადმი ორი ძირითადი მიდგომა: *დროსთან* ან *შედეგებთან დაკავშირებული*. ადამიანებს უხდიან ნამუშევარი დროის ხანგრძლივობის მიხედვით ან გამომუშავების შესაბამისად. ესე იგი, დროითი განაკვეთით ან სანარდო განაკვეთით. დროითი განაკვეთი ნიშნავს, რომ დაქირაებულის შრომის ანაზღაურება ხდება საათობრივი, დღიური ან კვირეული განაკვეთის საფუძველზე, მიუხედავად იმისა, თუ რა შედეგი იქნა მიღწეული. სანარდო განაკვეთის დროს ფიქსირებული თანხის გადახდა ხდება წარმოებულ ერთეულზე, დახარჯული დროის მიუხედავად. პრემიალურ-დანამატიანი სქემის დროს ხდება ძირითადი განაკვეთით ანაზღაურება და ასევე გათვალისწინებულია ნორმატიული დროიდან დაზოგილი დრო. ასეთი სქემის ნიმუშებია ჰოლსის და როუენის სქემები.

ჰოლსის სქემა

თანამშრომელი იღებს 50%-ს დაზოგილი დროისათვის, მაგ.

პრემია = (ნორმატიული დრო – დახარჯული დრო) / 2 X დროითი განაკვეთი

როუენის სქემა

თანამშრომლის ანაზღაურება ეფუძნება დროის კოეფიციენტს, აღებულს ნორმატიული დროიდან, მაგ.

პრემია = დახარჯული დრო/ნორმატ. დრო X დროითი განაკვ. X დროის კოეფიც.

მუშახელის დენადობა არის სამუშაოდან წასული პერსონალის რაოდენობრივი თანაფარდობა დაქირაებული მუშახელის საშუალო რაოდენობასთან. მუშახელის დენადობა გამოითვლება შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

სამუშაოდან წასულების რაოდენობა. მუშახელის საშუალო რაოდენობა X 100%

4.3 ზედნადები დანახარჯების აღრიცხვა

საქონლისა და მომსახურების დანახარჯები წარმოადგენენ ორგანიზაციის ინტერესის სფეროს. დანახარჯთა ერთეულის მთლიანი მოცულობა მოიცავს პირდაპირ და არაპირდაპირ დანახარჯებს. პირდაპირი დანახარჯი, როგორც სახელწოდებიდან გამომდინარეობს, პირდაპირ უნდა იქნას მიკუთვნებული გამოშვებული პროდუქციის ცალკეულ ერთეულზე. იგი მოიცავს პროდუქციაზე დახარჯული ნებისმიერი ნედლეულის დანახარჯს, აგრეთვე პროდუქციის გამოშვებაზე მომუშავე ნებისმიერ მუშახელზე გაწეულ დანახარჯებს.

საწარმოს მიერ გაწეული ყველა დანახარჯი არ არის პირდაპირ დაკავშირებული გამოშვებული პროდუქციის კონკრეტულ ერთეულთან. მაგალითად, ქარხნის იჯარის გადასახადი ეკუთვნის ქარხანაში წარმოებული პროდუქციის ყველა ერთეულს, შესაბამისად, უნდა გადავანაწილოთ ქარხნის იჯარის მთლიანი დანახარჯი ქარხანაში წარმოებულ ყველა დანახარჯის ერთეულზე.

ზედნადები დანახარჯები ეწოდება ისეთ დანახარჯებს, რომელთა მიკუთვნება შეუძლებელია უშუალოდ დანახარჯთა კონკრეტულ ერთეულთან.

ზედნადები დანახარჯების კლასიფიკაცია შეიძლება ფუნქციების მიხედვით, კერძოდ საწარმოო, რეალიზაციის და ადმინისტრაციის ზედნადებ დანახარჯებად. ამგვარი კლასიფიკაცია საშუალებას გვაძლევს, რომ საწარმოო ზედნადები დანახარჯები შეიძლება მიეკუთვნოს დანახარჯთა ერთეულებს, ხოლო ადმინისტრაციული და რეალიზაციის ზედნადები დანახარჯები განხილულ იქნას როგორც პერიოდის დანახარჯი, ორგანიზაციულ ფუნქციებთან მიმართებით.

საწარმოო ზედნადები დანახარჯი მოიცავს წარმოებასა და მომსახურებაზე მისაკუთვნებელ დამხმარე მასალას, არაპირდაპირ ხელფასსა და არაპირდაპირ გასავლებს. მარკეტინგის, ადმინისტრაციის, კვლევისა და განვითარების დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ არ არიან წარმოებასთან დაკავშირებულნი, არ განიხილება, როგორც საწარმოო ზედნადები დანახარჯი. არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯები დაკავშირებულია სამ ძირითად საქმიანობასთან:

1. საწარმოო საქმიანობა;
2. მომსახურების საქმიანობა;
3. სამეურნეო დანახარჯები, ან საერთო საწარმოო ზედნადები დანახარჯები.

დანახარჯთა აღრიცხვის მიზანია, მენეჯმენტის ინფორმაციული უზრუნველყოფა, შესაბამისად მენეჯმენტს ესაჭიროება იცოდეს დანახარჯი ერთეულზე, როგორც დაუმთავრებელი წარმოების და მარაგის შეფასებისათვის, ასევე გადაწყვეტილებების მისაღებად. არაპირდაპირი დანახარჯების პროდუქციის ერთეულებზე მიკუთვნება მოიცავს შემდეგ პროცედურებს:

1. პროდუქციის ზედნადები დანახარჯების მოგროვება მუხლების მიხედვით;
2. დანახარჯთა ცენტრების დადგენა;
3. ზედნადები დანახარჯების დანახარჯთა ცენტრებზე მიკუთვნება და განაწილება;
4. მომსახურების საქმიანობის დანახარჯების საწარმოო დანახარჯთა ცენტრებზე გადანაწილება;
5. საწარმოო ცენტრების დანახარჯების მიკუთვნება უშუალოდ დანახარჯთა ერთეულებზე.

ზედნადები დანახარჯების მიკუთვნებისა და განაწილების პროცესი წარმოადგენს ფუნდამენტურ მიდგომას დანახარჯთა აღრიცხვაში, რომელიც მენეჯერებს აძლევს პროდუქციის ერთეულის თვითღირებულების სწორად განსაზღვრის საშუალებას.

თემატური კითხვები და საკონტროლო დავალებანი
I შუალედური შეფასებისათვის

შემდგომი ინფორმაცია შეეხება 1-დან 4-მდე კითხვებს.

M-ი აწარმოებს ერთი სახის პროდუქტს - ჯინსის შარვალს. Marlows-ის მმართველობითმა აღრიცხვამ დადგინა შემდეგი სახის ინფორმაცია:

ძირითადი მასალა	10
ძირითადი შრომა	29
ძირითადი გასაელები	3
ქარხნის გასაველები	
– ცვლადი	7
– მუდმივი	5
არასაწარმოო დანახარჯები:	
– ცვლადი	2
– მუდმივი	4
	60

მოგება შეადგენს მთლიანი დანახარჯების 33%-ს

1. როგორი იქნება საბოლოო გასაყიდი ფასი?

ა) £ 75 ბ) £ 60 გ) £ 80 დ) £ 20

2. როგორი იქნება მარაგის ღირებულება?

ა) £ 54 ერთეულზე ბ) £ 60 ერთეულზე გ) £ 42 ერთეულზე დ) £ 49ერთეულზე

3. როგორი იქნება ცვლადი დანახარჯი?

ა) £ 54 ერთეულზე ბ) £ 42 ერთეულზე გ) £ 51 ერთეულზე დ) £ 49 ერთეულზე

4. როგორი იქნება ძირითადი დანახარჯი?

ა) £ 54 ერთეულზე ბ) £ 60 ერთეულზე გ) £ 42 ერთეულზე დ) £ 49 ერთეულზე

5. $Q = \sqrt{2CoD / Ch}$, როცა C = £20, D = 24.000 და Q =400, მაშინ h დააახლოებით ტოლია:

ა) £ 2.45 ბ) £ 6.00 გ) £ 12.00 დ) £36.00

შემდგომი ინფორმაცია შეეხება მე-6 და მე-7 კითხვებს.

კომპანია იყენებს T მასალას. აგვისტოსათვის მოცემულია T მასალის მოძრაობა:

მიღებული მასალა		წარმოებაში გაცემული მასალა			
თარიღი	კგ.	კგ.-ის ფასი	თარიღი	კგ.
12 აგვისტო	4.000	5.00	15 აგვისტო	3.900
19 აგვისტო	1.200	6.00	21 აგვისტო	1.100
24 აგვისტო	2.800	7.50		

1 აგვისტოს არ არსებობდა T მარაგი.

6. fifo-ს მიხედვით, 31 აგვისტოს არსებული მარაგის ღირებულება იქნებოდა.

ა) £22.200 ბ) £ 22.500 გ) £ 15.000 დ) £ 18.000

7. საშუალო შეწონილი მეთოდის მიხედვით, 31 აგვისტოს არსებული მარაგის ღირებულება იქნებოდა.

ა) £ 18.075 ბ) £ 18.500 გ) £ 22.185 დ) £ 22.046

8. 31 იგლისს, W საბოლოო მარაგი იყო 400 ერთეული ღირებულებით (Lifo-ს მიხედვით) £ 10.000. ივლისის თვეში მარაგის მოძრაობა იყო:

5 ივლისი. შეძენილ იქნა 300 ერთეული, თითოეული £ 25-ად

10 ივლისი. გაცემულ იქნა 500 ერთეული

15 ივლისი. შეძენილ იქნა 400 ერთეული, თითოეული £ 22-ად

20 ივლისი. გაცემულ იქნა 200 ერთეული

როგორი ღირებულება ჰქონდა საწყის მარაგს?

ა) £ 11.200; ბ) £ 10.000; გ) £ 9.400

დ) მოცემული ინფორმაციიდან შეუძლებელია ამის დადგენა.

შემდგომი ინფორმაცია შეეხება მე-9 და მე-10 კითხვებს.

კომპანია A-ის საწყობის მიერ გაცემული და მიღებული მასალის მონაცემები ნაჩვენებია ქვემოთ:

მიღება		გაცემა
საწყისი ნაშთი.	200 ერთეული, თითოეულის ღირებულება £ 5	7 მაისი 400
5 მაისი	300 ერთეული, თითოეულის ღირებულება £ 4.50	23 მაისი 400
12 მაისი	100 ერთეული, თითოეულის ღირებულება £ 6	30 მაისი 200
22 მაისი	400 ერთეული, თითოეულის ღირებულება £ 5.50	
29 მაისი	200 ერთეული, თითოეულის ღირებულება £ 7	

9. FIFO-ს გამოყენების შემთხვევაში, საბოლოო ნაშთის ღირებულება იქნება:

ა) £ 1.000 ბ) £ 1.100 გ) £ 1.200 დ) £ 1.400

10. LIFO-ს გამოყენების შემთხვევაში, მაისის განმავლობაში გაცემული მასალის ღირებულება იქნებოდა:

ა) £ 5.150 ბ) £ 5.350 გ) £ 5.450 დ) £ 5.550

შემდგომი ინფორმაცია შეეხება მე-11 და მე-12 კითხვებს.

საბურავების შემკეთებელი ეროვნული ცენტრი ფლობს პოპულარული საბურავების მარაგს, რომლის შესახებ ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

საშუალო გამოყენება:	140 საბურავი დღეში
მინიმალური გამოყენება:	90 საბურავი დღეში
მაქსიმალური გამოყენება:	175 საბურავი დღეში
შეკვეთის ციკლი:	10-დან 16 დღეში
მორიგი შეკვეთის მოცულობა:	3.000 დღეში

11. ზედა ინფორმაციის მიხედვით, მარაგის რა დონეზე უნდა იქნეს შეძენილი ახალი პარტია?

ა) 2.240 ბ) 2.800 გ) 3.000 დ) 5.740

12. ზედა ინფორმაციის მიხედვით, რისი ტოლია მარაგის შესაძლო მაქსიმალური დონე?

ა) 2.800 ბ) 3.000 გ) 4.900 დ) 5.800

13. M შეკვეთის ეკონომიკური მოცულობის მიხედვით განსაზღვრავს მასალის მორიგი შეკვეთის მოცულობას. შემდგომი მონაცემები შეეხება მარაგის დანახარჯებს:

შესყიდვის ფასი £ 15 ერთეულზე

ტრანსპორტირების დანახარჯი: £ 50 შეკვეთაზე

შეკვეთის დანახარჯი: £ 5 შეკვეთაზე

შენახვის დანახარჯი: შესყიდვის ფასის 10%, პლუს წელიწადში ერთეულზე £ 0.20

წლიური მოთხოვნა არის 400 ერთეული.

EOQ-ს მიახლოებითი მაჩვენებელი არის:

ა) 153 ერთეული ბ) 170 ერთეული გ) 485 ერთეული დ) 509 ერთეული

14. კომპანია H ცდილობს მარაგის დანახარჯის შემცირებას. ამჟამად, მისი მორიგი შეკვეთის მოცულობა არის 1.000 ერთეული. ცალკეული შეკვეთის დანახარჯი არის £10, ხოლო თვის შენახვის დანახარჯი არის £ 0.10 ერთეულზე. კომპანიის გარაუდით, წლიური მოთხოვნა იქნება 15 000 ერთეული.

რისი ტოლია შეკვეთის ოპტიმალური მოცულობა (უახლოეს 100 ერთეულამდე)?

ა) 500 ერთეული ბ) 1.000 ერთეული გ) 1.200 ერთეული დ) 1.700 ერთეული

15. რომელი დანახარჯი იქნება დაკავშირებული მუშახელის შეცვლასთან?

ა) სამუშაო პირობების გაუმჯობესების

ბ) სწავლების

გ) საპენსიო ანაზღაურების

დ) სოციალური დახმარების უზრუნველყოფის.

16. შეკვეთის შესასრულებლად საჭიროა 2.400 ფაქტობრივი კაც-საათი. მოსალოდნელია, რომ მოცდენის დრო იქნება 20%. თუ ანაზღაურების განაკვეთი არის 10 საათში მაშინ რისი ტოლია საბიუჯეტო შრომითი დანახარჯი?

ა) 19.200 ბ) 24.000 გ) 28.800 დ) 30.000

17. შემდგომი ინფორმაცია შეეხება პერიოდის მცირე საწარმოო ერთეულს:

საბიუჯეტო დრო	9.500 საათი
ფაქტობრივად ნამუშევარი დრო	9.100 საათი
ფაქტობრივი წარმოების ნორმატიული დრო	9.200 საათი

როგორი იქნება პერიოდის ნაყოფიერების კოეფიციენტი 1%-მდე სიზუსტით?

ა) 97% ბ) 98% გ) 99% დ) 101%

18. ბიუჯეტის მიხედვით, შეკვეთა საჭიროებს 3.300 საათს მწარმოებლურ დროს, 25% მოცდენის დროის წარმოქმნის შემდეგ. თუ საბიუჯეტო მთლიანი შრომითი დანახარჯი არის 36.300, მაშინ რისი ტოლია შრომითი დანახარჯი საათში?

ა) 8.25 ბ) 8.80 გ) 11.00 დ) 13.75

19. წლის დასაწყისში კომპანიაში მუშაობდა 4.600 მუშახელი. წლის განმავლობაში დაქირავებული იქნა 1.800 და წლის ბოლოს კომპანიაში მუშაობდა 5.500 მუშახელი.

როგორი იყო წლის შრომითი დენადობის განაკვეთი, გამოსახული როგორც საშუალო მუშახელის რაოდენობის პროცენტული მაჩვენებელი? პასუხი გამოსახეთ 1%-მდე სიზუსტით.

20. გამწმენდი ფირმა ვარაუდობს, რომ ოფისის გაწმენდისათვის დასჭირდება 2.520 ფაქტობრივი საათი. მოულოდნელი მოცდენები და დაკარგული დრო, სავარაუდოდ იქნება მომუშავეთა დროის 10%. თუ ანაზღაურების განაკვეთი არის საათში 4. მაშინ რისი ტოლია საბიუჯეტო შრომითი დანახარჯი?

ა) £ 10.080 ბ) £ 11.088 გ) £ 11.200 გ) £ 12.197

პრაქტიკული სამუშაო №1

დანახარჯთა ელემენტები, დანახარჯთა კალკულაციის სისტემები

1. W

W ძირითადი მასალის მორიგი შეკვეთის დონის დასადგენად იყენებს შეკვეთის ოპტიმალურ მოცულობას (EOQ). კომპანიას მიმართა ალტერნატიულმა მიმწოდებელმა, რომელიც მზადაა პროდუქცია გაყიდოს შემდეგი ფასდათმობით:

შემკვეთის მოცულობა	ფასდათმობა
0-199 ერთეული	1%
200-499 ერთეული	3%
500-699 ერთეული	5%
700 ერთეული	7%

არსებული მარაგის დანახარჯების შესახებ ინფორმაცია:

ერთეულის შენახვის დანახარჯი წელიწადში არის შესყიდვის ფასის 10%

შეკვეთის დანახარჯი = £ 2 შეკვეთაზე

წლიური მოთხოვნა=15,000 ერთეულს
შესყიდვის ფასი = £ 15
არსებული EOQ =200 ერთეულს
მოგეთხოვებათ
ა) გამოთვალოთ ახალი შეკვეთის ოპტიმალური მოცულობა. **(10 ქულა)**

2. EOQ

კომპანია აპირებს შეისყიდოს მომავალი წლისათვის საჭირო 90,800 ერთეული პროდუქცია. პროდუქციის შესყიდვა ხდება ყუთებით, თითოეულ მათგანი შეიცავს პროდუქციის 10 ერთეულს და ყუთის ფასი არის £ 200. ბუფერული მარაგი არის 250 ყუთი.

პროდუქციის ერთეულის შენახვის დანახარჯი (დაზღვევის, პროცენტისა და ფართობია დანახარჯის ჩათვლით) არის შესყიდვის ფასის 15%. შეკვეთ ბის გაცმის დანახარჯი უნდა დადგინდეს მონაცემებიდან, რომლის მიხედვითაც 30 შეკვეთის გაცემაზე დაიხარჯა £ 5.910. შეიძლება მიჩნეული იქნეს, რომ ეს დანახარჯი განაწილდა თანაბრად. ინფლაციის გასათვალისწინებლად ამ დანახარჯს უნდა დაემატოს 2%.

მოგეთხოვებათ:

გამოთვალოთ შეკვეთის მოცულობა, რომელიც მინიმუმამდე დაიყვანს მოცემული პროდუქციის დანახარჯს და განსაზღეროთ შეკვეთების გაცემის საჭირო სიხშირე. თუ ჩათვლით, რომ მათი მოხმარება თანაბარია წლის განმავლობაში. **(10 ქულა)**

3. ბეჭდვა

საგამომცემლო კომპანია პროფესიონალი მომხმარებლებისათვის ამზადებს 100.000 კატალოგს (თითოეულ კატალოგში არის 64 გვერდი, ანუ 32 ფურცელი)

საწარმოო საქმიანობა მოიცავს ოთხ საქმიანობას: ფოტოგრაფიას, გამართვას, ბეჭდვასა და აკინძვას. კატალოგის თითოეული გვერდი საჭიროებს ინდივიდუალურ ფოტოგრაფიის სეანსს. თითოეული სეანსი ღირს £1.50

წარმოების გამართვა საჭიროებს კატალოგის თითოეული გვერდისათვის ფირფიტის დამზადებას. თითოეული ფირფიტის დამზადებას სჭირდება 4 კაცსაათი, თითოეული მათგანი £7-ად და £35-ის ღირებულების მასალა. ზედნადები დანახარჯის შთანთქმა ხდება საათობრივი განაკვეთის მიხედვით, რომელიც £ 9.50-ის ტოლია.

ფურცლის ბეჭდვა ჯდება £12. მოსალოდნელია, რომ მასალის კარგვა იქნება გამოყენებული მასალის 2%. სხვა სახის საბეჭდი მასალა 500 კატალოგისთვის ღირს £7. 1.000 კატალოგის დაბეჭდვა ხდება ერთ მანქანასათში. ბაჭდვისას წარმოქმნილი შრომითი და ზედნადები დანახარჯი არის £ 62 მანქანასაათში.

აკინძვის დანახარჯის შთანთქმა ხდება მანქანასაათების მიხედვით. საათობრივი განაკვეთი არის £ 43 და 2.500 კატალოგის აკინძვა ხდება მანქანასაათში.

საერთო მოგება არის სარეალიზაციო ფასის 10%.

გამოვთვალოთ, რა ღირებულება უნდა დაარიცხოს საგამომცემლო კომპანიამ კატალოგის წარმოების შეკვეთაზე. **(10 ქულა)**

პრაქტიკული სამუშაო №2

ზედნადები დანახარჯების განაწილება და შთანთქმა

შემდგომი მონაცემები შეეხება 1-3 კითხვებს

ფირმა აწარმოებს სპეციალურ ნაკეთობებს, კლიენტის შეკვეთის შესაბამისად და იყენებს შეკვეთას დანახარჯის კალკულაციისათვის. პერიოდის მონაცემებია:

შეკვეთის ნომერი AA 10	*შეკვეთის ნომერი BB 15*	*შეკვეთის ნომერი CC 20*
£	£	£
საწყისი	დაუმთავრებელი	წარმოება
26,800	42790	0

პერიოდის განმაელობაში დამატებული მასალა

17,275	0	18,500
პერიოდის	შრომითი	დანახარჯი
14,500	3,500	24,600

პერიოდის საბიუჯეტო ზედნადები დანახარჯი იყო £126,000. ზედნადები დანახარჯის შთანთქმა ხდება შრომითი დანახარჯის მიხედვით.

1. ზედნადები დანახარჯის რა მოცულობა უნდა დაემატოს CC 20 შეკვეთას?

ა) £24,600 ბ) £ 65,157 გ) £ 72,761 დ) £ 126,000

2. BB 15 შეკვეთა დასრულდა პერიოდის განმაელობაში და ფირმის სურვილია, მისი რეალიზაციის შედეგად მიაღწიოს 33%-იან მოგებას.

როგორია BB 15 შეკვეთის სარეალიზაციო ფასი?

ა) £ 69,435 ბ) £ 70,804 გ) £ 75,521 დ) £ 84,963

3. რამდენი იყო პერიოდის ბოლოს დაუსრულებელი წარმოების მარაგის საბოლოო ღირებულება?

ა) £ 58,575 ბ) £ 101,675 გ) £ 147,965 დ) £ 217,32

თავი 5

კალკულაცია ზღვრული დანახარჯებით და დანახარჯთა სრული განაწილებით

დანახარჯთა სრული განაწილებით კალკულაციის დროს ხდება მუდმივი საწარმოო ზედნადები დანახარჯების მიკუთვნება დანახარჯთა ერთეულებზე. ამგვარად ხდება მარაგის სრულად შეფასება და მუდმივი საწარმოო ზედნადები დანახარჯები დაერიცხება მოგება-ზარალის ანგარიშს იმ პერიოდში, როცა ხდება ერთეულების რეალიზაცია.

ზღვრული დანახარჯებით კალკულაციის დროს მუდმივი საწარმოო ზედნადები დანახარჯები არ მიეკუთვნება დანახარჯთა ერთეულებს. მარაგის შეფასება ხდება ზღვრული ანუ ცვლადი ღირებულებით და მუდმივი საწარმოო ზედნადები დანახარჯები განიხილება, როგორც პერიოდის დანახარჯი და დაერიცხება მოგება-ზარალის ანგარიშს იმ პერიოდში, როცა ხდება დანახარჯების წარმოქმნა.

ზღვრული მოგება წარმოადგენს სხვაობას გაყიდვებიდან ამონაგებსა და გაყიდვების ცვლადდანახარჯიან თვითღირებულებას შორის.

ზღვრული დანახარჯებით კალკულაციის შემთხვევაში მარაგის შეფასება ხდება წარმოების ცვლადი დანახარჯებით ანუ ზღვრული დანახარჯებით და ზღვრული მოგება გამოითვლება შემდეგნაირად:

ზღვრული დანახარჯებით კალკულაცია	
გაყიდვებიდან ამონაგები	X
მინუს ცვლადი დანახარჯები	(X)
ზღვრული მოგება	X
მინუს მუდმივი დანახარჯები	(X)
მოგება	X

ბასს-2-ის მიხედვით, ფინანსური ანგარიშგების შესადგენად გამოყენებულ უნდა იქნეს კალკულაცია დანახარჯთა სრული განაწილებით. ამასთან, შიდა მენეჯერული ანგარიშებისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც სრული, ასევე ზღვრული მეთოდებიც. მიღებული არჩევანი იმოქმედებს როგორც მოგების შესახებ ინფორმაციაზე, ასევე გაანგარიშებულ მოგების დონეზე, თუ რეალიზაცია ზუსტად არ უტოლდება წარმოებას.

განვიხილოთ მაგალითი

კომპანია A აწარმოებს ერთი სახის პროდუქციას.

კომპანია A-ს ბიუჯეტი	$
გასაყიდი ფასი	10
ძირითადი მასალები	3
ძირითადი შრომის ანაზღაურება	2
ცვლადი ზედნადები დანახარჯები	1

მუდმივი ზედნადები დანახარჯები არის $10000 თვეში; წარმოების მოცულობა არის 5000 ერთეული თვეში. (ანუ 10000/5000=$2)

დავალება: გამოთვალეთ ერთეულის ღირებულება, რომელიც გამოიყენება მარაგის შეფასებისას:

ა. დანახარჯთა სრული განაწილებით კალკულაციის მიხედვით;

ბ. ზღვრულ დანახარჯთა კალკულაციით.

ამოხსნა:

(ა) ერთეულის თვითღირებულება დანახარჯთა სრული განაწილების მიხედვით

	$
ძირითადი მასალები	3
ძირითადი შრომის ანაზღაურება	2
ცვლადი ზედნადები დანახარჯები	1

შთანთქმული მუდმივი ზედნადები	
დანახარჯები (10000/5000)	2
ერთეულის თვითღირებულება	8

(ბ) ერთეულის თვითღირებულება ზღვრული დანახარჯების მიხედვით §

ძირითადი მასალები	3
ძირითადი შრომის ანაზღაურება	2
ცვლადი ზედნადები დანახარჯები	1
	6

მაგალითი

კომპანია A აწარმოებს ერთი სახის პროდუქციას.

კომპანია A -ს ბიუჯეტი	$
გასაყიდი ფასი	10
ძირითადი მასალები	3
ძირითადი შრომის ანაზღაურება	2
ცვლადი ზედნადები დანახარჯები	1

მუდმივი ზედნადები დანახარჯები არის $10000 თვეში; წარმოების მოცულობა არის 5000 ერთეული თვეში.

დავალება: მოამზადეთ მოგებისა და ზარალის ანგარიშგება ამ თვისათვის, თუ გაყიდვები იყო 4800 ერთეული და წარმოება 5000 ერთეული:
(ა) დანახარჯთა სრული განაწილებით კალკულაციის მიხედვით;
(ბ) ზღვრული დანახარჯებით კალკულაციის მიხედვით.

ამოხსნა:

(ა) მოგებისა და ზარალის ანგარიშგება დანახარჯთა სრული განაწილებით კალკულაციის მიხედვით;

	$	$
ამონაგები გაყიდვებიდან (4800X$10)		48000
გაყიდვების თვითღირებულება:		
მარაგის საწყისი ნაშთი	0	
წარმოება (5000X$8)	40000	
მარაგის საბოლოო ნაშთი (200X$8)	(1600)	
		(38400)
საოპერაციო მოგება		9600

(ბ) მოგებისა და ზარალის ანგარიშგება ზღვრული დანახარჯებით კალკულაციის მიხედვით;

	$	$
ამონაგები გაყიდვებიდან (4800X$10)		48000
გაყიდვების თვითღირებულება:		
მარაგის საწყისი ნაშთი	0	
წარმოება (5000X$6)		30000
მარაგის საბოლოო ნაშთი(200X$6)	(1200)	
		(28800)
ზღვრული მოგება		19200
მუდმივი ზედნადები დანახარჯები		10000
საოპერაციო მოგება		9200

მოგებებს შორის სხვაობა განპირობებულია მარაგის დონის ცვლილებით - 0-დან 200 ერთეულამდე.

მხოლოდ მარაგის მატების ან კლების შემთხვევაში დანახარჯთა სრული განაწილებით გამოთვლილი მოგება იქნება დანახარჯთა ზღვრული განაწილებით გამოთვლილი მოგებისგან განსხვავებული:

ა) თუ მარაგის დონე იზრდება, დანახარჯთა სრული განაწილებით გამოთვლილი მოგება მეტია დანახარჯთა ზღვრული განაწილებით გამოთვლილ მოგებაზე;

ბ) თუ მარაგის დონე მცირდება, დანახარჯთა სრული განაწილებით გამოთვლილი მოგება ნაკლებია დანახარჯთა ზღვრული განაწილებით გამოთვლილ მოგებაზე;

გ) თუ მარაგის დონე არ იცვლება, დანახარჯთა სრული განაწილებით გამოთვლილი მოგება ტოლია დანახარჯთა ზღვრული განაწილებით გამოთვლილი მოგებისა.

ზღვრული დანახარჯებით კალკულაციის უპირატესობანი:

ზღვრული დანახარჯებით კალკულაციის დროს, გათვალისწინებულია ერთეულის ცვლადი დანახარჯები და მთლიანი მუდმივი დანახარჯები, მაშინ, როდესაც დანახარჯთა სრული განაწილებით კალკულაციის დროს ხდება ყველა საწარმოო დანახარჯის გათვალისწინება. ამრიგად, ზღვრული დანახარჯებით კალკულაცია ასახავს დანახარჯების ქცევას საქმიანობასთან მიმართებაში, რადგან გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული უმეტესი პრობლემა მოიცავს საქმიანობის დონის ცვლილებას. ზღვრული დანახარჯებით კალკულაცია უფრო ხელსაყრელია მოკლევადიანი გადაწყვეტილებების მიღების დროს, ვიდრე კალკულაცია დანახარჯთა სრული განაწილებით.

დანახარჯთა სრული განაწილებით კალკულაციის უპირატესობანი:

დანახარჯთა სრული განაწილებით კალკულაციის უპირატესობებია:

მუდმივი დანახარჯები წარმოიქმნება საწარმოო ფუნქციის შიგნით და მათ გარეშე წარმოება ვერ იარსებებს. შესაბამისად ასეთი სახის დანახარჯები შეიძლება დავაკავშიროთ წარმოებასთან და შეტანილ უნდა იქნეს მარაგის ღირებულებაში

დანახარჯთა სრული განაწილებით კალკულაცია მიესადაგება აღრიცხვის შესაბამისობის პრინციპს იმაში, საწარმოო დანახარჯების ნაწილს „გადასცემს" საბოლოო მარაგს, რათა მოხდეს მათი აღრიცხვა გაყიდვის დროს.

ფინანსური ანგარიშგებისათვის აუცილებელია მუდმივი ზედნადები დანახარჯების შეტანა მარაგის ღირებულებაში. დანახარჯთა სრული განაწილებით კალკულაციის მეთოდის მიხედვით, წარმოქმნილი მარაგის ღირებულება შეიცავს „შთანთქმული" მუდმივი დანახარჯების ნაწილს.

დანახარჯთა სრული განაწილებით კალკულაციის საწინააღმდეგო არგუმენტად შეიძლება მოვიტანოთ ის ფაქტი, რომ მუდმივი დანახარჯი არ იცვლება საქმიანობის დონის ცვლილებასთან ერთად, ამიტომ ასეთი ხარჯები არ შეიძლება დაკავშირებულ იქნეს წარმოებასთან და არ უნდა იქნეს გათვალისწინებული მარაგის შეფასებისას. მუდმივი დანახარჯის მარაგის ღირებულებაში შეტანა ეწინააღმდეგება წინდახედულობის კონცეფციას, ამიტომ მუდმივი დანახარჯი უნდა ჩამოიწეროს იმ პერიოდში, როდესაც ისინი წარმოიქმნებიან.

თავი 6

დანახარჯი–მოცულობა–მოგების (CVP) ანალიზი

სამეურნეო საქმიანობისას ფირმის (ორგანიზაციის) მენეჯერების მიერ გამოყენებულ უნდა იქნას ცოდნა დანახარჯთა ქცევის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. **დანახარჯი-მოცულობა-მოგების ანალიზი** წარმოადგენს მეთოდს, რომელიც დანახარჯთა ქცევის თეორიის საფუძველზე განსაზღვრავს საქმიანობის იმ დონეს, რომლის დროსაც არ არსებობს არც მოგება და არც ზარალი (წაუგებლობის საქმიანობის დონე, ან სხვაგვარად უზარალობის წერტილი). ეს უკანასკნელი წარმოადგენს მნიშვნელოვანი მენეჯერულ ინფორმაციას, რადგან მენეჯერებმა უნდა იცოდნენ მინიმალური საქმიანობის დონის შესახებ, რომლის დროსაც ბიზნესი არ განიცდის ზარალს. ამ ანალიზით განისაზღვრება, თუ საქმიანობის დონის ცვლილება, როგორ ზეგავლენას ახდენს დანახარჯებსა და მოგებაზე, ამგვარად, მენეჯმენტს საშუალება ეძლევა, მიიღოს გადაწყვეტილება „საუკეთესო“ საქმიანობის დონის შესახებ.

თუ საქმიანობის დონე განსაკუთრებული იქნება და იწარმოება უფრო მეტი ან ნაკლები ერთეული, რომლებზეც გადანაწილებული იქნება მუდმივი დანახარჯები. თუ ერთეულზე მუდმივი დანახარჯი იცვლება, ასევე შეიცვლება ერთეულზე მოგება.,

დანახარჯი–მოცულობა–მოგების (CVP) ანალიზი ყოველთვის ეფუძნება **ერთეულზე ზღვრულ მოგებას** (რომელიც ყოველთვის განიხილება, როგორც მუდმივი სიდიდე, თუ შეკითხვაში სხვა არ არის ნათქვამი), და არასოდეს ეფუძნება ერთეულზე წმინდა მოგებას, რადგან ეს უკანასკნელი ყოველთვის იცვლება, როდესაც იწარმოება ოდნავ მეტი თუ ნაკლები ოდენობის ერთეულები.

დანახარჯი–მოცულობა–მოგების (CVP) ანალიზი შეიძლება გამოყენებულ იქნეს წაუგებლობის დადგენისათვის. **წაუგებლობა** წარმოადგენს იმ წერტილს, რომლის დროსაც რეალიზაციიდან ამონაგები მთლიანი დანახარჯის ტოლია, ანუ არ წარმოიქმნება არც მოგება და არც ზარალი. წმინდა მოგება ან ზარალი წარმოადგენს სხვაობას ზღვრულ მოგებასა და მუდმივ დანახარჯებს შორის. ამრიგად, წაუგებლობის წერტილზე, ზღვრული მოგება უდრის მუდმივ დანახარჯებს.

ერთეულზე ზღვრული მოგება შეიძლება განხილულ იქნეს მუდმივად, შესაფერისი შუალედის ნებისმიერი საქმიანობის მოცულობისათვის. მუდმივი დანახარჯი მთლიანობაში განიხილება უცვლელ სიდიდედ.

ამგვარად, შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი ურთიერთკავშირი:

ერთეულზე ზღვრული მოგება = ერთეულის სარეალიზაციო ფასი – ცვლადი დანახარჯი ერთეულზე;

მთლიანი ზღვრული მოგება = მოცულობაX ერთეულის ზღვრული მოგება (ერთეულის სარეალიზაციო ფასი – ცვლადი დანახარჯი ერთეულზე);

მიზნობრივი ზღვრული მოგება = მუდმივი დანახარჯები + მიზნობრივი წმინდა მოგება;

მიზნობრივი მოცულობა = მიზნობრივი ზღვრული მოგება / ზღვრული მოგება ერთეულზე.

წაუგებლობის ანალიზის გამოყენება აღწერილი იქნება მაგალითის მეშვეობით.

მაგალითი

კომპანია	**შპს W**
პროდუქცია	ნაკეთობა
სარეალიზაციო ფასი	$3 ერთეულზე
ცვლადი დანახარჯი	მასალა, $1 ერთეულზე
მუდმივი დანახარჯი	ქარხნის იჯარა, $500 წელიწადში

1. წელიწადში რა მოცულობის ნაკეთობა უნდა გავყიდოთ წაუგებლობის მისაღწევად?

მიზნობრივი მოცულობა=მიზნობრივი ზღვრული მოგება/ზღვრული მოგება ერთეულზე = ($500+$0)/($3–$1)=250 ნაკეთობა

როცა წლიური რეალიზაციის მოცულობა უდრის 250 ნაკეთობას, მაშინ **შპს W**-ს არ ექნება არც მოგება და არც ზარალი. ეს შეიძლება შემოწმდეს შემდეგნაირად:

	$
ამონაგები 250X$3	750
ცვლადი დანახარჯი 250X$1	250
	500
მუდმივი დანახარჯი	500
მოგება (ზარალი)	0

2. თუ იჯარა გაიზრდება 10%-ით და შპს W მიისწრაფვის წლიური $ 200-იანი მოგებისაკენ, მაშინ როგორი უნდა იყოს წლიური წარმოების მოცულობა?

მიზნობრივი მოცულობა = მიზნობრივი ზღვრული მოგება/ზღვრული მოგება ერთეულზე = ($500+$50+$200)/($3–$1)=375 ნაკეთობა.

3. თუ დავუშვებთ, რომ შპს Widgets-ის მაქსიმალური წლიური წარმოების მოცულობა არის 250 ერთეული, მაშინ რეალიზაციის როგორი ფასისათვის იქნება მიღწეული წმინდა მოგების მიზანი $ 200 (თუ მივიჩნევთ, რომ იჯარა გაიზარდა)?

მიზნობრივი ზღვრული მოგება = მუდმივი დანახარჯები + მიზნობრივი წმინდა მოგება = $500+$50+$200=$750

მთლიანი ზღვრული მოგება = მოცულობა X (ერთეულის სარეალიზაციო ფასი–ცვლადი დანახარჯი ერთეულზე)

750=250 X (სარეალიზაციო ფასი–1)

750=250 X სარეალიზაციო ფასი–250

1000=250 X სარეალიზაციო ფასი

აქედან, სარეალიზაციო ფასი უდრის $4-ს, რის შედეგადაც:

ამონაგები 250X$4	1000
ცვლადი დანახარჯი 250X$1	250
ზღვრული მოგება	750
მუდმივი დანახარჯი	550
წმინდა მოგება	200


ზღვრულ მოგებასა და მუდმიე დანახარჯებს შორის სხვაობა წარმოადგენს წმინდა მოგებას ან ზარალს სარეალიზაციო ფასისა და დანახარჯების ნებისმიერი ცვლილება ზეგავლენას ახდენს ერთეულის ზღვრულ მოგებაზე. მუდმივი დანახარჯებისა და სასურველი წმინდა მოგების ცვლილება ზეგაელენას მოახდენს მიზნობრივ ზღვრულ მოგებაზე.

თუ დაუშვებთ, რომ ორგანიზაცია (ფირმა) აწარმოებს სამი ან რამოდენიმე სახის პროდუქციას ვთქვათ A, B, და C თითოეული სახის პროდუქციის ერთეულის ზღვრული მოგება განსხვავებულია, მაშინ აზრს მოკლებულია მთლიანი მოცულობა შეეფასოთ ერთეულის მიხედვით, იმ შემთხვევაში თუ ცნობილია, რომ თითოეული სახის რეალიზებული პროდუქციის ფარდობითი პროპორცია უცვლელი დარჩება, ან თუ თითოეული სახის პროდუქციას ერთი და იგივე აქვს ზღვრული მოგების ამონაგებთან ფარდობის კოეფიციენტი, ასეთი გამოთვლები შეიძლება ჩატარდეს მთლიანი საქმიანობისათვის, სადაც წარმოება გამოსახული იქნება გაყიდვების ღირებულებით და არა მოცულობით, რაც გამოისახება შემდეგნაირად:

ზღვრული მოგების ამონაგებთან ფარდობის კოეფიციენტი = ზღვრული მოგება / ამონაგები


ასევე შეიძლება უზარალობის (წაუგებლობის) წერტილის გამოსახვა გრაფიკზე, სადაც გამოსახულია მთლიანი რეალიზაციისა და დანახარჯების ღირებულება.

ნახაზი 6.1. უზარალობის (წაუგებლობის) წერტილის გრაფიკი



მნიშვნელოვანია ასევე მოგება-მოცულობის გრაფიკის აგება, სადაც გამოსახული იქნება საქმიანობის დონის შესაბამისი მოგების ან ზარალის მაჩვენებელი (იხ. ნახაზი 6.2)


ნახაზი 6.2 მოგება მოცულობის გრაფიკი



მოცემული ნახაზიდან 6.2 ჩანს, რეალიზაციის ნებისმიერი დონის შესაბამისი წმინდა მოგების ან ზარალის მაჩვენებელი, რითაც განსხვავდება უზარალობის გრაფიკიდან, რომელზეც საქმიანობის არსებული შუალედისათვის გამოსახულია, როგორც დანახარჯები, ასევე შემოსაელები, მაგრამ პირდაპირ არ არის გამოკვეთილი სხვადასხვა დონის შესაბამისი მოგება ან ზარალი.

თუ საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სხვადასხვა დონეზე, ერთეულზე ცვლადი დანახარჯი ან მთლიანი მუდმივი დანახარჯი იცვლება, მაშინ საჭიროა გამოთვლილი იქნას მოგება (ან ზარალი) ყოველი წერტილისათვის, სადაც დანახარჯთა სტრუქტურა იცვლება. ამ შემთხვევაში მოგება-მოცულობის გრაფიკი შედგება ამ წერტილებზე

გამაჟალი წრფეების გარკვეული რაოდენობისაგან, რაც ასახულია მოცემულ გრაფიკზე (იხ. ნახაზი 6.3)



• გრაფიკის ძიხედვით ერთეულის ცვლადი დანახარჯი იზრდება საქმიანობის გარკვეული დონის შემდეგ (OA) ზენორმატიული მუშაობის დროს წარმოება (ან რეალიზაცია) აჭარბებს გარკვეულ დონეს. ამ დროს გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი ფაქტორები:

• რეალიზაციის დონეზე (OA) უნდა განისაზღვროს და დატანილი იქნას მოგების მაჩვენებელი (OP)

• შესაბამისად (OO) მოგება დატანილი იქნება (OB) რეალიზაციის დონისათვის

• ნულოვანი რეალიზაციისას წარმოქმნილი ზარალი შეიძლება აისახოს გრაფიკზე.

ამრიგად, თუ ერთეულზე ზღვრული მოგება მუდმივია და მუდმივი დანახარჯი არ იცვლება, შეიძლება აეაგოთ წრფივი ფორმის გრაფიკები, რათა აესახოთ მოგება ან დანახარჯი და შემოსავალი, საქმიანობის ყველა შესაძლო დონისათვის.

შედარებით რთულად არის საქმე, როდესაც იწარმოება ერთზე მეტი სახის პროდუქცია ანუ საქმე გვაქვს მრავალასორტმენტიან მოგება-მოცულობის გრაფიკის შექმნაზე.

მაგალითი:

	ამონაგები	ზღვრული მოგება
პროდუქტი - A	12000	4000
პროდუქტი - B	16000	9000
პროდუქტი - C	10000	4400

მთლიანი წლიური მუდმივი დანახარჯი არის 10000.

ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით არსებობს ორი სახის მიღებული მიდგომა:

ა) დავუშვათ, რომ პროდუქციის ასორტიმენტი მუდმივია;

ბ) დაუშვათ, რომ პროდუქციის გაყიდვა ხდება ზღვრული მოგების განაკვეთის სიდიდის თანმიმდევრობით.

ზღვრული მოგების განაკვეთი = $\frac{\text{ზღვრული მოგება}}{\text{მონაგები}}$ X 100

პროდუქტი	A	$\frac{4000}{12000}$	100 = 33.3%	მესამე
პროდუქტი	B	$\frac{9000}{1600}$	100 = 56.3 %	პირველი
პროდუქტი	ჩ	$\frac{4400}{10000}$	100 = 44 %	მეორე

პროდუქციის რეალიზაციისა და აკუმულირებული მოგების თანმიმდევრობა იქნება შემდგენაირად (ცხრილი 6.4):

ცხრილი 6.4

პროდუქციის დასახელება	მთლიანი ამონაგები	მთლიანი ზღვრული მოგება	მუდმივი დანახარჯები	მოგება (ზარალი)
პირველი პროდუქტი B	16000	9000	10000	(1000)
მეორე პროდუქტი C	10000 26000	4400 13400	10000	3400
მესამე პროდუქტი A	12000 38000	4000 17400	10000	7400

უზარალობის (წაუგებლობის) ანალიზი სასარგებლოა მანამ, სანამ ის აკმაყოფილებს ან უახლოვდება შემდეგ მოთხოვნებს:

- შესაძლებელია დანახარჯების დახარისხება ცვლად და მუდმივ ელემენტებად
- დროისა და საქმიანობის გარკვეული შუალედისათვის ერთეულზე ცვლადი დანახარჯი და მთლიანი მუდმივი დანახარჯი უცვლელი რჩება.
- ერთეულ პროდუქციაზე სარეალიზაციო ფასი არ იცვლება.

უსაფრთხოების შუალედი - წარმოადგენს სხვაობას გეგმიური ამონაგების მოცულობასა და უზარალობის ამონაგების მოცულობას შორის. ის განასახიერებს პროდუქციაზე მოთხოვნის ვარდნის უსაფრთხოებას და ხშირად გამოსახულია, როგორც გეგმიური ამონაგების პროცენტული მაჩვენებელი.

მაგალითი:

გეგმიური გაყიდვა - 100000 ერთეული, სარეალიზაციო ფასი – 10, ცვლადი დანახარჯი, ერთეულზე – 6, მუდმივი დანახარჯი წელიწადში - 220000.

უზარალობის (წაუგებლობის) მოცულობა შეიძლება გავიანგარიშოთ ასეთნაირად:

$$\frac{220000}{10-6} = 55000 \text{ ერთეული}$$

უსაფრთხოების შუალედი იქნება:
100000 – 55000 = 45000 ერთეული ან გეგმიური დაყალების 45%

უსაფრთხოების შუალედი წარმოადგენს სხვაობას გეგმური ამონაგების მოცულობასა და წაუგებლობის ამონაგების მოცულობას შორის. ის გამოსახავს პროდუქციაზე მოთხოვნის ვარდნის უსაფრთხოებას და ხშირად გამოსახულია, როგორც გეგმური ამონაგების პროცენტული მაჩვენებელი.

მაგალითი

გეგმური გაყიდვა	80000 ერთეული
სარეალიზაციო ფასი	$ 8
ცვლადი დანახარჯები	$ 4 ერთეულზე
მუდმივი დანახარჯები	$ 200000 წელიწადში

გამოთვალეთ წაუგებლობის მოცულობა და უსაფრთხოების შუალედი

ამოხსნა

წაუგებლობის მოცულობა=200000/(8–4)=50000 ერთეული
უსაფრთხოების შუალედი=80000–50000=30000 ერთეული ან გეგმის 37,5%

თავი 7

შემზღუდველი ფაქტორების ანალიზი

წარმოების სფეროში არ არსებობს უსასრულო რაოდენობის რესურსები, (დრო, ფული, ნედლეული, მუშახელი და ა. შ.) ე. ი. ნებისმიერ ბიზნესში ადგილი აქვს წარმოების ფაქტორების შეზღუდულობას. ამ სიტუაციას ეწოდება **წარმოების შემზღუდველი ფაქტორების არსებობა**, რაც ცხადია, აქვეითებს საწარმოო შესაძლებლობებს. ნებისმიერი მენეჯერი ვალდებულია გაითვალისწინოს ზემოთაღნიშნული ოპტიმალურად გამოიყენოს ყველა მის ხელთ არსებული რესურსი.

ეკონომიკაში სასრული, შეზღუდული რაოდენობით არსებული ნედლეული და მომსახურება განისაზღვრება, როგორც შეზღუდული რესურსი. წარმოებული პროდუქციის რაოდენობა დამოკიდებულია წარმოებაში არსებულ რესურსებზე, რომელთა შეზღუდულობის გამო ლიმიტირებულია პროდუქციის წარმოებაც. ასეთ პირობებში საჭიროა ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღება.

წარმოებაში არსებობს ბევრი და მრავალმხრივი მიზანი. მიუხედავად ამისა, გადაწყვეტილების მათემატიკურად შეფასებას აქვს ერთი მიზანი - მოგების მაქსიმიზაცია. გადაწყვეტილების მიღებამდე შეიძლება განხილულ იქნეს სხვა ფაქტორებიც, რაც წარმოადგენს მენეჯერული მართვის პროცესის ნაწილს, მაგრამ წარმოების მენეჯმენტის ძირითადი მიზანია **მოგების მაქსიმიზაცია.**

წრფივი პროგრამირება წარმოადგენს ოპერაციათა გამოკვლევის მეთოდს და მდგომარეობს შეზღუდული რესურსების ოპტიმალურად გამოყენების ორგანიზებაში. წრფივი პროგრამირების მეთოდის გამოყენებისას გამოსაკვლევ ფაქტორებს შორის უნდა არსებობდეს წრფივი დამოკიდებულება.

წრფივი პროგრამირების საფეხურები - გრაფიკული მეთოდი:

1. უნდა განისაზღვროს უცნობები (შემოვიტანოთ ცვლადები);
2. წარმოების ცვლადი სიდიდეების ლიმიტების (შეზღუდვების) განსაზღვრა;
3. მიზნის ფუნქციის (რომლი ოპტიმიზაციაც უნდა მოხდეს) განსაზღვრა;
4. შეზღუდვებისა და მიზნის ფუნქციის გრაფიკების აგება;
5. დასაშვებ მნიშვნელობათა არეში მიზნის ფუნქციის საშუალებით ოპტიმალური მნიშვნელობების პოვნა.

მაგალითი

X საწარმო უშვებს ერთი სახეობის პროდუქტს, რომლის ერთეულის დამზადებაზე იხარჯება 5 დოლარის ღირებულების ნედლეული და სამუშაო დროის 2 საათი. იმ შემთხვევაში, როდესაც წარმოების ყველა რესურსი მაქსიმალურად არის გამოყენებული, მაშინ როგორი იქნება წარმოებული პროდუქციის რაოდენობა, იმ დაშვებით, რომ ყოველკვირეულად საწარმოო დრო შეზღუდულია 80 სამუშაო საათით, ხოლო ნედლეულის ხარჯვა დასაშვებია 500 დოლარის ფარგლებში.

ამოხსნა

შეიძლება ითქვას, რომ ორივე რესურსი შეზღუდულია, ანუ საქმე გვაქვს შეზღუდული რესურსების პირობებში წარმოების პროცესთან. იმ შემთხვევაში, როდესაც წარმოებია მაქსიმალურად არის დატვირთული, გვექნება წარმოებული პროდუქციის შემდეგი რაოდენობა:

ნედლეული $500/5 =100 ერთეული,

სამუშაო დრო 80 საათი/2საათი = 40 ერთეული.

ამრიგად, სამუშაო საათების უკმარისობა არსებითი ფაქტორია, ხოლო ნედლეული არ იწვევს წარმოების შეზღუდვას. ამ ამოცანია პირობიდან გამომდინარე, ნედლეული არ წარმოადგენს შემზღუდველ ფაქტორს.

თუ წარმოების მიზანს წარმოადგენს მაქსიმალური მოგების მიღება, მაშინ განხილულ უნდა იქნეს მხოლოდ ის შემოსავლები და ხარჯები, რომელთა მნიშვნელობების ცვლილება დამოკიდებულია წრმოების პროცესში მიღებულ გადაწყვეტილებებზე. მუდმივი ხარჯები, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, შეიძლება უგულვებელვყოთ. ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ შემოსავლებსა და ცვლად ხარჯებზე. რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებიდან ცვლადი ხარჯების გამოკლებით მიიღება

ზღვრული მოგება. აქედან გამომდინარე, მაქსიმალური მოგების მისაღებად უნდა მოეახდინოთ ზღვრული მოგების მაქსიმიზაცია.

მაგალითი

X საწარმო უშვებს ორი სახეობის პროდუქტს, რომლის ერთეულის დამზადებაზე იხარჯება საერთო საწარმოო დრო ერთი და იგივე ნედლეული, მხოლოდ სხვადასხვა პროპორციით:

	პროდუქტი A	პროდუქტი B
სამუშაო საათები/ერთეული	3	4
ნედლეული/ერთეული	$20	$15

კვირის განმავლობაში სამუშაო დრო შეზღუდულია 600 საათით, ხოლო ნედლეულის ხარჯვა შესაძლებელია 6000 დოლარის ფარგლებში.

A პროდუქტის რეალიზაციით კომპანია იღებს 5 დოლარ ზღვრულ მოგებას, ხოლო B პროდუქტის ერთი ერთეულის რეალიზაციით – 6 დოლარ ზღვრულ მოგებას,

მოგეთხოვებათ, განსაზღვროთ, თუ რომელი პროდუქტის წარმოება მოუტანს კომპანია მაქსიმალურ მოგებას.

ამოხსნა

1. განსაზღვრეთ შეზღუდული რესურსი:

თითოეული რესურსი ზღუდავს წარმოებას შემდეგნაირად:

სამუშაო საათები 600/3 = 200 ერთეული A პროდუქტი ან
600/4 = 150 ერთეული B პროდუქტი

ნედლეული 6000/$20=300 ერთეული A პროდუქტი ან
6000/$15=400 ერთეული B პროდუქტი

ამრიგად, აქ დრო არის მთავარი შემზღუდველი ფაქტორი

2. განსაზღვრეთ, როგორი მოგება მიიღება რეალიზებული პროდუქტის ერთეულიდან წარმოების რესურსების ყოველ ერთეულზე:

A პროდუქტიდან მიღებული მოგება სამუშაო დროის 1 საათში $5/3=$1,66

B პროდუქტიდან მიღებული მოგება სამუშაო დროის 1 საათში $6/4=$1,5

ამრიგად, X საწარმო თავისი შემოსავლების მაქსიმიზაციას მოახდენს მაშინ, როდესაც აწარმოებს და ყიდის A პროდუქტს.

მთლიანი მოგება მაქსიმალურია მაშინ, როცა წარმოება კონცენტრირებულია იმ პროდუქტზე, საიდანაც შეზრუდული რესურსის ერთერთეულზე მიიღება უდიდესი ზღვრული მოგება.

მაგალითი

შპს აწარმოებს სამი სახეობის A, B, C პროდუქტს. მათ შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილში.

ცხრილი 7.1

	პროდუქტი A	პროდუქტი B	პროდუქტი C
მანქანა-საათების რაოდენობა ერთეული პროდუქტის დამზადებისათვის	10	12	14
პირდაპირი დანახარჯი ნედლეულზე. §	7	6	5
პირდაპირი ხელფასი (75 ც საათში)	9 (12სთ)	6 (8სთ)	3 (4სთ)
ცვლადი ზედნადები დანახარჯი	3	3	3
მთლიანი ცვლადი დანახარჯი	19	15	11
გასაყიდი ფასი	25	20	15
ზღვრული მოგება	6	5	4

განსახილველ პერიოდში მოთხოვნა ამ პროდუქტებზე შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული:

პროდუქტი A 4000
პროდუქტი B 6000
პროდუქტი C 6000

ნედლეულის მიწოდება მოცემულ პერიოდსი პრაქტიკულად შეუზღუდაეია, მანქანა-საათები შეზღუდულია 200000 საათით, ხოლო სამუშაო საათები – 50000 საათით.

დავალება: მოგეთხოვებათ, განსაზღეროთ წარმოების ის დონე, რომელზეც მოგება მაქსიმალურია და იპოეთ ზღერული მოგების მაქსიმალური მნიშენელობა.

ამოხსნა

1. წარმოების შემზღუდავი ფაქტორების განსაზღერა

	გაყიდვის შესაძლო რაოდენობა, ერთეული	მანქანა-საათების მთლიანი რაოდენობა, საათი	სამუშაო საათების მთლიანი რაოდენობა, საათი
პროდუქტი A	4000	40000	48000
პროდუქტი B	6000	72000	48000
პროდუქტი C	6000	84000	24000
სულ		196000	120000
საათების დასაშეები რაოდენობა		200000	50000

ამრიგად, წარმოების შემზღუდველ ფაქტორს წარმოადგენს კაც/საათი. შემდეგ საფეხურს წარმოადგენს კაც/საათზე ზღერული მოგების გამოთელა

პროდუქტი A $6/12 = 0.500
პროდუქტი B $5/8 = 0,625
პროდუქტი C $4/4 = 1,000

C პროდუქტი გამოიმუშავებს სამუშაო დროის ყოველ საათზე 1 დოლარ ზღერულ მოგებას, B პროდუქტი 0,625 დოლარ ზღერულ მოგებას, ხოლო A პროდუქტი 0.500 დოლარ ზღერულ მოგებას. ამრიგად, წარმოების დასწყისში საწარმოო ფაქტორები მიმართული უნდა იყოს C პროდუქტის საწარმოებლად, გაყიდეების მაქსიმალური დონის მიღწეეის შემდეგ B პროდუქტის საწარმოებლად და ბოლოს A პროდუქტის საწარმოებლად.

თავი 8

პროცენტისა და ინვესტიციების შეფასების გამოყენება სტრატეგიული მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში

8.1 ფულის დროითი ღირებულება

საიჯარო ურთიერთობებთან, ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ოპერაციების ასახვა საჭიროებს ფულის დროითი ღირებულების დადგენას. ეს ნიშნავს-ფულის ერთეული დღეს უფრო მეტი ღირს, ვიდრე მომავალში, რადგან ეს თანხა შეიძლება გამოყენებულ იქნეს დღეს შემოსავლების მისაღებად. ეს გამოხატულია საპროცენტო თანხით. საპროცენტო თანხა არის ის შემოსავალი, რომელსაც მიიღებთ ამ ფულის გამოყენებით.

ბუღალტრულ აღრიცხვაში განასხვავებენ ძირითად თანხას, რომელზეც დაირიცხება პროცენტი და თავად საპროცენტო თანხას. საპროცენტო თანხის სიდიდე დამოკიდებულია საპროცენტო განაკვეთზე, დროის პერიოდზე და აგრეთვე იმაზე, საპროცენტო განაკვეთი **მარტივია თუ რთული.**

როგორ განსაზღვროს მენეჯმენტმა, რამდენად გამართლებულია საწყისი ინვესტიცია? ფინანსური სფეროს საკვანძო საკითხის ანუ რამდენიმე ალტერნატიული საინვესტიციო პროექტიდან საუკეთოს ამორჩევის საკითხის გადაწყვეტა (როგორიცაა, მაგ. ახალი პროდუქციის გამოშვება, ახალი საწარმოო აღჭურვილობის კონსტრუირება და ა.შ.) ასეთ შემთხვევებში არსებითი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ინვესტიციის განხორციელების გადაწყვეტილება (საწყისი კაპიტალის ჩადების შესახებ) იმავედროულად უნდა იქნეს მიღებული, თანაც ჟურადსაღებია ის ფაქტი, რომ დაგეგმილი შემოსავლები (ან დახარჯები) მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ იჩენენ თავს.

ინვესტირებული ან ნასესხები ფული წარმოადგენს ანაბრის ან ვალის ძირითად თანხას და მას უწოდებენ პრინსიპალს.

ინვესტირებული ფული სარგებლის სახით გამოიმუშავებს პროცენტს, რომელსაც ინვესტორი იღებს და პირიქით, ნასესხებ ფულზე მსესხებელი იხდის პროცენტს.

მარტივი პროცენტის შემთხვევაში, წლის განმავლობაში პროცენტის სახით დარიცხული თანხა არ ემატება ძირითად კაპიტალს (**პრინსიპალს**).

მარტივი საპროცენტო განაკვეთი ეწოდება ისეთ საპროცენტო განაკვეთს, როცა პროცენტი ერიცხება ძირითად თანხას.

მარტივი საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში პროცენტის სახით დაგროვილი თანხის გამოსათვლელად გამოიყენება შემდეგი ფორმულა:

$$I = PN * R$$

სადაც P - არის ძირითადი თანხა (პრინსიპალი)

N -პროცენტის დარიცხვის ვადა,

R - არის საპროცენტო განაკვეთები მეასედებში (მაგ. 10% ანუ 0,1)

I - არის ვადის განმავლობაში პროცენტის სახით დაგროვილი თანხა.

მაგალითი. 5.000 ლარიან საბანკო ანაბარს ყოველწლიურად ერიცხება 20%. რა თანხა იქნება ანაბარზე 3 წლის შემდეგ?

$$S = 5000*(1+3*0,2)=8.000.$$

რთული საპროცენტო განაკვეთი ეწოდება ისეთ საპროცენტო განაკვეთს, როდესაც პროცენტი ერიცხება არა მარტო ძირითად თანხას, არამედ წინა პერიოდებში პროცენტების სახით დაგროვილ დარიცხულ თანხასაც.

მთლიანად დაგროვილი თანხა გამოითვლება ფორმულით:

$$S = P(1 + R)^N$$

მაგალითი. 5.000 ლარიან საბანკო ანაბარს ყოველწლიურად ერიცხება 20%. რა თანხა იქნება ანაბარზე 3 წლის შემდეგ?

$$S = 5000(1 + 0,2)^3 = 8640$$

გეჭირდება როგორც დღეანდელი ფულის მომავალი ღირებულების განსაზღვრა, ასევე მომავალი ღირებულების შეფასება დღეანდელი ღირებულებით.

8.2 დროითი ღირებულების გაანგარიშების ასპექტები

ფულადი ნაკადების მომავალ და მიმდინარე ღირებულებას საფუძვლად უდევს რთული პროცენტის დარიცხვა.

განვიხილოთ თითოეული მათგანი:

ა) დღევანდელი ლარის მომავალი ღირებულებისა და მომავალი პერიოდის ნებისმიერი მომენტის ლარის მიმდინარე ღირებულების გამოსათვლელად შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა ხერხი, კერძოდ იგი შეიძლება გამოითვალოს:

1) თანამიმდევრობით, ძირითადი თანხის, საპროცენტო განაკვეთისა და პერიოდების რაოდენობის საფუძველზე;

2) არითმეტიკული ფორმულის გამოყენებით;

3) ერთი ლარის მიმდინარე და მომავალი ღირებულების მნიშვნელობის ცხრილების გამოყენებით და

4) სპეციალური კალკულატორისა და კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით.

მომავალი და მიმდინარე ღირებულების დადგენის გამარტივების მიზნით, გაანგარიშება ხდება არა მთელ თანხაზე, არამედ ერთ ლარზე და შედეგი მრავლდება მოცემულ თანხაზე. ამ მიდგომით გამოთვლილ მომავალ ღირებულებას ერთეულის მომავალი ღირებულება ეწოდება და აღინიშნება ინგლისური სახელწოდების (future value of 1) აბრევიატურით VI. ერთი ლარის მომავალი ღირებულება n პერიოდის შემდეგი საპროცენტო განაკვეთის პირობებში იწერება შემდეგნაირად (FVI, I, n) და გამოითვლება ფორმულით:

$$FVI=(1+I)^n$$

მაგალითი

საწარმომ კრედიტით შეიძინა 20.000 ლარად ღირებული დანადგარი და ივალდებულა მისი ღირებულების ერთნაირად გადახდა 5 წლის შემდეგ 12%-იანი განაკვეთით რა თანხის გადახდა მოუწევს საწარმოს, თუ პროცენტის დარიცხვა მოხდება:

1. წლიურად;

2. ნახევარწლიურად;

3. კვარტალურად. პროცენტის წლიურად დარიცხვისას გადასახდელი თანხა იქნება 20.000X(FVI 12%, 5), ანუ 20.000 x $(1+0,12)^5$ ანუ 20.000X1,76234=35246,80 ლარი.

პროცენტის ნახევარწლიურად დარიცხვისათვის უნდა განახვერდეს წლიური საპროცენტო განაკვეთი და გაორმაგდეს წლიური პერიოდი. შესაბამისად, გაანგარიშებას შემდეგი სახე ექნება:

FVI=$(1+0,06)^{10}$=1.06^{10}=1.79085

20.000X(FVI,6%,10)=35.817 ე. ი. პროცენტის ნახევარწლიურად დარიცხვისას გადახდილი თანხა იქნება 35.817 ლარი.

პროცენტის კვარტალურად დარიცხვის დროს წლიური საპროცენტო განაკვეთი იყოფა ოთხზე, ხოლო წლიური პერიოდი მრავლდება ოთხზე შესაბამისად, ერთეულის მომავალი ღირებულება იქნება $(1+0,03)^{20}$=1.80611, ხოლო გადასახდელი თანხა კი – 20.000X1.80611=36.122,20 ლარი

ა) მიმდინარე ღირებულება

მომავალი ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულების განსაზღვრას დისკონტირება ეწოდება. გამოითვლება რთული საპროცენტო განაკვეთის ფორმულის საშუალებით.

$$p = \frac{S}{(1+R)^N}$$

ნებისმიერი სამომავლო თანხის მიმდინარე ღირებულების გამოსათვლელად, ამ თანხას აკლდება შესაბამისი პერიოდისათვის რთული პროცენტით დარიცხული თანხა. მომავალი პერიოდის თანხის მიმდინარე ღირებულების მისაღებად რთული პროცენტით დარიცხული თანხის გამოთვლასა და გამოკლებას სხვანაირად დისკონტირებას უწოდებენ. დისკონტირებით მიღებულ თანხას კი – დისკონტირებულ ღირებულე-

ბას. ეს განაპირობებს მიმდინარე ღირებულების სინონიმად ხშირად „დისკონტირებული ღირებულების“ ტერმინის გამოყენებას.

მიმდინარე ღირებულების გამოთვლა მომავალი ღირებულების გამოთვლის შებრუნებული პროცედურაა, ამიტომ დისკონტირება წააგავს რთული პროცენტის გამოთვლას, იმ განსხვავებით, რომ დისკონტირება წარმოადგენს უკუპროცესს.

მაგალითი

განვსაზღვროთ, რა თანხა არის საჭირო დეპოზიტზე შესატანად 5%-იანი წლიური რთული საპროცენტო განაკვეთით, რომ მივიღოთ 2.500 ლარი:

1. ერთი წლის შემდეგ;

2. ორი წლის შემდეგ.

დეპოზიტზე განთავსებული თანხა აღვნიშნოთ x-ით. თუ გამოვიყენებთ მომავალი ღირებულების გამოთვლის მეთოდს, მაშინ ერთწლიანი დეპოზიტისათვის გვექნება: 2.500= x (1+0,05), საიდანაც X =2.500/1,05=2380,95

ანალოგიურად, ორწლიანი დეპოზიტისათვის 2.500 ლარის მიმდინარე ღირებულება იქნება: $2.500=X(1+0,05)^2$

2.500=1.1025X

X=2500/1.1025=2.267,57, როგორც გაანგარიშებიდან ჩანს, წლიური 5%-იანი დეპოზიტიდან 2.500 ლარის მისაღებად საჭიროა ერთწლიანი ვადით დეპოზიტზე განთავსდეს 2.380,95 ლარი, ხოლო ორწლიანი ვადით – 2.267,57 ლარი.

მომავალი ღირებულების გამოთვლის მსგავსად, პრაქტიკაში გამოიყენება **ერთეულის მიმდინარე ღირებულება**. იგი აღინიშნება შემდეგნაირად: (PV1,i,n). PV1 არის ერთეულის მიმდინარე ღირებულების ინგლისური სახელწოდების (present value of 1) აბრევიატურა. ერთი ლარის მიმდინარე ღირებულება (PVI) ი საპროცენტო განაკვეთით (მას დისკონტირების განაკვეთსაც უწოდებენ), n პერიოდის შემდეგ გამოითვლება ფორმულით.

$$PVI = \frac{1}{(1+r)^n}$$

მაგალითი

რა თანხის ინვესტირება არის საჭირო დღეს, რომ მივიღოთ:

1.1.000 ლარი ერთი წლის შემდეგ, 10% დისკონტირების განაკვეთისას;

2. 2.000 ლარი ორი წლის შემდეგ, 8% დისკონტირების განაკვეთისას;

3. 10.000 ლარი ხუთი წლის შემდეგ, 6% დისკონტირების განაკვეთისას.

ამოხსნა

1) 1.000PVI=1.000x1/1,10=909,09

(დღევანდელი 909.09 ლარი ტოლფასია ერთი წლის შემდეგ მისაღები 1.000 ლარის ხოლო წლის განმავლობაში პროცენტის სახით დარიცხული თანხა – 90.91 ლარის).

2) 2.000 PVI=2.000x1/$(1,08)^2$=1.714,68

3) 10.000 PVI=10.000x1/$(1,06)^5$=5583,90

გ) ანუიტეტი

მომავალი და მიმდინარე ღირებულების პრინციპი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს როგორც ძირითადი თანხის ერთჯერადად ინვესტირების დროს, ისე რამდენიმე ძირითადი თანხის მიმართ, რომლებიც ინვესტირებული (ამოღებული) იქნება რამდენიმე პერიოდში თანაბარი ოდენობით და რომელთაც დაერიცხება რთული პროცენტი. პერიოდის თანაბარ ინტერვალში ინვესტირებულ (მიღებულ) ერთნაირ თანხებს **ანუიტეტი** ეწოდება.

ანუიტეტი შეიძლება გადახდილი იყოს რიგითი პერიოდის ბოლოს ან პერიოდის დასაწყისში. აქედან გამომდინარე, ანუიტეტები იყოფა ორ ჯგუფად. თუ ანუიტეტის გადახდა ხდება რიგირთი პერიოდის ბოლოს, იგი განიხილება ჩვეულებრივ ანუიტეტად. ხოლო, თუ ანუიტეტის გადახდა ხდება რიგირთი პერიოდის დასაწყისში მას უწოდებენ წინასწარ ანუიტეტს.

ჩვეულებრივი ანუიტეტის მომავალი ღირებულება წარმოადგენს თანაბარი ინტერვალის მქონე პერიოდში (n) თანაბარი ფულადი თანხის რამოდენიმე შემოსელის ან გადახდის მომავალ ღირებულებას, რომელიც გამოანგარიშებულია რთული პროცენტის (i) დარიცხვით. იგი აღინიშნება შემდეგნაირად (FVA, I, n).

ფულის ერთეულზე ჩვეულებრივი ანუიტეტის მომავალი ღირებულება იანგარიშება ფორმულით

$$FVA = \frac{(1+i)^n - 1}{i}$$

მაგალითი

საწარმომ კრედიტით შეიძინა სატრანსპორტო საშუალება და ვალდებულება აიღო მისი ღირებულება გადაიხადოს 3 წლის განმავლობაში. გარიგების შესაბამისად, საწარმო ყოველწლიურად გადაიხდის 2.000 ლარს. 10%-იანი განაკვეთით, საწარმოს მიერ 3 წლის განმავლობაში გადასახდელი თანხა ანუ 2.000 ლარი ანუიტეტის მომავალი ღირებულება იქნება 6.620 ლარი.

2.000 FVA=2.000X (1,1³-1)/0,1=2.000X3,31=6.620

ჩვეულებრივი ანუიტეტის მიმდინარე ღირებულება წარმოადგენს მომავალ, რამდენიმე პერიოდში ანუიტეტებით განსახორციელებელი გადასახდელების დღევანდელ ეკვივალენტურ ფულად თანხას. ანუიტეტების გადახდა ხდება თანაბარი ინტერვალის მქონე დროში (n) და თანაბარი ოდენობის თანხით უცვლელი რთული საპროცენტო (i) განაკვეთით. ანიუტეტის მიმდინარე ღირებულება აღინიშნება შემდეგნაირად (PV/i,n). იგი გამოითვლება ფორმულით

$$PVA = \frac{1 - \frac{1}{(1+i)^n}}{i}$$

მაგალითი

სამი წლის განმავლობაში ყოველწლიურად ხდება 500 ლარის გადახდა, დისკონტირების 10%-იანი განაკვეთით. ვიპოეოთ მთელი პერიოდის განმავლობაში დაგროვილი თანხის დისკონტირებული ღირებულება. PVA ფორმულის გამოყენებით ერთეულის დისკონტირების კოეფიციენტი იქნება 2.48685 შესაბამისად, ყოველწლიურად 500 ლარის გადახდით დაგროვილი თანხის მიმდინარე ღირებულება იქნება 1.2443,43 (500X2,48685) ლარი.

წინასწარი ანუიტეტის პრინციპიდან გამომდინარე, მისი მიმდინარე და მომავალი ღირებულება განსხვავება ჩვეულებრივი ანუიტეტის შესაბამისი ღირებულებისაგან.

წინასწარი ანუიტეტის მომავალი და მიმდინარე ღირებულებები ფულის ერთეულზე გამოიანგარიშება ფორმულით:

ა) წინასწარი ანუიტეტის მომავალი ღირებულება (FVAD, I, n)

$$FVA = \frac{(1+i)^n - 1}{i} \times (1+n)$$

წინასწარი ანუიტეტის მიმდინარე ღირებულება (PVAD, I, n)

$$PVA = \frac{1 - \frac{1}{(1+i)^n - 1}}{i}$$

ამრიგად, მომავალი და მიმდინარე ღირებულებების გამოთვლის გასამარტივებლად პრაქტიკაში მიმართავენ ერთეული ფულის ღირებულებების ცხრილებს, სადაც მოცემულია მიმდინარე და მომავალი ღირებულებების გამოსათვლელი კოეფიციენტები (იხ. დისკონტირების ცხრილი დანართი).

8.3 საინვესტიციო პროექტის ეფექტიანობის შეფასება

კონკრეტული გარემოს არსებობისას, აგრეთვე საინვესტიციო პროექტების ეფექტიანობის განსაზღვრის მიზნით აუცილებელია გაანალიზდეს შესაძლო შემოსავლების და დანახარჯების, კაპიტალური დაბანდებების სტრუქტურა, პროდუქციის ან მომსახურების გასაღების პოტენციური ბაზრები, პროექტების განხორციელების ვადები და მათი სიცოცხლისუნარიანობა სხვა პროექტებთან შედარებით.

ამ ამოცანების გადასაწყვეტად ინვესტორების მიერ წინასაინვესტიციო კვლევების სტადიაზე, შეიძლება შეიქმნას სპეციალური განყოფილებები, რომლებშიც გაერთიანებულნი იქნებიან:

ა) ექსპერტები, რომლებიც შეაფასებენ პროექტის იდეას და კაპიტალის დაბანდების ეკონომიკურ მიზანშეწონილობას;

ბ) მწარმოებლები, რომლებიც შეაფასებენ პროდუქციის გამოშვების ან მომსახურების გაწევის შესაძლებლობებს არსებული ან შესაძლო ტექნიკის და ტექნოლოგიის მეშვეობით;

გ) მარკეტინგის სპეციალისტები, რომლებიც განსაზღვრავენ შესაძლო ბაზრებს და ფასობრივ პოლიტიკის რეალიზაციისას;

დ) ფინანსისტები, რომლებიც შეაფასებენ პროექტის განხორციელების შესაძლებლობას საკუთარი ან ნასესხები საშუალებების მეშვეობით.

ანალიზის მთელი პერიოდის განმავლობაში, რომლის მიზანია საინვესტიციო პროექტის განხორციელების ეკონომიკური მიზანშეწონილობის შეფასება, ინვესტორი სპეციალისტთა ჯგუფთან თათბირობს, რათა შემუშავდეს პროექტის კონცეფცია და საჭიროების შემთხვევაში გარე ექსპერტ-კონსულტანტებს იწვევს. პროექტის სიცოცხლისუნარიანობის შესაფასებლად ადარებენ პროექტის ვარიანტებს ისეთი მაჩვენებლების მიხედვით, როგორიცაა ღირებულება, განხორციელების ვადები და ანაზღაურების პერიოდი. მიღებულმა შეფასებამ უნდა დაარწმუნოს ინვესტორი, რომ გამოსაშვები პროდუქციაზე იქნება სტაბილური მოთხოვნა, რომელიც აუცილებელია არა მარტო დანახარჯების დასაფარად, არამედ ჩადებულ კაპიტალზე მოგების განსაზღვრული ნორმის მისაღებადაც. ამასთანავე პროექტის განხორციელების პერიოდი არ უნდა აჭარბებდეს გამოსაშვები პროდუქციის ან მომსახურების სასიცოცხლო ციკლს.

პროექტის სიცოცხლისუნარიანობის შეფასების კვლევები ხორციელდება ორ ტიპად:

1) პროექტის ალტერნატიული ვარიანტებიდან უნდა შეირჩეს ყველაზე უფრო სიცოცხლისუნარიანი. ამ დროს შეფასდება საინვესტიციო და საოპერაციო საქმიანობის მაჩვენებლები, აგრეთვე გაანგარიშდება მოსალოდნელი რენტაბელობის, ბრუნვადობის, ფინანსური მდგრადობის, ლიკვიდურობის და ა.შ კოეფიციენტები;

2) პროექტის არჩეული ვარიანტისათვის შეირჩევა დაფინანსების მეთოდები და ინვესტიციების სტრუქტურა, რომლებიც უზრუნველყოფენ პროექტის მაქსიმალურ სიცოცხლისუნარიანობას.

საინვესტიციო პროექტის მიღების წარმატება ძირითადად დამოკიდებულია იმაზე თუ როგორ აკმაყოფილებს ის უცხოელი ინვესტორის მოთხოვნებს, რომელიც შეიძლება განსხვავდებოდეს საყოველთაოდ მიღებული მოთხოვნილებებისაგან.საინვესტიციო პროექტის ბიზნეს - იდეის ფორმულირების შემდეგ დგება საკითხი თუ რამდენად შეუძლია საწარმოს ამ იდეის განხორციელება. ამისათვის აუცილებელია გაანალიზდეს ეკონომიკის იმ დარგის მდგომარეობა, რომელსაც ეს საწარმო ეკუთვნის და მისი ადგილი საეროდ ამ დარგში. მოცემული ანალიზი შეადგენს საინვესტიციო პროექტის წინასწარი დამუშავების და ანალიზის სტადიის შინაარსს.

საინვესტიციო პროექტის საფინანსო შეფასებისათვის, არსებობს ორი ძირითადი მიდგომა: კაპიტალური და ეკონომიკური.

საწარმოს კაპიტალური მიდგომა ეყრდნობა ორ ცნებას „ლიკვიდურობას" და „შემოსავლიანობას".

„ლიკვიდურობის" ცნება პასუხს აძლევს, თუ რამდენად სწრაფად იქნება გამოსყიდული დაბანდებები, ხოლო „შემოსავლიანობა" კი როგორი შემოსავალი იქნება მიღებული კაპიტალური დაბანდებიდან.

ეკონომიკური საფინანსო მიდგომა იძლევა საფინანსო წარმატების განსაზღვრას და იგი ეხება აქციონერების კეთილდღეობის მაქსიმიზაციის და რისკების საკითხების განხილვას.

ამ შემთხვევაში კაპიტალური დაბანდებების ანალიზში მონაწილეობს ფულადი ღირებულების დროის ასპექტი, როგორც სამომავლო დანახარჯების განსაზღვრის საშუალება.

რაც უფრო მაღალია საინვესტიციო რისკი, მით უფრო მეტი მოგება სჭირდება ინვესტორს ალბათობის კომპენსირებისათვის.

საინვესტიციო პროექტის შეფასების სიძნელე ძირითადად წარმოიქმნება იმის გამო, რომ ფულადი სახსრები „გაედინება" და „შემოედინება" პროექტის რეალიზაციის სხვადასხვა დროს. **ცნობილია რომ ფულადი სახსრები დღეს უფრო ძვირია იგივე ნომინალური ღირებულების თანსახმა ვიდრე გარკვეული დროის შემდეგ.** ამიტომ არაკორექტიულია დღევანდელი სახსრების შედარება მომავალში მიღებულ სახსრებთან. საჭიროა მექანიზმი, რომელიც მოგვცემს საშუალებას გამოვსახით ფულადი სახსრების ნაკადის ღირებულება დროის ერთ კონკრეტულ მომენტში. ასეთ მომენტად უპირატესად ირჩევენ საწყის ანუ „0" პერიოდს.

ამ შემთხვევაში ყოველი მომავალი ფულადი ნაკადი განიცდის ტრანსფორმირებას იმგვარად, რომ მივიღოთ მისი „დაყუანილი ღირებულება" **(present value)** ანუ მისი ღირებულება „0" პერიოდისათვის. ამისათვის იყენებენ ეგრეთწოდებულ დისკონტირების ფაქტორს

მსოფლიო პრაქტიკაში მიღებული **ეფექტური მენეჯმენტის** – მმართველობითი საქმიანობის მთავარი შედეგების **შეფასების** ძირითადი **კრიტერიუმებად** გვეელინება:

ა) ჭკვდითუნარიანობა – ორგანიზაციის მიზნების მიღწევის ხარისხი (დასახული და მიღწეული რეზულტატების თანაფარდობა);

ბ) ეკონომიურობა – საჭირო რესურსებისა და რეალური დანახარჯების თანაფარდობა;

გ) ხარისხი – პროდუქციის (მომსახურების) მახასიათებლების შესაბამისობა მომხმარებლის მოთხოვნებთან;

დ) მომგებიანობა – შემოსაელებისა და დანახარჯების თანაფარდობა;

ე) პროდუქტიულობა – გარკეეულ პერიოდში წარმოებული პროდუქციის (მომსახურების) მოცულობის (ნატურალური, ღირებულებითი და სხვა მახასიათებ-ლები) თანაფარდობა აღნიშნული მოცულობის შესაბამისი რესურსების დანა-ხარჯებთან (შრომითი, მატერიალური, ფინანსური და სხვა);

ვ) შრომის ხარისხი – თანამშრომელთა მუშაობის პირობები;

ზ) ინოვაციური აქტიურობა – ორგანიზაციის საქმიანობის სხვადასხვა სფეროებში სიახლეების დანერგვის რეზულტატურობა.

საინვესტიციო პროექტის საფინანსო შეფასებისათვის

უკუგების შიდა განაკეეთი ისეთი განაკეეთია, რომელიც წმინდა დისკონტირებულ ღირებულებას ნულამდე უკეთებს დისკონტირებას.

$$IRR = A + \frac{N_A(B-A)}{N_A - N_B}$$

სადაც A-არის დაბალი საპროცენტო განაკეეთი, B - მაღალი საპროცენტო განაკეეთი, N_A- წმინდა დისკონტირებული ღირებულება დაბალი განაკეეთით, N_B- წმინდა დისკონტირებული ღირებულება მაღალი განაკეეთისას.

ვთქვათ პროექტის წმინდა დისკონტირებული ღირებულება 10%-იანი განაკეეთის პირობებში არის 800. ხოლო 15% განაკეეთის პირობებში არის 400.

$$IRR = 10 + \frac{800(15-10)}{800-400} = 20\%$$

IRR-ის გარდა, აუცილებელია გამოვთვალოთ წმინდა მიმდინარე ღირებულება NPV-ს მნიშვნელობა დისკონტირების სხვადასხვა განაკეეთებისას. ე. ი. უნდა განისაზღვროს ის საპროცენტო განაკეეთი, რომელზედაც პროექტი არც მომგებიანი იქნება და არც ზარალიანი.

ფულადი ნაკადების შემცველი პროექტების შესაფასებლად აუცილებელია განისაზღვროს გასული და შემოსული ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებები. თუ გასულ ფულად ნაკადებს ავიღებთ უარყოფითი ნიშნით, ხოლო შემოსულ ფულად ნაკადებს – დადებითი ნიშნით, წმინდა მიმდინარე ღირებულება NPV იქნება ყველა ფულადი ნაკადის ჯამი.

რას ნიშნავს წმინდა მიმდინარე ღირებულება? ვთქვათ, ერთი და იგივე ფულადი ნაკადისათვის წმინდა მიმდინარე ღირებულება დისკონტის 12%-იანი განაკეეთისათვის არის – 95 დოლარი, ხოლო 8%-იანი განაკეეთისათვის +108 დოლარი. ამ ფაქტის ახსნა მდგომარეობს შემდეგში:

ეთქვათ, სესხი 12%-იანი განაკვეთით რომ ყოფილიყო აღებული, საპროგნოზო ეარაუდი იქნება, რომ ინვესტორი დაკარგავს 95 დოლარს.

ვთქვათ, სესხი 8%-იანი განაკვეთით რომ ყოფილიყო აღებული, საპროგნოზო ეარაუდი იქნება, რომ ინვესტორი გამოიმუშავებს დამატებით 108 დოლარს.

ინვესტიციების შეფასებისათვის NPV წარმოადგენს განსაკუთრებულ მეთოდს შემდეგი მოსაზრებებიდან გამომდინარე:

1. იგი ითვალისწინებს ინვესტიციის მოსალოდნელი ფინანსური სარგებლის (ფულადი ნაკადის) და ხარჯების შეფასებას;

2. განსაზღვრავს ინვესტიციის არსებით ხარჯებსა და სარგებელს, შესაბამისად წარმოადგენს ხარჯებისა და სარგებლის შეფასების ობიექტურ საზომს – მოგების ანგარიშგებაზე დაფუძნებული მეთოდისაგან განსხვავებით;

3. განიხილავს ფულად ნაკადებს საინვესტიციო პროექტის მთელი სასიცოცხლო ციკლის მანძილზე, შეფასების უკუგების მეთოდისაგან განსხვავებით;

4. ითვალისწინებს ფულის დროებით ღირებულებას.

თუ უკუგების შიდა განაკვეთი მეტია საბანკო საპროცენტო განაკვეთზე, მაშინ პროექტი მისაღებია.

თუ პროექტის წმინდა მიმდინარე ღირებულება (NPV) დადებითი სიდიდეა მაშინ პროექტი მისაღებია.

მაგალითი. რა თანხა უნდა განათავსოს საწარმომ საბანკო დეპოზიტზე წლიური 20%-იანი საპროცენტო განაკვეთით, რომ მიიღოს 5.000ლარი 3 წლის შემდეგ?

$$P = 5.000/(1+0,2)3=2893,5$$

წმინდა დისკონტირებული ღირებულება ეწოდება პროექტის ეკონომიკურ ღირებულებას, რომელიც გამოითვლება პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში მისაღები შემოსავლებისათვის ამავე პერიოდში გასაწევი ხარჯების გამოკლებით.

გასაწევი ხარჯები აიღება უარყოფითი ნიშნით, ხოლო დადებითი ნიშნით - მისაღები შემოსავლები.

მოცემული ორი ვარიანტიდან განვსაზღვროთ რომელ პროექტს შეირჩევს კომპანია თუ წლიური საპროცენტო განაკვეთია 15%, I პროექტით ყიდულობს 50.000 ლარის მოწყობილობას, ხოლო II პროექტით ყიდულობს 48.000 ლარის მოწყობილობას

ცხრილი 8. 3. 1

წლები	№1	№2
კაპიტალური დანახარჯები	50.000	48.000
შემოსავლების სახით წლების მიხედვით მოელის	20.000	21.000
	15.000	19.000
	14.000	17.000
	10.000	15.000
	7.000	9.000
	ზარალიანია	მომგებიანია

გამოვთვალოთ პროექტის წმინდა დისკონტირებული ღირებულება (NPV Net present value).

I პროექტი

წმინდა დისკონტირებული ღირებულება =

-50.000+(20.000*0,870)+(15.000*0,756)+(14.000*0,658)+(10.000*0,572)+(7.000*0,497)=

-50.000+47.152=-2.942.

II პროექტი

–48.000+(21.000+0,870)+(19.000*0,756)+(17.000*0,658)+(15.000*0,57)+(9.000*0,497)=

= - 48.000+56.873=8.873.

თუ პროექტის წმინდა დისკონტირებული ღირებულება უარყოფითი სიდიდეა, პროექტი ზარალიანია, თუ პროექტის წმინდა დისკონტირებული ღირებულება დადებითი სიდიდეა - პროექტი მომგებიანია.

ფულადი ნაკადების დისკონტირებისას მხედველობაში მიიღება მათი დროითი ღირებულება. დისკონტირების პროცესში მომავალი ფულადი ნაკადების ღირებულება დაიყვანება ახლანდელ ღირებულებაზე, რაც თავისთავად ნიშნავს შემდეგს: რა ღირს დღეს ის თანხა, რომელსაც მიეიღებთ მომავალში?

ორი საინვესტიციო პროექტის შედარების უმარტივეს მეთოდს წარმოადგენს მათი ფულადი ნაკადების შედარება. უპირატესობა მიენიჭება იმ პროექტს, რომელსაც გააჩნია უფრო დიდი წმინდა ფულადი ნაკადი (ყველა ამონაგებისა და ხარჯის გათვალისწინებით). თუმცა ეს მეთოდი არ ითვალისწინებს ფულის დროით ღირებულებას. ცხადია, ინვესტირებული თანხის მიღება უმჯობესია მოხდეს დროში ადრე, ხოლო ნასესხები თანხის დაბრუნება –დროში გვიან. დრო განსაზღვრავს ფულის დროით ღირებულებას.

თემატური კითხვები და საკონტროლო დავალებანი
II შუალედური შეფასებისათვის

1. კომპანია T პროდუქციის ერთეულს ყიდის £40-ად. მუდმივი დანახარჯი არის 48.000, ხოლო ცვალებადი დანახარჯი შეადგენს შემოსავლის 80%-ს. თუ მუდმივი დანახარჯი გაიზრდება £8.000, მაშინ წაუგებლობის მოცულობის დონე გაიზრდება:

ა) 10.000 ერთეულით ბ) 5.000 ერთეულით გ) 1.000 ერთეულით დ) 200 ერთეულით

2. ერთი სახის პროდუქციის მწარმოებელი კომპანიის ამონაგებში ზღვრული მოგების კოეფიციენტი არის -30%-ის ტოლი. თითოეული ერთეულის რეალიზაცია ხდება £8-ად. როდესაც მუდმივი დანახარჯი იყო £30.000, წმინდა მოგება შეადგენდა £56.100. რისი ტოლი იყო პერიოდის პირითადი შრომის ანაზღაურების მთლიანი მაჩვენებელი, თუ ის შეადგენს ცვლადი დანახარჯის 20%-ს?

ა) £ 17.280 ბ) £26.400 გ) £ 40.320 დ) £ 57.600

3. კომპანია H ყიდის ერთი სახის პროდუქციას. ბიუჯეტით განსაზღვრულია, რომ მომავალი თვის შემოსავალი იქნება £300.000, ხოლო ზღვრული მოგება კი – £125.000. თვის მუდმივი დანახარჯი კი დადგენილია £100.000-ის ოდენობით.

რისი ტოლია უსაფრთხოების შუალედი?

ა) 0% ბ) 10% გ) 20% დ) 25%

4. SD ქარხანაში წარმოებული პროდუქციის ნორმატიული დანახარჯი, რომელიც ეფუძნება 1.000 ერთეულის ნორმატიულ წარმოებას, არის შემდეგი:

			£
ცვლადი	საწარმოო	დანახარჯი	5.60
მუდმივი	საწარმოო	დანახარჯი	5.80
ცვლადი	რეალიზაციის	დანახარჯი	3.40
მუდმივი	რეალიზაციის	დანახარჯი	4.60
მოგება			5.50
გასაყიდი ფასი			**£ 24.90**

წაუგებლობის მოცულობა:

ა) 365 ერთეული ბ) 513 ერთეული გ) 654 ერთეული დ) 920 ერთეული

5. AI აწარმოებს ერთი სახის პროდუქციას და ყიდის მას £10-ად. თვის მუდმივი დანახარჯი არის £48.000 და პროდუქციის ზღვრული მოგების ამონაგებთან ფარდობის კოეფიციენტი არის 40%.

პერიოდის განმავლობაში ფაქტობრივი ამონაგები იყო £140.000. AI-ის უსაფრთხოების შუალედი იქნება:

ა) 2.000 ბ) 6.000 გ) 8.000 დ) 14.000

6. აწარმოებს სამ კომპონენტს - S, T და W-ს. მოპოვებულ იქნა შემდეგი ინფორმაცია:

	S კომპონ.	T კომპონ.	W კომპონ.
	£	£	£
ცვლადი დანახარჯი	2.50	8.00	5.00
მუდმივი დანახარჯი	2.00	8.30	3.75
მთლიანი დანახარჯი	4.50	16.30	8.75

გარეშე კომპანიამ შესთავაზა კომპონენტები მიეწოდებინა შემდგომ ფასებში:

	S კომპონ.	T კომპონ.	W კომპონ.
თითოეულის ფასი	4	7	5.50

რომელი კომპონენტები უნდა შეისყიდოს BB-მ?

ა) შეისყიდოს სამივე კომპონენტი; ბ) არც ერთი მათგანი; გ) S და W; დ) მხოლოდ T

პრაქტიკული სამუშაო №3

დანახარჯი-მოცულობა-მოგების ანალიზი

Stretch მენეჯერები განიხილავენ არსებული პროდუქტის მომგებიანობას. ამ საქმეში ხელშეწყობისათვის აღრმრიცხველმა მოამზადა გარკვეული მონაცემები, რომლებიც წარმოდგენილია ქვემოთ:

მოსალოდნელი გაყიდვები	7,000 ერთეული; £20 თითოეულზე £140,000
ძირითადი შრომითი დანახარჯი	£8 ერთეულზე
ძირითადი მასალის ღირებულება	£4 ერთეულზე
მუდმივი დანახარჯი	£4 ერთეულზე

მოგეთხოვებათ:

(ა) გამოთვალოთ წაუგებლობის მოცულობა **(5 ქულა)**

(ბ) გამოთ ეალოთ P/V კოეფიციენტი (ასევე ცნობილია როგორც C/S) და წაუგებლობის რეალიზაციის ღირებულება (P/V-ს გამოყენებით) **(2 ქულა)**

(გ) გამოთვალოთ უსაფრთხოების შუალედი, როგორც მოცულობით, ასევე პროცენტულად **(2 ქულა)**

4. მოგება-მოცულობა

კომპანიის ორი პერიოდის მაჩვენებლები წარმოდგენილია ქვემოთ:

	1-ლი პერიოდი	მე-2 პერიოდი
	£000	£000
ამონაგები	742.7	794.1
ცვლადი დანახარჯი	408.3	409.0
ზღვრული მოგება	334.4	385.1
მუდმივი დანახარჯი	297.8	312.7
წმინდა მოგება	36.3	72.4

მოგეთხოვებათ:

ა) ააგოთ მოგება-მოცულობის გრაფიკი, რომელიც ეფუძნება ორივე პერიოდს. და მოიცავს 1 მილიონ £-მდე შეალედს. **(5 ქულა)**

ბ) გამოთვალოთ, (უახლოეს 000-მდე) მეორე პერიოდში საჭირო რეალიზაციის დონე, რათა მიღწეულ იქნეს პირველი პერიოდის ტოლი მოგების მაჩვენებელი. **(3 ქულა)**

გ) განსაზღვროთ შემდეგი ტერმინები (რომლებიც გამოიყენება CVP ანალიზთან მიმართებაში):

1. C/S განაკვეთი
2. უსაფრთხოების შუალედი. **(2 ქულა)** **(სულ: 10 ქულა)**

პრაქტიკული სამუშაო №4

პროცენტი. ინვესტიციების შეფასება

1. Balcomde Limited-ს სურს შექმნას ამორტიზაციის ფონდი, რაც საკმარისი იქნება 6 წლის განმავლობაში ძირითადი საშუალებების (აქტივების) შესაძენად, რომელთა ღირებულება იქნება £200,000.

კაპიტალის ღირებულება შეადგენს 12%-ს ფონდში თანხების ჩარიცხვა იწყება დაუყოვნებლივ და შეწყდება ახალი აქტივის შესყიდვისთანავე. რა თანხა უნდა ჩარიცხოს კომპანიამ ფონდში ყოველწლიურად?

ა) £19,824;

ბ) £21,081;

გ) £24,645

დ) £21,482

2. Dalby განიხილავს საინვესტიციო პროექტს, რომელიც დისკონტირების 15%-იანი განაკვეთისას იძლევა £3,644-ის ტოლ დადებით წმინდა მიმდინარე ღირებულებას. დის-

კონტირების 20%-იანი განაკვეთისას, პროექტის წმინდა მიმდინარე ღირებულება ტოლია (£ -21,451)-ის ე. ი. არის უარყოფითი.

რას უდრის ამ ინვესტიციის უკუგების შიდა განაკვეთი?

ა) 15.7%

ბ) 16.0%

გ) 19.3%

დ) 19.9%

3. A ამ მომენტიდან 3 თვის შემდეგ დაიწყებს გარკვეულ ფონდში £300-ის გადახდას ყოველთვიურად 12 თვის განმავლობაში.

ყოველთვიური საპროცენტო სარგებელი ტოლია 3%-ის.

რას უდრის ამ გადასახადების მიმდინარე ღირებულება?

ა) £2,816

ბ) £2,733

გ) £2,541

დ) £2,986.

L J აპირებს 8 წლის განმავლობაში ყოველწლიურად დააბანდოს გარკვეული თანხა წლიური საპროცენტო განაკვეთით 6%. თანხის დაბრუნება დაიწყება პირველი წლიდან. ორგანიზაციას სურს, რომ მე-8 წლის ბოლოს, უკანასკნელი მერე შენატანისთანავე დაგროვილმა ფონდმა შეადგინოს £500.000

რა თანხა უნდა დააბანდოს (უახლოეს 100-მდე დამრგვალებით) ორგანიზაციამ ყოველწლიურად, რომ მე-8 წლის ბოლოს მიიღოს ფონდი სასურველი ოდენობის თანხით:

[ ]

2. W აპირებს 12 თვის განმავლობაში ყოველწლიურად დაზოგოს £300. ამ გადაწყვეტილების განხორციელებას ორგანიზაცია იწყებს დაუყოვნებლივ. დანაზოგს ყოველთვიურად დაერიცხა 1%, რა თანხა იქნება დაგროვილი მეთორმეტე თვის ბოლოსათვის დარიცხულ პროცენტებთან ერთად?

ა) £ 3.798

ბ) £ 3.805

გ) £ 3.843

დ) £ 3.860

3. ხუთწლიანი ანუიტეტის (გადახდა იწყება პირველ წელს) მიმდინარე ღირებულება 5%-იანი წლიური საპროცენტო განაკვეთით ტოლია £60.000-ის. რას უდრის ანუიტეტის თანხა?

ა) £12.000

ბ) £13.198

გ) £13.860

დ) £259.769

4. კომპანია გეგმავს ათწლიან იჯარას ყოველწლიურად £8.000-ის ტოლი საიჯარო გადასახდელების მიღებით. იჯარის პირველივე გადასახდელი იმავდროულად (ავანსად) უნდა იქნეს შეტანილი, ხოლო დანარჩენი გადასახდელები – ყოველი მომდევნო წლის დასაწყისში.

რა იქნება (მიახლოებით) იჯარის მიმდინარე ღირებულება დისკონტირების წლიური 12%-იანი განაკვეთისათვის?

ა) £50.640

ბ) £51.560

გ) £45.200

დ) £49.852

5. პიროვნება გეგმავს 10 წლის განმავლობაში ყოველი წლის ბოლოს £5.000-ის მიღებას. ამ ანუიტეტის მიმდინარე ღირებულება ტოლია £33.550-ის. რა იქნება კაპიტალის ღირებულება – (r)?

ა) წლიური 2%

ბ) წლიური 4%

გ) წლიური 8%
დ) წლიური 16%

3. SG

SG განიხილავს ახალი საკვლევი აპარატურის შესყიდვის საკითხს, რომელიც მიმდინარე მომენტისთვის ღირს £65,000. მოსალოდნელია, რომ ეს აპარატურა წარმოშობს შემდეგ ფულად ნაკადებს:

წლის ბოლო	£000
1	15
2	18
3	30
4	15
5	8

მე-5 წლის ბოლოსათვის საკვლევი აპარატურა შესაძლოა გაიყიდოს £4,000-ად. მოგეთხოვებათ:

ა) გამოთვალოთ ახალი საკვლევი აპარატურის შესყიდვის წმინდა მიმდინარე ღირებულება დისკონტირების 10%-იანი და 15%-იანი განაკვეთებისათვის. **(5 ქულა)**

გამოთვალოთ ამ ინვესტიციის უკუგების შიდა განაკვეთი (IRR) (მეათედებამდე სიზუსტით). **(3 ქულა)**

14. კომპანია ვარაუდობს, რომ ინვესტიციიდან განუსაზღვრელი დროის განმავლობაში ყოველწლიურად მიიღებს £150,000-ის გადასახდელებს. ამასთან, გადახდები დაიწყება მე-5 წლის ბოლოს.

კომპანიის კაპიტალის ღირებულება შეადგენს 8%-ს. რა იქნება ინვესტიციიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება (უახლოეს 1,000-მდე სიზუსტით)?

ა) £1,277,000
ბ) £1,378,000
გ) £1,736,000
დ)£1,875,000

ფირმა KL

ფირმა **KL** I წლის დასაწყისში აწარმოებს ახალი დანადგარის ინვესტირებას, რომლის ღირებულებას £15000. სავარაუდოდ, მომავალი ხუთი წლის განმავლობაში ემინდა ფულადი ნაკადები უნდა შეესაბამებოდეს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის მონაცემებს:

წელი	*1*	*2*	*3*	*4*	*5*
წმინდა ფულადი ნაკადი	£1,500	£2,750	£4,000	£5,700	£4,500

თქვენ მოგეთხოვებათ:

(1) გამოთვალოთ წმინდა მიმდინარე ღირებულება კაპიტალის ღირებულების 15%-თვის.

გამოთვალოთ წმინდა მიმდინარე ღირებულება კაპიტალის ღირებულების 10%-თვის. **(10 ქულა)**

გამოთვლისათვის გამოიყენეთ ქვემოთ მოყვანილი დისკონტირების კოეფიციენტები:

წელი	დისკონტირების კოეფიციენტი		
	10%	15%	20%
1	0.909	0.87	0.833
2	0.826	0.756	0.694
3	0.751	0.658	0.579
4	0.683	0.572	0.482
5	0.621	0.497	0.402

თავი 9

მენეჯერული გადაწყვეტილების მიღების პროცესი

ზოგადად, გადაწყვეტილება არის ადამიანის მიერ გონებრივი საქმიანობის, მისი ნების გამოხატვის ერთ-ერთი სახე. იგი, როგორც პროცესი, გადაწყვეტილების მომზადების, მიღებისა და რეალიზაციის ეტაპებს მოიცავს მენეჯერთა ჯგუფის მიერ მოქმედების უკეთესი ვარიანტის შერჩევისთვის.

მენეჯერულ გადაწყვეტილებათა **კლასიფიკაცია** ყალიბდება მისი შინაარსის (სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, ტექნოლოგიური, ტექნიკური, ორგანიზაციული და ა.შ.), მოქმედების პერიოდის (ოპერატიული, ტაქტიკური, და სტრატეგიული), გადაწყვეტილების სუბიექტის (ინდივიდუალური, ჯგუფური), უნიკალურობის (არა‘მეორმედებითი, შემოქმედებითი) და სარისკო ინფორმაციის მიხედვით.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღწერილი გადაწყვეტილების მიღების მოდელირების გამოყენების მიზანია, მოცემული კრიტერიუმებიდან გამომდინარე, უკეთესი მოქმედების, ანუ **ალტერნატივის**, შერჩევა **ნორმატიული მოდელების** გამოყენებით. ასევე ფართოდ გამოიყენება მათემატიკური ინსტრუმენტები.

მენეჯერული გადაწყვეტილება გულისხმობს მიზნების განსაზღვრასა და კონკრეტულ საწარმოო სიტუაციაში მისი განხორციელების მეთოდების შერჩევას. მართვა უწყვეტი პროცესია, რომლის შინაარსობრივ საფუძველს წარმოადგენს გადაწყვეტილებათა მომზადების, მიღების, შესრულებისა და კორექტირების პროცესი. იგი, რომელიც მოითხოვს მენეჯერისაგან მართვის მეცნიერებისა და პრაქტიკის ცოდნის სინთეზს, რომელიც წარმოადგენს მმართველობითი საქმიანობის კულმინაციურ მომენტს და ეყრდნობა წარმოების ტექნოლოგიის, ტექნიკის, ეკონომიკურ ურთიერთობათა დიალექტიკის. შემოქმედებითი ანალიზის უნარს, მოითხოვს პრაქტიკულ-ლოგიკურ აზროვნებას, ფანტაზიას, კარგად გათვლილი **რისკის** ელემენტებს, ამიტომ მმართველობითი გადაწყვეტილება მენეჯერის მუშაობის ხარისხის ძირითადი მაჩვენებელია.

მმართველობით გადაწყვეტილებათა ფორმირების პროცესი დაკავშირებულია მართვის პროცესის **ციკლურობასთან, რომელიც** მართვის **ფუნქციების კლასიფიკაციის** მიხედვით სამი სტადიისაგან შედგება: 1) მიზნის დასახვა-დაგეგმვა; 2) სამართავი სისტემის მომზადება დასახული მიზნის განსახორციელებლად; 3) აღრიცხვა, კონტროლი, მოქმედების კორექტირება-რეგულირება და კოორდინაცია.


როგორც უკვე აღინიშნა, რამდენადაც გადაწყვეტილების მიღების პროცესი არის შემოქმედებითი აზროვნება, მსჯელობა, ამიტომ იგი მიმდინარეობს როგორც **დედუქციის** (ზოგადიდან კერძოსაკენ), ასევე **ინდუქციის** (კერძოდან ზოგადისაკენ) ფორმით. ფართოდ გამოიყენება **ანალოგიის** მეთოდი – უცნობი მოვლენის, ან პროცესის გაგებისათვის მსჯელობა სხვა, მისი მსგავსი მოვლენის მიხედვით, რომლის შესახებ გარკვეული ცოდნა უკვე გააჩნიათ. ასევე, რთული საკითხების გადაწყვეტისას ხშირად მუშავდება **ჰიპოთეზები**, რომელებიც ემყარება არსებული ფაქტების ანალიზსა და განზოგადებას, რომლის დასაბუთებისათვის გამოიყენება შექმნილი მდგომარეობის ყოველმხრივი ანალიზი და დამატებითი ფაქტორები, რაც ხშირად **ნორმატულ** ინფორმაციებშია თავმოყრილი.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში მეწარმეობრივი საქმიანობის ერთ-ერთი დამახასიათებელი მომენტი არის საწარმოო **რისკის** არსებობა. შესაბამისად, რისკის მოვლენების ღრმად და ყოველმხრივად შესწავლა და მათში გაცნობიერებულობა საგრძნობლად შეამცირებს მოსალოდნელ მოვლენებში რისკის უარყოფით შედეგებს. შესაბამისად, მენეჯერს მოეთხოვება მისაღები მმართველობითი გადაწყვეტილებების მაღალი მეცნიერულ-პრაქტიკული დონის უზრუნველყოფა.

მენეჯერული გადაწყვეტილების მიღების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

1. საწარმოო სიტუაციის ანალიზი და პრობლემის გამოვლენა;
2. პრობლემის გადაწყვეტის მიზნების დასახვა;
3. გადაწყვეტილების ინფორმაციული უზრუნველყოფა;
4. გადაწყვეტილების ალტერნატიული ანუ შესაძლებელი ვარიანტის შემუშავება;
5. გადაწყვეტილებათა ვარიანტების ანალიზი და შეფასება;
6. პრობლემის ოპტიმალური გადაწყვეტის გზების შერჩევა.


მმართველობითი გადაწყვეტილების მომზადების, მიღებისა და რეალიზა-ციის პროცესი, მისი შემადგენელი ელემენტების ლოგიკური თანმიმდევრობის ალგორითმი წარმოდგენილია ნახ. 9.1-ში.



ნახ. 9.1 მენეჯერული გადაწყვეტილების მიღების პროცესის ალგორითმი


მმართველობით გადაწყვეტილებათა მიღების სისტემაში გამოყოფენ მმართველობით ოპერაციასა და მმართველობით პროცედურებს.

მმართველობითი ოპერაცია არის მმართველობითი ინფორმაციის დამუშავების პროცესი, რომელიც შემოედინება საწარმოს სტრუქტურული დანაყოფიდან (იხ. **ნახ. 4.3 – მმართველობითი ოპერაციის სქემა).**



ნახ. 92 მმართველობითი ოპერაციის სქემა

მმართველობითი პროცედურა დასახული მიზნის მისაღწევად თანმიმდევრულად ურთიერთდაკავშირებული მმართველობითი ოპერაციებისა და დოკუმენტების კომპლექსს შეადგენს (**იხ. ნახ. 9.3** მმართველობითი პროცედურის სქემა)



ნახ. 9.3 მმართველობითი პროცედურის სქემა

საბაზრო ეკონომიკის პირობებში დიდი მნიშვნელობა აქვს **რისკის ფაქტორის** გათვალისწინებას. მოქმედება სამეურნეო რისკის პირობებში დამოკიდებულია მმართველობით ხელოვნებაზე, მენეჯერის უნარზე – გაბედულად შეარჩიოს ყველაზე ხელსაყრელი **ალტერნატივა**, სრულად გამოიყენოს როგორც თეორიული ცოდნა, ასევე პრაქტიკული გამოცდილება და **ინტუიცია**. მოელენები, რომელსაც მენეჯერი აწყდება თავის საქმიანობაში, შეიძლება მისგან უმართავიც იყოს და მოულოდნელიც. ინფორმაციული გაურკვევლობის პირობებში მას ერთ-გვარი რისკის გაწევაც უნდა შეეძლოს. რისკის მიზეზი შეიძლება იყოს ბაზარზე ფასების მოულოდნელი ზრდა ან შემცირება; სახელმწიფოს მიერ ისეთი საკანონმდებლო აქტების შემოღება, რომელიც ცელის საწარმოს პოლიტიკას; სტიქიური მოვლენები, სოციალური ძერები და ა. შ.

ნახ. 9.4

მეთოდი	აღწერა
სიძლიერის, სისუსტის შესაძლებლობის და საშიშროების ანალიზი	ორგანიზაციის სიძლიერის,სისუსტის, დამუქრებული სასიშროების (swot) ანალიზი განიხილავს. მაგ. რაშია კარგი?(სიძლიერე) სად აღწევენ კონკურენტები პროგრესს? (საშიშროება)
რისკის შეფასება	რისკი წყებულებრივ დაკავშირებულია განუსაზღვრელობის ზომასთან, რომელიც მიკუთვნებული აქვს გეგმას. შედეგის მაღალი ცვალებადობა გულისხმობს რისკს მაღალს.
რესურსების გამოყენების მართვა	როდესაც ისეთი რესურსები, როგორიცაა ნაღდი ფული, შრომა ან მანქანა-დანადგარები შეზღუდულია. წრფივი პროგრამირება იძლევა მათი საუკეთესო გამოყენების შესაძლებლობას ისე, რომ შესაძლებელი გახდეს მიზნის (მოგების) მაქსიმალური მიღწევა.
მომავალი მოვლენების რაოდენობრივი განსაზღვრა	ამის კეთების ყველაზე მიღებული გზა არის ბიუჯეტების შედგენა. ბიუჯეტი არის გეგმების რაოდენობრივი გამოხატულება. არსებობს 3 დონის ბიუჯეტი: სტრატეგიული, ტაქტიკური და ოპერატიული
პრიორიტეტული თანმიმდევრობის უზრუნველყოფა	ორგანიზაციათა უმეტეს ნაწილს არ ექნება შესაძლებლობა გააკეთოს ყველაფერი, რაც მას სურს და როდესაც მოისურვებს, მათ საკმარისი რესურსები ექნებათ საამისოდ. ორგანიზაციამ თვითონ უნდა განსაზღვროს თავისი გეგმების პრიორიტეტები.
სტანდარტების უზრუნველყოფა წარმატება/წარუმატებლობაში	თუ ორგანიზაციას არ ექნება გეგმა, მაშინ როგორ უნდა განსაზღვროს მან წარმატებულია თუ არა?

პრაქტიკა მოწმობს, რომ კორპორაციული მართვის პროცესი და სტრატეგიის ჩამოყალიბების პროცესი მოიცავს მენეჯერების მიერ ორგანიზაციის არსებული მდგომარეობის ანალიზს, ხოლო შემდეგ კი სტრატეგიების შემუშავებას მისი დანიშნულების განსახორციელებლად და მიზნების მისაღწევად. სტრატეგიების ჩამოყალიბება იწყება მენეჯერების მიერ ორგანიზაციის შიგნით და მის გარეთ არსებული ფაქტორების გაანალიზებით, დასმული ამოცანებისა და საერთო გარემოებების შესწავლით, რაც გაელენას ახდენს, ან შეიძლება მოახდინოს ორგანიზაციის მიერ მისი მიზნების განხორციელების უნარზე აწმყოსა და მომავალში.

SWOT – ანალიზი არის ერთ-ერთი მეთოდი, რომელსაც მენეჯერები იყენებენ შიგა და გარე ფაქტორების ანალიზისათვის. **SWOT** –ანალიზის მიზანია – გამოიკვლიოს ბიზნესის ძლიერი და სუსტი მხარეები და საწარმოს წარმატებული ფუნქციონირების შესაძლებლობანი ბაზრის უკვე მიღწეულ და პროგნოზულ პირობებში. **SWOT** – ანალიზი წარმოადგენს დაგეგმვის განხორციელების პროცესს, რომლის დროსაც მენეჯერები განსაზღვრავენ ორგანიზაციის ძლიერ მხარეებს (**strengths-S**), მის სუსტ მხარეებს (**weaknesses -W**), გარემოში არსებულ შესაძლებლობებსა (**opportunities-O**) და მოსალოდნელ საშიშროებებს (**threats-T**) და **SWOT** – ანალიზზე დაყრდნობით, ორგანიზაციის სხვადასხვა დონეზე მყოფი მენეჯერები ირჩევენ კორპორაციის, ბიზნესის და ფუნქციონალური დონის სტრატეგიებს, რათა ორგანიზაციას უკეთესი მდგომარეობა შეუქმნან თავისი მისიისა და მიზნების განსახორციელებლად.

SWOT ანალიზი – დაგეგმვის განხორციელების პროცესი, რომლის დროსაც განისაზღვრება ორგანიზაციის შიგნით არსებული ძლიერი და სუსტი მხარეები, გარემოში არსებული შესაძლებლობები და მოსალოდნელი საშიშროებები	**სტრატეგია კორპორაციის დონეზე** სამოქმედო გეგმა ორგანიზაციის გაზრდისა და განვითარებისათვის, რომელიც ითვალისწინებს მის მიერ ფასეულობების შექმნის შესაძლებლობების ხანგრძლივობის მაქსიმალურად გაზრდას
	სტრატეგია ბიზნესის დონეზე სამოქმედო გეგმა შესაძლებლობების ეფექტურად გამოყენებისათვის და მოსალოდნელ საშიშროებებთან გასამკლავებლად, მიცემულ წარმოებაში კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად
	სტრატეგია ფუნქციონალურ დონეზე სამოქმედო გეგმა ორგანიზაციების დეპარტამენტებისათვის ფასეულობების შექმნის შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად.

ნახ. 9. 5 SWOT-ანალიზი და სტრატეგიების ჩამოყალიბების სქემა

SWOT - ანალიზის მეორე ეტაპი იწყება, როდესაც მენეჯერები შეუდგებიან სრული მასშტაბის **SWOT** – ანალიზს, დაგეგმეის განსახორციელებლად, რათა განსაზღვრულ იქნას პოტენციური შესაძლებლობები და საშიშროებები იმ გარემოებებში, რომლებიც მოქმედებენ ორგანიზაციაზე, ან შეიძლება გავლენა იქონიონ მომავალში. პოტენციური შესაძლებლობებისა და მოსალოდნელი საშიშროების ინტერპრეტაციები ჩამოთვლილია **ცხრილ 9.6-ში.**

SWOT - ანალიზის ჩასატარებლად დასმული კითხვების ნუსხა

ცხრილი 9.6

პოტენციური ძლიერი მხარეები	პოტენციური შესაძლებლობები	პოტენციური სუსტი მხარეები	პოტენციური საშიშროებები
სტრატეგია კარგად შემუშავდება? ძლიერი იქნება წარმოების ხაზები? როგორი იქნება წარმოების დო-	შესაძლებელია ძირითადი ბიზნესის გაფართოება? ახალი საბაზრო სეგმენტების ათვისება? პრო-	მოსალოდნელია სტრატეგიის სუსტად ჩამოყალიბება? წარმოების მოძველებული და ვიწრო ხაზე-	მოსალოდნელია შეტევის განხორციელება ძირითად ბიზნეს(ებ)ზე? შიდა კონკურენციის გაზრდა?

ნე? კარგ დონეზე იქნება საეპჭრო უნარები? კარგ დონეზე იქნება მატერიალური მენეჯმენტის სისტემები? როგორი იქნება კელეციისა და განვითარების დონე და ხელმძღვანელობა? როგორი იქნება ადამიანური რესურსების მონაცემები? როგორი რეპუტაციით ისარგებლებს საფირმო ნიშანი? როგორი იქნება სპეციალიზირებული წარმოების ღირებულება? შესაფერისი იქნება მართვის სისტემები? როგორია სტრატეგიის შეცვლის უნარი? სხვა?	დუქტების სპექტრის გაფართოება? ფასების ან სპეციალიზების გაძლიერება? მრავალფუროვნების შეტანა ახალ, მზარდ ბიზნესში? უცხოურ ბაზარზე გასვლა? კელეციისა და განვითარების (R&D) გამოყენება ახალ სფეროებში? ახალი მოთხოვნილების ბიზნესის წამოწყება? პირდაპირი ელექტრონული ინტეგრირება? ბარიერების გადალახვა ახალი ბიზნესის წამოსაწყებად? კონკურენტების წინააღმდეგობის შესუსტება? საფირმო მარკასთან დაკავშირებული კაპიტალის გამოყენება ახალ სფეროებში? გზების გამონახვა ბაზრის სწრაფად გაფართოებლად? სხვა?	ბი? საწარმოო ხარჯების გაზრდა? წარუმატებლობა კელეციისა და განვითარების ხიახლეების მხრივ? მარკეტინგის სუსტი გეგმა? მასალების მენეჯმენტის სუსტი სისტემები? მომხმარებელთა კმაყოფილების დაკარგვა? არაადეკვატური ადამიანური რესურსები? წარუმატებელი სამარკო ნიშანი? უმიმართულებოდ ზრდა? საერთო მიმართულების დაკარგვა? განცალკევებებს შორის შეცდი? ერთიანი მართვის მოშლა? ორგანიზაციული სტრუქტურისა და მართვის სისტემების შეუსაბამობა? არასასურველი კონფლიქტი და პოლიტიკა? სხვა?	უცხოური კონკურენციის გაზრდა? მომხმარებელთა გემოვნების შეცვლა? ბარიერების გადალახვის შეუძლებლობა? ახალი ან შემცვლელი პროდუქტების ზრდა? წარმოების კონკურენციის გამძაფრება? ახალი ფორმის კონკურენციები? პოტენციურად არსებობს კომპანიის შთანთქმის შესაძლებლობა? მოსალოდნელი დემოგრაფიული ფაქტორების ცვლილებები? ეკონომიკური ფაქტორების ცვლილებები? ეკონომიკური ეარდნა? შრომის ფასების გაზრდა? ბაზრის გაფართოების შენელება? სხვა?

SWOT – ანალიზის სიძლიერის, სისუსტის, შესაძლებლობებისა და საშიშროებების დადგენის შემდეგ, მენეჯერები წარმართავენ დაგეგმვის პროცესს და განსაზღვრავენ **სტრატეგიებს** ორგანიზაციის დანიშნულებისა და მიზნების განსახორციელებლად.

თანამედროვე ეტაპზე **SWOT** – ანალიზის ჩატარების შემდეგ რეკომენდებულია **PEST** ანალიზის ჩატარება, ორგანიზაციის შინაგანი გარემოს უფრო სიღრმისეული შესწავლისათვის, რომელიც არის ინსტრუმენტი, გათვალისწინებული: პოლიტიკური **(Policy)**, ეკონომიკური **(Economy)**, სოციალური **(Society)** და ტექნოლოგიური **(Tequology)** გარემო პირობების ასპექტების გამოსაელენად, რომლებსაც შეუძლიათ გაელენა მოახდინონ ეკონომიკური სუბიექტის სტრატეგიასა და ტაქტიკაზე.

მიკროეკონომიკურ დონეზე სუბიექტების ეკონომიკური უსაფრთხოების მიღწევაში მნიშვნელოვანი როლი უკავია ოპერაციულ-ღირებულებით ანალიზს – **ABC (Aqtivity Bazed Costing)**, რომელიც არის დანახარჯებისა და მწარმოებლურობის გაზომვის მეთოდი, დაფუძნებული ოპერაციებსა და დანახარჯების მატარებლებზე.

ოპერაციულ-ღირებულებითი ანალიზის (**ABC**) მიზნებს წარმოადგენს:

1. დანახარჯების გაანგარიშება ძირეული ოპერაციების შესრულებაზე, მათი ურთიერთკავშირის გათვალისწინებით;
2. დანახარჯების შემცირება და კორპორაციის მუშაობის შედეგიანობის ამაღლება;
3. დანახარჯების ეფექტიანი მართვა;
4. ინფორმაციის შეგროვება და გამოყენება ოპერაციების თვითღირებულებასა და ბიზნესპროცესებზე;
5. დამატებითი ინფორმაციების (რაოდენობრივი, ხარისხობრივი) შეკრება და გამოყენება მმართველობითი გადაწყვეტილების მისაღებად.

ამრიგად, ზემოთ დასახელებული სტრატეგიული ანალიზური კვლევების: **SWOT**–ანალიზი, **PEST** – ანალიზი, ოპერაციულ-ღირებულებითი ანალიზი – **ABC** და სხვა მეთოდების გამოყენებას არსებითი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური სუბიექტის უსაფრთხოებისათვის ოპერატიული ღონისძიებების შემუშავებაში სიტუაციური პრობლემე-

ბის გადასაჭრელად, რათა თავიდან იქნას აცილებული სუბიექტის მიმართ სხვადასხვა სახის გაუთვალისწინებელი და მოსალოდნელი საფრთხეები.

პრაქტიკა მოწმობს, რომ ეკონომიკური სუბიექტის გრძელვადიანი მიზნების მიღწევა დამოკიდებულია როგორც **საგარეო**, ისე **შიდა** ფაქტორებზე, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია სტრატეგიის შემუშავებისას.

შიდა ფაქტორებს მიეკუთვნება: ა) ორგანიზაციული სტრუქტურა; ბ) ეკონომიკური საქმიანობის მართვის სისტემის მოქნილობა; გ) მარკეტინგის ორგანიზაცია; დ) მენეჯერთა საქმიანობის პრინციპები ეკონომიკური საქმიანობის სფეროებში.

საგარეო ფაქტორებს მიეკუთვნება: ა) ეროვნული საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა; ბ) საგარეო ეკონომიკური საქმიანობის განვითარების დონე; გ) მსოფლიო ინტეგრაციის განვითარების ტენდენციები, რომლებიც საკმაოდ ზემოქმედებენ ორგანიზაციის საქმიანობის გრძელვადიან მიზნებზე.

ორგანიზაციის ძირითადი მიზნის მიღწევისათვის აუცილებელია კონკრეტული სტრატეგიული მიზნების ჩამოყალიბება, კერძოდ სავაჭრო ქსელის გაფართოება; პირდაპირი კაპიტალდაბანდებები ახალი საწარმოების შესაძენად; ერთობლივი საწარმოების გაფართოება; საეჭრო მარკის ერთობლივი გამოყენება და სხვა.

პარტნიორული ურთიერთობების დასაბუთებისათვის საჭიროა შემდეგი ფაქტორების: პილიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული ტრადიციების გათვალისწინება; მოლაპარაკებებისა და ვალდებულებების დაფარვის პრაქტიკა; უცხოელი პარტნიორისა და მთლიანად ქვეყნის მდგომარეობა; ეროვნული ვალუტის კურსის მერყეობა და საეალუტო რისკები; საქონლის შენახვა ქვეყნის საზღვრებამდე და ქვეყნის შიგნით გადაზიდვისას.

ალტერნატიული ვარიანტების ანალიზისას წარმოიქმნება სტრატეგიული საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღების აუცილებლობა. საჭიროა, აგრეთვე, შემდეგი პრობლემების წინასწარი ანალიზი, კერძოდ: კონკრეტული სახის პროდუქციაზე მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის მიზეზი და დონე; თუ რაში ისახება ალტერნატიული პროდუქციის კონკურენტული უპირატესობა მოცემულ ზონაში; ადგილობრივი ფირმების ინიციატივის არარსებობის მიზეზი უცხოურ ფირმებზე ზემოქმედების მიზნით კონკრეტული პროდუქციის საწარმოებლად.

ამრიგად, ორგანიზაციის ეკონომიკური საქმიანობის სტრატეგიის შესარჩევად, საწარმოს (დარგის) მისიისა და მიზნებიდან გამომდინარე, აუცილებელია ჩატარდეს მრავალმხრივი ანალიზი შემდეგი ეტაპების მიხედვით:

პირველ ეტაპზე აუცილებელია ჩატარდეს შემდეგი ასპექტების ანალიზი:

ა) საექსპორტო საქონლის კონკურენტული უპირატესობა;

ბ) ადგილობრივ ბაზარზე საწარმოს მდგომარეობა;

გ) საწარმოს მდგომარეობა იმ საქონლისა და მომსახურების ბაზრის უცხოურ სეგმენტზე, რომლებსაც ფირმა უშვებს მოცემულ მომენტში;

დ) საწარმოს მდგომარეობა საქონლისა და მომსახურების მომხმარებელთა პოზიციიდან;

ე) საწარმოს საქმიანობა ბაზრის პოზიციიდან გამომდინარე.

მეორე ეტაპზე – მარკეტინგული ანალიზი. საწარმოსათვის მნიშვნელოვანია განისაზღვროს, როგორი იქნება ბაზარი უახლოეს მომავალში, რა მიმართულებით ეითარდება ბაზარი, როგორია ახალი ტექნოლოგიები:

ა) საწარმოს მდგომარეობის შედარება ბაზრის მომავალ ტენდენციებთან;

ბ) ბაზრის კონიუნქტურის მერყეობის ანალიზი;

გ) პროდუქციის ტექნიკურ-საექსპლუატაციო და სამომხმარებლო თვისებების განვითარების პროგნოზის ფორმულირება.

მესამე ეტაპი – საწარმოს შესაძლებლობების ანალიზი:

ა) საგარეო ეკონომიკური საქმიანობის მოცულობის ზრდის ანალიზი;

ბ) საწარმოს ზრდის ტემპის ანალიზის შედარება მსოფლიო ტენდენციებთან;

გ) სხვა პერსპექტიულ ბაზრებზე საწარმოს ყურადღების გადატანის შესაძლებლობების ანალიზი;

დ) ახალ სფეროში საქმიანობის დაწყებისა და ძველ სფეროში საქმიანობის შეწყვეტის ანალიზი.

მეოთხე ეტაპი – საბიუჯეტო და საგადასახადო პოლიტიკის ანალიზი:

ა) საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა ქვეყნის შიგნით და მისი გაელენა საწარმოზე;

ბ) საბაჟო-საგადასახადო პოლიტიკა საზღვარგარეთ და მისი გაელენა საწარმოზე.

მეხუთე ეტაპი – მსოფლიო ეკონომიკის ტენდენციების გაელენა:

ა) სასესხო კაპიტალის მსოფლიო ბაზრის ანალიზი;

ბ) სხვადასხვა ქვეყნის საგარეო-სავაჭრო პოლიტიკის ანალიზი.

მეექვსე ეტაპი – საწარმოს საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება:

1. საწარმოს საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის გრძელვადიანი მიზნების ფორმულირება;

2. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის მიზნის მიღწევის შესაძლო ვარიანტების გენერაცია;

3. ალტერნატივების შეფასება და უპირატესობის ექტორის ფორმირება;

4. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის მიღწევის ვარიანტების შედარება და ეფექტიანი ალტერნატივის შერჩევა;

5. მიზნის მიღწევის ორგანიზაცია, რესურსების კონტროლი, ადაპტაცია და მიზნის კორექტირება.

ამრიგად, ეკონომიკური საქმიანობის სტრატეგიის შემუშავებისას საწარმო (კორპორაცია) იკელეს საშინაო და საგარეო ბაზარს, გლობალურ და ადგილობრივ მიზნებს, არჩევს საქმიანობისათვის მისთვის ყველაზე მისაღებ ზონებსა და სეგმენტებს, საწარმოს საექსპორტო პოტენციალს. ამ მიზნების შესაბამისად არჩევს პარტნიორებს. ამასთან, ძირითადი მიზანი უნდა იყოს მარკეტინგის სფეროში სტრატეგიული შესაბამისობის მიღწევა საწარმოს მიზნების და მათი მიღწევის პოტენციურ შესაძლებლობებს შორის.

თავი 10

კაპიტალდაბანდებების (ხარჯების) ბიუჯეტირება და კონტროლი

ბიუჯეტის თეორია

ბიუჯეტი არის ორგანიზაციის სამოქმედო გეგმის რაოდენობრივი გამოსახვა, რომელიც მზადდება წინასწარ, იმ პერიოდზე ადრე, რომელსაც ეხება.

• მაგალითად, თუ შეებულებას გეგმავთ, თქვენ, სავარაუდოდ, უნდა დაგეგმოთ ის თანხა, რომლის დახარჯვაც შეგეძლებათ. ბიუჯეტი განსაზღვრავს, სად წახვალთ და რამდენი ხნით.

• ორგანიზაციების უმეტესობა მთლიანი ბიზნესის ბიუჯეტებს ადგენს. გარდა ამისა, ორგანიზაციებმა შეიძლება ასევე მოამზადონ შემდეგი ბიუჯეტები:

– ქვედანაყოფების (განყოფილებების) ბიუჯეტები:

– ფუნქციური ბიუჯეტები (რეალიზაციის, წარმოების, დანახარჯებისა და ა.შ.)

– მოგებისა და ზარალის ანგარიშგების (რათა განსაზღვროს მომავალი პერიოდების მოგება);

– ფულადი სახსრების ბიუჯეტები (რათა განსაზღვროს მომავალი პერიოდების ფულადი ნაკადები).

ნებისმიერი ბიუჯეტის შედგენამდე უნდა განისაზღვროს ორგანიზაციის გრძელვადიანი მიზნები, რათა ბიუჯეტი ამ მიზნების შესაბამისად მომზადდეს.

ამის შემდეგ უნდა შეიქმნას საბიუჯეტო კომისია, შემუშავდეს საბიუჯეტო სახელმძღვანელო და განისაზღვროს შემზღუდველი ფაქტორები.

• **ყალიბდება საბიუჯეტო კომისია** – ტიპიური საბიუჯეტო კომისია შედგება მთავარი აღმასრულებელი პირისაგან, მმართველობითი აღმრიცხველისაგან და განყოფილებების ან ფუნქციური ქვედანაყოფების უფროსებისგან (რეალიზაციის მენეჯერი, შესყიდების მენეჯერი, წარმოების მენეჯერი და ა. შ.). საბიუჯეტო კომისია პასუხისმგებელია ბიუჯეტის შედგენის სახელმძღვანელო პოლიტიკის გაცნობაზე იმ პირთათვის, ვინც ბიუჯეტებს ადგენენ, ასევე ბიუჯეტების შედგენასა და დამტკიცებაზე.

• **იქმნება საბიუჯეტო** სახელმძღვანელო ორგანიზაციის საბიუჯეტო სახელმძღვანელო წარმოადგენს ინსტრუქციების ნაკადს, რომელიც ეხება ბიუჯეტების შედგენასა და გამოყენებას. სახელმძღვანელოში ასევე მოცემულია ინფორმაცია იმ პირთა პასუხისმგებლობაზე, რომლებიც ჩართულნი არიან ბიუჯეტის შედგენის პროცესში, მათ შორის, მოცემულია ორგანიზაციის სქემა და ბიუჯეტზე პასუხისმგებელ პირთა სია.

• **განისაზღვრება შემზღუდველი ფაქტორი** – ბიუჯეტის კონტექსტში შემზღუდველ ფაქტორს ძირითად საბიუჯეტო ფაქტორს უწოდებენ. საზოგადოდ, ორგანიზაციის საქმიანობას მოცემულ პერიოდში ერთი ფაქტორი ზღუდავს. ეს, როგორც წესი, რეალიზაციაა, რომელიც ზღუდავს ორგანიზაციის საქმიანობის შედეგებს. თუმცა, შეიძლება სხვა ფაქტორებიც არსებობდეს, მაგალითად, სპეციალური კვალიფიკაციის სამუშაო ძალა.

თუ ძირითადი საბიუჯეტო ფაქტორი რეალიზაციაა, მაშინ პირველად რეალიზაციის ბიუჯეტი უნდა მომზადდეს.

• **საბიუჯეტო პროცესის საბოლოო ეტაპები** – მას შემდეგ, რაც მომზადდება შემზღუდველ ფაქტორთან დაკავშირებული ბიუჯეტი, სხვა ბიუჯეტებზე პასუხისმგებელ მენეჯერებს უკვე შეუძლიათ სხვა ბიუჯეტების შედგენა. ბიუჯეტის შედგენის მთლიანი პროცესი შეიძლება რამდენიმე კვირას ან თვეს გაგრძელდეს. საბიუჯეტო პროცესის საბოლოო ეტაპებია:

1. დება საწყისი ბიუჯეტები. ზოგჯერ ბიუჯეტის მენეჯერები ცდილობენ, ბიუჯეტში გაითვალისწინონ ბიუჯეტის „სისუსტის" ელემენტი -ეს ნისნავს წინასწარგამიზნულად დანახარჯების გადიდებას ან ამონაგების (შემოსავლების) შემცირებას, რაც მენეჯერებს უადვილებს დასახული მიზნების მიღწევას.

2. საწყისი ბიუჯეტები განიხილება და გაერთიანდება მთლიან საბიუჯეტო სისტემაში.

3. მას შემდეგ, რაც საწყის ბიუჯეტებში აუცილებელ შესწორებებს შეიტანენ, მათ დაამტკიცებენ და მომზადდება მთავარი ბიუჯეტი (საბიუჯეტო მოგებისა და ზარალის ანგარიშგება, ბალანსი და ფულადი სახსრების ბიუჯეტი). შემდეგ მთავარი ბიუჯეტი უმაღლეს ხელმძღვანელობას წარედგინება საბოლოო დასამტკიცებლად.

4. ბიუჯეტები რეგულარულად გადაისინჯება. ერთმანეთს უდარდება ბიუჯეტები და ფაქტობრივი შედეგები. გამოელენილ განსხვავებებს გადახრებს უწოდებენ.

რეალიზაციის ბიუჯეტები

ბიუჯეტის შედგენა - ფუნქციური ბიუჯეტები

ფუნქციური ბიუჯეტია შემოსავლების და/ან დანახარჯების ბიუჯეტი, რომელიც რომელიმე კონკრეტული ფუნქციისათვის გამოიყენება. თქვენ უნდა შეგეძლოთ შემდეგი მთავარი ფუნქციური ბიუჯეტების შედგენა:

- რეალიზაციის ბიუჯეტი;
- წარმოების ბიუჯეტი;
- ნედლეულისა და მასალის მოხმარების ბიუჯეტი;
- ნედლეულისა და მასალის შესყიდვის ბიუჯეტი;
- სამუშაო ძალის ბიუჯეტი;
- ზედნადები ხარჯების ბიუჯეტი.

რეალიზაციის ბიუჯეტები

ჩვენ ფუნქციური ბიუჯეტების შედგენას დავიწყებთ რეალიზაციის ბიუჯეტებიდან. რეალიზაციის ბიუჯეტები მარტივად მზადდება, რაშიც დარწმუნდებით შემდეგი საილუსტრაციო მაგალითიდან.

კომპანია უშვებს ორ პროდუქტს PS-სა და TG-ს. მომდევნო წლის ბიუჯეტში დაგეგმილია 5.000 ერთეული PS პროდუქტისა და 1.000 ერთეული T პროდუქტის რეალიზაცია. გეგმური რეალიზაციის ფასები შეადგენს $95-სა და $130-ს ერთეულზე, შესაბამისად.

მოგეთხოვებათ:

მოამზადოთ მომდევნო წლის რეალიზაციის ბიუჯეტი.

ამოხსნა:

	მთლიანი	PS	TG
რეალიზაცია (ერთეულები)	6.000	5.000	1.000
რეალიზაციის ღირებულება	$605.000	$475.000	$130.000

გაანგარიშებები:

რეალიზაცია--PS= 5.000 X $95 = $475.000

რეალიზაცია_TG= 1.000 X $130 = $130.000

წარმოების ბიუჯეტები

წარმოების დონეების გამოთვლა შესაძლებელია შემდეგნაირად:

გეგმური წარმოება= პროგნოზირებული რეალიზაცია + მზა პროდუქციის საბოლოო მარაგი – მზა პროდუქციის საწყისი მარაგი

კომპანია უშვებს ორ პროდუქტს - PS-სა და TG-ს. მომდევნო წლის პროგნოზირებული რეალიზაციის მოცულობა შეადგენს 5.000 ერთეულსა და 1.000 ერთეულს, შესაბამისად.

ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია კომპანიის საწყისი მარაგის დონისა და საჭირო საბოლოო მარაგის დონის შესახებ:

	PS ერთეულები	TG ერთეულები
საწყისი მარაგი	100	50
საბოლოო მარაგი	1.100	50

მოგეთხოვებათ:

მოამზადოთ მომდევნო წლის წარმოების ბიუჯეტი

ამოხსნა:

წარმოების ბიუჯეტი

	PS ერთეულები	T
რეალიზაციის ბიუჯეტი	5.000	1.000
+ საბოლოო მარაგი	1.100	50
– საწყისი მარაგი	(100)	(50)
გემური წარმოება ერთეულებში	6.000	1.000

მასალების ბიუჯეტი

არსებობს ორი ტიპის მასალები, რომლის გამოტანაც უნდა შეგეძლოთ მასალების მოხმარების ბიუჯეტი და მასალების შესყიდვის ბიუჯეტი.

- **მასალების მოხმარების ბიუჯეტი** მარტივი გამოსათვლელია: თითოეული პროდუქტის გეგმური წარმოების მოცულობა მრავლდება ერტეული პროდუქტის საწარმოებლად საჭირო მასალის რაოდენობაზე.
- **მასალების შესყიდვის ბიუჯეტი** შემდეგი ელემენტებისაგან შედგება:

მასალების შესყიდვის ბიუჯეტი= მასალების მოხმარების ბიუჯეტი საწყისი მარაგი

სამუშაო ძალის ბიუჯეტები

სამუშაო ძალის ბიუჯეტი არის პირდაპირი საათების ნამრავლი შრომითი დანახარჯების საათობრივ განაკვეთზე, როგორც ნაჩვენებია შემდეგ საილუსტრაციო მაგალითში.

კომპანია აწარმოებს ორ პროდუქტს - PS-სა და TG-ს. და მომდევნო წლისთვის დაგეგმილი აქვს 6.000 ერთეული PS პროდუქტის წარმოება და 1.000 ერთეული - TG პროდუქტის.

ქვემოთ მოცემულია მონაცემები კაცსაათების შესახებ, რომელიც საჭიროა PS და TG პროდუქტების საწარმოებლად.

მზა პროდუქცია:

	PS პროდუქტის ერთეულზე	TG პროდუქტის ერთეულზე
პირდაპირი კაცსთ	8	12

პირდაპირი შრომის ანაზღაურების ნორმატიული განაკვეთი = $5.20 სთ-ში.

მოგეთხოვებათ:

მოამზადოთ მომდევნო წლის სამუშაო ძალის ბიუჯეტი.

	საათები	$	
PS პროდუქტისათვის	6.000 X 8 სთ	48.000	
TG პროდუქტისათვის	1.000 X 12 სთ	12.000	
		60.0	$5.20	312.000

ზედნადები ხარჯების ბიუჯეტები

კომპანია აწარმოებს ორ პროდუქტს - PS-სა და TG-ს. და მომდევნო წლისთვის დაგეგმილი აქვს 6.000 ერთეული PS პროდუქტის წარმოება და 1.000 ერთეული - TG პროდუქტის.

შემდეგი ინფორმაცია ეხება მანქანასაათებს, რომელიც საჭიროა PS და TG პროდუქტების საწარმოებლად. ამასთან, ნორმატიული საწარმოო ზედნადები ხარჯები ერთ მანქანა/სთ-ზე მომდევნო წლის შესაფერისია.

	PS პროდუქტის ერთეულზე	TG პროდუქტის ერთეულზე
მანქანა-საათები	8	12

საწარმოო ზედნადები ხარჯები ერთ მანქანასთ-ზე:

ცვლადი	$ 1.54 ერთ მანქანა/სთ-ზე
მუდმივი	$ 0.54 ერთ მანქანა/სთ-ზე:

მოგეთხოვებათ:
გამოითვალოთ მომდევნო წლის ზედნადები ხარჯების ბიუჯეტი.
ამოხსნა:

ზედნადები ხარჯების ბიუჯეტი				**$**
ცვლადი დანახარჯები	60.000 სთ	X	$1.54	92. 400
მუდმივი დანახარჯები	60.00 სთ	X	0.54	32.400
				124.800

გაანგარიშებები:

მანქანასაათები PS პროდუქტისათვის = 6.000 ერთეული X 8 სთ = 48.000
მანქანასაათები TG პროდუქტისათვის = 1.000 ერთეული X 12 სთ = 12.000
მთლიანი მანქანასაათები = 48.000 + 12.000 = 60.000

მმართველობით აღრიცხვაში ბიუჯეტირების ქვეშ იგულისხმება დაგეგმვის პროცესი. ბიუჯეტი მზადდება წინასწარ, მომავალი პერიოდებისათვის. მაგალითად, მომავალი წლის ბიუჯეტი. ზოგჯერ ბიუჯეტი მზადდება სპეციფიკური პროექტებისათვის, რომლებიც უნდა განხორციელდეს. ამგვარად, ბიუჯეტი (ხარჯთაღრიცხვა) წარმოადგენს მომავალი კონკრეტული პერიოდისათვის ფინანსურად და რაოდენობრიულად გამოსახულ გეგმას მთლიანად საწარმოს ან მისი ქვედანაყოფის მიხედვით. ბიუჯეტი მზადდება იმ მიზნების, ამოცანების და საწარმოო პოლიტიკის ფარგლებში, რომელიც განსაზღვრულია საწარმოს მიერ მომავლისათვის.

დაგეგმვა-გადაწყვეტილების მიღების პროცესის განსაკუთრებული ტიპია, რომელიც ეხება არა ცალკეულ მოვლენას, არამედ მოიცავს კომპანიის მთლიან საქმიანობას. დაგეგმვის პროცესი უშუალოდ დაკავშირებულია კონტროლის პროცესთან.

დაგეგმვასა და კონტროლს საფუძვლად უდევს გასული პერიოდის ფინანსური და არაფინანსური ინფორმაცია. დაგეგმვისთვის აუცილებელი ფინანსური ინფორმაცია მოქცეულია ბუღალტრული აღრიცხვის სისტემაში.

განასხვავებენ მიმდინარე (მოკლევადიან) დაგეგმას (ხარჯთაღრიცხვა, ბიუჯეტების შემუშავება) ერთ წლამდე ხანგრძლივობით და პერსპექტიულს (ერთ წელზე მეტი ხნით). ჩვეულებრივ პერსპექტიული გეგმები მუშავდება 3-5 წელზე გათვლით, ხოლო ელექტრო ენერგეტიკასა და მრეწველობის მომპოვებელ დარგებში - უფრო ხანგრძლივ პერიოდზეც (20 წელი).

საწარმოს საქმიანობის დაგეგმვის განხილვისას საუბარი იქნება მოკლევადიან (სახარჯთაღრიცხვო) ბიუჯეტირებაზე.

ხარჯთაღრიცხვა (ან ბიუჯეტი) წარმოადგენს მომავალში შესასრულებელ საქმიანობაზე შექმნილ ფინანსურ დოკუმენტს ანუ ეს არის მომავალი ფინანსური ოპერაციების პროგნოზი.

ბიუჯეტში წარმოადგენს მოქმედებათა გეგმას, რომელიც პროექტების ან საქმიანობის სახეობების მიხედვით განზოგადებულია რაოდენობრივ გამოსახულებაში. მისი შედგენის შედეგად ცხადი ხდება, რა მოგებას მიიღებს კომპანია ამა თუ იმ გეგმის დამტკიცებით. ბიუჯეტის შედგენას კომპანიისათვის აქვს შემდეგი უპირატესობა:

1. როგორც სტრატეგიული, ასევე მიმდინარე დაგეგმვა საშუალებას იძლევა გაკონტროლდეს სამეურნეო საქმიანობის მიმდინარეობა.გეგმის არსებობის გარეშე მმართველი, მხოლოდ რეაგირებს მოვლენებზე,იმის მაგიერად, რომ აკონტროლოს იგი.

2. ბიუჯეტი ჩამოადგენს არა მმართველობითი კონტროლის ნაწილს, ქმნის საფუძვლებს როგორც მთლიანად კომპანიის, ასევე მისი ქვედანაყოფის საქმიანობის შედეგების შეფასებისათვის. ბიუჯეტის არ არსებობის შემთხვევაში, მიმდინარე მაჩვენებლების შედარება წინა (საბაზისო) მაჩვენებლებთან ყოველთვის არ იძლევა სწორი დასკვნის გაკეთების საშუალებას. მაგალითად: თუ წინა პერიოდის მაჩვენებლები ასახავდა საქმიანობის დაბალმწარმოებლურობას, ამ მაჩვენებლის გაუნჯობესება ნიშნავს, რომ საწარმომ დაიწყო უკეთესად მუშაობა, მაგრამ თავისი შესაძლებლობები არ ამოუწურავს.

3. ბიუჯეტი იძლევა კომპანიის სხვადასხვა ქვედანაყოფის საქმიანობის კოორდინაციის საშუალებას და მენეჯერებს საშუალებას აძლევს ააგონ თავიანთი საქმიანობა მთლიანად კომპანიის ინტერესების გათვალისწინებით.

4. ბიუჯეტი პასუხისმგებელი ცენტრებისა და მათი ხელმძღვანელების მიერ გეგმების შესრულების შეფასების საუძველია: მენეჯერების მუშაობა ფასდება ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის მიხედვით; ფაქტიურად მიღწეული შედეგების შედარება ბიუჯეტთან გვიჩვენებს იმ სტრუქტურულ ქვედანაყოფებს, დანახარჯთა ცენტრებს, რომელთაც მეტი ყურადღება და მოქმედება სჭირდებათ.

5. და ბოლოს, ბიუჯეტის საშუალებით ხორციელდება გადასახადების ანალიზი და ამ გადასახადების მიზეზების კვლევა.

კომპანიის მიერ ბიუჯეტის შედგენის პროცესს უწოდებენ საბიუჯეტო ციკლს, რომელიც შედგება შემდეგი ეტაპებისაგან:

- დაგეგმვა, პასუხისმგებლობის ყველა ცენტრის ხელმძღვანელის, მთელი საწარმოს საქმიანობის და აგრეთვე მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების მონაწილეობით;
- დაგეგმვისას გამოსაყენებელ მაჩვენებელთა განსაზღვრა.
- გეგმის კორექტირება, შეთავაზებული შესწორებების გათვალისწინებით.

განასხვავებენ ბიუჯეტების შემდეგ სახეებს:

ა) გენერალური და კერძო;

ბ) მოქნილი და სტატისტიკური.

ბიუჯეტს, რომელიც მოიცავს საწარმოს მთლიან საქმიანობას, ეწოდება გენერალური. მისი მიზანია გააერთიანოს და შეაჯამოს კერძო ბიუჯეტად წოდებული საწარმოს სხვადასხვა ქვედანაყოფის ხარჯთაღრიცხვები და გეგმები.

გენერალური ბიუჯეტის შედგენის შედეგად იქმნება:

- პროგნოზირებული ბალანსი;
- მოგება ზარალის გეგმა;
- ფულადი ნაკადების მოძრაობის პროგნოზი.

ნებისმიერი კომპანიის გენერალური ბიუჯეტი შედგება ორი ნაწილისაგან:

1) საოპერაციო ბიუჯეტი-მოიცავს მოგება ზარალის გეგმას, რომელიც დეტალიზებულია შემოსავლებისა და ხარჯების ცალკეულ მუხლებად.

2) ფინანსური ბიუჯეტი მოიცავს კაპიტალდაბანდებების ბიუჯეტებს, ფულადი სახსრების მოძრაობის გეგმას და პროგნოზირებად ბალანსს.

ფინანსური ანგარიშგებებისაგან განსხვავებით, რომლის ფორმატი ბასს-ით განსაზღვრულია, ბიუჯეტის ფორმა არ არის მკაცრად რეგლამენტირებული. მისი სტრუქტურა დამოკიდებულია დაგეგმვის ობიექტზე, კომპანიის მოცულობაზე და ბიუჯეტის შემმუშავებელთა კვალიფიკაციაზე.

ბიუჯეტში შემავალი ინფორმაცია უნდა იყოს მაქსიმალურად ზუსტი, მისი მომხმარებლებისათვის მნიშვნელოვანი და სასარგებლო.

ამ დოკუმენტისათვის დამახასიათებელია:

1) შეიცავს მხოლოდ მონაცემებს:

- შემოსავლების შესახებ,
  ხარჯების შესახებ,
  იმ შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ, რომელიც შეიძლება ყოველთვის არ იყოს დაბალანსებული:

2) მუშავდება ნებისმიერ საზომ ერთეულში როგორც ღირებულებით, ასევე ნატურალურ მაჩვენებლებში;

3) განისაზღვრება, როგორც მთლიანად კომპანიისათვის, ასევე მისი ქვედანაყოფისათვის – პასუხისმგებლობის ცენტრებისათვის, რაც საშუალებას იძლევა მოხდეს მათი მოქმედების კოორდინაცია.

ტიპიური სტრუქტურის მიუხედავად, გენერალური ბიუჯეტის ელემენტების ჩამონათვალი შეიძლება იყოს განსხვავებული (განსაკუთრებით მისი საოპერაციო ნაწილი), რაც მეტ წილად დამოკიდებულია კომპანიის საქმიანობის ტიპზე.

საწარმოს გენერალური ბიუჯეტი შედგება საოპრაციო და ფინანსური ბიუჯეტებისაგან. ორივე ბიუჯეტი მოიცავს ბიუჯეტის მთელ რიგ ურთიერთდაკავშირებულ, ურთიერთდამოკიდებულ და ურთიერთგანმაპირობებელ ნაწილებს.

ბიუჯეტის ფუნქცია, როგორც საწარმოს საქმიანობის კონტროლისა და შფასების ფუნქცია მთავრდება მაშინ, როცა პროგნოზირებადი მაჩვენებლები ხდება ფაქტიური.

სხვა სიტყვებით, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აუცილებელია შედგეს საწარმოს საქმიანობის ანგარიშგების საფუძველზე ანგარიში, რომელიც შედარებული იქნება პროგნოზირებადი და ფაქტიური მაჩვენებლები.

საწარმოს საქმიანობის საანალიზო მაჩვენებლებს შორის განსაკუთრებით საყურადღებოა მოგება. ნებისმიერი მმართველისათვის ძირითადს წარმოადგენს კითხვა: როგორია ფაქტიური მოგების გეგმიურიდან გადახრის მიზეზები? მასზე პასუხის გაცემა შეიძლება მოგების ფაქტორული ანალიზის გზით, რომელიც სრულდება ოთხ დონეზე - ნულოვანი პირველი, მეორე და მესამე. ანალიზის ყოველი მომდევნო დონე აკონკრეტებს წინამდებარე დონის მონაცემებს.

მოგების ანალიზის ნულოვანი დონე გეთავაზობს ფაქტიურად მიღწეული შედეგების შედარებას სტატიკური ბიუჯეტების მონაცემებთან, რომელიც გათვლილია ორგანიზაციის საქმიანი აქტივობის კონკრეტულდონეზე. სტატიკურ ბიუჯეტში მოგება და ხარჯი იგეგმება მხოლოდ რეალიზაციის განსაზღვრული გეგმიური დონიდან გამომდინარე.

სტატიკური ბიუჯეტის ფაქტიურად მიღწეულ შედეგებთან შედარებისას არ გაითვალისწინება ორგანიზაციის საქმიანობის რეალური დონე, ანუ ყველა ფაქტიური შედეგი ვერ დარდება პროგნოზირებულს რეალიზაციის მიღწეული მოცულობის მიუხედავად. ანალიზის ნულოვან დონეს საფუძვლად უდევს სტატიკური ბიუჯეტის შედარება ფაქტიურ შედეგებთან.

თავი 11

ანგარიშგება სეგმენტების მიხედვით

სეგმენტი (ლათინური სიტყვა სეგმენტუმ-დან) აღნიშნავს ნაწყვეტს, რაიმეს ნაწილს. სეგმენტების მიხედვით ანგარიშგება შეიძლება განისაზღვროს, როგორც ანგარიშგება, რომელიც ფორმირებულია კომპანიის ბიზნესის ცალკეულ სეგმენტზე. მისი შედგენის წესი გარე მომხმარებლისათვის რეგულირდება ბასს 14-ით.შიდა მომხმარებლისათვის ის პრაქტიკულად შემუშავებული არაა. მოცემული საკითხი არ არის განხილული არსებულ ნორმატიულ დოკუმენტებში.

შიდა სეგმენტების მიხედვით ანგარიშგების შედგენის პრობლემა უნდა იყოს ჩამოყალიბებული საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკაში. შიდა ბუღალტრული ანგარიშგება წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას.

ფინანსური ანგარიშგებისგან განსხვავებით, რომელიც შემუშავებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ბაზაზე და განკუთვნილია გარე მომხმარებლისათვის, სეგმენტების მიხედვით ანგარიშგება ფორმირდება შიდა მომხმარებლისათვის და უნდა იყოს დახურული. სამართლიანობისათვის აღვნიშნოთ, რომ ამ კანონმდებლობით გამყარებული თეზისის პრაქტიკაში დაცვა არ ხდება. საგადასახადო ორგანოებს, რომლებიც თავისი არსით წარმოადგენენ ბუღალტრული ინფორმაციის გარე მომხმარებელს პირდაპირ მიუწვდებათ ხელი მმართველობითი აღრიცხვისა და ანგარიშგების მონაცემებზე. როგორც გარე ფინანსური ანგარიშგების ინფორმაცია გამოიყენება საწარმოს ფინანსური მდგომარეობის,მისი საქმიანობის შედეგების ანალიზისათვის, სეგმენტების მიხედვით ანგარიშგების მონაცემები საშუალებას იძლევა შეფასდეს ბიზნესის ყოველი სეგმენტის მუშაობის ხარისხი. პასუხისმგებლობის ცენტრი თავის მხრივ წარმოადგენს საწარმოს მართვის სისტემის ნაწილს და როგორც ნებისმიერ სისტემას ახასიათებს რესურსების შემოდინება და გადინება. პასუხისმგებლობის ცენტრში შემოდის ნედლეული, მასალა, ნახევარფაბრიკატი. პასუხისმგებლობის ცენტრი განკარგავს საწარმოო საქმიანობისთვის აუცილებელ სიმდიდრეს-ძირითად საშუალებას. ფუნქციონირების პროცესში ქვედანაყოფი მოიხმარს შრომით რესურსებს; მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებისას სარგებლობს სხვა ორგანიზაციების მომსახურებით. პასუხისმგებლობის ცენტრის გასავალშია-ნახევარფაბრიკატები, პროდუქცია, მომსახურება, რომლებიც ან შედის შემდეგ პასუხისმგებლობის ცენტრში, ან რეალიზდება გარეშე საწარმოებზე.

სეგმენტების მიხედვით ანგარიშგების ინფორმაცია საშუალებას აძლევს კომპანიის ადმინისტრაციას გააკონტროლოს პასუხისმგებლობის ცენტრების საქმიანობა და ობიექტურად შეაფასოს ხელმძღვანელი მენეჯერების მუშაობა. მის საფუძველზე კეთდება დასკვნები ამა თუ იმ მენეჯერის პროფესიონალური სარგებლიანობის შესახებ, შემუშავდება მათი საქმიანობის შეფასების ფინანსური და არაფინანსური კრიტერიუმები, ფორმირდება ფირმის პერსონალის მატერიალური და მორალური წახალისება. ამ ამოცანის გადაჭრა რთულდება იმით, რომ ერთი მენეჯერის საქმიანობას შეუძლია გაელენა მოახდინოს სხვა ხელმძღვანელების საქმიანობაზე. მაგალითად, გაყიდვების საუკეთესო დილერები შეიძლება წინააღმდეგობას წააწყდნენ უხარისხო საქონლის გაყიდვისას. მისი ზემოქმედების მინიმიზაცია შეიძლება პასუხისმგებლობის ცენტრების საფუძველიანი შერჩევით.

გარდა ამისა, სეგმენტების მოხედვით ანგარიშგება მუშაობაში ეხმარება თვით მენეჯერებსაც. ნებისმიერი დონის ხელმძღვანელმა ყოველთვის უნდა იცოდეს რამდენად კარგად მუშაობს იგი. თუ გეგმები არ სრულდება, მან ამის შესახებ რაც შეიძლება ადრე უნდა შეიტყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მენეჯერი ვერ შეძლებს ქვედანაყოფის გეგმების კორექტირებას და დასახული მიზნები არარეალური აღმოჩნდება. ამრიგად, მკვეთრად დადგენილი კონტროლი საშუალებას მისცემს პასუხისმგებლობის ცენტრების ხელმძღვანელობას მიიღოს დასაბუთებული პერიოდული გადაწყვეტილება და გადახედოს მისთვის მინდობილი ქვედანაყოფის მიზნებს დაგეგმვის პერიოდში.

სეგმენტების მიხედვით ანგარიშგების ინფორმაცია გამოიყენება შემუშავებული მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების მიზნით. ამჟამად, ბევრი ქართული

საწარმოსათვის გადარჩენის საკითხი პირდაპირაა დაკავშირებული ბიზნესის გამსხვილების აუცილებლობასთან. ისევე როგორც ნებისმიერი სხვა მმართველობითი გადაწყვეტილება, რესტრუქტურიზაციის შესახებ გადაწყვეტილებაც დაფუძნებული უნდა იყოს საფუძვლიან შესწავლასა და არსებული ბუღალტრული ინფორმაციის ანალიზზე, რომელიც ფორმირებულია ბიზნესის სეგმენტების მიხედვით.საწარმოს ხელმძღვანელების რწმენა წარმოების დეცენტრალიზაციის განხორციელების აუცილებლობის შესახებ გამყარებული უნდა იყოს შესაბამისი ეკონომიკური გაანგარიშებებით.

ამასთან ერთმანეთს უნდა შეუდარდეს საწარმოს ფუნქციონალური სტრუქტურის ეფექტიანობის მინიმუმ ორი ვარიანტი - არსებული (საბაზისო) და პროექტით (დეცენტრალიზაციის განხორციელების შემდეგ) ფორმირებული. ასეთი შეჯერება შესაძლებელია მხოლოს რესტრუქტურებულ საწარმოში სეგმენტური აღრიცხვისა და ანგარიშგების არსებობისას.

და ბოლოს, სეგმენტების მიხედვით ანგარიშგებების შედგენის საკითხები პირდაპირკავშირშია ტრანსფერულ ფასწარმოქმნასთან. ამ ფასების ბაზაზე ფორმირდება სეგმენტის ანგარიშგება. საწარმოს მიერ შემუშავებული ტრანსფერული ფასების დასაბუთებულობის ხარისხზეა დამოკიდებული საწარმოს სტრუქტურული ქედანაყოფის მუშაობის ხარისხის შეფასების ობიექტურობა.

ბუღალტრული ანგარიშგების ფორმირებისა და წარდგენის ამოცანების თვალსაზრისით შეიძლება ითქვას კომპანიის სეგმენტებზე, რომელთა მიხედვითაც:

- აუცილებელია გარე ანგარიშგების შედგენა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- მმართველობითი ბუღალტრული აღრიცხვის სისტემაში დგება შიდა (სეგმენტური) ანგარიშგება.

შიდა მომხმარებლებისათვის სეგმენტების მიხედვით ანგარიშგების შედგენის პირობები და პრინციპები

მმართველობითი აღრიცხვის ინფორმაციის გადამუშავების შედეგად დგება შიდა (სეგმენტების მიხედვით) ანგარიშგება, რომელიც დგება ბუღალტრის მიერ და წარედგინება მართვის ყველა დონიდ მენეჯერს. ანგარიშგების შედგენის ძირითად მიზანს წარმოადგენს ყველა დაინტერესებული შიდა მომხმარებლის უზრუნველყოფა აუცილებელი ინფორმაციით.

ეკონომიკურ ლიტერატურაში მოცემულია სხვადასხვა რეკომენდაცია სეგმენტების მიხედვით ანგარიშგების შედგენის საკითხებზე. მათი ანალიზი და განზოგადება საშუალებას იძლევა გაკეთდეს ზოგიერთი დასკვნა.

1. შიდა ანგარიშგებას უნდა ჰქონდეს ადრესატი და უნდა იყოს კონკრეტული.ის არ მოიტანს სასურველ შედეგებს, თუ:

- ინფორმაცია გროვდება გაყიდვების მოცულობის ან ხარჯების განსაზღერისათვის და დაკავშირებული არაა შემოსავლების ან დანახარჯების ცენტრის კონკრეტული მენეჯერების საინფორმაციო მოთხოვნებთან;
- განკუთვნილი იქნება არა კონკრეტული მენეჯერისათვის, არამედ ყველა დონის ხელმძღვანელისათვის;
- ინფორმაცია იქნება ზოგადი.ეფექტური მმართველობითი კონტროლი მოითხოვს კონკრეტული საანგარიშგებო ინფორმაციის არსებობას.

2. მმართველობითი გადაწყვეტილების მისაღებად ხელსაყრელია ოპერატიული ინფორმაცია. დაუშვებელია, რომ ბუღალტრის მიერ შედგენილი ანგარიშგება შემოიდოს თაროზე. შესაბამისად, ანგარიშგება საინტერესო უნდა იყოს მენეჯერისათვის, ამიტომ ის უნდა წარედგინოს „მიმზიდველი ფორმატით".

შიდა ანგარიშგების შედგენისას უნდა იქნეს გათვალისწინებული მენეჯერის ფსიქოლოგიური თავისებურებებიც.

3. წარსულში ჩაღრმავება არ ღირს; უფრო ხელსაყრელია იმ ინფორმაციის ძიება, რომლის გამოყენება საშუალებას მოგეცემს გაუმჯობესდეს პასუხისმგებლობის ცენტ-

რის შემდგომი მუშაობა. ძირითადად ყურადღება ექცევა წარსულში დაშვებულ შეცდომებს, მათი მიზეზების გამოვლენას და სხვა.

4. არ არის მიზანშეწონილი ძალიან ხშირად შეიცვალოს სეგმენტების მიხედვით ანგარიშების ფორმატი.

5. არ არის მიზანშეწონილი ანგარიშგების გადატვირთვა გაანგარიშებებით. მმართველს სჭირდება მონაცემების მინიმალური მოცულობა, მაგრამ ეს მონაცემები ისე უნა იყოს სისტემატიზირებული, რომ მასში შემავალი ინფორმაციის საფუძველზე ხელმძღვანელმა შეძლოს ოპტიმალური მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება.

6. ანგარიშგებამ უნდა მოიცვას მთავარი. ანგარიში, რომელიც შეიცავს მენეჯერისათვის არა საჭირო ინფორმაციას, ამცირებს მმართველობითი კონტროლის ხარისხს.

წერილობითი ანგარიშგების შედგენისას მმართველობითი კონტროლი გულისხმობს ბუღალტერის გასაუბრებას ყველა დონის მენეჯერთან.

შიდა ანგარიშგების შედგენის პერიოდულობა,მისი სიზუსტე,შერჩევადობა და წარდგენის ვადები ინდივიდუალურია და დამოკიდებულია მართვის ობიექტსა და მიზნებზე. ამ მიზნების გადაჭრისას თითოეული კომპანიის ადმინისტრაცია ხელმძღვანელობს ეკონომიურობის პრინციპით, რომლის მიხედვითაც ხარჯები არ უნდა აღემატებოდეს მისი გამოყენებიდან მიღებულ ეკონომიკურ ეფექტს.

დანახარჯთა ცენტრების მიხედვით ანგარიშგების შედგენას საფუძვლად უდევს საიმედოობისა და სამართლიანობის წარდგენის პრინციპი,საიდანაც გამომდინარეობს ორი დასკვნა:

- მენეჯმენტის დონის ამაღლების შესაბამისად მცირდება ანგარიშების დეტალურობა;
- ხელმძღვანელისათვის ანგარიშგება არ წარმოადგენს ქვედა დონის მენეჯერების ანგარიშგების შეჯამების შედეგს.

ნებისმიერი სეგმენტების მიხედვით ანგარიშგება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ფაქტიური მაჩვენებლების გეგმიურიდან გადახრის მიხედვით მართვის პრინციპის რეალიზება. გადახრების მიხედვით მართვა საშუალებას იძლევა:

1) ოპერატიულად გამოვლინდეს მოგების ზრდის ფაქტორები ან ზარალის წარმოშობის მიზეზები ქვედანაყოფის ან პროდუქციის სახეების მიხედვით.ასეთი ფაქტორები შეიძლება იყოს: წარმოების პირობები, საწარმოო სიმძლავრეების შეხღუდულობა, პროდუქციის ასორტიმენტი და ა.შ.

2) წარმოშობილ არასასურველ გადახრებზე პასუხისმგებლობის დადგენა.ჩვენს მიერ განხილული პრობლემის ფარგლებში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს გადახრების ანალიზი, რომლებიც წარმოიშვა ცალკეული სტრუქტურული ქვედანაყოფების მიხედვით.

დანახარჯთა სეგმენტების მიხედვით ანგარიშგების შედგენის ზემოთ ჩამოყალიბებული პრინციპები განვიხილოთ მანქანათმშენებელი კომპანიის მაგალითზე. ამ კომპანიაში არსებობს მმართველობის სამი დონე: მენეჯერების მიერ კონტროლირებადი დანახარჯთა ცენტრი; საამქროს ხელმძღვანელის მიერ კონტროლირებადი საამქროები; მთლიანად კომპანია ზედა დონის მენეჯერის ხელმძღვანელობით. გარდა ამისა, კომპანიის ზედა დონის მენეჯერი თავის მხრივ ექვემდებარება კომპანიის გენერალური დირექტორის მოადგილეს წარმოების დარგში.

თავი 12

კორპორაციის (საწარმოს) საძმიანობის ფინანსური ანალიზის მეთოდურ-პრაქტიკული ასპექტები

მენეჯერები სამეწარმეო პრაქტიკაში იყენებენ სხვადასხვა ფინანსურ საზომებს მწარმოებლურობის შესაფასებლად. ყველაზე გავრცელებული საზომებია: **მოგების კოეფიციენტები, ლიკვიდურობის კოეფიციენტები, კაპიტალიზაციის კოეფიციენტები, აქტიურობის კოეფიციენტები (იხ. ნახ. 10.1).**

მოგების კოეფიციენტები		
ინვესტიციის რენტაბელობა	წმინდა მოგება გადასახადებამდე / საერთო აქტივები	განსაზღვრავს, რამდენად ეფექტურად იყენებენ მენეჯერები ორგანიზაციულ რესურსებს მოგების მისაღებად.
მთლიანი მოგების მარჟა (რენტაბელობა)	შემოსავალი გაყიდვებიდან - ხარჯები / შემოსავალი გაყიდვებიდან	პროდუქტის გაყიდვით მიღებულ შემოსავალსა და მის წარმოებაზე დახარჯულ რესურსებს შორის სხვაობა
ლიკვიდურობის კოეფიციენტები		
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	მიმდინარე აქტივები / მიმდინარე ვალდებულებები	აქვთ თუ არა მენეჯერებს რესურსები მოკლევადიანი კრედიტორების მოთხოვნათა დასაფარად
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი	მიმდინარე აქტივები მატერიალური მარაგები / მიმდინარე ვალდებულებები	შეეძლიათ თუ არა მენეჯერებს მოკლევადიანი კრედიტორების მოთხოვნათა შესრულება სასაქონლო მარაგების გაყიდვის გარეშე
კაპიტალიზაციის კოეფიციენტები		
თანაფარდობა დავალიანების აქტივებთან	საერთო დავალიანებები / საერთო აქტივები	რა მოცულობით გამოიყენეს მენეჯერებმა ნასესხები ფონდები ინვესტიციების დასაფინანსებლად
საკუთარი სახსრებით პასივების დაფარვის კოეფიციენტი	მოგება საბანკო%-სა და გადასახ. გადახდამდე / საერთო საპროცენტო ხარჯები	განსაზღვრავს, რამდენად შეიძლება შემცირდეს მოგება, სანამ მენეჯერები ვერ დაფარავენ საპროცენტო გადასახადს. როდესაც თანაფარდობა 1-ზე ნაკლები ხდება, ორგანიზაცია ტექნიკურად გადახდისუუნარობაა
აქტიურობის კოეფიციენტები		
მარაგების ბრუნვა	გაყიდული საქონლის ღირებულება / მატერიალური მარაგები	განსაზღვრავს, რამდენად ეფექტურად შეუძლიათ მიმოქცევაში მარაგები მენეჯერებს, რომ არ მოხდეს ზედმეტი მარაგების დაგროვება.
დებიტორული დავალიანების დაფარვის ვადა	დებიტორული დავალიანება საერთო შემოსავალი გაყიდვებიდან / 360	განსაზღვრავს, რამდენად ეფექტურად აგროვებენ მენეჯერები შემოსავლებს მომხმარებლებისაგან ხარჯების დასაფარად.

ნახ. 10.1 მწარმოებლურობის ფინანსური საზომების სქემა

მოგების კოეფიციენტები აფასებს, თუ რამდენად ეფექტურად იყენებენ მენეჯერები ორგანიზაციის რესურსებს მოგების მისაღებად. შემოსავალი ინვესტიციაზე (ინვესტიციის რენტაბელობა) – ორგანიზაციის წმინდა შემოსავალი გადასახადების გადახდამდე გაყოფილი აქტივების საერთო რაოდენობაზე, არის ყველაზე ფართოდ გავრცელებული ფინანსური მწარმოებლურობის საზომი, ვინაიდან ის საშუალებას აძლევს მენეჯერებს, შეადარონ ერთი ორგანიზაციის საქმიანობის მწარმოებლურობა სხვა ორგანიზაციებისას. **ინვესტიციის რენტაბელობის კრიტერიუმი მენეჯერებს შესაძლებლობას აძლევს, შეაფასონ ორგანიზაციის კონკურენტული უპირატესობა.** მთლიანი მოგების მარჯა არის პროდუქტის გაყიდვით მიღებულ შემოსავალსა და მის წარმოებაზე დახარჯულ რესურ-სებს შორის სხვაობა. აღნიშნული კრიტერიუმი მენეჯერებს აწვდის ინფორმაციას, რამდენად ყაირათიანად იყენებს ორგანიზაცია მის რესურსებს და რამდენად მიმზიდველია მომხმარებლებისათვის პროდუქტი. ის ასევე საშუალებას აძლევს მენეჯერებს, შეაფასონ, რამდენად კარგად მუშაობს ორგანიზაცია კონკურენტული უპირატესობის შესაქმნელად.

ლიკვიდურობის კოეფიციენტები განსაზღვრავს, რამდენად კარგად აქვთ მომარაგებული მენეჯერებს ორგანიზაციული რესურსები მოკლევადიანი ვალდებულებების შესასრულებლად. მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი (მიმდინარე აქტივები გაყოფილი მიმდინარე პასივებზე) უჩვენებს მენეჯერებს, აქვთ თუ არა მათ აუცილებელი რესურსები მოკლევადიანი კრედიტორების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი აჩვენებს, შეუძლიათ თუ არა მათ აღნიშნული მოთხოვნების შესრულება მარაგების გაყიდვის გარეშე.

კაპიტალიზაციის კოეფიციენტები, როგორებიცაა დავალიანების აქტივებთან თანაფარდობა და საკუთარი სახსრებით პასივების დაფარეის კოეფიციენტი, აჩვენებს, თუ რა ხარისხით იყენებენ მენეჯერები ვალს (სესხულობენ ფულს) ან საკუთარ კაპიტალს (ახალი აქციების გამოშვებით) მიმდინარე საქიმანობის დასაფინანსებლად. ორგანიზაციას აქვს ნასესხები კაპიტალის მაღალი დონე, თუ ის გამოიყენებს უფრო მეტ სავალო ვალდებულებას, ვიდრე საკუთარ კაპიტალს. დავალიანება შეიძლება იყოს საკმაოდ სარისკო, როდესაც მოგება ვერ ფარავს დავალიანების საპროცენტო გადასახადს.

აქტიურობის კოეფიციენტები აჩვენებს, რამდენად შეუძლიათ მენეჯერებს ორგანიზაციული აქტივებისგან ღირებულების შექმნა. მარაგების ბრუნვა განსაზღვრავს, რამდენად ეფექტურად ახდენენ მენეჯერები მარაგების მიმოქცევას, რომ არ მოხდეს ზედმეტი მარაგების დასაწყობება. დებიტორული დავალიანების დაფარვის ვადა განსაზღვრავს, რამდენად კარგად აგროვებენ მენეჯერები შემოსავლებს მომხმარებლისაგან ხარჯების დასაფარად.

ფინანსური კოეფიციენტები იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

1) **მოკლევადიანი ლიკვიდურობის კოეფიციენტები** – ეხმარება კრედიტორებს გადაწყვეტილების მიღებაში,

2) **ვალის გადახდისუნარიანობის,** გრძელვადიანი კრედიტის გამცემები დაინტერესებულნი არიან საწარმოს მომგებიანობით და არა ლიკვიდურობით.

3) **ოპერაციული კოეფიციენტები** ეხმარება მენეჯმენტს საწარმოს მიმდინარე ოპერაციების დაგეგმასა და მართვაში,

4) **მომგებიანობის კოეფიციენტები** – საინტერესოა საწარმოს კომპანიის აქციონერებისა და გრძელვადიანი სესხის, კრედიტის გამცემისათვის,

5) **საბაზრო (დამფუძნებლების) კოეფიციენტები** საინტერესოა (საწარმოს) მეპატრონეებისათვის.

$$ROE = \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{საკუთარი კაპიტალი}}$$

ROE-ს შემადგენელი კომპონენტები

ROE *სამი ძირითადი კომპონენტისგან შედგება. ეს კომპონენტებია მოგების ზღვრული კოეფიციენტი (profit margin ratio), აქტივების ბრუნვადობის კოეფიციენტი (asset turnover) და ფინანსური ლევერიჯი (financial leverage):*

მოგების აქტივების ფინანსური

$$ROE = \text{ზღვრული კოეფიციენტი} \times \text{ბრუნვადობის კოეფიციენტი} \times \text{ლევერიჯი}$$

ზემოთმოყვანილი ფორმულით წარმოდგენილ ROE-ს კოეფიციენტს **დიუპონის** ტოლობას უწოდებენ, ვინაიდან ამ ფორმით ROE-ს გამოთვლის პოპულარიზაცია სწორედ კომპანია დიუპონმა მოახდინა. ამ ფორმულის გაანალიზების შემდეგ ნათელი ხდება, რომ **მენეჯმენტს გააჩნია** ROE-ზე გავლენის სამი სხვადასხვა ბერკეტი – მოგების ზღვრული კოეფიციენტი, აქტივების ბრუნვადობის კოეფიციენტი და ფინანსური ლევერიჯი, ანუ თუკი ამ რომელიმე სამი კომპონენტიდან ერთი მაინც გაიზარდა, შესაბამისად იზრდება ROE.

აქტივებზე უკუგების კოეფიციენტი – (ROA)

მას შემდეგ, რაც მიმოვიხილეთ აქტივების ბრუნვადობისა და მოგების ზღვრული კოეფიციენტები, გადავიდეთ კიდევ ერთ აქტივებზე უკუგების კოეფიციენტზე, რომელიც ზომავს წმინდა მოგებას კომპანიაში განხორციელებულ მთლიან ინვესტიციებთან მიმართებაში (Return on Assets)

$$ROA = \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{აქტივები}} = \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{გაყიდვები}} \times \frac{\text{გაყიდვები}}{\text{მთლიანი აქტივები}}$$

ამრიგად, ROA ზომავს თუ რა დამოკიდებულებაშია წმინდა მოგება იმ სახსრებთან მიმართებაში, რომლებიც კრედიტორებმა და აქციონერებმა გამოუყვეს საწარმოს ფუნქციონირებისათვის. სწორედ ამ მომენტით განსხვავდება ROA ROE-სგან, ვინაიდან ეს უკანასკნელი ანალოგიურ კოეფიციენტს მხოლოდ აქციონერების (და არა აქციონერებისა და კრედიტორების) მიერ გამოყოფილი კაპიტალის მიმართ აფიქსირებს.

ფინანსური ლევერიჯი (Financial Leverage)

$$\text{ფინანსური ლევერიჯი (FL)} = \frac{\text{მთლიანი აქტივები}}{\text{სააქციო კაპიტალი}}$$

ფინანსური ლევერიჯი გავლენას ახდენს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე და მიუთითებს თუ რა სიდიდით არის საწარმოს აქტივები დაფინანსებული სესხებით. მკითხველს შეიძლება გაუჩნდეს შეკითხვა, თუ რა კავშირშია ფინანსურ ლევერიჯთან სესხები, როდესაც ფორმულაში მხოლოდ აქტივები და სააქციო კაპიტალი ფიგურირებენ.

პასუხი მარტივია: – ფინანსური ლევერიჯის ზრდა მისი მნიშვნელობის შემცირების შედეგი შეიძლება იყოს. მნიშვნელის – სააქციო კაპიტალის შემცირება კი ავტომატურად იწვევს პასივების მეორე კომპონენტის – ვალდებულებების ზრდას. შესაბამისად, რაც უფრო მაღალია ვალდებულებების წილი, მით უფრო დაბალია სააქციონერო კაპიტალი და მაღალია ფინანსური ლევერიჯი და პირიქით, რაც უფრო მცირეა ფინანსური ლევერიჯი, მით უფრო მაღალია სააქციო კაპიტალის წილი პასივების შემადგენლობაში.

ზოგადად იმ კომპანიებს, რომლებიც სტაბილურ ბიზნეს-გარემოში მუშაობენ და გააჩნიათ სტაბილური შემოსავლები, თავისუფლად შეუძლიათ მაღალი ლევერიჯის კოეფიციენტის გამოყენება, ანუ უფრო თამამად სესხების აღება სააქციო კაპიტალის გამოშვების სანაცვლოდ.

ის კომპანიები კი, რომელთა შემოსავლების ნაკადები ცვალებადია, მაღალი ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტის არსებობის შემთხვევაში, შეიძლება სერიოზულ პრობლემებს წააწყდნენ სესხის ძირითადი თანხისა და დარიცხული საპროცენტო გადასახადების დაფარვის ვადის დადგომისას. კრედიტორებს აქვთ უფლება, საქმე სასამარ-

თლოს გადასცენ და მოითხოვონ მათი პარტნიორის გაკოტრებულად გამოცხადება. აქციონერების შემთხვევაში კი, თუ საწარმოს ვერ წაუვიდა საქმეები კარგად, შესაძლებელია აქციონერთა შეთანხმებით დივიდენდების გაცემის გადადება.

როგორც განვითარებული ქვეყნების ბიზნეს-პრაქტიკა უჩვენებს, მოგების ზღვრული და აქტივების ბრუნვადობის კოეფიციენტებისაგან განსხვავებით, საწარმოს ფინანსისტებს მაინცდამაინც არ ახარებთ ფინანსური ლევერიჯის ზრდა. როგორც წესი, კორპორაციების (საწარმოთა) ფინანსური მენეჯერები ცდილობენ, გამონახონ **ოქროს შუალედი** და იპოვონ აუცილებელი ბალანსი მოზიდულ კრედიტებსა და სააქციო კაპიტალს შორის.

ნაწილი II

მმართველობითი აუდიტი
(შიდა საფინანსო კონტროლის სისტემა)

თავი 1

ფინანსური კონტროლის მახასიათებლები საბაზრო ეკონომიკის პირობებში. ფინანსური კონტროლის პირითადი პრინციპები, ფუნქციები და ბარემო

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფინანსური პოლიტიკის ფორმირება-განხორციელებაში განსაკუთრებული როლი სახელმწიფოს ცენტრალურ საფინანსო ორგანოებს ენიჭება. ქვეყნის ძირითადი ინსტიტუციონალური სტრუქტურა ისე უნდა იყოს აგებული, რომ მართვა და კონტროლი

დეცენტრალიზებული გზით წარიმართოს, ამით სამინისტროებისა და უწყებების ქვეყნის ეკონომიკური სისტემის შესაბამისი ფინანსური ურთიერთობათა სიმკაცრისა, თუ ლიბერალიზაციის გზით მაღალი ეფექტიანობა მიიღწეყა.

შესაბამისად, ფინანსური პოლიტიკა – სახელმწიფოებრივი ღონისძიებათა ერთობლიობაა, რომლებიც მიმართულია ფინანსური რესურსების მობილიზაციისა და სახელმწიფოს ფუნქციებისა და ამოცანების შესასრულებლად, მათი განაწილებისა და გამოყენების უზრუნველსაყოფად.

ნებისმიერი ქვეყნის ფინანსური პოლიტიკის მთავარი ამოცანაა – შესაბამისი ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფილი იქნეს სახელმწიფოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ესა თუ ის პროგრამა.

საქართველოს ფინანსური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა ფინანსური ბაზრის შექმნა. ფინანსური ბაზრის გარეშე შეუძლებელია ქვეყნის ეკონომიკის ერთი სფეროდან მეორეში ფულადი საშუალებების თავისუფალი მოძრაობა. ამიტომ ფინანსური პოლიტიკის მთავარი ამოცანაა ხელი შეუწყოს ფინანსური ბაზრის ფორმირებას და მისი ინფრასტრუქტურის რამოყალიბებას.

საქართველოს ფინანსური პოლიტიკა ითვალისწინებს კაპიტალის ბაზრის ფორმირებას. ცნობილია, რომ კაპიტალის ბაზარი განისაზღვრება ორი ძირითადი – დროითი და ინსტიტუციონალური ნიშნით. პირველი ნიშნის პირობებში ბაზარი იყოფა ორ ელემენტად: ფულადი ბაზარი, ან მოკლევადიანი კაპიტალის ბაზარი (ფულადი საშუალებები გამოდის საგადასახდო საშუალებად) და საშუალოვადიანი, გრძელვადიანი კაპიტალის ბაზარი, რომელიც წარმოდგენილია ეკონომიკის განვითარებაში საინვესტიციო ფაქტორად. რაც შეეხება მეორე ნიშანს, აქ აუცილებელია გამოყენებული იქნეს მსოფლიო გამოცდილება, განსაკუთრებით აშშ-ის გამოცდილება, სადაც ჩამოყალიბდა კაპიტალების ბაზრის შედარებით მოქნილი, გაერცელებული და მრავალსაფეხურიანი სტრუქტურა.

ფინანსური პოლიტიკა უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებაში და მათ ტერიტორიულ განთავსებაში. ფინანსური პოლიტიკა ხელს უწყობს საერთაშორისო ურთიერთობათა განვითარებას.

მეცნიერულად დასაბუთებული ფინანსური პოლიტიკა, მისი სწორად და წარმატებით რეალიზაციის პირობებში დადებით შედეგებს იძლევა. განსაკუთრებით მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების საქმეში.

სახელმწიფოს ფინანსური პოლიტიკა შედგება სახელმწიფო საქმიანობის ორი ურთიერთდაკავშირებული მიმართულებისაგან: ა). საგადასახადო დაბეგვრის სფეროსა და ბ). სახელმწიფო ხარჯების სტრუქტურის რეგულირებისაგან, რათა მოახდინოს ეკონომიკაზე ზემოქმედება (ფისკალური პოლიტიკა) და ბიუჯეტის რეგულირების სფეროსაგან (საბიუჯეტო პოლიტიკა).

სახელმწიფოს ფისკალური პოლიტიკის ძირითადი ბერკეტია საგადასახადო განაკვეთების ცვლილებები მთავრობის მიზნებიდან გამომდინარე. გადასახადების გაელენა მთლიანი ეროვნული პროდუქტის მოცულობასთან ხორციელდება საგადასახადო მულტიპლიკატორის მექანიზმის მეშვეობით. მეორე შედგება

ფისკალური პოლიტიკისაგან – სახელმწიფო ხარჯების შეცელა. სახელმწიფო ხარჯები გაელენას ახდენს ერთობლივ მოთხოვნაზე ინვესტიციების ანალოგიურად და ინვესტიციების მსგავსად გააჩნია მულტიფლიკაციური ეფექტი.

ქვეყნის ფინანსური პოლიტიკის რეალიზაციისა და მისი ცხოვრებაში წარმატებით განხორციელებისათვის ფინანსური მექანიზმი გამოიყენება, რომელიც ეკონომიკური მექანიზმის შემადგენელი ნაწილია.

ფინანსური მექანიზმი არის იმ ფორმებისა და მეთოდების ერთობლიობა, რომლის მეშვეობითაც უზრუნველყოფილია განაწილებითი ურთიერთობანი, შემოსავლებისა და გადანაწილებითი ურთიერობანი, შემოსავლებისა და დაგროვების შექმნის, ფულადი საშუალებების ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული ფონდების შექმნა – გამოყენების განხორციელება.

ფინანსების მართვა მოიცავს საქმიანობას, რომელიც ეხება სახელმწიფოს მიერ საერთო საფინანსო პოლიტიკის გატარებას, ფინანსურ დაგეგმვას, ფინანსური რესურსების კოორდინაციას, ფინანსების ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ინტერესების სასარგებლოდ გამოყენებას, ფინანსური კანონმდებლობის დამუშავებას. აქვე შეიძლება ბიუჯეტის შედგენა – შესრულება, გადასახადების ამოღება, სახელმწიფო სესხების გამოშვება და სახელმწიფო ვალების მართვა. უშუალოდ სახელმწიფო მართვას მხოლოდ სახელმწიფო ფინანსები ექვემდებარება. ეს ურთიერთობა შემოიფარგლება მხოლოდ ფინანსური რესურსების იმ ნაწილის ფორმირებით, რომლის მობილიზაციაზე – აკუმულირებას ახდენენ, ერთი მხრივ, სახელმწიფო და მეორე მხრივ, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები, აგრეთვე სპეციალური სამთავრობო ფონდები და სახელმწიფო საწარმოები.

ნებისმიერ სახელმწიფოში ფინანსური მართვის **ობიექტების** შემდეგი ჯგუფები გამოიყოფა: სახელმწიფო ფინანსები, საწარმოთა და კორპორაციათა ფინანსები და სადაზღვეევო საქმე, რომლებსაც მართვის შემდეგი **სუბიექტები** შეესაბამება: სახელმწიფო საფინანსო ორგანოები და საგადასახადო სამსახურები, საწარმოები და კორპორაციების საფინანსო სამსახურები (სამმართველოები, განყოფილებები, ქვეგანყოფილებები) და სადაზღვეო ორგანოები. ყველა იმ ორგანიზაციული სტრუქტურების ერთობლიობას, რომლითაც ხორციელდება ფინანსების მართვა, ეწოდება საფინანსო აპარატი.

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულია **კონტროლის** სუბიექტების რაობა, მათი ინსტიტუციური მოწყობა და კომპეტენციის ფარგლები, მაგრამ არაა ურთიერთგამიჯნული კონტროლის სხვადასხვა სუბიექტების უფლება-მოსილებანი და პასუხისმგებლობა, მკაფიოდ დადგენილი არაა კონტროლის სხვადასხვა სუბიექტების როლი და ადგილი. ყოველივე ეს იწვევს სახელმწიფო საფინანსო კონტროლის არაეფექტიან ფუნქციონირებას, თუმცა სახელმწიფო საფინანსო კონტროლის განხორციელებაზე პოლიტიკური პასუხისმგებლობა საქართველოს კონტროლის პალატას ეკისრება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საჯარო სახსრების კანონიერად და ეფექტიანად ხარჯვის შეფასებისათვის აუცილებელია **სახელმწიფო საფინანსო კონტროლის ერთიანი სისტემის შექმნა**, ფინანსური კონტროლის სუბიექტებისა და ფინანსური კონტროლის ორგანიზაციის განსაზღვრა, საფინანსო კონტროლის სუბიექტების უფლებამოსილებების და ამ უფლებამოსილებათა განხორციელების წესების დადგენა და სახელმწიფო საფინანსო სტანდარტების განსაზღვრა. მაგრამ ამასთან, საფინანსო კონტროლი არა მხოლოდ საჯარო სახსრების მიღება-გამოყენების პასიური მეთვალყურე უნდა იყოს, არამედ მან საფინანსო დარღვევის აღკვეთის მიზნით გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ზომები, რითაც კონტროლის სუბიექტების პასუხისმგებლობა მათიეუ უფლებებთან შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი; კონტროლის სუბიექტებმა პასუხი უნდა აგონ საფინანსო დარღვევების აღკვეთაზე, რისვისაც მათ უნდა ჰქონდეთ საფინანსო ადმინისტრირების გამოყენების უფლება საჯარო დაწესებულებების მიმართ.

საგალდებულო აუდიტის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს შესაბამისი საჯარო დაწესებულებების ხელმძღვანელობას, რომელსაც უშუალოდ ახორციელებს შიდა საფინანსო კონტროლის სამსახური ან სახელმწიფო სექტორის აუდიტორი. შიდა საფინანსო კონტროლმა უნდა მოიცვას შიდა

პრევენციული და მიმდინარე საფინანსო კონტროლი და ამ შემთხვევაშიც, პასუხისმგებლობა დაეკისრება საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელობას.

საფინანსო ზედამხედველობა უნდა განახორციელონ შესაბამისმა სახელმწიფო ორგანომ და უნდა მოიცვას საფინანსო კონტროლის სისტემის საკანონმდებლო რეგულირება, ამ სისტემაზე ზედამხედველობა, საჯარო დაწესებულებების საფინანსო რევიზია და საფინანსო ადმინისტრირება.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე, საფინანსო კონტროლის განხორციელების ფორმებსა და წესებს. მისაღებად უნდა ჩაითვალოს საფინანსო კონტროლის განხორციელების შემდეგი **ფორმები:** საფინანსო დარღვევათა პრევენცია, მიმდინარე საფინანსო შემოწმება, რევიზია და საფინანსო ადმინისტრირება, რაც საფინანსო კონტროლის სუბიექტებმა უნდა განახორციელონ საქართველოს კონტროლის პალატის მიერ განსაზღვრული წესების შესაბამისად.

ამრიგად, სახელმწიფო საფინანსო კონტროლის სისტემის ჩამოსაყალიბებლად საჭიროა როგორც მთელი რიგი ნორმატიული აქტების მიღება, ასევე ორგანიზაციული ღონისძიებების გატარება, როგორიცაა, შიდა საფინანსო კონტროლის სამსახურების და საქართველოს კონტროლის პალატასთან შესაბამისი კადრების მოსამზადებელი ცენტრის შექმნა, რითაც საფუძველი ჩაეყრება სახელმწიფო სექტორის აუდიტორთა, შიდა საფინანსო კონტროლის მოსამსახურეთა მომზადება-ლიცენზირების პროცესს, ხოლო შიდა საფინანსო კონტროლის სამსახურების შექმნამ არ უნდა გამოიწვიოს დამატებითი საშტატო ერთეულების შემოღება, არამედ უნდა მოხდეს სტრუქტურული რეორგანიზაცია და ამით გამოირიცხოს ამ მხრივ დამატებითი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა.

კონტროლის როლი და მისი კაეშირი მართვის სხვა ფუნქციებთან ელინდება მიღებულ მმართველობით გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებაში. სწორედ სამართაი ობიექტის ფაქტიური მდგომარეობის კონტროლი იძლევა საშუალებას მართვის სუბიექტმა თაეისდროულად მოახდინოს რეაგირება მიმდინარე ცელილებებზე და აუცილებლობის შემთხვევაში კი, მმართველობით გადაწყვეტილებაში შეიტანოს სათანადო კორექტივები.

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ კონტროლის პროცესში ელინდება მმართველობით გადაწყვეტილებით განსაზღერულ მოთხოვნებთან შედარებით დაშვებული ცდომილებები, ამ გადახრათა გამომწვევი მიზეზები, დგინდება დამნაშავე პირები და ისახება ღონისძიებები არსებული ხარეზების აღმოფხერისა და მთელი სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის.

კონტროლის ფუნქციები, რომელიც არ შემოიფარგლება მხოლოდ ფაქტების უბრალო კონსტატაციით, საკმაოდ მრავალფეროვანია, კერძოდ:

– შესამოწმებელი ობიექტის ფაქტობრივი მდგომარეობის განსაზღერა და ანალიზი;

– ობიექტის ფაქტიური მდგომარეობის დასახულ მიზნებთან და ამოცანებთან შედარება;

– კონტროლს დაქვემდებარებული ობიექტების საქმიანობის შეფასება, მათ საქმიანობაში გამოელენილი დარღვევებისა და ნაკლოეანებების გამომწვევი სუბიექტური და ობიექტური მიზეზების ფაქტობრივი დადგენა და შეფასება;

– გამოელენილ დარღვევა-ნაკლოვანებების აღმოფხერისათვის ღონისძიებათა შემუშავება, რათა ობიექტის მომავალ საქმიანობაში არ განმეორდეს და თავიდან იქნეს აცილებული ადრე დაშეებული ხარეზები.

კონტროლის გამორჩეული ნიშანია ის, რომ იგი ყველა სახელმწიფო ორგანოების მიერ ხორციელდება დამოუკიდებლად, მიუხედავად მათი საქმიანობის, სახეებისა და ძირითადი ამოცანებისა, მაგრამ, ვინაიდან კონტროლი ხორციელდება კონკრეტული საგნობრივი შინაარსით, საკონტროლო საქმიანობის მოცულობა, ფორმები და მეთოდები დიფერენცირებულია როგორც მმართველობის სფეროსა და დარგების, ასევე მაკონტროლებელი ორგანოების ადგილით სახელმწიფო კონტროლის საერთო სისტემაში.

თუ გავითვალისწინებთ, რომ მართვა სოციალური თვალსაზრისით დაკავშირებულია ძალაუფლების კატეგორიასთან, კონტროლიც, როგორც მისი ერთ-ერთი ფუნქცია, აღნიშნული ხასიათის მატარებელია, რაც კონკრეტულად ელინდება მაკონტროლებელ ორგანოთა რიგ უფლებებში, კერძოდ:

– მისცეს კონტროლს დაქვემდებარებულ ობიექტს გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით დავალება, რომელიც სავალდებულოა შესასრულებლად;

– კომპეტენტური ორგანოების წინაშე დასვას დამნაშავე პირთა პასუხისმგებლობის საკითხი;

– რიგ შემთხვევებში უშუალოდ განახორციელოს სახელმწიფოებრიეი იძულების ღონისძიებები.

სახელმწიფო კონტროლის საერთო სისტემაში ფინანსურ კონტროლს განსაკუთრებული ადგილი უკავია. ეს ადგილი უპირველესად კონტროლის ობიექტით ანუ **სახელმწიფო ფინანსებით** განისაზღვრება.

სახელმწიფო ფინანსები ამ სიტყვის „ვიწრო" გაგებით არის სახელმწიფო ბიუჯეტი, მისი ფორმირებისა და გამოყენების სფეროები. ხოლო ამ სიტყვის „ფართო" გაგებით ის არის არა მარტო სახელმწიფო ბიუჯეტი, არამედ იმ სახელმწიფო ელემენტების ერთობლიობა, რომლებიც ქმნიან ქვეყნის ეროვნულ სიმდიდრეს. სახელმწიფო ფინანსები არ არის მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებასა და გამოყენებასთან დაკავშირებული მმართველობითი საქმიანობა, არამედ იგი ასევე მოიცავს ბუნებრივ რესურსებს, წარმოების, განაწილებისა და მოხმარების სფეროს სუბიექტების საწარმოო და სამეურნეო საქმიანობას. სახელმწიფო ფინანსების ცნებისადმი ამგვარი მიდგომისას სახელმწიფო ფინანსური კონტროლის არეალი არსებითად ფართოვდება და მისი ობიექტები ხდება არა მარტო ის ორგანიზაციები, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებს ხარჯავენ, არამედ ის ორგანიზაციებიც, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით ეროვნულ სიმდიდრეს იყენებენ.

ამრიგად, სახელმწიფო ფინანსური კონტროლი, ამ ცნების ფართო გაგებით, არის კონტროლი ეროვნული სიმდიდრის ფორმირება – გამოყენებასა და კელავწარმოებაზე.

სწავლულ ეკონომისტთა მიერ შემოთავაზებულია ფინანსური კონტროლის სხვადასხვა განმარტებები, რომელთაგან უდაო ყურადღებას იმსახურებს იმ სპეციალისტთა მოსაზრება, რომლებიც თვლიან, რომ „სახელმწიფო ფინანსური კონტროლი არის კონტროლის სუბიექტების კანონით გათვალისწინებული საქმიანობა – დადგენილი სტანდარტებისა და პროცედურების შესაბამისად შეამოწმონ, გამოაელინონ და ობიექტურად შეაფასონ საჯარო სახსრების მიღება-გამოყენების კანონიერება, მიზანშეწონილობა, ეფექტიანობა და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით მიიღონ გადაწყვეტილება საჯარო სახსრების უკანონოდ, მიზანშეუწონლად ან არაეფექტურად მიღება-გამოყენების აღკვეთის თაობაზე, შეიმუშაონ რეკომენდაციები მათ აღმოსაფხვრელად".

ფინანსური კონტროლი ობიექტურად აუცილებელია ნებისმიერ საზოგადოებაში სადაც ფულად-სასაქონლო ურთიერთობები არსებობს. დიდია მისი როლი საზოგადოებაში, სადაც ჭარბობს სახელმწიფო საკუთრება, რომელიც იმართება ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მეთოდებით, მაგრამ დემოკრატიულ საზოგადოებაში – მეურნეობრიობის საბაზრო ფორმების პირობებში, მისი როლი არსებითად იზრდება.

ფინანსური კონტროლის დიდი როლი საბაზრო ურთიერთობათა პირობებში განპირობებულია იმით, რომ სწორედ საბაზრო ეკონომიკა აყენებს წინა პლანზე სამეურნეო საქმიანობის მაღალი ეფექტიანობის აუცილებლობას, რის გამოც იზრდება ქვეყნის მატერიალური და ფინანსური რესურსების ფორმირების, დაცვის, რაციონალური და ეფექტიანი გამოყენების პროცესებზე კონტროლის მნიშვნელობა. კონტროლის განხორციელება ხელს უწყობს საფინანსო-სამეურნეო მმართველობის ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლებას. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო ორგანოების, იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ ფინანსური სამართლის ნორმების მკაცრი დაცვა პირველ რიგში სწორედ ფინანსური კონტროლის საშუალებით მიიღწევა, რაც, ბუნებრივია, კიდევ უფრო ზრდის საბაზრო ეკონომიკის პირობებში მის როლსა და მნიშვნელობას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მოქალაქეთა თუ მესაკუთრეთა მხრიდან სახელმწიფოსა და მმართველთა კონტროლის საქმეში ფინანსურ კონტროლს განსაკუთრებული ადგილი უკავია. მისი გამოყენება საშუალებას იძლევა უზრუნველყოფილი იქნეს საფინანსო-სამეურნეო სისტემის ფუნქციონირების

სტაბილურობა და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ეკონომიკაში კერძო ინვესტიციებისა და მოქალაქეთა პირადი სახსრების მოზიდვა და ჩართვა.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფინანსური კონტროლის ძირითად არსს წარმოადგენს:

– სახელმწიფოებრივი მმართველობის ეფექტიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური ურთიერთობის სუბიექტების მიერ საფინანსო კანონმდებლობის დაცვის შემოწმება;

– ქვეყნის საფინანსო სისტემის განმტკიცება;

– სახელმწიფოსადმი ერთიანი საფინანსო, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებაში ხელშეწყობა;

– საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოების, განაწილებისა და მოხმარების ყველა ეტაპზე ფინანსური რესურსების გამოყენების შიდა რეზერვების გამოვლენა.

ფინანსური კონტროლის ძირითადი მიზანია სახელმწიფო საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო ფინანსური სახსრებისა და სახელმწიფო საკუთრების კანონიერი, მიზნობრივი და ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფა.

უნდა აღინიშნოს რომ მართვა გულისხმობს პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე. ფინანსური კონტროლის ორგანიზაცია კი წარმოადგენს საზოგადოებრივი ფინანსური რესურსების მართვის საჭალდებულო ელემენტს.

კონტროლი არათვითმიზანი, არამედ რეგულირების სისტემის განუყოფელი ნაწილია, რომლის მიზანია მიღებული სტანდარტებიდან გადახრებისა და მატერიალური რესურსების ხარჯვის კანონიერების, ეკონომიურობისა და ეფექტიანობის დადგენილი პრინციპებიდან გადახრების უფრო ადრეულ სტადიაზე გამოვლენა, რათა განხორციელდეს მაკორექტირებელი ღონისძიებები, საჭირო შემთხვევაში დადგეს დამნაშავეთა პასუხისმგებლობის საკითხი, მოხდეს სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება, ან გატარდეს ღონისძიებები ასეთი დარღვევების მომავალში თავიდან აცილებისათვის.

ფინანსური კონტროლის ძირითადი ამოცანებია:

– სახელმწიფო ბიუჯეტისა და არასაბიუჯეტო ფონდების ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავლის სტატიების თაეისდროულ შესრულებაზე კონტროლის ორგანიზაცია და განხორციელება მოცულობის, სტრუქტურისა და მიზნობრიეი დანიშნულების მიხედვით;

– სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ექსპერტიზა და წლიური საბიუჯეტო კანონის კონტროლი;

– სახელმწიფო სახსრების მიზნობრივი და ეფექტიანი ხარჯვის კონტროლი;

– სახელმწიფო ბიუჯეტისა და არასაბიუჯეტო ფონდების ბიუჯეტის შემოსავალ-გასავლის სტატიების დასაბუთების შეფასება;

– სახელმწიფო ბიუჯეტისა და არასაბიუჯეტო ფონდების ბიუჯეტის დამტკიცებული მაჩვენებლებიდან გამოვლენილი გადახრების ანალიზი, ასევე მათი აღმოფხვრისა და მთელი საბიუჯეტო პროცესის სრულყოფის წინადადებათა მომზადება;

– სახელმწიფო ბიუჯეტისა და არასაბიუჯეტო ფონდების ბიუჯეტის სახსრების ბანკებში და სხვა საკრედიტო-საფინანსო დაწესებულებებში თაეისდროული მოძრაობის და კანონიერების კონტროლი;

– სახელმწიფო ბიუჯეტისა და არასაბიუჯეტო ფონდების სახსრების გამოყენების კუთხით სამინისტროებისა და უწყებათა საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება;

– ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სწორად წარმოების კონტროლი;

– საგადასახადო და საბიუჯეტო დისციპლინის განმტკიცება;

– სხვადასხვა დონის ბიუჯეტების საშემოსაელო ბაზის ზრდის რეზერვების გამოვლენა;

– ფინანსური ექსპერტიზა იმ კანონებისა და სხვა ნორმატიულ-სამართლებრიეი აქტების პროექტებისა, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან;

– ხელისუფლების ორგანოებისათვის ჩატარებული საკონტროლო საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება;

– უცხოეთის სახელმწიფოების სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ორგანიზაციებთან და საერთაშორისო კონტროლის ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;

– ფინანსური დისციპლინის განმტკიცების მიზნით პროფილაქტიკურ ღონისძიებათა ჩატარება და სხვა.

ფინანსური კონტროლის ამოცანების წარმატებით რეალიზაციისათვის კონტროლი ხორციელდება შემდეგი მიმართულებით:

ა) საგადასახადო სფეროში მოქმედი კანონმდებლობის დაცვაზე;

ბ) სახელმწიფო დოტაციების, საგადასახადო შეღავათებისა და სხვა უპირატესობების გამოყენების კანონიერებაზე;

გ) საფინანსო დისციპლინის დაცვაზე;

დ) ბუღალტრული აღრიცხვის სწორად წარმოებაზე;

ე) მატერიალური და ფულადი სახსრების შენახვაზე;

ვ) სახელმწიფო რესურსების ეკონომიურად გამოყენებაზე;

ზ) ბანკებში და სხვა საფინანსო-საკადრო დაწესებულებებში სახელმწიფო სახსრების მოძრაობაზე;

თ) საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივ და ეკონომიკურ ხარჯვაზე;

ი) სახელმწიფო ქონების გამოყენების ფინანსურ ეფექტიანობაზე;

კ) პრივატიზაციის სისწორესა და კანონიერებაზე;

ლ) სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციების ფინანსური, შრომითი და მატერიალური რესურსების მდგომარეობაზე და გამოყენებაზე.

ამრიგად, ფინანსური კონტროლის ***მიზანი*** და ***ამოცანები*** განსაზღვრავენ მის ძირითად ფუნქციებს, რომელთა კლასიფიკაცია შეიძლება განხორციელდეს ორი ნიშნით: პირველი – ფინანსური კონტროლის სოციალური და საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე და მეორე – საკუთრივ, კონტროლის ფუნქციების შინაარსობრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე.

კონტროლის ფუნქციების პირველი ნიშნით კლასიფიკაცია გულისხმობს სოციალურ მართვას, პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, დემოკრატიას და სამართლებრივ რეგულირებას, მაგრამ ფინანსური კონტროლის აქტიური როლი სახელმწიფო კონტროლის საერთო სისტემაში ვლინდება მის სპეციფიკურ ფუნქციებში, რომლებიც მთელი სოციალური სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას უზრუნველყოფენ.

ფინანსური კონტროლის სპეციფიკური ფუნქციებია:

1. დარღვევა-ნაკლოვანებათა გამოვლენა;
2. დარღვევა-ნაკლოვანებათა გამომწვევი მიზეზების ანალიზი;
3. კონტროლის ობიექტების საქმიანობის კორექცია;
4. საფინანსო დარღვევათა პრევენცია;
5. სამართალდაცვა.

დარღვევა-ნაკლოვანებათა გამოვლენა გულისხმობს საქმიანობის ფართო სპექტრს; პირველ რიგში ესაა სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების გამოყენების სფეროში დადგენილი სტანდარტებისა და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულებაში გადახრების დადგენა; ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ფორმირებასა და ხარჯვითი ნაწილის გამოყენებაში დაშვებული დარღვევები; ასევე, დარღვევები სამინისტროთა, უწყებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობაში.

დარღვევა-ნაკლოვანებათა გამომწვევი მიზეზების ანალიზი – კონტროლის ეს ფუნქცია გულისხმობს იმ ფაქტების შესწავლა-გამოკვლევას, რომლებმაც კონკრეტული დარღვევები გამოიწვიეს და რის გამოც უნდა დადგინდეს ამ დარღვევა-ნაკლოვანებათა გამომწვევი სუბიექტური მიზეზები.

კორექციის ფუნქცია – მდგომარეობს როგორც ბიუჯეტის ფორმირებასა და გამოყენების პროცესში, ასევე საწარმოთა და ორგანიზაციათა სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის პროცესში გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებათა შემუშავებაში.

პრევენციის ფუნქცია – მაკონტროლებელი ორგანოების მიერ ხორციელდება წინასწარ, საფინანსო სახსრების უკანონო, არამიზნობრიეად და არაეფექტიანად ხარჯვის თავიდან აცილების მიზნით.

ფინანსური კონტროლის განხორციელება ეფუძნება იმ პრინციპებს, რომლებიც ასევე დამახასიათებელია მართვისათვის, მაგრამ ეს პრინციპები ხასიათდებიან იმ თავისებურებებით, რასაც თავად ფინანსური კონტროლის ფუნქციები ითვალისწინებენ.

ფინანსური კონტროლის ძირითადი პრინციპებიდან უნდა გამოიყოს:

გეგმიურობის, სისტემურობის, უწყვეტობის, დემოკრატიული ცენტრალიზმის, კანონიერების, პასუხისმგებლობის, ობიექტურობის, საჯაროობისა და ეფექტიანობის პრინციპები.

გეგმიურობის პრინციპი გულისხმობს იმას, რომ ფინანსური კონტროლის განმხორციელებელი სუბიექტები მთელ თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ საკონტროლო ღონისძიებათა ჩატარების თეორიული, კვარტალური და წლიური გეგმების საფუძველზე.

სისტემურობის პრინციპი ნიშნავს იმას, რომ საკონტროლო ღონისძიებათა ჩატარებისას განხილულ უნდა იქნას კონტროლის ობიექტის საქმიანობის ყველა მხარე და მმართველობის ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სტრუქტურებთან მისი ურთიერთკავშირის მთელი სისტემა.

უწყვეტობის პრინციპი გულისხმობს, რომ კონტროლის ყველა ობიექტი ექვემდებარება კონტროლის სუბიექტების მიერ წინასწარ ოპერატიულ და პერიოდულად – შემდგომი კონტროლის მუდმივ განხორციელებას გამომდინარე იმ ვადებიდან, რომლებიც დგინდება მათი საქმიანობის პირობების, ხასიათისა და თვისებებიდან; ამასთან, სისტემურობისა და უწყვეტობის პრინციპები ასევე გულისხმობენ საკონტროლო ღონისძიებათა პერიოდულ ჩატარებას ერთსა და იმავე ორგანიზაციასა და დაწესებულებაში, მათ შორის, განმეორებით შემოწმებას ადრე გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით.

დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი ითვალისწინებს იმას, რომ ზემდგომი ორგანოს გადაწყვეტილება სავალდებულოა ქვემდგომისათვის, რაც გულისხმობს კონტროლის გეგმების შესრულებაზე ერთიანი ხელმძღვანელობის ადგილებზე ოპერატიულობასთან და აქტივობასთან შეთანაწყობას და მართვის თითოეული ორგანოს და თანამდებობის პირის პასუხისმგებლობის ამაღლებას.

კანონიერების პრინციპი, როგორც ფინანსური კონტროლის ერთ-ერთი საკვანძო პრინციპი, გულისხმობს იმას, რომ სახელმწიფო და ყველა მისი ორგანო, მათ შორის, მაკონტროლებელნი, მოქმედებენ კანონიერების საფუძველზე, უზრუნველყოფენ საზოგადოებისა და მოქალაქეთა ინტერესების დაცვას. ფინანსური კონტროლის განმხორციელებელი ორგანოები მათი ხელმძღვანელი მუშაკები, თავიანთი მოვალეობის შესრულებისას განუხრელად უნდა იცავდნენ ქვეყნის კონსტიტუციასა და მოქმედ კანონებს, ასევე იმ ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების მოთხოვნებს, რომლებიც განსაზღვრავენ მათ უფლებებსა და პასუხისმგებლობას.

პასუხისმგებლობის პრინციპით კი გათვალისწინებულია რეგლამენტირებული კანონებისა და სამართლებრივი აქტების დაცვისა და ფინანსური კონტროლის ინფორმაციული ბაზის უტყუარობაზე პასუხისმგებლობის უზრუნველყოფა.

ობიექტურობის პრინციპი ფინანსური კონტროლის უმნიშვნელოვანესი პრინციპია, რადგან შემოწმებას დაქვემდებარებული ობიექტის სწორი, სრული და ობიექტური შემოწმების გარეშე შეუძლებელია კონტროლის შედეგების საფუძველზე სწორ გადაწყვეტილებათა მიღება.

ამასთან, აღნიშნული პრინციპი ითვალისწინებს, აგრეთვე კონტროლით გამოვლენილი ფაქტების კანონთან, ძირითად დებულებებთან და ინსტრუქციებთან, ასევე, ხელმძღვანელ ორგანოთა განკარგულებებთან შედარებისას, კონტროლის სუბიექტების მიერ კვალიფიციურ და მიუკერძოებელ მიდგომას.

საჯაროობის პრინციპის არსი მდგომარეობს იმაში, რომ კონტროლის შედეგები ყოველთვის ეცნობება შემოწმებული კოლექტივის მართვის ზემდგომ ორგანოს, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში – მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსაც.

კონტროლის შედეგებისა და მის მიმართ მიღებულ გადაწყვეტილებათა საჯაროობა მობილიზაციას უკეთებს კოლექტივს გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და მათზე დაკისრებულ მოვალეობათა წარმატებით განხორციელების საქმეში.

ეფექტიანობის პრინციპი ვლინდება დადგენილი მოთხოვნებიდან გადახრების მიზეზების და დამნაშავე პირების სრულად და ოპერატიულად გამოვლენაში, ასევე, დაშვებული უარყოფითი შედეგების თავისდროულად გამოსწორებასა და მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურებაში.

ფინანსური კონტროლის გარემო აერთიანებს შემდეგ ელემენტებს, კერძოდ:

1. პატიოსნება და ზნეობრივი ფასეულობების ინფორმირება თანამშრომელთათვის და პრაქტიკაში გატარება. შიდა კონტროლის ეფექტიანობის მიღწევა წარმოუდგენელია იმ ადამიანთა პატიოსნებისა და ზნეობრივი ფასეულობების გარეშე, რომლებიც მას ქმნიან, ასრულებენ და მონიტორინგს უწევენ. პატიოსნება და ზნეობრივი ფასეულობები კონტროლის გარემოს არსებითი ელემენტებია, რომლებიც გაელენას ახდენს შიდა კონტროლის სხვა ელემენტების კონსტრუქციაზე, ადმინისტრირებისა და მონიტორინგის პროცესებზე. პატიოსნება და ზნეობრივი ყოფაქცევა წარმოადგენს კომპანიის ზნეობრივი და ქცევის ნორმების პროდუქტს, კერძოდ, როგორ ხდება ამ ნორმების შესახებ ინფორმაციის მიწოდება თანამშრომლებზე და როგორ ტარდება პრაქტიკაში. ამაში შედის ხელმძღვანელობის ქმედებები, რომლებიც მიმართულია ისეთი მაიძულებელი და მაცდუნებელი პირობების აღმოფხვრასა და შემცირებაზე, რამაც შესაძლოა თანამშრომლებს უბიძგოს უპატიოსნო, კანონსაწინააღმდეგო ან უზნეო საქციელისკენ. ასევე, ზემოაღნიშნული ნორმები ითვალისწინებს კომპანიის ფასეულობებისა და ყოფაქცევის სტანდარტების ინფორმირების საკითხს თანამშრომელთათვის კომპანიის პოლიტიკის შესახებ დადგენილებების და ქცევის კოდექსისა და პირადი მაგალითის მეშვეობით;

2. კომპეტენტურობის ვალდებულება. კომპეტენცია არის იმ ამოცანების შესასრულებლად საჭირო აუცილებელი ცოდნა და კვალიფიკაცია, რომლითაც განისაზღვრება პიროვნების სამუშაო. კომპეტენტურობის ვალდებულება მოიცავს ხელმძღვანელობის მოსაზრებებს ცალკეული სამუშაოს კომპეტენციის დონეებისა და იმის შესახებ, როგორ ხდება ამ კომპეტენციის გარდაქმნა და მისადაგება აუცილებელ კვალიფიკაციასა და ცოდნასთან.

3. მმართველი ორგანოების მონაწილეობა. კომპანიის კონტროლის შეგნებაზე მნიშვნელოვან გაელენას ახდენს მმართველი სტრუქტურები. მმართველი ორგანოების მუშაკთა დამახასიათებელი ნიშნებია ხელმძღვანელობისაგან დამოუკიდებლობა, მათი გამოცდილება და ფასი, რა დონეზე და რამდენად ყურადღებით მონაწილეობენ ამ საქმიანობაში, მათი მოქმედების მართებულობა, ინფორმაცია, რომელსაც ისინი იღებენ, დონე, რომელზეც რთული საკითხები წამოიჭრება და გვარდება ხელმძღვანელობასთან ერთად, ასევე მათი ურთიერთქმედება შიდა და გარე აუდიტორებთან.

მმართველ სტრუქტურებზე დაკისრებული პასუხისმგებლობის მნიშვნელობა აღიარებულია პროფესიული პრაქტიკის კოდექსებში, ან სხვა მარეგულირებელ წესებში და ინსტრუქციებში, რომლებიც შექმნილია მმართველი ორგანოებისათვის. მმართველ სტრუქტურებს სხვა ვალდებულებებიც აკისრიათ: ზედამხედველობის გაწევა საჯაროობის პროცედურების კონსტრუქციასა და ეფექტურ ფუნქციონირებაზე და კომპანიის მიერ გამოყენებულ შიდა კონტროლის მიმოხილვის პროცესზე;

4. ხელმძღვანელობის ფილოსოფია და მუშაობის სტილი. ხელმძღვანელობის ფილოსოფია და მუშაობის სტილი მოიცავს ფართო სპექტრის მახასიათებლებს. ამ მახასიათებლებში შეიძლება გაერთიანდეს: ხელმძღვანელობის მიდგომა ბიზნესრისკების გამოვლენისა და მონიტორინგის საკითხზე. ხელმძღვანელობის პოზიცია და ქმედებები ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის საკითხთან მიმართებით; ხელმძღვანელობის პოზიცია ინფორმაციის დამუშავების პროცესთან, ბუღალტრული აღრიცხვის ფუნქციებთან და კადრებთან მიმართებით;

5. ორგანიზაციული სტრუქტურა. კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა ქმნის ჩარჩოებს, რომლის ფარგლებშიც იგეგმება, ხორციელდება, კონტროლდება და მიმოხილება კომპანიის მთრული მიზნების მისაღწევად საჭირო ღონისძიებები. მიზნისათვის შესაფერისი ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნა მოიცავს უფლება-მოსილებისა და პასუხისმგებლობის სფეროების, აგრეთვე ძირითადი საანგარიშგებო

არხების განხილვას. ყოველი კომპანია ორგანიზაციულ სტრუქტურას თავისი მოთხოვნილებების შესაბამისად შეიმუშავებს. კომპანიის

ორგანიზაციული სტრუქტურის ადეკვატურობა ნაწილობრივ დამოკიდებულია კომპანიის სიდიდესა და მისი საქმიანობის თავისებურებებზე;

6. უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლობის განაწილება. ეს ფაქტორი მოიცავს: როგორ არის განაწილებული უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა საოპერაციო საქმიანობაში და როგორ არის ფორმირებული საანგარიშგებო ურთიერთობებისა და უფლებამოსილებების იერარქია. ასევე მოიცავს პოლიტიკას, რომელიც ეხება ბიზნესის წარმართვის პრაქტიკულ მექანიზმებს, წამყვანი პერსონალის ცოდნასა და გამოცდილებას და მოვალეობის შესასრულებლად საჭირო რესურსებს. გარდა ამისა პოლიტიკასა და იმ საკომუნიკაციო საშუალებებს, რომელთა დანიშნულებაა იმის უზრუნველყოფა, რომ მთელ პერსონალს გაგებული ჰქონდეს კომპანიის მიზნები, იცოდნენ, რა წვლილი შეაქვთ ამ მიზნების განხორციელებაში და გაცნობიერებული ჰქონდეთ, როგორ და რაზე არიან ანგარიშვალდებულები;

7. საკადრო პოლიტიკა და პრაქტიკა. საკადრო პოლიტიკა და პრაქტიკა ეხება კადრების შევსების, ორიენტაციის, სწავლების, შეფასების, რეკომენდაციების გაწევის, სტიმულირების, ანაზღაურებისა და დისციპლინარულ ღონისძიებებს. მაგალითად, ქველაზე მაღალი კვალიფიკაციის პიროვნებების სამუშაოზე მიღების სტანდარტები – განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება საბაზო განათლებაზე, წინა სამუშაოს გამოცდილებაზე, წარსულ მიღწევებსა და მტკიცებულებებზე მისი პატიოსნებისა და ზნეობრივი ყოფაქცევის შესახებ იმის მაჩვენებელია, რომ კომპანიას ვალდებულება აქვს კომპეტენტური და ნდობის ღირსი კადრების აყვანაზე. სწავლების პოლიტიკა, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს სამომავლო ფუნქციებსა და პასუხისმგებლობას და მოიცავს სასწავლო კურსებს და სემინარებს, გეიჩვენებს შედეგებისა და ყოფაქცევის სავარაუდო დონეებს. სტიმულირების პროცედურები, რომელიც ეყრდნობა თანამშრომელთა შედეგების პერიოდულ შეფასებებს, იმაზე მეტყველებს, რომ კომპანიას აქვს ვალდებულება, კვალიფიციური პერსონალი დააწინაუროს პასუხისმგებლობის უფრო მაღალ დონეზე.

აუდიტორი კონტროლის გარემოს ელემენტების გაცნობისას, ასევე განიხილავს დანერგილია თუ არა ისინი პრაქტიკაში. აუდიტორი შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ერთობლივად მიმართავს გამოკითხვებსაც და რისკის შესაფასებელ სხვა პროცედურებსაც. მაგალითად, დამამტკიცებელი გამოკითხვების ჩატარება დაკვირვების ან დოკუმენტების დათვალიერების გზით. ზოგადად, ხელმძღვანელობისა და თანამშრომელთა გამოკითხვებით აუდიტორმა შესაძლოა გაიგოს, რა მეთოდს იყენებს ხელმძღვანელობა ბიზნესის წარმართვის პრაქტიკული მეთოდებისა და ეთიკური ქცევის შესახებ თავისი მოსაზრებების დასაყვანად თანამშრომლებამდე. აუდიტორი განსაზღვრავს დანერგილია თუ არა კონტროლის პროცედურები და ამ მიზნით განიხილავს, დადგენილი აქვს თუ არა ხელმძღვანელობას ოფიციალური ქცევის კოდექსი და როგორ ამოქმედებს მას – ხელს უწყობს კოდექსის დაცვას თუ პატიობს დარღვევებს ან ნებადართულ გადახრებს კოდექსიდან.

კონტროლის გარემოს შესახებ აუდიტორული მტკიცებულებები შესაძლოა არ არსებობდეს დოკუმენტური ფორმით, განსაკუთრებით შედარებით მცირე სიდიდის საწარმოებში, სადაც ხელმძღვანელობასა და სხვა პერსონალს შორის ურთიერთობას, შეიძლება არაოფიციალური, მაგრამ ეფექტური სახე ჰქონდეს. მაგალითად, ხშირად ხელმძღვანელობის მიერ ზნეობრივი ღირებულებებისა და კომპეტენტურობის ვალდებულების შესრულება ხდება იმ საკვიანელისა და პოზიციის მეშვეობით, რომლის დემონსტრირებასაც თავად ახდენენ საწარმოს ბიზნესის მართვის პროცესში, ნაცვლად იმისა, რომ იყენებდნენ დაწერილ ქცევის კოდექსს. შესაბამისად, ხელმძღვანელობის პოზიცია, ინფორმირებულობა და ქმედებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე სიდიდის საწარმოების კონტროლის გარემოში.

კომპანიის კონტროლის გარემოსათვის დამახასიათებელი თავისებურებები ყოველისმომცველ გავლენას ახდენს **არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებაზე.** მაგალითად, მენეჯერის კონტროლის პროცედურებმა შესაძლოა შეარბილოს მოვალეობების დანაწილების სიმწირე მცირე საწარმოში, ან აქტიურმა და დამოუკი-

დებელმა დირექტორთა საბჭომ შედარებით დიდ კომპანიებში შესაძლოა გაელენა იქონიოს მაღალი რანგის ხელმძღვანელობის ფილოსოფიასა და საქმიანობის სტილზე.

კონტროლის გარემო თავისთავად არ აღკვეთს, არც აელენს და ასწორებს არსებით უზუსტობას ოპერაციების კატეგორიებში, ანგარიშთა ნაშთებსა და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებებსა და შესაბამის მტკიცებებში. ამდენად, აუდიტორი, როდესაც აფასებს არსებითი უზუსტობების რისკებს, როგორც წესი, ითვალისწინებს სხვა კომპონენტების გაელენასაც, ძირითადად კონტროლის პროცედურების მონიტორინგის პროცესს და როგორ სრულდება კონკრეტული სახის მაკონტროლებელი საქმიანობა. მცირე კომპანიებმა, შესაძლოა დანერგონ შედარებით დიდი კომპანიებისგან განსხვავებული კონტროლის გარემოს ელემენტები, მაგალითად, მცირე კომპანიებს ქცევის კოდექსი შეიძლება არ ჰქონდეთ დაწერილი, მაგრამ, სამაგიეროდ მიაღწიონ ისეთ კულტურას, რომ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდეს პატიოსნებისა და ზნეობრივი ყოფაქცევის მნიშვნელობას.

საერთაშორისო მაკონტროლებელი ორგანოები (ორგანიზაციები) და საზღვარგარეთის ძვეყნების ფინანსური კონტროლის თანამედროვე მდგომარეობის დახასიათება

ა) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სარეიზიო საბჭო

გაერო-ს საკონტროლო-საფინანსო საქმიანობის სარეიზიო ორგანო თავის შემადგენლობაში აერთიანებს სამი კონტინენტის პალატების შესაბამის სამსახურებს. გაერო-ს ბიუჯეტი თავისი მოცულობით შეესაბამება ზოგიერთი წევრი – ქვეყნის ბიუჯეტს. გაერო და მისი სპეციალური ქვედანაყოფები ყოველწლიურად სხვადასხვა ოპერაციებზე, პროგრამებზე და პროექტებზე ხარჯავენ 8 მლრდ აშშ დოლარამდე, ანუ ფინანსდება საქმიანობათა ფართო სპექტრი; გაეროს თანამშრომელთა რაოდენობა, რომელშიც შემავალი მოკავშირეთა მრავალრიცხოვანი ჯგუფები შეადგენს 50 000 კაცს, აერთიანებს 180-ზე მეტ წევრ-ქვეყანას.

გაერო შეიქმნა 1945 წელს და მის ძირითად ამოცანებად განისაზღვრა:

– საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვა-შენახვა;

– ქვეყნებს შორის მეგობრული კავშირების დამყარება;

– ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ჰუმანიტარული ხასიათის საერთაშორისო პრობლემების გადასაწყვეტად ქვეყნებს შორის თანამშრომლობის ორგანიზაცია.

გაეროს შემადგენლობაშია: სამდივნო, გენერალური ასამბლეა, უშიშროების საბჭო და ეკონომიკური და სოციალური საბჭო („ეკოსოს"), ამაეე საბჭოში ფუნქციონირებს ტრანსეროვნული კორპორაციების კომისია, ვაჭრობისა და განვითარების კონვენცია და ზღვის ფსკერის გამოყენების საერთაშორისო სამმართველო.

გაერო-ს ეკონომიკური საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

– გლობალური ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა;

– სახელმწიფოთა ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეწყობა;

– რეგიონალური ეკონომიკური განვითარების პრობლემების მოწესრიგება;

– განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური დახმარება და სხვ.

აღნიშნული მიმართულებები პრაქტიკულად შემდეგი ფორმებით სრულდება:

– საინფორმაციო საქმიანობა, რომელიც მსოფლიო მეურნეობის სხვადასხვა მოხსენებებითა და სტატისტიკური გამოცემების ჰდება;

– ტექნიკურ-საკონსულტაციო საქმიანობა, რომელიც სახელმწიფო ტექნიკური დახმარების სახით სრულდება;

– სავალუტო-საფინანსო საქმიანობა, რომელიც მსოფლიო საფინანსო ორგანიზაციებით (მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და სხვ.) ხორციელდება.

გაეროში შექმნილია რიგი სპეციალიზირებულ დარგობრივი სამსახურები – **იუნკდატი** (გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია); **იუნიდო** (სამრეწველო განვითარებისა და ეროვნული და საერთაშორისო რესურსების მობილიზების ორგანიზაცია); **პროონი** (განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს სექტორებში საინვესტიციო და მრავალმხრივი ტექნიკური დახმარების საერთაშორისო პროგრამა); **ფაო** (სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაცია); **იფადი** (სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი), ტრანსეროვნული კორპორაციების კომისია, რეგიონალური ეკონომიკური კომისიები, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, საერთაშორისო სავაჭრო პალატა და ა.შ.

გაერო-ს გარე ფინანსური კონტროლის სისტემაში წარმოდგენილია გაეროს მთელი **სარეიზიო საბჭო**, რომლის შემადგენლობაში შედის გაეროს წევრი სამი სახელმწიფოს ფინანსური კონტროლის წარმომადგენლები; მათ სამი წლის ვადით ირჩევს გენერალური ასამბლეა (შეიძლება უფლებამოსილების მანდატის გაგრძელებაც).

სარეიზიო საბჭო ვალდებულია და უფლებამოსილია შეამოწმოს გაეროს ზემოაღნიშნულ სპეციალიზირებული სამსახურები. მათ შორის, გაეროს სამდივნო ქ. ნიუ-იორკში და მისი განყოფილებები ჟენევასა და ვენაში; შემოწმებები ტარდება

პერიოდულად, დადგენილი ნორმებისა და რიგითობის მიხედვით. შემოწმება ითვალისწინებს რენტაბელობის, ანგარიშების წარმოების სისწორესა და საკანონმდებლო ნორმების დაცვის მდგომარეობის შესწავლას.

საბჭოს ეძლევა სრული თავისუფლება საკონტროლო-საფინანსო ღონისძიებების გატარებაში და შეუძლია გამოიჩინოს საკუთარი ინიციატივა, საბჭოს მთავარი მოვალეობაა ანგარიშების მომზადება. ყოველ საბიუჯეტო ფინანსური პერიოდის დამთავრების შემდეგ ინსპექტირებულ ორგანიზაციებს და დაწესებულებებს უგზავნიან წერილს, სადაც განზოგადებულია შემოწმების შედეგად გამოვლენილი ფაქტები და მიცემულია შესაბამისი შეფასება დარღვევათა ფაქტების შემდგომში თავიდან აცილების მიზნით.

ყოველი ერთწლიანი ან ორწლიანი საბიუჯეტო პერიოდის ბოლოს საბჭო გაეროს ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ გენერალურ ანსამბლეას წარუდგენს შესაბამის ანგარიშებს, რომლებიც შედგება ორი ნაწილისაგან; პირველ ნაწილში წარმოებს ანგარიშების მდგომარეობის შეფასება, ხოლო მეორეში — ინსპექტირებული ორგანიზაციის საფინანსო საქმიანობის დინამიკის ანალიზი.

უნდა აღინიშნოს, რომ გაერო-ს შიდა სისტემის ორგანიზაციების ანგარიშთა სტრუქტურა, საფინანსო და საკონტროლო საქმიანობის გამარტივების მიზნით, უნიფიცირებულია, საინტერესოა აგრეთვე გენერალურ ანსამბლეაზე ანგარიშების წარდგენის პროცედურათა ხასიათი. პირველ რიგში, ანგარიშს განიხილავს ადმინისტრაციული და საბიუჯეტო საკითხების დამხმარე კომისია, რომლის შემადგენლობაშიც შედის 16 ექსპერტ-ფინანსისტი. მთლიან მუშაობაში მონაწილეობას ღებულობს საბჭო; დამხმარე კომისია ანგარიშის განხილვის შედეგების შესახებ ამზადებს მოხსენებას, რომელსაც ანგარიშთან ერთად წარუდგენს გენერალურ ანსამბლეის შესაბამის კომისიას; რომლის მუშაობაში მონაწილეობა შეიძლება მიიღოს საბჭოს თავმჯდომარემ. კომისია ამზადებს გადაწყვეტილების პროექტს, რეკომენდებულს გენერალურ ანსამბლეაზე წარსადგენად (სარევიზიო საბჭოს წარმომადგენელთან ერთობლივად).

საბჭოს **ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა,** მოამზადოს ობიექტური, კარგად არგუმენტირებული ინფორმაცია გაეროს ფინანსების ადმინისტრირების შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რენტაბელობის კონტროლს; ტრადიციულად მიიჩნევენ, რომ შემოწმების მიმდინარეობისას პირველ რიგში უნდა შემოწმდეს ანგარიშების წარმოების სისწორე და იურიდიული კორექტირება.

ბ) უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაცია (ინტოსაი)

ინტოსაი შეიქმნა 1953 წელს ქ. ჰავანაში, სადაც გაიმართა I კონგრესი, ხოლო ინტოსაის IX კონგრესზე, რომელიც გაიმართა ქ. ვაშინგტონში 1992 წლის ოქტომბერში, მიიღეს ინტოსაის წესდება.

წესდების თანახმად, ინტოსაი არის დამოუკიდებელი და არაპოლიტიკური ორგანიზაცია, რომლის მიზანი განისაზღვრა სახელმწიფო აუდიტის უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოების გამოცდილების, ცოდნისა და იდეების საფუძველზე.

ინტოსაის შტაბ-ბინა მდებარეობს ქ. ვენაში.

ინტოსაის შემადგენლობაში შედიან გაეროს წევრი ყველა ქვეყნის უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოები.

ინტოსაის მმართველობით ორგანოებს წარმოადგენს კონგრესი, მმართველი საბჭო, გენერალური სამდივნო, რეგიონალური სამუშაო ჯგუფი.

კონგრესი ინტოსაის უმაღლესი ორგანოა; მისი მოწვევა ხდება ყოველ სამ წელიწადში ერთხელ და მის მუშაობას ხელმძღვანელობს იმ ქვეყნის უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოს ხელმძღვანელი, რომელ ქვეყანაშიც ტარდება კონგრესი.

კონგრესის გადაწყვეტილება მიიღება ხმების უმრავლესობით (მონაწილე ქვეყნის უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანო წარმოდგენილია ერთი ხმით) და წესდების თანახმად გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება ხმების 2/3 თანხმობის შემდეგ.

კონგრესის ამოცანებს წარმოადგენს:

– მიიღოს რეკომენდაციები ფინანსური კონტროლის საკითხებზე, გამომდინარე საერთო პროფესიონალური და ტექნიკური ინტერესებიდან;

– განსაზღვროს მმართველთა საბჭოსა და გენერალური სამდივნოს ამოცანები;

– შექმნას მუდმივი კომისიები სხვადასხვა მიზნების შესწავლისა და ამოცანების განსაზღვრისათვის;

– მიიღოს წესდება და შეიტანოს მასში შესაბამისი ცვლილებები;

– დაამტკიცოს ინტოსაის 3-წლიანი ბიუჯეტი, წლიური ანგარიში და გენერალური სამდივნოს ფინანსური ანგარიშები;

– განსაზღვროს იმ ქვეყნის მმართველთა საბჭოს წინადადებები, სადაც გაიმართება მორიგი კონგრესი;

– გადაწყვიტოს საერთაშორისო თანამეგობრობის უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოების საკითხები;

– დაამტკიცოს ორგანიზაციის აუდიტორთა მმართველი საბჭოს წინადადებები;

– მიიღოს სხვა გადაწყვეტილება არარეგლამენტირებული წესდების გამო;

ინტოსაის მმართველთა საბჭო:

– ახორციელებს ხელმძღვანელობას კონგრესებს შორის პერიოდში;

– განსაზღვრავს, პასუხობს ან უფლებამოსილია ინტოსაის სხდომაზე გამოსვლის ნება დართოს უმაღლეს მაკონტროლებელ ორგანოს აუცილებელი მოთხოვნის შემთხვევაში;

– განსაზღვრავს რეგიონალური სამუშაო ჯგუფების უფლებამოსილებას;

თავის შემადგენლობიდან ქმნის და ფორმირებას უკეთებს 3-კაციან საფინანსო კომიტეტს;

– კონგრესს დასამტკიცებლად წარუდგენს სამწლიანი ბიუჯეტის პროექტს და გენერალური სამდივნოს წლიურ ანგარიშს.

მმართველი საბჭო შედგება 16 წევრისაგან – გენერალური მდივანი, კონგრესის ჩამტარებელი ბოლო ხუთი ქვეყნის უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოების ხელმძღვანელები; იმ ქვეყნის უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოს ხელმძღვანელი, სადაც მომავალში უნდა ჩატარდეს კონგრესი. იმ ქვეყნების უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოების ხელმძღვანელები, სადაც ფუნქციონირებს ინტოსაის ძირითადი გამომცემლობები და სასწავლო დაწესებულებები; 10 წევრი აირჩევა კონგრესის მიერ 6 წლით, იმისათვის, რომ წევრი ქვეყნების დაბალანსებული მდგომარეობა შენარჩუნდეს, ინტოსაიში ადგილები ნაწილდება იმ მიმართულებით, რომ ყოველ რეგიონალურ სამუშაო ჯგუფი საბჭოში წარმოდგენილი იყოს მინიმუმ ერთი წევრით. იმ ქვეყნის უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოს ხელმძღვანელი, სადაც გაიმართა ბოლო კონგრესი, ამავე დროს არის მმართველი საბჭოს თავმჯდომარეც, ხოლო იმ ქვეყნის უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოს ხელმძღვანელი, სადაც გაიმართა ბოლოსწინა კონგრესი, წარმოადგენს პირველ ვიცე-პრეზიდენტს, მეორე ვიცე-პრეზიდენტად აირჩევა მმართველი საბჭოს მიერ წამოყენებული წევრი.

საფინანსო კომიტეტის ამოცანას წარმოადგენს მეთვალყურეობა და კონტროლი გაუწიოს ბიუჯეტის შესრულებასა და მოხსენების წარდგენას მმართველ საბჭოში ან კონგრესში (როცა ეს უკანასკნელი მოითხოვს ამას).

ინტოსაის გენერალური სამდივნოს ამოცანებია:

– ინტოსაის წევრების ურთიერთანამშრომლობის განხორციელება კონგრესებს შორის პერიოდებში;

– მმართველი საბჭოსა და კომისიების ურთიერთ თანამშრომლობისადმი ხელშეწყობა;

– რეგიონალური სამუშაო ჯგუფების ორგანიზაცია და ფუნქციონირება;

– სემინარების, კვალიფიკაციის ამაღლების კურსების და ა.შ. ორგანიზაცია;

– სამწლიანი ბიუჯეტის პროექტის შედგენა და წარდგენა მმართველ საბჭოში;

– ბიუჯეტის შესრულება;

– წლიური ანგარიშის წარდგენა (ფინანსური ანგარიშები, თავის მხრივ, ექვემდებარება აუდიტორთა რევიზიას);

რევიზიის წარმართვისათვის კონგრესი ირჩევს ორ აუდიტორს, რომლებიც წარუდგენენ თავიანთ აუდიტორულ ანგარიშს გენერალურ სამდივნოს წლიურ ანგარიშში ჩართვის მიზნით.

რეგიონალური სამუშაო ჯგუფი ორგანიზებას უკეთებს რეგიონალური ორგანოების შემადგენლობაში შემავალ პროფესიონალურ და ტექნიკური ჯგუფების ურთიერთთანამშრომლობას; ხელმძღვანელი ჯგუფები კონგრესს წარუდგენენ საქმიანობის გასული 3 წლის ანგარიშს.

ინტოსაის გასავლები იფარება საწევრო შენატანების, ცალკეული პირების, კერძო და სახელმწიფო ინსტიტუტების შემოწირულობებით და ინტოსაის პუბლიკაციებით და სხვ.

თითოეულ უმაღლეს მაკონტროლებელ ორგანოს აქვს უფლება, გენერალურ სამდივნოში წარდგენილი წერილობითი განცხადების საფუძველზე გამოვიდეს ინტოსაის შემადგენლობიდან, რასაც ინტოსაი წყვეტს ხმების 2/3-ით.

ინტოსაის ოფიციალურ სამუშაო ენებად ითვლება: არაბული, ინგლისური, ფრანგული, გერმანული და ესპანური.

დღეისათვის ინტოსაი აერთიანებს 180 ქვეყანას.

გ) უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოების ევროპის ორგანიზაცია (ევროსაი)

ევროსაი დაფუძნდა 1990 წელს ქ. მადრიდში 32 ევროპული სახელმწიფოს მიერ. აქვე მიღებული იქნა ევროსაის წესდება.

წესდებით ევროსაიმ მის წინაშე დააყენა შემდეგი ამოცანები:

– ევროსაის წევრებსა და ინტოსაის სხვა რეგიონალურ ჯგუფებს შორის პროფესიონალურ და ტექნიკური კორპორაციისა და ურთიერთგამოცდილებათა გაზიარების ხელშეწყობა;

– მხარდაჭერა იმ ნაციონალური და საერთაშორისო ორგანოებისა, რომლებიც სპეციალიზირდებიან სახელმწიფო შემოსავლებისა და გასავლების კონტროლის ფაქტორების შესწავლის ხაზით;

– ევროსაის წევრების სისტემატური ინფორმირება თითოეული სახელმწიფოს კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებების შესახებ, რაც უკავშირდება კონტროლის შესაბამისი ორგანოების ორგანიზაციასა და ფუნქციონირებას;

– ისარგებლოს კონტროლთან და დისციპლინებთან დაკავშირებული პრობლემებისა და საკითხების თეორიული და პრაქტიკული საკითხების შესწავლით;

– ისარგებლოს ევროსაის წევრი ორგანოებისა და წევრი – ინსტიტუტების სემინარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე გაცვლითი ტექნოლოგიების და მეთოდების სწავლებით;

– ისარგებლოს გაცვლითი ინფორმაციებითა და დოკუმენტებით, რაც ასტიმულირებს ცენტრის, ინსტიტუტების და უნივერსიტეტების კათედრებს, რომლებიც მუშაობენ და სპეციალიზირებულნი არიან სახელმწიფო შემოსავლებისა და გასაელების კონტროლის თემატიკის საკითხებზე.

– ყოველდღიურ პრაქტიკაში დანერგოს ევროსაის კონგრესებზე მიღებული რეზოლუციები და რეკომენდაციები;

– დანერგოს სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ხაზით უნიფიცირებული ტექნოლოგიები;

– სახელმწიფო ფინანსური კონტროლის განვითარების მიზნით განახორციელოს სხვადასხვა ღონისძიებები.

ევროსაის წევრი ევროპის უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოები შეიძლება იმავდროულად იყვნენ როგორც ინტოსაის, ასევე ევროგაერთიანების უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოების წევრებიც.

ევროსაის ორგანოებს წარმოადგენს: კონგრესი, მმართველი საბჭო და სამდივნო.

კონგრესი ევროსაის უმაღლესი ორგანოა და იგი ფორმირებულია ევროსაის წევრი ქვეყნების უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოების ხელმძღვანელებისაგან ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლებისაგან. კონგრესს იწვევენ ყოველ სამ წელიწადში ერთხელ; რიგგარეშე კონგრესი შეიძლება მოწვეულ იქნეს მმართველი საბჭოს ინიციატივით ან წევრი ორგანიზაციების 2/3-ის თხოვნით. ევროსაის პრეზიდენტად ინიშნება იმ ქვეყნის უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოს ხელმძღვანელი, სადაც მიმდინარეობს კონგრესი.

ევროსაის წესდების მიხედვით კონგრესი წყვეტს შემდეგ საკითხებს:

– განსაზღვრავს ევროსაის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს;

– ამტკიცებს უახლესი სამი წლის ბიუჯეტს, წევრთა შენატანებს, ფინანსურ ანგარიშებს;

– ქმნის ტექნიკურ კომისიებს და ჯგუფებს და განსაზღვრავს მათი ფუნქციებს ცალკეულ საკითხების შესწავლის მიზნით.

– ირჩევს მმართველი საბჭოს წევრების მეოთხედს.

– ირჩევს ქვეყანას, სადაც უნდა ჩატარდეს მომდევნო კონგრესი;

– თავის წევრთა 42, ან მმართველი საბჭოს წევრთა 2/3-ის თანხმობით შეაქვს ცელილებები ეეროსაის წესდებაში.

– ნიშნავს ეეროსაის რევიზორებს.

ეეროსაის მმართველი საბჭო შედგება 7 წევრისაგან: ხელმძღვანელი იმ ქვეყნის უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოსი, სადაც ჩატარდა ბოლო კონგრესი (მმართველი საბჭოს პრეზიდენტი), ხელმძღვანელი იმ ქვეყნის უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოსი, სადაც უნდა ჩატარდეს მომდევნო კონგრესი, ეეროსაის გენერალური მდივანი; კონგრესის მიერ სამი წლით არჩეული 4 წევრი; მმართველი საბჭოს ყველა წევრი, როგორც წესი, ძირითადად წარმოადგენს სახელმწიფო კონტროლის წარმომადგენელს.

მმართველ საბჭოს იწვევენ, სულ მცირე წელიწადში ერთხელ.

წესდების თანახმად საბჭოს კომპეტენციაში შედის:

– ეეროსაის წესდების დაცვის უზრუნველყოფა;

– კონგრესზე ბიუჯეტის პროექტის, ფინანსური ანგარიშგების და ეეროსაის საქმიანობის გასული პერიოდის ანგარიშის წარდგენა;

ეეროსაის სამდივნო წყვეტს შემდეგ ამოცანებს:

– ორგანიზებას უკეთებს მმართველი საბჭოს სესიის მომზადებას;

– უზრუნველჰყოფს კონგრესზე და მმართველ საბჭოზე მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას;

– ახორციელებს ეეროსაის ბიუჯეტის პროექტის მომზადებას და წარუდგენს მას მმართველ საბჭოს;

– მმართველ საბჭოს წარუდგენს წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას;

– განაგებს ბუღალტრულ ანგარიშებს;

– ასრულებს კონგრესის ან მმართველი საბჭოს სხვა დავალებებს.

სამდივნოს საქმიანობას უზრუნველჰყოფს იმ ქვეყნის უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანო, სადაც მდებარეობს შტაბ-ბინა (ესპანეთი), ხოლო მისი ხელმძღვანელი ეეროსაის გენერალური მდივანია.

მთლიან ბუღალტრულ ანგარიშებს და ეეროსაის ეკონომიკურ საქმიანობას ინსპექტირებას უკეთებს ორი რევიზორი, რომლებიც შეირჩევიან სამი წლით იმ ქვეყნის უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოდან, რომელიც არ შედის მმართველ საბჭოში. სამდივნო ვალდებულია რევიზორებს წარუდგინოს ნებისმიერი ინფორმაცია, რაც დაკავშირებული იქნება მათი მოვალეობის შესრულების უზრუნველყოფასთან.

ეეროსაის საქმიანობასთან დაკავშირებული მთლიანი ხარჯები იფარება შემდეგი მიმდეობით: ყველა წევრთა შენატანის ანგარიში გაეროს მიერ დადგენილი ნორმების შესაბამისად; სუბსიდიის ანგარიშები, ნაშუქრების გადარიცხვები; ანგარიშები საშუალებებზე, რომელიც ამოგებული იქნა ეეროსაის პუბლიკაციებისა და სხვა საქმიანობათა გაცემიდან; სხვა შემოსულობები;

ეეროსაის ოფიციალურ ენებად ითვლება: ინგლისური, ესპანური, გერმანული, რუსული და ფრანგული.

დღეისათვის ეეროსაიში 46 წევრი ქვეყანაა გაერთიანებული.

დ) ეეროგაერთიანების საანგარიშო პალატა

ეეროგაერთიანების საანგარიშო პალატა (დაფუძნდა 1975 წელს) სწავლობს ევროკავშირის სისტემის უმაღლესი ფინანსური მაკონტროლებელი ორგანოების საქმიანობასა და მდგომარეობას.

საანგარიშო პალატა შედგება 15 წევრისაგან, რომელთაგან თითოეული წარმოადგენს ეეროგაერთიანების წევრ-ქვეყანას. პალატის უფლებამოსილების ვადად გათვალისწინებულია 6 წელი. ხოლო სამართლებრივი სტატუსის სპეციფიკური

თავისებურებები კონსტანტირებულია მაასტრიხის ხელშეკრულებით, სადაც მკაფიოდაა ხაზგასმული ამ ორგანოს დამოუკიდებლობა.

ევროგაერთიანების საანგარიშო პალატის ამოცანაა ზედამხედველობა გაუწიოს გაერთიანების ფინანსურ საქმიანობას და უზრუნველჰყოს მისი გამჭვირვალობა და მართვა. ასევე, დახმარება უწევს პარლამენტსა და საბჭოს ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობაზე კონტროლის განხორციელებაში.

მაასტრიხის ხელშეკრულებით გათვალისწინებულია, რომ ევროგაერთიანების საანგარიშო პალატა ვალდებულია შეამოწმოს გაერთიანებისა და მისი ორგანოების ყველა დაწესებულების შემოსავლებისა და გასავლების ანგარიშები, გარდა ამისა, ევროპალატა პარლამენტსა და საბჭოს უმტკიცებს ანგარიშებსა და საქმის წარმოების კანონიერებას.

ევროგაერთიანების საანგარიშო პალატას შეუძლია წარადგინოს თავისი რეკომენდაციები განსაკუთრებულ საკითხებზე ან გამოთქვას მოსაზრება სხვა ორგანოს თხოვნით. ყოველი ფინანსური წლის ბოლოს პალატა აქვეყნებს ყოველწლიურ ანგარიშს, რომელიც მტკიცდება გაერთიანების წევრთა უმრავლესობის მიერ.

ევროგაერთიანების საანგარიშო პალატა თავის საქმიანობის შედეგებს წარმოადგენს ჩვეულებრივი, ყოველწლიური ანგარიშისა და ოფიციალური მოხსენების სახით.

ე) სახელმწიფო ფინანსების გარე კონტროლის რეგიონალური ორგანოების ევროპის ორგანიზაცია (ევრორაი)

ევრორაი შეიქმნა 1992 წელს. წესდების თანახმად, მის ამოცანებს წარმოადგენს დახმარება გაუწიოს კონტროლის ორგანოებს:

– კოოპერაციასა, გამოცდილებასა და ცოდნის ურთიერთგაცვლაში;

–სახელმწიფო ფინანსური კონტროლის წარმართვაში;

–პროგრამებისა და ორგანიზაციის კვალიფიკაციის ამაღლების კურსების წარმართვაში;

–კონტროლის სრულყოფილად წარმართვის მიზნით უნიფიცირებული ტექნოლოგიის დანერგვაში.

ევრორაის წევრი შეიძლება გახდეს სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ნებისმიერი გარე რეგიონალური ორგანო; ევრორაის შემადგენლობაში შეიძლება შევიდეს აგრეთვე სახელმწიფო ფინანსური კონტროლის სხვა ორგანოები ხმის უფლების გარეშე; ევრორაის ორგანოებს წარმოადგენს: გენერალური ანსამბლეა, ხელმძღვანელი კომიტეტი, გენერალური სამდივნო.

გენერალური ანსამბლეა ევრორაის უმაღლესი ორგანოა და შედგება ფინანსური კონტროლის უმაღლესი სახელმწიფო მაკონტროლებელი რეგიონული ორგანოების ხელმძღვანელებისაგან. გენერალური ანსამბლეა მოიწვევა ხელმძღვანელი კომიტეტის მიერ სამ წელიწადში ერთხელ; რიგგარეშე გენერალური ანსამბლეა შეიძლება მოწვეული იქნეს ხელმძღვანელი კომიტეტის ან ევრორაის წევრთა ინიციატივით. გენერალური ანსამბლეა გადაწყვეტილებას იღებს თავის წევრთა ხმათა უმრავლესობით.

გენერალური ანსამბლეა:

– განსაზღვრავს ევრორაის პოლიტიკას;

– განიხილავს ევრორაის წევრთა წინადადებებს;

– ამტკიცებს ევრორაის სამწლიან ბიუჯეტს, საწევრო შენატანების თანხას, ევრორაის ანგარიშებს;

– განიხილავს ევრორაის საქმიანობის ანგარიშს;

– ამტკიცებს ტექნიკურ კომისიას და სამუშაო ჯგუფებს და ადგენს მათ ფუნქციებს;

– ირჩევს ხელმძღვანელი კომიტეტის წევრთა მეოთხედს;

– განსაზღვრავს მორიგ გენერალური ანსამბლეის ჩატარების ადგილს;

– რიგგარეშე გენერალური ანსამბლეა შეიძლება მოწვეულ იქნეს შემდეგი მიზნით:

– წევრთა 1/3-ის, ან ხელმძღვანელი კომიტეტის და წევრთა 2/3-ის მხარდაჭერით და ინიციატივით წესდებაში ცვლილებების შეტანის მიზნით;

– ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით;
– სხვა საკითხების გადასაწყვეტად.
ხელმძღვანელი კომიტეტი შედგება 7 წევრისაგან:
– რეგიონის იმ მაკონტროლებელი ორგანოს ხელმძღვანელი, სადაც ჩატარდა ბოლო რეგულარული გენერალური ანსამბლეა (თავმჯდომარე);
– რეგიონის იმ მაკონტროლებელი ორგანოს ხელმძღვანელი, სადაც უნდა ჩატარდეს მორიგი გენერალური ანსამბლეა;
– ევროპის გენერალური მდივანი;
– ევროპის წევრი მაკონტროლებელი ორგანოების ხელმძღვანელებიდან 4 წევრი, რომელთაც ირჩევენ სამი წლით.
ხელმძღვანელი კომიტეტი ფუნქციონირებას იწყებს გენერალური ანსამბლეის რეგულარული სხდომის დამთავრებისას. ხელმძღვანელი კომიტეტის გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით (4 ხმა). კომიტეტი ტარდება წელიწადში ერთხელ.
ხელმძღვანელი კომიტეტი ასრულებს შემდეგ ამოცანებს:
– უზრუნველყოფს ევროპის წესდების დაცვას;
– ღებულობს საჭირო გადაწყვეტილებას ევროპის პოლიტიკის უზრუნველყოფის მიზნით;
– გენერალურ ანსამბლეას დასამტკიცებლად წარუდგენს ბიუჯეტის პროექტს. მოხსენებას ევროპის საქმიანობის შესახებ, ტექნიკური კომისიისა და სამეცნიერო ჯგუფის საქმიანობის პროექტს;
– ასრულებს გენერალური ანსამბლეის სხვა დავალებებსა და დადგენილებებს.
გენერალური სამდივნოს ამოცანებში შედის:
– ხელმძღვანელი კომიტეტის სხდომის მომზადება;
– ევროპის ბიუჯეტის პროექტის მომზადება და წარდგენა ხელმძღვანელ კომიტეტში;
– წევრთა საწევრო შენატანების შეკრება, ანგარიშების წარმოება და ორგანიზაცია;
– ბიუჯეტის შესრულება;
– ფინანსური ანგარიშგების შედგენა და ხელმძღვანელ კომიტეტში წარდგენა;
– სხვა დავალებების შესრულება, რაც გამომდინარეობს ხელმძღვანელი კომიტეტისა და გენერალური ანსამბლეის დადგენილებიდან.
ევროპის ოფიციალურ ენებად ითვლება: ინგლისური, ფრანგული, გერმანული და ესპანური.

ე) უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოების აზიის ორგანიზაცია (აზოსაი)
აზოსაი დაარსდა 1979 წელს. წესდების თანახმად, მის ამოცანებში შედის:
– დაეხმაროს წევრებს ურთიერთთანამშრომლობასა, მათი იდეებისა და გამოცდილებათა ურთიერთგაზიარებაში და გაცვლაში;
– დაეხმაროს სახელმწიფო რევიზორებს კვალიფიკაციის ამაღლებაში;
– სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ხაზით გამოცდილებათა გაცვლასა და ურთიერთგაზიარებაში.
თავისი ამოცანების შესაბამისად აზოსაი ორგანიზებას უკეთებს სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ხაზით კონფერენციებისა და სემინარების ჩატარებას;
აზოსაის შემადგენლობაში შედის: ანსამბლეა, მმართველი საბჭო, სამდივნო, სარევიზიო კომიტეტი.
ანსამბლეა შედგება წევრი ქვეყნების უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოების ხელმძღვანელი ან წარმომადგენელი პირებისაგან; ანსამბლეა განსაზღვრავს ორგანიზაციის პოლიტიკას მათი მიზნების განხორციელებასთან დაკავშირებით; ირჩევს თავმჯდომარეს, მმართველი საბჭოს წევრებს, ორ წევრს სარევიზიო კომიტეტიდან; იღებს გადაწყვეტილებას, თუ რომელი ქვეყანა იყოს მომდევნო ანსამბლეის ორგანიზატორი; ამუშავებს ორგანიზაციის დებულებას და საქმისწარმოების წესებსა და პროცედურებს.
ანსამბლეა იკრიბება სამ წელიწადში ერთხელ; რიგგარეშე ანსამბლეა მოიწვევა მმართველი საბჭოს არაუმეტეს 5 წევრის ინიციატივით; ანსამბლეა გადაწყვეტილებას ღებულობს ხმათა უმრავლესობით.

აზოსაის მმართველი საბჭო წარმოადგენს აღმასრულებელი ორგანოს და შედგება 7 წევრისაგან: უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოს წარმომადგენელი იმ ქვეყნიდან, სადაც ჩატარდა ბოლო ანსამბლეა (მმართველი საბჭოს თავმჯდომარე). უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოს წარმომადგენელი იმ ქვეყნიდან, სადაც უნდა ჩატარდეს მომდევნო ანსამბლეა; გენერალური მდივანი და ანსამბლეის მიერ არჩეული 4 სხვა წევრი.

მმართველი საბჭო რეალიზაციას უკეთებს ანსამბლეის გადაწყვეტილებებს წესდებისა და დებულებების შესაბამისად; სპეციალური მიზნების და პროექტების რეალიზაციის მიზნით ქმნის კომიტეტებს; წარუდგენს ანსამბლეას მოხსენებას თავისი საქმიანობის შესახებ; მმართველი საბჭო ირჩევა წელიწადში ერთხელ.

აზოსაის სამდივნო განაგებს ორგანიზაციის ბუღალტრულ ანგარიშებს; უზრუნველჰყოფს ინფორმაციათა სისტემატურ გაცვლას წევრებს შორის; ადგენს აზოსაის სამწლიან ბიუჯეტს და წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას და წარუდგენს მმართველთა საბჭოს სხვადასხვა ვალდებულებათა შესასრულებლად. სამდივნოს სათაეში უდგას გენერალური მდივანი, რომელიც არჩეულია ანსამბლეის მიერ და წარმოადგენს წევრი ორგანიზაციების უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოების საერთო ხელმძღვანელს.

სარეზიო კომიტეტი ანსამბლეას წარუდგენს ინფორმაციას ორგანიზაციის ანგარიშების შემოწმების შესახებ.

დღეისაეის აზოსაის შემადგენლობაში 36 წევრი ქვეყანა ირიცხება.

ზ) დსთ-ს წევრი ქვეყნების ფინანსური კონტროლის უმაღლესი ორგანოების ხელმძღვანელი საბჭო

აღნიშნული საბჭო შეიქმნა 2000 წლის 3 ნოემბერს, ქ. მოსკოეში ჩატარებულ უმაღლესი საკონტროლო-სარევიზიო ორგანოების თათბირზე, სადაც ხელი მოეწერა კომუნიკეს საბჭოს შექმნის შესახებ და დამტკიცდა საბჭოს რეგლამენტი.

რეგლამენტის თანახმად, საბჭო თავის საქმიანობას განსაზღვრავს დსთ-ს სადამფუძნებლო დოკუმენტების, ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, რეგლამენტის და ა.შ. დოკუმენტების საფუძველზე, გაფორმებულს დსთ-ს მონაწილე ქვეყნებს შორის ინტოსაის, ევროსაისა და აზოსაის პრინციპებით.

საბჭოს მუშაობის ძირითადი ფორმა არის სესია, რომელიც ტარდება წელიწადში ერთხელ დსთ-ს ერთ-ერთ სახელმწიფოში; რიგგარეშე სესია ტარდება საბჭოს ერთი ან რამდენიმე წევრის ინიციატიით საბჭოს სულ მცირე 5 წევრის მხარდაჭერით.

საბჭოს სხდომაზე, რომელიც ტარდება რეგულარულად, მიმდინარეობს გამოცდილებათა ურთიერთგაზიარება, დსთ-ს ქვეყნების ფინანსური კონტროლის უმაღლესი ორგანოების საქმიანობაში წამოჭრილი აქტუალური საკითხების განხილვა, ურთიერთინტერესებიდან გამომდინარე, ხდება საკითხთა გადაწყვეტა ში მათი ინტეგრაციის მიმართულებათა განსაზღვრა.

საბჭოს მეორე სესიაზე, რომელიც 2001 წ. 8 ივნისს გაიმართა ქ. კიევში, მიღებული იქნა დსთ-ს მონაწილე ქვეყნების უმაღლესი საფინანსო-მაკონტროლებელი ორგანოების საქმიანობის საერთო პრინციპების შესახებ დეკლარაცია, სადაც აღნიშნულია, რომ უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოების საქმიანობა უნდა აიგოს კანონმდებლობის, დამოუკიდებლობის, ობიექტურობის, კომპეტენტურობის, ოპერატიულობის, დამაჯერებლობის, საჯაროობის და პროფესიონალური ეთიკის დაცვის პრინციპებზე.

სახელმწიფო ფინანსური კონტროლი ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში და მისი თანამედროვე მდგომარეობა

ეეროკავშირის ქვეყნებში შეიძლება გამოიყოს უმაღლესი საფინანსო კონტროლის ორგანოების ოთხი ძირითადი ტიპი, რომლებსაც პირობითად შეიძლება ეუწოდოთ:

1) სასამართლო იურიდიული ფუნქციებით;

2) კოლეგიალური სტრუქტურა იურიდიული ფუნქციების გარეშე;

3) აუდიტის დამოუკიდებელი ოფისი გენერალური აუდიტორის ხელმძღვანელობით;

4) აუდიტის ოფისი, გენერალური აუდიტორის ხელმძღვანელობით (მთავრობის სტრუქტურაში).

უნდა აღინიშნოს, რომ ავსტრიის საანგარიშო პალატა არის უმაღლესი საფინანსო კონტროლის მკვეთრად გამოხატული მოდელი, რომელსაც ხელმძღვანელობს პრეზიდენტი და, რომელიც ახორციელებს შემოწმებას როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე.

შეიდ ქვეყანაში (საფრანგეთი, ბელგია, ლუქსემბურგი, პორტუგალია, ესპანეთი, იტალია, საბერძნეთი) უმაღლესი სახელმწიფო საფინანსო კონტროლის ორგანოები შეიძლება მივაკუთვნოთ პირველ ტიპს – „სასამართლო იურიდიული ფუნქციებით". მაგალითად, საბერძნეთსა და პორტუგალიაში ეს ორგანოები სასამართლო სისტემის შემადგენელი ნაწილებია,ნიდერლანდებსა და გერმანიაში – შეიძლება განეკუთვნოს მეორე ტიპს („კოლეგიალური სტრუქტურა იურიდიული ფუნქციების გარეშე").

მოდელი – „აუდიტის ოფისი გენერალური აუდიტორის ხელმძღვანელობით იურიდიული ფუნქციების გარეშე", მოქმედებს დიდ ბრიტანეთში, ირლანდიასა და დანიაში, აგრეთვე, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადა'ში, ავსტრალიაში, ინდოეთში, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასა და სხვა ქვეყნებში, რომლებზეც სახელმწიფო მართვისა და ფინანსური კონტროლის ბრიტანულმა მოდელმა არსებითი გაავლენა მოახდინა.

მეოთხე ტიპი („აუდიტის ოფისი მთავრობის სტრუქტურაში გენერალური აუდიტორის ხელმძღვანელობით") მოქმედებს შვედეთსა და ფინეთში და იგი წარმოადგენს მთავრობის სტრუქტურულ ორგანოს, ორიეე ქვეყანა'ში მოქმედებს სახელმწიფო საფინანსო კონტროლის ორი ორგანო, ერთი პასუხისმგებელია მთავრობის წინა'შე, ხოლო მეორე – პარლამენტის წინა'შე.

ეროკავშირის ქვეყნებში სახელმწიფო საფინანსო კონტროლის ორგანოების სტრუქტურების მსგავსება შემთხვევითი არ არის – ისინი დაფუძნებულია ფრანგულ სისტემაზე. XIX საუკუნეში ეროპაში დაიწყო ფრანგული ადმინისტრაციული პრაქტიკის გავრცელება, ფინური და შვედური მოდელების მსგავსებაც ასეეე მიუთითებს მათ საერთო ისტორიაზე.

უმაღლესი სახელმწიფო საფინანსო კონტროლის ორგანოებს ირლანდიაში, შვედეთში, ფინეთში, დიდ ბრიტანეთში, ავსტრიასა და დანიაში ჰყავთ ხელმძღვანელი – გენერალური აუდიტორი, ან პრეზიდენტი, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას მართვის უმაღლეს დონეზე. სხვა ქვეყნების უმაღლესი სახელმწიფო საფინანსო კონტროლის ორგანოებში გადაწყვეტილებებს ღებულობენ კოლეგიალურად. გერმანია'ში უმაღლესი სახელმწიფო საფინანსო ორგანოს შემადგენლობა'ში 66 წევრია, გადაწყვეტილებას აქ იღებს კოლეგია. ნიდერლანდებში უმაღლეს მაკონტროლებელ ორგანოს ხელმძღვანელობს საბჭო სამი წევრის შემადგენლობით, გადაწყვეტილებას იღებს კოლეგია.

აუდიტორთა ეროპული სასამართლო შედგება 15 წევრისაგან, – თითო წარმოადგენელი ეროკავშირის წევრი ქვეყნებიდან.

უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოების ხელმძღვანელი პირების მიმართ წაყენებულია სხვადასხვა მოთხოვნები. ფინეთში გენერალურ აუდიტორს უნდა ჰქონდეს სამეცნიერო ხარისხი. ასეთი მოთხოვნებია სხვა ქვეყნებშიც (ესპანეთი, პორტუგალია).

განსხვავებული სტატუსი გააჩნიათ უმაღლესი სახელმწიფო საფინანსო კონტროლის ორგანოების ხელმძღვანელ პირებს, – დიდ ბრიტანეთში გენერალური აუდიტორის სტატუსი განსაზღერულია, როგორც თემთა პალატის წევრისა, გერმანია'ში ფედერალური საანგარიშო პალატის წევრს აქვს მოსამართლის სტატუსი.

ავსტრია'ში საანგარიშო პალატის პრეზიდენტის სტატუსი გათანაბრებ'ულია ფედერალური მთავრობის წევრის სტატუსთან.

სხვადასხვა ქვეყანა'ში უმაღლესი სახელმწიფო საფინანსო კონტროლის ხელმძღვანელი პირები და წევრები სხვადასხვა ვადით ინიშნებიან, ბევრი მათგანი –

სიცოცხლის ბოლომდე, ან საპენსიო ასაკის მიღწევამდე; გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ზოგიერთი ქვეყანა: მაგალითად, დიდ ბრიტანეთში გენერალური აუდიტორი შეიძლება განთავისუფლებულ იქნას თანამდებობიდან პარლამენტის ორივე პალატის თანხმობით და მონარქის ბრძანებით.

უმაღლესი სახელმწიფო საფინანსო კონტროლის ორგანოების თანამშრომელთა კვალიფიკაცია თითოეულ ქვეყანაში განისაზღვრება სახელმწიფო კონტროლის როლისა და ამოცანების შესაბამისად: დიდ ბრიტანეთში, ირლანდიაში, ფინეთსა და საბერძნეთში უმაღლესი სახელმწიფო საფინანსო კონტროლის ორგანოთა პერსონალი ძირითადად შედგება კვალიფიციური ბუღალტრებისაგან; სხვა ქვეყნებში კვალიფიციურ ბუღალტრებთან ერთად მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ეკონომისტები და იურისტები.

უმაღლესი სახელმწიფო საფინანსო კონტროლის ორგანოები ამოწმებენ ადგილობრივი მმართველობის ორგანოების საქმიანობას. ამ ორგანოებს აქვთ ასევე მუნიციპალური ორგანოების საქმიანობის შემოწმების უფლებამოსილება. იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფო სახსრები გამოიყენება კერძო სექტორში, სახელმწიფო საფინანსო კონტროლის ორგანოები ვალდებულნი არიან, შეამოწმონ ამ სახსრების გამოყენება.

ავსტრიასა და გერმანიაში მოწმდება ფონდები, რომლებმაც სპეციფიკური მიზნებისათვის მიიღეს სახელმწიფო სახსრები. ნიდერლანდებში – კორპორაციული საწარმოები, რომელთაც მიიღეს სახელმწიფო სესხები, ან გარანტიები; ანალოგიურ შემოწმებას ექვემდებარებიან კერძო კომპანიები, რომელთა სააქციო კაპიტალის ნაწილი სახელმწიფოს ეკუთვნის.

ევროკავშირის ქვეყნებში სახელმწიფო საფინანსო კონტროლის ორგანოები ატარებენ კონტროლის ისეთ სახეებს, როგორიცაა წინასწარი და შემდგომი კონტროლი, შესრულების შემოწმება, აგრეთვე, იურიდიული ფუნქციების შესრულება. წინასწარი კონტროლი განიხილება როგორც ფინანსების მართვის პროცესის არსებითი ნაწილი. წინასწარ კონტროლს ექვემდებარება მთავრობის ნებისმიერი აქტი, რომელმაც შეიძლება რაიმე ცვლილება გამოიწვიოს კანონით დამტკიცებული ბიუჯეტის მაჩვენებლებში.

ხაზგასასმელია ერთი თავისებურება იტალიის საანგარიშო პალატის საქმიანობაში, რაც იმაში მდგომარეობს, რომ საკითხთა გარკვეული წრის მიმართ იგი წინასწარი კონტროლის ფორმით მოქმედებს,საანგარიშო პალატა ახორციელებს მთავრობის საფინანსო აქტების კანონიერების წინასწარ კონტროლს და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით მთავრობის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შემდგომ კონტროლს. ამ მიზნით, პალატა წინასწარ იხილავს პრეზიდენტის ყველა დეკრეტს (პოლიტიკური ხასიათის აქტების გამოკლებით), მაგრამ ეს არ არის ფორმალური ფუნქცია; პრეზიდენტის დეკრეტი ძალაში შედის მხოლოდ მას შემდეგ. როცა იგი განხილული იქნება საანგარიშო პალატაში, მიიღებს მის ვიზას და გაიცლის შესაბამის რეგისტრაციას. წინასწარი სახელმწიფო კონტროლის მექანიზმით იხილება მთავრობის ყველა აქტი, რომელმაც შესაძლოა რაიმე გაელენა მოახდინოს კანონიერ ძალაში შესული ბიუჯეტის მაჩვენებლებზე. მთელ რიგ ქვეყნებში მხოლოდ შემდგომი კონტროლის ფორმით ახორციელებენ შემოწმებებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო კონტროლი დარღვევათა ფიქსირებაზეა ორიენტირებული, ნაცვლად იმისა, რომ აქტიურად იყენებდეს წინასწარი კონტროლის იმ ძირითად უპირატესობას, რასაც დარღვევა-გადაცდომათა პროფილაქტიკის ფუნქცია ჰქვია.

სახელმწიფოთა უმრავლესობაში უმაღლესი საფინანსო კონტროლის ორგანო ერთი მთლიანი სტრუქტურის სახით არის ჩამოყალიბებული.

გერმანია იმ ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება, სადაც სახელმწიფო აღმშენებლობის პროცესში სახელმწიფო საფინანსო კონტროლის ორგანიზაციის საქმეს ყოველთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა დიდი ბრიტანეთის შემდეგ, სადაც სახელმწიფო ხაზინის გენერალური აუდიტორის (კონტროლიორის) თანამდებობა ჯერ კიდევ 1314 წელს იქნა პირველად შემოღებული, გერმანია ის ქვეყანაა, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა მიაქცია ყურადღება ქვეყანაში სახელმწიფო საფინანსო კონტროლის დამკვიდრებასა და შემდგომ სრულყოფას.

გერმანიაში ამჟამად მოქმედი კანონი – „ფედერალური საანგარიშო პალატის შესახებ", მიღებულ იქნა 1985 წლის 11 იელისს, რომლის თანახმად, ფედერალური საანგარიშო პალატის საქმიანობის ფუძემდებლურ პრინციპებად აღიარებულია კონსტიტუციური გარანტიები, დამოუკიდებლობა და კანონიერება, სახელმწიფო ინტერესების დაცვის პრიმატი, პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტასა და აღმასრულებელი ფუნქციების განხორციელებაში ჩაურევლობა, ადმინისტრაციული აზროვნების სტიმულირება, საქმიანობის ანგარიშგება და საჯაროობა.

ფედერალური საანგარიშო პალატის მიერ თავისი მოვალეობის სათანადოდ შესრულება უმეტესად ემყარება მის დამოუკიდებლობას სამივე კლასიკური სახელმწიფო სტრუქტურისაგან – იქნება ეს საკანონმდებლო, აღმასრულებელი თუ სასამართლო ხელისუფლება. თანამედროვე პირობებში ფედერალური საანგარიშო პალატის მიერ ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელი შტოებისადმი გაწეული კონსულტაციების მნიშვნელოვანი ზრდა ის ობიექტური კრიტერიუმია, რომელიც ახასიათებს პალატის ეფექტურ საქმიანობას, სწორედ ამიტომ ამბობენ, რომ გერმანიის ფედერალური საანგარიშო პალატა ჩვეულებრივი საკონტროლო-საფინანსო უწყებიდან გადაიქცა „ახალი იდეების გენერატორად, რომელსაც ძალუძს პერსპექტიული წინადადებების შემუშავება".

გერმანიის საანგარიშო პალატის უფლებამოსილებების მრავალფეროვნებაზე, პირველ რიგში, ქვესაკონტროლო პრობლემატიკისა და სუბიექტების სიმრავლე მიგვანიშნებს. საანგარიშო პალატის კონტროლქვეშ იმყოფება: საბიუჯეტო დაფინანსება და ფედერაციის სამეურნეო საქმიანობა მისი საკუთრებისა და საწარმოების ჩათვლით; ფედერალური დონის იურიდიული პირები; სოციალური დაზღვევის ფედერალური და მიწების ორგანიზაციები, თუ ისინი ღებულობენ სახელმწიფო დოტაციებს ან დაცულნი არიან ფედერაციის საგარანტიო ვალდებულებებით; ფედერაციის საქმიანობა კერძო სამართლებრივი სტატუსის საწარმოებში, რომლებშიც სახელმწიფო ღებულობს წილობრივ მონაწილეობას (ამ შემთხვევაში შემოწმებას ექვემდებარება შემოსაელები და ხარჯები, ვალდებულებები ხარჯებთან დაკავშირებით; საშუალებები და ღვაწლიანებები; საფინანსო საშუალებების შენახვის მდგომარეობა).

რევიზიის მსელელობისას ელინდება პერსონალის მცირე შემადგენლობით და მინიმალური დანახარჯებით სამუშაოს შესრულების შესაძლებლობები.

მიუხედაად არსებული განსხვავებებისა, განვითარებულ ქვეყნების ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში სახელმწიფო საფინანსო კონტროლის ორგანოები განსაკუთრებულ როლს თამაშობენ, რომელთა მნიშვნელობა განუხრელად იზრდება. მაგალითად, მნიშვნელოვანი პროგრამების (ეკონომიკური, სოციალური, სამხედრო, პოლიტიკური) განხორციელებაში ყოველთვის არის ჩართული კონტროლის ქვესისტემა შესაბამისი ასიგნებებით. როგორც მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, ეს ყოველთვის გამართლებული ღონისძიებაა – ფინანსურ კონტროლზე გაწეული დანახარჯები თითქმის ყოველთვის რენტაბელურია. ასე მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში მაკონტროლებელ ორგანოებზე დახარჯული თითოეული დოლარი იწვევს ბიუჯეტში დამატებით ხუთი დოლარის მობილიზებას, ხოლო დიდ ბრიტანეთში – ყოველი დახარჯული ფუნტი სტერლინგი – ცამეტი გირვანქა სტერლინგის მობილიზებას.

უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, რომ სახელმწიფო საფინანსო კონტროლის ორგანოები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ **კორუფციასთან ბრძოლაში**; რაც ხაზგასმით იქნა აღნიშნული ანტიკორუფციისადმი მიძღვნილ მერვე საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც 93 ქვეყნის ათასამდე წარმომადგენლის მონაწილეობით 1997 წლის 11 სექტემბერს პერუს დედაქალაქ ლიმაში გაიმართა.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ **„ზნეობა მარტოოდენ რელიგიისა და მორალის საქმე როდია, ეს არის აგრეთვე დემოკრატიისა და ჰატიოსანი საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირების საჯირო პირობა; თუკი ჩვენ კორუფციას მივცემთ გადაიქცეს პოლიტიკურ ინსტიტუტად, – ნათქვამია კონფერენციის მასალებში, მაშინ ლიბერალური დემოკრატიული სახელმწიფოს კრახი გარდაუვალი იქნება".**

ოთხდღიანი მუშაობის შემდეგ ლიმას კონფერენციამ მიიღო დეკლარაცია, სადაც აღნიშნულია:

„... დარწმუნებულნი ვართ, რომ კორუფცია:

– შლის ყოველი საზოგადოების მორალურ სტრუქტურას;
– არღვევს დაუცველი მოსახლეობის სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებს;
– ძირს უთხრის დემოკრატიას;
– შლის კანონიერებას, რომელიც ყოველი ცივილიზებული საზოგადოების საფუძველია;
– აბრკოლებს განვითარებას;
– ართმევს საზოგადოების ფენებს – განსაკუთრებით ღარიბებს, თავისუფალი და ღია კონკურენციით სარგებლობის უფლებას";
„...თუ არ იქნება აღმოფხვრილი კორუფციის კულტურა, რეფორმის მცდელობები ამაო იქნება" – ნათქვამია დეკლარაციის დასკვნით ნაწილში.

კორუფცია – ეს ყოველთვის არის სახელმწიფო მმართველობის შესუსტების სიმპტომი. მსოფლიო ბანკი კორუფციას განსაზღვრავს, როგორც სახელმწიფო სამსახურის გამოყენებას პირადი მიზნებისათვის, ასეთი განსაზღვრება მოიცავს თანამდებობის ბოროტად გამოყენებას, საგადასახადო დარღვევებს, რეგისტრაციის, ლიცენზირებისა და ნებართვების სფეროში თანამდებობის ბოროტად გამოყენებას.

კორუფციის კიდევ ერთი სახე წარმოიშობა სახელმწიფო საწარმოების პრივატიზებასთან დაკავშირებულ პროცესში. სახელმწიფო ფინანსური რესურსების დატაცება, შემოსავლების მითვისება, კრედიტების დაუბრუნებლობა – ასევე წარმოადგენს კორუფციის სხვადასხვა ფორმებს.

მოწესრიგებული სახელმწიფო **კონტროლი და აუდიტი** წარმოადგენს მძლავრ იარაღს კორუფციასთან ბრძოლაში.

სახელმწიფო საფინანსო კონტროლის უმაღლესი ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციები (მაგალითად, ინტოსაი _ International Organization of Supreme Audit Institutions) სულ უფრო დიდ ინტერესს აჩენენ კორუფციასთან ბრძოლაში.

განვიხილოთ სახღვარგარეთის ქვეყნების ფინანსური კონტროლის თანამედროვე მდგომარეობა:

I) სახელმწიფო ფინანსური კონტროლი ამერიკის შეერთებულ შტატებში

აშშ-ს საკონტროლო-სარევიზიო სისტემის ფარგლებში მოქმედებს ფუნქციონალურად დამოუკიდებელი მაკონტროლებელი ორგანოები, რომლებიც გაერთიანებულნი არიან სახელმწიფოს სამართლებრივ სისტემაში, როგორც აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების (პრეზიდენტი და კონგრესი) უფლებამოსილებათა ბალანსის რეგულირების მექანიზმისა აუცილებელი ელემენტი.

აშშ-ის სახელმწიფო კონტროლის ორგანოები ითავსებენ ადმინისტრაციული და ფინანსური კონტროლის ფუნქციებს. ამის მაგალითად შეიძლება გამოდგეს პრეზიდენტთან არსებული ადმინისტრაციულ-საბიუჯეტო სამმართველო, იგი აფასებს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანიზაციულ და მმართველობით სტრუქტურას, კოორდინაციას უწევს სამინისტროებისა და უწყებების საქმიანობას, ინფორმაციას აწვდის პრეზიდენტს სახელმწიფო დაწესებულებათა მუშაობის შესახებ. ამასთან, ეს სამმართველო ფლობს მძლავრ ინსტიტუციონალურ ბერკეტებს – განსაზღვრავს სამინისტროებისა და უწყებების ასიგნებების მოცულობას, ახორციელებს შიდაუწყებრივი რეორგანიზაციის ღონისძიებებს და ა. შ.

აშშ-ში საანგარიშო პალატის ფუნქციას ახორციელებს მთავარი მაკონტროლებელი სამმართველო, რომელსაც გააჩნია უფლებამოსილებათა ფართო სპექტრი, კერძოდ:

– სამთავრობო პროგრამების შედეგების შეფასება და კონტროლი, რომელიც ხორციელდება კონგრესის ან უშუალოდ სამმართველოს ხელმძღვანელთა დავალებით;
– კონგრესის კომიტეტების მხარდაჭერა სამთავრობო პროგრამების ანალიზისა და შეფასების საქმეში;
– მთავრობის საქმიანობისა და სამთავრობო პროგრამების შეფასებისა და კონტროლის მეთოდებისა და ხერხების რეკომენდაციების დამუშავება.

სამმართველოს ძირითად ამოცანას წარმოადგენს ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობისა და კონგრესის მიერ დამტკიცებული პროგრამების განხორციელების ფინანსური კონტროლი.

მთავარი მაკონტროლებელი სამმართველო „ბიუჯეტისა და საფინანსო კონტროლის შესახებ“ კანონის შესაბამისად უფლებამოსილია შეამოწმოს ყველა სამთავრობო დაწესებულების საქმიანობა (ცენტრალური სადაზვევრეო სამმართველოსა და გამოძიების ფედერალური ბიუროს გარდა). კანონი პირდაპირ მიუთითებს მთავრობის პროგრამების ანალიზსა და შეფასებაზე.

მთავარ მაკონტროლებელ სამმართველოს სათავეში უდგას გენერალური კონტროლიორი. იგი ინიშნება აშშ-ის პრეზიდენტის მიერ 15 წლის ვადით. დანიშვნის პროცედურა განისაზღვრება სამი ეტაპით. პირველ ეტაპზე კონგრესი ქმნის სპეციალურ კომისიას, რომლის შემადგენლობაში პარიტეტულ საწყისებზე შედიან ორივე პარტიისა და ორივე პალატის წარმომადგენლები, მასში შედის აგრეთვე პრეზიდენტის წარმომადგენელი. კომისია არჩევს რამდენიმე 5-6 კანდიდატს.

მეორე ეტაპზე წარმოდგენილი კანდიდატებიდან პრეზიდენტი შეარჩევს ყველაზე შესაფერისს.

მესამე ეტაპზე პრეზიდენტის არჩევანს სენატი ამტკიცებს ხმების უმრავლესობით.

გენერალური კონტროლიორის დანიშვნა, როგორც ამას პრაქტიკა ადასტურებს, ხორციელდება პრეზიდენტის მმართველობის შუა პერიოდში, გენერალური კონტროლიორის თანამდებობიდან გადაყენება დადგენილი ვადის ამოწურვამდე შეუძლია მხოლოდ კონგრესს იმპიჩმენტის წესით.

გენერალური კონტროლიორი არ შეიძლება იყოს რომელიმე პარტიის წევრი. უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ მას არ შეუძლია დაიკავოს რაიმე თანამდებობა სახელმწიფო აპარატში (ჩვეულებრივ ენიშნება პენსია თანამდებობრივი ხელფასის ფარგლებში).

სამმართველოს სტრუქტურული ორგანიზაცია ძალზედ რთულია. მასში შედის 7 დიდი განყოფილება. 4 მათგანი – ე. წ. პროგრამული განყოფილებები (ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა, თავდაცვა და ა.შ.) მოიცავს მიმართულებებს, რომლის სათავეში დგას პრობლემის დირექტორი – გენერალური სპეციალისტი ამ სფეროში. მთლიანად სისტემაში შედის 37 ასეთი მიმართულება. დირექტორს ეკისრება მთავარი რეიზორი, ხოლო მთავარ რეიზორებს – რეიზორები, ამ ნაწილში მთავარი მაკონტროლებელი ორგანოს სტრუქტურა შეესაბამება სახელმწიფო ბიუჯეტის სტრუქტურას.

სამმართველო მოიცავს 14 ფილიალს აშშ-ის უმსხვილეს ქალაქებში, ფილიალი აქვს, აგრეთვე, ევროპაში – მაინის ფრანკფურტში, შორეული აღმოსავლეთის ფილიალი მდებარეობს ჰონოლულუში (ჰავაის შტატი).

აშშ-ის მთავარი მაკონტროლებელი სამმართველოს შტატების რიცხოვნობა შეადგენს 5000 ერთეულს.

სამმართველოს საქმიანობიდან მიღებული ეკონომიკური ეფექტი გამოიხატება ათეულობით მილიარდი დოლარით.

2) სახელმწიფო ფინანსური კონტროლი დიდ ბრიტანეთში

დიდი ბრიტანეთის საფინანსო კონტროლის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს ნაციონალური საკონტროლო-სარევიზიო სამმართველო, რომელსაც სათავეში უდგას გენერალური კონტროლიორი და რევიზორი. ეს სამმართველო არის ინტოსაისა და ევროსაის წევრი. გენერალური კონტროლიორი და რევიზორი მონაწილეობენ ღებულობენ ორივე ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოების სხდომებში.

ამჟამად დიდ ბრიტანეთში მოქმედებს შემდეგი სახელმწიფო მაკონტროლებელ-სარევიზიო დაწესებულებები:

- ინგლისისა და უელსის საკონტროლო-სარევიზიო კომისია;
- შოტლანდიის სახელმწიფო ანგარიშების კომიტეტი;
- ჩრდილოეთ ირლანდიის საკონტროლო-სარევიზიო სამმართველო.

ნაციონალური საკონტროლო-სარევიზიო სამმართველო თავის საქმიანობას ახორციელებს გენერალური კონტროლიორისა და რევიზორის სახელით. სამმართველოს პერსონალი შეადგენს 750 კაცს, – ძირითადად კვალიფიცირებული ბუღალტრებისაგან. პერსონალის შემადგენლობაში შედიან, აგრეთვე, კონსულტანტები და ექსპერტები საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანად გამოყენების კვლევის სფეროში.

სამმართველო ადგენს 50-ზე მეტ მოხსენებას რესურსების ეფექტიანად გამოყენების შემოწმების შედეგების საფუძველზე. მოხსენებებს იხილავს თემთა პალატის სახელმწიფო ანგარიშების კომიტეტი, კომიტეტის შემადგენლობა ასახავს ძალთა დემოკრატიულ ბალანსს თემთა პალატაში, ტრადიციის მიხედვით, კომიტეტის თავმჯდომარედ ინიშნება ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი. მთავრობა ვალდებულია, რეაგირება მოახდინოს კომიტეტის რეკომენდაციებზე.

ფინანსურ კონტროლში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეფექტიანობის კონტროლი (ეფექტიანობის აუდიტი). გაერთიანებულ სამეფოში ეფექტიანობის კონტროლი მჭიდროდ უკავშირდება სტრატეგიულ გეგმებს, რომლებიც დგება 2-3 წლით.

ნაციონალური სარევიზიო-საკონტროლო სამმართველო მოქმედებს გენერალური კონტროლიორისა და რევიზორის ხელმძღვანელობით და წარმოადგენს ცენტრალური მთავრობის, სამინისტროებისა და უწყებების გარე აუდიტორს. გენერალური კონტროლიორისა და რევიზორის სახელით სამმართველო ახორციელებს ძირითადად ორი ტიპის სამუშაოს:

– ფინანსურ კონტროლს, რომელიც მოიცავს ანგარიშების, მთავრობის ხარჯების მართებულობის და სისწორის შემოწმებებს;

– სახსრების გამოყენების ეფექტიანობის შემოწმებას, ე. ი. პროგრამების, პროექტებისა და საქმიანობის სახეების მიხედვით რესურსების ეკონომიურობის, პროდუქტიულობის და ეკონომიკური ეფექტიანობის შემოწმებას. „ეკონომიურობის" ცნების ქვეშ იგულისხმება რესურსების გამოყენების მინიმიზაცია აუცილებელი ხარისხის უზრუნველსაყოფად (მაგ., პოლიკლინიკის შემოწმებისას არის თუ არა სათანადო ხარისხის მოწყობილობა მინიმალურ ფასად შეძენილი). „პროდუქტიულობის" ცნებაში იგულისხმება წარმოებული საქონლისა და მომსახურების შესაბამისობა მათ საწარმოებლად დახარჯულ რესურსებთან. „ეფექტიანობაში" იგულისხმება დასახული მიზნების მიღწევის ხარისხი და განსაზღვრული სამუშაოს დაგეგმილი და მიღწეული შედეგების შესაბამისობა (მაგ., ჯანდაცვის პროგრამების შემოწმებისას – მიღწეულია თუ არა განხორციელებული პროგრამის ძირითადი მიზანი – მოსახლეობაში ამა თუ იმ დაავადების გავრცელების შემცირება).

სამმართველო შესამოწმებელ ორგანოებს უტარებს კონსულტაციებს ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური კონტროლის პრობლემურ საკითხებზე, რომლებიც წარმოიშობა შემოწმების პროცესშიეც; ამ თვალსაზრისით, სამმართველოს საქმიანობა აუდიტორული ფირმის საქმიანობის მსგავსია.

გარდა ამისა, საკონტროლო-სარევიზიო სამმართველო ახორციელებს მიმდინარე ყოველდღიურ კონტროლს ყველა ფინანსურ ოპერაციებზე საბიუჯეტო სახსრების გადარიცხვასთან დაკავშირებით; პრაქტიკის თანახმად, ასეთი ოპერაციები ხორციელდება ბანკის მიერ მხოლოდ მას შემდეგ, როცა საგადასახადო დავალება ვიზირებული იქნება სამმართველოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ. სამმართველო არ აძლევს ვიზას სახელმწიფო ორგანოს საგადასახადო დავალებას, თუ გადახარჯულია საბიუჯეტო თანხები შესაბამისი პერიოდისათვის.

საბიუჯეტო სახსრების გამოყენების ეფექტიანობის შემოწმება წარმოადგენს საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოს საქმიანობის ძირითად ნაწილს, რომლის შედეგებზე – განზოგადებული, ყოველისმომცველი ინფორმაცია ეგზავნება პარლამენტს.

საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოს საქმიანობა საბიუჯეტო სახსრების გამოყენების ეფექტიანობის სფეროში მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

– დაგეგმვა. შემოწმების მომზადებისა და ჩატარების მთელი სამუშაო გულდასმით იგეგმება, დგება ორი სახის გეგმა: პერსპექტიული (ანუ სტრატეგიული) – 5 წლის ვადით და მიმდინარე – 2 წლის ვადით. სტრატეგიული დაგეგმვის მიზანს წარმოადგენს შემოწმების მომზადებისა და ჩატარების გრძელვადიანი პერსპექტივებისა და პრიორიტეტების განსაზღვრა, მატერიალური და ადამიანური რესურსების განაწილება.

მიმდინარე გეგმები მოიცავს დეტალურ წინადადებებს შემოწმების თემატიკის მიხედვით მომდევნო 2 წლის განმავლობაში.

დაგეგმილი შემოწმებების რეალიზაციის საქმეში მომდევნო ეტაპს წარმოადგენს სამუშაო გეგმების შედგენა.

– შემოწმების ჩატარება არის შემდგომი სტადია და ხდება მონაცემებისა და დოკუმენტების შეგროვება და ანალიზი, ამასთან ყურადღება ექცევა შემოწმების მსვლელობის სწორ მიმდინარეობას.

– შემოწმების დამთავრების შემდეგ იწყება მუშაობა მოხსენების პროექტის მომზადებაზე. მოხსენება, როგორც წესი მოიცავს შემდეგ ასპექტებს:

- შემოწმების თემატიკაში ჩართული ამოცანების გადმოცემა;
- შემოწმების საკითხებისა და სფეროების ზუსტი განსაზღვრა;
- დასმულ საკითხებზე პასუხების მიღების მეთოდოლოგია;
- შემოწმების შედეგებზე ძირითადი დასკვნების გადმოცემა;
- დასკვნები;
- რეკომენდაციები.

მოხსენების პროექტი უნდა შეთანხმდეს შესამოწმებელ ორგანიზაციასთან, ტექსტის საბოლოო შეთანხმების შემდეგ მოხსენების პროექტი ეგზავნება გენერალურ კონტროლიორსა და რევიზორს ხელმოსაწერად, რომლის შემდეგ იგი გამოიცემა ცალკე ბროშურად. ამის შემდეგ მოხსენება ეგზავნება თემთა პალატას და შესამოწმებელ ორგანიზაციას.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამმართველო შესამოწმებელ ორგანიზაციასთან ერთად გულმოდგინედ აფასებს ჩატარებული შემოწმების შედეგად მიღებულ ეკონომიკურ ეფექტს.

დიდ ბრიტანეთში ჩამოყალიბებული ფინანსური კონტროლის სისტემა მიმართულია სახელმწიფო სახსრების გამოყენების მომჭირნეობის, მიზანმიმართულებისა და ეკონომიკური ეფექტიანობის სტიმულირებისაკენ.

3) სახელმწიფო ფინანსური კონტროლი გერმანიაში

გერმანიაში, განსხვავებით სხვა სახელმწიფოებისაგან, საანგარიშო პალატა წარმოდგენილია მთელი სისტემის სახით და არა როგორც ერთი მთლიანი სტრუქტურა; იგი შედგება როგორც საკუთრივ, ფედერალური საანგარიშო პალატისაგან, ასევე ფედერაციის სუბიექტების – მიწის საანგარიშო პალატებისაგან, რომლებიც მოქმედებენ ავტონომიურად და განსხვავებული სტრუქტურით, პალატის წევრთა განსხვავებული სპეციალიზაციის პრინციპებით და ნაწილობრივ, განსხვავებული უფლებამოსილებებითაც. თუმცა ეს როდი ნიშნავს მათ შორის ერთიანობის არარსებობას.

გერმანიის ძირითადი და ფედერალური კანონებით განსაზღვრულია ფედერალური საანგარიშო პალატის ანგარიშვალდებულება საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მიმართ; აქედან გამომდინარე, საანგარიშო პალატა ბუნდესტაგსა და ბუნდესრატს ყოველწლიურად წარუდგენს მისი მუშაობის ანგარიშს; იგი დამოუკიდებელი ორგანოა და ამოწმებს ანგარიშებს და აგრეთვე, ბიუჯეტის წარმოებისა და ეკონომიკის მართვის რენტაბელობასა და რეალობას. „ფედერალური საანგარიშო პალატის შესახებ“ კანონში განისაზღვრა საანგარიშო პალატის ფუძემდებლური პრინციპები – კონსტიტუციური გარანტიები, დამოუკიდებლობა, კანონიერება, სახელმწიფო ინტერესების დაცვის პრიმატი, პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტასა და აღმასრულებელი ფუნქციების განხორციელებაში ჩაურეველობა, ადმინისტრაციული აზროვნების სტიმულირება, საქმიანობის ანგარიშგება და საჯაროობა.

საანგარიშო პალატის რეგლამენტით კონკრეტულად დაფიქსირდა პალატის ადგილი სახელისუფლო სისტემაში და ამით უზრუნველყოფილი იქნა საანგარიშო პალატის საქმიანობის კოორდინაცია სახელმწიფოს უმაღლეს ხელისუფლებასთან, აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას შორის გამოიკვეთა, როგორც დამოუკიდებელი პარტნიორი და დამხმარე სტრუქტურა; რაც ვლინდება იმაში, რომ თავისი საკონტროლო ფუნქციების შესრულებით საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებას უზრუნველყოფს ახალი ინფორმაციითა და სარეკომენდაციო წინადადებებით, რასაც შედეგად არა მარტო კონტროლის ეფექტიანობის მნიშვნელოვანი ზრდა, არამედ ახალი იდეების წამოყენება და პერსპექტიული წინადადებების შემუშავება მოჰყვება.

საანგარიშო პალატის მთელი საქმიანობის აღიარებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ პალატის წევრები სარგებლობენ მოსამართლეთა დამოუკიდებლობით და მთავრობის მიერ პალატის ხელმძღვანელი მტკიცდება ფედერალურ რწმუნებულად სახელმწიფოს ეკონომიკური ეფექტურობისა და მმართველობის საკითხებში.

ფედერალური საანგარიშო პალატის კონტროლს ექვემდებარება:

– საბიუჯეტო დაფინანსება და ფედერაციის სამეურნეო საქმიანობა, მისი საკუთრებისა და საწარმოების ჩათვლით;

– საჯარო სამართლის ჩარჩოებში ფედერალური დონის იურიდიული პირების საქმიანობა;

– სახელმწიფო დოტაციების მიღებისა და ფედერაციის საგარანტიო ვალდებულებების დაცვის შემთხვევაში სოციალური დაზღვევის ფედერალური და მიწების ორგანიზაციების საქმიანობა;

– სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი კერძო სამართლის სტატუსის საწარმოების საქმიანობა;

– განსაზღვრული პირობების დროს – კერძო სამართლის სტატუსის სხვადასხვა იურიდიული პირების საქმიანობა;

– ინვესტიციები, რომლებიც არ შედიან ფედერალურ ადმინისტრაციაში, მაგრამ ნაწილობრივ ფინანსდებიან სახელმწიფოს მიერ;

– სხვადასხვა ინსტანციების მიერ მესამე პირის მისამართით წარმართული სახსრები;

– საბიუჯეტო კრედიტების გამოყოფა და ფედერალური გარანტიები;

– შემოსავლები, ხარჯები და ხარჯებთან დაკავშირებული ვალდებულებები;

– საშუალებები და დავალიანებები;

– დამოუკიდებელ სამეურნეო საქმიანობისათვის გამოყოფილი სახსრების გამოყენება;

– გეგმების რეალობა და საფინანსო შედეგებთან დაკავშირებულ ღონისძიებათა მიმდინარეობა;

– საფინანსო საშუალებების შენახვის მდგომარეობა და ა.შ.

– საბიუჯეტო და სამეურნეო საქმიანობისათვის განსაზღვრული ნორმატივების დაცვა;

– მცირე შემადგენლობის სამუშაო პერსონალით და მცირე დანახარჯებით შემოსავლების გადიდების რეზერვების გამოვლენის შესაძლებლობები.

ამდენად, საანგარიშო პალატა თავისი უფლებამოსილებით გამოდის, როგორც შუამავალი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოებს შორის და თავის რეკომენდაციებს წარუდგენს ფედერალურ მთავრობასა და ფედერალურ სამინისტროებს, რაც ქმნის იმის წინაპირობას, რომ საანგარიშო პალატის კონსულტირება მოხდეს კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებამდე და მას დაეკისროს პროფილაქტიკური მისია. ამასთან, იგი სისტემატურად ლებულობს საბიუჯეტო პროცესებთან დაკავშირებულ კანონპროექტებსა და მთავრობის ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებს მათი ქმედითობისა და შესრულების მდგომარეობის შესახებ შესაბამისი დასკვნებისათვის.

საანგარიშო პალატის პრეზიდენტსა და ვიცე-პრეზიდენტს ფედერალური მთავრობის წარდგინებით ირჩევს ბუნდესტრატი და ბუნდესტაგი და თანამდებობაზე ამტკიცებს გერმანიის პრეზიდენტი 12 წლის ვადით – მოხელისათვის კანონით დადგენილ ასაკამდე; უვადოდ, მაგრამ, საპენსიო ასაკის გათვალისწინებით, ინიშნებიან პალატის წევრები.

ფედერალური საანგარიშო პალატა მოიცავს 9 სარევიზიო განყოფილებას და 55 სარევიზიო სექტორს, სადაც მუშაობს 415 რევიზორი და პალატის 67 წევრი.

პრეზიდენტს, ვიცე-პრეზიდენტსა და პალატის წევრების მესამედს უნდა ჰქონდეთ იურიდიული განათლება, ხოლო რევიზორები, რომელთა შორის ჭარბობენ იურისტები და ეკონომისტები და სხვ., უნდა ჰქონდეთ მიღებული უმაღლესი განათლება.

მიწების საანგარიშო პალატის წევრებს, რომელთაც უნდა ჰქონდეთ შესაბამისი განათლება და პრაქტიკული გამოცდილება, ლანდტაგი ირჩევს. ფედერალური და მიწის საანგარიშო პალატები, მოქმედებენ რა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ავტონომიურად, მაგრამ სისტემატურად მუშაობენ ურთიერთკონსულ-

ტაციებითა და გამოცდილებათა ურთიერთგაზიარებით და შეიმუშავებენ საქმიანობის კოორდინაციის პრინციპებს, თავიანთ საქმიანობას წარმართავენ სამი მიმართულებით – რეეი'ხია, ანგარიშგება და კონსულტირება.

4) სახელმწიფო ფინანსური კონტროლი ავსტრიაში

ავსტრიის კონსტიტუციის თანახმად, სადაც ცალკე გამოყოფილია საანგარიშო და საფინანსო საქმიანობაზე კონტროლის შესახებ განყოფილება, საანგარიშო პალატა უშუალოდ ექვემდებარება ეროვნულ საბჭოს, მაგრამ სამართლებრიეად დამოუკიდებელია მთაერობისაგან და მიწის წარმომადგენლობითი ხელისუფლების ლანდტაგისაგან და ხელმძღვანელობს მხოლოდ კანონმდებლობის მოთხოვნებით.

კონსტიტუციით განსაზღერულია, რომ საანგარიშო პალატის თავმჯდომარე უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს ეროვნული საბჭოს, მისი კომიტეტების და ქვეკომიტეტების მუშაობაში იმ კუთხით, როცა საკითხი ეხება საანგარიშო პალატის მოხსენებას, ფედერალური საბიუჯეტო ხარჯთაღრიცხვას, სარეეზიო აქტების, ფინანსების შესახებ კანონპროექტის და სხვ. განხილვას.

საანგარიშო პალატას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელიც მოქმედებს რა ეროვნული საბჭოს და ლანდტაგის სახელით, იგი კონსტიტუციური სტატუსით გათანაბრებულია ფედერალური მთაერობის ან ლანდტაგის წეერებთან; პალატის თავმჯდომარეს 12 წლის ვადით ეროვნული საბჭოს მთავარი კომიტეტის წარდგინებით ირჩევს ეროვნული სიაბჭო; მეორე ვადით მისი გადარჩევა გათვალისწინებული არაა; ამასთან, თავმჯდომარის არჩევისას მხედველობაში ღებულობენ იმ გარემოებას, რომ წარდგენილი კანდიდატურა ბოლო ოთხი წლის განმავლობაში არ უნდა იყოს ფედერალური მთავრობის ან რომელიმე მიწის მთაერობის წეერი, ანუ გამოირიცხოს საფინანსო კონტროლის ორგანოს სათავეში ე.წ. „შემთავსებელთან" ზეგავლენაში მყოფი პიროვნების მოსვლა.

საანგარიშო პალატის მოხელეები, რომელსაც პალატის თავმჯდომარის წარდგინებით ფედერალური პრეზიდენტი ნიშნავს და ხელმოწერით პალატის თავმჯდომრე ადასტურებს, შეზღუდულნი არიან და ეკრძალებათ საანგარიშო პალატის კონტროლს დაქვემდებარებული და მოგების მიღებაზე ორიენტირებულ საწარმოთა მართვაში მონაწილეობა.

ეროვნული საბჭოს რეგლამენტის შესახებ ფედერალური კანონის თანახმად, საანგარიშო პალატის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტისას მას სცელის პალატის რანგით უმაღლესი მოხელე – ვიცე-თავმჯდომარე, თავმჯდომარის სტატუსით – გათანაბრებული ფედერალური მთაერობის და მიწის მთაერობათა წეერებთან.

ავსტრიის საანგარიშო პალატის უფლებამოსილებაში შედის, შეამოწმოს:

– სახელმწიფოს საფინანსო-საბიუჯეტო პროცესები;

– სახელმწიფოს მიერ აღებული კრედიტები, სხვადასხვა ვალდებულებები და ხელშეკრულებები;

– სოციალური დაზღვევის ორგანოების წარმომადგენელთა საფინანსო საქმიანობა;

– კანონის საფუძველზე მოქმედი პროფესიული წარმომადგენლობების საფინანსო საქმიანობა; ამასთან, პალატას ყოველწლიურად უნდა წარმოუდგინონ ხარჯთაღრიცხვის პროექტები და შედეგების საბალანსო ანგარიშები;

– საჯარო-სამართლებრივი კორპორაციების საფინანსო საქმიანობა;

– სახელმწიფო მეურნეობების, საქველმოქმედო და სხვ. ფონდების და დაწესებულებების საფინანსო საქმიანობა;

– სახელმწიფოს მიერ 100 და 50%-იანი კაპიტალით განსაზღერული წილით შექმნილი სამართლის სუბიექტების შემოწმება;

– სახელმწიფოსა და სამართლის სხვა სუბიექტების მიერ ექსპლუატირებული საწარმოთა საქმიანობა;

– ნებისმიერი დონის სხვა სამეწარმეო საქმიანობა, რომელთა მართვა ხორციელდება სხვადასხვა საფინანსო და ეკონომიკურ-ორგანიზაციული ღონისძიებებით;

– მიწის ორგანოების ან მათ მიერ დანიშნული პირების მართვას დაქვემდებარებული საქველმოქმედო ან სხვა ფონდების და დაწესებულებების საფინანსო

საქმიანობა [უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო პალატის ფედერაციის სუბიექტებთან – მიწებთან ურთიერთობას არეგულირებს კონსტიტუცია, რადგან საანგარიშო პალატას, როგორც ერთელემენტიან საზედამხედველო ორგანოს, გააჩნია მრავალდონიანი ფუნქციური პასუხისმგებლობა];

– მიწის მთავრობების მიერ ყოველწლიურად გადმოცემული წინასწარი ხარჯთაღრიცხვა და შედეგობრივი საბალანსო ანგარიშები;

– მიწის მთავრობების მიერ დაფუძნებული ან, სამართლის სხვა სუბიექტების საფინანსო საქმიანობა და ა.შ.

ლანდტაგის გადაწყვეტილებით პალატა თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ატარებს, აგრეთვე, საფინანსო საქმიანობის სპეციალურ შემოწმებებს; ანალოგიური მეთოდებითა და ნორმებით ტარდება ვენის სახელმწიფო სამსახურების და მის ტერიტორიაზე არსებული საწარმოების, აგრეთვე თემთა კავშირების შემოწმებები.

უნდა აღინიშნოს, რომ ფედერაციის ფინანსური ვალდებულებების მქონე (ან შემცველ) ყველა დოკუმენტს ხელს აწერს პალატის თავმჯდომარე ან კიდევ, მისი უფლებამოსილების შეუსრულებლობის შემთხვევაში, თავმჯდომარის მოადგილე, რაც გამომდინარეობს ფედერაციის საფინანსო კანონმდებლობიდან; ე.ი. ყველა აღნიშნული სახის დოკუმენტი პალატის განსაკუთრებული კონტროლს ქვეშაა მოქცეული.

ეროვნული საბჭოს გადაწყვეტილების, მისი წევრების, ფედერალური მთავრობის ან ფედერალური მინისტრის მოთხოვნით პალატა თავისი კომპეტენციის ფარგლებში ატარებს შემოწმებებს შესამოწმებელი ობიექტების საქმიანობის კანონმდებლობასთან და შინაგანაწესთან შესაბამისობის, ეკონომიკურობის, რენტაბელობის და მიზანშეწონილობის დადგენის მიზნით და შესწავლის შედეგებს წარუდგენს შესაბამის ორგანოებს.

საანგარიშო პალატა ყოველი წლის ბოლოს – 31 დეკემბერს, შესაბამისად, წარუდგენს მოხსენებას ეროვნულ საბჭოს – განელილი სამეურნეო წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის შესახებ და ლანდტაგს – მიწის ნაწილში; ეროვნულ საბჭოში შეტანილი მოხსენებები საბოლოოდ წარედგინება ფედერალურ კანცლერს, ხოლო მიწის ნაწილში შეტყობინებები ერთდროულად მიეწოდება როგორც ფედერალურ მთავრობას, ასევე, მიწის მთავრობასაც, ხოლო თემთა საბჭოს შემოწმების შედეგებს აცნობებენ ბურგომისტრს.

ასევე, მოქმედი პროფესიონალური წარმომადგენლობები, კანონმდებლობიდან გამომდინარე, საანგარიშო პალატას უდგენენ ხარჯთაღრიცხვის პროექტსა და ჯამურ საბალანსო შედეგებს, რასაც პალატა, თავის მხრივ, აცნობებს პროფესიონალურ წარმომადგენლობაზე ზედამხედველ ორგანოს და მის თავმჯდომარეს

5) სახელმწიფო ფინანსური კონტროლი იაპონიაში

იაპონიაში ფინანსური კონტროლის მიმართ დასმულია ორი მთავარი ამოცანა, რომელიც განსაზღვრავს კიდეც მის **ძირითად მიმართულებებს:**

– ფინანსური საკითხების გადაწყვეტაში პარლამენტის განსაკუთრებულად მაღალი როლი, რაც ასახულია იაპონიის კონსტიტუციაში და გამოიხატება პარლამენტის წინაშე მთავრობის საფინანსო ანგარიშგების წესის განსაზღვრაში;

– საფინანსო-სარევიზიო პალატის მოღვაწეობის სპეციფიკა, რომელიც მისი სტატუსითაა განსაზღვრული საფინანსო-სარევიზიო პალატის შესახებ კანონში, რომელიც ჯერ კიდევ 1947 წელს იქნა მიღებული, პალატა განხილულია მთავრობისაგან დამოუკიდებელ ორგანოდ.

იაპონიის საკონტროლო-სარევიზიო პალატას, რომელიც შედგება რევიზორთა საბჭოსაგან, გენერალური სამდივნოსა და სამი რევიზორისაგან, ხელმძღვანელობს რევიზორთა საბჭო.

რევიზორები იაპონიაში პარლამენტის ორივე პალატის თანხმობით ინიშნებიან მინისტრთა კაბინეტის მიერ; მათ თანამდებობაზე მიღებას ან განთავისუფლებას იმპერატორი ამტკიცებს და მათი უფლებამოსილება განისაზღვრება 7 წლით, თუმცა არაა გამორიცხული მეორე ვადით დანიშნა; 65 წლის ასაკიდან რევიზორი უნდა დაითხოვონ.

საფინანსო-საკონტროლო პალატის თავმჯდომარეს თავიანთი რიცხვიდან ირჩევენ რევიზორები და მტკიცდება მინისტრთა კაბინეტის მიერ.

გადაწყვეტილებათა მიღების ორგანოს წარმოადგენს რევიზორთა საბჭო, რომლის ფუნქციებია:

– საფინანსო-სარევიზიო პალატის წესდების შემუშავება;

– სახელმწიფო შემოსავალ-გასავლების წლიური ანგარიშის რევიზირება; რევიზიის შედეგების შესახებ ანგარიში მინისტრთა კაბინეტის მიერ წარედგინება პარლამენტს;

– მინისტრთა კაბინეტის თხოვნით ან სხვა აუცილებელი საჭიროების შესაბამისად რევიზორების დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება;

– რევიზიას დაქვემდებარებული დოკუმენტების მოთხოვნა;

– გამოვლენილ დარღვევებთან დაკავშირებით დამნაშაეთა პასუხისგებაში მიცემის ან სხვა ზომების შესახებ გადაწყვეტილებათა მიღება.

გენერალური სამდივნო, რომლის მუშაობასაც ხელმძღვანელობს რევიზორთა საბჭო, დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით; გენერალური სამდივნო მოიცავს სამდივნოს, რომელსაც განაგებს გამგე, მოადგილე, პირადი მდივანი, საქმეთა მმართველი, ტექნიკური ისნპექტორი და სხვა მოშაკები;გარდა ამისა, რევიზიას და საქმისწარმოებას ახორციელებს ხუთი დეპუტატი (1, 2, 3, 4, 5).

პალატის საქმიანობის სფეროა:

– სახელმწიფოს ყოველთვიური შემოსავალ-გასავლის რევიზია;

– სახელმწიფოს კუთვნილი ნაღდი ფულის და ქონების მოძრაობის რევიზია;

– სახელმწიფო დაკრედიტების უფლებამოსილების, სახელმწიფო ვალის დინამიკის და სახელმწიფოს სხვა საკრედიტო ოპერაციების რევიზია;

– იაპონიის ბანკის მიერ სახელმწიფო ინტერესებში გამოყენებული ნაღდი ფულის, კეთილშობილი მეტალებისა და ფასიანი ქაღალდების მიღება-გადაცემის რევიზია;

– სახელმწიფოსაგან 50%-ზე მეტი კაპიტალმიღებულ იურიდიულ პირთა ანგარიშების რევიზია;

– კანონმდებლობის შესაბამისად შემოწმებას დაქვემდებარებული ანგარიშების რევიზია.

გარდა აღნიშნულისა, საფინანსო-სარევიზიო პალატას საჭირო შემთხვევის გამო და მინისტრთა კაბინეტის თხოვნის საფუძველზე შეუძლია ჩაატაროს რევიზიები, რომელიც ეხება სახელმწიფოს როგორც კუთვნილის, ასევე არაკუთვნილის, ან შესანახად მასთან არსებული ფასიანი ქაღალდების, ფულისა და ქონების მიღება-გაცემას, სახელმწიფო დიტაციებთან წამახალისებელ და სხვა გადასახადებთან, სახელმწიფოს ფინანსურ დახმარებასთან (კრედიტები, ზარალის კომპენსაცია და სხვა) პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებულ ანგარიშებს და ა.შ.

ამრიგად, როგორც შესწავლილი მასალების ანალიზიდან ჩანს, იაპონიის საფინანსო-სარევიზიო პალატა ფუნქციონირებს უმაღლესი აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოებს შორის გადაწყვეტილებათა შეთანხმებიით, ქვეყნის იმპერატორის მიერ მინისტრთა კაბინეტის მიერ დანიშნული რევიზორების დამტკიცებით, მთავრობის საფინანსო მოღვაწეობის რეგულარული შემოწმებითა და პარლამენტისათვის შესაბამისი დასკვნის წარდგენით (მართალია, პარლამენტს მინისტრთა კაბინეტი წარუდგენს დასკვნას, მაგრამ კანონის თანახმად საპარლამენტო კომისიებს შეუძლიათ მოითხოვონ პალატის თავმჯდომარის ან რევიზორების პირადი დასწრება კომისიის სხდომაზე საჭირო განმარტების მიზნით), საკუთარი მოსაზრებით, სახელმწიფო ფინანსებთან დაკავშირებული სხვადასხვა შემოწმებებიო (აგრეთვე, მინისტრთა კაბინეტის თხოვნით და არა – ცალკეული მინისტრებისა და უწყებების თხოვნით), პროკურატურასთან თანამშრომლობით.

ნ) სახელმწიფო ფინანსური კონტროლი იტალიაში

კონსტიტუციიდან გამომდინარე, იტალიაში მიმდინარე კანონმდებლობით განსაზღვრულია მაკონტროლებელი ორგანოების ორეშელონიანი სისტემა, რომელიც სამთავრობო დამხმარე ორგანოების სტატუსით აერთიანებს საანგარიშო პალატასა და სახელმწიფო საბჭოს; იტალიაში კი, კონსტიტუციურად აღიარებულია მთავრობის დამხმარე ორგანოების მნიშვნელობა და 99-ე მუხლით ქვეყნის ეკონომიკისა და მთავრობის ეროვნული საბჭო გამოცხადებულია პარლამენტის

პალატებისა და მთავრობის საკონსულტაციო ორგანოდ, რომელსაც ექსპერტიზისა და შემოწმების მეშვეობით ევალება საკონტროლო საქმიანობის განხორციელებაც.

აღნიშნულმა გარემოებამ ეკონომიკისა და მთავრობის ეროვნულ საბჭოს შეუქმნა მართვის მეტად აუცილებელი, ოპერატიული ინფორმაციის მოპოვების საშუალება; კონსტიტუციამ კი მისცა საკანონმდებლო ინიციატივის უფლებაც, რითაც მნიშვნელოვნად აიწია მისმა პოტენციალმა ქვეყნის მართვასთან დაკავშირებით და ამით იგი აქტიურად ჩაერთო ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებზე საკანონმდებლო აქტების შემუშავების პროცესში.

საანგარიშო პალატის და სახელმწიფო საბჭოს სახელმწიფოს ინსტიტუციონალურ სისტემაში თავმოყრა და მათი ურთიერთდამოკიდებულება განაპირობა მათი თითქმის ერთდროულად შექმნამ – სახელმწიფო საბჭო შეიქმნა 1852 წელს, ხოლო საანგარიშო პალატა მონარქის დეკრეტით 1862 წელს.

უნდა აღინიშნოს, რომ იტალიის კონსტიტუციით საანგარიშო პალატას მიეცა უფლებამოსილება წინასწარ განიხილოს პრეზიდენტის ყველა დეკრეტი, განახორციელოს მთავრობის საფინანსო და ნებისმიერი აქტების კანონიერების წინასწარი კონტროლი.

იტალიის საანგარიშო პალატის სამართლებრივი მდგომარეობის განმსაზღვრელი 1934 წლის 12 იელისის კანონი სერიოზულად შეიცვალა 1994 წლის 14 იანვარს მიღებული ორი კანონით, რის საფუძველზე სხვა სახე მიიღო პალატის სტრუქტურამაც – გაუქმდა საგარეო საქმიანობის სექცია და შეიქმნა ახალი რეგიონული სტრუქტურები.

საანგარიშო პალატის 10 სექციიდან მხოლოდ პირველს ეკისრება კონტროლის ფუნქციის განხორციელება, ხოლო დანარჩენს – იურისდიქციული. ამ მოდიფიკაციით დაშვებულია პალატის დაკავშირება მთავრობასთან, როგორც მის დამხმარე ორგანოსთან; პარლამენტთან, როგორც პარლამენტის მომსახურე სტრუქტურა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხებში და იუსტიციის სამინისტროსთან, როგორც ადმინისტრაციული იუსტიციის სპეციალიზირებული ორგანო, რომელშიც შედის მთავარი პროკურორი და 9 სექცია.

მთავარი პრიკურორი, როგორც საანგარიშო პალატის თანამდებობის პირი, შედის პალატის ხელმძღვანელთა რიგებში და წარმოადგენს პალატის ვიცე-პრეზიდენტს და არ ეკუთვნის საერთო სასამართლოების მოქმედ პროკურორებს.

უნდა აღინიშნოს, რომ იტალიის ყველა რეგიონში შეიქმნა საანგარიშო პალატის სექციები და სამსახურები, რაც მნიშვნელოვნად ზრდის პალატის ავტორიტეტსა და გაელენას.

საანგარიშო პალატას შტატში 523 მაგისტრია; (ძირითადად მრჩევლები და რეფერენტები) პერსონალის ნაწილს მთავრობა ნიშნავს, ხოლო ნაწილის შერჩევა ხდება კონკურსით.

ცნობილია, რომ იტალიის საანგარიშო პალატა, მოქმედებს წინასწარი კონტროლის ფორმით და იყენებს დარღვევა-გადაცდომათა პროფილაქტიკის ფუნქციას, ანუ შესაბამისი აქტის ძალაში შესვლამდე ატარებს შესაბამის ღონისძიებებს, რათა თავიდან იქნეს აცილებული მოსალოდნელი დარღვევები, მაშინ, როცა შემდგომი კონტროლის ფორმით ჩატარებული შემოწმებებით მხოლოდ დარღვევები ფიქსირდება.

სახელმწიფო საბჭო ფუნქციურად უკავშირდება ადმინისტრაციულ იუსტიციის ორგანოებს; კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფო საბჭოს და ადმინისტრაციულ იუსტიციის სხვა ორგანოებს ევალებათ სახელმწიფო ორგანოების მოქმედებათა მიმართ კანონიერი ინტერესების დაცვა; კანონმდებლობით, ადმინისტრაციული იუსტიციის დაწესებულებები დამოუკიდებელი სისტემაა, რომლის ზედა რგოლი, ანუ უმაღლესი ორგანო სახელმწიფო საბჭოა.

სახელმწიფო საბჭოს 6 სექციიდან სამი საკონსულტაციო ფუნქციებითაა დაკავებული, ხოლო სამი – იურიდიული. საბჭოს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე; პერსონალის შეირჩევა კონკურსით; პერსონალში შედიან აგრეთვე მრჩევლები და რეფერენტები.

7) სახელმწიფო ფინანსური კონტროლი საფრანგეთში

საფრანგეთის საანგარიშო პალატა, რომელსაც არსებობის ხანგრძლივი ისტორია გაჩნია და ნახსენებია ჯერ კიდევ 1316 წელს, კონსტიტუციის თანახმად, კონ-

ტროლს ახორციელებს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ საფინანსო ხასიათის კანონების შესრულებაზე, რისთვისაც იგი მჭიდრო კავშირშია საბიუჯეტო და საფინანსო დისციპლინის სასამართლოსა და სახელმწიფო სამსახურის რენტაბელობისა და ღირებულების შემსწავლელ ცენტრალურ კომიტეტთან. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პალატასთან ფუნქციონირებს პროკურატურა გენერალური პროკურორითა და ორი მოადგილით, რომლებიც იცავენ სახელმწიფოს ინტერესებს საფინანსო სფეროში და ზედამხედველობას უწევენ სასამართლო პრაქტიკას.

საანგარიშო პალატას, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების დამოუკიდებელ და კოლეგიალურ ორგანოს, უძღვება პალატის პრეზიდენტი და მისი 7 მოადგილე; გარდა ამისა, პალატის შემადგენლობაში შედიან შიდა პალატებისა და საბჭოების თავმჯდომარეები, მრჩევლები და რეზიზორები; აქედან, მთაერობის დეკრეტით ხდება პალატის პრეზიდენტისა და შიდა პალატების თავმჯდომარეების დანიშვნა, ხოლო რესპუბლიკის პრეზიდენტის დეკრეტით ინიშნება – მოსამართლის სტატუსის მქონე პალატის სხვადასხვა თანამშრომელი, ასევე პრეზიდენტის დეკრეტით 4 წლის ვადით ინიშნებიან პალატის მრჩევლებიც, რომელთა რაოდენობა 10-ზე მეტი არ უნდა იყოს.

განსხვავებით სხვა ქვეყნების პალატებისაგან, სადაც საანგარიშო და საკონტროლო პალატები ძირითადად პარლამენტთან არიან დაკავშირებულნი, საფრანგეთის საანგარიშო პალატის მიკუთვნება მისი სამართლებრივი ბუნების გამო შეიძლება როგორც საკონტროლო, ასევე სასამართლო ორგანოთა სისტემისათვის.

„საფრანგეთის საანგარიშო პალატის შესახებ“ კანონის მიხედვით, საანგარიშო პალატის ძირითად **ამოცანებად განისაზღვრა:**

– სახელმწიფო საწარმოთა სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის რევიზია;

– სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებასთან დაკავშირებული ორგანიზაციების (მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა) საფინანსო საქმიანობის შემოწმება;

– კანონების შესრულების მიმდინარეობისას პარლამენტისათვის და მთავრობისათვის ხელშემწყობი პირობების უზრუნველყოფა;

– სოციალზღვევის სფეროს დაწესებულებათა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზია;

– საქველმოქმედო საქმიანობიდან შემოსული თანხების ხარჯვის მიზნობრიობა და ა.შ.

– სახელმწიფო საწარმოთა, სააქციო საზოგადოებებისა და შერეული კაპიტალის საზოგადოებათა ხელმძღვანელების პირადი ანგარიშების შემოწმება;

– შემოწმება იმ საზოგადოებებისა და ორგანიზაციებისა, რომელთა კაპიტალის უმეტესი ნაწილი სახელმწიფოს გამგებლობაშია;

– შემოწმება იმ სახელმწიფო სამსახურებისა, რომლებიც წარმართავენ სამეურნეო საქმიანობას.

საფრანგეთში საფინანსო კონტროლს ახორციელებს, აგრეთვე, საბიუჯეტო და საფინანსო დისციპლინის სასამართლო, რომელიც საანგარიშო პალატასთან მჭიდრო ურთიერთობით და თანამშრომლობით საფინანსო კონტროლს ატარებს პროცესუალურ-სამართლებრივი საშუალებებით. სასამართლოს, რომელსაც ხელმძღვანელობას საანგარიშო პალატის პრეზიდენტი უწევს, შეიძლება მიმართონ ხელმძღვანელებმა იმ უწყებებისა, რომელთაც ეევალებათ ფინანსური ხასიათის დარღვევების გამოვლენა, ასევე შეიძლება მიმართოს ფინანსთა მინისტრმა და რაც მთავარია, საპარლამენტო პალატების თავმჯდომარეებმა და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურმა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საფრანგეთში სახელმწიფო საფინანსო კონტროლის ქმედითობას და ეფექტიანობას დიდად უწყობს ხელს სახელმწიფო ბუღალტრის ინსტიტუტის ფუნქციონირება, რომელზეც ერცელდება რა საანგარიშო პალატის იურიდიული კომპეტენცია, ყოველწლიურად უდგენს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშს; არის ისეთი შემთხვევები, როცა საანგარიშო პალატას კონკრეტული ფინანსური ოპერაციის კანონიერების შესახებ აწოდებს ინფორმაციას ახსნა-განმარტების სახით, ასევე, სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს აწვდის ფინანსური მართვის სრულყოფის წინადადებებსაც.

საყურადღებოა ისიც, რომ 1971 წლიდან პარლამენტთან შექმნილი საგადასახადო საბჭო ზედამხედველობას უწევს გადასახადების განაწილების მიმდინარეობას ქვეყანაში.

ფინანსთა მინისტრი, რომელიც აღმასრულებელი ხელისუფლების სახელით ამოწმებს სახელმწიფოს საფინანსო-საბიუჯეტო წლის შედეგებს, შემოწმების მასალებს წარუდგენს საანგარიშო პალატას, რომელიც შესაბამისი ანალიზისა და დასკვნის სახით გადაუგზავნის პარლამენტს; აღნიშნული მაჩვენებლები, ანუ საანგარიშო პალატის მოხსენება, რომელიც ქვეყნდება ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში, ედება საფუძვლად ქვეყნის პრეზიდენტისადმი წარდგენილ ყოველწლიურ მოხსენებას.

8) სახელმწიფო ფინანსური კონტროლი პოლონეთში

პოლონეთში თითქმის ორასუკუნოვანი ისტორია აქვს კონტროლის ტრადიციას – ფაქტიურად იგი იწყება 1808-1815 წლებიდან, როცა ჩამოყალიბდა ვარშავის სამთავროს მთავარი გადახდის პალატა, რომელიც 1815-1830 წლებში ფუნქციონირებდა, როგორც პოლონეთის სამეფო უმაღლესი ანგარიშგების პალატა. პოლონეთის კონტროლის პალატის უახლესი ისტორია 1918-1919 წლებიდან–დამოუკიდებლობის აღდგენიდან იწყება; იგი იმთავითვე ჩამოყალიბდა მთავრობისაგან დამოუკიდებელ და ქვეყნის პარლამენტისადმი დაქვემდებარებულ ორგანოდ. კონტროლის პრინციპები ქვეყნის კონსტიტუციითაა განსაზღვრული. მისი დებულებებიდან გამომდინარეობს კონტროლის ორგანოს ამოცანები და ორგანიზაციული საკითხები.

პოლონეთში კონტროლის პალატა უტოლდება პრეზიდენტის ინსტიტუტს, სეიმს, სენატს, მთავრობას და ა.შ. იგი სახელმწიფოს ერთ-ერთი უმაღლესი ორგანოა, რომელიც ყველა კონკრეტულ შემთხვევაში გამოდის ინიციატივით და დამოუკიდებლად ახორციელებს რევიზია-შემოწმებებს; იმავდროულად იგი სეიმის დამხმარე ორგანოცაა და მას აწვდის ქვეყნის ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანალიტიკურ ინფორმაციას; ამასთან, იგი ადგენს გაწეული საქმიანობის ანგარიშს და ყოველი წლის ბოლოს წარუდგენს სეიმის საბიუჯეტო კომისიას მთავრობის საქმიანობის ანგარიშს.

კონტროლის პალატის რევიზია-შემოწმებათა თითქმის მეოთხედი ნაწილი მოდის სეიმის დავალებებზე; სხვა შემთხვევებში იგი დამოუკიდებელ შემოწმებებს ატარებს.

კონტროლის პალატის თავმჯდომარე, რომელიც სენატის თანხმობით სეიმის მიერ ინიშნება. ექვსი წლით, ანგარიშვალდებულია სეიმის წინაშე მისთვის დაკისრებული ვალდებულებების შესრულებაზე; იგი სისტემატიურად მონაწილეობს როგორც სეიმის სხდომების, ასევე სენატის თათბირების მუშაობაში.

როგორც სახელმწიფოს უმაღლეს მაკონტროლებელ ორგანოს, მას სახელმწიფო ადმინისტრაციის კონტროლთან დაკავშირებით სპეციალური უფლებამოსილებები აქვს. ჩატარებული რევიზია-შემოწმებიდან გამომდინარე, პალატა სისტემატიურად აწვდის ქვეყნისთვის მეტად საჭირო ინფორმაციებს პრეზიდენტსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს.

კონტროლის პალატის თავმჯდომარეს ჰყავს სამი მოადგილე, რომელთაც პალატის თავმჯდომარის წარდგინებით ნიშნავს სეიმის მარშალი.

კონტროლის პალატის კოლეგიის საქმიანობის სფეროა:

– ბიუჯეტის შესრულების ანალიზი;

– კონტროლის პალატის საქმიანობის ანგარიშის მომზადება;

– კონტროლის პალატის წლიური და კვარტალური სამუშაო გეგმების მომზადება;

– კონტროლის პალატის წესდების მომზადება;

– შემოწმებათა ჩატარების წესის პროექტის შედგენა.

კონტროლის პალატის კოლეგიაში კონტროლის პალატის მუშაკებთან ერთად გაერთიანებული არიან მეცნიერებისა და სამეურნეო სფეროების წარმომადგენლებიც. კოლეგიის თავმჯდომარეს, მოადგილეებს და წევრებს კონტროლის პალატის წარდგინებით ნიშნავს სეიმი.

კონტროლის პალატის რევიზია-შემოწმებათა კრიტერიუმებია:

– კანონიერება;

– კეთილსინდისიერება;

– ეკონომიურობა, ანუ ორგანიზაციის საქმიანობის შესადარისობა ეფექტიანი რაციონალურ სამეურნეო საქმიანობასთან.

– მიზანშეწონილობა, ანუ დასახული მიზნებისათვის მოქმედებათა შესაბამისობა.

კონტროლის პალატის თავმჯდომარე და მისი მოადგილეები აქტიურად მონაწილეობენ სენატში გამართულ თათბირებსა და შეხვედრებში, ასევე, თავმჯდომარე სისტემატურად ესწრება სეიმის პლენარულ სხდომას და აქტიურად არის ჩართული მნიშვნელოვანი კანონპროექტების განხილვაში, სეიმის წევრებს აცნობს სხვადასხვა რეგიონის მასალებს და ა.შ.

ყოველივე ეს ხელს უწყობს საქმიანი ატმოსფეროს დამკვიდრებას და სახელმწიფო კონტროლის სახელმწიფოებრივი მართვის ინტერესების სასარგებლოდ გამოყენებას.

9) სახელმწიფო ფინანსური კონტროლი რუსეთში

რუსეთის საანგარიშო პალატის სტატუსი, შემადგენლობა, კომპეტენცია და საქმიანობის წესი განისაზღვრულია „რუსეთის ფედერაციის საანგარიშო პალატის შესახებ“ კანონით. იგი შეიქმნა ფედერალური კრების მიერ და ანგარიშვალდებულია მის წინაშე, როგორც სახელმწიფო საფინანსო კონტროლის მუდმივმოქმედი ორგანო, რომელიც დამოუკიდებელია კანონით განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში.

რუსეთის საანგარიშო პალატის ამოცანებია:

– ფედერალური ბიუჯეტის შემოსავალ-გასაელის შესრულებაზე კონტროლი;

– ფედერალური არასაბიუჯეტო ფონდების ბიუჯეტების სტრატეგიული-მოცულობითი და მიზნობრივი მიმართულებებით შესრულებაზე კონტროლი;

– ფედერალური საკუთრების გამოყენების ეფექტიანობის და მიზანშეწონილობის შესწავლა და კონტროლი;

– სახელმწიფო სახსრების ხარჯვის ეფექტიანობის განსაზღვრა და კონტროლი;

– ფედერალური კანონებისა და სახელისუფლო ორგანოების ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების პროექტების ექსპერტიზა;

– ფედერალურ ბიუჯეტისა და არასაბიუჯეტო ფონდების ბიუჯეტების პროექტების შემოსავალ-გასაელის მუხლების რეალობის შეფასება;

– ფედერალური საბიუჯეტო პროცესის სრულყოფის წინადადებათა მომზადება საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო ფონდების ბიუჯეტების დადგენილი მაჩვენებლების მიმართ გამოვლენილ დარღვევათა ანალიზის საფუძველზე;

– რუსეთის ფედერაციის ცენტრალურ ბანკში, უფლებამოსილ ბანკებსა და სხვა საფინანსო-საბიუჯეტო დაწესებულებებში ფედერალური ბიუჯეტისა და არასაბიუჯეტო ფონდების სახსრების მოძრაობაზე კონტროლი და სხვ.

ამრიგად, ფედერალური ბიუჯეტების და არასაბიუჯეტო ფონდების ბიუჯეტების შესრულებაზე კონტროლის ერთიანი სისტემის ფუნქციონირების, ასევე, მის წინაშე დასახული ამოცანების რეალიზაციის მიზნით რუსეთის საანგარიშო პალატა ახორციელებს საკონტროლო-სარევიზიო, საექსპერტო-ანალიტიკური, ინფორმაციულ და სხვ. საქმიანობას.

საანგარიშო პალატის თავმჯდომარემ, რომელსაც თანამდებობაზე ექვსი წლის ვადით ნიშნაეს სახელმწიფო სათათბირო ხმების უმრაველესობით, უნდა უზრუნველყოს საანგარიშო პალატის საქმიანობის ორგანიზება რეგლამენტის შესაბამისად; მას ჰყავს მოადგილეები (აქედან ერთი პირველი); მოადგილესთან ერთად ფედერაციის საბჭოსა და სახელმწიფო სათათბიროს უნდა წარუდგინოს საანგარიშო პალატის შესახებ ანგარიშები; გამოსცემს ბრძანებებსა და განკარგულებებს; წარმოადგენს რა საანგარიშო პალატას რფ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და საზღვარგარეთ, ამავე დროს აქვს უფლებამოსილება, მონაწილეობდეს ფედერაციის საბჭოსა და სახელმწიფო სათათბიროს, მათი კომიტეტებისა და კომისიების, რუსეთის მთავრობისა და მისი პრეზიდიუმის სხდომებში.

საანგარიშო პალატის თავმჯდომარე, მისი მოადგილეები და აუდიტორები არიან საანგარიშო პალატის კოლეგიის წევრები, რომელიც შექმნილია პალატის მუშაობის დაგეგმისა და ორგანიზაციული საკითხების, საკონტროლო-სარევიზიო საქმია-

ნობათა მეთოდოლოგიის, სახელმწიფო სათათბიროსა და ფედერაციის საბჭოსათვის წარსადგენი ანგარიშების და სხვადასხვა ინფორმაციების განხილვის მიზნით.

საანგარიშო პალატის უფლებამოსილებანი განსაზღვრულია „რუსეთის ფედერაციის საანგარიშო პალატის შესახებ“ კანონით; საანგარიშო პალატის კონტროლს დაქვემდებარებული, კანონით განსაზღვრული ყველა სუბიექტი და მისი თანამდებობის პირი, ვალდებულია ინფორმაცია და დოკუმენტაცია საანგარიშო პალატას წარუდგინოს მოთხოვნისთანავე;

საანგარიშო პალატა უფლებამოსილია შეამოწმოს:

– ფედერალური ბიუჯეტის შესრულების ოპერატიული კონტროლის მიზნით, ფულადი შემოსავლების სისრულე და დროულობა;

– საბიუჯეტო ასიგნებათა ფაქტობრივი ხარჯვა კანონმდებლობით განსაზღვრულ საბიუჯეტო მაჩვენებლებთან შედარებით;

– ფედერალური კრებისათვის ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ოპერატიული ანგარიშის წარდგენა;

– კომპლექსური რევიზიებით და თემატური შემოწმებებით შეისწავლოს საწარმოთა და ორგანიზაციათა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის კანონიერება, საბუღალტრო აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების რეალობა;

– განსაზღვროს შესამოწმებელი ობიექტის ბიუჯეტთან ანგარიშსწორების მდგომარეობა;

– გააკონტროლოს მთავრობის განკარგულებაში არსებული არასაბიუჯეტო ფონდებისა და სავალუტო სახსრების ფორმირებისა და გამოყენების ეფექტიანობა;

– გააკონტროლოს სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის ან გაყიდვის გზით ფედერალური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შესაბამისი მაჩვენებლები და ა.შ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, რუსეთის საანგარიშო პალატა კანონით განსაზღვრული მის მიერ ჩატარებული საქმიანობის შესახებ შესაბამის დასკვნებსა და წინადადებებს წერილობით წარუდგენს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს. გარდა ამისა, საანგარიშო პალატა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს, წარმოებადაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს უგზავნის წარდგინებებს გამოელენილ დარღვევათა ლიკვიდაციის მიზნით, რაც ადგილზე უნდა იქნეს განხილული 29 დღის განმავლობაში და განხილვის შედეგებზე გატარებული ღონისძიებების შესახებ პალატას უნდა ეცნობოს დადგენილ ვადაში.

საანგარიშო პალატის ურთიერთობა სამართალდამცავ ორგანოებთან დარეგულირებულია შესაბამისი ურთიერთშეთანხმების დებულებით, სადაც განსაზღვრულია თითოეული მხარის უფლებამოსილებანი და მოვალეობები, სამოქმედო სფერო და ა.შ. საანგარიშო პალატა თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას, ასევე აქტიურად თანამშრომლობს ფედერაციის სხვა მაკონტროლებელ ორგანოებთან.

10) სახელმწიფო ფინანსური კონტროლი საქართველოში

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციამ ერცლად განსაზღვრა სახელმწიფო კონტროლის საგანი, მისი მთავარი სუბიექტი და სამართლებრივი საფუძველი. 93-ე მუხლში იგი ნახსენებია, როგორც „ქვეყნის საფინანსო-საბიუჯეტო სისტემის ძირითადი **საგანი**“, ხოლო სახელმწიფო კონტროლიორი – მისი მთავარი **სუბიექტი**.

კონსტიტუციის 91-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო კონტროლს ექვემდებარება სახელმწიფო ბიუჯეტის სისწორის დადგენა, სახელმწიფოს ყველანაირი შემოსავალ-გასავალი, მთავრობის და სხვა უწყებების ხარჯთაღრიცხვა და ანგარიში და ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსები; 92-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო კონტროლი აირჩევა პარლამენტის მიერ და იგი არ არის მინისტრთა კაბინეტის წევრი, მაგრამ აღჭურვილია მინისტრის უფლებებით, ჰასუხისმგებელია მხოლოდ პარლამენტის წინაშე და წარუდგენს მას ყოველწლიურ ანგარიშს.

სახელმწიფო მმართველობაში განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნულმა საბჭომ 1918 წლის 28 იენისს მიიღო „კანონი სახელმწიფო კონტროლიორის თანამდებობის დაარსების შესახებ“, რომლის 1-3 მუხლით განსაზღვრულია, რომ დაარსდა სახელმწიფო კონტროლიორის თანამდებობა, რომელსაც ირჩევს ეროვნული საბჭო; იგი არ შედის

მინისტრთა კაბინეტში და პასუხისმგებელია მხოლოდ ეროვნული საბჭოს წინაშე; უთანხმოებას სახელმწიფო კონტროლიორსა და მთავრობას შორის განიხილავს და წყვეტს ეროვნული საბჭო; ამასთან, გაუქმდა მოქმედი კანონების ის მუხლები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ამ დებულებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ კანონის საფუძველზე ეროვნულმა საბჭომ 1918 წლის 6 დეკემბერს დაამტკიცა კანონი „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლის შესახებ", „დებულება სახელმწიფო კონტროლისა და მისი უწყების საგანთათვის" და „რევიზიის წესდება". „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლის შესახებ" კანონის თანახმად, გაუქმდა ტფილისის საკონტროლო პალატა და ამიერკავკასიის რკინისგზათა კონტროლი და სახელმწიფო კონტროლიორს დაეკისრა კონტროლის განხორციელება ერთი წლის განმავლობაში, რომელსაც საფუძვლად უნდა დადებოდა კონტროლის დებულება და სახელმწიფო წესდება.

„სახელმწიფო კონტროლისა და მისი უწყების საგანთათვის" დებულებაში განხილულია შემდეგი საკითხები: სახელმწიფო კონტროლის უწყების საგანთათვის სახელმწიფო კონტროლის შემადგენლობა, სახელმწიფო კონტროლის საერთო საკრებულო და სახელმწიფო კონტროლის კანცელარია.

მოგვიანებით, დებულების 34-ე მუხლს ამატებენ სახელმწიფო კონტროლის მიერ შემოწმებულ ანგარიშთა დაცვის, სახელმწიფო კონტროლის საქმეთა დაცვისა და მოსპობის წესებს და სახელმწიფო კონტროლის საქმეთა რიგ-რიგად განაწილების ნუსხას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ დებულების პირველი მუხლი განსაზღვრავს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლს, როგორც სახალხო წარმომადგენლობით ორგანოს და სახელმწიფო მმართველობის ცალკე ნაწილს.

საკანონმდებლო ხელისუფლების წარდგენამდე სახელმწიფო კონტროლი ამოწმებდა სამინისტროების ფინანსურ ხარჯთაღრიცხვასა და ფინანსთა მინისტრის მიერ შედგენილ სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის აღრიცხვასა და ამ აღრიცხვის შესახებ ანგარიშს.

ზემოთაღნიშნულ და სხვა საკონტროლო მოვალეობათა შესრულების მიზნით სახელმწიფო კონტროლი იყენებდა წინასწარ, შემდგომ და ფაქტიურ რევიზიას.

კონტროლისათვის აუცილებელი ქმედების განხორციელების მიზნით მიღებული იქნა რევიზიის წესდება, რომელსაც უნდა უსრულნელეყო სახელმწიფოს წინაშე ანგარიშვალდებული დაწესებულებათა განკარგულებითი და აღსრულებითი საქმიანობის კანონიერებისა, ეკონომიკურობისა და ფულადი სახსრების დაცვა.

ჩატარებული სარევიზიო საქმიანობის შედეგებზე სახელმწიფო კონტროლიორს საკანონმდებლო ორგანოებისათვის ყოველწლიურად უნდა წარედგინა მოხსენებები, რომლებშიც განიხილებოდა საანგარიშგებო და სახარჯთაღრიცხვო პერიოდის საერთო შემოსავალ-გასავლებისა და აღმასრულებელი ხელისუფლების კანონიერი და უკანონო საქმიანობის შესახებ ცნობები. აქვე ნაჩვენები უნდა ყოფილიყო სისხლის სამართლის დანაშაულის შემცველი საქმეები, დასაბეგრი სისტემის ქმედითობის შეკ-ჩრდილები, საბაჟო-საგადასახადო საკითხები და ა.შ.

სახელმწიფო კონტროლის შემადგენლობაში შეიდნენ: სახელმწიფო კონტროლიორი, სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგი, სახელმწიფო კონტროლის საქმეთა დირექტორი, სექციათა გამგეები, უფროსი რევიზორები, რევიზორები, რევიზორების თანაშემწეები და მოანგარიშე-მოხელეები, საკანცელარიო მუშაკები—მდივანი, უფროსი საქმისმწარმოებელი, საქმისმწაროებელი, რეგისტრატორი, მისი თანაშემწეები და არქივარიუსი.

სახელმწიფო კონტროლიორის თავმჯდომარეობით ჩამოყალიბდა საერთო საკრებულო სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგის, საქმეთა დირექტორის და სექციათა გამგეების შემადგენლობით, ხოლო მომხსენებელის სტატუსითა და ხმის უფლებით — უფროსი რევიზორები, რომელთაც, სხვა ძირითად ფუნქციებთან ერთად, მიეცათ უფლება სხდომებზე სამინისტროებისა და თვითმმართველობის მოხელეების, კერძო, მცოდნე და გამოცდილი პირების მოწვევისა; გარდა ამისა, საერთო საკრებულოს მოქმედი კანონის თანახმად მიეცათ მთელი რიგი უფლებები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდებოდნენ სახელმწიფო კონტროლის განხორციელების მიმართულებებს, მოქმედების მასშტაბებსა და არეალს; ამასთან, სახელ-

მწიფო ორგანოში შეიქონდათ სახელმწიფო კონტროლის ის დასკვნები, რომელთა აღსრულება მათ დონეს აღემატებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ **იმ პერიოდისთვის არსებული** საკანონმდებლო ბაზა კონტროლს განსაზღვრავდა არა როგორც ნაკლოვანებათა და დარღვევათა ფიქსაციის იარაღს, არამედ სახელმწიფო კონტროლის მოვალეობათა შესრულებისათვის დაწესებულ წინასწარი, შემდგომი და ფაქტიური კონტროლის მექანიზმს, და ამდენად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო კონტროლის არსი დემოკრატიული საქართველოს ხელისუფალთ გააზრებული ჰქონდათ, როგორც ფართო მასშტაბური და ზოგადსახელმწიფოებრივი უფლებებით აღჭურვილი ფენომენი.

როგორც უკვე აღინიშნა სახელმწიფო კონტროლის საერთო სისტემაში ფინანსურ კონტროლს განსაკუთრებული ადგილი უკავია.

თავი 3

ბიზნესის სამართლებრივი და ფინანსური უზრუნველყოფის მახასიათებლები

სამართლებრივ გარემოს დიდი მნიშვნელობა აქვს ბიზნესის განვითარებისათვის. სამართლებრივ გარემოში იგულისხმება: ბიზნესის სამართლებრივი უზრუნველყოფა ანუ საერთაშორისო სტანდარტების შესატყვისი და ეროვნული თავისებურებებზე ნაგები საბაზრო თამაშის წესები (ქვეყნის კონსტიტუცია, კანონი მეწარმეთა შესახებ, საგადასახადო და საბაჟო კოდექსი, ლიცენზირების კანონი, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა, პრივატიზების შესახებ კანონი, გაკოტრების შესახებ კანონი, მომხმარებელთა უფლებების დაცვის კანონი და სხვ), მათი მდგრადობა და განუხრელი დაცვა. სამართლებრივი გარემო სამი ტიპისაა: ა) ჩვეულებრივი (ტრადიციული), ბ) სამოქალაქო გ) თეოკრატიული. **ჩვეულებრივი** (ტრადიციული) სამართლის სისტემა დაფუძნებულია ტრადიციებზე, პრეცენდენტებზე, ზნე–ჩვეულებებსა და წეს-ჩვეულებებზე. ამ სამართლით კანონი განიმარტება სასამართლოს მიერ, ამით ეს უკანასკნელი უმთავრეს როლს თამაშობს. ჩვეულებრივი სამართლის ქვეყანათა რიგს წარმოადგენენ შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი. თანამედროვე ფორმულირებით ჩვეულებრივი სამართლის შემქმნელები არიან ინგლისელები და ბრიტანეთის ყოფილი კოლონიები.

სამოქალაქო სამართალი ანუ კოდიფიცირებული სამართლის სისტემა ითვალისწინებს დეტალურად დამუშავებული კანონების კომპლექსს, რომლებიც შედის კოდექსში. ეს კოდექსები წარმოადგენს ბიზნესის წარმართვის საფუძველს.

ჩვეულებითი და სამოქალაქო სამართლის სისტემებს შორის განსხვავება ისაა, რომ პირველი ეფუძნება მოვლენების სასამართლოს მიერ განმარტებას, ხოლო მეორე ფაქტების კანონებთან შესაბამისობას. აღნიშნულ სისტემათა განსხვავების მაგალითია სახელშეკრულებო სამართალი. იმ ქვეყნებში, სადაც მოქმედებს ჩვეულებითი სამართალი, ხელშეკრულებები (კონტრაქტები) უფრო ერცელი და დეტალიზებულია, ხოლო სამოქალაქო სისტემის ქვეყნებში კი ყველა შესაძლებელი სიტუაცია სამოქალაქო კოდექსშია მოცემული, რის გამოც ხელშეკრულებები უფრო მოკლე და ზოგადია.

თეოკრატიული სამართლის სისტემა დაფუძნებულია რელიგიურ საფუძვლებზე. მისი ნათელი მაგალითია მუსლიმანური სამყარო მუსლიმანური სამართალი დაფუძნებულია ისლამზე. ისლამის ქვეყნებში არსებობს ასევე ისეთი სამართლებრივი სისტემები, რომლებიც შეიცავენ ისლამური სამართლის და ჩვეულებრივი ან სამოქალაქო სამართლის ნარევს. ამდენად, კანონმდებლობის გავლენა ბიზნესსზე ნებისმიერ ქვეყანაში ძალზე მნიშვნელოვანია. დემოკრატიულ ქვეყნებში ყოველგვარი ქმედება, საქმიანი თუ შემთხვევითი, კანონის ფარგლებში უნდა ხდებოდეს.

ეროვნული კანონები ზეგავლენას ახდენენ მართვის ელემენტებზე და არეგულირებენ ქვეყნებს შორის საქმიან ურთიერთობებს. აღნიშნული კანონები მოიცავენ ეკონომიკური საქმიანობის ფართო სპექტრს. კერძოდ: **კომერციული** ანუ სახელშეკრულებო სამართალი. იგი გულისხმობს სავაჭრო ნიშნებისა და საავტორო უფლებების დაცვას, ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტული ფორმების გამოყენების უზრუნველყოფასა და სხვ. **ზოგადსამართლებრივი** გარემო. აქ იგულისხმება გარემოს დაცვის კანონები, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები და ტექნიკური უსაფრთხოების წესები, **ახალი ბიზნესის შექმნა, შრომითი კანონმდებლობა, კარტელების შესახებ და ანტიტრესტული კანონმდებლობა. ფასწარმოქმნა და საგადასახადო სისტემა.**

სამართლებრივი გარემო მოიცავს **საერთაშორისო სამართალსაც,** რომელიც არეგულირებს დამოუკიდებელ, სუვერენულ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებს. ამ ურთიერთობებზე გავლენას ახდენს ეროვნული კანონმდებლობა და საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც არეგულირებენ ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: ა). ცალკეულ პირთა უცხო ქვეყნებში გამგზავრება; ბ). ქვეყნებს შორის საქონლისა და მომხსახურების მოძრაობა (საექსპორტო-საიმპორტო ტარიფები და სხვა არასატარიფო ბარიერები) გ). საერთაშორისო მასშტაბით კაპიტალისა და სამუშაო ძალის მოძრაობა დ). სახელმწიფოთა შორის გემების მოძრაობა და ტვირთე-

ბის გადაზიდვა ე) საზღვარგარეთის ქვეყნებში საკუთრების შეძენა ვ). პიროვნებისა და საკუთრების დაცვა ზ). საზღვარგარეთის ქვეყნებში სახსრების გადაგზავნა და სხვ.

პრაქტიკაში არსებობს კანონები, რომლებიც უშუალო გავლენას ახდენენ ბიზნესზე. კანონსა და ბიზნესს ურთიერთშეხების მრავალი წერტილი გააჩნია, რომელთაგანაც ევროკავშირის ქვეყნებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია: ა) კანონი კომპანიის შესახებ, ბ) კანონი შრომის შესახებ, გ) კანონი კონტრაქტის შესახებ, დ) ევროკავშირის კანონი.

კანონები, რომლებითაც კომპანიები ხელმძღვანელობენ, თავისი მოქმედების სათავეს მე-19 საუკუნეში იღებს. შემდგომში ამ კანონების მოქმედება გაფართოვდა ეკონომიკური პირობების შეცვლისა და კომპანიებზე კონტროლის გაძლიერების გამო. კანონმდებლობა კომპანიების მიმართებაში განსაზღვრავს ბიზნეს-ორგანიზაციის ფორმას. სახელმწიფოს მიერ კომპანიების ვალდებულებებზე მიღებული კანონები ითვლება არაპირდაპირ კანონად კომპანიების შესახებ.

ბიზნესში კონტრაქტის რამდენიმე სახე არსებობს. ჩვეულებრივი კონტრაქტებია: გაყიდვაზე, მიწოდებაზე ან მომსახურეთა დასაქმებაზე. **კონტრაქტი** არის შეთანხმება, რომლის შესრულებას მეთვალყურეობას უწევს კანონი. კონტრაქტის შესახებ კანონები საკონტრაქტო შეთანხმების ზოგადი ფორმის რეგულატორებს წარმოადგენენ. ამავე დროს, ეს კანონი აქტების კრებულიცაა. მათ ჩვეულებრივ, მომხმარებელთა ინტერესების დაცვის კანონს უწოდებენ. სახელწოდება იქიდან წარმოიქმნა, რომ ეს კანონი ბიზნესის მომხმარებლებთან წესიერ დამოკიდებულებას კარნახობს.

შრომის კანონი ბიზნესის ოფიციალური გარემოს დიდ ნაწილს წარმოადგენს და მისი სირთულე იმ გარემოებებითაა განპირობებული, რომ იგი მრავალ სფეროზე ახდენს ზეგავლენას. შრომის კანონის ასეთ გავლენას მხარს უჭერს სახელმწიფო, რათა მიღწეულ იქნას დამქირავებელთა მიერ მუშახელის პატიოსანი და ზომიერი გამოყენებას, რათა დაკანონდეს შრომის კარგი პირობები. შრომის კანონის მოქმედების ფართო არეალი ნათლად ჩანს მისი გავლენის სფეროების ქვემოთ მოყვანილი სიიდან: მუშახელის შრომის პირობები და მისი მომსახურების დონე, სქესობრივი და რასობრივი დისკრიმინაცია, ნასამართლეე პირთა სამუშაოზე აყვანა, ინვალიდების სამუშაოზე აყვანა, მშობიარე ქალთა უფლებები, გასამჯელოს თანაბრად გაცემა, სამსახურიდან დათხოვა, შტატების შემცირება, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების კანონები და წესები.

სამეწარმეო სამართალი და სამართლის სხვა ნორმები, ბევრად არის დამოკიდებული საზოგადოების განვითარებასა და შესაბამისად, ბიზნესის ცივილურობის დონეზე. შეიძლება ითქვას, რომ ბიზნესსა და სამართალს შორის მყარდება ორმხრივი ურთიერთობა, ერთის მხრივ, სამართალი აწესრიგებს, არეგულირებს ბიზნესს, მეორეს მხრივ კი ბიზნესი ახდენს სამართლებრივი ნორმების სრულყოფასა და განვითარებას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ბიზნესის საკანონმდებლო ბაზა ქმნის მის სამართლებრივ სივრცეს, რომელშიც ერთიანდება ბიზნესთან დაკავშირებული კანონები. ბიზნესი, რომელიც მოქცეულია სამართლებრივ სივრცეში, ეფუძნება კანონით დაშვებული მეწარმეობის ნებისმიერ ფორმას. ამასთან, სამართლებრივი საწყისების მიხედვით, ბიზნესი იყოფა კანონიერად და უკანონოდ. კანონიერ ჩარჩოებში, ბიზნესში არსებობს საქმიანი ურთიერთობის სუბიექტების სამართლებრივი დაცვის გარანტიები. ამ ჩარჩოს მიღმა ბიზნესი გადის სამართლებრივი სივრციდან და ექვემდებარება კრიმინალს.

სამართლებრივად მოწესრიგებულ ეკონომიკაში არცერთი ეთიკური ადამიანი არ რისკავს საკუთარი საქმის წამოწყებას, თუ არ იცის რისი უფლება აქვს და რისი არა (ვთქვათ, იარაღებისა და ნარკოტიკების წარმოება), საქმიანობის რომელი სახეობა მოითხოვს ლიცენზიას (ნებართვას), რა პასუხისმგებლობა დაეკისრება კანონით აკრძალული საქმის კეთებისას და სხვ.

ბიზნესის სფეროში საქმიანობის, მის სუბიექტებს შორის ურთიერთობის ერთადერთი კრიტერიუმი შეიძლება იყოს **კანონიერების დაცვა**. აქ დაუშვებელია მხოლოდ მორალური თვალსაზრისით საზოგადოების დიფერენციაცია ღარიბებად და მდიდრებად მიუღებელია, ხოლო თუ ადამიანების ერთი ჯგუფის სიმდიდრეს და

მეორეს სიღარიბეს განეიხილავთ სამართლებრივ სივრცეში, ცხადი ხდება, რომ ეს მორალი დადგენილია თვითონ საზოგადოების მიერ.

იმ შემთხვევაში, როდესაც სამართალი არ შეესაბამება საზოგადოების მოთხოვნილებებს, ჩამორჩება საზოგადოებისა და ბიზნესის განვითარების დონეს, ეწინააღმდეგება საქმიანი აქტივობის სტიმულებს, სამართლებრივი სივრცე მოითხოვს რეფორმებს, რომლებიც ატარებენ, როგორც რევოლუციურ, ასევე ევოლუციურ ხასიათს. სამართლებრივი სივრცის ევოლუციური გარდაქმნა გულისხმობს მისი სრულყოფის თანმიმდევრულ, ზოგჯერ ეპიზოდურ ან წვეტილ პროცესს. რევოლუციური გარდაქმნა გულისხმობს სამართლის არსებული სისტემის ძირეულ ცვლას, მისი ფუძემდებლური პრინციპების ნგრევას და ახალ სისტემაზე გადასვლას. ასეთი გარდაქმნები გამომდინარეობს სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაში მიმდინარე ცვლილებებიდან. აღნიშნულის მაგალითია საქართველო და სხვა პოსტკომუნისტური ქვეყნები.

სხვადასხვა მიზეზების გამო, სამართლებრივ დოკუმენტებს შორის შეიძლება აღმოჩნდეს წინააღმდეგობა. ეს შეუსაბამობა ქმნის ქაოსისამართლებრივ გარემოს, რის შედეგადაც ბიზნესმენს ექმნება შესაძლებლობა, დაარღვიოს ერთი კანონი, რადგანაც ის იმყოფება სხვა კანონების დაცვის ქვეშ.

გარდა ეკონომიკური კანონებისა, ბიზნესს არეგულირებს სხვა **საკანონმდებლო აქტები**, ესენია:

1. სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობა, რომელიც ახდენს მოქალაქეთა საერთო ქცევის ნორმების რეგლამენტაციას, მათ შორის სამეწარმეო და ბიზნესის სფეროებში.

2. საერთაშორისო სამართლის ნორმები, დადგენილი საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე, რომელთა ერთ-ერთი ნაწილი ახდენს ცალკეული ქვეყნების სამეწარმეო ქცევის ნორმების რეგლამენტაციას.

ცნობილია, რომ ფინანსურად მძლავრ კომპანიას გააჩნია მაღალი რენტაბელობა, მაღალი მოგება, დაბალი სესხები და სხვ. შესაბამისად ფინანსური რესურსები ბიზნესისთვის აუცილებელ წყაროს წარმოადგენენ. ასევე მნიშვნელოვანია ბიზნესის განვითარებისათვის **საგადასახადო სისტემა**, რომელიც ხელს უწყობს ან აფერხებს მეწარმეთა აქტიურობას. ამდენად შევეხებით ბიზნესის განვითარებისთვის აუცილებელ ფინანსურ რესურსებსა და საგადახახადო სისტემას.

ბიზნესი ფინანსურ უზრუნველყოფას საჭიროებს, როგორც საწყის, ისე შემდგომ სტადიებზე. კერძოდ, საწყისი ანუ სასტარტო კაპიტალი საჭიროა სადამყუძნებლო დოკუმენტაციის შემუშავებისათვის, მისი რეგისტრაციისათვის, ლიცენზიისათვის, საწესდებო კაპიტალისათვის, საწარმოო და დამხმარე სათავსოების, ოფისის, აეჯის, მოწყობილობის შესყიდვის ან იჯარით აღებისათვის, საწყისი ნედლეულისა და მასალების შეძენისათვის, მუშაკთა ხელფასისათვის, რეკლამისათვის (სანამ ფირმა საკმარისად არ არის ცნობილი) და სხვ. ფუნქციონირებადი ფირმები, პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგების მიღებამდე, ასევე საჭიროებენ საბრუნავ ფულად კაპიტალს ნედლეულის, მასალების, ნახევარფაბრიკატების, ენერგიისა და ინფორმაციის შეძენაზე, მიღებული მომსახურებისა და ხელფასის გადახდაზე. შეიძლება ითქვას, რომ ბიზნესი მთელი პერიოდის განმავლობაში საჭიროებს საბრუნავ (მიმდინარე) ფულად კაპიტალს შრომის ანაზღაურებისათვის, ნედლეულისა და მასალების მარაგის შექმნის, გადასახადების გადახდისა და (ზედნადები) ხარჯების გაწევისათვის.

საფინანსო რესურსებზე მეწარმეთა მოთხოვნილებები იყოფა გრძელვადიან და მოკლევადიან მოთხოვნილებებად. გრძელვადიანი საფინანსო რესურსები საჭიროა ხანგრძლივი დროის განმავლობაში და ხშირად დაკავშირებულია ძირითადი კაპიტალის (მანქანა-დანადგარების, ფაბრიკა-ქარხნების, შენობებისა და სხვ), აგრეთვე ახალი მოწყობილობის პატენტის გამოყენების უფლების შეძენასთან. ძირითადი კაპიტალი ის რესურსებია, რომელსაც მეწარმე იყენებს ერთ წელზე მეტ ხანს. მოკლევადიანი საფინანსო რესურსები საჭიროა მიმდინარე ოპერაციების განსახორციელებლად და დაკავშირებულია საბრუნავი საშუალებების ხარჯებთან. ძირითადი კაპიტალისგან განსხვავებით, საბრუნავი საშუალებანი არის რესურსები, რომელთა გამოყენების ეადა არ აღემატება ერთ წელიწადს. **ბიზნესის ფინანსური უზრუნველყოფისთვის ორგვარი წყარო** არსებობს: ***საკუთარი*** და ***სასესხები***. შეიძ-

ლება გამოყენებულ იქნეს სუბსიდირებაც. თუმცა ბიზნესის დაფინანსების წყაროებს ზოგი ავტორი შიდა და გარე წყაროებს უწოდებს. დაფინანსების საკუთარ ანუ შიდა წყაროებს მიეკუთვნება: პირადი და პარტნიორთა დანაზოგები, ფირმის გაუნაწილებელი მოგება, ამორტიზაციის ფონდი, ზედმეტი ქონების რეალიზაციიდან და არენდიდან მიღებული შემოსავლები.

პირადი და პარტნიორთა დანაზოგი არის საკუთარი წყაროს უმნიშვნელოვანესი ელემენტი. იგი განსაკუთრებით აუცილებელია საქმიანობის საწყის ეტაპზე. მეწარმეს უნდა ჰქონდეს ფულადი რესურსები ან კიდევ უნდა შეეძლოს ისეთი პარტნიორების მოზიდვა, რომელთაც გააჩნიათ წარმოებისათვის საჭირო ფულადი სახსრები. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბიზნესის განვითარება-გაფართოების პირობებში ეს სახსრები უკვე საკმარისი აღარ იქნება. მოგება ფირმის საქმიანობის უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური მაჩვენებელია. სწორედ მოგების სიდიდეზე აისახება თუ როგორ მუშაობს ფირმა.

განასხვავებენ საერთო მოგებას, დასაბეგრ მოგებას, წლიურ წმინდა მოგებას და გაუნაწილებელ მოგებას. გაუნაწილებელი მოგება არის ფირმის ერთ-ერთი ფინანსური რესურსი. **დასაბეგრი მოგება** არის სხვაობა ფირმის შემოსავლებსა და ხარჯებს შორის. **წლიური წმინდა მოგება** არის სიდიდე, რომელიც მიიღება დასაბეგრი მოგებიდან გადასახადების (დღგ-ს, სააქციო გადასახადის და ბიუჯეტში გადასახადების) გამოკლების შემდეგ. **წმინდა მოგება** წარმოადგენს საწარმოს განკარგულებაში დარჩენილ მოგებას, რომელიც შეიძლება მიმართული იქნეს რეზერვების შექმნაზე, დივიდენდების გასაცემად, კაპიტალის გაზრდაზე, სხვადასხვა მიზნისათვის განსაზღვრული ფონდების შესაქმნელად და ა. შ. თუ წლიური წმინდა მოგება არ განაწილდა განსაზღვრული მიმართულებით, იგი წლის ბოლოს ბალანსში აისახება გაუნაწილებელი მოგების სახით.

მოგების განაწილება ყველაზე პრობლემატური საკითხია, რადგან აქ ერთმანეთს უპირისპირდება სახელმწიფოს, საწარმოების და მომუშავეთა ინტერესები. სახელმწიფო დაინტერესებულია ბიუჯეტში მიიღოს რაც შეიძლება მეტი შემოსავალი; საწარმოს ხელმძღვანელობა მიისწრაფვის მოგების დიდი ნაწილი მიმართოს წარმოების გაფართოებისათვის; მომუშავეები კი თავის მხრივ დაინტერესებულნი არიან შრომის ანაზღაურების ამაღლებით.

ბიზნესის **გარე დაფინანსების** წყაროები კიდევ უფრო მრავალფეროვანია. მათ ერთობლიობას ყოფენ ორ ჯგუფად. **სავალო ფინანსირება** წარმოადგენს ფულადი თანხის მიღებას ვალით დაბრუნების ვალდებულებით კრედიტისათვის პროცენტის გადახდით. ფაქტობრივად, ასეთი დაფინანსება სესხია. უნაცვალგებო (მუქთი) დაფინანსება არის საფინანსო რესურსების შეთავაზება ხელშეწყობის, დახმარების მიზნით საქველმოქმედო შემოწირულობების, სუბსიდიების სახით. უნდა აღინიშნოს, რომ ქველმოქმედთა მიმართ სახელწოდება „სპონსორები" არაკორექტულია. სპონსორები ეს პირებია, რომლებიც ეხმარებიან მეწარმეებს სესხის შეთავაზების საშუალებით.

ბიზნესის სავალო დაფინანსება არსებობს მრავალი ფორმით, რომელთაგან ძირითადია:

1) **საბანკო კრედიტი** ბანკის მიერ ფირმებისა და ინდივიდუალურ მეწარმეებზე გაცემული სესხი განსაზღვრული ვადითა და განსაზღვრული საკრედიტო პროცენტით. ასეთი კრედიტები შეიძლება იყოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი. კრედიტი შეიძლება გაიცეს როგორც სავალო ვალდებულება, რომელიც ცნობილია თამასუქის სახელწოდებით. საბანკო კრედიტის ერთ-ერთი ორიგინალური ფორმა ის არის, რომ ბანკები, როგორც საფინანსო ბიზნესის მონაწილეები, თვითონ იღებენ ფულს კრედიტით თავიანთ მეანაბრეებისაგან. ამასთან, ისინი უხდიან მეანაბრეებს სალეპოზიტო პროცენტს, რომელიც დაბალია მათ საკუთარ საკრედიტო პროცენტზე, რაზეც აქვთ კიდეც მოგება. ამრიგად საბანკო ბიზნესისათვის დაფინანსების წყარო ხდება ბანკის მეანაბრეების ფულადი სახსრები.

მაშასადამე, საბანკო კრედიტი წარმოადგენს სავალო დაფინანსების განმსაზღვრელ ფორმას თანამედროვე ბიზნესში. ზოგჯერ ბიზნესის კრედიტორების როლში გამოდიან ფირმები ან ცალკეული პირებიც;

2) **სავაჭრო კრედიტი**, რომელსაც აგრეთვე უწოდებენ კომერციულ კრედიტს, გულისხმობს იმას, რომ მეწარმე იძენს საქონელს ფულადი გადახდის გადავადებით.

ეს კი უდრის ვალის აღებას საქონლის გამყიდველიდან საქონლის ღირებულების თანაბარი თანხის ოდენობით. მეწარმე, რომელიც იძენს საქონელს, მყიდველთან დადებული კონტრაქტის თანახმად იღებს ვალდებულებას დაუბრუნოს მას მიღებული საქონლის ღირებულება განსაზღვრულ ვადაში და გადაუხადოს საქონლის სახით გაცემული კრედიტის პროცენტი. სავაჭრო კრედიტს უმეტესად იყენებენ საქონლის საბითუმო მყიდველები, თუმცა არ არის გამორიცხული მისი გამოყენება საქონლის გაყიდვისას საცალო მყიდველებზეც. ამ შემთხვევაში მიღებულია ითქვას საქონლის შესყიდვის შესახებ განვადებით გადახდის საფუძველზე. საეაჭრო კრედიტი, რომელმაც ფართო გავრცელება ჰპოვა, ორიენ მხარისათვის ხელსაყრელია. საქონლის გამყიდველის მწარმოებელი იგებს იმით, რომ აჩქარებს ბრუნვას, ყიდის უფრო მეტ საქონელს და ამით ზრდის თავის მოგებას. მყიდველი კი იძენს საქონელს ადრე, ვიდრე დააგროვებს აუცილებელ სახსრებს შესყიდვისათვის, რაც აგრეთვე აძლევს მას სარგებელს. ბიზნესის დაფინანსებისათვის შეიძლება გამოიყენონ ობლიგაციები, აქციები, სახელმწიფოს სუბსიდიები და სხვა. სუბსიდირება არ ექვემდებარება სესხის ანუ კრედიტის უმთავრეს პრინციპს დაბრუნებადობას.

ბიზნესის ფინანსური მდგომარეობის ანალიზისათვის ძირითად წყაროებს წარმოადგენს: საფინანსო გეგმა, წლიური და კვარტალური ბუღალტრული ბალანსები, ბალანსების ცალკეული მუხლის გაშიფრა, მონაცემები ძირითადი კაპიტალი და საამორტიზაციო ანარიცხების, პროდუქციის რეალიზაციის, სამეურნეო საქმიანობის ფინანსური შედეგების შესახებ და ა.შ.

როგორც ზემოთ აველნიშნეთ, ბიზნესის საგადასახადო დაბეგვრას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს, ოპტიმალურ საგადასახადო სისტემას, რომელიც ბიზნესის განვითარებაში ხელშემწყობ ფაქტორად მიიჩნევენ. საგადასახადო პოლიტიკის უმთავრესი ამოცანა ხდება საგადასახადო ტვირთის ოპტიმალური გადანაწილება პროდუქციის მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის. ამასთან, ეკონომიკური ზრდის მიღწევის ინტერესებიდან გამომდინარე, მაქსიმალურად უნდა შეუმსუბუქდეს საგადასახადო ზეწოლა მწარმოებლებს. ამ ამოცანით საგადასახადო პოლიტიკა გამოდის ეკონომიკის რეგულირების ინსტრუმენტის როლში.

საგადასახადო სისტემა წარმოადგენს ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოების მიერ დადგენილი გადასახადების, მათი დაწესების წესის შეცვლის, გაუქმებისა და გადახდევინების პრინციპების, ფორმებისა და მეთოდების ერთობლიობას საგადასახადო სისტემის პრინციპები წარმოადგენენ იმ ამოსავალ თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძვლებს, რომელზედაც აიგება ამა თუ იმ ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკა. ამასთან, საგადასახადო სისტემის პრინციპები არაა მუდმივი და იგი შეიძლება შეიცვალოს იმისდა მიხედვით, თუ როგორია ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობა, განხორციელებული ეკონომიკური პოლიტიკის ხასიათი, სახელმწიფოს საგარეო და საშინაო ვალების სიდიდე, საზოგადოებაში შექმნილი სოციალური კლიმატი და ა. შ.

ამჟამად, ეკონომიკური მეცნიერების მიერ შემუშავებულია იმ ძირითადი პრინციპების ერთობლიობა, რომელზედაც უნდა აიგოს ცივილიზებული და სამართლიანი საგადასახადო სისტემა. ამ პრინციპებს შორის ძირითადი შემდეგია:

ა) ნებისმიერი გადასახადის გადამხდელი ვალდებულია გადაიხადოს კანონით დადგენილი გადასახადი;

ბ) დაუშვებელია ისეთი გადასახადის დაწესება, რომელიც არღვევს ქვეყნის ერთიან ეკონომიკურ სივრცეს;

გ) გადასახადის მიზანი უნდა იყოს საზოგადოების და სახელმწიფოს ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა;

დ) გადასახადი უნდა იყოს სტაბილური, საგადასახადო განაკვეთები და ტარიფები უნდა დადგინდეს ხანგრძლივი დროისათვის;

ე) ყოველი გადასახადი უნდა იყოს კანონით რეგლამენტირებული;

ვ) მაქსიმალურად მარტივი უნდა იყოს გადასახადის დაანგარიშების მეთოდი;

ზ) დაუშვებელია პარალელური (დუბლირებული) გადასახადების დაწესება;

თ) გადასახადების აკრების სისტემა უნდა იყოს მარტივი და ეკონომიური;

ი) საგადასახადო განაკვეთები უნდა იყოს პროპორციული იმ სარგებელთან, რისი მიცემა სახელმწიფოს შეუძლია გადასახადის გადამხდელებისათვის;

კ) გადასახადის დადგენის და ამოღების წესი უნდა იყოს უნიფიცირებული საგადასახადო ბაზის გეოგრაფიული განლაგების, საკუთრების ფორმის, ეკონომიკური საქმიანობის სახეობის და შემოსავლის წყაროების მიუხედავად;

ლ) მაქსიმალურად უნდა იქნეს დაცული სამართლიანობა საგადასახადო ტვირთის განაწილების დროს ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ჭრილში; ტოლდიდ დასაბეგრ ობიექტებზე უნდა დაწესდეს თანასწორი გადასახადები.

საგადასახადო სისტემის აღნიშნული პრინციპები სავალდებულო და აუცილებელია განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებისათვის, ხოლო გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების ამოცანაა, მაქსიმალურად ისწრაფოდნენ მათ პრაქტიკაში დამკვიდრებისათვის.

გარდამავალ ეტაპზე მყოფი ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, ჩვენი აზრით, ბიზნესის განვითარებისათვის საუკეთესო საგადასახადო მოდელის, არჩევის უპირატესობა უნდა მიენიჭოს ლიბერალურ მოდელს, რამეთუ ამ უკანასკნელი მოდელის გამოყენებისას დაბალია საგადასახადო განაკვეთები, შედარებით მეტია საგადასახადო შეღავათების წრე, რის გამოც გადასახადის გადამხდელებს თავიანთ განკარგულებაში რჩებათ შემოსავლების უფრო დიდი ნაწილი და შესაბამისად შესაძლებლობა ეძლევათ წარმართონ იგი ინვესტირებისათვის, საწარმოთა ტექნიკური და ტექნოლოგიური სრულყოფისათვის, რაც საბოლოო ჯამში იწვევს შრომის ნაყოფიერების გადიდებას, პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და ეკონომიკურ ზრდას. რაც შეეხება მკაცრი საგადასახადო მოდელის არსს, იგი გულისხმობს მაღალ საგადასახადო განაკვეთებს და შეღავათების ვიწრო წრეს. ამ შემთხვევაში გადასახადის გადამხდელებს არ რჩებათ საბრუნავი სახსრები წარმოების განვითარებისათვის, მისი ტექნოლოგიური და ტექნიკური გადაიარაღებისათვის, რის გამოც მცირდება სამეურნეო აქტივობა და შესაბამისად ეცემა წარმოების მოცულობა და ვიწროვდება საგადასახადო ბაზა.

თავი 4

სახელმწიფო ფინანსური კონტროლის სისტემა და საჯარო დაწესებულების კონტროლინგი

სახელმწიფო კონტროლის საერთო სისტემაში ფინანსურ კონტროლს განსაკუთრებული ადგილი უკავია. ეს ადგილი უპირველესად კონტროლის ობიექტით ანუ სახელმწიფო ფინანსებით განისაზღვრება, რომელიც მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებისა და გამოყენების სფეროებს, ასევე, იმ სახელმწიფო ელემენტების ერთობლიობას, რომლებიც ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის გამოყენებასთან დაკავშირებული მმართველობითი საქმიანობას უკავშირდება და როგორც წესი, მოიცავს ბუნებრივ რესურსებს, წარმოების, განაწილებისა და მოხმარების სფეროებს სუბიექტების საწარმოო და ფინანსურ საქმიანობას.

საბაზრო ეკონომიკურ პირობებში სახელმწიფო ფინანსური კონტროლის არეალი არსებითად ფართოვდება და მისი ობიექტები ხდება არა მარტო ის ორგანიზაციები, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებს ხარჯავენ, არამედ ის ორგანიზაციებიც, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით ეროვნულ სიმდიდრეს იყენებენ. კერძოდ: მიწას, ტყეს, წყალს, ბიოლოგიურ რესურსებს, სახელმწიფო საკუთრებას და ა. შ.

ქვეყანაში ფინანსური კონტროლის დიდი როლი საბაზრო ურთიერთობათა პირობებში განპირობებულია იმით, რომ სწორედ საბაზრო ეკონომიკა აყენებს წინა პლანზე სამეურნეო საქმიანობის მაღალი ეფექტიანობის აუცილებლობას, რის გამოც იზრდება ქვეყნის მატერიალური და ფინანსური რესურსების ფორმირების, დაცვის, რაციონალური და ეფექტიანი გამოყენების პროცესებზე კონტროლის მნიშვნელობა.

ფინანსური კონტროლის განხორციელება ხელს უწყობს საფინანსო-სამეურნეო მმართველობის ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლებას. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო ორგანოების, იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ ფინანსური სამართლის ნორმების მკაცრი დაცვა პირველ რიგში სწორედ ფინანსური კონტროლის საშუალებით მიიღწევა, რაც, ბუნებრივია, კიდევ უფრო ზრდის საბაზრო ეკონომიკის პირობებში მის როლსა და მნიშვნელობას. შესაბამისად, **სახელმწიფო ფინანსური კონტროლის სისტემა მოიცავს შემდეგ ელემენტებს**:

- კონტროლის სუბიექტი (ვინ ამოწმებს);
- კონტროლის ობიექტი (ვის ამოწმებენ);
- კონტროლის საგანი (რა მოწმდება);
- კონტროლის პრინციპები;
- კონტროლის მეთოდები;
- კონტროლის მექანიზმი;
- კონტროლის სისტემა.

კონტროლის ყველაზე მნიშვნელოვანი და არსებითი ელემენტი, რაზედაც დამოკიდებულია ჩატარებული საკონტროლო–სარევიზიო ღონისძიებათა ეფექტიანობა, კონტროლის სუბიექტები, ანუ მაღალი პროფესიული კვალიფიკაციის მქონე შემმოწმებელი პიროვნებები (რევიზორები, კონტროლიორები, აუდიტები და ა. შ.) მათი საქმიანობა რეგლამენტირებულია ნორმატიული იურიდიული აქტებით და მთლიანობაში ქმნიან ფინანსურ სამართალს.

ფინანსური კონტროლის სუბიექტები არიან ის ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ ფინანსურ კონტროლს. ეს ორგანიზაციები იყოფიან კონტროლის სახეებისა (გარე და შიდა) და მართვის დონის (სახელმწიფო, რეგიონალური, ადგილობრივი) მიხედვით. მაგალითად, საქართველოში გარე კონტროლის სუბიექტს წარმოადგენს საქართველოს კონტროლის პალატა.

ყველა სახისა და დონის კონტროლის სუბიექტების საქმიანობა უნდა იყოს კოორდინირებული და ერთიან მეთოდოლოგიურ საფუძველზე აგებული.

ფინანსური კონტროლის ობიექტი – ეს ის ორგანიზაციებია (სამინისტრო, უწყება), რომლებიც იყენებენ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებს, სახელმწიფო ქონებას, ბუნებრივ რესურსებს ან გააჩნიათ შეღავათი დაბეგვრის, ექსპორტის, იმპორტის და ა. შ., სფეროში.

რეგიონალურ და ადგილობრივ დონეზე კონტროლის ობიექტებს შესაბამისად წარმოადგენს ის ორგანიზაციები, რომლებიც ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების საბიუჯეტო სახსრებს იყენებენ.

მართალია, სახელმწიფო ფინანსური კონტროლი მოიცავს ეკონომიკის მხოლოდ სახელმწიფო სექტორს, მაგრამ იგი, როგორც მისი ძირითადი ამოცანების ჩამონათვალიდან ჩანს, ერცელდება **კერძო სამეწარმეო** (ბიზნესის) საქმიანობაზეც.

ამდენად, ფინანსური კონტროლის ობიექტი არის არა მარტო საგადასახადო-საბიუჯეტო სფერო და საბიუჯეტო პროცესი, არამედ საბაზრო ურთიერთობის მონაწილე სუბიექტების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის მთელი პროცესი; სწორედ ამითაა განპირობებული ფინანსური კონტროლის, როგორც სახელმწიფო მართვისა და კონტროლის უმნიშვნელოვანესი ელემენტის, უაღრესად დიდი როლი და მნიშვნელობა.

სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ობიექტებია:

– სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები (მათი აპარატების საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობა);

– სახელმწიფო საწარმოები და ორგანიზაციები, აგრეთვე სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოები;

– სახელმწიფო საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო ფონდები;

– ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები;

– საწარმოები და ორგანიზაციები, მიუხედავად მათი საკუთრების ფორმისა და სახეებისა, აგრეთვე ფიზიკური პირები, რომლებიც იღებენ ან იყენებენ სახელმწიფო სახსრებს ან საგადასახადო, საბიუჯეტო ან სხვა სახის შეღავათებით სარგებლობენ;

– საზოგადოებრივი გაერთიანებები, არასახელმწიფო ფონდები და სხვა არასახელმწიფო კომერციული ორგანიზაციები იმ ნაწილში, რომელიც ითვალისწინებს ამ ორგანიზაციებისათვის საგადასახადო, საბაჟო და სხვა სახის შეღავათებსა და უპირატესობების მინიჭებას;

– სამეწარმეო სტრუქტურები და ფიზიკური პირები საქმიანობის იმ ნაწილში, რომელიც დაკავშირებულია გადასახადების გადახდასთან და რეგულირდება სახელმწიფოს მიერ.

ფინანსური კონტროლის, როგორც სახელმწიფოებრიეი მართვის ფუნქციათა შემადგენელი ნაწილი და მართვაზე ზემოქმედების მძლავრი იარაღის, საგანს შეადგენს საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების გაფართოებული კლავწარმოების (პროდუქტების წარმოების, განაწილებისა და მოხმარების სფეროები) პროცესის გარკვეული მონაკვეთის შემოწმება სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების უზრუნველყოფის, მართვის მეთოდების სრულყოფით მასზე ზემოქმედებისა და მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების, მატერიალური და შრომითი დანახარჯების შემცირებისა და ეფექტიანობის ამაღლების მიზნით.

მეთოდის ზოგად ცნებაში იგულისხმება კონტროლის ფუნქციების განხორციელების მიზნით განსაზღვრული თანმიმდევრობით გამოყენებული მეთოდებისა და ხერხების ერთობლიობა, რითაც დგინდება მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების ხარჯვის კანონიერება და ეკონომიკური მიზანშეწონილობა.

შემოწმების საერთო მეთოდის არსი მდგომარეობს იმაში, რომ შემოწმდეს და შესწავლილ იქნეს საწარმოს (დაწესებულების, ორგანიზაციის) სუსტი ადგილები. სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის დეტალური მეთოდით შემოწმების დროს პირველადი დოკუმენტების საფუძველზე დაწერილებით უნდა იქნეს შესწავლილი შესამოწმებელი საწარმოს მთელი სამეურნეო-საფინანსო საქმიანობა (ამ დროს თითოეული სახის დოკუმენტი გულდასმით უნდა გაისინჯოს და გაკეთდეს სათანადო ნიშანი – „გასინჯულია"). არითმეტიკული მეთოდით შემოწმების არსი მდგომარეობს იმაში, რომ დოკუმენტებში შემოწმდეს გაანგარიშებებისა და შეტანილი ციფრების სისწორე (განსაკუთრებით ფულადი სახსრების მოძრაობასთან დაკავშირებული ოპერაციები).

დოკუმენტების **შემხვედრი მეთოდით** რევიზიის დროს ამოწმებენ სამეურნეო პროცესებით გამოწვეული ორი მოპირდაპირე მხარის დოკუმენტებს. საკონტროლო ინვენტარიზაციით, რომელიც ინიშნება ჩატარებული ინვენტარიზაციის უტყუარობაში დარწმუნების მიზნით, ახდენენ საწარმოო საშუალებების ფაქტიურ შემოწმებას. იგი ინიშნება ზემდგომი ორგანოს, პროკურატურის, საგამოძიებო ან სხვა მოთხოვნით.

ლაბორატორიული ანალიზი და საექსპერტო შემოწმება ხდება მაშინ, როცა ჩატარებული სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის რევიზიის გადასამოწმებლად იწვევენ ექსპერტს, ასევე, რომელიმე მატერიალურ ფასეულობათა კუთრი წონის, ხარისხის და ა.შ. დასადგენად.

ცნობებსა და ახსნა-განმარტებებს შემმოწმებლები მოითხოვენ ობიექტების ხელმძღვანელებისაგან და დამრღვევთაგან რევიზიის შედეგად გამოვლენილი დარღვევების, მითვისებების, გაფლანგვების ან სხვა საქმიანობასთან დაკავშირებულ დარღვევის ფაქტებზე.

დოკუმენტების ამოღება ხდება იმ შემთხვევაში, როცა უსწორო და საეჭვოა დოკუმენტები, რომლებიც შეიძლება გაიგზავნოს საექსპერტოზე, მოხდეს მისი შემხვედრი შემოწმება (საგამოძიებო ორგანოებისათვის გადასაცემად იღებენ დოკუმენტის დედანს და მის მაგივრად ტოვებენ ასლს).

რევიზიის მასალების სისტემატიზაციისთვის შემმოწმებელი აწარმოებს დღიურს, რათა შეადგინოს შემოწმების შედეგებზე შესაბამისი აქტი.

საქართველოს სახელმწიფო შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ განხორციელებული შემოწმება, რომელიც მოიცავს დაწესებულების ფუნქციონირებისა და მართვის პროცედურების მწარმოებლურობის, სამართლებრივი, ტექნიკურიდა ფუნქციური ხარვეზების, დაწესებულების საქმიანობაში მოსალოდნელი დარღვევების ან/და სამსახურებრივი გადაცდომების პრევენციას ან/და მათი რისკ-ფაქტორების გამოვლენასა და ანალიზს, აგრეთვე სახსრების, სხვა მატერიალური ფასეულობების, ქონებრივი ღირებულებების არამატერიალური სიკეთეების ხარჯვის, გამოყენების, მიზნობრიობის, მიზანშეწონილობის, ეკონომიურობისა და შედეგიანობის შესწავლასა ანალიზს, ასევე ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშების შემოწმებას მოქმედ სტანდარტებთან მათი შესაბამისობის დადგენის მიზნით.

საქართველოს სახელმწიფო კანონი შიდა აუდიტის სუბიექტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებს ცენტრთან კოორდინირებულად და ანგარიშვალდებულია დაწესებულების ხელმძღვანელის წინაშე.

შიდა აუდიტის სუბიექტები უნდა შეიქმნას შემდეგ დაწესებულებებში:

ა) საქართველოს სამინისტროებში;

ბ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურირესპუბლიკების სამინისტროებში;

გ) იმ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში, რომლებიც ფინანსდება ბიუჯეტიდან და რომელთა ჩამონათვალსაც განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა;

დ) ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოებში—გამგეობებში (მერიებში) შესაბამისი საკრებულოს გადაწყვეტილების საფუძველზე;

შიდა აუდიტის სუბიექტები შესაძლოა ასევე შეიქმნას საქართველოს კონტროლის პალატაში, კერძო სამართლის იურიდიულ პირებში(რომელთა აქციების ან წილის 50 პროცენტზე მეტს ფლობს სახელმწიფო, ამ უკანასკნელის თანხმობის შემთხვევაში) და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებში მათიეე გადაწყვეტილებების საფუძველზე.

შიდა აუდიტი უნდა განხორციელდეს აუდიტის სტანდარტების, შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსისა და შემდეგი პრინციპების დაცვით: დამოუკიდებლობა; ობიექტურობა; პროფესიონალიზმი; საჯაროობა; გამჭვირვალობა; კანონიერება.

მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო ფინანსების კონტროლის სფეროში შიდა აუდიტის სუბიექტები თანამშრომლობენ საქართველოს კონტროლის პალატასთან და ამ მიზნით თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფენ „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ აუდიტის ობიექტებთან კონტროლის პალატის ურთიერთობის კოორდინაციას და კონტროლის პალატის მოთხოვნით შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას.

შიდა აუდიტი უნდა განხორციელდეს ამ კანონის მოთხოვნებისა და შიდა აუდიტის სუბიექტების უფროსის მიერ ამ კანონის შესაბამისად გაცემული შიდა აუდიტორული დაევალების საფუძველზე, რომლის მიზანსა და მოქმედების სფეროს დაწესებულების ხელმძღვანელებთან შეთანხმებით განსაზღვრავს შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი და იგი უნდა შედგებოდეს შემდეგი **ეტაპებისგან:**

აუდიტის დაგეგმვა; აუდიტის განხორციელება; ანგარიშგება; შემდგომი ღონისძიებები შეთავაზებული რეკომენდაციების შესრულებისა და მონიტორინგის მიზნით;

შიდა აუდიტორული დაევალების საფუძველზე განხორციელებული შიდა აუდიტი შესაძლებელია იყოს შემდეგი სახის: **თემატური აუდიტი; შესაბამისობის აუდიტი;**

ოპერაციული აუდიტი; ეფექტიანობის აუდიტი; ფინანსური აუდიტი; კამერალური აუდიტი.

დაწესებულების ხელმძღვანელმა უნდა უზრუნველყოს შიდა აუდიტორების დამოუკიდებლობა აუდიტის დაგეგმვის, განხორციელების, ანგარიშგების პროცესში და არ უნდა დააკისროს შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსს ან/და შიდა აუდიტორების სხვა ფუნქციების შესრულება და საქმიანობის განხორციელება, გარდა იმ საქმიანობისა, რომელიც დაკავშირებულია შიდა აუდიტთან, რისკის მართვასთან და ინსპექტირებასთან.

შიდა აუდიტის განხორციელების შედეგად შიდა აუდიტის მარეგულირებელი კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების ძირითადი მოთხოვნების შესაბამისად უნდა შედგეს შიდა აუდიტორული დასკვნა, რომლებიც უნდა მოიცავდეს შიდა აუდიტორის მიერ ცალკეული პროცესის, სისტემის ან შიდა აუდიტისადმი დაქვემდებარებული სხვა საკითხების შესახებ მიღებული ინფორმაციის, დოკუმენტაციის და სხვა მტკიცებულებების ობიექტურ შეფასებას.

შიდა აუდიტორს შიდა აუდიტისა და რისკის შეფასების განხორციელების ფარგლებში, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შეზღუდვებისა, შეუზღუდავი დაშვება აქვს დაწესებულების სისტემის ორგანოს ყველა საქმიანობასთან და დოკუმენტაციასთან.

შიდა აუდიტორი უფლებამოსილია აუდიტის საგანთან დაკავშირებით შიდა აუდიტის ან/და რისკის შეფასების პროცესში მიიღოს მისთვის საჭირო ყველა ინფორმაცია და დოკუმენტი, მიუხედავად მისი ფორმისა (ელექტრონული ვერსია და სხვა), შიდა აუდიტის ობიექტს მოსთხოვოს დოკუმენტაციის სახელმწიფო ენაზე წარდგენა, გადაიღოს დოკუმენტაციის ასლები და სხვა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვებისა.

დაწესებულების ხელმძღვანელი და თანამშრომლები ვალდებული არიან თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში სათანადო დახმარება გაუწიონ შიდა აუდიტორს შიდა აუდიტის ან/და რისკის მართვის პროცესში.

შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსიუფლება მოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვროს თითოეული შიდა აუდიტორული დავალების შესასრულებლად საჭირო აუდიტის სახე, მოქმედების სფერო, განხორციელების სიხშირე და შიდა აუდიტორთა რაოდენობა.

შიდა აუდიტორი ვალდებულია:

ა) დაიცვას აუდიტის სტანდარტები, შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსი, შიდა აუდიტორის მარეგულირებელი კანონმდებლობა, ცენტრის მიერ დამტკიცებული შიდა აუდიტორის განხორციელების მეთოდოლოგია;

ბ) შიდა აუდიტის დაწყებამდე შიდა აუდიტის განხორციელების შესახებ შესაბამისი ადმინისტრაციული აქტი და პროგრამა, ასევე უფლება–მოვალეობათა ნუსხა;

გ) უზრუნველყოს შიდა აუდიტის ობიექტის სახელმწიფო, სამსახურებრივი, კომერციული და პირადი საიდუმლოების დაცვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და არ გაამჟღავნოს ის ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა თავისი საქმიანობის განხორციელებისას ან მასთან დაკავშირებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი გამომდინარეობს შემოწმების მიზნიდან ან/და გათვალისწინებულია შესაბამისი კანონმდებლობით;

დ) შიდა აუდიტორიული დასკვნის შედგენამდე არ გახადოს საჯარო შიდა აუდიტის შედეგები.

შიდა აუდიტორს არ აქვს უფლება, დაწესებულებაში შეასრულოს სხვა ფუნქციები, გარდა რისკის მართვასთან და შიდა შიდა აუდიტთან დაკავშირებული ფუნქციებისა.

ფინანსური მართვისა და კონტროლის ზოგად წესს ადგენს საქართველოს ფინანსთა მინისტრი, რომლის საფუძველზე თითოეულმა დაწესებულებამ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და ცენტრთან შეთანხმებით, არსებული მდგომარეობისა და დაწესებულების საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით უნდა შეიმუშაოს ფინანსური მართვისა და კონტროლის საკუთარი სისტემა. ცენტრმა საქართველოს ფინანსთა მინისტრს დასამტკიცებლად უნდა წარუდგინოს ინსტრუქცია ფინანსური მართვისა და კონტრლის სისტემის ჩამოყალიბების წესებისა და პროცედურების შესახებ.

ფინანსური მართვა და კონტროლი ხორციელდება ცალკეული დაწესებულების მიერ მისთვის დაკისრებული შემდეგი ამოცანების ჯეროვნად შესრულების მიზნით, კერძოდ:

ა) ფინანსური ოპერაციების შესაბამისობა საქართველოს კაონმდებლობასთან, მარეგულირებელ წესებთან, შიდა პოლიტიკასთან, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან;

ბ) ფინანსური ინფორმაციის სრულიად და დროულად წარდგენა;

გ) საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურად, ეფექტურად და ეფექტიანად გამოყენება;

დ) აქტივებისა და სხვა რესურსების დაცვა ზიანისაგან, რომელიც შესაძლებელია გამოწვეული იყოს არასწორი მართვით, დაუსაბუთებელი ხარჯვითა და არაეფექტური, არაეკონომიური გამოყენებით, ასევე არამართლზომიერი და არამიზნობრივი ხარჯვით. ინანსური მართვა და კონტროლი ხორციელდება დაწესებულების ყველა სტრუქტურულ ქვედანაყოფში (ერთეულში) და დაწესებულებისადმი დაქვემდებარებულ ყველა ერთეულში.

საქართველოს სახელმწიფოს კანონის „შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ" ფინანსური მართვა და კონტროლი ეფუძნება შიდა კონტროლის საერთაშორისო სტანდარტებს და მოიცავს შემდეგ ურთიერთდაკავშირებულ კომპონენტებს: **კონტროლის გარემო; რისკის მართვა; კონტროლის ღონისძიებები; ინფორმაცია და კომუნიკაცია; სისტემის მონიტორინგი და შეფასება.**

კონტროლის გარემო მოიცავს:

ა) თანამშრომელთა პირად, პროფესიულ და ეთიკურ ღირებულებებს, მართვისა და ხელმძღვანელობის მეთოდს, დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფის (ერთეულის საქმიანობის მისიებისა და მიზნების განსაზღვრას, ორგანიზაციულ სტრუქტურას, პასუხისმგებლობისა და უფლებამოსილების, უწყლებისა და მოვალეობის, ასევე ანგარიშგების დონეების იერარქიულობას; წერილობითი პროცედურებისა და შრომითი რესურსების მართვის პოლიტიკასა და პრაქტიკას; საჯარო მოსამსახურეთა კომპეტენციას; ადამიანური რესურსების მართვას.

რისკის მართვა არის იმ შესაძლო მოვლენებისა და სიტუაციების განსაზღვრის, შეფასების კონტროლისა და მონიტორინგის პროცესი, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს დაწესებულების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფის (ერთეულის) ან დაწესებულებისადმი დაქვემდებარებული ერტეულის მიზნების მიღწევაზე და გულისხმობს საჭირო ღონისძიებების განხორციელებას რისკის შემცირების მიზნით. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რისკის მართვა უნდა განხორციელდეს დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ყოველწლიურად დამტკიცებული რისკის მართვის სტრატეგიის შესაბამისად.

კონტროლის ღონისძიებები უნდა ჩამოყალიბდეს რისკის ოპტიმალურ დონემდე შემცირების მიზნით. კონტროლის ღონისძიებები უნდა შეესაბამებოდეს დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფის (ერთეულის) საქმიანობას, უნდა იყოს დროული და მათი განხორციელების ხარჯები არ უნდა აღემატებოდეს მოსალოდნელ სარგებელს.

კონტროლის ღონისძიებები უნდა მოიცავდეს: ა) უფლებამოსილების მინიჭების პროცედურებს; ბ) მოვალეობების იმგვარ განაწილებას, რომ ერთი და იგივე პირი არ იყოს პასუხისმგებელი უფლებამოსილების განხორციელებისათვის და კონტროლისათვის; ხელმოწერის ორმაგი სისტემის დამკვიდრებას, რაც შეუძლებელს გახდის ვალდებულების აღიარებას და გადახდის განხორციელებას შესაბამისი დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფის (ერთეულის) ან სხვა უფლებამოსილი პირის ხელმოწერის გარეშე; სახსრებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას; შიდა აუდიტორის მიერ განხორციელებულ წინასწარ და შემდგომ სამართლებრივ კონტროლს; ფინანსური ოპერაციების სრულად, ზუსტად და რეგულარულად ასახვის პროცედურების დამკვიდრებას; ცალკეული ფინანსური ოპერაციის ეფექტიანობისა და ეფექტურობის შეფასებას; პროცედურულ ზედამხედველობას; შრომითი რესურსების ეფექტური მართვის პროცედურების დამკვიდრებას.

ინფორმაცია და კომუნიკაცია. ამ კანონის მიხედვით დაწესებულების საქმიანობის შესახებ ინფორმაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში სათანადო, ზუსტი და ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაწესებულების ყველა იერარქიულ დონეზე ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველყოფის მიზნით. ამ კანონის მე-4 მუხლით

გათვალისწინებულ დაწესებულებებში უნდა შეიქმნას შესაბამისი **საინფორმაციო სისტემა**, რომელიც ყველა თანამშრომელს მისცემს შესაძლებლობას, მიიღოს ცხადი, ზუსტი მითითებები და ინსტრუქციები თავისი ფუნქციისა და პასუხისმგებლობის შესახებ ფინანსური მართვისა და კონტროლის მიზნით.

სისტემის მონიტორინგი და შეფასება. დაწესებულების ხელმძღვანელი პასუხისმგებელია ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის მონიტორინგისა და შეფასებისთვის მისი ადეკვატურობის, ფუნქციონირების შენარჩუნებისა და დროულად განახლების მიზნით. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება უწყვეტი მონიტორინგის, თვითშეფასებისა და შიდა აუდიტის მეშვეობით.

ფინანსური მართვისა და კონტროლის შესახებ ანგარიშის წარდგენა. დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფის (ერთეულის) ან დაწესებულებისადმი დაქვემდებარებული ერთეულის უფროსი პასუხისმგებელია ცენტრისათვის ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის შემუშავებისა და შემოღების შესახებ წლიური ანგარიშის მომდევნო წლის იანვრის დასრულებამდე წარდგენისათვის. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშის შინაარსს და წარდგენის ფორმას ამტკიცებს საქართველოს ფინანსთა მინისტრი ცენტრის წარდგინებით.

შიდა აუდიტის დაგეგმვა. თითოეული შიდა აუდიტორული დავალებისათვის მუშავდება შიდა აუდიტის გეგმა, რომელშიც აისახება მოქმედების სფერო, ამოცანები, ხანგძლივობა და რესურსების განაწილება, შიდა აუდიტის მეთოდები, სახე და რაოდენობა.

შიდა აუდიტის შედეგები განსახილველად წარედგინება დაწესებულების ხელმძღვანელს და შიდა აუდიტის ობიექტის უფროსს.

შიდა აუდიტის გეგმა. შიდა აუდიტის გეგმის სახეებია:

ა) შიდა აუდიტის სტრატეგიული გეგმა;

ბ) შიდა აუდიტის წლიური გეგმა.

შიდა აუდიტის დაგეგმარება ხორციელდება რისკის შეფასების საფუძველზე და მისი შედეგები უნდა აისახოს შიდა აუდიტის სტრატეგიულ გეგმაში.

შიდა აუდიტის სტრატეგიულ გეგმას შეიმუშავებს შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი დაწესებულების ხელმძღვანელთან შეთანხმებით. შიდა აუდიტის სტრატეგიული გეგმა გამომდინარეობს დაწესებულების მიზნებიდან, მოიცავს 3-წლიან პერიოდს და განსაზღვრავს შიდა აუდიტის სფეროში სტრატეგიული განვითარების მიმართულებებს.

ცენტრთან შეთანხმებული შიდა აუდიტის სტრატეგიული გეგმა თანხმდება დაწესებულების ხელმძღვანელთან.

შიდა აუდიტის წრიული გეგმა ეფუძნება შიდა აუდიტის სტრატეგიულ გეგმას და შეიცავს კონკრეტულ შიდა აუდიტორიულ დავალებებს. შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი დაწესებულების ხელმძღვანელთან და ცენტრთან შეთანხმებით.

თუ შიდა აუდიტორიული დავალება დაკავშირებულია უწყებათაშორის პროგრამასთან ან პროექტთან, შიდა აუდიტის წლიურ გეგმასთან, რომელიც ამ პროგრამაში ან პროექტში მონაწილეობს.

შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსის წინადადებით შიდა აუდიტის სტრატეგიულ და წლიურ გეგმებში ნებისმიერი ცვლილება ხორციელდება რისკის შეფასების საფუძველზე და მას ამტკიცებს დაწესებულების ხელმძღვანელი ცენტრთან შეთანხმებით.

შიდა აუდიტორული ანგარიში. შიდა აუდიტის შედეგად დგება შიდა აუდიტორული ანგარიში, რომელშიც აისახება შემაჯამებელი რეზიუმე, შიდა აუდიტორული დავალების ამოცანები და მოქმედების სფერო, გამოვლენილი ფაქტები, შიდა აუდიტორული დასკვნები და შემუშავებული რეკომენდაციები, ასევე შიდა აუდიტის ობიექტის უფროსის წერილობითი მოსაზრებები. შიდა აუდიტის ობიექტის უფროსი პასუხისმგებელია შიდა აუდიტორულ ანგარიშში ასახული რეკომენდაციების შესრულებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებისათვის, რომელიც უნდა წარუდგინოს შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსს.

შიდა აუდიტის წლიური ანგარიში. შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი ამზადებს შიდა აუდიტის წლიურ ანგარიშს, რომელშიც აისახება:

ა) შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ შიდა აუდიტის გეგმის შეუსრულებლობის მიზეზები (მათი არსებობოს შემთხვევაში);

ბ) ინფორმაცია განხორციელებული შიდა აუდიტის შესახებ;

გ) ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები დაწესებულებაში არსებული ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის შესახებ;

დ) შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესასრულებლად შიდა აუდიტის ობიექტის მიერ განხორციელებილი რეკომენდაციების შესახებ;

ე) წინადადებები შიდა აუდიტის განვითარების შესახებ;

ვ) შიდა აუდიტის მიმდინარეობისას შიდა აუდიტორის საქმიანობის ნებისმიერი შეზღუდვა;

შიდა აუდიტის წლიური ანგარიში წარედგინება დაწესებულების ხელმძღვანელს და ცენტრს.

შიდა აუდიტის კოორდინირება და ჰარმონიზება. შიდა აუდიტის კოორდინირებისა და ჰარმონიზებისათვის, აგრეთვე ფინანსური მართვისა და კონტროლისათვის პასუხისმგებელია ცენტრი, რომელიც ანგარიშვალდებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის წინაშე.

ცენტრი პასუხისმგებელია:

ა) სახელმწიფო სექტორის შიდა აუდიტის სტრატეგიისა და მეთოდოლოგიის განახლებისათვის;

ბ) შიდა აუდიტის სუბიექტების დებულებების შემუშავების მიზნით პრაქტიკული სახელმძღვანელოებისა და მითითებების შემუშავებისათვის;

გ) შიდა აუდიტორტა ეთიკის კოდექსის შემუშავებისათვის;

დ) სახელმწიფო შიდა კონტროლისა და შიდა აუდიტის სფეროში შესაბამისი სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის შექმნისათვის;

ე) შიდა აუდიტის სფეროში ამ კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებული დაწესებულებებში გამოცემული შიდაუწყებრივი წესების შესრულებაზე მუდმივი მონიტორინგის განხორციელებისათვის;

ვ) შიდა აუდიტის სფეროში შესაბამისი დაწესებულების თანამშრომლებისათვის პეროიდულად სასწავლო/პრაქტიკული სემინარებისა და ტრენინგების ჩატარებისათვის;

ზ) შიდა აუდიტის სუბიექტისათვის ინსტრუქციის შემუშავებისათვის. მათ შორის, შიდა აუდიტის სუბიექტში დასანიშნი მინიმალური საკადრო რესურსისა და მათი საკვალიფიკაციო მოთხოვნების, შიდა აუდიტორების ინტერესთა კონფლიქტის წესების, შიდა აუდიტის ხარისხის გარანტიისა და შიდა აუდიტის ანგარიშგების მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ;

თ) შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ ფინანსურიო კონტროლისა და მართვის სისტემის, შიდა აუდიტის მარეგულირებელი კანონმდებლობის, შიდა აუდიტის სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის და სახელმძღვანელო წესების შესრულების შეფასებისა და მონიტორინგისათვის

ცენტრის საქმიანობის სფერო და ძირითადი მიმართულებები რეგულირდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული ცენტრის წესდების საფუძველზე.

ცენტრის საქმიანობის კონტროლი. 1. საქართველოს ფინანსთა მინისტრი ვალდებულია განახორციელოს ცენტრის საქმიანობის სისტემატური კონტროლი. 2. საქართველოს ფინანსთა მინისტრი ვალდებულია განახორციელოს ცენტრის საქმიანობის კოორდინაცია და მხარი დაუჭიროს სახელმწიფო სექტორის შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსისა და შიდა აუდიტორთა პროფესიულ გადამზადებას, აგრეთვე ორგანიზება გაუწიოს რეგულარული შეხვედრებისა და დისკუსიების მოწყობას შიდა აუდიტის სტრატეგიის, მეთოდოლოგიის და სახელმწიფო სექტორში შიდა აუდიტის განხორციელების საერთო საკითხებზე.

თავი 5

აუდიტორული საფინანსო კონტროლის ორგანიზაცია

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ფინანსური კონტროლის განხორციელებისას სახელმწიფო კონტროლის გარდა გამოიყენება კონტროლის ისეთი ფორმა, როგორიცაა აუდიტორული საფინანსო კონტროლი.

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულია კონტროლის სუბიექტების რაობა, მათი ინსტიტუციური მოწყობა და კომპეტენციის ფარგლები, მაგრამ არაა ურთიერთგამიჯნული კონტროლის სხვადასხვა სუბიექტების უფლება-მოსილებანი და პასუხისმგებლობა, მკაფიოდ დადგენილი არაა კონტროლის სხვადასხვა სუბიექტების როლი და ადგილი; ყოველივე ეს იწვევს სახელმწიფო საფინანსო კონტროლის არაეფექტიან ფუნქციონირებას, თუმცა სახელმწიფო საფინანსო კონტროლის განხორციელებაზე პოლიტიკური პასუხისმგებლობა საქართველოს კონტროლის პალატას ეკისრება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საჯარო სახსრების კანონიერად და ეფექტიანად ხარჯვის შეფასებისათვის აუცილებელია სახელმწიფო საფინანსო კონტროლის ერთიანი სისტემის შექმნა, ფინანსური კონტროლის სუბიექტებისა და ფინანსური კონტროლის ორგანიზაციის განსაზღვრა, საფინანსო კონტროლის სუბიექტების უფლებამოსილებების და ამ უფლებამოსილებათა განხორციელების წესების დადგენა და სახელმწიფო საფინანსო სტანდარტების განსაზღვრა. მაგრამ ამასთან, საფინანსო კონტროლი არა მხოლოდ საჯარო სახსრების მიღება-გამოყენების პასიური მეთვალყურე უნდა იყოს, არამედ მან საფინანსო დარღვევის აღკვეთის მიზნით გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ზომები, რითაც კონტროლის სუბიექტების პასუხისმგებლობა მათიეე უფლებებთან შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი; კონტროლის სუბიექტებმა პასუხი უნდა აგონ საფინანსო დარღვევების აღკვეთაზე, რისთვისაც მათ უნდა ჰქონდეთ საფინანსო ადმინისტრირების გამოყენების უფლება საჯარო დაწესებულებების მიმართ.

საფინანსო ფინანსური კონტროლის ობიექტია საქართველოს ხელისუფლების, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და მათდამი ანგარიშვალდებულ საჯარო დაწესებულებათა (სამთავრობო დაწესებულება, საქვეუწყებო დაწესებულება, ადგილობრივი სამსახური, საჯარო სამართლის იურიდიული პირი), აღმასრულებელ-განმკარგულებელი საქმიანობა, რომელიც დაკავშირებული იქნება საჯარო სამსახურის მიღება-გამოყენებასთან.

საერთაშორისო გამოცდილებით აღიარებულია, რომ სახელმწიფო საფინანსო კონტროლის სისტემის ინსტიტუციური მოწყობა და მაღალი ორგანიზაცია უნდა ეჯრდნობოდეს საჯარო დაწესებულებათა სავალდებულო აუდიტს, შიდა საფინანსო კონტროლისა და სახელმწიფო საფინანსო ზედამხედველობას, რაც ხელს უწყობს საფინანსო კონტროლის სისტემის დეცენტრალიზაციას. სავალდებულო აუდიტის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს შესაბამისი საჯარო დაწესებულებების ხელმძღვანელობას, ხოლო უშუალოდ ახორციელებს შიდა საფინანსო კონტროლის სამსახური ან სახელმწიფო სექტორის აუდიტორი;

შიდა საფინანსო კონტროლმა უნდა მოიცვას შიდა პრევენციული და მიმდინარე საფინანსო კონტროლი და განახორციელოს შიდა საფინანსო კონტროლის სამსახურმა და ამ შემთხვევაშიც, პასუხისმგებლობა დაეკისრება საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელობას.

საფინანსო ზედამხედველობა უნდა განახორციელონ შესაბამისმა სახელმწიფო ორგანომ და უნდა მოიცვას საფინანსო კონტროლის სისტემის საკანონმდებლო რეგულირება, ამ სისტემაზე ზედამხედველობა, საჯარო დაწესებულებების საფინანსო რეგიზია და საფინანსო ადმინისტრირება;

დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე, საფინანსო კონტროლის განხორციელების ფორმებსა და წესებს. მისაღებად უნდა ჩაითვალოს საფინანსო კონტროლის განხორციელების შემდეგი ფორმები: საფინანსო დარღვევათა პრევენცია, მიმდინარე საფინანსო შემოწმება, რევიზია და საფინანსო ადმინისტრირება, რაც საფინანსო

კონტროლის სუბიექტებმა უნდა განახორციელონ საქართველოს კონტროლის პალატის მიერ განსაზღვრული წესების შესაბამისად.

ამრიგად, სახელმწიფო საფინანსო კონტროლის სისტემის ჩამოსაყალიბებლად საჭიროა როგორც მთელი რიგი ნორმატიული აქტების მიღება, ასევე ორგანიზაციული ღონისძიებების გატარება, როგორიცაა: შიდა საფინანსო კონტროლის სამსახურების და საქართველოს კონტროლის პალატასთან შესაბამისი კადრების მოსამზადებელი ცენტრის შექმნა, რითაც საფუძველი ჩაეყრება სახელმწიფო სექტორის აუდიტორთა, შიდა საფინანსო კონტროლის მოსამსახურეთა მომზადება-ლიცენზირების პროცესს, ხოლო შიდა საფინანსო კონტროლის სამსახურების შექმნამ არ უნდა გამოიწვიოს დამატებითი საშტატო ერთეულების შემოღება, არამედ უნდა მოხდეს სტრუქტურული რეორგანიზაცია და ამით გამოირიცხოს ამ მხრივ დამატებითი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა.

„აუდიტორული საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულია, რომ „აუდიტორულ შემოწმებას (აუდიტს) ახორციელებენ აუდიტორები და აუდიტური ფირმები სუბიექტის სამეწარმეო საქმიანობის, საჯარო ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების, დაბეგვრისა და სამეურნეო-საფინანსო საქმიანობისა და საწესდებო მოთხოვნების უტყუარობის, სისრულის, მოქმედ კანონმდებლობასთან და ნორმატივებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით".

აუდიტორული საფინანსო კონტროლის დანიშნულებაა აუდიტის დამკვეთთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება შესამოწმებელი ობიექტის ფინანსური მდგომარეობის შესახებ ობიექტური და სამართლიანი ინფორმაციით. აუდიტორული საფინანსო კონტროლის მიზანია, აგრეთვე, ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის შეფასება.

აუდიტორთა მოქმედება შეიძლება მიმართულ იქნეს ორგანიზაციაში ფინანსური დარღვევების აღსაკვეთად. აუდიტორულ შემოწმებას ატარებს სპეციალიზირებული აუდიტორული ფირმები ან კერძო პროფესიონალი აუდიტორები ხელშეკრულების საფუძველზე. აუდიტი წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ შემოწმებას მისი უტყუარობის დადგენის მიზნით.

აუდიტორი არ არის ვალდებული დანაკლისებისა და დარღვევების გამოელენის შემთხვევაში მიიღოს რაიმე სანქციები სამეურნეო სუბიექტის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ. შემოწმების შედეგი, როგორც წესი, ფორმდება აუდიტორული დასკვნით, რომელიც წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების უტყუარობის დამადასტურებელ დოკუმენტს. მაქსიმუმი, რაც შეიძლება გააკეთოს აუდიტორმა ფინანსურ ანგარიშგებაში აღმოჩენილი დარღვევების ფაქტზე რეაგირების შესახებ, ეს არის უარყოფითი დასკვნის გაცემა

კონტროლის ორგანიზაციის სისტემა განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში არის:

- ფინანსური კონტროლი,
- სახელმწიფო ფინანსური კონტროლი,
- საზოგადოებრიეი კონტროლი,
- საერთო სახელმწიფოებრივი საბიუჯეტო-საფინანსო აუდიტი,
- საგადასახადო კონტროლი,
- საბაჟო კონტროლი,
- სავალუტო კონტროლი,
- ფულად საკრედიტო კონტროლი,
- ადმინისტრაციული კონტროლი,
- ბირჟების აუდიტი,
- არასაბიუჯეტო ფონდებისა და საინვესტიციო ინსტიტუტების აუდიტი,
- სადაზღვევო კომპანიების აუდიტი,
- საბაჟო აუდიტი,
- ზოგადი აუდიტი (სხვა სამეურნეო სუბიექტების აუდიტი).

როგორც ცნობილია, საბაზრო ეკონომიკის ინსტიტუტების განვითარებამ, ორგანიზაციების მისწრაფებამ თვითრეგულირებისაკენ, ფინანსური ფონდების შექმნის აუცილებლობამ, რომლებიც ახდენენ ეკონომიკური მდგომარეობის უზრუნველყოფას, მესაკუთრეებისა და კრედიტორების მატერიალური დაბანდებების გარანტიებმა

მოითხოვა, რომ ობიექტურად შეფასებულიყო ეკონომიკური სუბიექტის საქმიანობის ეფექტიანობა. ზუსტად განსაზღვრულიყო მისი სამეურნეო და ფინანსური ოპერაციების ეკონომიკური უტყუარობა, მიზანშეწონილობა და გამოვლენილიყო მისი ეფექტურობის ამაღლების და შემოსავლების ზრდის რესურსები. ყოველივე ამ მოთხოვნებმა ბიძგი მისცა კონტროლის ახალი ინსტრუმენტის აუდიტორული საქმიანობის შექმნას და დანერგვას პრაქტიკაში.

აუდიტორული საქმიანობა, როგორც არასახელმწიფოებრივი კონტროლის საყოველთაოდ აღიარებული და ცხოვრებაში პრაქტიკით შემოწმებული ფორმა, ფართო მასშტაბურ გამოყენებას პოულობს ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობათა პრინციპებზე მოწყობის პირობებში.

აუდიტი წარმოადგენს სპეციალურ ცოდნათა სისტემას საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფუნქციონირებადი ეკონომიკური სუბიექტების სამეურნეო პროცესებისა და ფინანსური ოპერაციების კანონიერების, უტყუარობის და ეკონომიკური მიზანშეწონილობის შესწავლის პრინციპებისა და ხერხების შესახებ, რაც მიიღწევა საალრიცხვო-საანგარიშებო და სხვა ეკონომიკური ინფორმაციის, აგრეთვე კონტროლის ობიექტუ რობის ფაქტიური მდგომარეობის გამოკვლევის საფუძველზე.

აუდიტური ფირმა (აუდიტორი) აუდიტის ჩატარებაზე ხელშეკრულების (გარიგების წერილის) გაფორმებისთანავე უნდა შეუდგეს აუდიტის განხორციელებას. აუდიტური ფირმის ხელმძღვანელობამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად აუდიტის ჩატარება უნდა დაავალოს ისეთ აუდიტორს (ან აუდიტორებს), რომელიც ფლობს შესაბამის ცოდნას აუდიტირებული პირის საქმიანობაზე, რომელიც საკმარისია მოვლენების, სამეურნეო ოპერაციების მუშაობის მეთოდების გამოსავლენად და გასაგებად, აგრეთვე უნარი შესწევს პროფესიული მსჯელობისა, შეუძლია მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს ფინანსურ (ბუღალტრულ) ანგარიშგებაზე, აუდიტის მიდგომაზე, ან აუდიტორულ დასკვნაზე. აუდიტორმა აუდიტის მსვლელობისას უნდა გაზარდოს აუდიტური მომსახურების დაწყებამდე მიღებული ინფორმაციის დეტალიზაციის ხარისხი და მოცულობა, ამასთანავე, შეაფასოს ადრე მიღებული ინფორმაცია.

აუდიტირებული ორგანიზაციის საქმიანობაზე ინფორმაციის სწორი ანალიზი და შესაბამისად გამოყენება ეხმარება აუდიტორს:

– შეაფასოს აუცილებელი რისკი და აუდიტირებული ორგანიზაციის ხელმძღვანელების ქმედებანი აღნიშნული რისკის მიმართ;

– ეფექტურად დაგეგმოს და ჩაატაროს აუდიტი;

– აუდიტორული მტკიცებულებების შეფასებაში; მათი საკმარისობის განსაზღვრაში;

– განსაზღვროს არსებითობის დონე და შეაფასოს არის თუ არა იგი საკმარისი;

– აუდიტორებული ორგანიზაციების იმ სფეროების განსაზღვრაში, სადაც საჭირო იქნება სპეციფიკური ცოდნა და უნარ-ჩვევები;

– ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაციის გამოვლენაში;

ძირითადი მიზნის მისაღწევად და დასკვნის წარსადგენად აუდიტორმა უნდა გამოთქვას აზრი:

1. ანგარიშგების ზოგად მისაღებობაზე (შეესაბამება თუ არა ანგარიშგება მთლიანობაში წაყენებულ მოთხოვნებს და ხომ არ შეიცავს იგი წინააღმდეგობრივ ინფორმაციას);

2. დასაბუთებულობაზე (არსებობს თუ არა ანგარიშგებაში ნაჩვენები თანხების სათანადო დოკუმენტში შეტანის საფუძველი);

3. დასრულებულობაზე (შეტანილია თუ არა ანგარიშგებაში ყველა თანხა, ეკუთვნის თუ არა კომპანიას ყველა აქტივი და პასივი);

4. შეფასებაზე (არის თუ არა სწორად შეფასებული და უშეცდომოდ დათვლილი ყველა კატეგორია);

5. კლასიფიკაციაზე (არის თუ არა იმის საფუძველი, რომ თანხა სწორედ იმ ანგარიშზეა, რომელშიცაა იგი ჩაწერილი);

6. განაწილებაზე (ოპერაციები, რომლებიც ჩატარდა ბალანსის შედგენის თარიღის წინ ან უშუალოდ მის შემდეგ, მიეკუთვნება თუ არა იმ პერიოდს, როცა ისინი ჩატარდა);

7. აკურატულობაზე (შეესაბამება თუ არა ცალკეული ოპერაციის თანხები ანალიტიკური აღრიცხვის წიგნებისა და ჟურნალებში მოყვანილ მონაცემებს, სწორია თუ არა დაჯამება, შეესაბამება თუ არა საბოლოო ჯამი მთავარ წიგნში შეტანილ მონაცემებს);

8. გახსნაზე (შეტანილია თუ არა ყველა კატეგორია ფინანსური ანგარიშგებაში და სწორადაა თუ არა ისინი ასახული ანგარიშგებებსა და მათ დამატებებში).

ამრიგად, აუდიტის მიზანს წარმოადგენს აუდიტორი გონივრულობის ფარგლებში უნდა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით დამახინჯებებს, რათა უზრუნველყოს ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნის „უტყუარად და სამართლიანად“ ან „სამართლიანად“ წარდგენა.

აუდიტის დაგეგმას აუდიტორული საქმიანობაში მნიშვნელოვანი ეტაპი უკავია. იგი აუდიტორული შემოწმებისას წარმოადგენს ერთ-ერთ რთულ და აუცილებელ პროცესს. აუდიტის ხარისხიანად ჩატარება წარმოუდგენელია აუდიტის სტრატეგიის დამუშავების, დროის განსაზღვრისა და ბუღალტრული პროცედურების შემოწმების სრულყოფილად განხორციელების გარეშე, რომლებმაც მთლიანობაში უნდა უზრუნველყონ აუდიტის საიმედოობა, დამოუკიდებლობა, ობიექტურობა, პროფესიული კომპეტენტურობა და ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

აუდიტის დაგეგმვისას და მომსადებისას აუდიტორი ვალდებულია განსაზღვროს სამეურნეო სუბიექტის უმთავრესი მიმართულებები, თავისებურებები და საკითხთა ის წრე, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს აუდიტის ჩატარებისას. ამასთანავე, მიიღოს ინფორმაცია მართვის ორგანიზაციის ფორმებსა და მეთოდებზე, აღრიცხვა-ანგარიშგებაზე, შეიგ სამეურნეო კონტროლზე, განსაზღვროს შემოწმებისა და კვლევის ობიექტები, წინასწარ შეაფასოს მართვისა და კონტროლის ძირითადი მიმართულებები, განიხილოს შიდა კონტროლის სისტემა, დაადგინოს ოპერაციათა ცალკეული ჯგუფების შემოწმების სიღრმე, ხარისხი და ხანგრძლივობა. დაგეგმვის დროს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება აუდიტორის სამუშაო დოკუმენტებს, რომლებიც უზრუნველყოფან შემოწმებისადმი მეთოდურ და ლოგიკურ მიდგომას, იძლევიან ინფორმაციას შესასრულებელ სამუშაოებზე, გამოელენიან ნაკლოვანებებსა და მოსალოდნელ პრობლემებზე. აუდიტის მოცულობა დაშოკიდებულია სამეურნეო სუბიექტის საქმიანობაზე, აუდიტის სირთულეზე და დამკვეთის ბიზნესის ცოდნაზე.

აუდიტის დაგეგმვა ითვალისწინებს შემდეგი პრინციპების დაცვას:

ა) **დაგეგმვის კომპლექსურობას**, რაც ნიშნავს, იმას, რომ აუდიტის დაგეგმვის ყველა ეტაპი უნდა იყოს ურთიერთდაკავშირებული და შეთანხმებული;

ბ) **დაგეგმვის უწყვეტობას**, რაც გულისხმობს იმას, რომ რთული სამეურნეო საქმიანობის შემოწმების დაგეგმვისას მოწვეული იქნებიან სპეციალისტები (ექსპერტები) და შემოწმებები უნდა ჩატარდეს რამდენიმე ეტაპად, შესაბამისად, აუდიტორმა დროულად უნდა გაუკეთოს კორექტირება აუდიტის გეგმას და პროგრამას; ამასთან ერთად, განსაზღვროს მოსაწვევი სპეციალისტების კონტინგენტი.

გ) **დაგეგმვის ოპტიმალურობას**, რომელიც გამოიხატება გეგმის მოქნილობაში და აუდიტის უფრო რაციონალური ვარიანტის შერჩევაში.

აუდიტორისთვის მნიშვნელოვანია დამკვეთის ბიზნესის ცოდნა, რომელიც საშუალებას მისცემს მას სწორად დაგეგმოს და ჩაატაროს აუდიტი იმ პერიოდისათვის მოქმედი აუდიტორული სტანდარტების შესაბამისად. როგორც ზემოთ აღინიშნა, აუდიტი უნდა დაიგეგმოს და ჩატარდეს პროფესიული სკეპტიციზმის პოზიციიდან.

აუდიტში მთელი რიგი საკითხების შეფასება სუბიექტურია და გამომდინარეობს აუდიტორის პროფესიული მსჯელობიდან. ამ საფუძველზე მიღებული შეფასებები აუცილებელია იმისათვის, რომ აუდიტორმა არგუმენტირება გაუკეთოს მოცემული კონკრეტული ორგანიზაციის აუდიტის ჩატარების საკუთარ მიდგომას, წინასწარი სამუშაოს მოცულობას, მის სიზუსტეს და სხვა ფაქტორებს.

სამეურნეო სუბიექტში აუდიტის დაწყებამდე აუდიტის დაგეგმვის სტანდარტები (ასს 300-399) მოითხოვს ადეკვატურ დაგეგმვას. აუდიტორმა უნდა დაგეგმოს თავისი საქმიანობა სამ ძირითად ეტაპად: **აუდიტის წინასწარი დაგეგმვა; აუდიტის საერთო (მთლიანი) გეგმის მომზადება და შედგენა; აუდიტის პროგრამების მომზადება და შედგენა.**

ქვემოთ განვიხილოთ დაგეგმვის ეტაპები: სამუშაოს წინასწარი დაგეგმვა აუდიტის წინასწარი დაგეგმვის სტადია წარმოადგენს საწყის და ნებისმიერ სამეურნეო სუბიექტთან მუშაობის მნიშვნელოვან ეტაპს, სადაც აუდიტორი ახორციელებს სამეურნეო სუბიექტის ბიზნესისა და საქმიანობის სფეროს შესწავლას, ანალიზს უკეთებს იმ გარეშე ფაქტორებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიოს მის სამეურნეო საქმიანობაზე, სწავლობს მის ინდივიდუალურ თავისებურებებს, არკვევს მიზნებს, რომლებმაც განაპირობა აუდიტორის მოწვევა, დამკვეთის ფინანსურ სტაბილურობას და მის ურთიერთობას წინა აუდიტორთან. ასევე მოიპოვებს ინფორმაციას დამკვეთის ორგანიზაციული სტრუქტურის, მისი საწარმოს საქმიანობის თავისებურებების, მყიდველებთან და მიმწოდებლებთან ურთიერთობის, შეილობილი და მასზე დამოკიდებული ორგანიზაციების რენტაბელობის, მიღებული მოგების განაწილების, შიგა კონტროლის სისტემისა და პერსონალის შრომითი ანაზღაურების პრინციპების შესახებ. ამ ინფორმაციის მოსაპოვებლად აუდიტორმა გარდა აუდიტორული პროცედურებისა, შეიძლება გამოიყენოს სხვა აუდიტორების, მეწარმეების და სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ მოწოდებული ინფორმაციაც.

აუდიტის წინასწარი დაგეგმვის ეტაპზე აუდიტორმა უნდა განსაზღვროს დამკვეთთან მუშაობის ხასიათი, მოცულობა და პირობები იმ პოზიციიდან, რომელიც აუდიტორმა უნდა იქონიოს მკაფიო წარმოდგენა იმაზე, თუ რას მოელის მისგან დამკვეთი, რათა იგი არ აღმოჩნდეს წინააღმდეგობაში მოქმედ ნორმატიულ ბაზასთან.

აუდიტორმა უნდა გაითვალისწინოს, რომ საგულდაგულოდ მოპოვებულ მტკიცებულებებით მაღლდება აუდიტორის მუშაობის ეფექტიანობა და შესაბამისად მისი ფინანსური შემოსავლიანობა. აუდიტორული შემოწმება ზოგ შემთხვევაში საჭიროებს სპეციალური საკითხების შესწავლას, ამიტომ შეიძლება აუცილებელი გახდეს სპეციალისტებთან კონსულტაცია და ამ მიზნით სპეციალისტის ან ექსპერტის მოწვევა. ამ კონტინგენტის მოწვევით აუდიტორი მოიპოვებს საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს იმის შესახებ, რომ კონსულტაციებით მიღებული დასკვნები და შესრულებული სამუშაოს მასშტაბები აუდიტის მიზნების ადეკვატურია. აუდიტური ფირმა (აუდიტორი) იმ შემთხვევაში, თუ აუდიტის ჩასატარებლად მისი რომელიმე სფეროს შესასწავლად მოიწვევს სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს, საჭიროა იგი დარწმუნდეს ამ სპეციალისტის დამოუკიდებლობაში დამკვეთთან მიმართებაში.

აუდიტური ფირმის ხელმძღვანელობა აუდიტორის შერჩევისას უნდა დარწმუნდეს, რომ მის მიერ შერჩეული აუდიტორი დამოუკიდებელია დაკვეთის მიმართ. შერჩეული აუდიტორის დამოუკიდებლობის განსაზღვრისას აუცილებელია მკაცრად იქნეს დაცული ის აკრძალვები, რომელიც კანონის „საქართველოს კანონი აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ 21-ე მუხლით არის განსაზღვრული და არ დაუშვან ისეთი აუდიტორები შემოწმებაზე, რომელთაც აუდიტის ჩატარება ეკრძალებათ, კერძოდ:

ა) აუდიტორებს, რომლებიც შესამოწმებელი სამეურნეო სუბიექტის რომელიმე ხელმძღვანელის ახლო ნათესავები არიან;

ბ) აუდიტორებს, რომლებიც შესამოწმებელ სამეურნეო სუბიექტთან აკავშირებთ პირადი ქონებრივი ინტერესები;

გ) აუდიტორებს, რომლებიც შესამოწმებელი სამეურნეო სუბიექტის მუშაკები, მესაკუთრეები, დამფუძნებლები ან ხელმძღვანელობის წევრები არიან;

დ) აუდიტორებს, რომლებიც შესამოწმებელი სამეურნეო სუბიექტის შვილობილი საზოგადოების, ფილიალის ან წარმომადგენლობის მუშაკები ან თანამესაკუთრენი არიან.

სამეურნეო სუბიექტთან წინასწარი დაგეგმვის ეტაპის შედეგების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების შემდეგ, აუდიტური ფირმას (აუდიტორს) შეუძლია შეუდგეს საერთო გეგმისა და აუდიტორული შემოწმების პროგრამის შედგენას.

აუდიტის საერთო (მთლიანი) გეგმის მომზადება და შედგენა: მას შემდეგ, რაც აუდიტური ფირმა (აუდიტორი) მიიღებს დამკვეთისგან თანხმობის წერილს აუდიტის ჩატარებაზე, მზადდება აუდიტის ჩატარების საერთო გეგმა და აუდიტის პროგრამა, რომლის საფუძველს წარმოადგენს წინასწარი დაგეგმვის სტადიაში მოპოვებული ინფორმაცია, რაც ნაწილობრივ ასახულია დამკვეთის სახელზე გაგზავნილ გარიგების წერილში.

საერთო გეგმისა და აუდიტის პროგრამის შედგენის საწყის ეტაპზე რეკომენდებულია ჩატარდეს ანალიზური პროცედურები, რომლებიც ეხმარება აუდიტორს გამოაყენინოს აუდიტის მნიშვნელოვანი სფეროები და ამით უკეთესად დაგეგმოს სამუშაო. ეს შეიძლება იყოს მაგალითად, შესამოწმებელი ბუღალტრული ანგარიშგებების მაჩვენებლების შედარება წინა პერიოდის ანალოგიურ მონაცემებთან იმ პოზიციის გამოყოფით, რომლებსაც აქვთ მნიშვნელოვანი გადახრები.

აუდიტორმა შემოწმების მსვლელობისას უნდა შეასრულოს ანალიზური პროცედურები, რათა დაადგინოს რამდენად წარმოადგენს ეს მაჩვენებლები აუდიტორული პროცედურების არსებითობის სახესხვაობას და აუდიტორული მტკიცებების საფუძველს. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტის „აუდიტორული მტკიცება“-ს მე-4 მუხლის მიხედვით:

„აუდიტორული მტკიცებები არის ინფორმაცია, რომელსაც ფლობს აუდიტორი და რომლის საფუძველზე გაკეთებულ დასკვნასაც ეურდნობა აუდიტორული დასკვნა, აუდიტორული მტკიცებები მოიცავს პირველად დოკუმენტებს და ბუღალტრულ ჩანაწერებს, რომლებიც საფუძვლად უდევს ფინანსურ ანგარიშგებას, აგრეთვე სხვა წყაროებიდან მოპოვებულ შესაბამის ინფორმაციას“.

აუდიტორული მტკიცებების საიმედოობა დამოკიდებულია სხვადასხვა გარემოებაზე, მათი საიმედოობის ხარისხის შესაფასებლად ბატონი ნ. ქებაძე გამოყოფს შემდეგ გარემოებებს:

– გარეშე წყაროებიდან მიღებული აუდიტორული მტკიცებები (მაგ. მესამე მხარისაგან მიღებული დამამტკიცებელი საბუთები) უფრო საიმედოა, ვიდრე სამეურნეო სუბიექტის შიგნით მოპოვებული;

– სამეურნეო სუბიექტის მიერ შემუშავებული აუდიტორული მტკიცებები უფრო საიმედოა მაშინ, როდესაც შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვისა და შიგა კონტროლის სისტემები ეფექტიანად მუშაობს;

– უშუალოდ აუდიტორის მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებები უფრო საიმედოა, ვიდრე სამეურნეო სუბიექტისაგან მიღებული მტკიცებები;

– დოკუმენტის ან წერილობითი ფორმით წარმოდგენილი აუდიტორული მტკიცებები უფრო საიმედოა, ვიდრე ზეპირი სიტყვიერი მტკიცებები.

აუდიტორული მტკიცებების მისაღებად, აუდიტორმა უნდა შეასრულოს აუდიტორული პროცედურები, რომელიც ერთ-ერთი წყაროა კონტროლის საშუალებათა ტესტები, რომლებიც დაწერილებით არის განხილული აუდიტის საერთაშორისო სტანდარტში „რისკის შეფასება და შიდა კონტროლი“.

ამასთან ერთად, გეგმის და პროგრამის შედგენისას გასათვალისწინებელია ის, რომ აუდიტორი დამოუკიდებელია აუდიტის მეთოდებისა და წესების არჩევაში, თუმცა ამავე დროს დაკისრებული აქვს მთლიანი პასუხისმგებლობა საერთო გეგმისა და პროგრამის მონაცემების სწორად შედგენაზე და შესაბამისად, სამუშაოს შედეგებზე. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ არც დამკვეთს, არც საგადასახადო ინსპექციას, არა აქვს უფლება მიუთითოს აუდიტორს რა უნდა შეამოწმოს შემოწმების მსვლელობისას, რას უნდა მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება და ა.შ. ამას ყველაფერს წყვეტს აუდიტორი დამოუკიდებლად ჩასატარებელი აუდიტის ნორმატიული დოკუმენტებისა და თავისი გამოცდილებისა და ცოდნის საფუძველზე.

დაგეგმვისას და პროგრამის შედგენისას, აუდიტორმა მომზადებულ დოკუმენტაციას უნდა დაუკეთოს დოკუმენტირება. შესაბამისი მოთხოვნები ჩამოყალიბებულია „აუდიტის დოკუმენტაციის“ საერთაშორისო სტანდარტში.

პრაქტიკაში აუდიტის დაგეგმვის ძირითად ეტაპებად მიჩნეულია:

- აუდიტორული ანგარიშგების მოცულობაზე და ხასიათზე მართებული წარმოდგენის მიღება;
- გადაწყვეტილების მიღება სამუშაოს შესრულების შესაძლებლობაზე;
- აუდიტისათვის სპეციალისტებისა და სამუშაო დროის ბიუჯეტის წინასწარი მომზადება;
- დამკვეთის ბიზნესზე მართებული ინფორმაციის მიღება;
- აუდიტორული შემოწმების არაეფექტიანობის შემთხვევაში რისკის წინასწარი შეფასება;
- დამკვეთთან აუდიტის ჩატარებაზე ხელშეკრულების გაფორმება;
- კონტროლის რისკის შეფასება;

- აუდიტის მიზნებისათვის არსებითობის დონის განსაზღვრა;
- აუდიტორული რისკის შეფასება;
- აუდიტორულ რისკზე მისი შემადგენელი ელემენტების გავლენის ხარისხის განსაზღვრა;
- აუდიტის სხვადასხვა სტრატეგიების შრომატევადობის ხარისხის შეფასება;
- აუდიტის პროგრამის შედგენა და სამუშაო დროის ბიუჯეტის დაზუსტება.

ამრიგად, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით აუდიტის საერთო გეგმის შემუშა ვებისას რეკომენდებულია აუდიტორმა გაითვალისწინოს შემდეგი საკითხები: დამკვეთის საქმიანობის (ბიზნესის) ცოდნა; ბუღალტრული აღრიცხვისა და შიდა კონტროლის სისტემის შესწავლა; რისკი და არსებითობა; პროცედურების ხასიათი, მოცულობა და შესრულების ვადები; კოორდინაცია, ხელმძღვანელობა, ზედამხედველობა და შემოწმება-ანალიზი; სხვა აუდიტორთა ჩართვა ფილიალების, განყოფილებების, შვილობილ ორგანიზაციებსა და ქვედანაყოფებში აუდიტის ჩატარებაზე სხვა საკითხები.

როგორც წესი, აუდიტორები ინფორმაციას იღებენ საწარმოს ხელმძღვანელ პირებთან და სპეციალისტებთან საუბრებიდან, დამკვეთის იურისტებისაგან, ეკონომისტებისაგან, ბუღალტერებისაგან და სხვადასხვა სფეროში დასაქმებულ პირებისაგან, რომლებიც განაგებენ ან იცნობენ ამ დარგს, აგრეთვე მომწოდებლებისგან, მომხმარებლებისგან და კონკურენტებისაგან. ინფორმაციის წყარო შეიძლება იყოს სპეციფიკური მონაცემები, სხვა სპეციალისტების ექსპერტის შედეგები, პრესის მასალები და წინა აუდიტორული შემოწმების დოკუმენტები.

დოკუმენტური ინფორმაციის მოცულობა და სახეობები მოიცავს საკითხთა ფართო სპექტრს. ამიტომ ამ ინფორმაციის მოსაპოვებლად აუდიტორი იყენებს აუდიტის სხვადასხვა სტანდარტს. მაგალითად, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტში „დამკვეთის სამეწარმეო საქმიანობის ცოდნა" მოცემულია საკითხების სავარაუდო ჩამონათვალი, რომლებიც მოიცავს ფართო სპექტრს და შეიძლება გამოყენებული იქნეს არაერთი აუდიტორული შემოწმებისას, თუმცა ყველა საკითხი არ შეიძლება ჩაითვალოს სრულყოფილად ქვემოთ მოყვანილია.

დამკვეთის სამეწარმეო საქმიანობის შესწავლისას განსახილველი საკითხები:

ა) **ზოგადი ეკონომიკური ფაქტორები**:

- ეკონომიკური აქტიურობის ზოგადი დონე (მაგ. ეკონომიკის დაცემა, ეკონომიკური ზრდა);
- საპროცენტო განაკვეთები და დაფინანსების ხელმისაწვდომობა;
- ინფლაცია, ვალუტის დევალვაცია;
- სახელმწიფო პოლიტიკა;
- ფულად-საკრედიტო, როგორებიცაა ფინანსური, საგადასახადო-კორპორაციული და სხვ. ფინანსური სტიმულები (მაგ. სახელმწიფო დახმარების პროგრამები), ტარიფები, სავაჭრო შეზღუდვები, უცხოური ვალუტის კურსი და საგალუტო შეზღუდვები.

ბ) **საქმიანობის დარგის მნიშვნელოვანი ფაქტორები**, რომლებიც გავლენას ახდენს დამკვეთის სამეწარმეო საქმიანობაზე

- ბაზარი და კონკურენცია;
- ციკლური ან სეზონური საქმიანობა;
- ცვლილებები წარმოების ტექნოლოგიაში;
- რისკი სამეწარმეო საქმიანობაში (მაგ. უახლესი ტექნოლოგია, მაღალი მოდა, კონკურენციაში შესვლის სიმარტივე);
- ოპერაციების შემცირება ან გაფართოება;
- უკუჩვენებითი პირობები (მაგ. მოთხოვნილების დაქვეითება, ჭარბი სიმძლავრე, ფასების სერიოზული კონკურენცია);
- ძირითადი კოეფიციენტები და მოქმედი სტატისტიკა;
- ბუღალტრული აღრიცხვის სპეციფიკური მეთოდები და პრობლემები;
- სამართლებრივი ჩარჩოები;
- ენერგომომარაგება და მისი ღირებულება;

- სპეციფიკური ან უნიკალური მეთოდიკა (მაგ. სამუშაო კონტრაქტების, დაფინანსების მეთოდების შემუშავების, ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების მეთოდიკასთან დაკავშირებით.

გ) სამეურნეო სუბიექტის ძირითადი პრინციპები

1. მენეჯმენტი და საკუთრების უფლება – დამახასიათებელი თავისებურებანი;

კორპორაციის სტრუქტურა – საკუთარი, საზოგადოებრივი, სახელმწიფო (მოიცავს უკანასკნელ ხანს მომხდარ ან დაგეგმილ ცვლილებებს); ხელისაყრელი მესაკუთრეები და დაკავშირებული მხარეები (რეპუტაცია და გამოცდილება სამეწარმეო საქმიანობაში ქვეყნის შიგნით და უცხოეთში); კაპიტალის სტრუქტურა (უკანასკნელ ხანს მიღებული ან დაგეგმილი ცვლილებების ჩათვლით); ორგანიზაციული სტრუქტურა; ხელმძღვანელობის ამოცანები, პრინციპები, სტრატეგიული გეგმები; სამეწარმეო საქმიანობის შეძენა, შერწყმა ან გადაცემა (დაგეგმილი ან უკანასკნელ ხანს განხორციელებული); დაფინანსების წყაროები და მეთოდები (მიმდინარე, გასული პერიოდის); დირექტორთა საბჭო (მმართველობის ორგანოები): შემადგენლობა, ცალკეული პირების რეპუტაცია და გამოცდილება სამეწარმეო საქმიანობაში. დამოუკიდებლობა და მოქმედ ხელმძღვანელთა კონტროლი, აუდიტორული კომიტეტის არსებობა და მისი საქმიანობის მოცულობა, სხდომათა პერიოდულობა, კორპორაციულ ორგანიზაციებში ქცევის ნორმების არსებობა. მოქმედი ხელმძღვანელობა: გამოცდილება და რეპუტაცია, კადრების დენადობა, პერსონალი, რომელიც ახდენს ფინანსირებას და მათი სტატუსი ორგანიზაციაში, ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილების დაკომპლექტება, წახალისებისა და პრემიების სისტემა, როგორც ანაზღაურების შემადგენული ნაწილი (მაგ. რომელიც დამოკიდებულია მოგებაზე), ზეწოლა ხელმძღვანელობაზე (მაგ. ზედმეტად დატვირთვა, ერთი პირის დომინირება, აქციის კურსის მხარდაჭერა, შედეგების პუბლიკაციებისათვის დაუსაბუთებელი ვადები), მართვის საინფორმაციო სისტემები. შიდა აუდიტის ფუნქცია (არსებობა, ხარისხი); შიდა კონტროლთან ურთიერთობა.

2. სამეურნეო სუბიექტის სამეწარმეო საქმიანობა – წარმოება, ვაჭრობა, მომარაგება, ხარჯები, საწარმოს საქმიანობა: სამეწარმეო საქმიანობის სახეობათა ხასიათი (მაგ. მწარმოებელი, საბითუმო მოვაჭრე, ფინანსური მომსახურება, იმპორტი/ექსპორტი); სამეურნეო დანიშნულების შენობა-ნაგებობების, საწყობების, ოფისის ადგილმდებარეობა; დასაქმება (მისი ადგილმდებარეობა, მომარაგება, ხელფასების დონე, პროფკავშირთან კონტრაქტები, საპენსიო ვალდებულებები, უფლება-მოსილების დებულებები); პროდუქცია, მომსახურება ან ბაზარი (მაგ. ძირითადი შემკვეთები და კონტრაქტორები, ანგარიშსწორების პირობები, მოგების ნორმები, ბაზარში მონაწილეობის წილი, კონკურენტები, ექსპორტი, ფასწარმოქმნის პოლიტიკა, პროდუქციის რეპუტაცია, გარანტია, შეკვეთების წიგნი, ტენდენციები, მარკეტინგული სტრატეგია და ამოცანები, სამეურნეო პროცესები); საქონელი და მომსახურება (მაგ. გრძელვადიანი კონტრაქტები, მომარაგების სტაბილურობა, ანგარიშსწორების პირობები, იმპორტი, მიწოდების მეთოდები, როგორიცაა „განსაზღვრულ ვადებში მიწოდება"); სასაქონლო-მატერიალური მარაგი (მაგ. განლაგება, რაოდენობა); ფიუჩერული გარიგებები, ლიცენზია, პატენტი; ხარჯების მნიშვნელოვანი კატეგორიები; სამეცნიერო კელევა; აქტივები, ვალდებულებები და გარიგებები (უცხოურ ვალუტაში – ვალუტის საშუალებით პეჯირება); კანონები და დებულებები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სამეურნეო სუბიექტის საქმიანობაზე; არსებული საინფორმაციო სისტემები – მათთში ცვლილებების შესატანი გეგმების არსებობა; ვალის სტრუქტურა, შეთანხმებებისა და შეზღუდვების ჩათვლით.

3. ფინანსური საქმიანობის ფაქტორები, რომლებიც ეხება ფინანსურ მდგომარეობასა და რენტაბელურობას: ძირითადი კოეფიციენტები და მიმდინარე სტატისტიკა; ძირითადი მიმართულებები.

4. საანგარიშგებო გარემოს შიდა ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს ხელმძღვანელობაზე ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში.

5. კანონმდებლობა: მარეგულირებელი გარემო და მოთხოვნები; საგადასახადო სისტემა; სამეწარმეო საქმიანობის დამახასიათებელი შეფასებები და ახსნა-განმარტებები; მოთხოვნები სააუდიტორო ანგარიშგების მიმართ; ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები.

შემოწმების გეგმის შედგენისას აუდიტორისათვის აუცილებელია გაერკვეს სამეურნეო სუბიექტის ბუღალტრული აღრიცხვის სისტემის ორგანიზაციაში, პირველ რიგში, აუდიტორმა უნდა მოითხოვოს ის დოკუმენტები, რომლებიც არეგულირებენ საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკას და ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების ძირითად პრინციპებს. მან დამკვეთისაგან უნდა მიიღოს (ან დაკვირვების საფუძველზე თვითონ შეადგინოს) დოკუმენტები, სქემები, გრაფიკები, რომლებიც ასახავს ბუღალტერიის ორგანიზაციულ სტრუქტურას, მის თანამშრომლებს შორის მოვალეობების განაწილებას. მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ბუღალტრული დოკუმენტბრუნვის ორგანიზაციას, აღრიცხვაში მათი ასახვის წესს.

აუდიტორმა უნდა გაითვალისწინოს, რომ საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის შემდეგ სახეობებს გამოყოფენ: ჟურნალური და მემორიალურ ორდერული ფორმები, აღრიცხვის წარმოების გაადვილებული და კომპიუტერული წარმოება. ბუღალტრული აღრიცხვის ყველა ეს ფორმა საწარმოში რვეულებრივ კომბინირებულია. უკანასკნელ პერიოდში საქართველოს საწარმოებში შემოღებული იყო ბუღალტრული აღრიცხვა საერთაშორისო სტანდარტებით, ეს კი უდავოდ გაუადვილებს აუდიტორს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა შესრულებას.

თავი 6

აუდიტის კლასიფიკაცია და აუდიტური შემოწმების კონცეფციები (მიდგომები)

დასავლეთისა და პოსტსოციალისტურ ქვეყნებში ამ ბოლო პერიოდში გამოცემულ სპეციალურ ლიტერატურაში აუდიტის განმარტების სხვადასხვა რედაქცია გეჭიდება, თუმცა შინაარსობრივად მათ შორის არსებითი განსხვავება არ შეინიშნება. მათი განზოგადების საფუძველზე აუდიტი შეიძლება განიმარტოს როგორც ბუღალტრული აღრიცხვის, ბუღალტრული ბალანსის და ფინანსური ანგარიშგების დამოუკიდებელი შემოწმება-ექსპერტიზა, რომლის მიზანია სამეურნეო სუბიექტის მიერ მოქმედი კანონმდებლობისა და ნორმატიული დებულებების შესაბამისად ბუღალტრული აღრიცხვის სისწორის შემოწმება, ბალანსის მაჩვენებლებისა და ფინანსური ანგარიშგების უტყუარობის დამოწმება.

ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკაში ცალკეული კრიტერიუმების მიხედვით აუდიტი კლასიფიცირდება სხვადასხვა სახეებად. მათ შორის, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს აუდიტის კლასიკოსის, ნაფიც ბუღალტერთა ამერიკული ინსტიტუტის ერთ-ერთი დამფუძნებლის და შემდგომში მისი პრეზიდენტის რობერტ მონტგომერის[1] მიერ შემოთავაზებული აუდიტის კლასიფიკაცია, რომელმაც საყოველთაო აღიარება და პრაქტიკული გამოყენება პოვა მთელს მსოფლიოში. ამ კლასიფიკაციის ამოსავალი კრიტერიუმებია აუდიტის საგანი და ამოცანები და, შესაბამისად, აუდიტი დაყოფილია შემდეგ სახეობებად:

1. ფინანსური აუდიტი – გულისხმობს იმის დადგენას, შეესაბამება თუ არა ფინანსური ანგარიშგება ბუღალტრული აღრიცხვის საყოველთაოდ დადგენილ პრინციპებს. რ. მონტგომერის აზრით „ფინანსური აუდიტის დროს აუცილებელია მოინახოს საფუძვლები იმ ინფორმაციის დასადასტურებლად, რომელიც ძირითადად ფინანსურ სფეროს მიეკუთვნება. ინფორმაციის შეფასების კრიტერიუმად ჩვეულებრივ იღებენ საყოველთაოდ მიღებულ პრინციპებს ან ბუღალტრული აღრიცხვის სხვა რეგულატივებს".

2. შესაბამისობის აუდიტი – გულისხმობს შემოწმებას იმისა, რამდენადაა დაცული ის სპეციფიკური პროცედურები და წესები, რომელიც წაეყენება საწარმოს (ორგანიზაციას). ამ სახის აუდიტით მოწმდება კერძო ბიზნესის საბუღალტრო აღრიცხვის პერსონალის მიერ ადმინისტრაციის მხრიდან დადგენილი პროცედურების დაცვა, დგინდება ხელფასის დონის შესაბამისობა იმ მინიმუმთან, რომელიც კანონითაა განსაზღვრული, მოწმდება ბანკებთან და სხვა კრედიტორებთან კონტრაქტების იურიდიული ნორმების დაცვის მდგომარეობა და სხვა.

შესაბამისობის აუდიტი მეტწილად ლოკალურ ხასიათს ატარებს და მისი შედეგები მიეწოდება მხოლოდ იმ სტრუქტურულ ქვედანაყოფს, რომელიც დაექვემდებარა შემოწმებას. რ. მონტგომერის აზრით, „შემოწმებები შესაბამისობაზე მიზნად ისახავს გამოარკვიოს, თუ რამდენად იცავს ფორმა იმ კონკრეტულ წესებს, რეგულატივებს, კანონებს, მოლაპარაკებათა პუნქტებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ოპერაციებისა და ანგარიშების შედეგებზე".

3. ოპერაციული აუდიტი – გულისხმობს კომპანიის (ორგანიზაციის) ფუნქციონირებისა და მართვის პროცედურების შემოწმებას მწარმოებლურობისა და ეფექტიანობის შეფასების მიზნით და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას. რ. მონტგომერის აზრით, ოპერაციული აუდიტი მოიცავს ხარჯთაღრიცხვის შესრულების, ეფექტიანობისა და მიზნობრივი პროგრამების შემოწმებას.

ეკონომიურობისა და ეფექტიანობის შემოწმებას აუდიტში მიეკუთვნება: ფირმის მიერ თავისი რესურსების შეძენა, დაცვა და მოხმარება; მომუშავეთა შტატი და საკუთრება; არანაყოფიერი და არაეკონომიური მუშაობის მიზეზების გამოელენა; ფირმის მიერ კანონებისა და წესების დაცვა.

მიზნობრივი პროგრამების აუდიტი განსაზღვრავს 1) კანონმდებლობით ან შესაბამისი ორგანოების მიერ დაწესებული მოგების ან სასურველი შედეგების მიღწევის ხარისხს, 2) ფუნქციონირებისა და ორგანიზაციის ეფექტურობას და 3) მოცემული პროგრამის მიმართ გამოყენებული კანონებისა და წესების დაცვას ფირმის მიერ.

საბოლოო ჯამში ოპერაციული ეფექტიანობის აუდიტის მიზანია გამოაელინოს რა დანახარჯებით რა საბოლოო შედეგი იქნა მიღებული, რაც საბოლოო ჯამში ნიშნავს ხარისხის დადგენას.

უკანასკნელ წლებში დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში ოპერაციულმა აუდიტმა ფართო გამოყენება ჰპოვა „პერფომანსე აუდიტ"–ის სახელწოდებით, რისი პირდაპირი თარგმანი ქართულ ენაზე ვერ ხერხდება. აღნიშნული სახის აუდიტი რუსულ ენაზე ნათარგმნია როგორც „Аудит эффективности", რაც მის შინაარსთან ძალიან ახლოსაა. ჩვენი აზრით, ამ სახის აუდიტის ქართულენოვან შესატყვის ტერმინად შეიძლება ვიხმაროთ „ეფექტიანობის აუდიტი" ან კიდევ „შედეგიანობის აუდიტი", თუმცა უპირატესობა მაინც პირველს უნდა მიენიჭოს, რადგან ეკონომიკურ პროცესებში „შედეგი" მაინც შეულედური ხასიათისაა და მისი გამოყენება უფრო ცალკეულ ეკონომიკურ ოპერაციათა შეფასებისთვისაა მისაღები, ხოლო რაც შეეხება საბოლოო შედეგს (პროდუქტს), იგი უნდა შეფასდეს ეფექტიანობის კუთხით. „ოპერაციული აუდიტის" ჩანაცვლება „ეფექტიანობის აუდიტით", ჩვენი აზრით, შინაარსობლივად არაფერს არ ცვლის, მაგრამ რამდენადაც უკანასკნელ წლებში დასავლეთის ქვეყნებში და ფინანსური კონტროლის უმაღლეს ორგანოთა საერთაშორისო ინსტიტუტებში ფართოდ დაინერგა ტერმინი „პერფომანს-აუდიტი", ქართულ ენაზე მის შესატყვისად უფრო უპრიანია ტერმინ „ეფექტიანობის აუდიტის" გამოყენება. თუმცა არაა გამორიცხული დროთა ვითარებაში, ამ სახის აუდიტის შინაარსის ცვლილების კვალდაკვალ, უფრო ტევადი და მისაღები ქართულენოვანი ტერმინი შემოვიდეს ბრუნვაში.

ეფექტიანობის აუდიტის მიზნებს წარმოადგენს:

- სახელმწიფო ბიუჯეტისა და სხვა სახელმწიფო რესურსების გამოყენების ეფექტიანობის შეფასება და ანალიზი;
- აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა საქმიანობის ოპტიმიზაციის შესახებ რეკონედაციებისა და წინადადებების შემუშავება;
- სახელმწიფო რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება;

აღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე, ეფექტიანობის აუდიტის ამოცანები შეიძლება შემდეგნაირად წარმოვაჯალიბოთ:

- მხარჯავი დაწესებულებისათვის საბიუჯეტო რესურსების გამოყოფის მიზანშეწონილობის ანალიზი;
- საბიუჯეტო სახსრების გამოყენების თავისდროულობა და სისრულის შეფასება;
- საბიუჯეტო სახსრების და სხვა რესურსების ეკონომიკურად გამოყენების შეფასება და ანალიზი;
- საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი გამოყენების შეფასება და ანალიზი;

საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიანად გამოყენების მიზეზობრივ-შედეგობრივი ანალიზი;

- საბიუჯეტო სახსრების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების რეკომენდაციების დამუშავება;
- აღნიშნული რეკომენდაციებისა და წინადადებების რეალიზაციის შედეგების შეფასება.

ეფექტიანობის აუდიტის სახეები შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ:

- აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა ცალკეული სახელმწიფო ფუნქციების შესრულების ეფექტიანობის აუდიტი.
- სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ეფექტიანობის აუდიტი;
- სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ეფექტიანობის აუდიტი;
- სახელმწიფო საინვესტიციო პროგრამების ეფექტიანობის აუდიტი;
- სახელმწიფო-საბიუჯეტო სახსრების გამოყენების ეფექტიანობის აუდიტი;
- სახელმწიფო საკუთრების გამოყენების ეფექტიანობის აუდიტი.
- სახელმწიფო არასაბიუჯეტო ფონდების სახსრების გამოყენების ეფექტიანობის აუდიტი;
- სამეწარმეო საქმიანობის ეფექტიანობის აუდიტი.

ეფექტიანობის აუდიტის პრინციპებმა უნდა უზრუნველყონ მისი შედეგიანობა, ქმედითობა და ეკონომიურობა. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია ისეთი პრინცე-

პების დაცვა, როგორიცაა სისტემურობა, მეცნიერულობა, ობიექტურობა, დამოუკიდებლობა, საჯაროობა.

ეფექტიანობის აუდიტის **კრიტერიუმები** – ეს არის მაჩვენებელთა ერთობლიობა, რომლებიც ასახავენ აუდიტის ობიექტის საქმიანობის სხვადასხვა მხარეებს.

ეფექტიანობის კრიტერიუმებად მიზანშეწონილია გამოვიყენოთ შემდეგი მაჩვენებლები:

ა) **შედეგიანობა** – კრიტერიუმი, რომელიც საშუალებას იძლევა განისაზღვროს ამა თუ იმ საქმიანობის შედეგი. იგი გამოიყენება მიზნობრივი პროგრამების, ფინანსური და მატერიალური რესურსების გამოყენების, მართვის სისტემის ეფექტიანობის შესაფასებლად.

ბ) **ეკონომიურობა** – კრიტერიუმი, რომელიც განსაზღვრავს დანახარჯებს დასახული მიზნების მისაღწევად. ეს დანახარჯები შეიძლება იყოს ნორმატიული, ზენორმატიული და ეკონომიური.

თავი 7

საგადასახადო საბიუჯეტო სისტემის აუდიტის ასპექტები

სახელმწიფოს კონტროლის სისტემაში ფინანსურ კონტროლის (აუდიტის) განსაკუთრებული ადგილი უკავია. მისი გამოყენება საშუალებას იძლევა უზრუნველეყოფილი იქნეს საფინანსო-სამეურნეო სისტემის ფუნქციონირების სტაბილურობა და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ეკონომიკაში კერძო ინვესტიციებისა და მოქალაქეთა პირადი სახსრების მოზიდვა და ჩართვა.

ქვეყნის საგადასახადო საბიუჯეტო სისტემა წარმოადგენს კანონმდებლობით განსაზღვრული ხერხებისა და საშუალებების ერთობლიობას, რითაც უზრუნველყოფილი უნდა იქნეს საგადასახადო კანონმდებლობის დაცვა და შესრულება, გადასახადების გამოანგარიშების სისწორე და მათი ბიუჯეტსა და სახელმწიფო ფონდებში დროულად გადახდა.

საგადასახადო საბიუჯეტო სისტემის აუდიტორული კონტროლის ამოცანებია:

- საკონტროლო ობიექტების საქმიანობაზე ზედამხედველობა;
- მიღებული ინფორმაციების ანალიზი და პროგნოზირება – დაგეგმვა;
  კანონმდებლობის დარღვევის თავიდან აცილება;
  დარღვევების დარიცხვა და მათი გამომწვევი მიზეზების დადგენა;
  მართლსაწინააღმდეგო საქმიანობის აღკვეთა;
- დამნაშავეთა გამოაშკარავება და მათი პასუხისგებაში მიცემა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს საგადასახადო კონტროლის განხორციელების ფორმებს, სადაც აღნიშნულია, რომ საგადასახადო ორგანოების მიერ საგადასახადო კონტროლი ხორციელდება გადასახადის გადამხდელებისა და გადასახადით დაბეგვრის ობიექტების აღრიცხვის, საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების, საგადასახადო შემოწმების, გადასახადის გადამხდელთა და სხვა პირთა გამოკითხვის, გადასახადით დასაბეგრი და შემოსავლის (მოგების) მისაღებად გამოყენებული ობიექტების დათვალიერება – გამოკვლევითა და საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული სხვა ფორმებით.

საგადასახადო კონტროლს ახორციელებენ სახელმწიფო ორგანოები, სააუდიტორო ფირმები, საწარმოს საბუღალტრო-საფინანსო სამსახურები. პრაქტიკაში განასხვავებენ: ა) წყაროების მიხედვით: დოკუმენტურ და ფაქტიურ კონტროლს: ბ) ვადების მიხედვით – ოპერატიულსა და პერიოდულს; გ) დონის მიხედვით – შიდა სამეურნეო კონტროლს (შიდა აუდიტის და გარე აუდიტს)

განვიხილოთ თითოეული მათგანის არსი:

დოკუმენტური კონტროლი წარიმართება შესამოწმებელი ობიექტის პირველადი და ნაერთი დოკუმენტების მონაცემთა საფუძველზე;

ფაქტიური კონტროლი დროს შესამოწმებელი ობიექტის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მდგომარეობას ადგენენ საკონტროლო მიწოდებისა და შესყიდვის, აწონვის, აზომვის, გადაანგარიშების, დათვალიერება - გამოკვლევისა და სხვა გზებით.

ოპერატიული კონტროლი ხორციელდება გეგმური, ოპერატიულ – ტექნიკური, საბუღალტრო და სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით. იგი უკავშირდება საანგარიშო პერიოდის ფარგლებში შესამოწმებელი ოპერაციების ხარისხობრივ და რაოდენობრივ მახასიათებლებს;

პერიოდული კონტროლის ამოცანაა საგადასახადო კანონმდებლობის დაცვის მდგომარეობის გადასახადების დროული და სრული გადახდის, მასთან დაკავშირებული დარღვევების დადგენა და მათი აღმოფხვრის ღონისძიებების გატარება, რისთვისაც იყენებს განსაზღვრულ საანგარიშო პერიოდში გეგმების, ხარჯთაღრიცხვების, ნორმებისა და ნორმატივების, პირველადი დოკუმენტების, ანგარიშგების, სააღრიცხვო რეგისტრებში ჩანაწერების და სხვა წყაროთა მაჩვენებლებს;

აუდიტორულ კონტროლის, რომელიც მსოფლიო პრაქტიკაში ფართოდაა გავრცელებული, განსაზღვრავს „აუდიტორული საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლი, სადაც განმარტებულია, რომ აუდიტორული შემოწმების ჩატარებას მოითხოვენ:

- ის სამეურნეო სუბიექტები, რომლებიც არიან შეზღუდული ქონებრივი პასუხისმგებლობის მესაკუთრეები;

• ბანკები, სადაზღვეო კომპანიები, არასაბიუჯეტო ფონდები, საფონდო და სასაქონლო ბირჟები;

• ფასიანი ქაღალდების ემიტენტები და საინვესტიციო ინსტიტუტები;

• საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ აუდიტორული შემოწმებისთვის დამტკიცებული სხვა სუბიექტები.

გადასახადების სრულად და თავის დროულად გამოანგარიშებისა და ბიუჯეტში გადახდის მიზნით გადასახადის გადამხდელის პირველადი საბუღალტრო და სხვა დოკუმენტების დათვალიერება და გამოკვლევა წარმოადგენს **საგადასახადო შემოწმებას**, რომელსაც ატარებს საგადასახადო ორგანო, როგორც კამერალური, ასევე გასელითი წესით (საგადასახდო ორგანოები ატარებენ, აგრეთვე გეგმიურ, საკონტროლო და შემხვედრ შემოწმებებს) და რომლის ძირითად მიზანს შეადგენს გადასახადის გადამხდელის შემოწმება, ვისთვისაც ახდენენ საგადასახადო ანგარიშგების მონაცემების შედარებას შემმოწმებლის მიერ აღებულ მონაცემებთან.

გარდა გადასახადის გადამხდელებისა, საგადასახადო ორგანოებს უფლება აქვთ, შეამოწმონ ის პირები, რომელსაც დაკისრებული აქვთ გადასახადების გამოანგარიშება, მათი დაკავება და ბიუჯეტში გადარიცხვის მოვალეობა (ე. ი. აგენტები), აგრეთვე საკრედიტო დაწესებულებები და ბანკები, რომლთაც პასუხისმგებლობა ეკისრებათ ბიუჯეტის საკასო შესრულებისათვის საგადასახადო ორგანოებს უფლება აქვთ ასევე შეამოწმონ ყველა გადასახადის გადამხდელი, მიუხედავად მათი საკუთრებისა, ორგანიზაციულ – სამართლებრივი ფორმისა და დაქვემდებარებისა (მათი შემოწმების არეალში არიან, აგრეთვე, განსაკუთრებული რეჟიმით მომუშავე საწარმოები სამხედრო ნაწილები).

საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, საგადასახადო შემოწმების ობიექტებია: გადასახდების გადამხდელის ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი დოკუმენტები. საბუღალტრო წიგნი, ანგარიში, ხარჯთაღრიცხვა, ფულადი სახსრები, ფასიანი ქაღალდები და სხვა ფასეულობანი, გაანგარიშებები, დეკლარაციები, გადასახადებისა და ბიუჯეტში გადასახადების გაანგარიშებისა თუ გადახდის სხვა დოკუმენტები (იმ დოკუმენტებს, რომლებიც გადასახადის დაბეგვრასთან არ არიან დაკავშირებულნი, საგადასახადო ორგანოები არ ამოწმებენ).

საგადასახადო შემოწმების ძირითადი სახეებია:

ა) **გასვლითი საგადასახადო შემოწმება**. გასელითი საგადასახადო შემოწმება ეხება, პირველ რიგში, გადასახადის გადამხდელის მიერ შედგენილ დოკუმენტებს და ტარდება გადასახადის გადამხდელებთან. გასელითი საგადასახადო შემოწმება არის ორი სახის – გეგმიური და საკონტროლი. გეგმიური გასელითი საგადასახადო შემოწმება ტარდება არაუმეტეს წელიწადში ერთხელ საგადასახადო ორგანოს ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით გადასახადის გადამხდელისთვის წინასწარი წერილობითი შეტყობინების გზით, სადაც მითითებული უნდა იყოს საგანი და საფუძველი, ასევე, შემოწმების ჩატარების საკარაუდო დრო. საკონტროლო გასელითი საგადასახადო შემოწმება, ასევე, ტარდება საგადასახადო ორგანოს ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, წერილობითი შეტყობინების გარეშე იმ შემთხვევაში:

• როცა უკანასკნელმა საგადასახადო შემოწმებამ გამოაყენა საგადასახადო ვალდებულების მნიშვნელოვანი დარღვევის ფაქტები;

• როცა ადგილი აქვს საგადასახადო ვალდებულებათა შეუსრულებლობას;

როცა არსებობენ ისეთი ფაქტები, რომლებიც დანამდვილებით მეტყველებენ საგადასახადო ვალდებულების მნიშვნელოვანი დარღვევის ფაქტებზე;

• როცა არსებობს ინფორმაცია რომელიც ეჭვქვეშ აყენებს გადასახადის გადამხდელის საშუალებების წარმოშობას;

• როცა არსებობს ინფორმაცია ქონების ან გადასახადით დასაბეგრი სხვა ობიექტების დოკუმენტურად დაუდასტურებელი მატების შესახებ;

• როცა არ არის წარდგენილი საგადასახადო დეკლარაცია, ან გადასახადის გამოსაანგარიშებლად ან/და გადასახდელად საჭირო დოკუმენტები;

• როცა საგადასახადო ორგანოებში წარმოდგენილი დეკლარაციებით და სხვა დოკუმენტაციებით არ დასტურდება დაბეგვრის ობიექტებისა და გამოანგარიშებული გადასახადების რეალობა.

გასელითი საგადასახადო შემოწმების შედეგები უნდა გაფორმდეს აქტით, რომელსაც ხელს აწერენ საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი (შემმოწმებელი) და გადასახადის გადამხდელი.

ბ) **კამერალური საგადასახადო შემოწმება**: კამერალური საგადასახადო შემოწმება ტარდება საგადასახადო ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით საგადასახადო დეკლარაციების, გადასახადების გამოანგარიშებასთან და გადახდასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტების, ასევე გადასახადის გადამხდელის შესახებ საგადასახადო ორგანოში არსებული სხვა მონაცემების საფუძველზე, გადასახადის გადამხდელებთან გაუსელელად. კამერალური საგადასახადო შემოწმება ხორციელდება გადამხდელის დეკლარაციებისა და გაანგარიშების საფუძველზე გადასახადის ყოველი კონკრეტული სახის მიხედვით. ამ შემთხვევაში ადვილად მოსალოდნელია მოხდეს უკვე გაანგარიშებული გადასახადების ხელახალი გაანგარიშება. ამ დროს გადასახადის გადამხდელს ეგზავნება შეტყობინება გადაანგარიშებული დარიცხული თანხის შესახებ და ეძლევა მითითება შესაბამისად შეიტანოს შესწორებები აღნიშნულ დოკუმენტებში.

უნდა აღინიშნოს, რომ კამერალური შემოწმება ყოველთვის წინ უნდა უსწრებდეს გასელით საგადასახადო შემოწმებას, რადგან გასელითი საგადასახადო შემოწმებისთვის აუცილებელია წინა შემმოწმებლის არსებული მასალების შესწავლა. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის თაობაზე შემოსული სიგნალებისა და გადამხდელის საქმიანობისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გაანალიზება.

როგორც ცნობილია, „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ" კანონის თანახმად, კონტროლის პალატის საკონტროლი სფეროსა და უფლებამოსილებებში შედის არა მარტო საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების სახსრების ხარჯვის კანონიერების, მიზნობრიობის და ეფექტიანობის, სახელმწიფო ვალების, უცხოური სახელმწიფო კრედიტების და სესხების განაყენების კანონიერების, რაციონალობისა და ეფექტიანობის, სახელმწიფო კრედიტის გაცემის, სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების მოხმარების კანონიერების და საქართველოს ბანკებსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში დროულად გადარიცხვის კონტროლი და საბიუჯეტო პროცესში გამოყენებული დარღვევების და გადახრების ანალიზი, არამედ იგი შეფასებას აძლევს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შემოსავლისა და ხარჯვის საფუძვლიანობას, საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით ატარებს ექსპერტიზას და იძლევა დასკვნების იმ საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების პროექტებზე აგრეთვე იმ პროგრამებზე, რომელთა დასაფინანსებლად განსაზღვრულია სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების გამოყენება, ან რომლებიც გავლენას ახდენს ამ სახსრების ფორმირებაზე.

მომავალში საბიუჯეტო სფეროსა და საბიუჯეტო პროცესების რეფორმების კვალობაზე, აუცილებლად უნდა გაფართოვდეს წინასწარი კონტროლი, რომელიც არის რა ადმინისტრაციულ-მმართველობისა და ფინანსური საქმიანობის პრევენციული შემოწმება. აუცილებელი წინა პირობაა სახელმწიფოსადმი მინდობილი საჯარო სახსრების ეფექტიანი მართვისათვის და მოსალოდნელი ზიანის თავიდან აცილებისათვის.

წინასწარი კონტროლი წინ უძღვის შესამოწმებელი ოპერაციების განხორციელებას. ჩვეულებრივ, წინასწარი კონტროლი ხორციელდება ბიუჯეტების პროექტების, სამეურნეო სუბიექტების საფინანსო გეგმების, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა შემოსავლებისა და გასავლების ხარჯთანუსხვების, საკანონმდებლო აქტების პროექტების, ხელშეკრულებების, დოკუმენტების შედგენის, განხილვისა და მოწყობს დამტკიცების სტადიაზე.

წინასწარი კონტროლი, უსწრება რა წინ სამეურნეო და საფინანსო ოპერაციათა განხორციელებას, საშუალებას იძლევა ჯერ კიდე პროგნოზებისა და გეგმების შედგენის ეტაპზე გამოვლინდნენ მოქმედი საფინანსო კანონმდებლობის დარღვევების ფაქტები, განხორციელდეს ფულად მატერიალური სახსრების არამიზნობრივი და არარაციონალური გამოყენების პრევენციული ღონისძიებები, გამოვლინდეს ფინანსური რესურსების დამატებითი წყაროები და რეზერვები.

წინასწარი კონტროლის მეშვეობით მოწმდება განსახორციელებელი ოპერაციების მიზანშეწონილება და კანონიერება. ორგანიზაციის საგეგმო განყოფილება წინასწარ

კონტროლის მსვლელობისას ამოწმებს მომავალ საანგარიშო პერიოდში გასაწევი ხარჯების ეკონომიკურ მიზანშეწონილობას.

წინასწარი კონტროლი ატარებს გამაფრთხილებელ ხასიათს. იგი ხელს უწყობს ფინანსური რესურსების არაეფექტური და არამიზნობრივი გამოყენების აღკვეთას, ავლენს შემოსავლების ზრდის რეზერვებს.

კონტროლის ეს სახე საბიუჯეტო ასიგნებების დაგეგმვისას ყველაზე ეფექტური მიღების საშუალებას იძლევა, რათა მიღწეულ იქნეს საერთო ეკონომიკური სტაბილიზაცია.

როგორც უკვე აღინიშნა, დასავლეთის განვითარებული ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარეობს, რომ საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის ყველაზე უფრო ეფექტიან ფორმას წარმოადგენს ზოგადად აუდიტი და მისი (კალკულაციური სახეობები, თუმცა დროის ცალკეულ ეტაპებზე და ცალკეულ ქვეყნებში კონტროლის სხვა ტრადიციული ფორმებიც არ კარგავენ თავიანთ მნიშვნელობას.

ეფექტიანობის აუდიტი წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ სახელმწიფო სახსრების მიმღების შემოწმებას, მათ მიერ სახელმწიფო სახსრების ეფექტურად გამოყენების განსაზღვრის მიზნით, რომელიც მიღებული იყო მათზე დაკისრებული ფუნქციებისა და დავალებების შესასრულებლად.

ეფექტიანობის აუდიტის კომპლექსური შეფასება მოიცავს სამ კომპონენტს. კერძოდ:

ა) შესამოწმებელი ორგანიზაციის მიერ სახელმწიფო საშუალებების გამოყენების ეკონომიურობის შემოწმება, მოიცავს სახსრების რაციონალურად შემოწმებას, ორგანიზაციის საქმიანობის კონკრეტული შედეგების მისაღწევად;

ბ) შესამოწმებელი ორგანიზაციის ეფექტიანობის შეფასება სამეურნეო, ფინანსური და სხვა რესურსების გამოყენების შემოწმებაა წარმოებით და სხვა საქმიანობით პროცესში, ასევე საინფორმაციო სისტემებისა და ტექნოლოგიების დამკვიდრების ნაწილში;

გ) შესამოწმებელი ორგანიზაციის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულების შედეგიანობის შემოწმება, გეგმიურ მაჩვენებლებთან მიმართებაში ფაქტიური შედეგების შედარებას გულისხმობს, რესურსების მიზნობრივი გამოყენებისა და საქმიანობის შედეგების ეფექტურობის გამოსაველენად.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები (ასს) განსაზღვრავენ აუდიტის ჩატარების ანგარიშების სახეობებს, მეთოდოლოგიას და აგრეთვე ძირითად პრინციპებს, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ ამ შემოწმების ყველა წარმომადგენელმა. ასს მოცემული სტანდარტები და დებულებები, მათი შინაარსი და პროცედურები, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში დამოკიდებულნი არიან ამა თუ იმ სტანდარტში გათვალისწინებული პრინციპების მოთხოვნაზე, რის გამოც იგი აღიქმება მთლიან ნორმატიულ დოკუმენტად. ასს აუდიტორული მომსახურების ბაზარზე აუდიტორის ეთიკის კოდექსთან ერთად აუდიტორული საქმიანობის უმაღლეს მარეგულირებელ ნორმატიულ აქტად ითვლება.

აუდიტორული საქმიანობა უნდა განხორციელდეს შემდეგი თანმიმდევრობით: საწარმოს ტიპის, სტრუქტურისა და მართვის თავისებურებების განსაზღვრა; სააღრიცხვო სისტემის განსაზღვრა და მათი შეფასება; შიდა კონტროლის სტრუქტურების განსაზღვრა, შეფასება და შემოწმება. სააღრიცხვო ჩანაწერების შემოწმება, ბალანსის ფულადი თანხების არსებობის და სიდიდის შემოწმება, ფინანსური ანგარიშგების შედარება სააღრიცხვო ჩანაწერებთან და მისი შესაბამისობის შემოწმება საკანონმდებლო მოთხოვნებთან და სააღრიცხვო პოლიტიკის ნორმებთან.

ამრიგად, აუდიტორული ფირმების (დამოუკიდებელი აუდიტის) საქმიანობის სრულყოფის მიზანია, უზრუნველყონ საწარმოები და მათი პრიორიტეტები ობიექტური ინფორმაციით, მომსახურე საწარმოების ფინანსური მდგომარეობისა და მათი ანგარიშგების უტყუარობის შესახებ. აგრეთვე, წერილობით, ოფიციალური ფორმით ჩამოაყალიბონ მეცნიერულად დასაბუთებული, დამოუკიდებელი მოსაზრება სამეურნეო სუბიექტების საქმიანობის საბოლოო შედეგების შესახებ, დროის გარკვეული მონაკვეთისათვის.

აუდიტის და ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტებში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინება. (შესავალი აუდიტში)

აუდიტისა და ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტების სახელმძღვანელო შეიცავს მინიშნებებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე (ბასს) და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე (ფასს). თუ სხვა რამ არ არის მითითებული, ბასს-ებსა და ფასს-ებზე მინიშნებებში იგულისხმება ის ბასს-ები და ფასს-ები,რომლებიც მოქმედებდა მოცემული ოფიციალური დოკუმენტის მომზადების დროს. შესაბამისად, მკითხველებს რეკომედაცია ეძლევათ, თუ ამის შემდეგ გამოსულია გადასინჯული ბასს-ი ან ფასს-ი, უნდა მიმართონ ბასს-ისა ან ფასს-ის ბოლო ვერსიას.

აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული ოფიციალური დოკუმენტები

ზემოთ აღნიშნულ ცნობარში შესულია აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ აუდიტთან და ხარისხის კონტროლთან დაკავშირებით გამოცემული საერთაშორისო სტანდარტი (ასს-ები) რომლებიც ახალი სტილით არის ფორმულირებული მათი გამჭვირვალეობის გასაუმჯობესებლად, ასევე ახალი სტილით ფორმულირებული ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტი, ცნებების გლოსარი და წინასიტყვაობა, რომლებიც ამოქმედდება 2009 წლის 15 დეკემბრიდან.

მიმოხილვის გარიგებების საერთაშორისო სტანდარტების 2410-ის „დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ ჩატარებული შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვა" მე-15 და მე-18 პუნქტები შეიცვალა 2008 წლის ოქტომბერში ასს 200-ში – „დამოუკიდებელი აუდიტორიის საერთო ამოცანები და აუდიტის ჩატარება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად" ცვლილებების შეტანის შედეგად. ზემოაღნიშნული ცვლილებები ძალაში შევიდა 2009 წლის 15 დეკემბრიდან.

მოსაზრებები მცირე საწარმოთა აუდიტზე. 2003 წლის მარტის შემდეგ ასს-ებში, აუცილებლობის შემთხვევაში, თვითონ სტანდარტების ტექსტში არის ჩართული მოსაზრებები მცირე საწარმოთა აუდიტის შესახებ. სახელმძღვანელო მითითებები, რომლებიც მოცემული იყო ასპდ 1005-ში „მოსაზრებები მცირე საწარმოთა აუდიტზე"- გაუქმდება, როდესაც ძალაში შევა მასთან დაკავშირებული გადასინჯული ასს-ები. შესაბამისად, მკითხველებს რეკომენდაცია ეძლევათ, ასპდ 1005-ში მოცემულ სახელმძღვანელო მითითებებთან ერთად გაითვალისწინონ მცირე საწარმოთა აუდიტთან დაკავშირებული სხვამითითებებიც, რომლებიც მოცემულია შემდგომში 2003 წლის მარტამდე გამოცემულ ასს-ებში.

გამჭვირვალობის პროექტი. 2009 წლის მარტში, აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაცხადა 18-თვიანი გრძელვადიანი პროგრამის დამთავრება, რომელიც ითვალისწინებდა ყველა ასს-ისა და ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტის ყოვლისმომცველ გადასინჯვას, მათი გამჭვირვალობის გაუმჯობესების მიზნით (გამჭვირვალობის პროექტი). აღნიშნული ძირეული ცვლილებების შედეგად, აუდიტორებს მსოფლიოს მასშტაბით ექნებათ 36 ხელახლა განახლებული გამჭვირვალე ასს-ი და ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტი. ზემოაღნიშნული სტანდარტები იმისთვისაა განკუთვნილი, რომ გაუმჯობესდეს და გაადვილდეს მათი გაგება და დანერგვა, ასევე თარგმნა. ყველა გამჭვირვალე სტანდარტი შეტანილია ზემოთ დასახელებულ ცნობარში და ისინი ძალაში შედის იმ პერიოდების ფინანსური ანგარიშგების აუდიტისათვის, რომელიც იწყება 2009 წლის 15 დეკემბრის ან მის შემდეგ[1].

2009 წლის 30 აპრილს შემდეგ გამოცემული საბოლოო ოფიციალური დოკუმენტები და სტანდარტების განსახილველი პროექტები

ასს 200-ის „ დამოუკიდებელი აუდიტორის საერთო ამოცანები და აუდიტის ჩატარება აუდიტის სტანდაარტების შესაბამისად" – გათვალისწინებით შესული ცვლილებები მისს 2410-ში „სამეურნეო სუბიექტის დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ ჩატარებული შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვა"

აუდიტორის მიერ ჩატარებული პროცედურები, რომელთა მიზანია ცოდნის განახლება სამეურნეო სუბიექტისა და მისი გარემოს, მათ შორის შიდა კონტროლის შესახებ, ჩვეულებრივ მოიცავს: ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების მნიშვნელოვანი საკითხების განხილვას, რომლებიც შეიძლება ახლაც მნიშვნელოვანი იყოს, მაგალითად, შიდა კონტროლის მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები

შესაბამისად ამის ცოდნა აუდიტორს საშუალებას აძლევს, აქცენტი გადაიტანოს გამოკითხვებზე, ანალიზურ და მიმოხილვის სხვა პროცედურებზე, რომლებიც გამოიყენება შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვის ჩასატარებლად წინამდებარე მისს-ის შესაბამისად. სამეურნეო სუბიექტისა და მისი გარემოს შესწავლის პროცესში აუდიტორი, ჩვეულებრივ, ატარებს წინამორბედი აუდიტორის გამოკითხვას და, თუ შესაძლებელია მიმოიხილავს წინამორბედი აუდიტორის დოკუმენტაციას წინა წლიური აუდიტის შესახებ და მიმდინარე წლის ნებისმიერი წინა შუალედური პეროდების შესახებ, რომლებიც მიმოიხილა წინამორბედმა აუდიტორმა. გარდა ამისა აუდიტორი ითვალისწინებს წინამორბედი აუდიტორის მიერ აგრეგირებული ნებისმიერი შესწორებული და შეუსწორებელი უზუსტობის უზუსტობის ხასიათს, მნიშვნელოვან რისკებს,მათ შორის, იმის რისკს, რომ ხელმძღვანელობა გეერდს აუვლის კონტროლის პროცედურებს, ასევე ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც შეიძლება ახლაც მნიშვნელოვანი იყოს, მაგალითად შიდა კონტროლის მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები.

შენიშვნა 1) ამ საკითხებზე დაწერილებით ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს გამჭვირვალეობის ცენტრის ვებგვერდს - http//www.ifak.org/carity-center/index

შენიშვნა 2) 2009 წლის 30 აპრილის შემდეგ გამოცემული საბოლოო ოფიციალური დოკუმენტებისა და განხილვის სტადიაზე მყოფი სტანდარტების პროექტების შესახებ დაწერილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების ვებგვერდს - http//www.ifrk.org

ინფორმაცია ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის შესახებ

ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია (ბსფ) წარმოადგენს ბუღალტერთა მსოფლიო მნიშვნელობის პროფესიულ ორგანიზაციას. რომელიც დაფუძნდა 1977 წელს, რათა „ემსახუროს საზოგადოების ინტერესებს". ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია განუხრელად იმუშავებს იმაზე, რომ გააძლიეროს ბუღალტრის გლობალური პროფესია და თაეისი წვლილი შეიტანოს საერთაშოროსო ეკონომიკის განვითარების საქმეში, უმაღლესი განვითარების საქმეში, უმაღლესი ხარისხის პროფესიული სტანდარტების დამკვიდრებითა და შემდგომი სრულყოფით. ამ სტანდარტების კონვერგენციის პროცესის ხელშეწყობით საერთაშორისო მასშტაბით და გამოეხმაურება საზოგადოებისათვის საინტერესო პრობლემებს, როდესაც ყველაზე მეტად საჭირო იქნება ბუღალტრის პროფესიის კომპეტენცია"

ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის მმართველი ორგანოები, შტატიანი და საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე პერსონალი, თავის თავზე იღებენ პატიოსნების, გამჭვირვალეობისა და კომპეტენტურობის ვალდებულებებს. ბსფასევე ესწრაფვის, მიაღწიოს ამ ფასეულობების მკაცრ დაცვას პროფესიონალი ბუღალტრების მხრიდანაც, რაც ასახულია ბსფ –ის პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსში.

პირითადი საქმიანობა

ა) საზოგადოებრივი ინტერესების სასარგებლოდ სამსახური

ბსფ მსოფლიოს მასშტაბით ხელმძღვანელობს საზოგადოებრივი ინტერესების სასარგებლოდ ბუღალტრის პროფესიის სამასხურს:

- მუდმივად მაღალი ხარისხის გლობალური პროფესიული სტანდარტებისა და პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შექმნით, მათი სრულყოფის ხელშეწყობითა და პრაქტიკაში დანერგვით;
- პროფესიული სტანდარტების, კერძოდ აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების, ეთიკის, განათლების, ასევე სახელმწიფო და კერძო სექტორების ფინან-

სური ანგარიშგების სტანდარტების კონვერგენციის პროცესის აქტიური ხელშეწყობითა და სტიმულირებით;

• აუდიტისა და ფინანსური მენეჯმენტის ხარისხის ამაღლებისაკენ განუხრელი სწრაფვით;

• ბუღალტრის პროფესიის ფასეულობების დამკვიდრების ხელშეწყობით, რათა პროფესია განუხრელად იზიდავდეს კვალიფიციურ წევრებს;

• წევრობის ეალდებულებების დაცვის ხელშეწყობით; და

• ბუღალტრული აღრიცხვის რეგიონულ და სახეა ორგნოებთან თანამშრომლობის გზით განვითარებადი ქვეყნებისთვის დახმარების გაწევით, კვალიფიციური პროფესიული კადრების ფორმირებასა და შენარჩუნებაში, რომლებიც იმსახურებენ საზოგადოების ინტერესების სასარგებლოდ.

ბ) წვლილის შეტანა გლობალური ეკონომიკის ეფექტიანობაში

ბსფ-ს საერთაშორისო ეკონომიკის ფუნქციონირებაში წვლილი შეაქვს:

• ფინანსური ანგარიშგების ხარისხისა და საიმედოობის მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლებით;

• ორგანიზაციების საქმიანობის შედეგების ამსახველი ინფორმაციის (საფინანსო და არასაფინანსო) მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის ხელშეწყობით; და

• მსოფლიო მასშტაბის ბუღალტრის პროფესიის ყველა წარმომადგენლის მიერ მაღალი ხარისხის მომსახურების უზრუნველყოფის ხელშეწყობით; და

• ბუღალტრის პროფესიის ყველა წარმომადგენლის მიერ, მათ შორის რომლებიც მოღვაწეობენ მრეწველობის, ვაჭრობის, სახელმწიფო სექტორისა და არაკომერციულ სფეროში და დაკავებული არიან საზოგადოებრივი პრაქტიკით, პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის მოთხოვნების ხელშეწყობით.

ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა

ბსფ არის საერთაშორისო ბუღალტრის პროფესიის ძირითადი წარმომადგენელი და ეხმაურება ფართო სპექტრის საზოგადოებრივ პრობლემებს, განსაკუთრებით ისეთს, სადაც ყველაზე მეტად არის საჭირო ბუღალტრის პროფესიის კომპეტენცია, ცოდნა და გამოცდილება, ასევე აუდიტისა და ფინანსური ანგარიშგების რეგულირების სფეროში წამოჭრილ პრობლემებს. ეს ნაწილობრივ მიიღწევა იმ ორგანიზაციების დახმარებით, რომლებიც დაინტერესებული არიან ან ეყრდნობიან ბუღალტრის პროფესიის საერთაშორისო საქმიანობას, ასევე საზოგადოებისთვის საინტერესო პრობლემებზე რეაგირებით.

წევრობა. ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციაში გაერთიანებულია 158 წევრი და ასოცირებული წევრი 123 ქვეყნიდან. ამ ორგანიზაციებში წარმოდგენილია დაახლოებით 2,5 მლნ წევრი ბუღალტერი,რომლებიც დაკავებული არიან საზოგადოებრივი პრაქტიკით, მოღვაწეობენ მრეწველობისა და ვაჭრობის, სახელმწიფო სექტორისა და განათლების სფეროში. არ არსებობსმსოფლიო მსაშტაბის სხვა ბუღალტერთა ორგანო და სხვა პროფესიული ორგანიზაციები, რომლებსაც ისეთი ფართო საერთაშორისო მხარდაჭერა აქვთ, როგორც ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციას.

ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის სიძლიერეს მარტო მისი საერთაშორისო წარმომადგენლობა არ განაპირობებს, არამედ მისი ცალკეული წევრი ორგანიზაციის მხარდაჭერა და მონაწილეობა, რომლებიც თავად ემსახურებიან ხარისხს, კომპეტენციისა და პატიოსნების საქმეს ბუღალტრის პროფესიაში.

სტანდარტების შემუშავების ინიციატივა. ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია კარგა ხანია აღიარებს **მსოფლიო მასშტაბით შეთანხმებულ** ჩარჩოების აუცილებლობას ბუღალტრული აღრიცხვის სფეროში, კერძო ბიზნესის, სახელმწიფო სექტორისა თუ განათლების სფეროების მხრიდან ბუღალტრის პროფესიის წინაშე წაყენებული მუდმივად მზარდი საერთაშორისო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ზემოაღნიშნული ჩარჩოების უმთავრესი ელემენტებია ბსფ-ის პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსი, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები (ასს), განათლების საერთაშორისო სტანდარტები და სახელმწიფო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები.

ბსფ-ს სტანდარტების შემმუშავებელი ორგანოები მუშაობენ დადგენილი პროცედურული პროცესის შესაბამისად, რომელიც ხელს უწყობს მაღალი ხარისხის სტანდარტების შემუშავებას საზოგადოების ინტერესების სასარგებლოდ, გამჭვირვალე და ეფექტური საშუალებებით. სტანდარტების შემმუშავებელ ყველა ორგანოს ჰყავს საზოგადოების წევრებით დაკომპლექტებული კონსულტანტ-მრჩეველთა ჯგუფები, რომლებიც გამოხატავენ საზოგადოების ინტერესებს.

ბსფ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის ქველა კომიტეტს აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტერთა განათლების სტანდარტების საერთაშორისო კომიტეტი, ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტი და შესაბამისობის საკონსულტაციო ჯგუფი-ზსდამხედველობას უწევს საზოგადოებრივი ინტერესების საზედამხედველო კომიტეტი (PIOB)

ბსფ აქტიურად უწყობს ხელს ბსფ-ს სტანდარტების შემმუშავებელი დამოუკიდებელი ორგანოების მიერშექმნილი ასს-ებისა და სხვა სტანდარტების და ბუღალტრული აღრიცხვის საერთა'მორისო სტსნდარტების კონვერგენციის პროცესს.

აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება. აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭო (IAASB) შეიმუშავებს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებისა და მიმოხილვის საერთაშორისო სტანდარტებს, რომლებიც ეხება გასული პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტსა და მიმოხილვას, ასევე მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტებს, რომლებიც ეხება სახის მარწუნებელ მომსახურებას, გარდა გასული პეროდის ფინანსური ინფორმაციის აუდიტისა მიმოხილვისა. აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭო ასევე შეიმუშავებს შესაბამის პრაქტიკის დებულებებს. ეს სტანდარტები და დებულებები ადგენს აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების უმაღლესი ხარისხის სტანდარტებისა და დებულებების ამოსავალ ბაზას მსოფლიო მასშტაბით. ისინი განსაზღვრავენ ძირითად პრინციპებსა და არსებით პროცედურებს აუდიტორებისა დასხვაპროფესიონალი ბუღალტრებისათვის, აიარაღებენ მათ სათანადო ინსტრუმენტებით, რათა დააკმაყოფილონ გაზრდილი და ცვალებადი მოთხოვნები საფი-

ბსფ-ს სტანდარტების შემმუშავებელი კომიტეტების კომპეტენციის, პროცედურული პროცესისა და სამუშაო პროცედურების გასაცნობად შეგიძლიათ მიმართოთ ბსფ-ს ვებგვერდს-Hhttp//www.ifac.org

ნანსო ინფორმაციის შესახებ დასკვნებზე და სახელმძღვანელო მითითებებს აწვდიან მათ სპეციალიზებულ სფეროებზე. გარდა ამისა საბჭო ასევე შეიმუშავებს ხარისხის კონტროლის სტანდარტებს იმ ფირმებისა დაგარიგების შემსრულებელი ჯგუფებისთვის, რომლებიც ასრულებენ აუდიტორულ, მარწმუნებელ და დაკავშირებულ მომსახურებას.

ეთიკა. ბსფ-ის პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსი, რომელიც შეიმუშავა ბსფ-ის ეთიკის კომიტეტმა, ადგენს ეთიკის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს კონცეპტუალურ საფუძვლებს ყველა პროფესიონალი ბუღალტრისათვის, რათა უზრუნველყოს პროფესიული ეთიკის ხუთიო ძირითადი პრინციპის დაცვა: პატიოსნება, ობიექტურობა, პროფესიული კომპეტენცია და სათანადო გულისხმიერება, კონფედენციალობა და პროფესიული ქცევა. კონცეპტუალური საფუძვლების თანახმად, ყველა პროფესიონალ ბუღალტერს მოეთხოვება ზემოაღნიშნული ხუთი ძირითადი პრინციპის მიმართ წარმოქმნილი საფრთხეების დადგენა და თუ საფრთხეები არსებობს, დამცავი ზომების გატარება, რათა უზრუნველყოს იმის გარანტია, რომ ეთიკის პრინციპები არ შეილახება. ბსფ-ის წევრ ორგანიზაციას ან ფირმას, რომელიც აუდიტს ასს-ის შესაბამისად ატარებს, იმაზე ნაკლები ნაკლები სიმკაცრის სტანდარტების გამოყენების უფლება არ აქვს, ვიდრე ბსფ-ის ეთიკის კოდექსითაა განსაზღვრული.

სახელმწიფო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვა

ბსფ-ის სახელმწიფო სექტორის კომიტეტის საქმიანობა ორიენტირებულია ფინანსური ანგარიშგების უმაღლესი ხარისხის სტანდარტების შემუშავებაზე, რომელსაც გამოიყენებენ სახელმწიფო სექტორის სამეურნეო სუბიექტები მსოფლიოს მასშტაბით. კომიტეტმა შეიმუშავა სახელმწიფო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს) ყოველისმომცველი კომპლექტი, რომელიც

მოთხოვნებს ადგენს სახელისუფლო ორგანოებისა და სახელმწიფო სექტორის სახვა ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგებისათვის. **სახელმწიფო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები წარმოადგენს** სახელმწიფო სექტორის სამეურნეო სუბიექტების ფინანსური ანგარიშგების საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას. მრავალ ქვეყანაში, სახელმწიფო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნა გამოყენება გააძლიერებს სახელისუფლო ორგანოებისა და უწყებების მიერ მომზადებული ფინანსური ანგარიშგების ანგარიშვალდებულებასა და გამჭვირვალობას სახელმწიფო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები შესულია ბსფ-ის სახელმწიფო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის ოფიციალური დოკუმენტის ცნობარში, 2008 წლის გამოცემაში. (მათი მიღება შესაძლებელია ბსფ-ის ვებგვერდიდანაც http://ifac.org.)

განათლება. მუშაობს რა ბუღალტრული აღრიცხვის სპეციალოსტების თანამედროვე, მოწინავე განათლების პროგრამებზე მსოფლიო მასშტაბით, ბსფ-ის განათლების კომიტეტი შეიმუშავებს განათლების საერთაშორისო სტანდარტებს (IESs), ადგენს ამოსავალ პრინციპებს ბუღალტრის პროფესიის წარმომადგენელთა განათლებისათვის. ბსფ-ის ყველა წევრ ორგანიზაციას მოეთხოვება აღნიშნული სტანდარტების დაცვა, რომლებიც ეხება განათლების პროცესს და უზრუნველყოფს არა მარტო პროფესიონალი ბუღალტრის კვალიფიკაციას, არამედ პროფესიონალი ბუღალტრები უწყვეტ პროფესიულ წინსვლას და განვითარებას, ასევე ადგენს კომპეტენციის მოთხოვნებს პროფესიონალი აუდიტორიისათვის. კომიტეტი ასევე შეიმუშავებს პროფესიონალი ბუღალტრების განათლების საერთაშორისო პრაქტიკის დებულებებს და სხვა სახელმძღვანელო მითითებებს წევრი ორგანიზაციებისა და ბუღალტრული აღრიცხვის სპეციალობის პედაგოგებისათვის, რათა მათ საუკეთესო საგანმანათლებლო პრაქტიკა დანერგონ ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიაში.

ბიზნესში დასაქმებული პროფესიონალი ბუღალტრების დახმარება

განუხრელად იზრდება ბიზნესის სხვადასხვა სფეროში, სახელმწიფო სექტორში, განათლებისა და არაკომერციულ სექტორებში დასაქმებული პროფესიონალი ბუღალტრების რიცხვი, რის გამოც ბსფ, ასევე მისი წევრი ორგანიზაციები აწყდებიან პრობლემებს ამ სფეროში დასაქმებული პროფესიონალი ბუღალტრების მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საკითხში. ამჟამად ბიზნესის სფეროში დასაქმებულ ბუღალტერთა რიცხვი ბსფ-ის წევრი ორგანიზაციების წევრების 50 პროცენტს აღემატება. ბსფ-ის ბიზნესში დასაქმებულ პროფესიონალ ბუღალტერთა კომიტეტი შეიმუშავებს საუკეთესო პრაქტიკულ სახელმძღვანელო მითითებებს, რომლის მიზანია წევრების დახმარება მრავალრიცხოვანი პროფესიული პრობლემების გადაჭრაში, ბიზნესში დასაქმებული პროფესიონალ ბუღალტრების ხელშეწყობა მაღალი ხარისხის შედეგების მიღწევაში და საზოგადოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბება იმის შესახებ, რა როლს თამაშობენ ეს პიროვნებები იმ ორგანიზაციებში, სადაც ისინი მუშაობენ. კომიტეტის საქმიანობის საქმიანობის შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შემდეგი ეებგვერდიდან: http://www.ifac.org/paib

მცირე და საშუალო ზომის ფირმები

ბსფ-ის სამუშაოს აქცენტი ასევე კონცენტრირებულია წევრების სხვა მნიშვნელოვანი ჯგუფის დახმარებაზე, როგორიცაა, მცირე და საშუალო ზომის ფირმები და სხვა ბუღალტრები, რომლებიც ემსახურებიან მცირე და საშუალო ზომის სამეურნეო სუბიექტებს. ბსფ-ის დაარსებული აქვს მცირე და საშუალო ზომის ფირმების კომიტეტი, რომელიც მცირე და საშუალო ზომის ფირმების - მცირე და საშუალო ზომის ბიზნესის ინტერესების გასათვალისწინებლად ჩართულია საერთაშორისო სტანდარტების შემუშავების პროცესში, რათა მცირე და საშუალო ზომის აუდიტური ფირმები და საწარმოები უზრუნველყოს სათანადო სტანდარტებით. კომიტეტი ასევე პრაქტიკულ დახმარებას უწევს მათ სახელმძღვანელო მითითებების გამოცემითა და ეებგვერდის რესურსებით, რათა მცირე და საშუალო ზომის აუდიტურმა ფირმებმა შეძლონ საერთაშორისო სტანდარტების ეფექტიანად დანერგვა, თავიანთი ფირმების პროფესიულ დონეზე მართვა და დამკვეთების სათანადო დონეზე მომსახურება. გარდა ამისა, დაკავებულია უფრო ფართო საქმიანობით, კერძოდ მართავს ყოველწლიურად მცირე და საშუალო ზომის ფირმების ფორუმს, რათა მუდმივად

საქმის კურსში იყოს ახლად აღმოცენებული პრობლემების გასაცნობიერებლად და შეძლოს დროულად რეაგირება: დააკმყოფილოს თავისი წევრების მოთხოვნილებები. კომიტეტის საქმიანობის შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შემდეგი ვებგვერდიდან: http://www.ifac.org/smp

განვითარებადი ქვეყნები

ბსფ-ის განვითარებადი ქვეყნების კომიტეტი ხელს უწყობს ბუღალტრის პროფესიის განვითარებას მსოფლიოს ყველა რეგიონში, განვითარებადი ქვეყნების ინტერესების გათვალისწინებითა და მათთვის სახელმძღვანელო მითითებების მიწოდებით, რათა მსოფლიოს მასშტაბით გაძლიერდეს ბუღალტრის პროფესია. კომიტეტი ასევე მოიძიებს რესურსებსა და დახმარებას დონორი ორგანიზაციებიდან ბსფ-ის წევრებიდან. გარდა ამისა, კომიტეტი ატარებს ყოველწლიურ ფორუმებს განვითარებადი ქვეყნების მოთხოვნილებების განსახილველად და დახმარების აღმოსაჩენად. კომიტეტის საქმიანობის შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შემდეგი ვებგვერდიდან: htt://www.ifac.org/developingnations.

ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის წევრი ორგანიზაციების შესაბამისობის პროგრამა

წევრების შესაბამისობის პროგრამის განხორციელების მიზნით, ბსფ-ის წევრებსა და ასოცირებულ წევრებს მოეთხოვებათ ბსფ-ის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა, ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვის პარალელურად. თუ ბსფ-ის წევრები და ასოცირებული წევრები ეროვნული სტანდარტების დამდგენი ორგანოები არიან, მათ მოეთხოვებათ საერთაშორისო სტანდარტების ინტეგრირება ეროვნულ სტანდარტებში. პროგრამა, რომელსაც ხელმძღვანელობს შესაბამისობის საკონსულტაციო ჯგუფი, ცდილობს დაადგინოს, რამდენი წევრი და ასოცირებული წევრი ასრულებს თავიანთი წევრების ხარისხის უზრუნველყოფის, მოლელეების და დისციპლინარულ პროგრამებთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, რაც განსაზღვრულია ბსფ-ის წევრობის ვალდებულებების დადგენილებებში (SMos). წევრობის ვალდებულებები წარმოადგენს შესაბამისობის პროგრამის დასაყრდენ ბაზას და უზრუნველყოფს კრიტერიუმებს ამჟამინდელი და პოტენციური წევრი ორგანიზაციებისთვის, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია მათთვის დახმარების გაწევა, რათა წევრი პროფესიონალი ბუღალტრების მიერ შესრულებული სამუშაო მაღალი ხარისხის სტანდარტების შესაბამისი იყოს.

წინამდებარე ცნობარი არ შეიცავს წევრობის ვალდებულებების დადგენილებებს. მათი გაცნობა შესაძლებელია http//www.ifac.org შესაბამისობის პროგრამის საკონსულტაციო ჯგუფის საქმიანობის შესახებ. უფრო დეტალური ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შემდეგი ვებ-გვერდიდან: http//www.ifac.org/complianceprogram მარეგულირებელი ჩარჩოები.

2003 წლის ნოემბერში ბსფ-მ საერთაშორისო მარეგულირებელი ორგანოების მხარდაჭერით, დაამტკიცა მთელი რიგი რეფორმები, რომლის მიზანია ბსფ-სადმი ნდობის ამაღლება, იმ თვალსაზრისით, რომ ბსფ სათანადოდ რეაგირებს საზოგადოების ინტერესებზე და დაამკვიდრებს უმაღლესი ხარისხის სტანდარტებსა და პრაქტიკას აუდიტსა და მარწმუნებელ მომსახურებაში.

თავი 9

ბიზნესის რისკის მიდგომა აუდიტში

როგორც აუდიტის საერთაშორისო პრაქტიკა მოწმობს, მსხვილი აუდიტური ფირმების აუდიტის მეთოდოლოგიაში ფართოდ გამოიყენება ბიზნესის რისკის მიდგომა. ცნობილია, რომ აუდიტმა ძირეული ცვლილებები განიცადა – ოპერაციების დეტალური ტესტირებიდან სისტემების შემოწმებაზე დაფუძნებულ აუდიტამდე. ამ სფეროში შემდეგი სიახლე იყო აუდიტორული რისკის მოდელის გამოყენება. აუდიტორული რისკის მოდელის გამოყენებისას აუდიტისა და აუდიტორული პროცედურები კონცენტრირდება აუდიტის ისეთ სფეროებზე, სადაც აუდიტორი ყველაზე მეტად ექვემდებარება იმის რისკს, რომ დასკვნაში გამოთქვამს არაადეკვატურ მოსაზრებას.

ქვემოთ განვიხილავთ რისკის შედარებით ფართო კონცეფციას, მთლიანად ბიზნესის პოზიციიდან.

1. ბიზნესის რისკის მიდგომა აუდიტში.

უკანასკნელ პერიოდში, შედარებით მსხვილმა აუდიტურმა ფირმებმა დაამუშავეს ბიზნესის რისკის ფართო კონცეფცია. კონცეფცია ჯერჯერობით სრულყოფილად არ არის დამუშავებული, მაგრამ მისი მთავარი პრინციპები დღეისათვის უკვე კარგად არის განსაზღვრული.

2. ბიზნესის რისკი იმის საშიშროებაა, რომ ესა თუ ის მოვლენა ან ქმედება უარყოფითად იმოქმედებს საწარმოს შესაძლებლობაზე, მიაღწიოს დასახულ მიზნებს. მისი დაყოფა შეიძლება გარე და შიდა ფაქტორებად. ბიზნესის რისკის მიდგომა აუდიტში ითვალისწინებს საწარმოს მთლიანად გამოკვლევას და იმ სხვადასხვანაირი რისკების შეფასებას, რომელსაც ეს საწარმო ექვემდებარება. ბიზნესი რისკები არის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს სამეურნეო სუბიექტის შესაძლებლობაზე, მიაღწიოს დასახულ მიზნებს. ეს რისკები შეიძლება კონტროლირებადი იყოს (გარკვეულწილად), ან არ იყოს კონტროლირებადი (მაგ., გარე ფაქტორები). შესაძლებელია ზოგიერთი რისკის თაობიდან აცილება (მაგ., დაზღვეით). აუდიტორს ისეთი რისკები აინტერესებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე და მაშასადამე, საჭიროა ბიზნესისა (სამეურნეო სუბიექტის) და მასთან დაკავშირებული რისკების სრულყოფილად გამოკვლევა. ამის შემდეგ აუდიტორი აუდიტის სტრატეგიას დაგეგმავს ამ რისკების გათვალისწინებით.

3. ასს 315-ში აღნიშნულია, რომ აუდიტორმა ნათელი წარმოდგენა უნდა შეიქმნას სამეურნეო სუბიექტის მიზნებზე, სტრატეგიასა და მასთან დაკავშირებულ ბიზნესის რისკებზე, რომლებმაც შესაძლოა ფინანსური ანგარიშგების რისკი გამოიწვიოს. ეს უკანასკნელი კი იმის რისკია, რომ ფინანსური ანგარიშგება არსებითად მცდარია. სამეურნეო სუბიექტი თავის ბიზნესს წარმართავს დარგობრივი, მარეგულირებელი და სხვა შიდა და გარე ფაქტორების გარემოცვაში. ამ ფაქტორებზე რეაგირების მიზნით, სამეურნეო სუბიექტის ხელმძღვანელობა ან მმართველი ორგანოები განსაზღვრავენ მიზნებს, რაც სამეურნეო სუბიექტის გენერალურ გეგმას წარმოადგენს. სტრატეგია არის სამოქმედო მიდგომების ერთობლიობა, რომლის მეშვეობითაც ხელმძღვანელობა აპირებს დასახული მიზნების მიღწევას. ბიზნესის რისკები წარმოიშობა ან მნიშვნელოვანი პირობებიდან, მოვლენებიდან, გარემოებებიდან, მოქმედებიდან ან უმოქმედობიდან, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს სამეურნეო სუბიექტის შესაძლებლობაზე, მიაღწიოს დასახულ მიზნებს და განახორციელოს თავისი სტრატეგია, ან იმის გამო, რომ შემუშავებული არ იყო შესაფერისი სტრატეგია და მიზნები. გარემომცველი პირობების შეცვლასთან ერთად იცვლება სამეურნეო სუბიექტის ბიზნესის განხორციელების პროცესი და დროთა განმავლობაში შეიცვლება სამეურნეო სუბიექტის სტრატეგია და მიზნებიც.


4. ბიზნესის რისკის მიდგომის გამოყენების შედეგები

ბიზნესის რისკის მიდგომის შესახებ არსებობს რამდენიმე ზოგადი მოსაზრება, რაც გავლენას ახდენს აუდიტის პროცესზე.

- ეს არის „ზემოდან ქვემოთ“ შემოწმების მიდგომა აუდიტში, რომელიც იწყება ბიზნესის რისკის გამოკვლევით და მთავრდება ფინანსური ანგარიშგებით;

- ჯერჯერობით საკმარისად ნათელი არ არის ურთიერთკავშირი ბიზნესის რისკსა და აუდიტორულ რისკს შორის;
- თანდაყოლილი და კონტროლის რისკის ცნებებმა წარმოშვა უფრო დიდი კონცეფცია – ბიზნესის რისკის კონცეფცია;

5. შიდა და გარე ელემენტები



6. ბიზნესის რისკის ანალიზი

ბიზნესის რისკი შეიძლება დაიყოს:

- გარე და შიდა რისკებად;
- კომპანიის საქმიანობის სტილი;
- ბიზნესის ინდივიდუალური რისკების კლასიფიკაცია

საწარმოები რისკის ქვეშ აღმოჩნდებიან, თუ ბიზნესის მიზნებს ვერ მიაღწევენ. ამგვარად სასურველია ხელმძღვანელობამ დაადგინოს ბიზნესის ყველა რისკი და აუცილებლობის შემთხვევაში, შეცვალოს გეგმა რისკებთან ადაპტაციის მიზნით ან შეიმუშაოს სარეზერვო გეგმები გაუთვალისწინებელი შემთხვევებისათვის, რათა გადარჩეს.

მეწარმის ბიზნესი რისკის გაწევაა და ყველა რისკის აღმოფხვრა შეუძლებელია. ძირითადი ეკონომიკური ტრუიზმი იმაში მდგომარეობს, რომ მჭიდრო კავშირი არსებობს რისკსა და შემოსავლებს შორის და მაღალი შემოსავლების მიღება რისკის გაწევის გარეშე შეუძლებელია.

7. აუდიტორული რისკი და ბიზნესის რისკი

აუდიტორებმა ბიზნესის რისკი უნდა განიხილონ სამი მიმართულებით:

- ბიზნესის რისკის გამოკვლევა და შეფასება;
- დამკვეთისათვის დახმარების გაწევა რისკის შეცნობაში, შეფასებასა და მასზე რეაგირებაში;
- კავშირის დამყარება აუდიტორულ რისკს, ბიზნესის რისკსა და ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკს შორის.

თავი 10

დაგეგმვის საძვანძო საკითხები და აუდიტის საერთო გეგმა

აუდიტის უპირველესი მიზანია:

ა) აუდიტორულ დასკვნაში სპეციალისტის დამოუკიდებელი მოსაზრების გამოთქმა წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაციის უტყუარობისა და სამართლიანობის შესახებ;

ბ) ბუღალტრული აღრიცხვის სისტემის, როგორც ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლის, საიმედოობის დადგენა და შეფასება.

დირექტორები არიან პასუხისმგებელნი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამეურნეო სუბიექტის საქმეების მდგომარეობის უტყუარად და სამართლიანად წარმოსუნაზე. ჩვეულებრივ, ეროვნული კანონმდებლობით სამეურნეო სუბიექტს მოეთხოვება, იმგვარად აწარმოონ ჩანაწერები, რომ ნებისმიერ დროს ჩანდეს სამეურნეო სუბიექტის ყველა სამეურნეო ოპერაციის შინაარსი და ფინანსური მდგომარეობა დროის მოცემული მომენტისათვის. აუდიტორული პროცედურების მიზანია, აუდიტორი თავად დარწმუნდეს იმაში, რომ სამეურნეო სუბიექტი აწარმოებს სათანადო ბუღალტრულ ჩანაწერებს და შეძლოს მოსაზრების ფორმირება ფინანსურ ანგარიშგების შესახებ.

აუდიტორული შემოწმების სამუშაოს მასშტაბები

აუდიტორებმა თვითონ უნდა გადაწყვიტონ, რა მოცულობის სამუშაოს ჩატარება დასჭირდებათ აუდიტის დროს თავიანთი მოსაზრების განსამტკიცებლად. მათ უფლება აქვთ გადწყვიტონ ბუღალტრული აღრიცხვის სისტემების გაფართოებული მიმოხილვა დიდი რაოდენობის ოპერაციების, დოკუმენტების, ჩანაწერების და ა.შ. დეტალური ტესტირების გზით. მეორე მხრივ, მათ უფლება აქვთ დაეყრდნონ მოქმედ შიდა კონტროლის პროცედურებს, ზემოთ ჩამოთვლილი მუხლების აუდიტორული ტესტირების დონის შემცირების გასამართლებლად.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მიზანი და ზოგადი პრინციპები

ასს 200-ში – „ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მიზანი და ზოგადი პრინციპები" – აღნიშნულია, რომ აუდიტორმა უნდა ჩაატაროს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებისა და ეთიკური პრინციპების შესაბამისად, რათა უზრუნველყოს დასაბუთებული გარანტია (რწმუნება) იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

დასაბუთებული გარანტია (რწმუნება) განიცდის აუდიტის პროცესისათვის დამახასიათებელი შეზღუდვების გაელენას, რაც განპირობებულია ტესტირების მეთოდიკის გამოყენებით, ბუღალტრული აღრიცხვისა და შიდა კონტროლის ნებისმიერი სისტემების თანდაყოლილი შეზღუდვებით, იმ ფაქტით, რომ აუდიტორული მტკიცებულების უმეტესობა დასკვნის საფუძვლად გამოდგება, მაგრამ თავისთავად არ წარმოადგენს დასკვნას. ნებისმიერი აუდიტის მნიშნელოვან ელემენტში გამოიყენება განსჯა.

აუდიტის პრინციპი

„აუდიტორმა აუდიტი უნდა დაგეგმოს და ჩაატაროს პროფესიული სკეპტიციზმის განწყობილებით, იმის გაცნობიერებით, რომ შეიძლება არსებობდეს ისეთი გარემოებები, რომლებიც იწვევენ ფინანსური ანგარიშგების არსებით უზუსტობებს".

განმარტება

ამ პრინციპის საილუსტრაციოდ გამოდგება შემდეგი მაგალითი: აუდიტორი უნდა მოელოდეს ხელმძღვანელობის ნებისმიერი ოფიციალური ინფორმაციის დამადასტურებელი დამატებითი მტკიცებულებების არსებობას, მაგრამ არ უნდა დაუშვას, რომ ისინი უთუოდ სწორია.

აუდიტის დაგეგმვა

ნებისმიერ ცხოვრებისეულ სიტუაციაში აუცილებელია, რომ სამუშაო ჯერ დაიგეგმოს და შემდეგ გაკეთდეს. საწარმოს ორგანიზაციული სირთულე, მისი ორგანიზაციულ-სამართლებრიეი ფორმა, კომერციული გარემო და სხვ. – ყველაფერი ეს გაელენას ახდენს აუდიტის დაგეგმვის ხასიათზე.

აუდიტის პრინციპი

ასს 300 –ში – „ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დაგეგმვა“ –აღნიშნულია: „აუდიტორმა ისე უნდა დაგეგმოს სამუშაო, რომ აუდიტი რაც შეიძლება ეფექტურად ჩატარდეს“.აუდიტორული სამუშაოს სათანადო დონეზე დაგეგმვა უზრუნველყოფს იმის გარანტიას, რომ სათანადო ყურადღება ეთმობა აუდიტის მნიშვნელოვან სფეროებს და პოტენციური პრობლემების გამოვლენას და სამუშაო სწრაფად და ეფექტიანად შესრულდება. დაგეგმვა აუდიტორს ასევე ეხმარება ასისტენტებს შორის სამუშაოს სათანადოდ განაწილებაში და სხვა აუდიტორთა ან ექსპერტთა სამუშაოს კოორდინაციაშიც.

დაგეგმვის მასშტაბები განსხვავებული იქნება სამეურნეო სუბიექტის სიდიდისა და აუდიტის სირთულისდა მიხედვით, ამ სამეურნეო სუბიექტის წინა წლის აუდიტიდან მიღებული გამოცდილებისა და იმის მიხედვით, რა დონეზე იცნობს აუდიტორი დამკვეთის საქმიანობას. დამკვეთის საქმიანობის შესახებ ცოდნის შეძენა (ინფორმაციის შეკრება) დაგეგმვის პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია. აუდიტორს დამკვეთის საქმიანობის ცოდნა ეხმარება იმ მოვლენების, ოპერაციებისა და პრაქტიკული მეთოდების სწორად აღქმაში, რომლებიც არსებით გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

აუდიტორს შეუძლია აუდიტის საერთო გეგმის ელემენტებისა და ცალკეული აუდიტორული პროცედურების განხილვა სამეურნეო სუბიექტის აუდიტის კომიტეტთან, ხელმძღვანელობასა და თანამშრომლებთან ერთად, აუდიტის ეფექტიანობისა და ხარისხის გაუმჯობესების, ასევე აუდიტორული პროცედურების კოორდინაციის მიზნით, დამკვეთის თანამშრომელთა სამუშაოსთან. თუმცა, აუდიტის საერთო გეგმისა და აუდიტის პროგრამის შემუშავებაზე პასუხისმგებლობა მაინც აუდიტორს ეკისრება.

აუდიტის პრინციპი

„აუდიტორმა უნდა შეიმუშაოს აუდიტის გეგმა, რათა აუდიტორული რისკი შეამციროს მისაღებ დაბალ დონემდე“.

განმარტება

აუდიტის საერთო გეგმა საკმაოდ დეტალური უნდა იყოს, რათა სახელმძღვანელოდ გამოდგეს აუდიტის პროგრამის შემუშავებისას, მაგრამ მისი ფორმა და შინაარსი შეიძლება იცვლებოდეს სამეურნეო სუბიექტის სიდიდის, აუდიტის სირთულის, აუდიტორის მიერ გამოყენებული სპეციფიკური მეთოდოლოგიისა და ტექნოლოგიის მიხედვით

დაგეგმვის ტიპური პროცედურები

აუდიტის დაგეგმვის პროცედურები სხვადასხვა აუდიტში სხვადასხვანაირი იქნება, მაგრამ ქვემოთ ჩამოთვლილი პროცედურები ტიპური პროცედურებია:

ა) დამკვეთის ბიზნესის ფონის განხილვა და მრეწველობის ან ვაჭრობის მოცემული ქვედანაყოფის ისეთი პრობლემების გამოვლენის მცდელობა, რომელთაც შესაძლოა გავლენა იქონიონ აუდიტორული შემოწმების სამუშაოებზე;

ბ) აუდიტის გეგმის მონახაზის განხილვა, მათ შორის იმ ნაწილისა, რომელიც ეხება აუდიტორის მიერ შიდა კონტროლის სისტემებზე დაყრდნობის ხარისხს და სამუშაოს განაწილების საკითხებს, აუდიტის შუალედური და საბოლოო სტადიების მიხედვით;

გ) წინა წლის აუდიტში გამოვლენილი პრობლემების მიმოხილვა აუდიტორული ფაილის შემოწმებისა და საკითხების განხილვის გზით, აუდიტში მონაწილე პერსონალთან ერთად, რათა გამოვლინდეს ისეთი ფაქტები, რომლებიც შესაძლოა მიმდინარე აუდიტზეც ახდენდნენ გავლენას;

დ) კანონმდებლობაში ან სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ნებისმიერი ცვლილებების გავლენის შეფასება დამკვეთის ფინანსურ ანგარიშგებაზე;

ე) ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული ნებისმიერი ანგარიშის ან შუალედური საბუღალტრო ანგარიშების განხილვა, ვინაიდან ასეთი განხილვით შესაძლოა გამოვლინდეს აუდიტისათვის საინტერესო სფეროები;

ვ) შეხვედრა დამკვეთის ზემდგომი დონის ხელმძღვანელობასთან პრობლემური სფეროების დადგენის მიზნით, როგორიცაა, მაგალითად, არსებითი განსხვავებები ბიუჯეტის მონაცემებსა და ფაქტობრივ შედეგებს შორის, მნიშვნელოვანი ცვლილებები დამკვეთის სააღრიცხვო პროცედურებში;

ზ) ფინანსური ანგარიშგების მომზადების მნიშვნელოვანი ეტაპების ვადების განხილვა, როგორიცაა, მაგალითად, ინვესტიციების ჩატარების, დებიტორული და კრედიტორული დავალიანების წიგნებში ანგარიშების დაბალანსების (ნაშთების გამოყვანის), მთავარ წიგნში სააღრიცხვო გატარებების გადატანის, საცდელი ბალანსისა (ანგარიშთა ნაშთების სიის) და ანგარიშგების პროექტის მომზადების თარიღები;

თ) იმის განხილვა, რა დონეზე შეუძლიათ თანამშრომლებს მონაწილეობის მიღება ფინანსური მონაცემების შესახებ, აგრეთვე დამკვეთის შიდა აუდიტორების მიერ შესრულებული სამუშაოს შესაბამისობის განხილვა გარე აუდიტის მიზნებთან მიმართებით;

ი) ექსპერტების დახმარებისა და საწარმოთა ჯგუფის აუდიტში სხვა აუდიტორების ჩართვის საჭიროების საკითხის განხილვა;

კ) აუდიტორთა პერსონალის რიცხოვნობისა და კვალიფიკაციის დონის განსაზღვრა, აუდიტის ცალკეული ეტაპების მიხედვით. კადრებით უზრუნველყოფის საკითხებს ამავე თავში მოგვიანებით განვიხილავთ;

ლ) კონსულტაციების ჩატარება აუდიტის ჯგუფის წევრებთან ისეთი პრობლემური საკითხების განხილვის მიზნით, რომელთა განჭვრეტაც შესაძლებელია წინასწარ. ხშირად პარტნიორები კონსულტაციებს უტარებენ მენეჯერს, ხოლო შემდეგ მას ეკისრება პასუხისმგებლობა ინფორმაციის მიწოდებაზე სხვა პერსონალისათვის, რომლებიც ამ კონკრეტულ სამუშაოში მიიღებენ მონაწილეობას. შესაძლოა ძალიან სასარგებლო იყოს მეორანდუმის მომზადება აუდიტორული შემოწმების მიდგომის ძირითად ასპექტებზე;

მ) აუდიტის ბიუჯეტი უნდა მომზადდეს ჯგუფის თითოეული წევრის (ან თანამდებობრივი რანგების) სამუშაო დროის განაწილების საფუძველზე. ეს ბიუჯეტი უნდა გამოიყენებოდეს აუდიტის ჩატარებაზე დახარჯული ფაქტობრივი დროის გასაკონტროლებლად, ხოლო დროის ბიუჯეტიდან ნებისმიერი მნიშვნელოვანი გადახრა (სამუშაოს შესრულება დადგენილ ვადაზე ადრე ან გვიან) უნდა გამოიკვლიოს მენეჯერმა.

დამკვეთი ინფორმირებული უნდა იყოს, აუდიტში მონაწილე პერსონალის საწარმოში მისელის საეარაუდო თარიღის შესახებ და მისგან მიღებული უნდა იყოს თანხმობა.

შეიძლება აუცილებელი გახდეს გეგმაში ცვლილებების შეტანა ჩატარებული აუდიტორული ტესტირების შედეგების ან შეცვლილი გარემოებების ფონზე. დამკვეთი ყოველთვის საქმის კურსში უნდა იყოს იმასთან დაკავშირებით, რომ შეიძლება შეიცვალოს საბოლოო ვადები ან შეთანხმებული ანაზღაურების თანხა.

დაგეგმვის პროცესში წარმოიშობა მნიშვნელოვანი ხარვეზები, თუ:

ა) აუდიტორი დეტალური ტესტირების პროცესს დაიწყებს დაგეგმვის სამუშაოთა დამთავრებამდე, რაც გამოიწვევს საჭირო პროცედურების გაორკეცებას, ზედმეტი, არასაჭირო სამუშაოს ჩატარებასა და გაუგებრობებს დამკვეთთან;

ბ) გამოიყენება არაადეკვატური დოკუმენტაცია

გ) სათანადოდ არ არის შესწავლილი დამკვეთის საქმიანობა.

დამკვეთის საქმიანობის ცოდნა და დაგეგმვა

ჩვენ უკვე ვახსენეთ ასს 315 – „სამეურნეო სუბიექტისა და მისი გარემოს შესწავლა და არსებითი უზუსტობების რისკების შეფასება“. ეს სტანდარტი მოითხოვს, რომ აუდიტორი საკმაოდ კარგად უნდა გაერკვეს დამკვეთის საქმიანობაში, რათა მან შეძლოს ისეთი პრობლემური საკითხების დადგენა და შეცნობა, რომლებიც გაელენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აუდიტორი დამკვეთის საქმიანობის შესახებ ინფორმაციას კრებს დამკვეთის აყვანამდეც დაშემდეგშიც. აუდიტორი უნდა გარკვეს ზოგად ეკონომიკურ ფაქტორებსა და დარგის პირობებში, რომლებიც გავლენას ახდენენ დამკვეთის საქმიანობაზე, თვითონ სამეურნეო სუბიექტზე, დამკვეთის პროდუქციაზე, აგრეთვე ანგარიშგების გარემოზე.

ანალიზური პროცედურები

ანალიზური პროცედურები გამოიყენება დაგეგმვის სტადიაზე, რათა დაეხმაროს აუდიტორს, საფუძვლიანად გარკვეს დამკვეთის საქმიანობასა და მომხდარ ცვლილებებში, ასეთი პოტენციური რისკიანი სფეროების განსაზღვრასა დააუდიტორული პროცედურების დაგეგმვაში. ჩვეულებრივ, აუდიტორის სამუშაო, რომელიც დაგეგმვას უკავშირდება, მანამ ტარდება, სანამ აუდიტორისათვის ხელმისაწვდომი გახდება წლიური ფინანსური ანგარიშგება. შესაბამისად, დაგეგმვის სტადიაზე ჩატარებული ნებისმიერი ანაკიზური პროცედურა დაფუძნებული იქნაბა შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაზე, წინანსწარი შეფასებით მომზადებულ (საპროგნოზო ან ხარჯთაღრიცხვის მიზნებისათვის მომზადებულ საგეგმო) ფინანსურ ანგარიშგებაზე, შიდამმართველობითი მიზნებისათვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე და ზოგიერთ შემთხვევაში წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზეც კი. აუდიტორს ინფორმაცია ექნება მოსალოდნელი შედეგების შესახებ ანუ ე.წ. „ლოდინები" ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა მუხლებს შორის თანაფარდობის შესახებ და შეამოწმებს დაგეგმვის სტადიაზე მის ხელთ არსებულ ფინანსურ მონაცემებს, რათა განსაზღვროს შეესაბამება თუ არა მისი „ლოდინები" აღრიცხვაში ასახულ ღირებულებებს. ნებისმიერ შემთხვევაში აუდიტორმა უნდა დაგეგმოს დამატებითი სამუშაო, როდესაც აუდიტორი ანგარიშობს „ლოდინებს" (მოსალოდნელ შედეგებს), მან უნდა გაითვალისწინოს არასაფინანსო მონაცემების და გარეშე ფაქტორებში მომხდარი ცვლილებების გავლენა სამეურნეო სუბიექტზე.

აუდიტის საერთო გეგმა

აუდიტის საერთო გეგმის შემუშავება, გაფორმება და დოკუმენტირება

ასს 300 მოითხოვს, რომ აუდიტორმა „დოკუმენტურად უნდა გააფორმოს აუდიტის საერთო სტრატეგია და გეგმა, მათ შორის ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც განხორციელდება აუდიტორული გარიგების შესრულების პროცესში". აუდიტის საერთო გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს:

ა) აუდიტორის ხელთ არსებული ინფორმაცია დამკვეთის საქმიანობის შესახებ;

ბ) ბუღალტრული აღრიცხვისა და შიდა კონტროლის სიტემების შესახებ ინფორმაცია;

გ) რისკი და არსებითობა;

დ) პროცედურების ხასიათი, ჩატარების ვადები და მოცულობა;

ე) სამუშაოთა კოორდინაცია, ხელმძღვანელობა, ზედამხედველობა და მიმოხილვა.

დაგეგმვის მემორანდუმი, რომელიც შეიცავს აუდიტის გეგმას, აუდიტორული შემოწმების დეტალური სამუშაოების დაწყებამდე მზადდება, მაგრამ მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ დაგეგმვის ეტაპი ამით არ მთავრდება. შეიძლება აუცილებელი გახდეს თავდაპირველი გეგმის შესწორება, რაც მხოლოდ აუდიტის შემდგომ ეტაპზე გამოჩნდება. თუ შიდა კონტროლის სისტემა მნიშვნელოვნად მოშლილია, შეიძლება უფრო მეტი სამუშაოს ჩატარება გახდეს საჭირო; სასაქონლო-მატერიალური მარაგის ინვენტარიზაციის ვადის შეცვლამ შესაძლოა გამოიწვიოს აუდიტის განრიგის შეცვლა. ამგვარად, დაგეგმვა წარმოადგენს უწყვეტ პროცესს, რომელიც გრძელდება აუდიტის მიმდინარეობის დროსაც.

აუდიტის გეგმის შემუშავება აუდიტის მიზნების მისაღწევად

პრაქტიკოსი ფირმების უმეტესობა ფორმალურად ეკიდებიან პროცესს, ძალიან მცირე აუდიტის დაკვეთების შესრულების დროს. ეს იმით გამოიხატება, რომ ფირმები იყენებენ დაგეგმვის სტანდარტულ მემორანდუმს, რომელშიც ასახულია თითოეული დავალიანების შესაფერისი მონაცემები შესაბამისი პროცედურების საწყის გადაწყვეტილებებზე, აქვე ამ პროცედურებთან დაკავშირებული კორექტირებები და დამატებითი ინფორმაცია, რომელიც მიიღება აუდიტორული ტესტების ჩატარებისა და შესრულებული სამუშაოს განხილვის პროცესიდან. ქვემოთ ვთავაზობთ ამგვარი საკონტროლო კითხვარის ნიმუშს, რომელიც განკუთვნილია დაგეგმვისა და კონტროლის მიზნებისათვის.

მოამზადა: თარიღი: დაგეგმვის მემორანდუმი		განიხილა: თარიღი:
I. სამუშაოს განრიგი აუდიტის სამუშაოთა საეარაუდი ეადები: – დაგეგმილი შეხვედრა დამკვეთთან – შუალედური აუდიტის დაწყება – შუალედური აუდიტის დამთავრება – ანგარიში ხელმძღვანელობისათვის შიდა კონტროლის ნაკლოეანებებზე (შუალედური) – დებიტორული და კრედიტორული დავაკიანების ანგარიშების დადასტურება	*დაგეგმილი თარიღი*	*ფაქტობრივი თარიღი*
2. წინა აუდიტის შემდგომ პერიოდში განხორციელებული ცვლილებები: ა) დამკვეთის საქმიანობის ხასიათში (მაგალითად, პროდუქციის ასორტიმენტისა და რეალიზაციის პირობების შეცვლა დას ხვ.); ბ) მართვის სტრუქტურაში ან საფინანსო განყოფილების/ ბუღალტერიის ძირითადი პერსონალის სემადგენლობაში; გ) ბურალტრული აღრიცხვის სისტემაში(მათ შორის ხელმძღვანელობისათვის შედგენილი წინა ანგარიშის შემდეგ მომხდარი ცვლილებები); დ) გარეგან მოთხოვნებში (მაგალითად, ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები, კანონმდებლობა, ქცევის წესები და ა.შ.)	*დეტალური შენიშვნები*	
3. საგეგმო გადაწყვეტილებები ა) წინა პერიოდის აუდიტის პროგრამაში შეტანილი ძირითადი ცვლილებები (აღწერეთ, რა ცვლილებები შეიტანეთ ტექსტში და შერჩევითი ერთობლიობის მოცულობაში). ბ) ანვენეთ, აუდიტის სფეროების მიხედვით, აპირებს თუ არა შიდა კონტროლის სისტემაზე დაყრდნობას: –რეალიზაცია და დებიტორული დაეალიანება – შესყიდეა და კრედიტორული დაეალიანება –მარაგი და დაუმთაერებელი წარმოება –მოსამსახურეთა და მეშების ხელფასი –ბანკი და სალარო –გრძელვადიანი აქტივები –სხეა(დააკონკრეტეთ) გ) აჩვენეთ სფეროები, სადაც გამოვლინდა არსებითი შეცდომები წინა პერიოდში და რაზედაც ყურადღება გამახვილდა აუდიტის დროს. დ) სისტემის შემდეგი სფეროებისათვის შეადგინეთ (გადააკეთებთ) ბლოკ-სქემებს. ე) შემდეგი სფეროებისათეის შეადგენთ/განაახლებთ მუდმივ ფაილს. ვ)სპეციალისტის დახმარების საჭიროება (მიუთითეთ კონკრეტულად) ზ) მიუთითეთ, სავალდებულოა თუ არა, მოცემული დამკვეთის შემთხვევაში, აუდიტის კომიტეტის სხდომაზე დასწრება აუდიტორული დასკვნის ხელმოწერამდე. თ) მოამზადეთ ცხრილებისა და სხეა დეტალური ინფორმაციის მოკლე სია, რომელიც დამკვეთის პერსონალმა უნდა მოგაწოდოთ.		

ი) თუ ვასრულებთ ბუღალტრულ მომსახურებას, ვაჩვენებთ:

კ) იყო თუ არა დაგეგმილი ჩვენი ბუღალტრული და აუდიტორული სამუშაო იმ დონეზე, რომ თავიდან აგეცილებინა სამუშაოთა დუბლირება;

ლ) ბუღალტრული სამუშაოებით დაკავებულ პერსონალს ჩაუტარდა თუ არა ინსტრუქტაჟი იმ რწმუნების დონის შესახებ, რომელიც დაკავშირებულის იქნება მათ სამუშაოსთან, ასევე აუდიტის შესაფერისი მიზნების შესახებ.

მ) მოკლედ აღწერეთ მომსახურების სხვა სახეები, რომელსაც გაუწევთ დამკვეთს და მათი გავლენა აუდიტის ხასიათსა და აუდიტის ჩატარების ვადებზე.

4. შიდა აუდიტის განყოფილება

ა) მიუთითეთ, სადამდე შეგეძლია შეეამციროთ აუდიტორული ტესტების დონე, შესაბამისი შიდა აუდიტორულ სამუშაოებზე დაყრდნობით.

ბ) მოკლედ აღწერეთ შიდა აუდიტორებთან ურთიერთობები:

აუდიტის დაგეგმის სტადიაზე;

ოპერაციების აუდიტის პროცესში;

აუდიტის საბოლოო სტადიაზე.

5. ინსტრუქტაჟი *თარიღი, სახელი, გვარი, დონე*

ა) სამუშაოთა შესრულების თანამიმდევრობაზე.

ბ) კონკრეტული საკითხების განსაზღვრა, რომლებიც საჭიროებს ყურადღებას, ან სამუშაოს ისეთი ნაწილისა, რომლებიც ამა თუ იმ კონკრეტულმა პიროვნებამ უნდა შეასრულოს.

გ) თარიღი, როდესაც ჩატარდება აუდიტის ჯგუფის ინსტუქტაჟი, აგრეთვე ინ პერსონალის ვინაობა და თანამდებობრივი დონეები, რომელთაც ჩაუტარდათ

ინსტრუქტაჟი.

6. ზედამხედველობა და განხილვა

ა) კონკრეტული სტადიების (ან რთული სფეროების) მითითება, როდესაც უფროსმა აუდიტორმა უნდა მიმართოს მენეჯერს

ბ) როგორ და რომელ სტადიაზე არის დაგეგმილი ოპერაციების აუდიტის ზედამხედველობა და განხილვა.

7. ფინანსური კოეფიციენტები

ა) ქვემოთ მოცემულია ზოგიერთი ფინანსური კოეფიციენტი, რომელიც შეიძლება გამოთვლილ იქნეს მაჩვენებლების (თუ ხელმისაწვდომია) საფუძველზე, რომლებიც მოცემულია ბალანსის ანგარიშგების ფორმაში (თუ ხელმისაწვდომი, ამ მაჩვენებლებზე დაკვირვება გაითვალისწინეთ 79ბ) პუნქტში, იხ.ქვემოთ).

– საერთო მოგება: რეალიზაციის მოცულობა;

– პროდუქციის გასაღების დანახარჯები:

რეალიზაციის მოცულობა;

– ადმინისტრაციული დანახარჯები:

რეალიზაციის მოცულობა;

– ნეტო მოგება დაბეგვრამდე:

რეალიზაციის მოცულობა;

– ნეტო მოგება დაბეგვრამდე: ნეტო აქტივების მთლიანი

– მოცულობა/ვალდებულებები;

– მარაგის ბრუნვადობის კოეფიციენტი;

– დებიტორული დავალიანების რაოდენობა კეირების მიხედვით;

– ვალდებულებების რაოდენობა კეირების მიხედვით;

– საბრუნავი აქტივები(მარაგის გარდა) მოკლევადიანი ვალდებულებები

– აქციონერთა სახსრები: მთლიანი აქტივები.

ბ) ჩამოაყალიბეთ გამოტანილი დასკვნები და ის ღონისძიებები, რომლებიც უნდა გაატაროთ 7(ა) პუნქტთან მიმართებით.

8. დროის ბიუჯეტი

მოკლედ აღწერეთ მიმდინარე წლის დროის ბიუჯეტის მნიშვნელოვანი გადახრის მიზეზები, წინა წლის დაგეგმილი და ფაქტობრივი ვადებიდან.

აუდიტის გეგმის სპეციფიკური საკითხები. კადრების უზრუნველყოფა

აუდიტურ ფირმას ეყოლება პერსონალი, ხოლო დამკვეთს ექნება მოთხოვნები. ამგვარად, საკადრო პოლიტიკაში აღწერილი უნდა იყოს სცენარი, როგორ შეუსაბამდება არსებული პერსონალი დამკვეთის მოთხოვნებს. პრაქტიკაში ეს საკმაოდ რთული საკითხია და შემუშავებულია კომპიუტერული პროგრამები ამ საკითხის გადასაწყვეტად.

ამასთან დაკავშირებით შექმნილ პრობლემას განეკუთვნება:

- შვებულების (გამოსასყიდი დღეების), ტრენინგების პროგრამების, ავადმყოფობის, დეკრეტული შვებულების და ა. შ. პრობლემები;
- დამკვეთები, რომლებიც მრავალ ადგილას არიან განთავსებული, განსაკუთრებით, საზღვარგარეთ;
- ვადები და გარკვეული თარიღები, რომლებიც უნდა შესრულდეს, მათ შორის მარაგის ინვენტარიზაციაზე დასწრება.

დროის ბიუჯეტი

აუდიტის ყველა ნაწილისათვის მოითხოვება დროის შეფასება და იმის უზრუნველყოფა, რომ საერთო დანახარჯებმა არ გადააჭარბოს აუდიტისთვის საჭირო დროის ბიუჯეტს, როდესაც ერთმანეთს შეუდარდება ფაქტობრივი და გადახრილი ბიუჯეტები. ბიუჯეტი აუდიტში ისევე უმნიშვნელოვანესია, როგორც ბიზნესის სამყაროს ნებისმიერ სფეროში.

მოთხოვნილი ანგარიშები (დასკვნები)

აუდიტორს ყოველთვის უნდა ახსოვდეს დაკალების საყოველთაო მიზნები, რაც როგორც წესი, არის აუდიტორული დასკვნის შედგენა ასს-ისა და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, მაგალითად:

- სათანადოდ აწარმოებდა თუ არა დამკვეთი ბუღალტრულ ჩანაწერებს;
- მიიღო თუ არა დამკვეთისაგან ყველა ახსნა-განმარტება და ინფორმაცია;
- გათვალისწინებულია თუ არა ანგარიშგებაში ისეთი საკითხები, რომლებიც სხვაგან არსად არ არის გაშუქებული (ძირითადად, დირექტორების ანაზღაურების საკითხები)
- ბევრი შეუსაბამოებია თუ არა ფინანსურ ანგარიშგებასა და დირექტორების ანგარიშებს შორის.

შეიძლება ასევე არსებობდეს კორპორაციული მართვის მოთხოვნები და რაიმე სხვა სპეციალური მოთხოვნები აუდიტის მიმართ.

ფინანსური ანგარიშგების მტკიცებები

ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მსვლელობისას აუდიტორს მუდმივად უნდა ახსოვდეს ნაგულისხმევი მტკიცებები, ფინანსური ანგარიშგების თითოეული მუხლის შესახებ. მტკიცებებების ჩამონათვალი აუდიტორს საშუალებას აძლევს, აქცენტი გადაიტანოს ისეთ საკითხებზე, რომლის შესახებაც სჭირდება მტკიცებულებების შეკრება:

- რისკისა და
- არსებითობის დონეებზე.

აუდიტორული რისკი

აუდიტორული რისკის შეფასების ლოგიკა

აუდიტორული რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ აუდიტორი გამოხატავს არაადეკვატურ აუდიტორულ მოსაზრებას აუდიტორული რისკის გარკვეული დონე მისაღებია. პრაქტიკაში, ფირმა განსაზღვრავს, რა დონის აუდიტორული რისკია მისაღები.

უზუსტობის რისკი შედგება თანდაყოლილი რისკისა(თრ) და კონტრილის რისკისგან(კრ). მთლიანი აუდიტორული რისკი (არ) არის უზუსტობის რისკი და რისკი იმისა, რომ აუდიტორის პროცედურები ვერ გამოაელენს უზუსტობას (შეუმჩნევლობის რისკი (შრ)).

ფორმულის სახით ამის გამოსახვა ასე იშეძლება:

არ = თრ X კრ X შრ

რისკების ცალკეული კომპონენტის მნიშვნელობის დასადგენად, ყოველთვის აუცილებელი და საჭიროა აუდიტის განსჯა – არ არსებობს ერთი კონკრეტული წესი, რომელსაც აუდიტორი გამოიყენებს.

რისკის შესაფასებელი პროცედურები

ასს 315 მოითხოვს, რომ აუდიტორმა ჩაატაროს რისკის შესაფასებელი შემდეგი პროცედურები, რათა ნათელი წარმოდგენა შეიქმნას სამეურნეო სუბიექტისა და მისი გარემოს, მათ შორის შიდა კონტროლის შესახებ:

ა) სამეურნეო სუბიექტის ხელმძღვანელობისა და სხვა პირთა გამოკითხვა სამეურნეო სუბიექტის ფარგლებში;

ბ) ანალიზური პროცედურები

გ) დაკვირვება და დათვალიერება.

თანდაყოლილი რისკის დეტალური შეფასება

თანდაყოლილი რისკის შეფასება ხდება ორ დონეზე. აუდიტის საერთო გეგმაზე მუშაობის დროს აუდიტორმა თანდაყოლილი რისკი უნდა შეაფასოს ფინანსური ანგარიშგების გონეზე. აუდიტის პროგრამაზე მუშაობის დროს კი აუდიტორმა ეს შეფასება უნდა დააკავშიროს არსებითი ანგარიშების ნაშთ ბსა და ოპერაციების კატეგორიებს.

თუ აუდიტორს არა აქვს იმდენი ცოდნა და ინფორმაცია, რაც მას თანდაყოლილი რისკის შეფასების საშუალებას მისცემს, კონკრეტული არსებითი ანგარიშის ნაშთის ან ოპერაციების კატეგორიის დონეზე, მან უნდა იგულისხმოს, რომ ტანდაყოლილი რისკი მაღალია.

თანდაყოლილი რისკის შესაფასებლად აუდიტორი იყენებს მოცემული სამეურნეო სუბიექტის წინა წლების აუდიტიდან მირებულ გამოცდილებას, ასევე მიმართავს პროფესიულ განსჯას ზოგიერთი ფაქტორის შესაფასებლად, რომლებიც განხილულია ქვემოთ:

ფინანსური ანგარიშგების დონეზე

ა) ხელმძღვანელობის პატიოსნება

ბ) ხელმძღვანელობის გამოცდილება და ცოდნა: ცვლილებები ხელმძღვანელობის შემადგენლობაში მოცემული პერიოდის განმავლობაში, მაგალითად, ხელმძღვანელობის გამოცდილებამ შეიძლება გაელენა მოახდინოს სამეურნეო სუბიექტის ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე.

გ) უჩვეულო ზეწოლა ხელმძღვანელობაზე, მაგალითად გარემოებები რომლებმაც ხელმძღვანელობა წინასწარ განაწყოს მცდარი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. ეს შეიძლება მოხდეს ისეთ დარგში, სადაც მიზნები წარუმატებელია, ან ისეთი სამეურნეო სუბიექტის შემთხვევაში, რომელსაც არა აქვს საკმარისი კაპიტალი ოპარაციების გასაგრძელებლად.

დ) სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის ხასიათი მაგალითად, მისი პროდუქციისა და მომასახურეობის ტექნოლოგიური მოძველების პოტენციური შესაძლებლობები, კაპიტალის სტრუქტურის სირთულე, დაკავშირებული მხარეების მნიშვნელობა და მისი საწარმო სიმძლავრეების განლაგების ადგილების რაოდენობა და გეოგრაფიული არეალი.

ე) ფაქტორები, რომლებიც გაელენას ახდენს სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის დარგზე, მაგალითად ეკონომიკური პირობები ან კონკურენციის პირობები, რაც გამოიხატება ფინანსურ ტენდენციებსა და კოეფიციენტებში, აგრეთვე ცვლილებები ტექნოლოგიურ პროცესებში, მომხმარებლის მოთხოვნასა და დარგისათვის დამახასიათებელ ბუღალტრული აღრიცხვის პრაქტიკაში.

ანგარიშის ნაშთისა და ოპერაციათა კატეგორიების დონეზე.

ა) ფინანსური ანგარიშგების ის ანგარიშები, რომლებსაც საეარაუდოდ უზუსტობისაკენ აქვს მიდრეკილებები, მაგალითად, ანგარიშები, რომლებიც წინა პერიოდის შესწორებას საჭიროებდა, ან რომლებიც მოიცავს მაღალი ხარისხის საღრიცხვო შეფასებას.

ბ) ძირითადი ოპერაციებისა და სხვა მოელენის სირთულე, რომელთა მიმართაც შეიძლება საჭირო გახდეს ექსპერტის სამუშაოს გამოყენება;

გ) ანგარიშთა ნაშთების განსაზღერაში გამოყენებული მსჯელობის ხარისხი;

დ) აქტივების დაკარგვის ან უკანონო მითვისების ალბათობა, მაგალითად, ისეთი მაღალლიკვიდური აქტივები, როგორიცაა ნაღდი ფული;

ე) არაორდინალური და რთული ოპერაციების შესრულება, განსაკუთრებით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ან მის მახლობელ პერიოდში;

ვ) ოპერაციები, რომლებიც არა ექვემდებარება ჩვეულებრივ დამუშავებას.

კონტროლის რისკის დეტალური შეფასება

კონტროლის რისკის შესაფასებლად აუდიტორს სჭირდება დამკვეთის ბუღალტრული აღრიცხვის სისტემისა და კონტროლის გარემოს შესწავლა.

ბუღალტრული აღრიცხვის სისტემის შესწავლა აუდიტორს საშუალებას აძლევს განსაზღვროს:

ა) სამეურნეო სუბიექტის ოპერაციების ძირითადი ჯგუფები;

ბ) როგორ იწყება ამგვარი ოპერაციები;

გ) მნიშვნელოვანი ბუღალტრული ჩანაწერები, მათი დამადასტურებელი დოკუმენტები და ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ანგარიშები;

დ) ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესი. მნიშვნელოვანი სამეურნეო ოპერაციებისა სხვა მოვლენების წარმოშობიდან მათ ჩართვამდე ფინანსურ ანგარიშგებაში.

კონტროლის გარემოს შესწავლა აუდიტორს კონტროლის პროცედურების საჭიროდ ეფექტიანობის შესაფერის საშუალებას აძლევს. ძლიერი კონტროლის გარემო, მაგალითად სამეურნეო სუბიექტი, რომელსაც ძლიერი საბიუჯეტო კონტროლის პროცედურები და ეფექტური შიდა აუდიტის სამსახური აქვს, ზრდის კონტროლის პროცედურების ეფექტიანობას. ბუღალტრული აღრიცხვის სისიტემისა კონტროლის გარემოს შესწავლის შემდეგ აუდიტორი ახორციელებს კონტროლის რისკის წინასწარ შეფასებას.

კონტროლის რისკის წინასწარ შეფასება არის სამეურნეო სუბიექტის ბუღალტრული აღრიცხვისა და შიდა კონტროლის სისტემების საჭიროდ ეფექტიანობის შეფასების პროცესი, არსებითი უზუსტობების თავიდან აცილებისა და შესწორების უნარიანობის კუთხით. რაღაც დონის კონტროლის რისკი ყოველთვის იარსებებს, ნებისმიერი შიდა კონტროლის სისტემისათვის დამახასიათებელი თანდაყოლილი შეზღუდვების გამო. აუდიტორებმა შეიძლება დაასკვნან, რომ ბუღალტრული აღრიცხვის და შიდა კონტროლის სისტემები არ არის ეფექტური, ან საჭიროდ, არ გამოდგება აუდიტორული შემოწმებისათვის ისეთი მიდგომის გამოსაყენებლად, რომელიც ეყრდნობა კონტროლის ტესტებს. ასეთ შემთხვევაში, აუდიტორი აუდიტის მიდგომას განსაზღვრავს იმის გათვალისწინებით, რომ კონტროლის რისკის წინასწარი შეფასება უარყოფითია და საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების შეკრება დასჭირდება მთლიანად ძირითადი პროცედურებით.

შემდეგ, აუდიტორმა უნდა დაგეგმოს კონტროლის ტესტები *ანუ შესაბამისობის ტესტები (კონტროლის რისკის წინასწარი შეფასების გასამტკიცებლად, ჩაატაროს ეს ტესტები და შემდეგ განსაზღვროს, დასტურდება თუ არა წინასწარი შეფასება.

რისკის შეფასება და შიდა კონტროლი

აუდიტორული რისკის შესაფასებელი პროცედურებია:

ა) აუდიტორი იმ დონეზე უნდა გაერკვეს ბუღალტრული აღრიცხვისა და შიდა კონტროლის სისტემებში, რომ ეს საკმარისი უნდა იყოს კონტროლის რისკის წინასწარი შეფასებისა და აუდიტორული შემოწმების ეფექტური მიდგომის შემუშავებისათვის, აუდიტორმა უნდა მიმართოს პროფესიულ განსჯას, რათა შეაფასოს აუდიტორული რისკის კომპონენტები, დაგეგმოს აუდიტორული პროცედურები და უზრუნველყოს აუდიტორული რისკის შემცირება მისაღებ დონემდე.

აუდიტის საერთო გეგმაზე მუშაობის დროს, აუდიტორმა თანდაყოლილი რისკი უნდა უნდა შეაფასოს ფინანსური ანგარიშგების დონეზე. აუდიტის პროგრამაზე მუშაობის დროს კი აუდიტორმა ეს შეფასება უნდა დაუკავშიროს არსებითი ანგარიშების ნაშთებსა და ოპერაციების კატეგორიებს კონკრეტული მტკიცების დონეზე. ან იგულისხმოს, რომ მოცემული მტკიცებისათვის თანდაყოლილი რისკი მაღალია.

აუდიტორმა ნათელი წარმოდგენა უნდა შეიქმნას ბუღალტრული აღრიცხვისა და კონტროლის სისტემაზე, რათა განსაზღვროს და საფუძვლიანად გაერკვეს ისეთ საკითხებში, როგორიცაა:

1. სამეურნეო სუბიექტის ოპერაციების ძირითადი ჯგუფები და როგორ იწყება ამგვარი ოპერაციები,

2. მნიშვნელოვანი ბუღალტრული ჩანაწერები, მათი დამადასტურებელი დოკუმენტები და შიდა კონტროლის სისტემები ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ანგარიშები

3. ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესი, მნიშვნელოვანი სამეურნეო ოპერაციებისა და სხვა მოვლენების წარმოშობიდან მათ ჩართვამდე ფინანსურ ანგარიშგებაში.

4. სამეურნეო სუბიექტის კონტროლის გარემო, რათა შეძლოს დირექტორებისა და ხელმძღვანელობის პოზიციის, ინფორმირებულობის დონისა და ქმედებების შეფასება შიდა კონტროლთან მიმართებით.

ბ) კონტროლის რისკი

დამკვეთის ბუღალტრული აღრიცხვისა და კონტროლის გარემოს შესწავლის შემდეგ, აუდიტორმა უნდა განსაზღვროს კონტროლის რისკის წინასწარი შეფასება კონკრეტული მტკიცების დონეზე, ყველა არსებითი ანგარიშის ნაშთისა და ოპერაციების კატეგორიების მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგების მტკიცების დონეზე, კონტროლის რისკის შეფასება უნდა იყოს მაღალი, თუ

I) აუდიტორი ვერ შეძლებს იმის დადგენას, რომ შიდა კონტროლის პროცედურები მოცემული მტკიცების შესაფერისია და, საჭარაუდოდ, არსებითი უზუსტობის თავიდან აცილებას, ან გამოვლენას და შესწორებას უზრუნველყოფს; და

II) არ გეგმავს კონტროლის ტესტების ჩატარებას ამ შესაფერის გასამტკიცებლად.

აუდიტორმა კონტროლის რისკის შეფასება და თავისი დასკვნების საფუძველი უნდა ასახოს სამუშაო დოკუმენტაციაში.

აუდიტორმა უნდა ჩაატაროს კონტროლის ტესტები და ტესტების შეღეგებზე დაყრდნობით შეაფასოს, არის თუ არა შიდა კონტროლი იმგვარად დაპროექტებული და მუშაობს თუ არა ისე, როგორც ეს ჩანდა რისკის წინასწარი შეფასებიდან

გ) შეუმჩნეველობის რისკი

აუდიტორმა უნდა განიხილოს თანდაყოლილი და კონტროლის რისკების შეფასებული დონეები და ამის საფუძველზე განსაზღვროს ძირითადი პროცედურების ხასიათი, ვადები და მოცულობა, რომელიც საჭირო იქნება აუდიტორული რისკის მისაღებ დონემდე შესამცირებლად.

რაც უფრო მაღალია თანდაყოლილი და კონტროლის რისკის შეფასებები, მით უფრო მეტი აუდიტორული მტკიცებულებების შეკრება დასჭირდება აუდიტორს ძირითადი პროცედურებით. როდესაც აუდიტორი დაადგენს, რომ შეუძლებელია შეუმჩნეველობის რისკის მისაღებ დონემდე შემცირება, ფინანსური ანგარიშგების ამა თუ იმ დონემდე შემცირება, ფინანსური ანგარიშგების ამა თუ იმ მტკიცების დონეზე, არსებითი ანგარიშის ნაშთის ან ოპერაციების კატეგორიისათვის, მან უნდა გასცეს პირობითი დასკვნა ან უარი განაცხადოს დასკვნაში თავისი მოსაზრების გამოთქმაზე.

არსებითობა

როგორც ვხედავთ, არსებითობა ერთ-ერთი ფუნდამენტური კონცეფციაა. არსებითობა ბსფ-ის ცნებების გლოსარში შემდეგნაირად არის განმარტებული:

ესა თუ ის მუხლი მაშინ მიიჩნევა არსებითად, თუ მისი გამოტოვება ან დამახინჯება გავლენას იქონიებს იმ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც ეყრდნობიან ფინანსურ ანგარიშგებას.

არსებითობა დამოკიდებულია ფინანსური ანგარიშგების მუხლის ან შეცდომის სიდიდეზე, რაც კონკრეტულ შემთხვევაში გულისხმობს მის გამოტოვებას ან დამახინჯებას. ამგვარად, არსებითობა ინფორმაციის ძირითადი თვისებრივი მახასიათებელი არ არის, არამედ გულისხმობს იმ ზღვარს, რომლის გადალახვის შემდეგ იგი მომხმარებლისათვის უსარგებლო გახდება.

არსებითობის კრიტერიუმები

პრობლემის არსი შემდეგში მდგომარეობს: კონკრეტულად რომელი ტესტები უნდა გამოიყენოს აუდიტორმა იმისათვის, რომ გადაწყვიტოს, არის თუ არა ესა თუ ის მუხლი არსებითი. ამასთან დაკავშირებით, გასათვალისწინებელია შემდეგი საკითხები:

ა) მუხლი არსებითია, თუ მისი ცოდნა, საჭარაუდოდ, გავლენას იქონიებდა ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელზე,

ბ) არსებითობა შეფარდებითი ფაქტორია და მისი განხილვაც შეფარდებით პირობებში უნდა ხდებოდეს. 1000 დოლარი შეიძლება აბსოლუტურად არაარსებითი იყოს მსხვილი კომპანიის ანგარიშგებისათვის, ხოლო მცირე საწარმოსთვის კი უფრო საგარაუდოა რომ პირიქით იქნება. გარდა ამისა, ეს მუხლი უნდა განიხილებოდეს:

I) მთლიანად ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებით:

II) იმ თანხასთან მიმართებით, რომლის ნაწილიც არის;

III) წინა წლების შესაბამის თანხებთან მიმართებით.

გ) თავისუფლების ხარისხი, რომელიც დასაშვებია ამა თუ იმ კონკრეტული მუხლის სიდიდის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში. მაგალითად, ზოგიერთი მუხლი, დირექტორების ხელფასი, ზუსტად შეიძლება განისაზღვროს, ხოლო ზოგიერთი კი, მაგალითად, ცვეთა და მორალურად დაძველებული ან დაზიანებული მარაგის ფასშესწორების თანხები, ყველაზე საუკეთესო შემთხვევაში, საზრიან შეფასებას წარმოადგენს.

საზოგადოდ, არსებითობის შესაფასებელ ორიენტირად გამოიყენება შემდეგი ბაზა:

რეალიზაცია	0,5 – 1%
დაბეგვრამდე მოგება	5 – 10%
მთლიანი აქტივები	1 –2%

არსებითად მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გესმოდეთ: ეს მხოლოდ მითითებებია და არა დადგენილი წესები, რომლებიც აუცილებლად გამოიყენება არსებითობის დონის დასადგენად.

არსებითობის წესების გამოყენება და მისი შეზღუდულობა

რეკომენდაციები სასარგებლოა და აუდიტორს საწყის ორიენტაციას აძლევს, მაგრამ საბოლოოდ, არსებითობა მაინც განსჯის საგანია. ამიტომ მიზანშეწონილი არ არის არსებითობის დონეების დადგენა. თუმცა, აუდიტორი ფირმების უმეტესობა (დასაწყისში მაინც) განსაზღვრავს არსებითობის დონეს (ზოგჯერ ამ შეფასებას წინასწარ უწოდებენ) სამეურნეო სუბიექტის სიდიდის მიხედვით, რეალიზაციისა, და აქტივების მონაცემებზე დაყრდნობით.

ასევე მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება რომ ფინანსური ანგარიშგების ზოგიერთი მუხლისათვის შეუძლებელია ამგვარი რაოდენობრიობის მინიჭება. მაგალითად ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები შეიძლება შეიცავდეს მნიშვნელოვან ინფორმაციას, რომელიც რაოდენობრივ შეფასებას არ ექვემდებარება, მაგრამ არსებით გავლენას ახდენს მომხმარებლის მხრიდან ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი სურათის აღქმაზე. მოსალოდნელია, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმები გავლენას იქონიებს აუდიტორის გადაწყვეტილებაზე არსებითობის მნიშვნელობის შესახებ ან სხვა მხრივ ამა თუ იმ მუხლზე.

ა) მიახლოების ხარისხი: შეფასების ხარისხი, რომელის უცილობლად თან სდევს მოცემული მუხლის შესაბამისი თანხის მიღებას, შეიძლება სწორედ ის ფაქტორი იყოს რომელიც გამოდგება არსებითობის განსაზღვრაში, მაგ. პირობითი ვალდებულებები, სასაქონლო მატერიალური ფასეულობები და დაუმთავრებელი წარმოება, საგადასახადო ანარიცხები

ბ) ზარალი ან მცირე მოგება: მოგების მონაცემების შედარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, როდესაც მოგება ძალიან პატარაა ან ზარალი არსებობს. ასეთ შემთხვევაში, როდესაც აუდიტორი არსებითობის საკითხს იხილავს მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, მან უნდა განიხილოს ჩვეულებრივზე უფრო დიდი მასშტაბის ბიზნესი.

გ) კრიტიკული წერტილები: ანგარიშებში ასახულ მოსაზრებებზე ზოგჯერ გავლენას ახდენს მოგების ან რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების დინამიკა და ხარჯების სხვადასხვა მუხლი. უზუსტობამ რომელიც სხვა შემთხვევაში არ ჩაითვლებოდა არსებითად, შეიძლება შეცვალოს ტენდენცია, ან მოგება ზარალად აქციოს, შექმნას ან გააბათილოს გადახდის უნარიანობის მარჟა ბალანსში. როდესაც ესა თუ ის მუხლი გავლენას ახდენს ანგარიშის ასეთ კრიტიკულ წერტილზე, მაშინ მისი არსებითობა განხილული უნდა იყოს ამ ეიზრო კონტექტში.

დ) არაპროპორციული მნიშვნელობა: ზოგიერთ მუხლს, მიუხედავად პატარა თანხობრივი სიდიდისა, შეიძლება მაინც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს სამეურნეო სუბიექტის კონკრეტული სიტუაციის კონტექსტში, განსაკუთრებით მაშინ, თუ ამ

კონტექსტმა მკითხველს იმის მოლოდინი უნდა გაუჩინოს, რომ ეს მუხლი გახდება არსებითი სიდიდის.

ე) ურთიერთგადაფარვა და აგრეგირება: ხშირად ხდება, რომ ორ მუხლს, რომელიც ცალ—ცალკე აღებული შეიძლება არსებითი იყოს, საწინააღმდეგო ეფექტი აქვს. ყურადღება უნდა მიექცეს ასეთი მუხლების ურთიერთგადაფარვას (ჩათვლას). მაგალითად, არ შეიძლება საარღრიცხვო მეთოდის შეცვლით გამოწვეული მოგების ურთიერთგადაფარვა ერთჯერადი, არაგანმეორებადი ზარალით. ასევე, როდესაც არსებობს დიდი რაოდენობის პატარა მუხლები, შეიძლება აუცილებელი იყოს მათი აგრეგირება, თუ ისინი ერთად არსებითია.

ასს 320 „აუდიტორული არსებითობა"

ა) არსებითობა და აუდიტორული რისკი

აუდიტის ჩატარების დროს აუდიტორებს მოეთხოვებათ არსებითობა და აუდიტორულ რისკთან მისი კავშირის განხილვა აუდიტორული რისკის კონცეფცია უკვე განვიხილეთ წინა თავებში. იქ თქვენ მხოლოდ სხვა რამე უნდა გაიაზროთ: აუდიტორებმა ასევე უნდა დაგეგმონ და ჩაატარონ აუდიტი, რომ უსრულყოფილო დასაბუთებული რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს. იმის შესახებ რა არის არსებითი და რა არა, პროფესიული განსჯის საგანია. აუდიტორმა უნდა განიხილოს უზუსტობის სიდიდე (რაოდენობა) და ხასიათი (ხარისხი).

პატარა შეცდომების შესაძლებლობა ერთობლიობაში უნდა იქნეს განხილული. შეცდომების თვისებრივი ასპექტები კი უკავშირდება ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორად ასახულ ინფორმაციას ან ფაქტების არასათანადოდ აღწერას.

არსებითობა განხილულ უნდა იქნეს როგორც მთელი ფინანსური ანგარიშგების დონეზე, ასევე ცალკეული ანგარიშის ნაშთის დონეზე

ბ) არსებითობა და აუდიტორული სამუშაო

აუდიტორებს მოეთხოვებათ არსებითობის გათვალისწინება, როდესაც გეგმავენ აუდიტორულ პროცედურებს. თუ გამოვლინდება ისეთი ფაქტორები, რომელიც დაგეგმილი სამუშაოების ან არსებითობის წინასწარი შეფასების გადასინჯვის აუცილებლობას იწვევს, აუდიტორებმა უნდა განიხილონ ამ სიტუაციის გაელენა აუდიტის ჩატარების მიდგომაზე და აუცილებლობის შემთხვევაში შეცვალონ არსებითობის დონე და დაგეგმილი აუდიტორული პროცედურების ხასიათი, ვადები და მოცულობა.

როდესაც აუდიტორი იხილავს, ასახავს თუ არა უტყუარ და სამართლიან თვალსაზრისს ფინანსური ანგარიშგება, მან უნდა შეაფასოს შეუსწორებელი უზუსტობების აგრეგირებული სიდიდის არსებითობა.

დასკვნა

იმისათვის, რომ დავალება ეფექტურად და მწარმოებლურად შესრულდეს, აუდიტი აუცილებლად უნდა დაიგეგმოს. ახალი აუდიტის დროს, აუდიტორი იხილავს გენერალურ მიდგომას და შემდეგ ადგენს აუდიტის დეტალურ გეგმას. გეგმის შედგენის დროს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება „არსებითობას" და „აუდიტორული რისკის" კონცეფციას. ვინაიდან აუდიტორმა აქცენტი უნდა გადაიტანოს გადამწყვეტი მნიშვნელობის საკითხებზე, რომლებიც გაელენას იქონიებს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თვალსაზრისზე.

Meadow-ს ფინანსური ანგარიშგების პროექტიდან თქვენ მოიპოვეთ შემდეგი ინფორმაცია:

(1) ფინანსური ამონარიდები

წელი მთავრდება 30 სექტემბერს

მოგებისა დაზარალის ანგარიშგება	2002 მლნ	2001 მლნ
ბრუნვა	1585,0	2638,8
სულ საოპერაციო მოგება	129,1	
ანარიცხები ზარალისათვის ოპერაციების მოსალოდნელი შეწყვეტიდან (შენიშვნა (1))	(83,8)	
ფინანსური დანახარჯები (ნეტო)	(4,7)	(4,8)

მოგება დაბეგვრამდე	40,6	115,2

30 სექტემბრის მდგომარეობით ბალანსი	2002 მლნ	2001 მლნ
მატერიალური გრძელვადიანი აქტივები		
მიწა და შენობები	950,3	964,0
მაღაზიების აღჭურვილობა და მოწყობილობები	448,9	481,8
მარაგი (შენიშვნა 2)	164,2	165,9
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	22,5	36,9
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტი	53,7	104,6

შენიშვნები:

(1) კომპანიამ გამოაცხადა თავისი განზრახვა იმის შესახებ, რომ აპირებს ზარალიანი ბიზნესის დახურვას აფრიკაში. დახურვის გადაწყვეტილება მხოლოდ თანამშრომელთა წარმომადგენელ ორგანიზაციებთან კონსულტაციების შემდეგ განხორციელდება, ხოლო თუ ასე არ მოხდება, კონსულტაციების პერიოდში სხვა გადაწყვეტილება გამოიძებნება. დახურვის ნეტო დანახარჯები 83,3 მლნ აშშ დოლარი აისახა ანარიცხების სახით, რომელიც მოიცავს მომავალ საჭირო ზარალს, აქტივების გაყიდვასთან დაკავშირებულ ზარალსა და თანამშრომელთა შემცირების დანახარჯებს.

(2) მარაგი შეფასებულია თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით, საცალო მეთოდით (ე. ი. რეალიზაციის ღირებულების შემცირებით საერთო მოგების მარჟის შესაფერისი პროცენტული წილით)

(2) **სეგმენტური ინფორმაცია**

ბრუნვა	საოპერაციო მოგება			
	2002	2001	2002	2001
საერთაშორისო				
აფრიკა	99,0	96,7	(11,8)	(9,0)
სამხრეთ ამერიკა	264,0	250,0	11,1	5,0
შორეული აღმოსავლეთი	38,3	38,9	2,8	(1,2)
სულ საერთაშორისო	401,3	386,1	2,1	(4,9)
ადგილობრივი	2183,7	2252,7	127,0	124,9
სულ საოპერაციო საქმიანობა	2585,0	2638,8	129,1	120,0

მაღაზიების რაოდენობა	2002	2001
საერთაშორისო		
აფრიკა	14	13
სამხრეთ ამერიკა	86	87
შორეული აღმოსავლეთი	4	4
სულ საერთაშორო	104	104
ადგილობრივი	107	106
სულ:	211	210

(3) საერთაშორისო რესტრუქტურიზაცია

2002 წლის 29 სექტემბერს კომპანიამ გამოაცხადა თავისი განზრახვა:

- აფრიკის ყვალა ქვედანაყოფის დახურვის შესახებ (წარმოქმნილია 14 მაღაზიით)
- სამხრეთ აფრიკის ბიზნესის გაყიდვის შესახებ.

მოგეთხოვებათ:

ა) გამოიყენოთ პირობაში მოცემული ინფორმაცია, განსაზღვროთ და აუხსნათ ძირითადი აუდიტორული რისკები და სხვა საკითხები, რომელსაც გაითვალისწინებთ Meadow-ს იმ წლის საბოლოო აუდიტის დაგეგმვის დროს, რომელიც მთავრდება 2002 წლის 30 სექტემბერს.

ბ) აღწერეთ, რა სახის სამუშაოს ჩაატარებთ იმის დასადგენად, შესაფერისია თუ არა საალრიცხო მეთოდი ფინანსური ანგარიშების შენიშვნებში მოცემული განმარტებები:

(1). სეგმენტური ინფორმაციისათვის; და

(2). საერთაშორისო რესტრუქტურიზაციისათვის აუდიტორი ამ ინფორმაციას მოიპოვებს:

ა) წინამორბედი აუდიტორისაგან;
ბ) წინა წლების სამუშაო დოკუმენტებიდან;
ც) დარგის სტატისტიკური ინფორმაციიდან;
დ) პრესიდან და დარგობრივი ჟურნალებიდან;
ე) ბანკებიდან და სხვა კონსულტანტებიდან;
ფ) წინა წლის ფინანსური ანგარიშებიდან;
გ) თვითონ დამკვეთისაგან
ჰ) ანალიტიკური ანგარიშებიდან

პასუხი: ცხადია, რომ კომპანია შპს **jenny** ამ კომპანიას აქვს პოტენციურად არასტაბილური ბიზნესი და არადამაკმაყოფილებელი კონტროლის სისტემა. შეცდომის რისკი მაღალია. დაბალი შეუმჩნეველობის რისკი ზრდის აუდიტორული ტესტირების დონეს.

თავი 11

აუდიტორული მტკიცებულებები

აუდიტორული მოსაზრების განსტკიცებლად აუცილებელია აუდიტორული მტკიცებულებები. აუდიტორმა უნდა შეკრიბოს საკმარისი, შესაფერისი და საიმედო მტკიცებულებები, რათა დარწმუნდეს, რომ აუდიტის ცალკეული ტესტის მიზანი მიღწეულია და, მაშასადამე, შესაძლებელია საერთო აუდიტორული მოსაზრების ჩამოყალიბება მთლიან ფინანსურ ანგარიშგებაზე.

აუდიტის დაგეგმვის დროს აუდიტორს ასევე ესაჭიროება განიხილოს, რა ტიპის აუდიტორული მტკიცებულებები იქნება აუცილებელი, რათა უზრუნველყოფილ იქნეს გარანტია, რომ ამ მტკიცებულებებს ის დროულად შეკრებს. საქმე იმაშია, რომ ზოგიერთი ტიპის მტკიცებულება, მაგალითად „დებიტორული დავალიანების დასტური“ საჭიროებს სხვა პირთა, ე. ი. დამკვეთისა და მისი მომხმარებლების მონაწილეობასა და თანამშრომლობას. ასეთ შემთხვევაში, როდესაც მტკიცებულებების შეკრების პროცესი შედარებით ხანგრძლივია, უმჯობესია დაგეგმვა სათანადო დონეზე იყოს ორგანიზებული (დაგეგმვის საკითხებზე დაწერილებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ წინა თავს).

ასევე მნიშვნელოვანია დამკვეთის დირექტორების მიერ მომზადებული ფინანსური ანგარიშგების მტკიცებების განხილვა. ეს მტკიცებები საფუძვლად უდევს ფინანსური ანგარიშგების ყველა მუხლს და, მაშასადამე, აუდიტორმა მტკიცებულებები უნდა შეკრიბოს ამ მტკიცებების განსამტკიცებლად.

საგამოცდო საკითხებზე პასუხის გაცემა გაცილებით გაგიადვილდებათ თუ შეძლებთ ძირითადი ტესტების ჩამოყალიბებას ამ მტკიცებების საფუძველზე, ნაცვლად იმისა, რომ დაიზეპიროთ ცალკეული ტიპის აქტივებისა და ვალდებულებებისათვის შესაფერისი ტესტების ვრცელი ჩამონათვალი.

ასევე ყურადღება უნდა მიაქციოთ მტკიცებულებების ხასიათსა და ხარისხს, რომელიც მოეთხოვება ასს 500-ით (გადასინჯული) – „აუდიტორული მტკიცებულება“.

კერძოდ, ასს 500 (გადასინჯული) მოითხოვს, რომ აუდიტორმა „მოიპოვოს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები, რათა შეძლოს დასაბუთებული დასკვნების გამოტანა რომელიც საფუძვლად დაედება აუდიტორულ მოსაზრებას (დასკვნას)“.

„საკმარისობა“ დაკავშირებულია აუდიტორული მტკიცებულებების რაოდენობასთან, „შესაფერისობა“ კი აუდიტორული მტკიცებულებების ხარისხთან ანუ საიმედოობასა და შესაბამისობასთან, მართებულობასთან.

როგორც წესი, მტკიცებულებების მოპოვება მრავალი სხვადასხვა წყაროდან ხდება. ეს იმიტომ, რომ მტკიცებულებების უმეტესობა დასკვნის საფუძვლად გამოდგება, მაგრამ თავისთავად არ წარმოადგენს დასკვნას და აუდიტორი ცდილობს დასაბუთებული და არა აბსოლუტური რწმუნების მიღწევას.

საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები

აუდიტორის მიერ მტკიცებულებების საკმარისობა და შესაფერისობის საკითხის განსჯაზე გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები:

- თანდაყოლილი რისკის აუდიტორისეული შეფასება ფინანსური ანგარიშების დონესა და ცალკეული ანარიშების ნაშთების ან ოპერაციების კატეგორიების დონეზე;
- ბუღალტრული აღრიცხვისა და შიდა კონტროლის სისტემების ხასიათი და კონტროლი;
- განსახილველი მუხლის არსებითობა;
- წინა წლების აუდიტებიდან მიღებული გამოცდილება;
- აუდიტორული პროცედურების შედეგები;
- ხელმისაწვდომი ინფორმაციის წყარო და საიმედოობა.

წინათ უკვე აღვნიშნეთ, რომ რისკის შეფასება გავლენას ახდენს აუცილებელი მტკიცებულებების მოცულობაზე.

რისკი შეიძლება არსებობდეს რომელიმე კონკრეტულ სფეროში, მაგალითად, სასაქონლო-მატერიალური მარაგის ან საეჭვო ვალების რეზერვები ყოველთვის

სუბიექტურია და, მაშასადამე, ეს სფეროები მაღალი რისკის მატარებელია. პირიქით, შესაძლოა არსებობდეს რისკი, რომელიც დამახასიათებელი იქნება მთლიანად ფინანსური ანგარიშებისათვის. მაგალითად:

- აუდიტორებს შესაძლოა გამოვლენილი ჰქონდეთ არსებული შეცდომები წარსულში; ისინი შეიძლება არ ენდობოდნენ იმ პირებს, ვინც აწარმოებენ ბუღალტრულ ჩანაწერებს;
- კომპანიას შესაძლოა გაკოტრება ემუქრებოდეს და იმისათვის, რომ შთაბეჭდილება მოახდინოს პოტენციურ ფინანსურ „მფარველებზე", უფრო უკეთ ჰქონდეთ ნაჩვენები ციფრობრივი მონაცემები;
- პრემიები, რომლებსაც ხელმძღვანელობას უხდიან, შეიძლება დამოკიდებული იყოს სამეურნეო სუბიექტის საანგარიშგებო შედეგებზე.

ასს 500 (გადასინჯული) მოითხოვს, რომ როდესაც აუდიტორი სამეურნეო სუბიექტის მიერ შექმნილ ინფორმაციას იყენებს აუდიტორული პროცედურების ჩასატარებლად, აუდიტორმა უნდა მოიპოვოს აუდიტორული მტიცებულებები ამ ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

ძირითადი პროცედურები – შესაფერისობა

ძირითადი პროცედურები არის ტესტები რომლებიც ტარდება აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობების გამოვლენის მიზნით. ძირიდი პროცედურები ორი სახისაა:

- ტესტები ოპერაციებისა და ნაშთების ცალკეული ელემენტისათვის;
- ანალიზური პროცედურები.

აუდიტორული მტკიცებულებების შესაფერისობა განხილულ უნდა იქნეს ფინანსური ანგარიშგების მტკიცებებთან მიმართებით (ე. ი. ხელმძღვანელობის მიერ მომზადებულ მტკიცებებთან მიმართ, რომლებიც განსახიერებულია ფინანსურ ანგარიშგებაში). ეს საკითხები განვიხილეთ მე-6 თავში და ამ თავშიც კიდევ განვიხილავთ მოგვიანებით.

ძირითადი პროცედურები – საიმედოობა

აუდიტორული მტკიცებულებების საიმედოობა დამოკიდებულია კონკრეტულ გარემოებებზე, ამიტომ სასარგებლო იქნება თუ გაითვალისწინებთ შემდეგ საერთო ხასიათის მოსაზრებებს:

- გარეშე წყაროებიდან მოპოვებული მტკიცებულებები უფრო საიმედოა, ვიდრე სამეურნეო სუბიექტის დოკუმენტაციიდან მოპოვებული (მაგ.: მესამე მხარისაგან მიღებული დასტური);
- სამეურნეო სუბიექტის ჩანაწერებიდან მოპოვებული მტკიცებულებები მით უფრო საიმედოა, რაც უფრო ეფექტიანად მუშაობს მისი ბუღალტრული აღრიცხვისა და შიდა კონტროლის სისტემები;
- უშუალოდ აუდიტორების მიერ ანალიზისა და ფიზიკური დათვალიერების გზით შეკრებილი მტკიცებულებები უფრო საიმედოა, ვიდრე სამეურნეო სუბიექტის მიერ ან სამეურნეო სუბიექტისგან შეკრებილი მტკიცებულებები.
- დოკუმენტური მტკიცებულებები უფრო საიმედოა, ვიდრე ზეპირი, სიტყვიერი.

დოკუმენტური მტკიცებულებები შედარებით ნაკლებად საიმედოა, თუ ის სამეურნეო სუბიექტის მიერ არის შექმნილი და მასთან ინახება (მაგალითად, ანგარიშ-ფაქტურა). გაცილებით საიმედოა, თუ მტკიცებულებები შექმნილია მესამე მხარის მიერ და ინახება მოცემულ სამეურნეო სუბიექტთან (მაგალითად, მიმწოდებლის ყოველთვიური ანგარიშები). ყველაზე უფრო საიმედოა ისეთი დოკუმენტური მტკიცებულებები, რომლებიც შექმნილია მესამე მხარის მიერ და ინახება აუდიტორთან (მაგალითად, დებიტორული დავალიანების დასტური).

აუდიტორმა უნდა განიხილოს, ხომ არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს სახვადასხვა ტიპის მტკიცებულებების საფუძველზე გამოტანილი დასკვნები. თუ ერთი წყაროდან მოპოვებული მტკიცებულება არ შეესაბამება მეორე წყაროდან მოპოვებულ მტკიცებულებას, მათი საიმედოობა საეჭვოდ მიიჩნევა მანამ, სანამ შემდგომი პროცედურებით არ გადაიჭრება ეს შეუსაბამობა. მეორე მხრივ, თუ რომელიმე ერთ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებული მტკიცებულების ყველა ცალკეული ელემენტი

შეესაბამება ერთმანეთს, მაშინ აუდიტორს ექნება უფრო მაღალი დონის რწმუნება იმასთან შედარებით, რომელსაც მიიღებდა მტკიცებულების ცალკეული ელემენტისაგან. ეს არის „სინერგიის" ნიმუში.

სამწუხაროდ, არ არსებობს ისეთი ზუსტი წესები, რომლის მიხედვით შესაძლებელი იქნებოდა მტკიცებულების საიმედოობის გაზომვა. ეს საკითხი ძალიან ხშირად აუდიტორის პროფესიული განსჯის საგანია, მაგრამ გახსოვდეთ ზემოთ განხილული სავარაუდო მოსაზრებები მტკიცებულებების საიმედოობაზე.

საკმარისობისა და შესაფერისობის კონცეფცია მარტო ძირითად პროცედურებს არ უკავშირდება. თქვენ უნდა გაიგოთ, რომ იგი ანალოგიურად უკავშირდება კონტროლის ტესტებსაც.

აუდიტორების მიმართ დაუდევრობის მოტივით წაყენებული პრეტენზიების უმრავლესობა დაკავშირებულია აუდიტორული მტკიცებულებების დაბალ ხარისხთან.

დოკუმენტაცია

აუდიტის დოკუმენტაცია

აუდიტის პროცესში არსებითი რაოდენობის მტკიცებულებების მოპოვება ხშირად დოკუმენტაციის ფორმით ხდება. თუმცა, ამგვარი მტკიცებულებების მნიშვნელობის ამცირებს პერსონალური კომპიუტერების გამოყენების უპირატესობა, ვინაიდან მტკიცებულებების დიდი ნაწილი კომპიუტერზე ნაბეჭდი ასლების სახით არის მოპოვებული. ამასთან დაკავშირებით, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ ამგვარი დოკუმენტაცია კარგად იყოს ორგანიზებული.

დოკუმენტაციამ უნდა უზრუნველყოს შემდეგი ზოგადი მიზნების მიღწევა:

- დოკუმენტაცია საკმარისად დეტალური და სრულყოფილი უნდა იყოს იმისათვის, რომ აუდიტორმა, რომელიც მოცემულ აუდიტში წინათ არ მონაწილეობდა, შეძლოს შესრულებულ სამუშაოში და იმ მიზეზებში გარკვევა, რის საფუძველზეც იყო გამოტანილი დასკვნები;
- დოკუმენტაცია უნდა იყოს სავსებით თანამედროვე, მუდმივად განახლებული, რათა დროის ნებისმიერ მომენტში შესაძლებელი იყოს აუდიტის მიმდინარეობის მდგომარეობის შეფასება;
- დოკუმენტაციიდან უნდა ჩანდეს დროის კონკრეტული მომენტისთვის არსებული ფაქტები და ამ ფაქტებზე დაყრდნობით აუდიტორის მიერ გამოტანილი დასკვნების მიზანშეწონილობის დასაბუთება.

3. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

3.1. ბასს 24 " დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები"

აუდიტის პოზიციიდან, დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციებმა შეიძლება მნიშვნელოვანი პრობლემები გამოიწვიოს. სანამ ამ საკითხთან დაკავშირებულ აუდიტორულ მოსაზრებებს გაეცნობით, განეიხილოთ ბასს 24-ის — „დაკავშირებულ მხარეთა ახსნა-განმარტებები" — საკვანძო ელემენტები.

დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციები შეიძლება შესრულებული არ იყოს „გაშლილი ხელის მანძილის" პრინციპით. ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლისათვის განსაკუთრებული მიშვნელობა აქვს ინფორმაციის მიწოდებას. ამგვარი ოპერაციების არსებობისა და იმ ურთიერთობების შესახებ, რომელიც საფუძვლად უდევს ამ ოპერაციებს.

ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი იმისა, თუ რატომ არის აუცილებელი დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების შესახებ ინფორმაციის გაშუქება ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში ის არის რომ უკანასკნელი წლების ზოგიერთი ფინანსური სკანდალებისათვის სწორედ დაკავშირებულ მხარეთა ოპეაციების არსებობა იყო ნიშანდობლივი. ამ მხარეებიდან ბევრს დომინანტური მდგომარეობა ეკავა კომპანიაში მთავარი აღმასრულებლის უფლებამოსილებით, რომელიც ასევე გამოდიოდა დაკავშირებულ მხარედ.

უფრო ზოგადად თუ ვიტყვით, დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციები — მაგ., ერთსა და იმავე ჯგუფში შემავალ საწარმოებს შორის — თანამედროვე ბიზნესის დამახასიათებელი საერთო ნიშანია. ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში ამგვარი ოპერაციების გაშუქების, რომელთაგან ზოგიერთი შეიძლება არ იყოს შესრულებული „გაშლილი ხელის მანძილის" პრინციპით, აგრეთვე იმ ურთიერთო-

ბებისა, რომლებიც საფუძვლად უდევს ამ ოპერაციებს, ანგარიშგების მომხმარებელს მიანიშნებს მათ მნიშვნელობაზე, ანგარიშვალდებული სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის შედეგებთან და ფინანსურ მდგომარეობასთან მიმართებით. ამაეე მიზეზით მოითხოვება ინფორმაციის გაშუქება იმ ოპერაციების შესახებ, რომელიც სრულდება მრავალ სხვა დაკავშირებულ მხარესთან – მაგ., დირექტორებთან, მეკავშირე საწარმოებთან, საპენსიო ფონდებთან და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან.

ბასს 24-ში აღწერილია ისეთი სიტუაციების მაგალითები, როდესაც აუცილებელია ინფორმაციის გაშუქება ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში, თუ საქმე ეხება დაკავშირებულ მხარეებს:

ა) საქონლის შესყიდვა ან გაყიდვა;
ბ) ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივების შესყიდვა ან გაყიდვა;
გ) საშუამავლო შემოსავლები;
დ) საიჯარო შეთანხმებები;
ე) სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა გადაცემა;
ვ) სალიცენზიო შეთანხმებები;
ზ) დაფინანსება;
თ) გარანტიები და უზრუნველყოფა;
ი) მმართველობითი ხასიათის კონტრაქტები.

განმარტებითი შენიშვნები

ა) როდესაც კონტროლი არსებობს, დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობები მაშინაც კი უნდა გაშუქდეს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში, თუნდაც მათ შორის არ იყოს შესრულებული ოპერაციები;

ბ) თუ დაკავშირებულ მხარეებს შორის შესრულებულია ოპერაციები, ანგარიშვალდებულმა საწარმომ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში უნდა განმარტოს:

1. დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობის ხასიათი;
2. ოპერაციების ტიპები;
3. ოპერაციების ის ელემენტები, რაც აუცილებელია ფინანსური ანგარიშგების გასაგებად, მათ შორის ოპერაციების მოცულობის, ფასწარმოქმნის პოლიტიკისა და გადავადებული მუხლების თანხების ან შესაბამისი ხვედრითი წილების მითითებით.

შიდაჯგუფური ოპერაციები

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ მოითხოვება შიდა ჯგუფური ოპერაციების შესახებ ინფორმაციის გაშუქება და ამ ოპერაციების ნაშთები ელიმინირდება კონსოლიდაციის დროს.

აუდიტორული მოსაზრებები დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციებზე

ასს 550 – „დაკავშირებული მხარეები" – ეხება აუდიტორის პასუხისმგებლობის საკითხს დაკავშირებულ მხარეებთან მიმართებით.

ა) ზოგადი მიზნები

აუდიტის უპირველესი მიზანია საკმარისი აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე. მოსაზრების გამოთქმა იმის შესახებ, ასახავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება უტყუარ და სამართლიან თვალსაზრისს, აუდიტორმა ამ პროცესში უნდა სცადოს, დააგენინოს:

- დაკავშირებულ მხარეთა არსებობა;
- ამ დაკავშირებულ მხარეებთან შესასრულებელი ოპერაციების ხასიათი და მოცულობა;
- სამართლიანად არის თუ არა წარმოდგენილი ეს ოპერაციები ფინანსურ ანგარიშგებაში.

აუდიტორმა მტკიცებულებები უნდა შეკრიბოს ამ სამ ასპექტზე, ვინაიდან:

I. კომპანიის შესაძლებლობა, განსაზღვროს ამგვარ დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები, წარმოადგენს შიდა კონტროლის სიძლიერეს; პირიქით, თუ კომპანია ყურადღებას არ აქცევს ამგვარ ოპერაციებს, კონტროლი სუსტია და აუდიტორმა ამის შესახებ უნდა აღნიშნოს თაეის წერილში შიდა კონტროლის ნაკლოვანებებზე;

II. ამგვარი ოპერაციების აღიარება აუდიტორს ეხმარება აუდიტორული შემოწმების სამუშაოს გაუმჯობესებასა და მტკიცებულებების მოპოვებაში ამ რისკიან სფეროში;

III. ზოგ შემთხვევაში, ამგვარი ოპერაციების ხასიათმა ან მოცულობამ შეიძლება გამოიწვიოს მცდარი ფინანსური ანგარიშგება, თუ სათანადო განმარტებები არ გაკეთდა ფინანსურ ანგარიშგებაში.

ბ) დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების არსებობის დადგენა

აუდიტორული შემოწმების ჩვეულებრივი მსვლელობისას აუდიტორისათვის ცნობილი ხდება ბევრი დაკავშირებული მხარის არსებობა, თუმცა ასს 550 ადგენს შემდეგ პროცედურებს, რომლებიც აუდიტორმა აუცილებლად უნდა ჩაატაროს დაკავშირებულ მხარეთა დასადგენად:

I. წინა წლის სამუშაო დოკუმენტაციიდან ცნობილი დაკავშირებული მხარეების ეინაობის გადამოწმება;

II. დაკავშირებულ მხარეთა დასადგენად სამეურნეო სუბიექტის მიერ გამოყენებული პორცედურების შემოწმება;

III. დირექტორებისა და სხვა თანამდებობის პირთა დამოკიდებულება იმის თაობაზე, არიან თუ არა დაკავშირებულნი სხვა სამეურნეო სუბიექტებთან;

IV. აქციონერთა დოკუმენტაციის შემოწმება ძირითად აქციონერთა სიის მოპოვება აქციების სარეგისტრაციო ჟურნალიდან;

V. აქციონერთა და დირექტორთა საბჭოს კრებების ოქმებისა და სხვა შესაბამისი ოფიციალური ჩანაწერების გადამოწმება, როგორიცაა დირექტორთა კუთვნილი წილების შესახებ დოკუმენტაცია;

VI. მიმდინარე აუდიტში ჩართული სხვა აუდიტორების ან წინამორბედი აუდიტორების გამოკითხვა იმის თაობაზე, ცნობილია თუ არა მათთეის სხვა დამატებითი დაკავშირებული მხარეები;

VII. სამეურნეო სუბიექტის საგადასახადო დეკლარაციისა და სხვა ისეთი ინფორმაციის შემოწმება, რომელიც სათანადო მარეგულირებელ ორგანოებს მიეწოდება.

გ) დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების ხასიათისა და მოცულობის დადგენა

ამასთან დაკავშირებით, უპირველესი მოთხოვნაა, რომ აუდიტორი კარგად გაერკვეს დამკვეთის საქმიანობის თავისებურებებში. ან არ უნდა იფიქროს, რომ ძალიან ცოტა დრო დაუთმოს არაარსებით მუხლებს.

ამასთან აუდიტორმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს:

I. ოპერაციებს, რომლებიც ეხება სესხის აღებას ან გაცემას საბაზრო საპროცენტო განაკვეთზე დაბალი საპროცენტო განაკვეთებით, ან როდესაც გადახდის პირობები არ არის განსაზღერული;

II. არაფულადი ოპერაციები, რომლებიც, სავარაუდოდ, აქტივების გაცვლას გულისხმობს. რეალური ღირებულების დასაბუთებული დადგენის გარეშე, აუდიტორმა სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს;

III. ცალ-ცალკე უნდა განიხილოს არაორდინალური ოპერაციები, განსაკუთრებით ისეთები, რომლებიც შესრულდა საანგარიშგებო წლის მიწურულს და რაც შეიძლება იმაზე მეტყველებდეს, რომ ადგილი აქვს ფინანსური ანგარიშგების დამახინჯებას (მანიპულირებას);

IV. ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობის დროს შესრულებულ დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციებისათვის, საზოგადოდ, საკმარისი იქნება მცირე მოცულობის შერჩევითი ერთობლიობის ტესტირება; ამგვარი ტესტების ჩატარება შეიძლება სხვა აუდიტორული პროცედურების შემადგენელი ნაწილის სახით;

V. ცალ-ცალკე უნდა შემოწმდეს ოპერაციები, რომლებიც სცილდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობის ფარგლებს; ხელმძღვანელობის ნებისმიერი ოფიციალური ინფორმაციის განსამტკიცებლად, აუდიტორმა უნდა მოიპოეოს დამოუკიდებელი მტკიცებულებები, მაგალითად, მესამე მხარებთან დადებული ხელშეკრულებები. უდიტორმა უნდა შეამოწმოს დირექტორთა საბჭოს სხდომის ოქმებიც, რათა დარწმუნდეს, რომ ეს ოპერაციები საბჭოს მიერ იყო დამტკიცებული.

ანგარიშის წარდგენა დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების შედეგებზე (გაჟღენაზე)

ა) სამეურნეო სუბიექტის დირექტორებისათვის

თუ აუდიტორი დარწმუნებულია, რომ საბჭოსათვის ცნობილი არ არის დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები (მაგ., აუდიტორმა ვერ იპოვა საბჭოს სხდომების ოქმებში ამა თუ იმ ოპერაციის დამტკიცება), აუდიტორმა ოფიციალურად უნდა აცნობოს ამის შესახებ საბჭოს.

მან ხელმძღვანელობის ოფიციალური წერილის სახით, ასევე უნდა მოიპოვოს ხელმძღვანელობისაგან განცხადება, რომ არ შესრულებულა სხვა ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, გარდა იმისა, რაც აუდიტორებს უკვე გაუმხილეს.

ბ) სამეურნეო სუბიექტის წევრებისათვის

თუ დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები შესრულებულია ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას და ისინი სამართლიანად არის განმარტებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში, აუდიტორი ადგენს უპირობო დასკვნას. უდიტორმა შეიძლება ეს ოპერაციები იმდენად მნიშვნელოვნად მიიჩნიოს ფინანსური ანგარიშგების გაგების თვალსაზრისით, რომ მიზანშეწონილად ჩათვალოს ამ საკითხის ხაზგასმა მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველ აბზაცში. ეს შეიძლება იყოს შემთხვევა, როდესაც შეილობილი საწარმო მთელ თავის პროდუქციას სათაო საწარმოზე ყიდის.

თუ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში ამ საკითხზე გაკეთებული განმარტებები არ არის ადეკვატური, საჭირო იქნება პირობითი დასკვნის შედგენა, თუ ეს ოპერაციები არსებითია, ფინანსური ანგარიშგების სათანადო დონეზე შეფასების თვალსაზრისით.

დაკავშირებულ მხარეთა დადგენა

დაკავშირებულ მხარეთა დასადგენად აუცილებელია გამოიყენოთ ბასს 24-ის განმარტება. მრავალ სიტუაციაში აშკარად ჩანს დაკავშრებულ მხარეთა ურთიერთობის არსებობა, მაგალითად, შეილობილი საწარმო აშკარად სათაო საწარმოს დაკავშირებული მხარეა.

უფრო რთულ სიტუაციებში შეიძლება აუცილებელი იყოს იმის განხილვა, გათვალისწინებულია თუ არა ეს მხარე დაკავშირებულ მხარეთა განმარტების (ბ) და (დ) პუნქტებში, ასევე კონტროლისა და გაელენის ამოსავალი პრინციპების განხილვაც, ხშირად ძალიან მნიშვნელოვანია, რა ხდება სინამდვილეში ამ ურთიერთობაში.

ხელმძღვანელობის მიერ წარდგენილი ოფიციალური ინფორმაცია, როგორც აუდიტორული მტკიცებულება

შესავალი

ხელმძღვანელობის მიერ წარდგენილი ოფიციალური ინფორმაცია აუდიტორული მტკიცებულებების ერთ-ერთი წყაროა. ეს ინფორმაცია აუდიტორული მტკიცებულებების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ნებისმიერი სიდიდის კომპანიის აუდიტის დროს. ასს 580-ში – „ხელმძღვანელობის მიერ წარდგენილი ოფიციალური ინფორმაცია" – განსაზღვრულია წესები, რომლებიც გამოიყენება ამგვარი მტკიცებულებების შეკრებისა და გამოყენების დროს.

ასს 580 " ხელმძღვანელობის მიერ წარდგენილი ოფიციალური ინფორმაცია"

ასს 580 განსაზღვრავს საუკეთესო პრაქტიკას, რომელიც უნდა განახორციელონ აუდიტორებმა ამ სფეროში:

- აუდიტორმა ხელმძღვანელობისაგან უნდა მოიპოვოს სათანადო ინფორმაცია;
- აუდიტორმა უნდა მიიპოვოს ისეტი მტკიცებულება, რომელშიც ხელმძღვანელობა აღიარებს თავის პასუხისმგებლობას ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშებისათვის დადგენილი შესაბამისი ჩარჩოების მიხედვით და დაადასტურებს მას;
- აუდიტორმა ფინანსურ ანგარიშგებისათვის არსებით საკითხებზე წერილობითი ინფორმაცია ხელმძღვანელობისაგან უნდა მოიპოვოს იმ შემთხვევაში, როდესაც სხვა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების არსებობა მოსალოდნელი არ არის;

აუდიტორმა ხელმძღვანელობისაგან უნდა მოიპოვოს წერილობითი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ის:

- აღიარებს თავის პასუხისმგებლობას, შიდა კონტროლის სისტემის დაპროექტებასა და დანერგვაზე შეცდომების თავიდან აცილებისა და გამოვლენის მიზნით; და
- დარწმუნებულია, რომ ფინანსური ანგარიშგებისათვის შეუსწორებელი უზუსტობები, რომლებიც გამოვლენილია აუდიტორის მიერ აუდიტის პროცესში, არც ცალცალკე და არც ერთად აღებული არსებითი არ არის მთლიან ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებით. მეარი მუხლების მოკლე მიმოხილება უნდა ჩაერთოს ან დაერთოს წერილს;
- თუ ხელმძღვანელობის ოფიციალური ინფორმაცია ეწინააღმდეგება სხვა აუდიტორულ მტკიცებულებებს, აუდიტორმა უნდა გამოიკელიოს კონკრეტული საკითხები და საჭიროების შემთხვევაში, ხელახლა განიხილოს ხელმძღვანელობის სხვა ოფიციალური წერილობითი ინფორმაციის საიმედოობაც;
- თუ ხელმძღვანელობა უარს აცხადებს ამ ინფორმაციის წარდგენაზე, რომელიც აუდიტორს ესაჭიროება, ეს გამოიწვევს აუდიტის მასშტაბის შეზღუდვას; ამიტომ აუდიტორმა უნდა შეადგინოს პირობითი დასკვნა ან უარი განაცხადოს დასკვნაში თაეისი მოსაზრების გამოთქმაზე.

ექსპერტები, როგორც აუდიტორული მტკიცებულების წყარო

სხვა ექსპერტებზე დაყრდნობა

აუდიტორებს განათლება და გამოცდილება საშუალებას აძლევს დამკვეთის ბიზნესის საკითხებში გაერკვნენ ზოგადად, მაგრამ მათ არ მოეთხოვებათ ყველა პროფესიული დისციპლინის ღრმა ცოდნა. ამიტომ, აუდიტის პროცესში აუდიტორს შეიძლება დასჭირდეს ექსპერტებისაგან მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების განხილეა, თაეისი მოსაზრების ფორმირების დროს.

ექსპერტის მტკიცებულების საჭიროების განსაზღვრა

აუდიტის დაგეგმვის ერთ-ერთ ელემენტს წარმოადგენს იმის განხილეა, დასჭირდება თუ არა აუდიტორს თავისი მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად ექსპერტის (აქტუარების, საბირეო ბროკერების, გეოლოგების, აქტუარების და ა. შ.) მტკიცებულებები.

ამ გადაწყვეტილების მიღების დროს გასათვალისწინებელია განსახილველი მუხლის არსებითობა და აუდიტორულ მტკიცებულებების სხვა წყაროების არსებობა.

გონივრული არ იქნება, თუ დაუშვებთ, რომ ყველა სიტუაციაში საჭიროა ექსპერტი იმის გამო, რომ აუდიტორმა მრავალნაირი კომერციული საქმიანობა უნდა შეასრულოს დამკვეთის ბიზნესის შესახებ ინფორმაციის შესაკრებად. გახსოვდეთ, აქ გასათვალისწინებელია დანახარჯებიც, ვინაიდან, საბოლოოდ, დამკვეთს მოუწეეს ექსპერტის დასაქირაეებლად ხარჯების გაწეეა.

თუ გადაწყდება, რომ საჭიროა ექსპერტის მტკიცებულება, მაშინ ექსპერტს ნიშნავს დამკვეთი ან აუდიტორი, დამკვეთთან შეთანხმებით. თუ დამკვეთი რაიმე მიზეზით უარს იტყვის ამაზე და ამ მუხლის შესახებ მტკიცებულებების მოპოვების სხვა წყარო არსებობს, აუდიტორმა უნდა შეადგინოს პირობითი დასკვნა.

ექსპერტის სამუშაო

იმისათვის, რომ აუდიტორი ენდოს ექსპერტის მტკიცებულებებს, ის უნდა დარწმუნდეს ექსპერტის კომპეტენტურობასა და ობიექტურობაში. თუ აუდიტორს რაიმე ეჭვი გაუჩნდება მან პრობლემა უნდა განიხილოს დამკვეთის ხელმძღვანელობასთან ერთად.

როდესაც ექსპერტს დანიშნავენ, უნდა ჩატარდეს კონსულტაციები აუდიტორს, დამკვეთსა და ექსპერტს შორის ექსპერტის სამუშაოს მასშტაბების დასადგენად; უნდა განისაზღვროს ექსპერტის სამუშაოს მიზნები, ექსპერტისთვის ხელმისაწვდომი საინფორმაციო წყაროები, მოთხოვნილი ანგარიშის ფორმა და შინაარსი და ა.შ.

აუდიტორს დასჭირდება ექსპერტის სამუშაოს საკმარისობის, შესაფერისობისა და საიმედოობის შეფასება. ამისათვის მან უნდა მეამოწმოს ექსპერტის ანგარიში და განსაზღვროს, მისაღებია თუ არა იგი სხვა შესრულებული სამუშაოსა და იმ ინფორმაციის ფონზე, რომელსაც ფლობს აუდიტორი სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის შესახებ. თუ აუდიტორს არ დააკმაყოფილებს ექსპერტის სამუშაო, მან პრობლემა

უნდა განიხილოს დამკვეთის ხელმძღვანელობასთან და ექსპერტთან ერთად. შესაძლოა საჭირო გახდეს სხვა ექსპერტის მოსაზრებაც.

აუდიტორების დასკვნები

როდესაც აუდიტორი თავისი მოსაზრების ფორმირების დროს ექსპერტის მტკიცებულებას ეყრდნობა, მან ფაქტის შესახებ არ უნდა მიუთითოს აუდიტორულ დასკვნაში, ვინაიდან მომხმარებელმა ეს შეიძლება არასწორად გაიგოს ან პირობითი დასკვნა ეგონოს, ან პასუხისმგებლობის განაწილება (გაყოფა).

პირობით მოსაზრებას აუდიტორი მაშინ გამოთქვამს, როდესაც:

ა) ხელმძღვანელობას არ შეუძლია ან არ სურს ექსპერტის მტკიცებულების მოპოვება;

ბ) გაურკვეველი რჩება ექსპერტის მტკიცებულების შესაფერისობა და საიმედოობა;

გ) ხელმძღვანელობა უარს ამბობს ექსპერტის ისეთი მტკიცებუების მიღებაზე, რომელიც შესაფერისია, საიმედოა და არსებითია ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებით;

დ) ხელმძღვანელობა უარს ამბობს და აუდიტორს არ ეთანხმება სხვა ექსპერტის დანიშვნაზე, როდესაც აუდიტორს მიაჩნია, რომ მეორე მოსაზრება აუცილებელია.

ასს 620 „ექსპერტის მიერ შესრულებული სამუშაოს გამოყენება"

აუდიტორს მოეთხოვება, რომ:

- მოიპოვოს შესაფერისი მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ ექსპერტის სამუშაო აუდიტის მიზნების ადეკვატურია;
- შეაფასოს ექსპერტის ობიექტრობა და კომპეტენცია;
- შეაფასოს ექსპერტის სამუშაოს მასშტაბები;
- შეაფასოს ექსპერტის სამუშაოს, როგორც აუდიტორული მტკიცებულების შესაფერისობა.

აუდიტის კონკრეტულ სფეროებთან დაკავშირებული აუდიტორული შემოწმების საკითხების მიმოხილვა

შესავალი

შემდეგი განყოფილების მიზანია, განვსაზღვროთ აუდიტის ზოგიერთ მნიშვნელოვან სფეროსთან დაკავშირებული აუდიტორული მტკიცებულებების ძირითადი პრობლემები. როდესაც ამ განყოფილების შესწავლას დაიწყებთ, ყოველთვის უნდა გახსოვდეთ აუდიტორის კონკრეტული მიზანი და აიმ მტკიცებულებების დანიშნულება, რომელსაც აუდიტორი მოიპოვებს. ასს 500-ში –„აუდიტორული მტკიცებულება (გადასინჯული)"–აღნიშნულია: „აუდიტორი ვალდებულია ჩაღრმავდეს დეტალებში და ისე გამოიყენოს ხელმძღვანელობის მტკიცებები ოპერაციების კატეგორიების, ანგარიშთა ნაშთებისა და ფინანსური ანგარიშგების ელემენტების წარდგენისა და ახსნა-განმარტებების შესახებ, რათა ბაზა შეიქმნას არსებითი უზუსტობების რისკების შესაფასებლად და დამატებითი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და ჩასატარებლად. აუდიტორის მიერ გამოყენებული მტკიცებები იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

ა) მტკიცებები, რომლებიც ეხება აუდიტს დაქვემდებარებული პერიოდის ოპერაციების კატეგორიებსა და მოვლენებს:

(i) წარმოშობა – სამეურნეო ოპერაციები და მოვლენები, რომლებიც დოკუმენტირებულია, მომხდარია და ეხება სამეურნეო სუბიექტს;

(ii) სირთულე – ყველა სამეურნეო ოპერაცია და მოვლენა, რომლებიც ასახული ყოფილიყო ჩანაწერებში, დოკუმენტირებულია;

(iii) სისწორე – ჩანაწერებში დოკუმენტირებულ სამეურნეო ოპერაციებთან და მოვლენებთან დაკავშირებული თანხები და სხვა მონაცემები სათანადოდ არის ასახული;

(iv) დროში გამიჯვნა – სამეურნეო ოპერაციები და მოვლენები ასახულია სწორ სააღრიცხვო (საანგარიშგებო) პერიოდში;

(ე) კლასიფიკაცია – სამეურნეო ოპერაციები და მოვლენები ასახულია სათანადო ანგარიშებში.

ბ) მტკიცებები, რომლებიც ეხება ანგარიშთა ნაშთებს პერიოდის დასასრულისათვის:

(i) არსებობა – აქტივები, ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალის წილები არსებობს;

(ii) უფლებები და მოვალეობები – სამეურნეო სუბიექტს აქვს აქტივებზე საკუთრების უფლება, ან სამეურნეო სუბიექტი აკონტროლებს აქტივებს, ხოლო ვალდებულებები-სამეურნეო სუბიექტის მოვალეობებია;

(iii) სისრულე – ყველა აქტივი, ვალდებულება და საკუთარი კაპიტალის წილები, რომლებიც აღრიცხული უნდა ყოფილიყო, დოკუმენტირებულია;

(iv) შეფასება და განაწილება–აქტივები, ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალის წილები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია შესაბამისი თანხებით და სათანადოდ არის ასახული ნებისმიერი შეფასება ან განაწილების კორექტირება;

გ) მტკიცებები, რომლებიც ეხება წარდგენასა და ახსნა-განმარტებას:

(i) წარმოშობა და უფლებები და მოვალეობები-ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მოვლენები, სამეურნეო ოპერაციები და სხვა საკითხები მომხდარია და ეხება სამეურნეო სუბიექტს;

(ii) სისრულე – ყველა განმარტება, რომელიც ასახული უნდა ყოფილიყო ფინანსურ ანგარიშგებაში, ასახულია;

(iii) კლასიფიცირება და აღქმადობა – საფინანსო ინფორმაცია სათანადოდ არის წარდგენილი და აღწერილი, ხოლო ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში მოცემული განმარტებები ნათლად და გარკვევით არის ფორმულირებული;

(iv) სიზუსტე და შეფასება – საფინანსო და სხვა ინფორმაცია ასახულია სამართლიანად და შესაფერისი თანხებით.

აუდიტორს უფლება აქვს მტკიცებები ისე გამოიყენოს, როგორც ზემოთ არის აღწერილი ამ სხვანაირად, იმ პირობით, რომ მოიცავს ყველა ზემოთ აღწერილ ასპექტს.

გარდა ამისა, აუდიტორს უნდა ახსოვდეს პროცედურები, რომლებიც გამოიყენება ასს 500-ში (გადასინჯული) აღწერილი აუდიტორული მტკიცებულებების შესაკრებად:

- დათვალიერება (აქტივების ან დოკუმენტების);
- დაკვირვება (მაგ., შიდა კონტროლის პროცედურებზე);
- გამოკითხვა (მცოდნე პიროვნებების, საწარმოს შიგნით და გარეთ)
- დადასტურება (მაგ., სამეურნეო ოპერაციებისა და ნაშთების);
- ხელახალი გამოთვლა (არითმეტიკული სიზუსტის შემოწმება);
- ხელახალი შესრულება (მაგ., აუდიტორი დამოუკიდებლად ანგარიშობს დარიცხულ ცვეთას);
- ანალიზური პროცედურები (მაგ., საბუღალტრო ინფორმაციის შესაძლო კავშირურთიერთობების შეფასება).

ბასს 2 „სასაქონლო–მატერიალური ფასეულობები"

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებისა და დაუმთავრებელი წარმოების მნიშვნელობა

ქვემოთ ჩამოთვლილია ფაქტორები, რომლებიც განაპირობებს ზემოაღნიშნული აქტივების მნიშვნელობას აუდიტის პოზიციიდან:

ა) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ნაშთებში დაშვებული უზუსტობები უშუალო გაელენას ახდენს საანგარიშგებო მოგებაზე. ხელმძღვანელობისათვის ყველაზე ადვილია აღნიშნული აქტივებით მანიპულირება და შესაბამისად, მოგების თანხების მანიპულირება ერთი საანგარიშგებო პერიოდიდან მეორეში;

ბ) აუდიტორისათვის ზოგიერთი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის იდენტიფიკაცია ძალიან ძნელია არსებობს ათასობით განსხვავებული სახეობის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა, რომელთაგან ბევრი ძალიან სპეციფიკურია

გ) შესაძლოა ძნელი იყოს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების რაოდენობის დადგენა გარკვეული მომენტისთვის. ზოგჯერ შეუძლებელია მათი მოძრაობის შეჩერება ინვენტარიზაციის პროცესში და ძნელია სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დროში ზუსტად გამოჯანა;

დ) შესაძლოა რთული იყოს მათი შეფასება. ჩვენ უკვე ეახსენეთ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების სპეციფიკურობასთან დაკავშირებული პრობლემები. მაგრამ სიძნელეები შესაძლოა წარმოიშვას ნაკლებად სპეციფიკურ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებთანაც, მათ მორალურ დაძველებასთან დაკავშირებულ საკითხებში და ა.შ., რის გამოც ძნელი იქნება ნეტო სარეალიზაციო ღირებულების დადგენა. სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებზე მისაკუთვნებელი ზედნადები ხარჯებიც, თავისი არსით, შესაძლოა სუბიექტური იყოს;

ე) საკმაოდ რთულია სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების წვრილმანი ქურდობით, დანაკარგებითა და ა.შ. განპირობებული ზარალის გაკონტროლება;

ვ) დაუმთავრებელი წარმოების სახით არსებული ზოგიერთი მნიშვნელოვანი ნაშთი, თავისი არსით, შეიძლება არამატერიალური იყოს (მაგალითად, დანახარჯები ფილმის წარმოებაზე.

საკანონმდებლო და პროფესიული მოთხოვნები

მრავალ ქვეყანას, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ბუღ ლტრული ჩანაწერების სათანადო დონეზე წარმოების მიზნით, თავიანთი სპეციფიკური საკანონმდებლო ნორმები აქვთ შემოღებული.

სს 501-ში – „აუდიტორული მტკიცებულება – დამატებითი მოსაზრებები ცალკეულ საკითხებზე" – განხილულია სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აუდიტის საკითხები, ხოლო ბასს 2-ში „სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები"– სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვის საკითხები. ასს 1-ით „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა" – მოიპოვება, რომ ცალკე აისახოს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების პოზიცია და სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული საღრიცხვო პოლიტიკა განიმარტოს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები და დაუმთავრებელი წარმოება მოიცავს ნედლეულსა და მასალებს, ნაყიდ ნახევარფაბრიკატებს, დაუმთავრებელ წარმოებასა (წარმოებული პროდუქცია დაუსრულებელი სახით)და მზა პროდუქციას.

საკანონმდებლო განმარტებითი მოთხოვნები

ჩვეულებრივ მიღებულია, რომ სასაქონლო-მატერიალური ფასეულებების პოზიცია ასახული უნდა იყოს ქვემოთ ნაჩვენები ან ანალოგიური კატეგორიების შესაბამისად:

ნედლეული და საკუთრი მოხმარებისათვის განკუთვნილი საქონელი;

დაუმთავრებელი წარმოება;

მზა პროდუქცია და ხელმეორედ გასაყიდი საქონელი;

უნაღდო ანგარიშსწორების გზით გადახდილი ფული (საშუნებლო კონტრაქტებისათვის).

დანახარჯების კალკულაციის სისტემები და ზედნადები ხარჯების განაწილება

საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი ხარჯებია, რომლებიც გაიწევა პროდუქციის წარმოების პროცესში და მოიცავს ისეთი ტიპის ელემენტებს, როგორიცაა: საწარმოს შენობის საიჯარო ქირა, განათებისა და გათბობის დანახარჯები. თავისი არსით, ზედნადები ხარჯები ორგვარია: მუდმივი და ცვალებადი.

ჩვეულებრივ, საწარმოო ზედნადები ხარჯები ემატება წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებას, საწარმოს საქმიანობის საშუალო დონის მაჩვენებლების შესაბამისად. საჭიროა ზედნადები ხარჯების წინასწარი გაანგარიშება საწარმოოსაქმიანობის მოცემული დონისათვის და მათი განაწილება იმ პროდუქციაზე, რომელიც წარმოებულია საქმიანობის მოცემულ დონეზე, თუ საწარმო იმაზე ნაკლებ პროდუქციას უშვებს, რაც ნავარაუდევი იყო, მაშინ „გამოუყენებელი" ზედნადები ხარჯები უნდა ჩამოიწეროს მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში და არ უნდა გაითვალისწინონ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მონაცემებში.

საეარაუდო საქმიანობის სხვადასხვა დონისათვის შესაძლოა საჭირო გახდეს ზედნადები ხარჯების განაწილება. ეს იმის გარანტიას იძლევა, რომ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებში გათვალისწინებული არ იქნება ჭარბი, ზედმეტი ზედნადები ხარჯები.

სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებში გასათვალისწინებელია მხოლოდ ისეთი ზედნადები ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია წარმოებასთან (საწარმოს საიჯარო ქირა და სხვა). ზოგიერთმა კომპანიამ შესაძლოა ყველა სახის ზედნადები ხარჯი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მონაცემებში გაითვალისწინოს. იმიტომ, რომ მათ ბუღალტრული აღრიცხვის სისტემას არ შეუძლია საწარმოო ზედნადები

ხარჯების გამოყოფა არასაწარმო ზედნადები ხარჯებისაგან და, შესაბამისად, მათი მოგების მაჩვენებელიც შედარებით მაღალი იქნება. იყენებენ ამგვარ, სრული დანახარჯებით კალკულაციას, აუცილებელია არასაწარმოო ზედნადები ხარჯების ცალკე გაანგარიშება. შემდეგ ეს ხარჯები უნდა გამოირიცხოს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეფასებიდან. საეარაუდოა, რომ ამგვარი გაანგარიშებები ზუსტი არ იქნება, მაგრამ საჭიროა შეძლებისდაგვარად ოპტიმალური „მიახლოებითი გაანგარიშებების" მისადაგება.

ბასს 41 „სოფლის მეურნეობა"

ბასს 41 ეხება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ბუღალტრული აღრიცხვის წესებს. თქვენ წინა დონის სასწავლო პროგრამებიდან ნასწავლი უნდა გქონდეთ მნიშვნელოვანი განმარტებები, მაგალითები და ბუღალტრული აღრიცხვის წესები.

ბასს 41 მოითხოვს, რომ ბალანსის შედგენის ყოველი თარიღისა და ნაყოფის მიღების მომენტისათვის ბიოლოგიური აქტივები შეფასდეს რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეუძლებელია რეალური ღირებულების შეფასება.

ჩვეულებრივ, აქტივების ჯგუფების შეფასების განსამტკიცებლად იარსებებს „აქტიური ბაზრის" მტკიცებულებები.

აუდიტორს დასჭირდება იმის განსაზღვრა (აქტივების ფიზიკური დათვალიერების/ჩანაწერების დათვალიერების გზით), რომ შეფასებულლი აქტივების ასაკი სწორია (მაგალითად, მერძეული ნახირის).

ასევე უნდა ჩატარდეს არითმეტიკული სიზუსტის შესამოწმებელი ტესტები.

ბასს 41 მოითხოვს ცხრილის შედგენას, სადაც შეჯერებულია სასოფლო-სამეურნეო აქტივების ღირებულებები კატეგორიების მიხედვით. უდიტორმა დამოუკიდებდალ, ხელახლა უნდა ჩაატაროს ამ დოკუმენტებზე ტესტები და დაამტკიცოს, რომ განმარტებით შენიშვნები შეესაბამება სტანდარტს.

აუდიტორმა უნდა ჩაატაროს ტესტი იმის შესამოწმებლად, რომ წარმოქმნილი შემოსავლები (მაგ., მსხვილი რქოსანი პირუტყვის ნახირის ღირებულების ზრდით) სწორად აისახა მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

როდესაც (იშვიათად) შეუძლებელია ბიოლოგიური აქტივის რეალური ღირებულების განსაზღვრა, ის უნდა შეფასდეს თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. აუდიტორმა უნდა მოიპოვოს მტკიცებულებები (ხელმძღვანელობისაგან) იმის შესახებ, რომ ამ შემთხვევაში მიზანშეწონილი არ არის რეალური ღირებულების გამოყენება.

მიაქციეთ ყურადღება, ნაყოფის მიღების მომენტის შემდეგ, სასოფლო-სამეურნეო აქტივები გადაიქცევა "სასოფლო-სამეურნეო პროდუქციად" და აღირიცხება ბასს 2-ის შესაბამისად, ჩვეულებრივი წესით.

ბასს 11 „სამშენებლო კონტრაქტები"

სამშენებლო კონტრაქტი ისეთი კონტრაქტია, რომელიც სპეციალურად ითვალისწინებს აქტივის ან ურთიერთდამოკიდებული აქტივების კონსტრუქციისათვის მჭიდროდ დაკავშირებული ან ერთიანი ფუნქციის ან მიზნის მიხედვით.

ხშირად სამშენებლო კონტრაქტები ერთზე მეტ საანგარიშო პერიოდში გრძელდება. ეს იწვევს პრობლემებს აღრიცხვისა და, შესაბამისად, აუდიტის თვალსაზრისით.

აუდიტორმა უნდა შეამოწმოს ყველა სამშენებლო კონტრაქტების გრაფიკი, რომელშიც საწარმო არის ჩართული და ჩამოაყალიბოს მოსაზრება იმის შესახებ, დამაკმაყოფილებლად არის თუ არა გამოთვლილი მოგება და ზარალი. გარდა ამისა, კონტრაქტების წარდგენა ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა შეესაბამებოდეს მოცემული ბასს-ის მოთხოვნებს. მართალია აუდიტორს აქვს სათანადო ცოდნა, რათა გაერკვეს გრძელვადიანი კონტრაქტების ბევრ ასპექტში, მაგრამ შეიძლება აუცილებელი გახდეს გარე ექსპერტების დახმარება სპეციალურ სფეროებში რწმუნების მოსაპოვებლად, როდესაც თვითონ აუდიტორს არ გააჩნიასაკმარისი ცოდნა და გამოცდილება. მაგალითად, მშენებარეზე შენობის დასრულების სტადიის განსაზღვრა.

მართალია, აუდიტის პროცესი მოითხოვს მშემოწმების სამუშაოთა ჩატარებას (მაგ., ხარჯთაღრიცხვის ჩანაწერების შემოწმება, მასალების ხარჯვისა და განაწი-

ლების შემოწმება, შრომითი და ზედნადები დანახარჯების შედარება მხარდამჭერ დოკუმენტაციასთან და ა.შ.), მაგრამ ამ სფეროში უფრო სხვა საკითხებია მგრძნობიარე, აუდიტის თვალსაზრისით: ახსნა-განმარტებები, მოგებისა და ამონაგების აღიარება და გაზომვა შეფასების საკითხები:

- საკონტრაქტო ამონაგები უნდა აღიარდეს იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც სამუშაო შესრულდა;
- საკონტრაქტო დანახარჯები უნდა აღიარდეს იმ ამონაგებთან შეპირისპირებით, რომელსაც უკავშირდება ეს დანახარჯები;
- მთლიანი საკონტრაქტო დანახარჯებიდან მოსალოდნელი გადახარჯვის თანხები დაუყოვნებლივ უნდა აღიარდეს;
- მომავალი პერიოდების საქმიანობასთან დაკავშირებული დანახარჯები (დაუმთავრებელი კონტრაქტები) გადატანილ უნდა იქნეს მომავალ პერიოდში როგორც აქტივი (იმ პირობით, თუ ისინი ამოღებადია);
- აღიარებული საკონტრაქტო ამონაგების ის ნაწილი, რომელიც არ არის ამოღებადი მოთხოვნები, ხარჯად უნდა აღიარდეს.

გრძელვადიანი აქტივები. ბასს 20 „სახელმწიფო გრანტების ბუღალტრული აღრიცხვა და სახელმწიფო დახმარების განმარტებითი შენიშვნები"

აუდიტორს სჭირდება იმის შემოწმება, რომ გრანტები სათანადოდ არის განსაზღვრული მოცემულ საანგარიშგები პერიოდში და დაკავშირებულია შესაბამის შემოსავალებთან და კაპიტალურ დანახარჯებთან. კერძოდ, აუდიტორი უნდა დარწმუნდეს, რომ გრანტის პირობები დაკმაყოფილებულია; გარკვეულ პირობებში შეიძლება გრანტი დაბრუნებას ექვემდებარებოდეს.

აუდიტორმა ასევე უნდა დაამტკიცოს, რომ გრანტები აღრიცხულია ბასს 20-ის შესაბამისად. მაგალითად, აქტივებთან დაკავშირებული გრანტები აღიარდება შესაბამისი აქტივის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და გრანტის ამონაგები შეუსაბამდება შესაბამის დანახარჯებს.

აქტივებთან დაკავშირებული გრანტების აღრიცხვის ორი მეთოდი არსებობს. პირველი – შეიძლება გრანტის ღირებულება გამოიქვითოს აქტივიდან (და აქტივის ნეტო თვითღირებულებას დაერიცხოს ცვეთა), ან შეიძლება, რომ გრანტი აისახოს როგორც გადავადებული შემოსავალი და შემდეგ განაწილდეს მოგებისა და ზარალის ანგარიშებაზე იმავე მეთოდით, როგორც ცვეთა ერიცხება შესაბამის აქტივს. აუდიტორმა დამოუკიდებლად უნდა შეასრულოს ეს პროცედურები (ხელახლა შესრულების ტესტი) და ჩაატაროს არითმეტიკული სიზუსტის ტესტებიც.

აუდიტორი უნდა დარწმუნდეს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკა შესაფერისია ბასს 20-ის მოთხოვნების გათვალისწინებით და სათანადოდ არის განმარტებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

9.2 არამატერიალური აქტივები

ზოგადი დებულებები

არამატერიალურ აქტივებს განეკუთვნება:

ა) საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე გაწეული დანახარჯები(იხ. ქვემოთ);

ბ) კონცესიები, პატენტები, ლიცენზიები, საეჭრო ნიშნები და სხვა მსგავსი უფლებები;

გ) გუდვილი (თუ შეძენილია მნიშვნელოვანი კომპენსაციის ფასად).

საერთოდ, არამატერიალური აქტივების აღიარება და შეფასება ისეთივე წესებს ემორჩილება, როგორსაც მატერიალური აქტივები. მათი აღიარება მაშინ უნდა მოხდეს, როდესაც მოსალოდნელია ამ აქტივებიდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედო შეფასება. რ უნდა აღიარდეს საწარმოში შექმნილი გუდვილი (შეძენილი გუდვილისაგან განსხვავებით), საწარმოში შექმნილი საქონელი სასაქონლო ნიშნები და სხვა ანალოგიური არამატერიალური აქტივები.

არ შეიძლება, რომ არამატერიალურ აქტივებთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც თავდაპირველად ხარჯად აღიარდება, შემდგომში აქტივებად აღიარდეს.

ამგვარი აქტივები თავდაპირველად თვითღირებულებით უნდა აღიარდეს (რასაც შეიძლება დაემატოს შემდგომი დანახარჯები, იმ პირობით, თუ მომავალში ეს დანახარჯები გამოიწვევს ეკონომიკური სარგებლის გადიდებას).

ამორტიზაცია – საზოგადოდ, არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია უნდა ხორციელდებოდეს მათი სასარგებლო მომსახურების ვადის საუკეთესო შეფასების საფუძველზე. მათი ამორტიზება შესაძლებელია 20 წელზე მეტი პერიოდის განმავლობაშიც, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს ამგვარი ქმედების გამამართლებელი სარწმუნო მტკიცებულება.

93 ბასს 38 "არამატერიალური აქტივები"

არამატერიალურ აქტივებთან დაკავშირებით განსახილველია ორი მთავარი საკითხი:

ა) არამატერიალური აქტივების აღიარება

აქ აუდიტის პრობლემას წარმოადგენს იმაში დარწმუნება, რომ არამატერიალური აქტივების აღიარებამდე დაკმაყოფილებული იყო ბასს 38-ის ყველა მოთხოვნა. აუდიტორისათვის პოტენციურად რთულ სფეროებს წარმოადგენს „სამეცნიერო- კელევითი" და „საცდელ-საკონსტრუქტორო" დანახარჯების იდენტიფიკაცია, შეფასება და მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა.

ბ) შეფასება თავდაპირველი აღიარების შემდეგ

არამატერიალური აქტივების გადაფასება შესაძლებელია მხოლოდ აფასების საზით (თუმცა პრაქტიკაში ეს იშვიათად ხდება), თუ მისი აქტიური ბაზარი არსებობს. თუ არსებობს აქტიური ბაზარი, არამატერიალური აქტივების შეფასებაზე მტკიცებულებებიც იარსებებს. ბევრი დარგისათვის დამახასიათებელია აქტიური ბაზრის არსებობა. მაგალითად, სამეურნეო სუბიექტმა შეიძლება შეისყიდოს თევზაობის კვოტები ერთი ტონა X ფუნტად. თუ თევზის ღირებულება იზრდება, უფლებების ღირებულება შეიძლება გაიზარდოს – ერთი ტონის ფასი Y ფუნტამდე. შეიძლება სამეურნეო სუბიექტმა ეს ზრდა ასახოს ფინანსურ ანგარიშგებაში, იმ პირობით, თუ ამის შემოწმება შესაძლებელი იქნება ბაზარზე კვოტების ყიდვა-გაყიდვაზე დაკვირვებისა და ფასებზე მტკიცებულებების შემოწმების გზით.

სტანდარტში მოცემულია სამეცნიერო-კელევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო დანახარჯების შემდეგნაირი განმარტებები:

სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები არის ორიგინალური და დაგეგმილი გამოკელევები, რომლებიც განხორციელებულია ახალი სამეცნიერო ან ტექნიკური ცოდნის მისაღებად;

საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები არის სამეცნიერო გამოკელევის შედეგების ან სხვა ცოდნის გამოყენება ახალი ან არსებითად გაუმჯობესებული მასალების, მოწყობილობის, საქონლის, პროცესების, სისტემების ან მომსახურების წარმოების დაგეგმვასა და პროგნოზირებაში, მათი კომერციული წარმოების ან გამოყენების დაწყებამდე.

სამეცნიერო-კელევითი დანახარჯები უნდა აღიარდეს იმ პერიოდის ხარჯებად, რომელშიც გაწეულია.

საწარმომ უნდა ჩამოწეროს საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოსთან ყველა დანახარჯი, ისეთი შემთხვევების გარდა, როდესაც მას შეუძლია ქვემოთ ჩამოთვლილი პუნქტების დემონსტრირება და მაშინ ეს დანახარჯები აქტივად უნდა აღიარდეს.:

ა) ტექნიკურად შესაძლებელია არამატერიალური აქტივისდასრულება იმ დონეზე, რომ მისი გამოყენება ან გაყიდვა გახდეს შესაძლებელი;

ბ) არამატერიალური აქტივის დასრულებისა და გამოყენების ან მისი გაყიდვის განზრახვა;

გ) არამატერიალური აქტივის გამოყენების ან გაყიდვის უნარი;

დ) თუ როგორ წარმოქმნის არამატერიალური აქტივი მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. ამასთან, საწარმომ უნდა აჩვენოს არამატერიალური აქტივის გამოყენების შედეგების ან თვით არამატერიალური აქტივის ბაზრის არსებობა, ან თუ მისი გამოყენება თვითონ საწარმოშია განზრახული – მოცემული არამატერიალური აქტივის სარგებლიანობა;

ე) საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების დასრულებისა და არამატერიალური აქტივის გამოყენების ან გაყიდვისათვის საჭირო ადეკვატური ტექნილური, ფინანსური და სხვა რესურსების არსებობა; და

ე) საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების მიმდინარეობისას გაწეული, არამატერიალურ აქტივზე მიკუთვნებადი დანახარჯების საიმედოდ შეფასების უნარი.

არ შეიძლება, რომ შემდგომ პერიოდებში აქტივებად აღიარდეს დანახარჯები, რომლებიც თავდაპირველად აღიარებული იყო.

ამორტიზაცია – აუცილებელის კაპიტალიზებული დანახარჯების ამორტიზება, რათა აისახოს მოდელი, რომლის შესაბამისადაც ხდება შესაბამისი ეკონომიკური სარგებლის აღიარება.

როგორც კი დაიწყება კომერციული წარმოება, უნდა დაიწყოს საცდელ-საკონსტრუქტორო დანახარჯების ამორტიზება პროდუქციის წარმოების დროის იმ პერიოდის მიხედვით, რომლის განმავლობაშიც ამოიღება სარგებელი საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე გაწეული დანახარჯებიდან. სამორტიზაციო პერიოდის განსაზღვრა შესაძლებელია დროის მიხედვით ან "პროდუქციის ერთეულის" მეთოდის გამოყენებით.

გაუფასურება – ყოველი სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს უნდა გადაისინჯოს გადავადებული საცდელ-საკონსტრუქტორო დანახარჯები და თუ აღარ არსებობს ამ დანახარჯების გადავადების გასამართლებელი არგუმენტ, დანახარჯები დაეყოვნებლივ უნდა ჩამოიწეროს.

ბასს 38-ის მოთხოვნების შესრულების შემოწმების აუდიტორულ სამუშაოში მთავარი პროცედურები იქნება საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა დანახარჯების აღიარების ყველა ზემოაღნიშნული პირობის დაცვის შემოწმება.

სავაჭრო ნიშნები და პატენტები

შესაძლებელია სავაჭრო ნიშნებისა და პატენტების კაპიტალიზაცია და შემდეგ ჩამოწერა სასარგებლო მომსახურების ეადის განმავლობაში, მათი განახლებისათვის (აღდგენისათვის) საჭირო მომსახურების ანაზღაურების თანხასთან ერთად, რომელიც დაერიცხება ამონაგების ანგარიშს დებეტში. ღონისძიება შეწყდება სავაჭრო ნიშნებისა და პატენტების გამოყენება, მათი ნეტო საბალანსო ღირებულება დაუყოვნებლივ უნდა ჩამოიწეროს. როგორც წესი, საწარმოს უნდა ქონდეს ყველა არსებითი მუხლის აღრიცხვის რეგისტრი, რომელიც უნდა მოწმდებოდეს შესაბამის ხელშეკრულებებთან, ბუღალტრულ ჩანაწერებთან და მესამე მხარისგან (მაგალითად, საპატენტო სააგენტოსაგან) აქტივების არსებობასა და მათზე საკუთრების უფლებაზე მოღებულდასტურის წერილთან შედარების გზით. აუდიტორმა უნდა შეამოწმოს აქტივების შეფასება. კერძოდ, უნდა განიხილოს სამომავლო შემოსავალი, რომელიც სავაჭრო ნიშნებისა და პატენტების გამოყენებას უკავშირდება, რათა დაადგინოს, ამართლებს თუ არა ის აქტივზე მიკუთვნებულ ღირებულებას. მომავალი შემოსავლის შეფასების დროს აუცილებელია გვახსოვდეს, რომ შესაძლებელია შემოსავალი არ წარმოიშვას, მაგალითად, დამკვეთის საქმიანობის შეცვლის ან ვადის ამოწურვის გამო.

გუდვილი

საზოგადოდ, უნდა ხდებოდეს შეძენილი გუდვილის, როგორც არამატერიალური გრძელვადიანი აქტივის კაპიტალიზაცია და მისი გაუფასურების საკითხის განხილვა ყოველწლიურად.

აუდიტორი უნდა დარწმუნდეს, რომ გუდვილი სწორად არის გამოთვლილი, ასევე აუცილებელი იქნება მისი გაუფასურების შესაძლებლობის განხილვა ანგარიშებში ნაჩვენები ღირებულეების ქვემოთ, მიმდინარე მდგომარეობისა და სამომავლო სავაჭრო პროსპექტების განხილვის გზით.

თქვენ უნდა გაიხსენოთ ბუღალტრული აღრიცხვის სფეროდან, რომ გუდვილის გაუფასურება უნდა განისაზღვროს „ზემოდან ქვემოთ" ან „ქვემოდან ზემოთ" ტესტების მეშვეობით.

„ქვემოდან ზემოთ" ტესტი ითვალისწინებს ბალანსში გუდვილის განსაზღვრას, რომლის მიკუთვნება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე შესაძლებელია დასაბუთებულ საფუძველზე.

„ზემოდან ქვემოთ" ტესტი ითვალისწინებს ფულადი სახსრების წარმომქმნელი იმ უმცირესი ერთეულის განსაზღვრას, რომელსაც მიეკუთვნება გუდვილი და შემდეგ გაუნაწილებელი გუდვილის ნებისმიერი თანხა, დასაბუთებულ საფუძველზე განაწილდება (მიეკუთვნება) ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე.

ორიენ შემთხვევაში, გაუფასურება მაშინ წარმოიშობა, როდესაც ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენითი ღირებულება ნაკლებიხდება აქტივების საბალანსო ღირებულებას პლუს მიკუთვნებული გუდვილის ჯამურ თანხაზე.

თქვენ უნდა გაიხსენოთ წინა სასწავლო პროგრამებიდან, რომ „ზემოდან ქვემოთ“ ტესტი მაშინ მოითხოვება, როდესაც არ არსებობს დასაბუთებული საფუძველი „ქვემოდან ზემოთ“ ტესტის ჩასატარებლად.

აუდიტორმა გულმოდგინედ უნდა შეამოწმოს ხელმძღვანელობის მიერ გაუფასურების განხილვის პროცედურების დასაბუთება. უდიტორმა უნდა განიხილოს არსებული მტკიცებულებების საკმარისობა და საიმედოობა. ღოდესაც აუდიტორი ამოწმებს აქტივის „ეკონომიკურ ღირებულებას“ ან „გამოყენების ღირებულებას“, საჭიროა: მტკიცებულებების მოპოვება, მაგალით დ, სამომავლო ფულადი ნაკადების პროგნოზების, საპროცენტო განაკეთების ზრდის ტემპების, პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის, სამომავლო საწარმოო დანახარჯებისა და ა.შ. განსამტკიცებლად. რს არის სუბიექტური სფეროები, თუმცა „რეალიზაციის ნეტო შემოსავლების“ განსაზღერა უფრო ადვილი შესამოწმებელია., მიმდინარე საბაზო ინფორმაციიდან მოპოვებულ მტკიცებულებებთან შედარების გზით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ აუდიტორმა განიხილოს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები და დარწმუნდეს, რომ სააღრიცხეო პოლიტიკისა და აღრიცხვის მეთოდების შესახებ მიცემული განმარტებები საკმარისი და შესაფერისია.

გუდვილი და რეალური ღირებულება

აუდიტორმა საანგარიშგებო პერიოდში წარმოქმნილ გუდვილთან დაკავშირებით უნდა შეამოწმოს შემდეგი ძირითადი საკითხები:

ა) მეთოდები, რომლებიც სამეურნეო სუბიექტს აქვს გამოყენებული, შეილობილი საწარმოს აქციების შესყიდვისათვის გადახდილი კომპენსაციის რეალური ღირებულებისა და ასევე შეძენის თარიღისათვის შვილობილი საწარმოს ნეტო აქტივების რეალური ღირებულების დასადგენად. უდიტორი იყენებს ჩვეულებრივი შემოწმების პროცედურებს, თუმცა უნდა გაითვალისწინოს უქსპერტის შეფასების საჭიროების საკითხიც;

ბ) მას შემდეგ, რაც აუდიტორი დაადგენს გუდვილის აღრიცხვისათვის გამოყენებულ მეთოდს, საქიროა შემოწმდეს, აისახა თუ არა გუდვილი ფასს 3-ის შესაბამისად;

გ) შემოწმება სჭირდება იმას, რომ შესრულებულ იყოს ფასს 3-ის მოთხოვნები ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში სათანადო ინფორმაციის გაშუქების შესახებ.

ასს 545 “რეალური ღირებულების შეფასებისა და ახსნა-განმარტებების აუდიტი”

ეს ახალი სტანდარტი ეხება არსებითი აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის სპეციფიკური კომპონენტების (რომლებიც ან ფინანსურ ანგარიშგებაში არის წარდგენილი, ან შენიშვნებშია ასახული რეალური ღირებულებით) შეფასების, გაზომვის, წარდგენისა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში გასათვალისწინებელი განმარტებების აუდიტორული შემოწმების საკითხებს.

სასაქონლო ნიშნები

უკანასკნელ წლებში ბევრმა კომპანიამ დაიწყო სასაქონლო ნიშნების ღირებულების შეფასება იმ საქონელზე, რომლის გაყიდვასაც აწარმოებენ. ღირებულება აისახება ბალანსში. ესიმითაა განპირობებული, რომ სასაქონლო ნიშანი მეტად მნიშვნელოვანია საწარმოსათვის, ეინაიდან მას ეხმარება საქონლის რეალიზაციაში. მაგალით დ, ზოგიერთი პიროვნება ცნობილი “სასაქონლო ნიშნის” მქონე სარეცხის ფხვნილს უფრო იყიდის., ეიდრე სუპერმარკეტების მიერ შეთ ვაზებულ “ საკუთარ, თეითნაკეთ პროდუქციას”. ასს 38 კრძ ლაეს საწარმოში შექმნილი სასაქონლო ნიშნების აღიარებას.

ნაყიდი სასააქონლო ნიშნებისათვის აუდიტორმა უნდა განიხილოს:

ა) შეფასებებულია თუ არა სასაქონლო ნიშანი მისაღები მეთოდით, თუ უბრალოდ „უხეშად“ არის გაანგარიშებული დირექტორების მიერ?

ბ) მისაღებია თუ არა სასაქონლო ნიშნების საამორტიზაციო პერიოდი და დაკავშირებულია თუ არა სასაქონლო ნიშნების შემდგომი პერიოდის გაყიდვებთან?

ც) არსებობს თუ არა საკრედიტო გატარება იმ დებეტის მიხედეით, რომელიც ნაჩვენები უნდა იყოს ბალანსში, როგორც არაგანაწილებადი რეზერვი?

დ) სათანადოდ არის თუ არა ახსნილი ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკა?

9.8 ბასს 36 აქტივების გაუფასურება

აუდიტორისათვის მნიშვნელოვანია, რომ შეამოწმოს დამკვეთის პროცედურები, რომელსაც იყენებს გაუფასურების დასადგენად და მისი ბუღალტრული აღრიცხვისათვის. ბასს 36-ის თანახმად, „გაუფასურება“ მაშინ წარმოიშობა, როდესაც აქტივის აღდგენითი ღირებულება მის სააღრიცხვო ღირებულებაზე დაბლა დაეცემა. აღდგენითი ღირებულება მეტია ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და აქტივის გამოტენების ღირებულებაზე (ეკონომიკურ ღირებებულებაზე).

ამ სფეროში ჩატარებული აუდიტორული შემოწმების სამუშაო შემდეგ ეტაპებად ხორციელდება:

ა) აუდიტორი ადასტურებს, ატარებს თუ არა სამეურნეო სუბიექტი გაუფასურების შემოწმებებს და განიხილავს ხელმძღვანელობის მიერ გამოტანილი დასკვნების მართებულობას იმასთან დაკავშირებით, აუცილებელია თუ არა გაუფასურების შემდგომი (დამატებითი) გამოკვლების ჩატარება;

ბ) თუ დამკვეთს გადაწყვეტილი აქვს, რომ დამატებითი სამუშაო არ არის საჭირო და აუდიტორიც ეთანხმება, მეტი შემოწმება აღარ დასჭირდება აუდიტორს. მაგრამ, თუ აუდიტორი არ ეთანხმება დამკვეთის დასკვნებს და მიიჩნევს, რომ ზოგიერთი აქტივის ღირებულება გაუფასურებულია, აუცილებელია ამ საკითხის განხილვა ხელმძღვანელობასთან ერთად. თუ ხელმძღვანელობა არ გაატარებს რაიმე ზომებს, შეიძლება აუცილებელი გახდეს მოდიფიცირებული აუდიტორული დასკვნის, კერძოდ, პირობითი დასკვნის გაცემა, ხელმძღვანელობასთან უთანხმოების მოტივით და ამ უთანხმოების მიზეზების აღწერით აუდიტორულ დასკვნაში. ცხადია, მეტ წილ შემთხვევებში ხელმძღვანელობა სათანადო ზომებს ატარებს ხოლმე და აუდიტორი თუ დაკმაყოფილდება ხელმძღვანელობის მოქმედებით, საჭირო აღარ იქნება დასკვნის მოდიფიცირება;

ც) თუ დამკვეთი მიიჩნევს, რომ გაუფასურების შემოწმება საჭიროა, აუდიტორი განიხილავს გაუფასურების გამოკვლევის სტადიებს (რომელიც ხელმძღვანელობამ ჩაატარა) და ყურადღებას გაამახვილებს:

I. ნეტო სარეალიზაციო ფასის დასადგენად საწარმოს მიერ შესრულებული სამუშაოს დასაბუთებაზე;

II. აქტივის გამოყენებისღირებულების დასადგენად საწარმოს მიერ ჩატარებული სამუშაოს დასაბუთებულობაზე, როსთვისაც უნდა შეამოწმოს, მისაღებია თუ არა სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასების საფუძველი და გამოყენებული დისკონტირების განაკვეთი;

III. დამკვეთის პროცედურების დასაბუთებულობაზე, რომელიც გამოიყენება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების გაუფასურების მიმოხილვის პროცესში. ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებთან მიმართებით, აუდიტორმა უნდა ჩაატაროს იმ საფუძვლის აუდიტი, რომელსაც ეყრდნობა ფულად სახსრების წარმომქმნელი ერთეულის განსაზღვრა, ასევე რადიკალურად ასახავს თუ არა ისინი განცალკევებულ შემოსავლების ნაკადებს;

IV. შესრულებულია თუ არა ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში გასათვალისწინებელი სათანადო ინფორმაციის განმარტების მოთხოვნები.

ბასს 40 საინვესტიციო ქონება

აუდიტორული შემოწმების სამუშაო ერთნაირია ყველა ტიპის მიწის ნაკვეთებისა და შენობებისათვის და გულისხმობს საკუთრების უფლების, არსებობისა და ღირებულების დადგენას.

თუ საწარმო თეითღირებულებაზე დაფუძნებულ მიდგომას იყენებს, მას მოეთხოვება ქონების ხელახლა შეფასება ყოველ წელს, როდესაც შემოსულობას და ზარალს ასახავს მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში. ჩვეულებრივ, რეალური ღირებულების შემოწმება შესაძლებელია აქტიური ბაზრის მიმდინარე ფასების მიხედვით. თუ აქტიური ბაზარი არ არსებობს, აუდიტორმა უნდა განიხილოს ანალოგიური ბაზრებიდან მოპოვებული შეფასებების მტკიცებულებები (რომელიც შესაბამისად შესწორდება), ან დისკონტირებული ფულადი ნაკადების პროგნოზები. ამგვა-

რად, აუდიტორმა საინვესტიციო ქონებასთან დაკავშირებით უნდა განიხილოს შემდეგი სპეციფიკური საკითხები:

ა) დაამტკიცოს, რომ შესაფერისია რეალური ღირებულების პოლიტიკა (მაგალითად, იჯარით გაცემულია კომპანიაზე, რომელიც არ არის ჯგუფის წევრი);

ბ) შეაფასოს იმ მტკიცებულებების საიმედოობა, რომელსაც ეყრდნობა რეალური ღირებულება;

ც) შეაფასოს იმ ინვესტიციების შეფასებების საიმედოობა, შეფასების საფუძველი (მეთოდი) და გამოყენებული დაშვებები, რომელთაც არა აქვთ აქტიური ბაზარი;

დ) შეამოწმოს იმ მუხლების აღრიცხვის სისწორე, რომელთა კლასიფიკაცია შეცვლილია და ჩართულია ან ამოღებულია „საინვესტიციო ქონება" კლასიფიკაციიდან მხოლოდ (და მხოლოდ მაშინ), როდესაც მისი გამოყენების წესი შეიცვალა (თქვენ ხელახლა უნდა გადახედოთ აღრიცხვის წესს, როდესაც საინვესტიციო ქონების კომპონენტების გადანაცვლება ხდება);

ე) ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში გასათვალისწინებელი მოთხოვნების სისრულე (კვლავ გირჩევთ გადახედოთ 2.5 წიგნს ან 2.6 წიგნს, თუ ამ საკითხებში ეჭვი გეპარებათ).

ტიპური აუდიტორული მტკიცებულებები შეიძლება იყოს:

- საინვესტიციო ქონების ადგილმდებარეობისა და მდგომარეობის ფიზიკური დათვალიერება და იმის დამტკიცება, რომ იგი დაკავებული არა აქვს მესაკუთრეს;
- შემფასებლის ანგარიში(გარე ან შიდა შემფასებლის), მათ შორის, შეფასების თარიღები; შეფასებისათვის გამოყენებული საფუძველი (ე. ი. ღია ბაზარი), დაშვებები (მაგ., შენობის მთლიანად დაკავება) და ა. შ.;
- შემფასებლის (შემფასებლების) კვალიფიკაცია, გამოცდილება და ობიექტურობა;
- გაყიდული ქონებიდან მიღებული ინდივიდუალური შემოსულობის/ზარალის გამოთვლა;
- ხელმძღვანელობისაგან ოფიციალური წერილის მოპოვება/ხელმძღვანელობის გამოკითხვა საინვესტიციო ქონების აღრიცხვის წესის (მეთოდის) შესახებ;
- წინა წლების ინფორმაციის მიმოხილვა ამ მეთოდების უცვლელობის შესამოწმებლად (მაგ., წინა წლების ფინანსური ანგარიშგების);
- ხელმძღვანელობის მიერ განხილული გაუფასურება;
- ხელმძღვანელობის მიერ შემოთავაზებული განმარტებითი შენიშვნა, სადაც უგულებელყოფილია უტყუარობა და სამართლიანობა.

გავადებული გადასახადი

ბასს 12 „მოგებიდან გადასახადები

ბასს 12 მოითხოვს, რომ გადავადებული საგადასახადო ვალდებულება აღიარდეს ყველა დასაბეგრი დროებითი სხვაობისათვის, მცირე გამონაკლისების გარდა (მაგ., გუდვილი, რომელიც არ იბეგრება).

აუდიტორისათვის გამოსადეგი მოსაზრებებია:

ა) დაადასტუროს, რომ კომპანიის გადავადებული გადასახადებისათვის განკუთვნილი პოლიტიკა არ შეესაბამება ბასს 12-ს და წინა წლის მონაცემებს;

ბ) შეამოწმოს ყველა დროებითი სხვაობის გამოთვლა და მათი არითმეტიკული სისწორე. ასევე გადავადებული გადასახადის გამოთვლის არითმეტიკული სისწორე;

ც) თუ არსებობს გამოსაქვითი დროებითი სხვაობები (რომლებიც წარმოშობს გადავადებულ საგადასახადო აქტივებს), დაადასტუროს, რომ დაკმაყოფილებულია მათი აღიარების პირობები;

დ) თუ გადავადებული საგადასახადო აქტივი აღიარებულია გამოუყენებელი საგადასახადო ზარალისათვის, რომელიც მომავალ პერიოდშია გადასატანი, დაადასტუროს, რომ დაკმაყოფილებულია (არსებობს) მათი აღიარების პირობები;

ე) დაამტკიცოს, რომ შესრულებულია ყველა მოთხოვნა, რომელიც ეხება ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში გასაშუქებელ ინფორმაციას.

იჯარა

ბასს 17 "იჯარის აღრიცხვა"

საიჯარო აქტივების აუდიტის მთავარი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ აქტივის მომხმარებლის საბუღალტრო წიგნებში სათანადოდ იყოს გამიჯნული ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქტივები და ფინანსური იჯარით აღებული აქტივები. უნდა ითქვას, რომ ამ სფეროში შეიძლება მაღალი რისკი არსებობდეს. კერძოდ, იმის გამო, რომ ცლიენტს ურჩევნია აქტივის აღიარება ჩვეულებრივი იჯარის სახით, რადგან ასე აქტივსა და ვალდებულებას ბალანსის გარეთ „დამალავს".

ადვილი არ არის ფინანსური იჯარის განმარტების (რომელიც გულისხმობს აქტივთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარეზე) პრაქტიკაში გამოყენება.

რთული გამოთველების ჩატარებაა საჭირო იმის დასადგენად, იჯარა ფინანსურია თუ არა. ამდენად, აუდიტორი უნდა დარწმუნდეს, რომ კარგად გაერკვა ამ გამოთველების პრინციპებში და გამოყენებული დაშვებები (მაგ., ნადულისხმევი საპროცენტო განაკვეთი) გონივრულია. მას შემდეგ, რაც გაერკვევა ამ გამოთველების პრინციპებში, აუდიტორმა ყველა იჯარისათვისუნდა შეამოწმოს გამოთველების შერჩეითი ერთობლიობა, ე. ი. მათ შორის ისინიც, რომლებიც დამკვეთმა ჩვეულებრივ იჯარად მიიჩნია.

ფინანსურ იჯარად კლასიფიცირებული იჯარებისათვის შერჩეით ერთობლიობაში უნდა შემოწმდეს:

ა) მეთოდი, რომელიც გამოყენებულია პროცენტისა და კაპტალის გასაცალკევებლად;

ბ) სწორად არის თუ არა ეს მეთოდი გამოყენებული საიჯარო გადასახდელების მიმართ;

გ) ეყრდნობა თუ არა ცვეთა უმცირეს პერიოდს იჯარის ვადასა დაქტივის სასარგებლო მომსახურების ვადას შორის.

გარდა ამისა, აქტივის შესამოწმებლად გამოიყენეთ აუდიტორული ტესტები, რომლებიც გამოდგება ნებისმიერი სხვა გრძელვადიანი აქტივისათვის.

თუ იჯარა კლასიფიცირებულია ჩვეულებრივ იჯარად, მაშინ შემოწმება დასჭირდება მეთოდს, რომლის მიხედვითაც საიჯარო გადასახდელები აისახა მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში. შემოწმება დასჭირდება ასევე აქტივის ფიზიკურ არსებობასაც, თუ აუდიტის პერიოდში იჯარა ისევ გრძელდება.

დასასრულ ყურადღება უნდა მიექცეს იმის შესაძლებლობას, რომ იჯარით ფლობილი აქტივები ნაჩვენები არ იყოს ბალანსში ჩვეულებრივ გრძელვადიან აქტივად. ეს განსაკუთრებით ეხება ჩვეულებრივ იჯარას, რომლის დროსაც ფიზიკური აქტივის არსებობა ბალანსის შედგენის თარიღისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ აქტივის ჩასართავად გრძელვადიანი აქტივების ანგარიშში.

ანარიცხები და პირობითი მუხლები

ბასს 37 ანარიცხები, პირობითი აქტივები და პირობითი ვალდებულებები

ბასს 37 გამოიცა იმ მიზნით, რომ დაერეგულირებინა ანარიცხების სუბიექტური სფერო და თავიდან აეცილებინა დიდძალი ანარიცხების შექმნა და მოგების „მოსწორების" პრაქტიკა.

ბასს 37 მოითხოვს (ვალდებულების განმარტების შესაბამისად), რომ ანარიცხები უნდა შეიქმნას, როდესაც საკითხი წარმოშობს კონსტრუქციულ ან იურიდიულ მოვალეობას და მოსალოდნელია, რომ მომავალში საწარმოდან გავა ეკონომიკური სარგებელი, რომლის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

გარდა ამისა, ბასს 37-ში მოცემულია მაგალითები როგორ უნდა მოგვარდეს კონკრეტულ სიტუაციებში აღიარების, შეფასებისა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში ინფორმაციის განმარტების საკითხები. აქ შედის წამგებიანი კონტრაქტები, რეორგანიზაციისა და რესტრუქტურიზაციის დანახარჯები და გარემოს დაბინძურება. ბასს 37-ს გაელენას ეკოლოგიურ საკითხებზე მოგვიანებით განვიხილავთ, თავში „სოციალური და ეკოლოგიური აუდიტი".

ბასს 37 ასევე არეგულირებს პირობით აქტივებსა და პირობით ვალდებულებებს. აუდიტორს სჭირდება მტკიცებულებების შეკრება მათ კლასიფიკაციაზე და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში მიცემული განმარტებების ადეკვატურობაზე, სტანდარტის შესაბამისად.

აუდიტორის ამოცანაა, შეკრიბოს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ ფინანსური ანგარიშგება შეიცავს მხოლოდ

კანონიერ (დასაბუთებულ) ანარიცხებს, ისინი ადეკვატურია და არ არის გადაჭრბებული. ამასთან, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში მოცემულია სათანადო განმარტებები (ასევე გადახედეთ განყოფილებებს, რომელიც ეხება სააღრიცხვო შეფასებებსა და შეწყვეტილ ოპერაციებს).

ა) სასამართლო პროცესები და პრეტენზიები

ასს 501-ით – აუდიტორული მტკიცებულება – დამატებითი მოსაზრებები ცალკეულ საკითხებზე – მოითხოვება, რომ აუდიტორებმა ჩაატარონ პროცედურები სამეურნეო სუბიექტის მიმართ აღძრული სასამართლო პროცესების ან პრეტენზიების გამოსარკვევად. ეს პროცედურებია:

- ხელმძღვანელობის სათანადო გამოკითხვების ჩატარება, მათ შორის: ხელმძღვანელობის ოფიციალური წერილის მოპოვება ამ საკითხებზე;
- განიხილეთ დირექტორთა საბჭოს ან ხელმძღვანელობის სხდომების ოქმები, შესაძლო პრეტენზიების გამოსაელენად;
- ადეოკატებთან წარმოებული მიმოწერის გაცნობა, მათ შორის, წარდგენილი გადასახდელი ანგარიშებისა;
- სასამართლო ხარჯების ანგარიშების შემოწმება;
- იმ საკითხების სიის მოპოვება, რომელიც განსახილველად გადაცემული აქვთ ადეოკატებს, აგრეთვე კომპანიის შეფასებებისა, შესაძლო ვალდებულებების შესახებ;
- პრეტენზიების აღრიცხვისათვის განკუთვნილი დამკვეთის სისტემის განხილვა, მათ შორის ამ საკითხების ინფორმირებისპროცედურები ხელმძღვანელობისათვის.

თუ დადგინდება სასამართლო პროცესების ან პრეტენზიების არსებობა, ან თუ აუდიტორი დარწმუნებულია, რომ სასამართლო პროცესები და პრეტენზიები შესაძლოა არსებობდეს, მან უნდა სცადოს სამეურნეო სუბიექტის ადეოკატებთ ნ პირდაპირ დაკავშირება.

წერილი ხელმძღვანელობამ უნდა მოამზადოს და აუდიტორმა გაგზავნოს. წერილში კონკრეტულად უნდა იყოს მითითებული სასამართლო საქმე და მისი შედეგების შეფასება ხელმძღვანელობის მიერ, ასევე ადვოკატისადმი თხოვნა, რომ მან პირდაპირ დაუდასტუროს ამ შეფასებების დასაბუთებულობა. და თუ საკითხთა სია არ არის სრულყოფილი, აუდიტორს მიაწოდოს სხვა დამატებითი ინფორმაციაც. თუ მოსალოდნელია, რომ ადეოკატი უფრო ფართო გამოკითხვას უპასუხებს, ეს უკეთესია. საზოგადოდ იურისტები ამას უხალისოდ აკეთებენ, თუკი მართლაც რაიმე აქვთ სათქმელი. რთულ სიტუაციებში აუდიტორს შეიძლება დასჭირდეს ადეოკატთან შეხვედრა დამკვეთის ნებართვით და, უმჯობესია, მისი თანდასწრებით. თუ დამკვეთი აუდიტორს არ მისცემს ადეოკატთან შეხვედრის ნებართვას, მა'შინ, როგორც წესი, მი'სან'შეწონილია პირობითი დასკვნის გაცემა.

ქვემოთ გთავაზობთ ამონარიდს ამგვარი წერილიდან:

> მოგახსენებთ, რომ ჩვენი 200X წლის 31 დეკემბრის დამთ ავრებული წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენასა და აუდიტორულ შემოწმებასთან დაკავშირებით დირექტორებმა შეაფასეს საბოლოო ვალდებულებები (მათ შორის დანახარჯები), რომლებიც შეიძლება წარმოიშვას და მიჩნეულია არსებით დ იმ საკითხებთან მიმართებით, რომელთ შესახებაც გეიწვევდით კონსულტაციებს. მოხარული ვიქნებით, თუ პირდაპირ ჩვენს აუდიტორებს დაუდასტურებთ, რომ, თქვენი აზრით, ეს შეფასებები დასაბუთებულია.
>
> საკითხი
>
> შეფასებული ვალდებულება, მათ შორის დანახარჯები
>
> კომპანიის წინაშე აღძრული სარჩელი — 25 000 აშშ დოლარი
> გაზეთში გამოქვეყნებულ განცხადებასთან
> დაკავშირებით
>
> ხელმოწერა
> თარიღი . . .
> და ა.შ.

ბ) სხვა ანარიცხები დაპირობითი მოელენები

- მოიპოვეთ დამკვეთის ანარიცხებისა და პირობითი მოულენების გეგმა ეკოლოგიურ და ყენნიკურ საკითხებზე. ეცადეთ, მოიძიოთ დამამტკიცებელი დოკუმენტაცია სასამართლოს განაჩენების, კლიენტებთან მიმოწერისა და ანგარიშების სახით.
- შეაფასეთ ანარიცხების განსაზღერის ბაზა დასაბუთებულობისა და ბასს 10-თან შესაბამისობის თვალსაზრისით.
- დარწმენდით გაანგარიშებების სისწორეში.
- იზიკურად დაათვალიერეთ ნებისმიერი ობიექტი, რომლის გასაწმენდად და აღსადგენადაც არის შექმნილი ანარიცხები.
- განიხილეთ ექსპერტის ტექნიკური დახმარების აუცილებლობის საკითხი.
- შეაფასეთ მსგავსი ანარიცხების საჭიროების საკითხი შემდგომში.

გ) სტანდარტული მოთხოვნის წერილი ბანკისათვის

წერილში შეიძლება აისახოს მტკიცებულებები დისკონტირებულ თამაშებსა და გარანტიებზე. ეს წერილი უკვე განვიხილეთ ერთ-ერთ წინა თავში, როგორც ბანკის ნაშთების შემოწმების ძირითადი მეთოდი.

დ) ხელმძღვანელობის ოფიციალური წერილი

ხელმძღვანელობის ოფიციალურ წერილს, როგორც აუდიტორულ მტკიცებულებას, უფრო მოგვიანებით განვიხილავთ. ამ წერილს სხვა ფუნქციაც აქვს – მისი მიზანია ხელმძღვანელობას შეახსენოს თავისი პასუხისმგებლობა.

ხელმძღვანელობას შეიძლება სათანადო წარმოდგენა არ ჰქონდეს პირობით ვალდებულებებზე და ამდენად, მიზანშეწონილია ამ საკითხის გათვალისწინება ხელმძღვანელობის ოფიციალურ წერილში. გარდა ამისა, დირექტორებს ეს შეახსენებს თავიანთ ვალდებულებებს აუდიტორისათვის ამგვარი საკითხების გამჟღავნების შესახებ.

საეღრიცხვო შეფასებების აუდიტი

სს 540-ში საეღრიცხვო შეფასებების აუდიტი – მოცემულია საეღრიცხვო შეფასების განმარტება: საეღრიცხვო შეფასება არის ამა თუ იმ მუხლის მიახლოებითი მნიშვნელობა იმ შემთხვევისათვის, როდესაც არ არსებობს მისი ზუსტად გაზომვის საშუალება.

ეს შეფასებები მოიცავს დარიცხული ცვეთის თანხებს, გადავადებულ გადასახადს, ნეტო-სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებს, გრძელვადიანი სამშენებლო კონტრაქტებიდან წარმოშობილ ზარალს, საწარმოს წინაშე წაყენებულ სასამართლოს მოთხოვნებს, მიყენებული ზარალის კომპენსაციის შესახებ, სხვა პირობით ვალდებულებებსა და სფეროებს, რომლების საჭიროებს მნიშვნელოვანი ხარისხის განსჯას.

ამგვარი მუხლებისათვის უფრო დიდი თანდაყოლილი რისკია დამახასიათებელი, ვიდრე სხვა მუხლებისათვის, სადაც არ მონაწილეობს განსჯის ელემენტი; აგრეთვე, როგორც წესი, აქ კონტროლის რისკიც უფრო მაღალია, ვინაიდან არ არის სტანდარტული, შაბლონური ოპერაციები. საეღრიცხვო შეფასებებზე პასუხისმგებლობა ეკისრება ხელმძღვანელობას.

სს 540-ის თანახმად, საეღრიცხვო შეფასებების აუდიტი ხორციელდება სამ ეტაპად:

ა) ხელმძღვანელობისმიერ საეღრიცხვო შეფასებებისათვის გამოყენებული მეთოდების მიმოხილვა და ტესტირება;

ეს პროცესი მოიცავს იმ მონაცემებისა და დაშვებების განხილვას, რომელთაც ეყრდნობა მოცემული შეფასება, მაგალითად, ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული საგარანტიო დანახარჯების შეფასებები დაფუძნებული უნდა იყოს წარსული პერიოდის გამოცდილებაზე. საწარმოს წინაშე წამოყენებულ პრეტენზიებთან მიმართებით და უნდა შეესაბამებოდეს აუდიტორის ხელთ არსებულ ინფორმაციას დამკვეთის საქმიანობიშ შესახებ. აქ აგრეთვე იგულისხმება არითმეტიკული გაანგარიშებების შემოწმება, შედარება წინა პერიოდის სააღრიცხვო შეფასებებთან და ამ შეფა-

სებიების დასამტკიცებლად ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული პროცედურების განხილვა;

ბ) დამოუკიდებელი შეფასების გამოყენება (რომელსაც აუდიტორი ანგარიშობს) ხელმძღვანელობის მიერ გაანგარიშებულ სააღრიცხვო შეფასებასთან შედარების მიზნით;

ც) მოცემული შეფასების დამადასტურებელი შემდგომი მოვლენების მიმოხილვა.

პირობითი ვალდებულებების შემთხვევაში, თუ შემდგომი მოვლენები „აკრისტალებს",

გარკვეულ მნიშვნელოვნობას აძლევს ვალდებულებას, საჭირო აღარ არის ხელმძღვანელობის პროცედურების განხილვა ან დამოუკიდებელი შეფასებების გამოთვლა აუდიტორის მიერ.

აუდიტორი, როგორც წესი, ამოწმებს სააღრიცხვო შეფასების გაანგარიშებებს, შეფასებას აძლევს გამოყენებულ დაშვებებს (მაგ., საწარმოს დაშვება – 90% არის იმის ალბათობა, რომ სასამართლო ჩვენს სასარგებლოდ მიიღებს გადაწყვეტილებას), უდარებს მათ წინა პერიოდების შეფასებებს და რწმუნდება, რომ შეფასება შეესაბამება მის ცოდნას (ინფორმირებულობას) დამკვეთის საქმიანობის შესახებ და სხვა შეკრებილ აუდიტორულ მტკიცებულებებს.

ფასს 5 გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები

ფასს 5-ის მიზანია:

ა) განსაზღვროს დასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივის კლასიფიცირების, შეფასებისა და წარდგენის მოთხოვნები, კერძოდ, მოითხოვს, რომ ამგვარი აქტივები ცალკე მუხლის სახით იყოს წარდგენილი შუალედ ბალანსში;

ბ) განსაზღვროს შეწყვეტილი ოპერაციების წარდგენის თანამედროვე წესები, კერძოდ, მოითხოვს, რომ შეწყვეტილი ოპერაციების შედეგები ცალკე იყოს წარდგენილი მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

აქტივების კლასიფიკაცია, როგორც გასაყიდად გამიზნული

გრძელვადიანი აქტივის კლასიფიცირება როგორც გასაყიდად გამიზნული მაშინ ხდება, როდესაც მისი საბალანსო ღირებულება ამოღებული იქნება გაყიდვის გარიგებიდან და არა გრძელვადიანი გამოყენებიდან.

იმისათვის, რომ აქტივი მიჩნეულ იქნეს გასაყიდად გამიზნულად, უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი წინაპირობები:

- შესაძლებელი უნდა იყოს აქტივის დაუყოვნებელი გაყიდვა არსებულ მდგომარეობაში;
- აქტივის გაყიდვა ძალიან სარწმუნო უნდა იყოს (ხელმძღვანელობას შემუშავებული უნდა ჰქონდეს მყიდველის მოძებნის გეგმა და გეგმის ბოლომდე მიყვანის აქტიური პროგრამა);
- გაყიდვის დამთავრება უნდა იქარაუდებოდეს მისი „გასაყიდად გამიზნულად" კლასიფიცირების შემდეგ 12 თვის განმავლობაში;
- საეჭვო არ უნდა იყოს, რომ გეგმა მნიშვნელოვნად არ შეიცვლება ან არ გაუქმდება.

გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივების შეფასება

გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებული გრძელვადიანი აქტივები უნდა შეფასდეს მის საბალანსო ღირებულებასა და რეალურ ღირებულებას (გაყიდვის დანახარჯების გამოკლებით) მათ შორის უმცირესი ღირებულებით. მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში უნდა აისახოს ნებისმიერი გაუფასურების ზარალი.

როგორც კი აქტივი კლასიფიცირდება გასაყიდად, იგი ცალკე აისახება ბალანსში (მიმდინარე აქტივებში) და შეწყდება მასზე ცვეთის დარიცხვა რადგან მათი გამოყენება შეწყდა შემოსავლის მისაღებად).

შეწყვეტილი ოპერაციები

შეწყვეტილი ოპერაცია არის საწარმოს (ბიზნესის) კომპონენტი, რომელიც გაიყიდა ან კლასიფიცირებულია როგორც გასაყიდად გამიზნული და:

ა) წარმოადგენს საწარმოს განცალკევებულ ძირითად საქმიანობას ან ოპერაციების გეოგრაფიულ არეს;

ბ) არის განცალკევებული ძირითადი საქმიანობის ან ოპერაციების გეოგრაფიული არეალის გაყიდეის ერთიანი კოორდინირებული გეგმის ნაწილი; ან

ც) არის შემდგომში გაყიდვის მიზნით შეძენილი შეილობილი საწარმო.

წარდგენა

საწარმომ უშუალოდ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში უნდა აჩვენოს ერთიანი თანხა, რომელიც შედგება შემდეგი სიდიდეების ჯამისაგან:

ა) შეწყვეტილი ოპერაციების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი დაბეგვრის შემდეგ;

ბ) დაბეგვრის შემდგომი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც გამომდინარეობს რეალური ღირებულების (გაყიდვის დანახარჯების გამოკლებით) შეფასებიდან ან შეწყვეტილი ოპერაციების შემადგენელი აქტივების გასვლიდან.

ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ამ ერთიანი თანხის ანალიზი, ან შენიშვნებში, ან უშუალოდ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში. ანალიზი წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი ელემენტების მიხედვით:

- შეწყვეტილი ოპერაციებიდან გამომდინარე ამონაგები, ხარჯები და დაბეგვრამდელი მოგება ან ზარალი;
- შესაბამისი მოგებიდან გადასახადის ხარჯი;
- შემოსულობა ან ზარალი, რომელიც აღიარებულია შეწყვეტილი ოპერაციის შემადგენელი აქტივების რეალური ღირებულებით (გაყიდვის დანახარჯების გამოკლებით) შეფასებიდან ან მისი გასვლისას;
- შესაბამისი მოგებიდან გადასახადის ხარჯი.

აუდიტორული შემოწმების მიდგომა

აღრიცხვისა და აუდიტის პრობლემები, ძირითადად, უკავშირდება დროის იმ მომენტის განსაზღვრას, როდესაც წარმოიშობა თ ედაპირველი ახსნა-განმარტებითი მოვლენა, ასევე იმის უზრუნველყოფა, რომ მხოლოდ შესაფერისი დანახარჯები აისახება დადგენილ რესტრუქტურიზაციის ანარიცხში. შენიშვნებში გასაშუქებელი ინფორმაციისათვის გამოყენებული უნდა იყოს სათანადო ფორმატი.

ამ სფეროსთან დაკავშირებული აუდიტის საკვანძო საკითხებია: აუდიტორმა უნდა დაადასტუროს, ეთანხმება თუ არა ის სამეურნეო სუბიექტის მოსაზრებას ინფორმაციის გაშუქების საჭიროების, ოპერაციის დაგეგმილი ან ფაქტობრივი შეწყვეტისა და გასაყიდად გამიზნული აქტივების შესახებ, ასევე ეთანხმება თუ არა იმას, რომ სამეურნეო სუბიექტის მიერ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში მიცემული განმარტებები ადეკვატურია.

ტიპური აუდიტორული პროცედურებია:

1. დამკვეთის იმ პოლიტიკისა დაპროცედურების დადგენა, რომლებიც ეხება შეწყვეტილ ოპერაციებსა და გასაყიდად გამიზნულ აქტივებს;

2. საბჭოს სხდომების ოქმებისა და სხვა შესაფერისი მმართველობითი (ხელმძღვანელობის) დოკუმენტაციის განხილვა;

3. ხელმძღვანელობის გამოკითხვის ჩატარება მნიშვნელოვანი სიდიდის აქტივებისა და ინვესტიციების გასვლასთან დაკავშირებით დ აიმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც მიგვანიშნებს, რომ აქტივები აარის გასაყიდად გამიზნული.

4. ამ თარიღის შემდგომი პერიოდის ინფორმაციის შემოწმება;

5. შეწყვეტილი ოპერაციების შემადგენლობის შემოწმება, რისთვისაც უნდა მიმართოთ მის მხარდამჭერ დოკუმენტაციას.

ბასს 7 ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ნაჩვენები თანხები ძირითადად მიიღება ბალანსიდან და მოგებისა და ზარალის ანგარიშგებიდან, კერძოდ მაშინ, როდესაც მის შესადგენად არაპირდაპირი მეთოდი გამოიყენება. შემოწმებაც შესაბამისად უნდა წარიმართოს. თუ ფულადი ნაკადების ანგარიშების შესადგენად პირდაპირი მეთოდი გამოიყენება, მაშინ თანხები უნდა შემოწმდეს პირველად საალრიცხეო ჩანაწერებთან შედარების გზით (მაგალითად, სალაროს წიგნი). უდიტორი ასევე უნდა დარწმუნდეს იმაშიც, რომ მუხლები სათანადოდ არის კლასიფიცირებული და ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები თავსებადია სტანდარტში მოცემულ განმარ-

ტებასთან. ფულადი ნაკადების ანგარიშგებაზე უნდა ჩატარდეს არითმეტიკული ტესტები და შემოწმდეს ბასს 7-ის მოთხოვნების შესრულება, განმარტებით შენიშვნებში ინფორმაციის გაშუქების შესახებ.

ბასს 23 „სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები"

აუდიტის თვალსაზრისით, პრობლემები წარმოიშობა, თუ საწარმო აღრიცხვისათვის დებადართულ ალტერნატიულ მიდგომას იყენებს-სესხიტ სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების კლასიფიკაციას. ამ შემთხვევაში აუდიტორმა უნდა განსაზღვროს, სწორად არის თუ არა გამოთვლილი პრცენტი, რისთვისაც ამოწმებს გამოყენებულ საპროცენტო განაკვეთს, სესხით სარგებლობის დანახარჯებისა და სხვა დანახარჯების კაპიტალიზაციის დაწყებასა და შეწყვეტას და იმას, რომ ეს მეთოდი მხოლოდ განსაკუთრებული აქტივებისთვის გამოიყენება. აუდიტორისთვის საინტერესო მეორე მნიშვნელოვანი საკითხია, შესრულებულია თუ არა განმარტებით შენიშვნებში ინფორმაციის გაშუქების მოთხოვნები(პოლიტიკა, კაპიტალიზებული თანხის სიდიდე და საპროცენტო განაკვეთი).

აუდიტორმა ასევე უნდა განიხილოს აქტივის მთლიანი დანახარჯი (თვითღირებულება) მის აღდგენით ღირებულებასთან მიმართებით (ანუ გაუფასურება).

ბასს 33 „შემოსავალი აქციაზე"

აქციაზე შემოსავლის აუდიტში ატვალისწინებულია შემდეგი ძირითადი საკითხები:

- უნდა ჩატარდეს ერთ აქციაზე საბაზისო შემოსავლისა და მთლიანად გაზავებული შემოსავლის გამოთვლების არითმეტიკული სისწორის ტესტირება სტანდარტის განმარტებებზე დაყრდნობით („შემოსავალი", მიმოქცევაში მყოფი ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა და ა. შ.);
- უნდა შემოწმდეს სისტემის მეშვეობით აქციაზე შემოსავლის მონაცემები, დაწყებული პირველადი ინფორმაციიდან;
- აუდიტორი უნდა დარწმუნდეს, რომ სათანადოდ არის დაკმაყოფილებული წარდგენისა და განმარტების მოთხოვნები.

ბასს 18 „ამონაგები"

აუდიტორმა უნდა განიხილოს აუდიტის დამკვეთის საარღრიცხვო პოლიტიკა, რათა დარწმუნდეს, რომ ამონაგების აღიარების პოლიტიკა შეესაბამება ბასს 18-სა და საწარმოს. ჩვეულებრივ, აუდიტის პრობლემები ამ სფეროში უკავშირდება: საკუთრებასთან დაკავშირებული რისკებისა და სარგებლის გადაცემას, შესაძლებელია თუ არა ამონაგების საიმედოდ შეფასება და მოსალოდნელია თუ არა ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში. ასევე, აუდიტორი უნდა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები განმარტებულია შემოსავლების მნიშვნელოვან კატეგორიებთან დაკავშირებული საარღრიცხვო პოლიტიკა და შესაბამისი თანხები.

აუდიტორისათვის მთავარი საკითხია: ამონაგები და ხარჯები აღიარებული იყოს სწორ საარღრიცხვო პერიოდში. რა სიდიდის ამონაგებიც არ იქნება სწორად აღიარებული, შეიძლება იმაყე სიდიდის უზუსტობა არსებობდეს საანგარიშგებო მოგებაში. საარღრიცხვო პერიოდებზე შემოსავლებისა და ხარჯების მიკუთვნების ტესტირება ფინანსური ანგარიშგების ბევრ სფეროში ტარდება, მათ შორის მთ ვარია დროში გამიჯვნის სისწორის ტესტირება. მაგალითად, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ფიზიკური შემოწმება მოიცავს მარაგის დროში გამიჯვნის ტესტირებას და, მაშასადამე, რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების, შესყიდვებისა და გაყიდვების შემოწმებას.

კონკრეტული ტიპის შესყიდვები და გაყიდვები უნდა შემოწმდეს საარღრიცხვო პრინციპების მიხედვით, მაგალითად:

ა) გაყიდული საქონელი, რომელიც ექვემდებარება „უფლებების შენარჩუნებას";

ბ) რეალიზაცია ან საქონლის უკან დაბრუნება;

გ) რეალიზაცია შუამავლის მეშვეობით, როდესაც შუამავალი ფლობს შემდგომში კლიენტებზე გასაყიდ საქონელს (და, მაშასადამე, მარაგს).

ა) როგორ გესმით ტერმინი „ამონაგების აღიარება"?

ბ) მოკლედ დაახასიათეთ ამონაგების აღიარების შესაფერისი პოლიტიკა შემდეგი სიტუაციებისათვის:

I. გამომცემლის მიერ მიღებულ ჟურნალებზე ხელმოწერა;
II. ავტომანქანების გაყიდვა განვადებით (კრედიტით);
III. გრძელვადიანი კონტრაქტის დაუმთავრებელი მშენებლობა.

გასანაწილებელი მოგება

ქვეყნები განსხვავდებიან იმ საკანონმდებლო მოთხოვნებით, რომლებიც არეგულირებს მოგების განაწილების შესაძლებლობის საკითხს. ამჟამად არ არსებობს ბუღალტრული აღრიცხვის ისეთი საერთაშორისო სტანდარტი, რომელიც უშუალოდ ამ საკითხებზე მოგვცემდა მითითებებს. საერთაშორისო თვალთახედვიდან, შესაძლებელია მხოლოდ ზოგადი პრინციპების განხილვა. ირეელ რიგში, განვიხილავთ მოგების განაწილებას ფულადი სახსრებით გაცემული დივიდენდების სახით.

ბევრ ქვეყანაში მიღებულია, რომ მოგება რეალიზებული უნდა იყოს, იმისათვის რომ განაწილდეს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ფული ფაქტობრივად უნდა იყოს მირებული, არამედ იმას, რომ ფულის შემოსულა მომავალში დასაბუთებულად სარწმუნო უნდა იყოს.

რეალიზების კონცეფცია გულისხმობს, რომ ინვესტიციებთან ან სხვა გრძელვადიან აქტივებთან დაკავშირებული მოგების ან შემოწირულობების განაწილება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც ისინი რეალიზდება გაყიდვით. არარეალიზებული მოგების განაწილება საშიშია, ვინაიდან არარეალიზებული მოგება შეიძლება გაუჩინარდეს. მგვარად, არარეალიზებული მოგების ან შემოსავლის აღიარება დასაშვებია მხოლოდ გადაფასების ნამეტის სახით, რომელიც საწარმოს ფარგლებში იქნება, მაგრამ საშიშია მისი განაწილება. ადაფასების ნამეტი შეიძლება გაუქმდეს, თუ აქტივის ღირებულება შემდგომში შეწყვეტს ზრდას, მაგრამ გადახდილი დივიდენდები უკან აღარ დაბრუნდება.

საკანონმდებლო შეზღუდვები მოგების განაწილებაზე

ზოგიერთ ქვეყანაში საწარმოებს მოეთხოვებათ მოგების გარეთ საკანონმდებლო რეზერვის შექმნა, როგორც წესი, ხელმოწერილი საკაციო კაპიტალის 10%-ის ოდენობით. მაგრამ საკანონმდებლო რეზერვის განაწილება დივიდენდების სახით არ შეიძლება.

მოგების განაწილება აქციების სახით

თუ საწარმო წევრებისათვის უშუალოდ უშუებს დამატებით აქციებს, რასაც აშშ-ში აქციებით გაცემულ დივიდენდებს უწოდებენ, ხოლო გაერთიანებულ სამეფოში – აქციების უფასო ემისიას, მოგების ნამდვილ განაწილებას არ ექნება ადგილი. ემისიამდე აქციონერები საწარმოს კოლექტიური მფლობელები არიან, ასევე ემისიის შემდეგაც. არ იცვლება საწარმოს აქტივები და ცვლილება მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ საწარმოს გარკვეული რეზერვი სააქციო კაპიტალად გარდაიქმნება.

საწარმოს რეგისტრაციამდელი მოგება

რეგისტრაციამდელი მოგება ისეთი მოგებაა, რომელსაც საწარმო მანამ იღებს, სანამ იურიდიულად დარეგისტრირდება. ამ ტიპის მოგება შეიძლება იმიტომ წარმოიშვას, რომ აქციონერებს/დირექტორებს, რომლების წარმოადგენენ საწარმოს, არ იანტერესებთ აუცილებელი ბიუროკრატიული სამუშაო და ეაჭრობას იწყებენ რეგისტრაციამდე.

ასეთ სიტუაციაში საწარმოს არ ექვემდებარება განაწილებას, ვინაიდან იურიდიულად საწარმო არ არსებობს. თუმცა, მოგება არსებობს და ეკუთვნის აქციონერებს. ამგვარად, მოგება უერთდება კაპიტალის რეზერვს, ე. ი. ზრდის აქციონერთა საინვესტიციო კაპიტალის ღირებულებას.

მაგალითად, საწარმომ ვაჭრობა 1 იანვარს დაიწყო, ხოლო დარეგისტრირდა 31 მარტს და პირველი დაპირეველი წლის ბოლოს, 31 დეკემბერს მოგება დათვალა 60 000 აშშ დოლარი.

თუ დავუშვებთ რომ მოგება მარტო მოცემულ პერიოდს უნდა დაეყარიცხოთ, დაგროვილი მოგებიდან 15 000 აშშ დოლარი გადაიტანება კაპიტალის რეზერვში. 45 000 აშშ დოლარი რჩება გაუნაწილებელი.

შეეხეთ გასანაწილებელ მოგებასთან დაკავშირებული აუდიტის საკითხები:

- დარწმუნდით, რომ გასანაწილებელი ან რეალიზებული მოგება განისაზღვრა საყოველთაოდ აღიარებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებით;
- დარწმუნდით, რომ განაწილდა მხოლოდ გასანაწილებელ ან რეალიზებული მოგება და ეს გაკეთდა ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

დასკვნა

არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მტკიცებულებები სათანადოდ აისახოს აუდიტორის სამუშაო დოკუმენტაციაში. ბევრ აუდიტში როლია დაკავშირებულ მხარეთა დადგენა. ამასთან დაკავშირებით, აუდიტორული მტკიცებულებების ძირითად წყაროს წარმოადგენს ხელმძღვანელობის ოფიციალური წერილის ინფორმაცია. აუდიტორული მტკიცებულებების მეორე ძირითადი წყაროა ექსპერტების ინფორმაცია (ანგარიში), მაგალითად, აღეოკატების (იურისტების), გეოლოგებისა და აქტუარების. არდა ამისა განვიხილეთ ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა კონკრეტულ მუხლთან დაკავშირებული აუდიტის პრობლემური საკითხები.

ABC

შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია **ABC** ასრულებს სამშენებლო კონტრაქტებს, რომლებიც მოიცავს ოფისების, საწარმოების, საწყობების, სკოლებისა და ხიდების მშენებლობას. **ABC**–ს მომხმარებლები არიან საწარმოები და ადგილობრივი სახელისუფლებო დეპარტამენტები. ადგილობრივი მთავრობის დანახარჯების ჩამოჭრამ (ახლახან) გამოიწვია ის, რომ რამდენიმე კონტრაქტი მოცემულ წელს დაიწყო, ბიუჯეტში გათვალისწინებამდე.

ABC-ს ფინანსურ ანგარიშგებაში სამშენებლო კონტრაქტების სააღრიცხვო პოლიტიკა შემდეგნაირად არის აღწერილი:

„ამონაგები აღიარდება მშენებლობის დასრულების პროცენტული მეთოდით და გამოთვლები გაწეული დანახარჯების საფუძველზე, როგორც პროცენტული წილი მთლიანი მოსალოდნელი საკონტრაქტო დანახარჯების მიმართ. პროგნოზირებული ზარალი მთლიანად აისახება, როგორც კი გაკეთდება ზარალის შესაძლებლობის პროგნოზი“.

კონკრეტულკონტრაქტებზე მისაკუთვნებელი პირდაპირი დანახარჯები მოიცავს:

არქიტექტორთა პროექტის დანახარჯებს, იურიდიული მომსახურების საფასურსა და ტექნიკური მომსახურების დანახარჯებს;

მშენებლობის ადგილას მასალების მიტანას;

ადგილის ზედამხედველობას (ათისთავის ხელფასებს);

მშენებლობის შრომით დანახარჯებს (განაწილებულია ხელფასების უწყისებიდან და სუბკონტრაქტორების ანგარიშ-ფაქტურებიდან);

მოძრავი ნაგებობების დაქირავებიდ დანახარჯებსა და იჯარით აღებულ მანქანა მოწყობილობებს;

მანქანების, მოწყობილობებისა და ავტოტრანსპორტის ცვეთას;

სამშენებლო ადგილებს შორის რესურდებიდ გადაზიდვის დანახარჯებს (მაგ., მასალები და მოწყობილობები);

დაზღვევასა და სატელეფონო მომსახურების დანახარჯებს.

სამშენებლო საქმიანობასთან დაკავშირებით **ABC**-ს სათაო ოფისის მიერ გაწეული არაპირდაპირი დანახარჯები პროექტებზე მიკუთვნებული პირდაპირი დანახარჯების 75%-ის ოდენობით.

თქვენ ხართ **ABC**-ს აუდიტორი. ბოლო წელს თქვენმა ფირმამ გასცა პირობითი აუდიტორული დასკვნა, დამკვეთის მიერ მშენებლობის სამუშაოთა შესრულების მიმდინარეობის შესაბამისი შეფასებული დანახარჯების მხარდამჭერი მტკიცებულებების არქონის გამო. მოცემულ წელს დამკვეთის ხელმძღვანელ პირთა რიგებს შეუერთდა სამშენებლო სამუშაოთა შემფასებელი, რათა:

1. ყოველთვიურად ზედამხედველობა გაეწია ძირითად სამშენებლო ფართობზე მასალების ინვენტარიზაციისათვის;

2. ასევე ყოველთვიურად მონიტორინგ გაეწია მოცემულ დღემდე დაწეულ დანახარჯებისათვის და შეედარებინა საბრუნავი ხარჯების ბიუჯეტებთან;

3. წლის ბოლოსთვის არსებული მდგომარეობით, კონტრაქტის მიხედვით მოემზადებინა ცხრილები მშენებლობის დასამთავრებლად საჭირო მთლიანი დანახარჯებისათვის (ე. ი. ბალანსის შედგენის თარიღისათვის გაწეული პირდაპირი დანახარჯები, მშენებლობაზე (კონტრაქტზე) მისაკუთვნებელი ზედნადები ხარჯები და მშენებლობისდასამთ ერებლად საჭირო შეფასებული დანახარჯები.

თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ სამშენებლო სამუშაოთა შემფასებელ ექსპერტს სათანადო დონის კვალიფიკაცია და გამოცდილება გააჩნია.

მოგეთხოვებათ:

ა) განსაზღვროთ და განმარტოთ, რა სახის ძირითადი აუდიტორული რისკების გათვალისწინებაა საჭირო, როდესაც დაგეგმავთ მოდგომას ABC-ს 2003წ. 3 სექტემბერს დამთავრებული საანგარიშგებო წლის საბოლოო აუდიტის ჩასატარებლად.

ბ) ახსნათ, რა სახით და რა დონეზე ეცდებით დაეყრდნოთ სამშენებლო სამუშაოთა შემფასებელი ექსპერტის სამუშაოს.

გ) აღწეროთ აუდიტორული შემოწმების სამუშაო, რომელიც ჩასატარებელია მშენებლობის დამთავრებისათვის საჭირო მთლიან დანახარჯებთან მიმართებით.

2003 წ. ივნისი

ასს 500-ის (გადასინჯული) " აუდიტორული მტკიცებულება" - მიხედვით:

დათვალიერება – მოიცავს ჩანაწერების, დოკუმენტებისა და მატერიალური აქტივების ფიზიკურ მიმოხილვას ან შემოწმებას. კონტროლის ტესტების მაგალითია რეალიზაციის ანგარიშ-ფაქტურების ასლების შემოწმება სანქციონირებაზე. ძირითადი პროცედურის მაგალითი იქნება მატერიალური აქტივების ფიზიკური არსებობის შემოწმება. შეიძლება დამატებითი საშუშაოს ჩატარება გახდეს საჭირო საკუთრების უფლების, შეფასებისა და სახელშეკრულებო ვალდებულებების დასადგენად.

დაკვირვება – ეს მეთოდი მოიცავს იმ პროცესებზე ან პროცედურებზე თვალყურის დევნებას, რომელიც ჩატარდება. თუმცა, დაკვირვება შეიძლება ჩეეულებრივი პროცედურის მსგავსი არ იყოს, მაგალითად, ხელფასის პაკეტების განაწილება, რათა ნახოს აუდიტორმა, რომ იცავენ შიდა კონტროლის პროცედურებს, ან აუდიტორების დაკვირვება მარაგის ინვენტარიზაციის პროცესზე, რომელიც უნდა ჩატარდეს ინსტრუქციების შესაბამისად.

გამოკითხვა და დადასტურება – სათანადო ინფორმაციის მოძიება მცოდნე პიროვნებებისაგან საწარმოს შიგნით და გარეთ, ოფიციალურად თუ არაოფიციალურად, სიტყვიერად თუ წერილობით. ამ მეთოდის საიმედოობა დამოკიდებულია წყაროს კომპეტენტურობასა და პატიოსნებაზე. მისი მაგალითია ხელმძღვანელობისაგან ოფიციალური წერილის მოპოვება საზღვარგარეთ არსებულ არსებითი შვილობილი საწარმოების ღირებულებაზე. დადასტურება, რომელიც გამოკითხვის ერთ-ერთი სახეობაა, გულისხმობს დამამტკიცებელი პასუხების მოძიებას საალრიცხვო ჩანაწერებში არსებულ საეჭვო ინფორმაციაზე (მაგ., დებიტორული დაეალიანების ნაშთების დადასტურება).

რეკლასიფიკაცია – პირველადი დოკუმენტებისა და საბუღალტრო ჩანაწერების არითმეტიკული სიზუსტის შემოწმება, ან დამოუკიდებელი გამოთვლების ჩატარება (მაგ., საცდელი ბალანსის ხელახალი დაჯამება).

ხელახლა შესრულება – აუდიტორის მიერ იმ პროცედურების შესრულება დამოუკიდებლად, რომელიც თავდაპირველად შესრულდა როგორც სამეურნეო სუბიექტის შიდა კონტროლის ნაწილი (მაგ., დებიტორული დაეალიანების ანგარიშების ხელახლა დახარისხება ხანდაზმულობის მიხედვით).

ანალიზური პროცედურები – მნიშვნელოვანი კოეფიციენტებისა და ტენდერების ანალიზი. მათ შორის ანალიზის შედეგად გამოვლენილი ცვალებადობის (რყევების) გამოკვლევა. რომლებიც არ შეესაბამება სხვა ინფორმაციას ან განსხვაედებოდა პროგნოზირებული სიდიდეებისაგან.

შენიშვნები:

1. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პროცედურის გამოყენება შეიძლება კონტროლის ტესტად ან ძირითად პროცედურების სახით, ბევრი მათგანის შესრულება შეიძლება კომპიუტერული აუდიტის ტექნიკის გამოყენებით;

2. დათვალიერებასა და დაკვირვებას შორის განსხვავება გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, დათვალიერება არის კონკრეტული დოკუმენტის/აქტივის უშუალო მიმოხილვა (შემოწმება), ხოლო დაკვირვება გულისხმობს პროცესის მიმდინარეობაზე ან პროცედურის შესრულებაზე თვალყურის დევნებას და შესწავლას.

ა) V და X ექვემდებარებიან A-ს საერთო ცონტროლს, მაგრამ V არ იქნება დაკავშირებული მხარე, თუ ერთ ან ორივე კომპანიას არა აქვს დაქვემდებარებული თავიანთი საკუთარი ინტერესები გარიგებაში (ოპერაციაში) მონაწილეობისათვის (ეს გულისხმობს იმას, რომ არის ერთადერთი დირექტორი, რომელიც ორივე საბჭოს ემსახურება; თუ იქნებოდა დირექტორთა საერთო ბირთვი, მაშინ თითქმის აშკარა იქნებოდა დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობის არსებობა);

ბ) თითმის აშკარაა, რომ არის დაკავშირებული მხარე. განმარტების თანახმად, შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ დაკავშირებული მხარეა. თუმცა შეილობილი საწაროს არსებობა იმას ნიშნავს, რომ ნაკლებად სარწმუნოა, პრაქტიკაში Y-მა შეძლოს გავლენის მოხდენა X-ზე.

ც) K შეიძლება იყოს დაკავშირებული მხარე. იმ ფაქტის მიუხედავად, რომ ის არ არის დირექტორი. ფინანსური კონტროლიორი, საჭარაუდოდ, ხედება უმაღლესი ხელმძღვანელობის განმარტების ფარგლებში (ე. ი. „ის უფროსი რანგის ხელმძღვანელი პირები, რომელთაც მინიჭებული აქვთ ანგარიშვალდებული საწარმოს ძირითადი საქმიანობებისა და რესურსებზე ხელმძღვანელობის ან კონტროლის განხორციელების უფლებამოსილება ან პასუხისმგებლობა"). საკითხის კონკრეტულად გარკვევა შეიძლება კომპანიის პოლიტიკის იმ არეალის დადგენით, რაზედაც K-ს შეუძლია კონტროლის ან გავლენის განხორციელება პრაქტიკაში.

დ) M შეიძლება იყოს დაკავშირებული მხარე. Q და X კომპანიები ექვემდებარებიან საერთო ცონტროლს და M ხედება Q-ს დაკავშირებული მხარის ახლო ნათესავის განმარტების ფარგლებში (ახლო ნათესავი ნიშნავს "ოჯახის იმ წევრებს, რომელზეც მოსალოდნელია გავლენის განხორციელება ან რომელზეც შეუძლია გავლენის განხორციელება იმ პირს ანგარიშვალდებული საწარმოს საქმეების წარმართვაში). არ იქნება დაკავშირებული მხარე, თუ შესაძლებელია იმის დეონსტრირება, რომ ის გავლენას არ ახდენს X-ის პოლიტიკაზე იმგვარად, რომ მას ხელი შეუშალოს საკუთარი ინტერესებისათვის.

ა) ამონაგების აღიარება უკავშირდება დროის იმ მომენტს, როდესაც შემოსავალი უნდა ჩაირთოს მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

არსებობს ამონაგების აღიარების ორი ძირითადი პრონციპი:

I. ამონაგები მიღებული (შექმნილი) უნდა იყოს – მომსახურება შესრულებული უნდა იყოს ან საქონელი მიწოდებული;

II. ამონაგები რეალიზებული უნდა იყოს – როდესაც ფულად სახსრები მირებულია ან სარწმუნოა იმის ალბათობა, რომ ფულადი სახსრები შემოვა საწარმოში.

ზოგ შემთხვევაში, მომხმარებელმა შეიძლება წინასწარ გადაიხადოს საქონლის/მომსახურებისათვის, რომელიც შემდეგ მიეწოდება, მაგრამ ემოსავალი არ უნდა აღიარდეს მანამ, სანამ ამონაგები არ მიიღება.

მონაგების მიღება შეიძლება მიმდინარეობდეს დროის გარკვეული პერიოდის მანძილზე. მაგალითად, ვისკის წარმოებას შეიძლება რამდენიმე წელი დასჭირდეა. ასეთ შემთხვევაში, ვინაიდან ამონაგების მიღება ხშირად წინ უსწრებს ამონაგების რეალიზაციას, ამიტომ რეალიზაციის პრინციპი განსაზღვრავს იმ მომენტს, როდესაც ამონაგები უნდა აღიარდეს.

ბ) (I) ჩვეულებრივ, ჟურნალის ხელმოწერაზე გადახდა წინასწარ ხდება, როგორც წესი, 12 თვისთვის. მონაგები ნაწილობრივ მაშინ იქმნება, როდესაც თითოეული ჟურნალი მიეწოდება მომხმარებელს. ამგვარად, წლის ბოლოს უნდა გადაეადდეს ხელმოწერების რაღაც წილი. რამდენი იქნება ეს ხვედრითი წილი, დამოკიდებული იქნება თითოეული ჟურნალის წარმოების შედარებით დანახარჯსა და შე-

საძლო თაედაპირველ სარეკლამო დანახარჯებზე, რომლებიც შეიძლება დაწყებული იყო ხელმოწერის პერიოდის დასაწყისში.

(II) ავტომანქანის კრედიტით გაყიდვა წარმოშობს ორი ტიპის ამონაგებს – საჭირო მოგებას და ფინანსურ შემოსავალს.თუ კრედიტით გაყიდვის შეთანხმებაში გათვალისწინებულია, რომ ავტომობილის მომხმარებელი მაშინვე ხდება იურიდიული მესაკუთრე, მაშინ შეიძლება მიეჩნიოთ, რომ საეჭრო მოგება მიიღება ხელშეკრულების ხელმოწერისას ფინანსური შემოსავალი განაწილდება ხელშეკრულების მთელ ვადაზე.

თუ „გაყიდვა" არის იჯარა, მაშინ მომხმარებელი არ ხდება აქტივის მფლობელი. მიტომ მიზანშეწონილი იქნება მთელი შემოსაელის განაწილება იჯარის პერიოდზე. თუმცა შეიძლება არსებობდეს ძლიერი არგუმენტ იმისა, რათა მიეჩნიოთ, რომ იჯარა შედგება ორი ტიპის მოგებისაგან:

(III) გრძელვადიანი კონტრაქტის სამუშაოები შეიძლება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდში გაგრძელდეს.ამგვარად, ამონაგები წარმოიქმნება რამდენიმე პერიოდის განმაელობაში, ისე როგორც მომსახურება სრულდება.

ფულადი სახსრები ხშირად ნაწილ-ნაწილ გადახდებით მიიღება კონტრაქტის ვადის განმაელობაში. ამიტომ კონტრაქტის ვადის დამთავრებამდე ამონაგების აღიარებას დასაბუთება სჭირდება.

შესაბამისად, გარკვეული ამონაგები უნდა აღიარდეს თითოეულ სააღრიცხვო პერიოდში. თუმცა, მაშინ ამონაგების აღიარებისათვის საჭირო იქნება დანახარჯებთან შესაბამისობის მიღწევა. ასს 11 არ იძლევა ისეთი ამონაგების აღიარების უფლებას, რომელიც აღემატება კონტრაქტის წინა სტადიებზე მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში დარიცხულ დანახარჯებს, ვინაიდან შეიძლება, აშკარად არ ჩანდეს, რომ საბოლოოდ მოგება მიიღება.

თავი 12

აუდიტორული დასკვნების მომზადება და მნიშვნელობა

აუდიტორულ დასკვნაში, რომელიც წარმოადგენს აუდიტორული შემოწმების პროცესის საბოლოო სტადიას, ტერმინებს „უტყუარი და სამართლიანი“

„სამართლიანი წარდგენა“ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ამ არამოდიფიცირებული და მოდიფიცირებული აუდიტორული დასკვნების შედგენას ასს-700-ის - – „აუდიტორის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე“ – შესაბამისად ახორციელებენ. ეს სტანდარტი ითვალისწინებს სხვადასხვა სიტუაციებს, რომლებიც გაელენას ახდენს აუდიტორის მოსაზრებაზე.

ტერმინი „უტყუარი და სამართლიანი“-ს ისტორია და მნიშვნელობა

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებში ნათლად არის აღნიშნული, რომ ტერმინებს „უტყუარად და სამართლიანად ასახავს“ და „სამართლიანად ასახავს ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით“ ერთნაირი მნიშვნელობა აქეთ. მათ იყენებენ გაერთიანებულ სამეფოსა და აშშ-ში, შესაბამისად აგრეთვე მრავალ სხვა ქვეყანაში. მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული ფრაზები დიდი ხანია არსებობს მათი განმარტება არც ერთი ქვეყნის კანონმდებლობაში და არც სტანდარტებში არსად არ არის მოცემული. ევროკავშირის დირექტივებით მოითხოვება, რომ ყველა ქვეყნის ფინანსური ანგარიშგებისათვის უნდა მოიძებნოს ტერმინის „უტყუარი და სამართლიანი“ ექვივალენტური ფრაზა.

ბასს I-ში (შესწორებული) – „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“- აღნიშნულია, რომ ფინანსურმა ანგარიშგებამ სამართლიანად უნდა წარმოადგინოს საწარმოს ფინანსური მდგომარეობა, მისი საქმიანობის შედეგები და ფულადი ნაკადების მოძრაობა. შემდეგ განვითარებულია აზრი იმის შესახებ, რომ ბასს-ის შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგება (საჭიროების შემთხვევაში, დამატებით განმარტებებთან ერთად), საერთოდ უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენას.

ტერმინის „უტყუარი და სამართლიანი“ მნიშვნელობა

უტყუარობის, ჭეშმარიტების მეცნიერული გაგება განსხვავდება ბუღალტრულ აღრიცხვაში გამოყენებული უტყუარობის ცნებისაგან. ბუღალტრულ აღრიცხვაში თითქმის არ გვხვდება ისეთი ტიპის ჭეშმარიტება, რომელიც მუდმივია, არ იცვლება. შეუძლებელია ზუსტად განისაზღვროს ნებისმიერი საანრიცხვო პერიოდის დანახარჯები და ამონაგები, რომელიც ნაკლებია საწარმოს სრულ სიცოცხლის ხანგრძლივობაზე. ბუღალტრულ აღრიცხვაში მხოლოდ ფულადი სახსრების მიღება უახლოვდება ჭეშმარიტების მეცნიერულ გაგებას, მაგრამ ეინაიდან დროთა განმავლობაში ფულის ღირებულებაც იცვლება, ამიტომ ისიც არ შეესაბამება ზუსტ და მეცნიერულ ჭეშმარიტებას.

ინგლისურ სიტყვას **„fair“**, რომლის ქართული შესატყვისი არის „სამართლიანი“, თეითონ ინგლისურ ენაზე შესაძლოა შემდეგი სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდეს: ეს ერთი მხრივ, ნიშნავს ნათელს, გასაგებსა და მარტივს, მეორე მხრივ, სამართლიანს, სარწმუნოსა და მიუკერძოებელს. ბუღალტრული აღრიცხვის კონტექსტში შეიძლება მისაღები იყოს ამ სიტყვის ყველა მნიშვნელობა. აუდიტორი უნდა ცდილობდეს უზრუნველყოს იმის გარანტია, ბუღალტრულმა ანგარიშებმა, რომლებიც აუდიტის საგანს წარმოადგენს, გასაგებად და მიუკერძოებლად, სამართლიანად წარმოადგინოს საწარმოს ფინანსური მდგომარეობა.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ სავალდებულო „უტყუარობისა და სამართლიანობის“ მისაღწევად აუცილებელია არა მარტო ინფორმაციის მიუკერძოებლად და სამართლიანად წარმოდგენა, არამედ ეს ინფორმაცია ისეთი სახით უნდა იყოს მიწოდებული, რომ გასაგები იყოს მომხმარებლისთვის. აუდიტორმა რომ შეძლოს იმის განცხადება, რომ ფინანსური ანგარიშგება უტყუარი და სამართლიანია, ის უნდა:

ა) შეესაბამებოდეს იმ სამეურნეო ოპერაციებსა და ა. შ., რომლებსაც აღწერს;

ბ) იყოს ობიექტური, მიუკერძოებელი და ეფუძნებოდეს ისეთ ობიექტურ და შემოწმებას დაქვემდებარებულ მტკიცებულებებს, რომლებიც გამოდგება ფინანსური ანგარიშგების განსამტკიცებლად.

უტყუარი და სამართლიანი გადაიქცა **პროფესიულ ტერმინად**, საზოგადოდ ეს ნიშნავს ანგარიშების წარდგენას ბუღალტრული აღრიცხვის მიღებული პრინციპების შესაბამისად, შეძლებისდაგვარად ზუსტი მონაცემებისა და დასაბუთებული შეფასებების საფუძველზე, მათი იმგვარი სისტემატიზაციის გზით, რომ ბუღალტრული აღრიცხვის მიმდინარე პრაქტიკის ფარგლებში ეს ინფორმაცია იძლეოდეს ობიექტურ სურათს ყოველგვარი წინასწარგანზრახული მიკერძოების, დამახინჯების, მაქინაციებისა თუ არსებითი მნიშვნელობის ფაქტების მიჩქმალვის გარეშე.

უპირობო და მოდიფიცირებული აუდიტორული დასკვნების შინაარსი და მნიშვნელობა.

აუდიტორული დასკვნა წარმოადგენს ერთადერთ საკომუნიკაციო არხს აუდიტორსა და იმ სამეურნეო სუბიექტის აქციონერებს შორის, რომლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტიც ჩატარდა.

აუდიტორული დასკვნის შესაძლო ვარიანტებია:

ა) უპირობო აუდიტორული დასკვნა;

ბ) მოდიფიცირებული აუდიტორული დასკვნა, რომელიც საჭიროებს აუდიტორულ პირობითობას;

გ) მოდიფიცირებული აუდიტორული დასკვნა, რომელიც საჭიროებს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ კონკრეტულ საკითხებზე ყურადღების გამახვილებას დამატებით, მიუხედავად იმისა, რომ მოსაზრება უპირობოა.

ამასთანავე მნიშვნელოვანია, რომ აუდიტორი არ იძლევა „გარანტიას" და არც ადასტურებს", ფინანსური ანგარიშგება „სწორია", არამედ გამოთქვამს თავის მოსაზრებას ასს 700-ით (გადასინჯული) მოთხოვნილ საკითხებზე. ე.ი.:

ა) ასახავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება უტყუარ და სამართლიან თვალსაზრისს;

ბ) მომზადებულია თუ არა ფინანსური ანგარიშგება სათანადოდ, ფინანსური ანგარიშგებისთვის გამოსაყენებელი ჩარჩოების შესაბამისად.

საჭიროების შემთხვევაში, აუდიტორი ასევე გამოთქვამს მოსაზრებას იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა ფინანსური ანგარიშგება ადგილობრივ საკანონმდებლო მოთხოვნებს.

ასევე, არსებითია შემდეგი დამატებითი ძირითადი საკითხების განხილვა, რომლებიც შემოიღო ასს 700-ის (გადასინჯული) ახალმა გამოცემამ, კერძოდ:

ა) მითითებები აუდიტორის მოსაზრების ფორმირების შესახებ აუდიტის დამთავრებისას. აუდიტის დამთავრებისას უდიტორს სჭირდება განიხილოს, სამართლიანად არის თუ არა წარდგენილი მთლიანად ფინანსური ანგარიშგება. ასს 700 (გადასინჯული) აღიარებს, რომ, იშვიათ შემთხვევებში, ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ჩარჩოებით გათვალისწინებული კონკრეტული მოთხოვნები მცდარინფორმაციას იძლევა ან საჭიროებს დამატებითი განმარტებების მიცემას ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში. აუდიტორის რეაგირება ამგვარ სიტუაციებზე დამოკიდებული იქნება იმაზე, როგორ მოაგვარა ხელმძღვანელობამ ეს საკითხი ფინანსურ ანგარიშგებაში და რას ითვალისწინებდა ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ჩარჩოები ამგვარი იშვიათი სიტუაციების მოსაგვარებლად.

თუმცა, საბოლოოდ, აუდიტორი ხელმძღვანელობს აუდიტორის ეთიკური პასუხისმგებლობების ნორმებით და ის უნდა დარწმუნდეს, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, აუდიტორის დასკვნასთან ერთად, ფინანსური ანგარიშგება მომხმარებელს შეცდომაში არ შეიყვანს.

ბ) ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად გათვალისწინებული დამატებითი ინფორმაცია. ასს 700-მა (გადასინჯული) ასევე შემოიღო ახალი მითითებები აუდიტორის პასუხისმგებლობაზე, ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად მიწოდებულ დამატებით ინფორმაციაზე, რომლიც არ მოითხოვება ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ჩარჩოებით. ამგვარი დამატებითი ინფორმაცია შეიძლება იყოს ან არ იყოს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი, რომლის შესახებაც აუდიტორი გამოთქვამს მოსაზრებას. ერთ–ერთი სიტუაცია, რომელსაც არეგულირებს აუდიტის საერთაშორისო პრაქტიკის დებულება (ასპდ) 1014 - „აუდიტორების დასკვნა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ" – მდგომარეობს შემდეგში: ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში სამეურნეო სუბიექტი განმარტავს, რა ფარგლებში არის ფინანსური ანგარიშგება მომზადებული, ფინან-

სური ანგარიშგების წარდგენის ადგილობრივი ჩარჩოების შესაბამისად და ასევე ფასს-ის შესაბამისად. ზემოაღნიშნული დამატებითი ინფორმაცია, თავისი არსით, იმგვარად არის დაკავშირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან, რომ აუცილებლად უნდა მოიცვას აუდიტორის დასკვნამ. თუმცა, როდესაც დამატებითი ინფორმაცია არ არის იმისთვის გამიზნული, რომ მოიცვას აუდიტორის მოსაზრებამ, მაშინ აუდიტორი უნდა დარწმუნდეს, რომ დამატებითი ინფორმაცია ნათლად იქნება გამიჯნული ფინანსურ ანგარიშგებისაგან.

აუდიტორული დასკვნის თარიღი. ასს 700 (გადასინჯული) და ასს 560-ის შესაბამისი ცვლილებები ნათელს ფენს, რაც წარმოადგენს აუდიტორული დასკვნის თარიღი. შემოთავაზებულია, რომ აუდიტორული დასკვნის თარიღი უნდა დაეყრდნოს იმ თარიღს, როდესაც აუდიტორს ექნება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები აუდიტორული მოსაზრების მხარდასაჭერად. ხშირად, ეს იგივე თარიღია, რაც ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღი, მაგრამ შეიძლება მომდევნო თარიღი იყოს. ასს 700 (გადასინჯული) ასევე მოიცავს ფინანსური ანგარიშგების თარიღისა და იმ თარიღის განმარტებებს,როდესაც მიიჩნევა, რომ ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოიცემა.

აუდიტის ჩატარება ასს-ისა და ეროვნული სტანდარტების შესაბამისად.

ასს 700 (გადასინჯული), ასს 200–ის შესწორებასთან ერთად, ნათლად აჩვენებს, რა პასუხისმგებლობები აკისრია აუდიტორს აუდიტის ჩატარებასა და დასკვნის შედგენაზე, როდესაც აუდიტი ჩაატარა ასს–ისა და სათანადო ეროვნული აუდიტის სტანდარტების შესაბამისად. როდესაც აუდიტორი თავის დასკვნაში აღნიშნავს, რომ აუდიტი ჩატარდა ასს-ის შესაბამისად, მან უნდა უზრუნველყოს, რომ:

- აუდიტორის დასკვნა მოიცავს ასს 700-ით (გადასინჯული) მოთხოვნილ ყველა ელემენტს.
- აუდიტორის დასკვნაში გამოთქმული მოსაზრება არის სწორად ის მოსაზრება, რომელსაც აუდიტორი მაშინ გამოთქვამდა, თუ დასკვნას მარტო ასს-ის შესაბამისად მოამზადებდა.

სასარგებლოა, თუ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტის აუდიტორული დასკვნა თავისი შინაარსით, ფორმატითა და ტექსტის რედაქციით ადვილად იდენტიფიცირებადი იქნება, როდესაც შესაძლებელია. ასს 700 (გადასინჯული) აღიარებს, რომ აუდიტორს დასკვნის სედგენისას შეიძლება მოეთხოვებოდეს ეროვნული მოთხოვნების დაცვა. ასეთ სიტუაციაში აუდიტორს გარკვეული მოქნილობის გამოჩენის უფლება აქვს.

აუდიტორის სხვა საანგარიშგებო პასუხისმგებლობა

თუ აუდიტორს, ფინანსურ ანგარიშგებაზე მოსაზრების გამოთქმის ვალდებულების გარდა, სხვა საანგარიშგებო პასუხისმგებლობაც აკისრია და მოეთხოვება ან უფლება აქვს იმის შესახებ ანგარიში წარმოადგინოს თავის აუდიტორულ დასკვნაში, ასს 700 (გადასინჯული) ადგენს, რომ პასუხისმგებლობა ნათლად უნდა განისაზღვროს და გაიმიჯნოს. უმჯობესია, თუ ეს გაკეთდება აუდიტორული დასკვნის ცალკე ნაწილში.

აუდიტორული დასკვნის ტექსტი

ასს 700 (გადასინჯული) აუდიტორული დასკვნისთვის ითვალისწინებს ახალ ტექსტს.

- ხელმძღვანელობისა და აუდიტორის შედარებითი პასუხისმგებლობის უკეთ ახსნას.
- აუდიტის პროცესის ახლებურად აღწერას, აუდიტორული რისკის შესახებ სტანდარტების ასახვის მიზნით;
- აუდიტორის პასუხისმგებლობის სფეროს წარმოჩენას შიდა კონტროლთან მიმართებით.

ელექტრონული კომუნიკაციის გათვალისწინება დასკვნით ნაწილში

ცნობილია რომ დღითი დღე სულ უფრო მეტი კომპანია განათავსებს თავის ფინსურ ანგარიშგებას, მათ შორის აუდიტორულ დასკვნასაც თავის ვებგვერდზე, ან

აქციონერებს უფლებას აძლევს, რომ წლიური ანგარიში მიიღონ ელექტრონული ფორმით. ასეთ შემთხვევაში, აუდიტორებმა უნდა შეამოწმონ, რომ ფინანსური ანგარიშგების ელექტრონული ვერსია შინაარსით ხელით ხელმოწერილი ანგარიშების იდენტურია.

უარყოფა

ზოგიერთი წამყვანი ფირმა დასკვნას ურთავს ახალ, უარის (აცილების) აბზაცს, რათა შეზღუდოს მესამე, მხარეთა წინაშე ვალდებულება. ამგვარი აბზაცის ნიმუშია:

„გამოვთქვამთ რა მოსაზრებას, ჩვენს თავზე არ ვიღებთ პასუხისმგებლობას რაიმე სხვა მიზნისთვის ან ვინმე სხვა პიროვნების მიმართ, ვისაც ამ დასკვნას აჩვენებენ ან ვის ხელშიც შეიძლება მოხვდეს ეს დასკვნა გარდა იმისა, რაც წინასწარ სპეციალურად წეროლობით იყო შეთანხმებული“.

ასპდ 1014 დასკვნა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ“ (2003წ. მარტი)

ამ სახელმძღვანელო მითითებების მიზანია, ნათლად წარმოაჩინოს, როდის არის ფინანსური ანგარიშგება მომზადებული სრულად ბასს/ფასს-ის შესაბამისად.

გარდა ამისა, შეიცავს დამატებით მითითებებს ისეთი სიტუაციისათვის, როდესაც აუდიტორი მოსაზრებას გამოთქვამს ფინანსურ ანგარიშგებაზე, რომელიც მომზადებულია:

- ბასს/ფასს-ის შესაბამისად;
- როგორც ბასს/ფასს-ის, ასევე ეროვნული სტანდარტების შესაბამისად;
- შესაფერისი ეროვნული სტანდარტების შესაბამისად, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტავს, რა ფარგლებში შეესაბამება ბასს/ფასს-ებს.

უპირობო აუდიტორული დასკვნის ფორმატი

ქვემოთ შემოთავაზებული უპირობო აუდიტორული დასკვნის ნიმუში ასს 700-დან (გადასინჯული):

ჩავატარეთ C კომპანიის თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ბალანსისაგან 20X1 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებისაგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ყველა მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი შენიშვნებისაგან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის დაპროექტებას, დანერგვასა და ფუნქციონირებას, რომელიც შეესაბამება ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს, აგრეთვე სათანადო საბუღალტრო პოლიტიკის შერჩევასა და გამოყენებას და მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი საბუღალტრო შეფასებების გამოთვლას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტს წარემართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, დავიცვათ ეთიკის მოთხოვნები და იმგვარად დავგეგმოთ და ჩავატაროთ აუდიტი, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია (რწმუნება) იმისა, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად, ფინანსურ ანგარიშგებაში ასახდული თანხებისა და განმარტე-

ბითი შენიშვნების შესახებ. პროცედურების შერჩევა დამოკიდებულია აუდიტორის განსჯაზე, მათ შორის ფინანსური ანგარიშგების არსებიტი უზუსტობების რისკების შეფასებაზე, რომელიც გამიწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამეურნეო სუბიექტის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის, რათა დაგეგმოს მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საღრიცხვო შეფასებების მარტებულობის შეფასებას, აგრეთვე წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების მთლიანად შეფასებას.

გვჯერა, ჩვენ მიერ შეკრებილი აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია და შესაფერისი ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო დასაბუთებული ბაზის შესაქმნელად.

მოსაზრება

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს (ან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს) C კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 20XI წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი ნაკადების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

(აუდიტორის ხელმოწერა)
(აუდიტორის დასკვნის თარიღი)
(აუდიტორის მისამართი)

• ისეთ სიტუაციაში, როდესაც აუდიტორი ასევე პასუხისმგებელია მოსაზრების გამოთქმაზე, შიდა კონტროლის ეფექტიანობის შესახებ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, ეს წინადადება შემდეგნაირად უნდა ჩამოყალიბდეს: „ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი საამეურნეო სუბიექტის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის, რათა დაგეგმოს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები“.

მოდიფიცირებული დასკვნები

ასს 700-„დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის მოდიფიკაციები“ – უზრუნველყოფს მითითებებს ისეთი სიტუაციებისათვის, როდესაც აუდიტორის დასკვნა უნდა შეიცვალოს, მათ შორის, ამ სიტუაციების შესაფერისი აუდიტორის დასკვნის ფორმისა და შინაარსის მოდიფიკაციების შესახებ.

არსებობს ოთხი სიტუაცია, როდესაც აუდიტორმა უნდა გადაუხვიოს ზემოთ განხილული აუდიტორული დასკვნის ფორმატიდან.

საკითხები, რომლებიც გავლენას არ ახდენს აუდიტორიოს მოსაზრებაზე

- რომელიმე საკითხის ხაზგასმა

საკითხები, რომლებიც გავლენას ახდენს აუდიტორის მოსაზრებაზე

- პირობითი მოსაზრება.
- უარი მოსაზრების გამოთქმაზე.
- უარყოფითი მოსაზრება.

რომელიმე საკითხის ხაზგასმა

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი არის სპეციალური აბზაცი, რომელიც დასკვნას ემატება იმ მიზნით, რომ ყურადღება გამახვილდეს რომელიმე მნიშვნელოვან საკითხზე, რომელიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე და უფრო დეტალურად ახსნილია ფინანსური ანგარიშგების რომელიმე შენიშვნაში.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი უნდა მოთავსდეს დასკვნითი აბზაცის შემდეგ და, როგორც წესი, იმაზე მიუთითებს, რომ აუდიტორის მოსაზრება არ არის პირობითი.

ფუნქციონირებადი საწარმო

აუდიტორმა უნდა შეცვალოს აუდიტორის დასკვნა აბზაცის დამატებით, რათა წარმოაჩინოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებასთან დაკავშირებული პრობლემა.

მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა

აუდიტორმა უნდა განიხილოს აუდიტორის დასკვნის მოდიფიცირების საკითხი, თუ არსებობს მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა (ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებასთან დაკავშირებული პრობლემის გარდა), რომლის გადაჭრაც დამოკიდებულია მომავალ მოვლენებზე და შეიძლება გაელენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაზე. განუსაზღვრელობა ისეთი საკითხია, რომლის შედეგიც დამოკიდებულია სამომავლო მოქმედებებზე ან მოვლენებზე, რომლებიც არ ექვემდებარება სამეურნეო სუბიექტის კონტროლს, მაგრამ შეუძლია გაელენის მოხდენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ნიმუში

დაუმთავრებელ სასამართლო პროცესტან დაკავშირებულ მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველ აბზაცს შეიძლება ჰქონდეს შემდეგი სახე:

„არ ვადგენთ რა პირობით დასკვნას, ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსურ ანგარიშგების X შენიშვნაზე. კომპანია მოპასუხე მხარეა საპატენტო უფლებების დარღვევის, საავტორო პონორარების მითვისებისა და ზარალის მიყენებაზე აღძრულ სარჩელზე. კომპანიამ აღძრა საპასუხო სარჩელი და ამჟამად მიმდინარეობს ორივე სარჩელის წინასწარი მოსმენა სასამართლო პროცესზე. ამ ეტაპზე შეუძლებელია სასამართლო პროცესის შედეგებზე მსჯელობა. ამასთან, არ შექმნილა რაიმე ანარიცხები რომელიმე ვალდებულებისათვის, რომლის შედეგების ასახვაც შეიძლებოდა ფინანსურ ანგარიშგებაში“.

არსებითია იმის გაგება, რომ მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი გაელენას არ ახდენს აუდიტორის მოსაზრებაზე. ის მხოლოდ ყურადღებას ამახვილებს რომელიმე მნისვნელოვან საკითხზე, რათა მკითხველმა შეძლოს ფინანსური ანგარიშგების სრულყოფილი აღქმა.

პირობითი მოსაზრება, უარი მოსაზრების გამოთქმაზე და უარყოფითი მოსაზრება.

ზემოაღნიშნული სამი ტიპის მოდიფიკაციაა გამოიყენება აუდიტორის დასკვნაში, როდესაც ადგილი აქვს:

ა) აუდიტორის სამუშაოს მასშტაბის შეზღუდვას; ან

ბ) უთანხმოებას ხელმძღვანელობასთან არჩეული საბუღალტრო პოლიტიკის ან მისი გამოყენების მეთოდების მიზანშეწონილობის საკითხზე, ან ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნების ადეკვატურობასთან დაკავშირებით.

ამგვარი გარემოებების გაელენა შეიძლება იყოს არსებითი და ფუნდამენტური პირობითი დასკვნა გამოიყენება არსებითი პრობლემებისთვის.

თუ მასშტაბის შეზღუდვა ან უთანხმოება ხელმძღვანელობასთან იმ დონეზეა არსებითი და ყოელისმომცველი, რომ მხოლოდ დასკვნის პირობითობა არ იქნება საკმარისი, მაშინ გამოიყენება დასკვნის ორი უფრო ძლიერი ფორმა.

პირობითი დასკვნა იწერება მაშინ, როდესაც აუდიტორი მიიჩნევა, რომ დადებითი დასკვნის გაცემა არ შეიძლება, მაგრამ ხელმძღვანელობასთან უთანხმოების ან აუდიტის მასშტაბის შეზღუდვის გაელენა ფინანსურ ანგარიშგებაზე ისეთი არსებითი და მნიშვნლოვანი არ არის, რომ საჭირო იყოს უარყოფითი დასკვნის გაცემა, ან დასკვნაში უარის თქმა აუდიტორული მოსაზრების გამოთქმაზე. პირობითი მოსაზრების გამოსახატავად დასკვნაში გამოიყენება სიტყვა „გარდა...“ და შემდეგ განიხილება ის საკითხი, რამაც განაპირობა პირობითი დასკვნის გაცემა.

აუდიტორი უარს აცხადებს მოსაზრების გამოთქმაზე იმ შემთხვეევაში, თუკი აუდიტის მასშტაბის შეზღუდვის გაელენა ფინანსურ ანგარიშგებაზე იმდენად არდებითი და ყოელისმომცელელია, რომ აუდიტორს უარი არ შესწევს, მოიპოეოს

საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები და ამის გამო არ შეუძლია რაიმე აზრის გამოხატვა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

უარყოფითი დასკვნა იწერება იმ შემთხვევაში, როდესაც აუდიტორისა და ხელმძღვანელობის უთანხმოების გაელენა ფინანსურ ანგარიშგებაზე იმდენად არსებითი და ყოელისმომცველია, რომ აუდიტორის აზრით დასკვნაში შენიშვნების გათვალისწინებით (პირობითი დასკვნის შედგენით) ადეკვატურად ვერ აიხსნება მცდარად ან არასრულყოფილად წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების ხასიათი.

როდესაც აუდიტორი არ გამოხატავს უპირობო მოსაზრებას, დასკვნაში ნათლად უნდა იყოს აღწერილი დასკვნის პირობითობის გამომწვეული ყველა მნიშვნელოვანი მიზეზი და, თუ შესაძლებელია, ფინანსურ ანგარიშგებაზე მათი პოტენციური გაელენის რაოდენობრივი შეფასება. ჩვეულებრივ, ეს ინფორმაცია თაესდება ცალკე ანზაცში, დასკვნითი აბზაცის წინ, ან იმ აბზაცის წინ, სადაც აუდიტორი უარს აცხადებს მოსდაზრების გამოთქმაზე და, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება შეიცავდეს მინიშნებას ფინანსური ანგარიშგების იმ შენიშნაზე, სადაც ეს საკითხი უფრო ფართოდ არის განმარტებული.

მოდიფიცირებული დასკვნების მაგალითები

ა) მასშტაბის შეზღუდვა

მასშტაბის შეზღუდვა – პირობითი მოსაზრება

„ჩაატაროთ (დანარჩენი ტექსტი მეორდება, როგორც ზემოთ მოცემულ უპირობო დასკვნის შესაეალ აბზაცში).

გარდა იმისა, რაზედაც საუბარი იქნება შემდეგ აბზაცში, აუდიტს წარვმართავდით ... შესაბამისად (დანარჩენი ტექსტი იგივეა, როგორც ზემოთ მოცემული უპირობო დასკვნის აუდიტის მასშტაბის ამღწერ აბზაცში).

ჩვენ ვერ დაეაკვირდით სასაქონლო – მატერიალური მარაგის ინვენტარიზაციის პროცესს, რომელიც ჩატარებულია 20X1 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ვინაიდან ეს მოხდა კომპანიის აუდიტორებად ჩვენს დანიშვნამდე. კომპანიის სააღრიცხეო დოკუმენტაციის ხასიათის გამო, საშუალება არ გვქონდა დაეარწმუნებულიყავით სასაქონლო მატერიალური მარაგის რაოდენობის სისწორეში სხვა აუდიტორული პროცედურების მეშვეობითაც.

ჩვენი აზრით, გარდა იმისა, რომ ვერ დაეაკვირდით სასაქონლო – მატერიალური მარაგის ინვენტარიზაციას, რათა დაერწმუნებულიყავით მათი რაოდენობის სისწორეში, რასაც შესაძლოა გაელენა მოეხდინა ფინანსურ ანგარიშგებაზე, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს

მასშტაბის შეზღუდვა – უარი მოსაზრების გამოთქმაზე

„ჩვენ გეეკალებოდა ABC კომპანიის თანდართული ბალანსის აუდიტის ჩატარება 20X1 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკაეშირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების აუდიტი იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით. აღნიშნულ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა (გამოტოვეთ წინადადება, რომელიც ეხება აუდიტორის პასუხისმგებლობას).

(აბზაცი, რომელშიც აუდიტის მასშტაბია აღწერილი, შეიძლება გამოტოვეთ ან შეცვალოთ კონკრეტული ვითარების შესაბამისად).

(დაამატეთ აბზაცი, რომელშიც აღწერილია აუდიტის შეზღუდვები, როგორც ქვემოთაა ნაჩვენები).

ჩვენ არ გვქონდა საშუალება დაეკვირვებოდით სასაქონლო – მატერიალური მარაგის ინვენტარიზაციის პროცესს და დაგეეხასტურებინა დებიტორული დაეალიანების ანგარიშები, კომპანიის მხრიდან ჩვენი საშუშაოს მასშტაბის შეზღუდვის გამო.

წინა აბზაცში განხილული საკითხების მნიშვნელობის გამო, არ გამოვხატავთ მოსაზრებას წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე".

ბ) უთანხმოება

(i) უთანხმოება სააღრიცხეო პოლიტიკაზე – ბუღალტრული აღრიცხეის არასწორი მეთოდი–პირობითი მოსაზრება.

ჩავატაროთ ... (დანარჩენი ტექსტი მეორდება, როგორც ზემოთ მოცემულ უპირობო დასკვნის შესაეალ აბზაცში).

აუდიტს წარემართაედით ... შესაბამისად (დანარჩენი ტექსტი მეორდება, როგორც ზემოთ მოცემული უპირობო დასკვნის აუდიტის მასშტაბის აღმწერ აბზაცში).

როგორც ფინანსური ანგარიშგების X შენიშენაშია აღწერილი, ფინანსური ანგარიშგებაში არანაერი ცვეთა არ არის დარიცხული. ასეთი პრაქტიკა, ჩვენი აზრით ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს არ შეესაბამება. იმ საანგარიშგებო წელს, რომელიც დასრულდა 20XI წლის 31 დეკემბერს, ცვეთის დარიცხვა უნდა მომხდარიყო სწრაფი მეთოდით, რომლის თანახმად ცვეთის წლიური ნორმა შენობა-ნაგებობებისათვის უნდა ყოფილიყო 5%, ხოლო მანქანა-მოწყობილობებისათვის –20%. შესაბამისად, ძირითადი საშუალებების ღირებულება უნდა შემცირებულიყო დარიცხული ცვეთის XXX თანხით, ხოლო საანგარიშგებო წლის ზარალი და საერთო დეფიციტის თანხა გაზრდილიყო შესაბამისად XXX–ით.

ჩვენი აზრით, გარდა წინა აბზაცში განხილული საკითხებისა, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე, ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს ... (დანარჩენი ტექსტი ისეთივეა, როგორც ზემოთ მოცემული უპირობო დასკვნის დასკვნით აბზაცში)".

(ii) უთანხმოება სააღრიცხეო პოლიტიკაზე – არაადეკვატური განმარტებები ფინანსური ანგარიშგების შენიშენებში–პირობითი მოსაზრება

„ჩავატაროთ ... (დანარჩენი ტექსტი მეორდება, როგორც ზემოთ მოცემულ უპირობო დასკვნის შესაეალ აბზაცში).

აუდიტს წარემართაედით ... შესაბამისად (დანარჩენი ტექსტი იგივეა, როგორც ზემოთ მოცემული უპირობო დასკვნის აუდიტის მასშტაბის აღმწერ აბზაცში).

„20X2 წლის 15 იანვარს კომპანიამ გამოუშვა XXX თანხის ობლიგაციები წარმოების გაფართოების დასაფინანსებლად. ხელშეკრულება აღნიშნული ფასიანი ქაღალდის შესახებ ზღუდავს მოგებიდან ფულადი დივიდენდების გაცემას 20XI წლის 31 დეკემბრის შემდეგ. ჩვენი აზრით, ამ ინფორმაციის განმარტება ფინანსურ ანგარიშგების შენიშენებში მოითხოეება ... (მიუთითეთ საკანონმდებლო ან მარეგულირებელი მოთხოვნა).

ჩვენი აზრით, გარდა წინა აბზაცში განხილული ინფორმაციის გამოტოეებისა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს... (დანარჩენი ტექსტი ისეთივეა, როგორც ზემოთ მოცემული უპირობო დასკვნის დასკვნით ნაწილში).

(iii) უთანხმოება სალრიცხეო პოლიტიკაზე–არაადეკვატური განმარტებები ფინანსური ანგარიშგების შენიშენებში–უარყოფითი მოსაზრება

„ჩავატარეთ ... (დანარჩენი ტექსტი ისუთივეა, როგორც ზემოთ მოცემული უპირობო დასკვნის შესაეალ აბზაცში).

უდიტს წარემართაედით შესაბამისად (დანარჩენი ტექსტი იგივეა, როგორც ზემოთ მოცემული უპირობო დასკვნის აუდიტის მასშტაბის აღმწერ აბზაცში). (აბზაც(ებ)ი, სადაც განხილულია ეს უთანხმოება).

ჩვენი აზრით, წინა აბზაცში აღწერილი საკითხების გამო, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე, ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად არ ასახავს (ან არ ასახავს სამართლიანად ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით) კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 20XI წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი ნაკადების მოძრაობას იმ წლისათეის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღისათეის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და არ შეესაბამება (მიუთითეთ შესაბამისი კანონი ან კანონქვემდებარე აქტი)).

როგორ აღიქვამენ მომხმარებლები აუდიტორულ დასკვნას

ანგარიშგების მომხმარებლებს საინფორმაციო მოთხოვნილებები გააჩნიათ და აუდიტორის დასკვნა, როგორც დამოუკიდებელი დამოწმება, საბუღალტრო ინფორმაციას სანდოობას ანიჭებს. თუმცა, დამეკიდრდა ისეთი ტენდენცია, რომ მომხმარებლები იმაზე გაცილებით მტად ეყრნობიან აუდიტორულ დასკვნას, ვიდრე მისი ნამდვილი ფუნქციები ამას იმსახურებს.

ამ საკითხზე მომხმარებელთა ტიპიური და მცდარი რწმენა მდგომარეობს შემდეგში:

ა) აუდიტორები არიან პირიქნებები, რომლრბიც პასუხისმგებლები არიან იმის უზრუნველყოფაზე, რომ ანგარიშებმა ასახონ უტყუარი და სამართლიანი თვალსაზრისი;

ბ) აუდიტორები პასუხისმგებელნი არიან თაღლითობის თავიდან აცილებაზე და/ან გამოვლენაზე;

გ) აუდიტორები იძლევიან გარანტიას, რომ კომპანია არის ფუნქციონირებადი საწარმო.

როგორ შეიძლება დასკვნის პირობითობის თავიდან აცილება ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკების გზით

სანამ აუდიტორი გადაწყვეტს რა ტიპის აუდიტორული მოსაზრებაა შესაფერისი მან უნდა განიხილოს გამოვლენილი აუდიტორული განსხვავების რეზიუმე. უნდა ტარდებოდეს აუდიტორისა და დირექტორების შეხვედრები ასეთი საკითხების განსახილველად. პრაქტიკაში, ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც მოლაპარაკების შემდეგ, კომპრომისი მიიღწევა დამკვეთთან, რის შემდეგაც ზოგიერთი აუდიტორული განსხვავება შესწორდება, ხოლო ისეთი, რომელიც არსებით გავლენას არ ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე, შეუსწორებელი რჩება.

საზოგადოდ, ხელმძღვანელობა ცდილობს თავიდან აიცილოს დასკვნის პირობითობა, ვინაიდან:

ა) თუ პირობითობა ეხება საბალდებულო სააღრიცხვო პოლიტიკას, სასამართლოს შეუძლია მოითხოვოს შესწორებული ანგარიშების მომზადება;

ბ) სესხის/საბალო ვალდებულებების დოკუმენტებმა შეიძლება გამოიწვიოს დასკვნის პირობითობა, როდესაც ხელშეკრულება (შეთანხმება) დარღვეულია,

რაც კრედიტორებს პირდაპირ აძლევს უფლებას, გადახდა მოითხოვონ.

ამგვარად, თუ აუდიტორებს საკამათო საკითხი აქვთ, დირექტორები ხშირად ხელახლა იხილავენ თავიანთ გადაწყვეტილებას ამა თუ იმ კონკრეტული პოლიტიკის შესახებ, როდესაც აუდიტორები ხელმძღვანელობას საკითხს ეფექტურად წარუდგენენ. ამის გაკეთება ზოგჯერ, შეიძლება რთული იყოს, ვინაიდან აუდიტორს, როგორც წესი, ენდომება დამკვეთთან დაპირისპირების ან დამკვეთის დაკარგვის თავიდან აცილება, თუმცა ცხადია, „უტყუარი და სამართლიანი თვალსაზრისის" საჭიროება წინა პლანზე უნდა დარჩეს.

საწყისი ნაშთებისა და შესადარისი ინფორმაციის გავლენა აუდიტორულ დასკვნაზე

საწყისი ნაშთები

ასს 510-ში „საქმიანობის დაწყება – საწყისი ნაშთები – მოითხოვს; როდესაც უდიტორი მუშაობას იწყებს ახალ დამკვეთთან, ის უნდა დარწმუნდეს, რომ:

ა) საწყისი ნაშთები არ შეიცავს ისეთ უზუსტობებს, რომლებიც არსებით გავლენას ახდენს მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზე;

ბ) წინა პერიოდის საბოლოო ნაშთები ზუსტად არის გადმოტანილი მიმდინარე პერიოდისთვის ან გადაანგარიშებულია.

გ) სათანადო სააღრიცხო პოლიტიკა უცვლელად არის გამოყენებული, ან სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებები სათანადოდ არის ახსნილი ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

თუ წინა წლების ფინანსური ანგარიშგების აუდიტი სხვა აუდიტორისმიერ იყო ჩატარებული, მოქმედმა აუდიტორმა საწყისი ნაშთების შესახებ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად უნდა გადასინჯოს წინა აუდიტორის სამუშაო დოკუმენტები.

მან უნდა გაითვალისწინოს წინამორბედი აუდიტორის კომპეტენტურობა და დამოუკიდებლობა. წინამორბედ აუდიტორს უფლება აქვს მოიუსურვოს ან არ მოისურვოს მასთან თანამშრომლობა დამ ას არ ეკისრება რაიმე ეთიკური ვალდებულება, თავისი ფაილები აჩვენოს სხვა აუდიტორს. თი წინა პერიოდის აუდიტორული დასკვნა მოდიფიცირებული იყო (დასკვნა მნიშვნელოვან გარემობათა ამსახველი აბზაცით ან

უპირობო დასკვნა), აუდიტორმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს დასკვნის მოდიფიცირების გამომწვევ მიზეზებს.

თუ წინა პერიოდში აუდიტი არ ჩატარებულა ან ჩატარებულია არასათანადოდ,

ზოგიერთი მტკიცებულებების მოპოვება შესაძლებელია მიმდინარე აუდიტის პროცედურებით, როგორიცაა, მაგალითად შემოსული და გასული ფულადი

სახსრების შემოწმება, დებიტორული და კრედიტორული დავალიანების დასაბუთების მიზნით. შასაქონლო მატერიალური ფასეულობების მარაგთან მუშაობა

გაცილებით რთული საქმეა, ამიტომ შეიძლება აუცილებელი გახდეს დამატებითი პროცედურების ჩატარება. ეს პროცედურები შეიძლება მოიცავდეს:

მიმდინარე პერიოდის მარაგის ინვენტარიზაზე დაკვირვებას და შედეგების შეჯერებას საწყის რაოდენობასთან, საწყისი მონაცემების ტესტირებას, მთლიანი მოგების მარჯვების ანალიზს. გრძელვადიანი აქტივებისა და ვალდებულებებისათვის შესაძლოა შესაბამისი დოკუმენტაციის შემოწმება.

თუ მტკიცებულებები არ არის საკმარისი, აუდიტორი იძლევა ან პირობით („გარდა") დასკვნას, ან დასკვნაში უარს აცხადებს თავისი მოსაზრების გამოთქმაზე, როგორც ქვემოთ არის ნაჩვენები.

„ჩვენ ვერ დავაკვირდით XXX სიდიდის სასაქონლო-მატერიალური მარაგის ინვენტარიზაციის პროცესს, რომელიც ჩატარებულია 20X1 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგან ეს მოხდა კომპანიის აუდიტორებად ჩვენს დანიშვნამდე. აღნიშნული თარიღისთვის არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგის რაოდენობის სისწორეში ვერ დავრწმუნდით სხვა აუდიტორული პროცედურებითაც

ჩვენი აზრით, გარდა მოცემულ საკითხთან დაკავშირებული კორექტირების გაკეთებისა ფინანსურ ანგარიშგებაზე, თუ საჭირო გახდებოდა კორექტირება, დაკვირვებოდით სასაქონლო – მატერიალური მარაგის ინვენტარიზაციას, რათა დარწმუნებულიყავით მათი საწყისი ნაშთების სისწორეში, ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს (ან „სამართლიანად ასახავს ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით") კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი ნაკადების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღისათვის . . შესაბამისად".

ზოგიერთ ქვეყანაში დასაშვებია, რომ აუდიტორმა მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაზე ან ფულადი ნაკადების ანგარიშგებაზე გამოხატოს პირობითი მოსაზრება ან უარი განაცხადოს თავისი მოსაზრების გამოთქმაზე, ხოლო ბალანსზე–უპირობო დასკვნა გასცეს.

თუ საწყის ნაშთებში დაშვებული უზუსტობები სათანადოდ არ არის გათვალისწინებული ან ახსნილი ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში, ასევე როდესაც საღირებულო პოლიტიკა უცვლელად არ გამოიყენებოდა საწყისი ნაშთების მიმართ ან ნაშთები არ არის გადაანგარიშებული ცვლილებების გათვალისწინებით, აუდიტორმა უნდა გასცეს პირობითი („გარდა") ან უარყოფითი დასკვნა.

შესადარისი ინფორმაცია

ბასს 701-ით – „შესადარისი ინფორმაცია" – მოითხოვება, რომ შესადარისი ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით შეესაბამებოდეს ფინანსური ანგარიშგების წარდგენისთვის დადგენილ ჩარჩოებს. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის მიერ შემუშავებული „ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სტრუქტურული საფუძვლებითა, და ბასს 1-ით – „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა" – მოითხოვება, რომ ფინანსური ანგარიშგება უნდა ასახავდეს შესადარის ინფორმაციას.

არსებობს ორი კატეგორიის შესადარისი ინფორმაცია:

(ა) შესაბამისი მონაცემები – რაც მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და გამიზნული არ არის მათი ცალკე წარმოდგენა. ასეთ შემთხვევაში, აუდიტორული დასკვნა მხოლოდ მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებას ეხება, რომელიც თავის თავში მოიცავს წინა პერიოდსაც და კონკრეტულად არ არის ორიენტირებული შესაბამის მონაცემებზე;

შესაბამის მონაცემებზე ჩასატარებელი აუდიტორული სამუშაო გაცილებით მცირე მოცულობისაა, მიმდინარე პერიოდის მონაცემებისათვის საჭირო სამუშაოსთან შედარებით. ეს სამუშაო მარტო იმით შემოიფარგლება, რომ აუდიტორი დარწმუნდეს,

შესაბამისი მონაცემები სწორად არის წარდგენილი ან გადაანგარიშებულია და სათანადოდ არის კლასიფიცირებული.

თუ საკითხი, რომლის გამოც წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული იყო პირობითი დასკვნა, კვლავ გადაუჭრელია, მაშინ მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტორული დასკვნაც პირობითი უნდა იყოს მონაცემების კონტექსტში. თუ ეს საკითხი უკვე გადაჭრილია, მაშინაც შეიძლება მიზანშეწონილი იყოს „მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცის“ დამატება დასკვნაში;

თუ აღმოჩნდება, რომ წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში დაშვებულია ფინანსური უზუსტობები, მაგრამ შესაბამისი მონაცემები სათანადოდ არის გადაანგარიშებული და წარდგენილი მიმდინარე პერიოდში, შეიძლება ამ შემთხვევაშიც მიზანშეწონილი იყოს „მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცის დამატება“.

ზოგჯერ ადგილობრივი კანონმდებლობით ნებადართულია, რომ დასკვნაში მითითებული იყოს, თუ წინა პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი საერთოდ არ ჩატარებულა. ეს ფაქტიც უნდა დაფიქსირდეს აუდიტორულ დასკვნაში;

თუ შესაბამის მონაცემებში დაშვებულია არსებითი უზუსტობები, აუდიტორმა უნდა გასცეს პირობითი დასკვნა.

ბ) შესადარისი ფინანსური ანგარიშგება – შესადარისი ფინანსური ანგარიშგება, შედარების მიზნით, ჩართულია მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, მაგრამ არ წარმოადგენს მის ნაწილს. ამ შემთხვევაში, აუდიტორული დასკვნა თითოეულ წარდგენილ პერიოდს ცალ–ცალკე ეხება (მაგალითად, აშშ-ში 3 წელია დადგენილი მოგებისა და ზარალის ანგარიშგებისათვის, ხოლო ორი წელი – ბალანსისათვის); აუდიტორმა უნდა შეაფასოს, შეესაბამება თუ არა მიმდინარე პერიოდის საბუღალტრო პოლიტიკა წინა პერიოდებს, ან სათანადოდ არის თუ არა კორექტირებული და ახსნილი ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

აუდიტორი ასევე უნდა დარწმუნდეს, რომ წინა პერიოდი მონაცემები შეესაბამება წინა პერიოდი ფინანსურ ანგარიშგებას ან საერთოდ იყო კორექტირებული.

შესაძლებელია, რომ აუდიტორის მოსაზრება ერთ ფინანსურ ანგარიშგებაზე განსხვავებული იყოს მეორე ანგარიშგებაზე მისი მოსაზრებისგან. თუ აუდიტორის მოსაზრება განსხვავებულია რომელიმე წინა წლის მოსაზრებისაგან, მისთვის შეწონილია დასკვნაში „მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი“ აბზაცის დამატება.

თუ წინა პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი სხვა აუდიტორმა ჩაატარა, წინამორბედ აუდიტორს შეუძლია ხელახლა გასცეს აუდიტორული დასკვნა წინა წლის ანგარიშგებაზე მიმდინარე წელს, ან ახალმა აუდიტორმა თავის დასკვნაში უნდა აჩვენოს, რომ წინა პერიოდის აუდიტი სხვა აუდიტის მიერ იყო ჩატარებული და დასკვნაში მოგვცეს დეტალური მონაცემები აუდიტორული დასკვნის შესახებ.

თუ წინა პერიოდის ფინანსური ანგარიშგება, რომლის აუდიტიც სხვა აუდიტორმა ჩაატარა, ხელახლა ფორმულირებას საჭიროებს, ან წინამორბედმა აუდიტორმა დასკვნა უნდა გასცეს შესწორებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, ან ახალმა აუდიტორმა უნდა განაცხადოს თავის დასკვნაში, რომ წინა პერიოდის ფინანსური ანგარიშგება შესწორებული და აუდიტირებულია.

თუ წინა პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი არ ჩატარებულა, აუდიტორულ დასკვნაში უნდა დაფიქსირდეს ეს ფაქტი.

ინფორმირება შიდა კონტროლის შესახებ

შესავალი

მიღებული პრაქტიკა უნდა იყოს, რომ აუდიტის დამთავრებისას აუდიტორი დამკვეთს უგზავნიდეს წერილს შიდა კონტროლის სისტემის ნაკლოვანებებზე (აუდიტორის რეკომენდაციებს შიდა კონტროლის საკითხებზე შემდეგი სახელწოდებით მოიხსენიებენ: აუდიტორის ანგარიში, ანგარიში შიდა კონტროლის სისტემის ნაკლოვანებებზე, მემორანდუმი კონტროლის შესახებ, აუდიტორის სარეკომენდაციო წერილი ხელმძღვანელობას ან კონსტრუქციული მომსახურების წერილი).

საუკეთესო პრაქტიკისთვის დამახასიათებელი საერთო მოსაზრებებია:

ა) ნათლად უნდა ჩანდეს, რომ აუდიტის მიზანი არ არის თაღლითობის აღმოჩენა, არამედ არის დასკვნის წარდგენა ფინანსურ ანგარიშგებაზე;

ბ) მოსაზრებები ლოგიკურად უნდა იყოს ჩამოთელილი;

გ) საჭირო არ არის ყურადღების გამახვილება ისეთ ნაკლოვანებაზე, რომელიც დამახასიათებელია საწარმოს სიდიდის ან ხასიათის გამო, ან საესებით ტრივიალურია;

დ) აუდიტორი მხოლოდ ნაკლოვანებებს უნდა შეეხოს:

ე) რეკომენდაციები შიდა კონტროლის გაუმჯობესებეზე უნდა ეხებოდეს თითოეულ ნაკლოვანებას;

ვ) რეკომენდაციების შესახებ ინფორმირება დროულად უნდა ხდებოდეს. უდიტორის სარეკომენდაციო წერილი შიდა კონტროლის სისტემის შესახებ უდიტის „თანამდე პროდუქცია" და აუდიტორმა აუდიტის დაგეგმვის დროს უნდა გაითვალისწინოს აღნიშნული წერილის აუცილებლობის საკითხი. წერილი, შეძლებისდაგვარად სწრაფად უნდა გაიგზავნოს მას შემდეგ, რაც აუდიტორული პროცედურებით გამოვლინდება საკითხი, რომელიც შენიშვნას იმსახურებს. თუ აუდიტი ერთზე მეტ ეტაპად ტარდება, მაშინ წერილის შედგენა მიზანშეწონილია, როგორც შუალედურ სტადიაზე, ასევე აუდიტის დამთავრებისას, საბოლოო სტადიაზე.

მნიშვნელოვანი. რომ აუდიტის სარეკომენდაციო წერილის გაგზავნა და პასუხის გაცემა დროულად მოხდეს (აუდიტი დამამთავრებელ სტადიაზე), რათა მან გაალენა იქონიოს, ეფექტური იყოს და დამკვეთმა ზომები გაატაროს. ასევე მნიშვნელოვანია, რომ წერილში გასათვალისწინებელი ყველა საკითხი აუდიტორმა წერილის დაწერამდე განიხილოს ხელმძღვანელობასთან. ნებისმიერ მნიშვნელოვან საკითხზე ხელმძღვანელობის ყურადღება ჯერ სიტყვიერად უნდა გამახვილდეს და შემდეგ დაიწეროს. არსებითი მნისვნელობა აქვს იმას, რომ წერილის შინაარსი განიხილოს ხელმძღვანელობამ. ამგვარად, აუდიტორმა ხელმძღვანელობას უნდა სთხოვოს წერილზე პასუხის გაცემა. ჭერილის ასლი პასუხთან ერთად უნდა ინახებოდეს აუდიტორულ ფაილში. მნიშვნელოვანი საკითხები უნდა გაკონტროლდეს ხელმძღვანელის პასუხის შემდეგ, განხილვის ან სისტემის ტესტების ჩატარების გზით. ჩვეულებრივ, მირებულია რომ, აუდიტორმა წინა წლების მოსაზრებები დამკვეთთან ერთად განიხილოს პირველივე ეი'ხიტის დროს, მომდევნო აუდიტის დაწყებისას.

ჯგუფის აუდიტში, პოლდინგური კომპანიის ხელმძღვანელობამ შეიძლება მოისურვოს, რომ აუდიტორმა ინფორმაცია მიაწოდოს იმ მნიშვნელოვან საკითხებზე, რომლებიც ასახა შეილობილი საწარმოების ხელმძღვანელობისათვის განკუთვნილ ანგარიშებში. სანამ ამგვარ ინფორმაციას გასცემდეს, აუდოტორმა ჯერ უნდა მოიპოეოს შეილობლი საწარმოს ხელმძღვანელობის ნებართვა.

ხელმძღვანელობისათვის დაწერილი ნებისმიერი ანგარიში მიიჩნევა კონფიდენციალურ ინფორმაციად. ამგვარად, აუდიტორმა, როგორც წესი, ანგარიშების შინაარსი არ უნდა გაუმხილოს რომელიმე მესამე მხარეს, თუ წინასწარ არ მიიღებს კომპანიის ხელმძღვანელობის თანხმობას.

პრაქტიკაში, აუდიტორს მცირე კონტროლის საშუალება აქვს იმისათვის, რომ გაიგოს რა მოუვა წერილს გაგზავნის შემდეგ. ცხადია, ხელმძღვანეობას შეუძლია ანგარიშის ასლები მისცეს მესამე მხარეს, მაგალითად თავის ბანკირებს.

უდიტორს შეუძლია გამოიყენოს ვალდებულებაზე უარის თქმის უფლება მესამე მხარეთა წინაშე გაუთვალისწინებელ ვალდებულებაზე, მაგრამ ამან შეიძლება ვერ უზრუნველყოს სრული დაცვა ამ ვალდებულებისაგან, თუ აუდიტორმა იცის ან უნდა იცოდეს, რომ ხელმძღვანელობისათვის განკუთვნილი მისი სარეკომენდაციო წერილი (ანგარიში) შეიძლება მოხვდეს მესამე მხარესთან, რომელიც მას დაეყრდნობა.

ინფორმირება შიდა კონტროლის შესახებ

ასპდ–1007–ში „ურთიერთობა ხელმძღვანელობასთან" – მოცემულია რეკომენდაციები იმის თაობაზე, რომ ხელმძღვანელობის ინფორმირების დროს:

აუდიტორმა არ უნდა გამოიყენოს ისეთი მოსაზრებები და ფრაზები, რომლებიც გაელენას იქონიებს და წინააღმდეგობაში მოვა აუდიტორულ დასკვნაში გამოთქმულ აუდიტორის მოსაზრებასთან;

აღნიშნული უნდა იყოს, რომ ბუღალტრული აღრიცხვისა და შიდა კონტროლის სისტემები განხილულია მხოლოდ იმ დონეზე, რაც აუცილებელი იყო ფინანსური ანგარიშგებაზე დასკვნის წარსადგენად საჭირო აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა იმ მიზნით, რომ აუდიტორებს შეეფასებინათ შიდა კონტროლის ადეკვატურობა ხელმძღვანელობის მიზნების პოზიციებიდან, ან იმისათვის, რომ აუდი-

ტორმა უზრუნველყოს რწმუნება ბუღალტრული აღრიცხვისა და შიდა კონტროლის სისტემებზე;

აღნიშნული უნდა იყოს, რომ ანგარიშში განხილულია მხოლოდ შიდა კონტროლის ის ნაკლოვანებები, რომლებიც აუდიტორისათვის ცნობილი გახდა

აუდიტის ჩატარების შედეგად და შესაძლებელია შიდა კონტროლის სისტემაში კიდევ არსებობდეს სხვა ნაკლოვანებები;

აუდიტორი უნდა აცხადებდეს, რომ ეს იმფორმაცია მხოლოდ ხელმძღვანელობისთვისაა განკუთვნილი (ან სხვა კონკრეტული ცნობილი მხარისთვის)

ზემოაღნიშნული პუნქტების გათვალისწინებისა და გამოსასწორებელი ღონისძიებების შესახებ რეკომენდაციების შეთავაზების შემდეგ საჭიროა, აუდიტორი

დაუკავშირდეს ხელმძღვანელობას. ჩვეულებრივ, აუდიტორი არკვევს, რა ღონისძიებები გატარდა, მათ შორის მისი წინადადებების უარყოფის მიზეზებსაც. აუდიტორს უფლება აქვს ხელმძღვანელობას სთხოვოს პასუხის გაცემა მის შენიშვნებზე. ასეთ შემთხვევაში, ნებისმიერი პასუხი გათვალისწინებული უნდა იყოს აუდიტორულ დასკვნაში.

ბუღალტრული აღრიცხვისა და შიდა კონტროლის სისტემებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მონაცემები შეიძლება დროთა განმავლობაში შეიცვალოს. წინა წლების აუდიტის დროს მიცემული რეკომენდაციები, რომლებიც არ გაითვალისწინა ხელმძღვანელობამ (თუ ასეთს ჰქონდა ადგილი), როგორც წესი, აუდიტორმა ხელახლა უნდა შესთავაზოს ან გაითვალისწინოს შესაბამისად.

აუდიტორის მიერ ხელმძღვანელობის ინფორმირება შიდა კონტროლის საკითხებზე ან სხვა საკითხებზე იმას არ ნიშნავს, რომ აუდიტორნა არ უნდა გაითვალისწინოს ამ საკითხების გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე ან აუდიტზე; ეს ანგარიში ასევე ვერ შეცვლის აუდიტორული დასკვნის მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცის ან პირობითი დასკვნის საჭიროებას.

აუდიტორის სარეკომენდაციო წერილის ნიმუში

არსებობს აუდიტორის სარეკომენდაციო წერილის მრავალნაირი მისაღები ფორმატი. ძალიან გავრცელებულია ანგარიშები, სადაც სექტებად არის წარმოდგენილი „ნაკლოვანება“, „შედეგი“ და „რეკომენდაციები“ სადაც აუცილებელი არ არის წერილის ნიმუშის დაზეპირება, ვინაიდან ეს პუნქტები არ გამოდგება ყველა საწარმოსათვის, მაგრამ ყურადღება მიაქციეთ, რა ტიპის საკითხებია განხილული

მაგალითად, პირადად და კონფიდენციალურად

სააქციო საზოგადოება X–ის

დირექტორებს

15 მაისი. 20X8წ.

ბატონებო,

სააქციო საზოგადოება X

20X7 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლის აუდიტი

მიღებული პრაქტიკის შესაბამისად, მოგახსენებთ ზოგიერთი საკითხის შესახებ, რომლებიც გამოვლინდა იმ საანგარიშგებო წლის აუდიტის პროცესში, რომელიც დამთავრდა 20X7 წლის 31 დეკემბერს და რაზედაც გვინდა თქვენი ყურადღება გავამახვილოთ.

ჩვენი, როგორც აუდიტორების, პასუხისმგებლობა განისაზღვრება ასს/ეროვნული კანონებით, რომლის თანახმად გვევალება ანგარიშის წარდგენა კომპანიის საბუღალტრო ანგარიშების შესახებ აქციონერთა საერთო კრებამდე.

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია მხოლოდ სააქციო საზოგადოების დირექტორებისათვის. არ შეიძლება წერილში განხილული არცერთი საკითხის გამჟღავნება მესამე მხარისათვის, ჩვენი წერილობითი თანხმობის გარეშე. Swift7&Co-ს არავითარი ვალდებულება არ ეკისრება სხვა პირთა წინაშე.

ანგარიშში აღწერილი ფაქტები ეხება იმ საკითხებს, რომლებიც ჩვენთვის ცნობილი გახდა აუდიტის პროცესში. ის არ არის ამომწურავი ანგარიში ნაკლოვანებების შესახებ, რომლებიც შეიძლება არსებობდეს, ან მათი გაუმჯობესების გზების შესახებ. წინამდებარე ანგარიშში ვიხილავთ ისეთ საკითხებს, რომლებიც მივიჩნიეთ არსებითი მნიშვნელობის საკითხად. სხვა ნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხები, მაგრამ ისეთი, რომლებიც მაინც საჭიროებს თქვენს ყურადღებას, შენიშვნის სახით ანგარიშის დანართშია მოცემული.

(ა) მმართველობითი ანგარიშგება

თქვენს ბიზნესზე სათანადო კონტროლის განსახორციელებლად ძირითად მოთხოვნას წარმოადგენს ზუსტი თვითმართველობითი ანგარიშების რეგულარული და დროული მომზადება. უმჯობესია, თუ ეს ანგარიშები მომზადება ყოველთვიურად, შეუდარდება ბიუჯეტებს და შემდეგ ოფიციალურად განიხილავს და დაამტკიცებს დირექტორთა სრული საბჭო. ამ მომენტისათვის ასეთი სისტემა არ არსებობს.

(ბ) შიდა კონტროლი – ბუღალტრული აღრიცხვის სისტემა

(1) კომპანიაო კონტროლს არ ახორციელებს კომპიუტერული ბიუროს მიერ სისტემაში მონაცემების შენახვაზე, დამუშავებასა და გამომავალ ინფორმაციაზე. კომპანია ეყრდნობა კომპიუტერულ ბიუროს, რათა დარწმუნდეს საბუღალტრო ინფორმაციის დამუშავების სისრულესა და სისწორეში. ჩვენი აზრით, დირექტორები უნდა დარწმუნდნენ, რომ კომპანია სათანადოდ აკონტროლებს დამუშავებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეს.

(2) არსებობს სხვა სფეროებიც, რომლებიც მოიცავს მარაგს, გრძელვადიანი აქტივებისა და დებიტორული დავალიანების ისეტ ასპექტს, სადაც კონტროლი არ არსებობს, ან არაადეკვატურია. საკითხები განხილულია თანდართულ დანართში.

(3) ჩვენი აუდიტორული სამუშაო მნიშვნელოვნად გაართულა იმ გარემოებამ, რომ უყურადღებოდ იყო მიტოვებული დამამტკიცებელი დოკუმენტაცია, რის გამოც რთული იყო მისი თავიდან ბოლომდე შემოწმება სისტემის მეშვეობით. ჩანაწერების სათანადო დონეზე წარმოება მარტო (ეროვნული კანონების/ბასს-ის) მოთხოვნა კი არ არის, არამედ ეს აუცილებელია თქვენი ბიზნესის ეფექტური მართვის განსახორციელებლად.

(გ) ბუღალტრული ანგარიშგების მომზადება

აუდიტის მიზნებისთვის ჩვენთვის გადმოცემული ფინანსური ანგარიშგების პროექტი უხარისხოდ იყო მომზადებული.

(1) ფინანსური ანგარიშგება მომზადებული იყო გვიან, სათანადო დასაბუთების გარეშე. როდესაც, ზოგ შემთხვევაში ამგვარი დასაბუთება არსებობდა, იგი არ ემთხვეოდა ფინანსური ანგარიშგების პროექტში ასახულ თანხებს.

(2) ზოგიერთი მუხლი, რომელიც განმარტებას საჭიროებდა ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში ბასს/ეროვნული კანონების მიხედვით, გამოტოვებული იყო. საჭირო იყო ფართო განხილვების ჩატარება თქვენთან ერთად, რათა დაგეგმგინა ინფორმაცია, რომელიც უნდა გაშუქებულიყო ფინანსურ ანგარიშგების შენიშვნებში დირექტორების ინტერესებთან და კაპიტალურ დანახარჯებთან დაკავშირებით.

აუდიტზე დახარჯული დროისა და, მაშასადამე, თქვენი დანახარჯების შესამცირებლად, ჯერა დამადასტურებელი დოკუმენტაცია უნდა თანხედებოდეს ფინნასურ ანგარიშებს. გარდა ამისა, სანამ შემოწმებას დავიწყებთ, იქამდე უნდა შეგეკრიბათ ის ინფორმაცია, რომლის გაშუქებაც სავალდებულოა ფინანსური ანგარიშების შენიშვნებში.

მოხარული ვიქნებით, თუ დაგვეთანხმებით, რომ თქვენთან ერთად განვიხილოთ ზემოაღნიშნული საკითხები. პატივისცემით, თქვენი

Swift & Co

დანართი

სააქციო საზოგადოება – წელი მთავრდება 2007წლის 31 დეკემბერს.

(ა) კომპიუტერული დამუშავება

ნაკლოვანება:

არ არსებობს კონტროლი კომპიუტერული დამუშავების პროცესებზე.

შედეგი:

შეიძლება ზიანი მიადგეს საბუღალტრო ჩანაწერების სისრულეს, სისწორეს და კანონიერებას.

რეკომენდაციები:

(1) ნებართვა ინფორმაციის შეტანაზე, კერძოდ ჟურნალებში, არ გაიცემა პირველადი გატარების წიგნების საფუძველზე;

(2) ჯგუფური ჯამების კონტროლის პროცედურებში გამოიყენება ყველა შემავალი ინფორმაციის რეგისტრი, როგორც დამუშავებული დოკუმენტების სამეურნეო ოპერაციების ღირებულების, ასევე რაოდენობის თვალსაზრისითაც;

(3) დეტალური ჯამების გამოყენება;

(4) ხელმძღვანელობის კონტროლი მთავარი ფაილის ცვლილებებზე;

(5) შეჯერება მაკონტროლებელ ანგარიშებთან;

(6) სისტემის მიერ დაწუნებული (უარყოფილი) ნებისმიერი ინფორმაციის შესწორებისა და ხელახალი შეტანის აშკარა კვალის დატოვება აუდიტისთვის;

(7) ყველა ფინანსური ინფორმაცია მუშავდება ერთ ადგილას;

(8) უნდა არსებობდეს სარეზერვო მადებლირებელი სისტემა იმ შემთხვევისათვის, თუ კომპიუტერული ბიურო ვერ შეძლებს შემავალი ინფორმაციის დამუშავებას.

(ბ) შრომის ანაზღაურება

ნაკლოვანება:

არ არსებობს მტკიცებულებები შრომის ანაზღაურების თანხების დამტკიცებაზე.

შედეგი:

შეიძლება ადგილი ჰქონდეს უნებართვოდ ცვლილებების შეტანას.

რეკომენდაციები:

ხელმძღვანელობამ მტკიცებულებები უნდა შექმნას იმაზე, რომ ის ამტკიცებს შრომის ანაზღაურების უწყისებს, გადასახდელი სარგოების ცვლილებებს და ახალი პერსონალის სამუშაოზე აყვანას.

(გ) მარაგი

ნაკლოვანება:

- არ არსებობს ფიზიკური და ფინანსური კონტროლი მარაგის ელემენტებზე.
- აღმოჩენილი იყო შეცდომები დროში გამოჯვენის პროცედურებში, წლის დამთავრებამდე გაგზავნილ უფაქტური პროდუქციასთან დაკავშირებით.
- ზედმეტი ხარჯების განაწილება პროდუქციის ღირებულებაზე არ იყო დასაბუთებული.

შედეგი:

- შესაძლებელია რომ მარაგი არასწორად იყოს მიკუთვნებული სააღრიცხეო წელზე;
- შესაძლებელია, რომ მარაგის მონაცემები წლის ბოლოს მცდარი იყოს.

რეკომენდაციები:

(1) უნდა დაინერგოს მარაგის მუდმივი აღრიცხვის მარტივი სისტემა ყველა ადგილზე. სისტემა უნდა გამოიყენებოდეს მარაგის გაგზავნისა და მიღების შესაბამისად და უზრუნველყოფდეს ეფექტიან საერთო კონტროლს, რათა შესაძლებელი იყოს:

– მისი მოსალოდნელი გამოყენების შედარება ფაქტობრივთან, შეკვეთებთან შედარების გზით;

– ბუღალტრულ ჩანაწერებში აღრიცხული მარაგის შედარება ფაქტობრივთან, მარაგის რეგულირებული შემოწმების შემდეგ.

(2) უნდა გაუმჯობესდეს სისტემის კონტროლი, რათა გაადვილდეს გაგზავნილი პროდუქციის მიმოხილვა წლის ბოლოს და უზრუნველყოფილ იქ ეს გარანტია, რომ სათანადო დონეზე არის ჩატარებული დროში გამოჯვნის პროცედურები;

(3) პროდუქციის შეფასება დამოკიდებულია წლის განმავლობაში გაკეთებულ სააღრიცხვო შეფასებებზე. მნიშვნელოვანია, რომ წარმოებული პროდუქციის რაოდენობა სათანადოდ აღირიცხებოდეს და ყურადღება მიექცეს წარმოების საშუალო დონეებს, რათა შესაძლებელი იყოს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებტან შესაბამისობის მიღწევა.

(დ) გრძელვადიანი აქტივები

ნაკლოვანება:

- არსებობს ფიზიკური კონტროლი;
- არ არსებობს აშკარა კაპიტალიზაციის პოლიტიკა
- აქტივებს, რომლებიც ნულოვანი სააღრიცხვო ღირებულება აქვს, დარიცხული ჰქონდა ცვეთა

შედეგი:

- შესაძლებელია, რომ ტრანსპორტაბელური აქტივები უკანონოდ იქნეს მითვისებული;
- მუხლების კაპიტალიზაცია შეიძლება არასწორად განხორციელდეს.
- ანგარიშებში ასახული ცვეთის მონაცემები შეიძლება გადიდებული იყოს.

რეკომენდაციები:

(1) უნდა არსებობდეს რეესტრი ყველა აქტივის აღსარიცხავად თყით ღირებულებით, შესაბამისი ცვეთით;

(2) წინა წლების კაპიტალის მატება, კერძოდ იჯარით აღებული შენობების კეთილმოწყობის დანახარჯები, უნდა ჩამოიწეროს. ასევე, ჯართადდაქცეული აქტივები არ უნდა ჩამოიწეროს. ეს გამოიწვევს მუხლების ანულირებას და ვეღარ შეძოგთაეაზებთ საწყისი მონაცემების კორექტირებას. უნდა შემოიღოთ კაპიტალიზაციის პოლიტიკა და დაიცვათ;

(3) რეესტრი ყველა სრულად გაცვეთილი აქტივების დადგენის საშუალებას უნდა იძლეოდეს, რათა გამოირიცხოს ისინი ცვეთის გაანგარიშებებიდან.

ე) შესყიდვებზე ანგარიშსწორება

ნაკლოვანება:

- არ ხდება დანახარჯების სათანადოდ განაწილება;
- არ არსებობს დამადასტურებლი დოკუმენტები;
- არ არსებობს კონტროლი ჩეკობის წიგნებზე;
- ცუდია კონტროლი აღურიცხავ ვალდებულებებზე.

შედეგი:

- ანგარიშებში ასახული შესყიდვები შეიძლება მცდარი იყოს;
- გადასახდელი ვალდებულებები შეიძლება შემცირებული იყოს, თუ არ გაკონტროლდება აღურიცხავი ვალდებულებები.

რეკომენდაციები:

(1) ყველა გაწეული დანახარჯი უნდა განაწილდეს სათანადო დანახარჯის ცენტრზე, ამ ცენტრების ანგარიშვალდებულების ხელშესაწყობად;

(2) ყველა გადახდილი თანხის დამადასტურებელი სათანადო დოკუმენტი სათანადოდ უნდ ინახებოდეს, რათა ადვილად აღსადგენი იყოს;

(3) უნდა გაუმჯობესდეს კონტროლი თანხების გადახდაზე, თუ მხოლოდ ერთი ჩეკების წიგნი იყო გამოყენებული ერთ დროში;

(4) უნდა ხდებოდეს დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების სანქციონირება ხელმძღვანელობის სათანადო დონის მიერ;

(5) უნდა შემოიღოთ შესყიდვის ჟურნალი. გადახდაზე აღნიშნა უნდა კეთდებოდეს. ამით გაკონტროლდება გადაუხდელი ანგარიშ–ფაქტურები და შესაძლებელი გახდება ანგარიშების შეჯერებაზე რეგულარული კონტროლის განხორციელება.

5. მმართველი ორგანოების ინფორმირება აუდიტის საკითხებზე

1998 წლის აგვისტოში აუდიტის საერთაშორისო პრაქტიკის კომიტეტმა (IAPC) დაამტკიცა აუდიტის სტანდარტი ასს 260 – „მმართველობითი ორგანოების ინფორმირება აუდიტის საკითხებზე".

სტანდარტი მოითხოვს, რომ აუდიტორებმა დროულად აცნობონ სამეურნეო სუბიექტის მმართველი ორგანოების წარმომადგენლებს, მართვისათვის მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

ეს რამდენიმე ბუნდოვანი ფრაზა იმას ნიშნავს, რომ აუდიტორებმა ხელმძღვანელობას უნდა აცნობონ ისეთი საკითხების შესახებ, როგორიცაა:

(ა) აუდიტის საერთო მიდგომა და სფერო, მოსალოდნელი შეზღუდვების ან ებისმიერი დამატებითი მოთხოვნების ჩათვლით;

(ბ) მნიშვნელოვანი სააღრიცხო პოლიტიკისა და პრაქტიკული მეთოდების შერჩევა ან შეცვლა, რომლებიც არსებით გაელენას ახდენს ან შესაძლოა, რომ მოახდენს სამეურნეო სუბიექტის ფინანსურ ანგარიშგებაზე;

(გ) მნიშვნელოვანი რისკების პოტენციური გაელენა ფინანსურ ანგარიშებაზე, როგორიცაა, მაგალითად, დაუმთავრებელი სასამართლო პროცესები, რაც უნდა აისახოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში;

(დ) სამეურნეო სუბიექტის მიერ აღრიცხვაში ასახული თუ არაასახული აუდიტორული კორექტირებები, რომლებიც არსებით გაელენას ახდენს ან შესაძლოა, მოახდენს სამეურნეო სუბიექტის ფინანსურ ანგარიშგებაზე;

(ე) მოვლენებთან და პირობებთან დაკავშირებული არსებითი ხასიათის განუსაზღერელობები, რომლებიც საქმარის ეჭვს ბადებენ სამეურნეო სუბიექტის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს, საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობებზე;

(ვ) უთანხმოება ხელმძღვანელობასთან ისეთ საკითხებზე, რომლებიც ინდივიდუალურად ან ერთად აღებული, შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს სამეურნეო სუბიექტის ფინანსური ანგარიშგების ან აუდიტორული დასკვნისათვის – ამ საკითხის ინფორმირების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს, გადაიჭრა თუ არა პრობლემა, აგრეთვე პრობლემების მნიშვნელობა;

(ზ) სხვა საკითხები, როგორიცაა: შიდა კონტროლის არსებითი ნაკლოვანებები, საკითხები, რომლებიც ეხება ხელმძღვანელობის პატიოსნებას და თაღლითობის ფაქტები, რომელშიც ჩარეულია ხელმძღვანელობა;

თ) სხვა საკითხები, რომლებიც შეთანხმებულია გარიგების პირობებით.

სპეციალური დანიშნულების აუდიტორული დასკვნები
დასკვნა კრებსით ფინანსურ ანგარიშგებაზე

სამეურნეო სუბიექტმა წლიური აუდიტირებული ფინანსური ანგარიშებიდან შეიძლება მოამზადოს შემოკლებული (კრებსითი) ფინანსური ანგარიშგება მომხმარებელთა ისეთი ჯგუფისთვის, რომლებიც მხოლოდ სამეუნეო სუბიექტის ფინანსური მდგომარეობითა და მისი საქმიანობის შედეგებით არიან დაინტერესებული.

თუ აუდიტორს არ ეგალება მოსაზრების გამოთქმა იმ ფინანსურ ანგარიშგებაზე, რომელსაც ეყრდნობა კრებსითი ფინანსური ანგარიშგება, მან არ უნდა გასცეს დასკვნა კრებსით ფინანსურ ანგარიშგებაზე.

კრებსითი ფინანსური ანგარიშებება გაცილებით ნაკლებად დეტალურია წლიურ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშებებასთან შედარებით. მდენად, ასეთმა ფინანსურმა ანგარიშგებამ მკითხველს ნათლად უნდა მიანიშნოს ინფორმაციის ჯგამურ ხასიათზე და გააფრთხილოს, რომ სამეურნეო სუბიექტის ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის შედეგების უკეთ გასაგებად კრებსითი ფინანსური ანგარიშგება უნდა ჭაიკითხოს, სამეურნეო სუბიექტის უკანასკნელი პერიოდის აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, რომელიც მოიცავს ანგარიშგების წარდგენის სათანადო ჩარჩოებით მოთხოვნილ ყველა განმარტებას.

კრებსითი ფინანსური ანგარიშგება სათანადოდ უნდა დასათაურდეს რათა წარმოჩინდეს ის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება, რომლის საფუძველზეც შეიქმნა, მაგალითად; „კრებსითი ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია იმ წლის აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით, რომელიც დასრულდა 20XI წლის 31 დეკემბერს".

28. ასს 800 – „აუდიტორის დასკვნა სპეციალური დანიშნულების მქონე აუდიტორულ გარიგებაზე" – აუდიტორებისათვის უზრუნველყოფს მითითებებს იმასთან დაკავშირებით, როგორ უნდა წარადგინონ დასკვნა კრებსით ფინანსურ ანგარიშგებაზე. კრებსით ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება ყველა ინფორმაცია, რომელიც მოითხოვება წლიური აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ჩარაჩოებით. შესაბამისად, აუდიტორი არ იყენებს ტერმინებს „უტყუარად და სამართლიანად ასახავს" ან „სამართლიანად ასახავს ყველა ასებითი ასპექტის გათვალისწინებით", როდესაც გამოთქვამს

თაეის მოსაზრებას კრებსით ფინანსურ ანგარიშგებაზე.

აუდიტორის დასკვნა კრებსით ფინანსურ ანგარიშგებაზე უნდა მოიცავდეს შემდეგ ძირითად ელემენტებს ქვემოთ მითითებული თანმიმდევრობით;

ა) სათაური;

ბ) ადრესატი;

გ) იმ აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების იდენტიფიკაცია, რომლისგანაც მიღებულია კრებსითი ფინანსური ანგარიშგება;

დ) სრული ფინნსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული დასკვნის მომზადების თარიღისა და დასკვნის ტიპის მითითება;

ე) მოსაზრება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა კრებსით ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია იმ აუდიტირებულ ფინანსურ ფინანსურ ანგარიშგებას, რომლის საფუძველზეც მომზადდა. როდესაც აუდიტორი ფინანსურ ანგარიშგებაზე იძლევა მოდიფიცირებულ დასკვნას და, გარდა იმისა, კმაყოფილია წარდგენილი კრებსითი ფინანსური ანგარიშგებით, აუდიტორულ დასკვნაში აღნიშნული უნდა იყოს: მართალია, კრებსითი ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება სრულ ფინანსურ ანგარშგებას, მაგრამ იგი შედგენილია ისეთი ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, რომლის შესახებაც გამოქვეყნდა აუდიტორის მოდიფიცირებული დასკვნა;

ვ) მინიშნება ფინანსური ანგარიშგების იმ შენიშვნაზე, სადაც მითითებულია, რომ სამეურნეო სუბიექტის ფინანსური საქმიანობისა და მდგომარეობის, აგრეთვე ჩატარებული აუდიტის მაშტაბების უკეთ გასაგებად კრებსითი ფინანსური ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს სრულ ფინანსურ ანგარიშგებასა და მასზე დართულ აუდიტორულ დასკვნასთან ერთად;

ზ) დასკვნის თარიღი;

თ) აუდიტორის მისამართი; და

ი) აუდიტორის ხელმოწერა

კრებსით ფინანსურ ანგარიშგებაზე დასკვნის ნიმუშები

შემთხვევა, როდესაც წლიურ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემულია უპირობო დასკვნა.

აუდიტორის დასკვნა ... თვის

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ან მიუთითეთ შესაბამისი ეროვნული სტანდარტები ან მიღებული პრაქტიკა) ჩავატაროთ ABC კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 20X0 წლის 31 დეკემბერს. აღნიშნული ანგარიშგების საფუძველზე შედგა მოცემული კრებსითი ფინანსური ანგარიშგება. 20X1 წლის 10 მარტს გაეცით უპირობო დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე, რომელიც საფუძვლად დაედო კრებსით ფინანსურ ანგარიშგებას.

ჩვენი აზრით, თანდართული კრებსითი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შეესაბამ,ება იმ ფინანსურ ანგარიშგებას, რომლის საფუძველზეც არის შედგენილი.

კომპანიის ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის შედეგების უკეთ გასაგებად, ჩვენ მიერ ჩატარებული აუდიტით მოცული პერიოდის განმავლობაში, საჭიროა კრებსითი ფინანსური ანგარიშგების წაკითხვა იმ ფინანსურ ანგარისგებასა და მასზე დართულ აუდიტორულ დასკვნასთან ერთად, რომელიც საფუძვლად დაედო მის მომზადებას.

თარიღი **აუდიტორი**

მისამართი

შემთხვევა, როდესაც წლიური აუდიტირებული ფინასური ანგარიშგების შესახებ გაიცა პირობითი დასკვნა.

აუდიტორის დასკვნა თვის

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ან მიუთითეთ შესაბამისი ეროვნული სტანდარტები ან მიღებული პრაქტიკა) ჩავატარეთ ABC კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი იმ საანგარისგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 20X0 წლის 31 დეკემბერს. აღნიუშნული ანგარიშგების საფუძველზე შედგა მოცემული კრებსითი ფინანსური ანგარიშგება. იმ ფინანსურ ანგარიშგებაზე, რომელიც საფუ-

ძალად დაედობკრებსით ფინანსურ ანგარიშგებას, 20X1 წლის 10 მარტს გაეცით დასკვნა, რომ მიგი უტყუარად და სამართლიანად ასახაედა (ან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახაუდა) ... გარდა იმისა, რომ ის გადაჭარბებით იყო ნაჩვენები სასქაონლო-მატერიალური მარაგი.

ჩვენი აზრით, თანდართული კრებსითი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შეესაბამება იმ ფინანსურ ანგარიშგებას, რომლის საფუძველზეც არის შედგენილი და რომელზეც გვაქვს პირობითი დასკვნა.

კომპანიის ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის შედეგების უკეთ გასაგებად, ჩვენ მიერ ჩატარებული აუდიტით მოცული პერიოდის განმაელობში, საჭიროა კრებსითი ფინანსური ანგარიშგების წაკითხვა იმ ფინანსურ ანგარიშგებასა და მასზე დარტულ აუდიტორულ დასკვნასთან ერთად, რომელიც საფუძელად დაედო მის მომზადებას.

თარიღი
მისამართი

აუდიტორი

მოგების განაწილება, რომელიც იწვევს დასკვნის პირობითობას

სამეურნეო სუბიექტს ხელმისაწდომი გასანაწილებელი მოგების მთლიანი თანხა ზღუდაეს დივიდენდების იმ თანხების განაეილებაში, რომლის გადახდაც შეუძლია აუქციონერებისათვის. გასანაწილებელი მოგების თანხა შეიძლება განისაზღროს როგორც დაგროვილი რეალიზებული მოგება რომელიც ადრე არ იყო გამოყენებული განაწილების ან კაპიტალიზაციისთვის, გამოკლებილი დაგროვილი რეალიზებული ზარალი.

ზოგიერთ ქეყანაში დამატებითი შეზღუდვები არსებობს საჯარო კომპანიებისათვის გასანაწილებელი მოგების სიდიდის დასადგენად, უნდა მიმართოდ უკანასკნელ აუდიტირებულ ანგარიშგებას თუ ამ ანგარიშგებაზე გაცემულია პირობითი დასკვნა და დირექტორებს სურთ დივიდენდების გადახდა აუდიტორები ჩვეულებრივ მოითხოვენ (ეროვნული კანონმდებლობის თანახმად), დირექტორებმა წერილობით განაცხადონ არის თუ არა, მათი აზრით, დასკვნის პირობითობა არსებითი იმის დასადგენად, რომ შეთავაზებული დივიდენდების განაწილება კანონიერია. ამგვარად, თუ აუდიტორს პირობითი დასკვნა იმიტომ აქვს გაცემული, რომ ხელმძღვანელობას არ ეთანხმება სააღრიცხეო მეთოდზე, აუდიტორი ანგარიშგებას ასწორებს საკუთარი შეხედულებით მიზანშეწონილი სააღრიცხეო მეთოდით და გამოითელის, გავლენას ახდენს თუ არა ეს შეთავაზებულ დივიდენდების განაწილებაზე

ქვემოთ მოცემულია ამგვარი დასკვნის ნიმუში (გაერთიანებილი სამეფოს კანონმდებლობის მიხედვით):

აუდიტორების განცხადება XYZ სააქციო საზოგადოების წევრებისათვის

ჩავატარეთ XYZ სააქციო საზოგადოების იმ წლის ფინანსური ანგარიშ გების აუდიტი, რომელიც მთავრდება 20... წლის 31 დეკემბერს, აუდიტის პრაქტიკის კომიტეტის მიერ გამოცემული აუდიტის სტანდარტების შესაბამისად და გამოვთქვათ პირობითი მოსაზრება ამ ანგარიშგებაზე თარიღის აუდიტორულ დასკვნაში.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები, რომლების საჭიროდ ჩავთვალეთ იმის შესაფასებლად, გავლენას ახდენს თუ არა პირობითი მოსაზრება განაწილებისათვის ხელმისაწედომი მოგების განსაზღერაზე.

მოსაზრება

ჩვენი აზრით, დასკვნის პირობითობა არსებითი არ არის იმის დასადგენად კომპანიის მიერ შეთავაზებული ფუნტი თანხის განაწილება დასაშეებია თუ არა კომპანიების 1985 წლის აქტის 263–ე განყოფილებით.

სერთიფიცირებული ბუღალტრები და
რეგისტრირებული აუდიტორი
თარიღი

მისამართი

დასკვნა

განვიხილეთ „უტყუარობისა და სამართლიანობის" კონცეფცია. შემდეგ განხილული იყო აუდიტორის სტანდარტული დასკვნა, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად აქციონერებს ეგზავნება. გაეცანით ასევე ისეთ სიტუაციებსაც, მაგალითებთან ერთად, როდესაც მოითხოვება სტანდარტული აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენ ასევე შევეხეთ აუდიტორის მიერ ხელმძღვანელობის ინფორმირების საკითხებს, შიდა კონტროლთან დაკავშირებულ საკითხებზე. დასასრულს, განვიხილეთ ზოგიერთი ტიპის სპეციალური დანიშნულების მქონე აუდიტორული გარიგებაც.

უტყუარი და სამართლიანი

1. როგორ განმარტა უტყუარი და სამართლიანი თვალსაზრისი? (1.2)

უპირობო და მოდიფიცირებული აუდიტორული დასკვნის შინაარსი და მნიშვნელობა

2. ჩამოაყალიბეთ სტანდარტული უპირობო აუდიტორული დასკვნა. (2.4)

3. ჩამოთვალეთ სიტუაციები, როდესაც აუდიტორული დასკვნა მოდიფიცირებული უნდა იყოს. (2.5)

4. რას უნდა ითვალისწინებდეს პირობითი მოსაზრება? (2.6)

5. ჩამოაყალიბეთ პირობითობის (შენიშვნების) ამსახველი აბზაცი

პირობითი მოსაზრებისთვის, რომელიც გამოიწვია ხელმძღვანელობასთან უთანხმოებამ. (2.8)

6. ჩამოაყალიბეთ მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი, რომელიც ეხება მნიშვნელოვან განუსაზღვრელობას. (2.6)

საწყისი ნაშთებისა და შესადარისი ინფორმაციის გავლენა აუდიტორულ დასკვნაზე

7. რა სახის პასუხისმგებლობა ეკისრება აუდიტორს, შესადარის ინფორმაციასთან დაკავშირებით? (3.2)

ინფორმირება შიდა კონტროლზე

8. რა საკითხებია გასათვალისწინებელი, როდესაც აუდიტორი ხელმძღვანელობისათვის ადგენს წერილს შიდა კონტროლის საკითხებზე? (4.1; 4.2)

1-ლი კითხვა: Millers Villas

Millers Villas-ი ამუშავებს ხუთ დასასვენებელ ცენტრს. კომპანიის 20X3 წლის 31 მაისს დამთავრებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებია 3 800 000 აშშ დოლარი საანგარიშგებო წლის მთლიანი რეალიზაციიდან ამონაგები და 420 000 აშშ დოლარი დაბეგვრამდე მოგება. ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე თქვენი მეშვაობის დროს წარმოიშვა შემდეგი საკითხები:

(ა) 20X3 წლის ზაფხულის სეზონის რეკლამასთან და ბუკლეტებთან დაკავშირებული დანახარჯები 132 000 აშშ დოლარი ბალანსში გადმოტანილია როგორც გადახდილი ავანსი:

(ბ) ერთ ადგილას არ ჩატარებულა ბარის მარაგის ინვენტარიზაცია 20X3 წლის 31 მაისს, მაგრამ შეფასებული იყო ბარის მენეჯერის მიერ 7 000 აშშ დოლარად, წინა ინვენტარიზაციაზე (რომელიც 20X3 წლის 30 აპრილს ჩატარდა) დაყრდნობით, რომელიც 6 400 აშშ დოლარის ღირებულების იყო, ასევე მაისის თვის რეალიზაციაზე დაყრდნობით, რომელიც ტოლი იყო 11 000 აშშ დოლარის. შემდეგი ინვენტარიზაცია 20X3 წლის 30 ივნისს. 20X3 წლის 31 მაისის შეფასების გამოყენებით, მაისისა და ივნისის თვეების ეჭვრობის შედეგმა გამოავლინა საერთო მოგების ხვედრითი წილი 60 % და 39 %, შესაბამისად, წლის სხვა თვეების ანალოგიურ საშუალო მაჩვენებელთან, 46%-თან შედარებით;

(გ) თითოეული ბანკის მენეჯერი პასუხისმგებელია, გადაუხადოს დროებით მომუშავეს, რომელიც აყვანილია ექსტრა პიკერი კვირის მანძილზე ზაფხულში და უფრო მოკლე დროით – წლის სხვა პერიოდებში. გადახდა წარმობს ნარდ ფულზე და დაახლოებით 40 000 აშშ დოლარი ერთ ცენტრზე ერთი წლის განმავლობაში, მაგრამ არ არსებობს ფულის გადახდის ქვითრები ან ვაუჩერები. არსებობს მხოლოდ მენეჯერის მიერ ხელმოწერილი ყოველკვირეული გადახდის სია.

(დ) შექმნილი იყო ანარიცხები სამომაელო სარემონტო სამუშაოებისათვის 200 000 აშშ დოლარის ოდენობით, რაც წარმოადგენს ყველა ბანაკის შენო ის მთლიანი განახლების შეფასებული დანახარჯების ერთ მესამედს.

ყოველი წლის მარტის თვეში თითოეულ ადგილზე, ქონების ერთი მესამედის სრული განახლება ხდება.

მოგეთხოვებათ

(ა) ჩამოაყალიბოთ, დამატებით რისი განხილვა იქნება საჭირო თითოეულზემოთ ცამოთვლილ საკითხთან დაკავშირებით, რათა დაამთაეროთ აუდიტი.

(ბ) მიუთითოთ პოტენციურად რა გაელენა შეიძლება იქონიოს ყოველიეე ამან უდიტორულ დასკვნაზე.

მე-2 კითხვა: Kite Assoc iates

ა) ახსენით, რატომ შეიძლება იყოს რთული ხარისხის კონტროლის განხორციელება შედარებით პატარა ფირმებში და აჩვენეთ, როგორ შეიძლება ამ სიძნელეების გადალახვა?

ბ) Kite Assoc iate mes არის ბუღალტერთა პატარა ფირმების გაერთიანება. წეერობის ერთ-ერთი სარგებელი იმაში მდგომარეობს, რომ მხარისხის კონტროლის გასაუმჯობესებლად გამოიყენონ ურთიერთმიმოხილვის სისტემა. როდესაც იხილაედით Rook &Co-ს (ფირმის, რომელიც ახლახან შეუერთდა **Kite Assoc iates**-ს) აუდიტორული დასკვნის შერჩევით ერთობლიობას, შემთხეეით წააწყდით შემდეგ პირობით დასკვნას Lammergeier Group-ის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

პირობითი მოსაზრება, რომელიც გამოიწეია უთანხმოებამ ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდზე, რაც დაკავშირებული იყო ბასს 7-ის არმიღებასთან

„ხელმძღვანელობამ არ მოამზადა ჯგუფის ფულადი ნაკადების ანგარიშგება და შესაბამისი განმარტებითი შენიშენები. ხელმძღვანელობის აზრით, პრაქტიკული არ არის ჯგუფის ფულადი ნაკადების ანგარიშების მომზადება, მასთან დაკავშირებული სირთულეების გამო. ჩვენი აზრით, ბასს 7-დან გადახვეის მიზეზები დასაბუთებული და მისაღებია და უნდა გაკეთდეს სათანადო განმარტებები ფინანსური ანგარიშგების შენიშენებში, ბასს 7-ის მოთხოვნებთან შეუსაბამობის ასახსნელად. ჩვენი აზრით, ბასს 7-დან გადახვეა გაელენას არ ახდენს ფინანსური ანგარიშგების უტყუიარობასა დასამართლიანობაზე.

„ჩვენი აზრით, გარდა იმისა, რომ მომზადებული არ არის ჯგუფის ფულადი ნაკადების ანგარიშგება და მასთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშენები, ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2003 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ჯგუფის იმ წლის მოგებას, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღით და მომზადებულია სათანადოდ ... შესაბამისად“.

როდესაც განიხილეთ წინა წლის აუდიტორული დასკვნა, ნახეთ, რომ 2002 წლის აუდიტორული მოსაზრებაც ამ მოსაზრების იდენტური იყო.

მოგეთხოვებათ

კრიტიკულად შეაფასოდ Rook &Co-ს მიერ Lammergeier Group-ის 2003 და 2002 წლების 31 დეკემბრის დამოავრებული პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორული მოსაზრება.

არ არსებობს გამოთქმის „უტყუარი და სამართლიანი“ იურიდიული ან პროფესიული განმარტება.

„უტყუარი და სამართლიანი“ ტექნიკური ტერმინებია და ორივე ერთად, მთლიანობაში უნდა იყოს აღქმული.

იმისათვის, რომ ანგარისები ასახავდეს უტყუარ და სამართლიან თვალსაზრისს, ისინი მომზადებული უნდა იყოს:

ა) ბუღალტრული აღრიცხვის საყოველთაოდ მიღებული პრინციპების მიხედეით;

ბ) უცელელ საფუძველზე; და

გ) იმგვარად, რომ შეცდომაში არ შეიყვანოს მკითხველი

ასს 700 განსაზღვრავს უპირობო აუდიტორული დასკვნის შემდეგ ძირითად ელემენტებს:

ა) სათაური და ადრესატი;

აუდიტორული დასკვნა სათანადოდ უნდა იყოს დასაბუთებული და მითითებული უნდა იოყოს ადრესატი – კომპანიის წევრები (აქციონერები)

ან (ვისი სახელითაც ჩატარდა აუდიტი), თუ არ არსებობს სხვა სახის საკანონმდებლო ან სახელშეკრულებო შეთანხმება.

ბ) შესავალი აბზაცი;

ამ აბზაცში განსაზღვრულია აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება, ფინანსური ანგარიშგების გვერდების რიცხვის მითითებით, რათა ამგვარი ინფორმაცია გაიმიჯნოს სხვა დოკუმენტებისაგან, რომლის აუდიტიც არ ჩატარებულა.

მითითებული უნდა იყოს ფინანსური ანგარიშგებით მოცული პერიოდი და საანგარიშგებო თარიღი. ძირითადი სახის ფინანსური ანგარიშგებები და მასთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც აუდიტს ექვემდებარება, შემდეგია:

1) ბალანსი;

2) მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

3) ფულადი ნაკადების ანგარიშება;

4) საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება ან აღიარებული შემოსავლობებისა და ზარალის ანგარიშგება.

გ) აუდიტის მასშტაბის აღმწერი აბზაცი (სადაც აღწერილია აუდიტის ხასიათი;)

აუდიტორის დასკვნაში აღწერილი უნად იყოს აუდიტის მასშტაბი იმის მითითებით, რომ აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების დაცვით ან სათანადო ეროვნული სტანდარტებია თუ პრაქტიკის შესაბამისად.

„აუდიტის მასშტაბი" დაკავშირებულია აუდიტორის უნართან, ჩაატაროს მოცემული ვითარების შესაბამისი აუცილებელი აუდიტორული პროცედურები.

მკითხველს სჭირდება ამის ცოდნა, რათა დარწმუნდეს, რომ აუდიტი ნამდვილად ჩატარებულია ადდგენილი სტანდარტების მიხედვით ან მიღებულ პრაქტიკაზე დაყრდნობით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მკითხველს შეიძლება ეგონოს, რომ აუდიტი ეფუძნებოდა იმ ქვეყნის სტანდარტებს ან მიღებულ პრაქტიკას, რომელიც აუდიტორის მისამართშია მითითებული.

დასკვნაში აუცილებლად უნა აღინიშნოს, რო აუდიტი იმ მიზნით დაიგეგმა და შესრულდა, რათა აუდიტორს მიეღო დასაბუთებული გარანტია იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს. უდიტორის დასკვნაში აუდიტი აღწერილი უნდა იყოს შემდეგი თანმიმდევრობით:

ა) მტკიცებულებების შრომწმება ტესტირების საფუძველზე ფინანსური ანგარიშგების თანხებისა და განმარტებების დასადასტურებლად;

ბ) ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების შეფასება;

გ) ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ გამოთელილი მნიშვნელოვანი შეფასებების მართებულობის შეფასება;

დ) წარმოდგენილი მთლიანი ფინანსური ანგარიშგების შეფასება დასკვნაში უნდა აღინიშნოს რომ ჩატარებული აუდიტის შედეგები დასაბუთებულ საბუთს იძლევა დასკვნის შესადგენად (მოსაზრების გამოსათქმელად).

დ) დასკვნითი აბზაცი, რომელიც შეიცავს აუდიტორის მოსაზრებას ფინანსურ ანგარიშგებაზე;

აუდიტორის დასკვნაში ნათლად უნდა იყოს გამოკეთილი აუდიტორის მოსაზრება იმის შესახებ, წარმოდგენილია თუ არა ფინანსურ ანგარიშგებაში უტყუარი და სამართლიანი თვალსაზრისი (ან წარდგენილია თუ არა სამართლიანად ქცელა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით), ფინანსური ანგარიშგებისათვის დადგენილი ჩარჩოების შესაბამისად და საჭიროების შემთხვევაში, შეესაბამება თუ არა საკანონმდებლო მოთხოვნებს.

ე) დასკვნის თარიღი;

აუდიტორმა დასკვნა უნდა დაათარიღოს იმ რიცხვით, როდესაც დასრულდა აუდიტი.ამით მკითხველი შეიტყობს, რომ აუდიტორმა გაითვალისწინა ყველა მოვლენა და ოპერაცია, რომელსაც ადგილი ჰქონდა აღნიშნულ თარიღამდე,

გაელენას ახდენდა ფინანსურ ანგარიშგებასა და აუდიოტორულ დასკვნაზე და ცნობილი გახდა აუდიტორისათვის. ვინაიდან აუდიტორი პასუხისმგებელია მოსაზრების გამოთქმაზე ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული და წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების შესახებ, არ შეიძლება აუდიტორის დასკვნის თარიღი წინ უსწრებდეს ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერისა თუ მისი დამტკიცების თარიღს.

ვ) აუდიტორის მისამართი

დასკვნაში მითითებული უნად იყოს ადგილი, კერძოდ ქალაქი სადაც აუდიტორი ემსახურება იმ ოფისს, რომელსაც პასუხისმგებლობა აკისრია აუდიტზე.

ზ) აუდიტორის ხელმოწერა

დასკვნას ხელი უნდა მოეწეროს აუდიტური ფირმის სახელით, შეიძლება პირადად აუდიტორმა მოაწეროს ხელი ან, საჭიროებისამებრ ორივე ხელმოწერა ერთად დაფიქსირდეს. როგორც წესი აუდიტორის დასკვნას ხელს აწერენ ფირმის სახელით, რადგან აუდიტზე პასუხისმგებელია ფირმა.

დასკვნაში აღნიშნული უნდა იყოს, რომ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია სამეურნეო სუბიექტის ხელმძღვანელობა, ხოლო აუდიტორს ევალება მოსაზრების გამოთქმა ფინანსურ ანგარიშგებაზე, ჩატარებული აუდიტის შედეგებზე დაყრდნობით.

შიდა კონტროლის სისტემის ინტეგრირებულ მოდელ-კონცეფციების ინტერპრეტაციები (COSO-მოდელი)

მმართველობითი აუდიტის შიდა კონტროლის სისტემის, როგორც კონცეფციის, მოდელის მენეჯერულ ღონისძიებათა და კონტროლის ქსელის შემდგომი განვითარება უშუალოდ იქნება დამოკიდებული კორპორაციული მმართველობის, როგორც შიდა კონტროლის კონცეპტუალური გარსისა და ლიბერალური დემოკრატიის განუყოფელი ატრიბუტის განვითარებაზე. თუ ბოლო დროის ტენდენციებს გაეითვალისწინებთ, დავრწმუნდებით, რომ კორპორაციული მმართველობის იდეა დიდი ხანია გეოგრაფიულ და სექტორულ ექსპანსიას განიცდის და თანაბრად მიმზიდველი ხდება როგორც განეითარებადი სამყაროსათვის, ასევე სახელმწიფო სექტორისათვისაც. მაგალითად, მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი დიდი ხანია განიხილავს მას, როგორც განეითარებისა და მსოფლიო საფინანსო სისტემის სტაბილურობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს.

საქართველოში ნაკლებად პოპულარულია შიდა კონტროლის ისეთი ელემენტები, როგორიცაა: რისკის მართვა და საინფორმაციო სისტემები. ამ ფაქტის ახსნა იმით შეიძლება, რომ მათი გამოყენება საკმაოდ სერიოზულ ხარჯებთანაა დაკავშირებული.

რაც შეეხება ორგანიზაციების შიდა კონტროლინგს, რომელსაც, როგორც ოპერაციული მენეჯმენტის ინსტრუმენტს, საქართველოში მხოლოდ ხელზე ჩამოსათვლელი უცხოური ორგანიზაციები თუ იყენებენ. შედარებით პოზიტიური ძვრები იგრძნობა შიდა აუდიტის ფუნქციისა და საქმიანობის პრაქტიკის მხრივ, რადგან ეს ფუნქცია საქართველოს თითქმის ყველა კომერციულ ბანკში არსებობს და მეტ-ნაკლები წარმატებით ფუნქციონირებს. ამ სფეროში ეროვნულმა ბანკმა 2003 წლის ბოლოს კომერციულ ბანკებს გასაცნობად შესთავაზა ეუთოს პრინციპები, როგორც მათი საქმიანობის შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმი.


ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემის შესაფასებლად ყველაზე ძირითადი მახასიათებელი მისი ადეკვატურობაა, ანუ იმის ცოდნა, თუ რამდენად სრულად და ზუსტად უზრუნველყოფს შიდა კონტროლი ორგანიზაციის მიზნების რეალიზაციას, მასთან დაკავშირებული რისკების გათვალისწინებით. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ შიდა კონტროლის სისტემის ადეკვატურობა ავტომატურად იცვლება ორგანიზაციის მიზნებისა და რისკების ცვლილების შემთხვევაში. ამდენად, რეალურ პრაქტიკაში, ორგანიზაციები ყოველთვის უნდა ცდილობდნენ, გადაამოწმონ არსებული შიდა კონტროლის ეფექტიანობა. ყველაზე არსებითი მიზეზები, რომლებმაც შეიძლება განაპირობონ შიდა კონტროლის ადეკვატურობის უზრუნველყოფა, შეიძლება იყოს:

- ბიზნეს–პროცესების მუდმივი სრულყოფის (ოპტიმიზაციის) აუცილებლობა;
- ორგანიზაციის რისკისადმი დაქვემდებარების ხარისხის ცვლილება;
- ორგანიზაციის ინფორმაციული მოთხოვნილებების ცვლილება;
- სუსტი წერტილების აღმოჩენა;
- საკანონმდებლო ცვლილებები;
- გარე აუდიტორებისა და სხვა საზედამხედველო ორგანოების რეკომენდაციები;
- ინფორმაციის ძირითად მომხმარებლებთან ნდობის გაღრმავების აუცილებლობა;
- კონტროლის ღონისძიებების არასაკმარისი გამჭვირვალობა;
- მომხმარებლებისა და მომწოდებლებისათვის რეკომენდაციები და სხვ.

განვითარებული ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემა შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც დირექტორთა საბჭოს მიერ მოწოდებული და ორგანიზაციაში აღმასრულებელი მენეჯმენტის მიერ პრაქტიკაში დანერგილი პრინციპების, პროცედურების, მეთოდებისა და ღონისძიებების ერთობლიობა, რომელიც მმართველობას გარკვეული ორგანიზაციული მიზნების მიღწევაში ეხმარება.

პრაქტიკაში შიდა კონტროლის ორგანიზაციული ღონისძიებები და პროცედურები შეიძლება უშუალოდ მიბმული ანუ ინტეგრირებული იყოს სამუშაო პროცესებისა და ორგანიზაციის საქმიანობის ადმინისტრირებასა და რეგულირებასთან (შიდა ადმინისტრირებისა და რეგულირების სისტემა), ან ამ ღონისძიებებისა და პროცედურების

დაცვაზე დამოუკიდებელ მონიტორინგს გულისხმობდეს (შიდა მონიტორინგის სისტემა). შიდა კონტროლის ღონისძიებათა ზოგადი კლასიფიკაცია მოცემულია სქემაზე



ბიზნესის შიდა კონტროლისა და რისკის უკეთ შესწავლის მიზნით, ამსს-ს მიერ შემუშავდა ახალი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებიც (ასს).

- ✓ ასს 315– სამეურნეო სუბიექტებისა და მისი გარემოს შესწავლა და არსებითი უზუსტობების რისკების შეფასება;
- ✓ ასს 330– აუდიტის პროცედურები შეფასებულ რისკზე რეაგირებისათვის.

აღსანიშნავია, რომ ასს 315 აუდიტორებს კლიენტის შიდა კონტროლის შესაფასებლად პირდაპირ სთავაზობს COSO-ზე დაფუძნებულ მეთოდოლოგიას, რაც გარე აუდიოტებისათვის არსებითად ახალ მიდგომას წარმოადგენს ბიზნესის კონტროლის გარემოსა და კონტროლის სიტემის შესახებ მტკიცებულებების მოპოვების მხრივ.

სახელმწიფო სფეროში შიდა კონტროლის სისტემა, ძირითადად რეგულირდება უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მომზადებული სტანდარტებისა და რეკომენდაციების მიხედვით, რომელიც ასევე არსებითადაა ორიენტირებული COSO მოდელზე.

შიდა კონტროლის სისტემის, როგორც კონცეფცია-მოდელის წარმოშობა პირდაპირ უკავშირდება 1985წელს აშშ-ში ე. წ „თრედვეის კომისიის“ მიერ შექმნილ ე.წ „სპონსორი ორგანიზაციების კომიტეტის“ საქმიანობას, რომელიც, ძირითადად მსხვილი საერთაშორისო ინსტიტუციონალური ინვესტორების ინტერესების დაცვას ემსახურება. მათ მიერ 1944 წელს შემუშავებული COSO–მოდელის სახელწოდებით, ყველაზე პოპულარულ მოდელად ითვლება.

COSO-მოდელის მიხედვით, შიდა კონტროლის სისტემა წარმოადგენს პროცესს, რომელსაც ახორციელებს დირექორთა საბჭო, აღმასრულებელი მენეჯმენტი ან თანამშრომლები და გამიზნულია იმისათვის, რომ მიღებული იქნეს დამატებითი გარანტია ორგანიზაციიის შემდეგი მიზნების მიღწევაში:

- საქმიანობის ეფექტურობა და ეფექტიანობა;
- ფინანსური ანგარიშგების სანდოობა;
- კანონებთან და ნორმებთან შესაბამისობა.

ამ სამგანზომილებიანი მოდელის პოპულარობა მის მოდიფიცირებადობაში მდგომარეობს, რაც ორგანიზაციას საშუალებას აძლევს, მოდელი თავის სპეციფიკას მოარგოს.

COSO მოდელის მიხედვით, ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემა უნდა შეფასდეს ხუთი ელემენტის მიხედვით, ესენია:

1. **კონტროლისა და ადმინისტრირების გარემო** – ეს ელემენტი შიდა კონტროლის სისტემის სხვა კომპონენტებს შორის ყველაზე განმსაზღვრელია, რადგან იგი ფოკუსირებულია ადამიანურ ფაქტორებზე. კერძოდ, ესენის: აღიარებული ღირებულებები, მენეჯმენტის სტილი, დამოკიდებულება როგორც შიდა, ისე გარე კონტროლისა და მონიტორინგის მექანიზმებთან.

2. **კონტროლისა და ადმინისტრირების პროცედურები**. ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ დეკლარირებული და ფაქტობრივად არსებული კონტროლის პროცედურები, რომლებიც თავის მხრივ შეიძლება დაიყოს პრევენციულ, აღმომჩენ და მაკორექტირებელ ღონისძიებებად.

3. **რისკის მართვა**. რისკის მართვამ ხელი უნდა შეუწყოს მენეჯმენტს, დროულად აღმოაჩინოს, გაანალიზოს და შეიმუშაოს ადეკვატური კონტროლის ღონისძიებები ყველა იმ არსებითი საფრთხეების (რისკების) მიმართ, რომლების ხელს შეუშლიან ორგანიზაციას კონკრეტული მიზნების მიღწევაში. ამავე დროს, ეფექტიანი რისკის მართვა აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს ყველა შესაძლო და არსებული შანსის რეალიზაციასაც.

4. **ინფორმაცია და კომუნიკაცია**. რაც უფრო დროულად, სრულად და საიმედო გზებით მიეწოდება ადეკეატური ინფორმაცია სატანადო ადრესატს, მით უფრო მცირდება არასწორი მენეჯერული გადაწყვეტილებებისა და, შესაბამისად, გარკვეული ზარალის მიღების საფრთხე. უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ორგანიზაციის შიგნით მიმდინარე ყველა პროცესისა და ოპერაციის შესახებ ინფორმაციის შეგროვება, აღრიცხვა, დამუშავება და გადაცემა სწორად ხდებოდეს და არსებობდეს ამ ინფორმაციის დამუშავებისა და განაწილების კონტროლის დამოუკიდებელი მექანიზმი.

5. **მონიტორინგი**. დირექტორთა საბჭოსათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დარწმუნდეს, რომ ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემა ან რისკის მართვის ფუნქცია ადეკვატურია მის მიმდინარე და სტრატეგიულ მიზნებთან. როგორც წესი, ორგანიზაციაში მონიტორინგის ფუნქციას ანიჭებენ დამოუკიდებელ ორგანიზაციულ ერთეულს – შიდა აუდიტს, ან გარედან მოწვეულ გარე აუდიტორს, რომლებიც დირექტორთა საბჭოს ან აუდიტის კომიტეტის მითითებით ახორციელებენ ორგანიზაციაში შიდა კონტროლისა და რისკის მართვის არსებული სისტემების სუსტი წერტილების

იდენტიფიკაციას და შესაბამის ადრესატებს აწვდიან ადეკვატურ რეკომენდაციებს. მიღებული პრაქტიკის მიხედვით, საბჭო წელიწადში ერთხელ იღებს ასეთ ანგარიშს.


აღსანიშნავია, რომ COSO-ს შიდა კონტროლის წარმოდგენილი ხუთკომპონენტიანი სტრუქტურიზებული მოდელი საკმაოდ წარმატებითაა აპრობირებული დღევანდელ პრაქტიკაში, რომელსაც წარმატებით იყენებენ ორგანიზაციები და აუდიტური ფირმები. ამასთან, ბოლო ათწლეულში რისკის ფაქტორის დომინირების გამო წარმოიშვა რისკზე დაფუძნებული კონტროლის ისეთი მოდელის ფორმირების აუცილებლობა, რომელიც ყველა სახის რისკის ფაქტორს გააკონტროლებდა. ამ მიზნით, 2001 წელს COSO-ს დავალებით აუდიტურმა და საკონსულტაციო კომპანია PricewaterhouseCoopers-მა შეიმუშავა და 2004 წლის სექტემბერში გამოაქვეყნა ახალი გაერცობილი ე. წ. R - მოდელი, რომლითაც COSO-ს აქამდე არსებულ სამ მიზანს და ხუთ ელემენტს დაემატა ერთი მიზნობრიული (კერძოდ, სტრატეგიული მიზნების რეალიზაცია) და სამი შემდეგი კომპონენტი:

1. მიზნის განსაზღვრა: სტრატეგიის განსაზღვრა, მზადყოფნა რისკის აღებაზე, რისკის მადა;

2. მომავალი მოვლენების იდენტიფიცირება. სტრატეგიასა და მიზნებზე ზემოქმედი ფაქტორები, მეთოდოლოგია და ტექნიკის ჩამოყალიბება, მოვლენების ურთიერთკავშირი, რისკები და შანსები, მოვლენების კატეგორიზაცია;

3. რისკზე რეაგირება. რისკზე რეაგირების შესაძლო ღონისძიებების იდენტიფიკაცია და შეფასება.

ამ მოდელის თავისებურება ისიცაა, რომ მისი შემქმნელები სტრატეგიულ და ოპერატიულ ღონისძიებებს შესაბამის რისკთან აკავშირებენ. ეს ეხმარება ორგანიზაციას, რომ რისკის მართვა აღქმულ და შეფასებულ იქნეს კომპლექსურად, რაც მენეჯმენტს საშუალებას აძლევს წინასწარ, ადრეულ ეტაპზეე შეიმეცნოს რისკი, შანსი და მათი პოტენციალი. ამ თვისების გამო ახალ მოდელს შეიძლება ეწოდოს რისკზე ორიენტირებული კონტროლის მოდელი, რომელიც სქემაზეა წარმოდგენილი.



სქემა 1. COSO-ERM მოდელის ელემენტები

შიდა კონტროლის სისტემის მოდელის ობიექტურობის ამაღლების შემდეგი კონცეპტუალური პრობლემა შიდა კონტროლის სისტემის შეფასებითი საქმიანობის სტანდარტების შემუშავებაა. დღესდღეობით, ასეთ პრაქტიკას ორი არსებითი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მომზადებული სტანდარტები არეგულირებს. ესენია: შიდა აუდიტის ინსტიტუტის (ფლორიდა, აშშ) მიერ 2004 წელს გამოქვეყნებული სტანდარტები და აუდიტისა და მარწმუნებელი საქმიანობის სტანდარტების საბჭოს

(ამსს) მიერ მომზადებული ორი სტანდარტი, რომლებიც 2005 წლის იანვრიდან ამოქმედდნენ. ესენია:

- მასს 1000 მარწმუნებელი გარიგების საერთაშორისო სტრუქტურული საფუძვლები; და
- მასს 3000 – მაწმუნებელი გარიგებები გასული პერიოდების საფინანსო ინფორმაციისა აუდიტისა და მიმოხილვის გარდა.

ამ სტანდარტების მიღებით, აუდიტორული საქმიანობისგან ფორმალურად გაიმიჯნა ამ უკანასკნელის შედარებით არადეტერმინირებული და არატრადიციული ნაწილი – მარწმუნებელი საქმიანობა (Assurance Service). აუდიტორული საქმიანობის ასეთმა დეკომპოზიციამ ხელი უნდა შეუწყოს არა მარტო შიდა კონტროლის სისტემის, არამედ კორპორაციული მმართველობის, როგორც შიდა კონტროლის კონკრეტული კონცეფციების შესახებ დამოუკიდებელი და კომპეტენტური აზრის გამოთქმას.

აუდიტორიული საქმიანობის სფეროში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს შიდა აუდიტს, რომელიც მოიცავს საწარმოს შიდა კონტროლის სისტემის ეფექტურობისა და სისრულის, ასევე მის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხის შემოწმებას და შეფასებას.

უდიტის საერტაშორისო სტანდარტებით ასს შიდა აუდიტის სამსახურის ფუნქციაა:

- შემოწმდეს წარმოდგენილი ფინანსური და საწარმოო ინფორმაციის სანდოობა და სისრულე. აღნიშნული მოითხოვს ამ ინფორმაციის დადგენის, კლასიფიცირების და ანგარიშგების მიზნით გამოყენებული მეთოდების განხილვასა და ცალკეული მუხლების სპეციალურ გამოკვლევას, მათ შორის აუცილებლობის შემთხვევაში ოპერაციების, ნაშთებისა და პროცედურების დეტალურ ტესტირებას;

– შემოწმდეს არაფინანსური და საწარმოო აღრიცხვის დოკუმენტაცია მოიცავს თუ არა ზუსტ, სანდო, დროულ, სრულ და სასარგებლო ინფორმაციას;

– აღრიცხვისა და ანგარიშგების წარმოების კონტროლი არის თუ არა საკმარისი და ეფექტური.

- შემოწმდეს კონტროლის სისტემები, რომლებიც შექმნილია იმ წესების, გეგმების, პროცედურების კანონიერებისა და ინსტრუქციების დაცვის ზედამხედველობისატვის. რომლებმაც შეიძლება არსებული გაელენა იქონიონ ოპერაციებსა და ანგარიშგებაზე;

– შიდა აუდიტორიებს დაკისრებული აქვთ განსაზღვრონ ამ სისტემის საკმარისობა და ეფექტურობა, ასევე ექვემდებარება თუ არა ამ მოთხოვნებს შესამოწმებელი სფერო საწარმოს საქმიანობას;

– ბუღალტრული აღრიცხვის და შიდა კონტროლის სისტემის განხილვა, ადექვატური ბუღალტრული აღრიცხვისა და შიდა კონტროლის სისტემების დანერგვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ხელმძღვანელობას, რაც მუდმივად მოითხოვოს სათანადო ყურადრებას. ჩვეულებრივ შიდა აუდიტის ხელმძღვანელობისაგან დაკისრებული აქვს ამ სისტემის განხილვა, მათი საქმიანობის მონიტორინგი და ამ საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით რეკომენდაციების მიცემა.

- შემოწმდეს აქტივების შენახვის და დაცვის წესები და საშუალებები, აუცილებლობის შემთხვევაში გადამოწმდეს მათი სახეზე არსებობა.

– უნდა შემოწმდეს ის გზები და საშუალებები, რომლებიც გამოიყენება აქტივების დასაცავად სხვადასხვა ტიპის დანაკარგებისგან, რომლებიც მოყვება ქურდობას, ხანძრს, მითვისებას, არაკანონიერ და არაგამართლებულ საქმიანობას და ფორს-მაჟორულ გარემოებას.

- შეფასდეს რესურსების გამოტენება-გახარჯვის ეკონომიურობა და ეფექტურობა

– ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია რესურსების ეკონომიკური და რაციონალური ხარჯვის შეფასებისათვის დაადგინოს საწარმოო ნორმატივები. შიდა აუდიტორი პასუხისმგებელია განსაზღვროს :

– დადგენილი საწარმოო ნორმატივები ეფექტურია თუ არა ეკონომიურობისა და რენტაბელობის შესაფასებლად;

– დადგენილი საწარმოო სტანდარტები სწორედ არის გაგებული და სრულდება თუ არა;

– საწარმოო სტანდარტებიდან გადახრები დადგენილია, გაანალიზებულია და დარღვევის აღმოფხვრის მიზნით დაყენებულია თუ არა პასუხისმგებლობის საკითხი;

– მიღებულია თუ არა ზომები დარღვევის შემდგომი აღმოფხვრისათვის.

▪ აუდიტორულმა შემოწმებებმა, რომლებიც დაკავშირებულია რესურსების ეკონომიკურ და რაციონალურ გამოყენებასთანუნდა გამოავლინოს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა:

– სამეწარმეო სიმძლავრეების არასრული დატვირთვა

– არამწარმოებლური შრომა

– გაუმართლებელი დანახარჯ-პროცედურები;

– არასრული ან ზედმეტად დაკომპლექტებული შტატები.

▪ შემოწმდეს სამეურნეო ოპერაციები და საწარმოო განვითარების მოკლე და გრძელვადიანი პროგრამები იმის გამოსარკვევად, შეესაბამება თუ არა შემდეგი დასახულ მიზნებს და ამოცანებს, სრულდება თუ არა ოპერაციები და პროგრამები, ისე როგორც დაგეგმილი იყო;

– ხელმძღვანელები არიან პასუხისმგებელი დასახონ მიზნები და ამოცანები სამეურნეო პროგრამებისა და ამოცანებისათვის. კონტროლის პროცედურების სრულყოფასა და განხორციელებაზე, ასევე ოპერაციებიდან და პროგრამებიდან სასურველი შედეგების მითწეეაზე. შიდა აუდიტორებმა უნდა განსაზოვრონ შეესაბამება თუ არა მიზნები და ამოცანები საწარმოს მიზნებსა და ამოცანებს.

– ხელმძღვანელები ასევე პასუხისმგებელი არიან დაადგინონ კრიტერიუმები იმისათვის, მიღწეულია თუ არა მიზნები და ამოცანები. შიდა აუდიტორებმა უნდა გაარკვიონ დადგენილია თუ არა ეს კრიტერიუმები. დადებით შემთხვევაში აუდიტორები ვალდებული არიან გამოიყენონ ისინი შეფასებისათვის, თუკი ჩათვლიან მათ საკმარისად. უარყოფით შემთხვევაში(არ არსებობს კრიტერიუმები ან არადამაკმაყოფილებელია) შიდა აუდიტორებმა უნდ აცნობონ ამის შეახებ შესაბამის ხელმძღვანელს და შეუძლიათ ურჩიონ მოქმედების შესაბამისი მიმართულებები გარემოების მიხედვით, ალტერნატიულ წყაროებზე დაყრდნობით როგორიცაა:

მისაღები დარგობრიეი ნორმატიევები;

ნორმატივები დამუშავებული რომელიმე ცალკე პროფესიულ სფეროში;

სამთაერობო დადგენილებები ან სტანდარტები;

აუდიტორების მიერ შემუშავებული კრიტერიუმემი, რომელსაც ისინი თელიან მისაღებად იმისათვის.რომ გამოთქქნ აზრი და გააკეთონ დასკენა მიღწეულია თუ არა მიზნებისა და ამოცანებისათვის.

აუდიტორი არ არის ვალდებული დანაკლისაებისა და დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში მიღოს რაიმე სანქციები სამეურნეო სუბიექტის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ. შემოწმების შედეგი, როგორც წესი, ფორმდება აუდიტორული დასკენით, რომელიც წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების უტყუარობის დამდასტურებელ დოკუმენტს. მაქსიმუმი, რაც შეიძლება გააკეთოს აუდიტორმა ფინანსურ ანგარიშგებაში აღმოჩენილი დარღვევების ფაქტზე რეაგირების შესახებ, ეს არის უარყოფითი დასკვნის გაცემა.

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ აუდიტორული საქმიანობა მნიშვნელოვანი ბერკეტია საწარმოების და ფინანსური დაწესებულებების თვითრეგულირების, კონტროლის, საქმიანობის ეფექტურობის ამაღლების და მიუკერძოებელი შემოწმებისა. შესაბამისად აუდიტორული საქმიანობა ხელს უწყობს ამ ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობის სრულყოფას და განვითარებას, რაც თავისთავად საფუძველია ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის, მისი ეკონომიკური პოტენციალის შემდგომ ზრდისა და ამაღლებისა.

შიდა კონტროლის სისტემის მართვის პროცესის მახასიათებლები და პროცედურების მონიტორინგი

ქვეყნის საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების პირობებში ცალკეული ბიზნესის სექტორის, კოორპორაციათა (საწარმოთა) წარმატებული ფუნქციონირებისათვის, მათი რენტაბელობის ასამაღლებლად, აქტივების შესანარჩუნებლად და გასაზრდელად, ადამიანური რესურსების ეფექტური მართვის მისაღწევად აუცილებელია ფინანსური მართვის მექანიზმის თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა-დამკვიდრება და მასზე შესაბამისი კონტროლის დაწესება.

სამეწარმეო პრაქტიკაში კონტროლის (აუდიტის)თეორიასა და პრაქტიკაში ერთ-ერთ პრაგმატულ კონცეფციად მიჩნეულია შიდა სამეურნეო საწარმოთა კონტროლის განმახორციელებელი სამსახური – **შიდა აუდიტის** სისტემის სახით, რომლის ძირითადი ფუნქცია ორგანიზაციის შინაგანი მართვის სტრუქტურის შემოწმება, მენეჯმენტის პროცესებისა და კონტროლის სისტემის შექმნა და ორგანიზაციის მიერ დასახული მიზნების მისაღწევად რეკომენდაციების შემუშავება, შიდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (შიდა კონტროლის ასს) 400-449; შიდა აუდიტის სამუშაოთა გათვალისწინებით ასს №610) შესაბამისად, რომელიც ფორმულირებულია შემდეგი სახით:

„შიდა კონტროლის სისტემა გულისხმობს“ იმ პოლიტიკასა და პროცედურებს, რომლებიც დაადგინა სამეურნეო სუბიექტის ხელმძღვანელობამ თავის ამოცანების მისაღწევად, შესაძლებლობის ფარგლებში, ბიზნესის მოწესრიგებული და ეფექტური მართვის მიზნით, მ. შ. ხელმძღვანელობის პოლიტიკის და აქტივების დასაცავად, თაღლითობის და შეცდომების დროულად აღმოსაჩენად და თავიდან ასაცილებლად, ბუღალტრული აღრიცხვის ჩანაწერების სიზუსტისა და სისრულის უზრუნველსაყოფად და საიმედო ფინანსური ინფორმაციის დროულად მოსამზადებლად.

შიდა აუდიტი შეიძლება იყოს ორგანიზებული:

ა) მუდმივმოქმედი **სარევიზიო კომისიის** სახით, რომელიც არჩეულია აქციონერების, ყოველწლიური საერთო კრების მიერ და ევალებათ საწარმოს მიერ გაწეულ მუშაობაზე კონტროლის განხორციელება და ყოველგვარ ანგარიშზე დასკვნის წარდგენა. საწარმოს ხელმძღვანელობისაგან სარევიზიო კომისიის დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილია იმით, რომ იგი უფლებამოსილია უმაღლესი ორგანოს აქციონერთა კრების მიერ და მასთანაა ანგარიშვალდებული. სარევიზიო კომისიის არჩევის აუცილებლობა აისახება საწარმოს (ორგანიზაციის) წესდებაში.

ბ) შიდა აუდიტის ჩატარებაზე **დამოუკიდებელ ინდივიდუალურ** აუდიტორთან ან აუდიტურ **ფირმებთან** ხელშეკრულების გაფორმებით, ამ შემთხვევაში გარე აუდიტორები ეკონომიკურ სუბიექტებს უწევენ მომსახურეობას ბუღალტრული აღრიცხვის აღდგენასა და წარმოებაში, ასევე ფინანსური ანგარიშის შედგენას და მასში შეტანილი მონაცემების უტყუარობის დადგენაში. ამ სახის მომსახურეობამ მიიღო სახელწოდება „აუდიტური ფირმის (ინდივიდუალური აუდიტორის) მიერ ეკონომიკური სუბიექტის აბონენტური მომსახურეობა“. ამასთან ერთად, ეს აუდიტორები ახორციელებენ იმ სამუშაოების ნაწილს, რაც საწარმოს **შიდა კონტროლით** არის გათვალისწინებული, მაგრამ არა ყოველდღიურად იმ სახით, როგორც შიდა აუდიტორები ახორციელებენ.

გ) ზოგიერთი მცირე მოცულობის ორგანიზაცია, რომლის საშტატო პერსონალი შეზღუდულია, ვერ ახერხებს შიდა აუდიტის სპეციალური სამსახურის ჩამოყალიბებას, რაც უდავოდ ასუსტებს ადმინისტრაციის მხრიდან ქვედანაყოფებზე კონტროლის განხორციელებას, ეს კი ზრდის მოსალოდნელი რისკისა და კომპრომისების ფაქტორებს. ამ შემთხვევების ნაწილობრივ აღკვეთის მიზნით, ადმინისტრაცია მიმართავს **როტაციის** მეთოდს და ქმნის ისეთ პირობებს, რომ ორგანიზაციაში არცერთი პიროვნება დამოუკიდებლად არ წარმართავდეს ოპერაციებს დიდი დროის განმავლობაში და ამასთანავე, ხდება თანამშრომლების შიდა გადაადგილება, თუმცა ჩანაცვლების ეს მეთოდი მაინც არ ჩაითვლება შიდა კონტროლის სისტემად და ამის

გამო, უმჯობესია, ამ ფუნქციების განსახორციელებლად მოწვეულ იქნას გარე აუდიტორი, ან სხვა ორგანიზაციის კვალიფიცირებული შიდა აუდიტორი;

დ) სპეციალური შიდა საკონტროლო-ანალიტიკური განყოფილების (შიდა აუდიტის) მეშვეობით, რომელიც წარმოადგენს ამავე ორგანიზაციის მართვის აპარატის დამოუკიდებელ ქვეგანაყოფს, საწარმოებში ასეთი სამსახური იქმნება მაკონტროლებელი მეთოდებისა და პროცედურების ეფექტურობის შემოწმების მიზნით. შიდა აუდიტის სამსახურის ძირითად წარმატებულ პირობას წარმოადგენს დამოუკიდებლობა ორგანიზაციულ სტრუქტურაში მისი ადგილით, ან სხვა განყოფილებისაგან დამოუკიდებლობით, რომლის მიღწევა შეიძლება ამ სამსახურის საწარმოს ხელმძღვანელობაზე პირდაპირი დაქვემდებარებით, ამ სამსახურმა თავისი ფუნქციები უნდა განახორციელოს იმ დებულების თანახმად, რომელიც დამტკიცებულია დამფუძნებელი კრების მიერ, აგრეთვე, იმ მოთხოვნების გათვალისწინებით, რაც გათვალისწინებულია საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო, ადგილობრივი თვითმმართველობითი ორგანოების საკანონმდებლო და ნორმატიული აქტებით, შიდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით, ეთიკის კოდექსით და საწარმოს შიდა ინსტრუქციებით, ბრძანებებით და მითითებებით.

პრაქტიკამ ცხადყო, რომ საწარმოს შიდა კონტროლის განმახორციელებელი სამსახურების საქმიანობას გააჩნია, როგორც დადებითი ისე უარყოფითი მხარეები. იმ დროს, როდესაც შიდა აუდიტის ფუნქციებს ახორციელებს სარევიზიო კომისია, რომელიც საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობს, შედეგი ნაკლებად ეფექტურია, რადგან იგი ამ საქმეს ახორციელებს არა ყოველდღიურად, არამედ პერიოდულად, ამასთან ერთად, ამ საქმიანობით დაკავებული პირები, მეტწილ შემთხვევაში. არ ფლობენ შიდა აუდიტორთა კვალიფიკაციას და მათ არ აქვთ საშუალება სათანადო დონეზე შეასრულონ მათზე დაკისრებული ფუნქციები. ამასთან ერთად, არ არის გამორიცხული საწარმოოს ხელმძღვანელობის ზეწოლა ფინანსურ ანგარიშზე მისთვის სასურველი დასკვნის შესადგენად.

ორგანიზაციებში შიდა აუდიტის კონტროლის მიზნები უნდა განისაზღვროს ან/და ჩამოყალიბდეს ყველა საქმიანობის შესაბამისად და იგი ინტეგრირებული უნდა იქნას ორგანიზაციის საერთო მიზნებიდან გამომდინარე. შესაბამისად, **შიდა აუდიტის სამსახურის ძირითად ფუნქციებს წარმოადგენს:**

– მოქმედი ნორმატიული აქტებთან და დამფუძნებელ დოკუმენტებთან შიდა რეგლამენტების და კონტროლის პროცედურების (ბრძანებების, განკარგულებების, ინსტრუქციების, თანამშრომელთა შორის უფლებამოსილების და ვალდებულებების გადანაწილების) შედარება და საკმარისობის შემოწმება;

– ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზაციის, მეთოდოლოგიის და წარმოების ტექნიკის ბუღალტრული ანგარიშების უტყუარობის სისწორის ექსპერტიზა;

– წარმოებაზე დანახარჯების აღრიცხვის, რეალიზაციისაგან მოგების ასახვის სისრულის, ფინანსური რეზულტატების ფორმირების სიზუსტის, ფონდებისა და მოგების გამოყენების წესის უტყუარობის შემოწმება;

– კონტროლის სისტემის ორგანიზაციის, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების წარმოებისა და მართვის სტრუქტურების შეცვლის, განვითარების პროგრამების ეფექტურობის ამაღლების გაუმჯობესების შესახებ წინადადებების დამუშავება;

– გარე ფაქტორების ანალიზი და მათი გავლენის შეფასება საწარმოს საქმიანობაზე;

– ბუღალტრული აღრიცხვის, საგადასახადო, სამეურნეო საქმიანობის ანალიზის, მენეჯმენტის, სამართლის და სხვა საკითხებში დამფუძნებლებისა და თანამშრომელთა კონსულტირება;

– შიდა აუდიტის, საგადასახადო და სხვა მაკონტროლებელი ორგანოების მიერ შემოწმებების ჩასატარებლად მომზადების ორგანიზაცია.

შიდა აუდიტის, გარდა საწარმოს საქმიანობის ცალკეული საკითხების შემოწმებისას, ეკალება სამეურნეო საქმიანობის ხელმძღვანელობის განკარგულებებით, **ცირკულარული წერილობით** განსაზღვრულ ღონისძიებათა მიმდინარეობის შემოწმება, საწარმოს საქმიანობის შესახებ სხვადასხვა ცნობების, ინფორმაციების მომზადება, მათი ხელმძღვანელობისათვის წარდგენა, საჭიროების შემთხვევაში, სამეურნეო საქმიანობის ღრმა ანალიზის ჩატარება და ამის საფუძველზე საწარმოს გაუმჯობესების გზების განსაზღვრა. ამ მოთხოვნებიდან გამოდინარე, შიდა აუდიტის სამსახური ვერ

განახორციელებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას თუ არ იქნება აღჭურვილი სათანადო **უფლებამოსილებით**, როგორიცაა:

– შეამოწმოს პირველადი დოკუმენტები, საბუღალტრო რეგისტრები, გეგმები, ხარჯთაღრიცხვები და ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის სხვა დოკუმენტები;

– გაეცნოს დამფუძნებელ დოკუმენტებს, ბრძანებებს, ხელმძღვანელი პირების განკარგულებებს, დამფუძნებელთა საერთო კრების გადაწყვეტილებებს და ოქმებს, როგორც მოქმედ, ასევე სამეურნეო ხელშეკრულებების პროექტებს;

– გამოიკვლიოს საწარმოს ტერიტორია, სასაწყობო, საწარმოო და დამხმარე ფართები, მშენებლობის ობიექტები;

– შეამოწმოს მატერიალურ პასუხისმგებელ პირებზე რიცხული ქონების არსებობა, მდგომარეობა და მთლიანობა;

– ოთხჯეოს საწარმოს ქონებისა და ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი ინვენტარიზაციის ჩატარება და ჩაატაროს პირადად, აუცილებლობის შემთხვევაში დალუქოს სეიფები, სალაროები, საწყობები, არქივები, ფასეულობების და დოკუმენტების შესანახი სხვა ადგილები;

– ყურადღება მიაქციოს ბუღალტრულ აღრიცხვაში სამეურნეო ოპერაციების სწორ ასახვას;

– შეამოწმოს ბუღალტრული და სტატისტიკური მონაცემების უტყუარობა, ანგარიშების სისწორე და გადასახადების დროული გადახდა;

– მოითხოვოს სტრუქტურული ქვეგანაყოფილებების ხელმძღვანელებისაგან, ადმინისტრაციის თანამშრომლებისაგან შემოწმებისთვის საჭირო დოკუმენტები, ცნობები, ანგარიშები, აგრეთვე, წერილობით ან ზეპირი განმარტებები წარმოჭრილ საკითხებზე;

– ჩაატაროს მართვის სისტემის ეფექტურობის ექსპერტიზა და საწარმოს სამეურნეო საქმიანობისა და ფინანსური მდგომარეობის ანალიზი;

იმ ქვეყანაში, სადაც აუდიტორიული საქმიანობის საერთაშორისო დონის ნორმატიული დოკუმენტების მომზადება-გამოქვეყნება ხორციელდება, ფუნციონირებს **შიდა აუდიტის** სხვადასხვა პოლიტიკური ინსტიტუტები, თვითრეგულირებადი პროფესიული ორგანიზაციები, ინსტიტუტების საქმიანობას საფუძველი აშშ-სა და ჩრდილოეთ ამერიკაში ჩაეყარა და მინიჭებული აქვს საერთაშორისო კვალიფიკაცია. ამ ინსტიტუტების თანაზიარია და ავტორთა განათლებისა და პროფესიული ცოდნის ამაღლების და ამ საქმიანობის ნორმატიული აქტების მომზადებისათვის 1974 წელს ჩამოყალიბებული სართაშორისო ორგანიზაცია-შიდა აუდიტორთა ინსტიტუტი (II). რომელსაც ამჟამად 180-ზე მეტი განყოფილება აქვს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, სადაც 35 ათას წევრზე მეტია გაერთიანებული. ინსტიტუტი აქტიურ მონაწილეობას იღებს სასწავლო სემინარიებისა და კონფერენციების ორგანიზებაში, აქვს თავისი პროფესიული ჟურნალი „The Internal Auditor". ინსტიტუტის მიერ შემუშავებული და მიღებულია ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, როგორიცაა **ეთიკის კოდექსი**, აგრეთვე, ინსტიტუტის პროფესიული სტანდარტები, რომელიც გათვალისწინებულია ბიზნესის სფეროში მომუშავე შიდა აუდიტორზე. მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესებმა, ამასთან ერთად, საქეეყნოდ გახმაურებულმა შიდა კონტროლის პრობლემებმა, **ბარინგსის ბანკი** კრახამდე მიიყვანა, განაპირობა, რომ 1999 წელს შემოიღო შიდა აუდიტის ახალი განსაზღვრა და შიდა აუდიტის მეტი ყურადღება **რისკის ფაქტორზე დააფუძნა**, რაც შემდეგი არსებითი ელემენტები განსაზღვრა:

- ეს არის დამოუკიდებელი, ობიექტური, საწარმო და საკონსულტაციო საქმიანობა;
- მისი დანიშნულებაა გაზარდოს ორგანიზაციის მიერ შექმნილი ღირებულება და გააუმჯობესოს მისი საქმიანობა;
- ხელი შეუწყოს ორგანიზაციას თავისი მიზნების განხორციელებაში;
- მოამზადოს რეკომენდაციები რისკის მართვის, მის კონტროლისა და რეგულირების პროცესების შესაფასებლად და გასაუმჯობესებლად.

შიდა აუდიტისადმი ამ მოთხოვნებმა არსებითად შეცვალა მისი არსი და თუ იგი ადრე მხოლოდ აღრიცხვის ტიპის ფინანსურ როლს თამაშობდა, იგი განვითარდა და მოიცვა ოპერატიული კონტროლის ყველა საშუალებები და მისი საქმიანობა, ძირითადად, რისკზე დაფუძნებული გახდა, ამასთან ერთად, მიჩნეულია, რომ აუდიტორიული სამუშაოს სარგებელი მდგომარეობს არა არსებული პრობლემების არგუ-

მენტებად წარმოდგენასა და რეკომენდაციების შედგენაში, არამედ პრობლემათა ეფექტურ გამოსწორებაში, რის გამოც ორგანიზაციის ხელმძღვანელობას ამ არგუმენტებისა და რეკომენდაციების საფუძველზე გადაუდებელი ღონისძიებების შემუშავება მოეთხოვება.

იმის გათვალისწინებით, რომ მსოფლიოში შიდა აუდიტი ტარდებოდა სხვადასხვა ორგანიზაციებში, მათი მიზნები და მასშტაბები სტრუქტურის მიხედვით თითქმის ერთნაირია, თუმცა განსხვავებულიცაა ქვეყანაში მოქმედი კანონების გამო, რაც გაელენას ახდენს შიდა აუდიტში ერთნაირი წესებისა და პრინციპების ჩამოყალიბებაზე. შესაბამისად, შიდა აუდიტის ინსტიტუტის მიერ მომზადებული იქნა შიდა აუდიტის სტანდარტების კვალიფიკაცია.

შიდა აუდიტორმა აუდიტის ჩატარებისას უნდა გაითვალისწინოს, რომ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით „საწარმოოს ხელმძღვანელობამ შიდა გამოყენებისათვის შეიძლება მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება იმ სახით, რომელიც ყველაზე უკეთ მიესადაგება საწარმოს შიდა მართვის მიზნებს, ხოლო როდესაც ფინანსური ანგარიშგება ქვეყნდება სხვა პირებისათვის, მაგ. აქციის მფლობელების, კრედიტორების და საზოგადოებისათვის, იგი უნდა შეესაბამებოდეს აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს".

ამ მოთხოვნებიდან გამომდინარე, შიდა აუდიტის სამსახურის გამართულად მუშაობისათვის, აუდიტორის მიერ აუცილებლად უნდა სრულდებოდეს შემდეგი ***ძირითადი კრიტერიუმები***: ქცევის ნორმების დაცვა; ცოდნა, გამოცდილება და დისციპლინა; ურთიერთობების ადამიანებს შორის და კომუნიკაცია; კვალიფიკაციის ამაღლება; პროფესიული დამოუკიდებლობა; სამუშაოს მოცულობა; ინფორმაციის უტყუარობა და მთლიანობა; წესების, გეგმების, პროცედურების, კანონიერების და დადგენილებების დაცვა; აქტივების დაცვა; რესურსების ეკონომიკური და რაციონალური გამოყენება; ოპერაციებისა და პროგრამებისათვის დასახული მიზნებისა და ამოცანების მიღწევა; შიდა აუდიტორიები ვალდებულებია არიან შეამოწმონ ოპერაციები და პროგრამები იმ მიზნით, რათა გაარკვიონ, შეესაბამებიან თუ არა შედეგები დასახულ მიზანებს და ამოცანებს, ასევე, სრულდება თუ არა ოპერაციები და პროგრამები გეგმის მიხედვით; აუდიტორიული სამუშაოს შესრულება (აუდიტორიული სამუშაო მოიცაცს აუდიტის დაგეგმვას, ინფორმაციის შემოწმებას და შეფასებას, შედეგებზე შესაბამისი დასკვნის შედგენას); აუდიტის დაგეგმა (შიდა აუდიტორებმა უნდა დაგეგმონ ყოველი აუდიტორიული შემოწმება); ინფორმაციის შესწავლა და შეფასება(შიდა აუდიტორები ვალდებულნი არიან შეაფროვონ, გაანალიზონ, განმარტონ და დაასაბუთონ ინფორმაცია აუდიტორული შემოწმების შედეგებზე); შედეგების შეტყობინება შიდა აუდიტორები ვალდებულნი არიან საწარმოს ხელმძღვანელობის წინაშე თავიანთი სამუშაოს შედეგებზე; შემოწმების შემდგომი კონტროლი (შიდა აუდიტორებმა უნდა ჩაატარონ შემოწმების შემდგომი კონტროლი, რათა დარწმუნდნენ იმაში, რომ აუდიტორულ დასკვნებში გამოაშკარაებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად მიღებულია შესაბამისი ზომები.

აქ წარმოდგენილ თითოეულ საკითხზე არსებობს შიდა აუდიტის ჩატარების სტანდარტები, აუდიტის ქცევის ნორმები, სადაც დეტალურადაა განხილული, თუ როგორ უნდა შეუსადაგო ეს სტანდარტები აუდიტორულ პროცედურებს. მხედველობაშია მისაღები, რომ აუდიტის პროცედურებზე ზეგავლენას ახდენს ბიზნესის მოცულობა, სირთულის ხარისხი და თავისებურებები, აგრეთვე, შემოწმების ჩატარების პირობები, ბუღალტრული რიცხვის სპეციფიკა და დამუშავების მეთოდები.

აუდიტორი ამ სტანდარტების ფარგლებში, რაც მის საქმიანობას ეხება, ადგენს შესაბამის დასკვნას, სადაც პირველ რიგში განიხილება საწარმოს კონტროლის სტრუქტურის ღონისძიებებისა და პროცედურების ეფექტურობა.

სტანდარტის ძირითადი მიზანია - მონაცემთა ასახვის სისრულის, სიზუსტის და კანონიერების უზრუნველყოფა, რაც მჭიდროდაა დაკავშირებული აუდიტორული შემოწმების კანონებთან, ხოლო კონტროლის ამოცანას წარმოადგენს მონაცემთა ასახვის სისრულისა და კანონიერების უზრუნველყოფა, რაც უპირსპირდება აუდიტორიული შემოწმების მიზნებს -მონაცემებისა და შეცდომების არსებობის ან შეასაძლებლობების განსაზღვრას.

სტანდარტების საბჭოს-უმაღლესი ტექნიკური კომიტეტის მიერ, რომელიც შექმნილია შიდა აუდიტორის ინსტიტუტში, შემუშავებულია პროფესიონალ შიდა აუდი-

ტორთა **ეთიკის** კოდექსი. ეს კოდექსი საზღვრავს შიდა აუდიტორთა პროფესიულ პასუხისმგებლობას და აერთიანებს შიდა აუდიტის ჩატარების წესებს და განმარტებებს, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ აუდიტორის ფასეული მოვალეობების შესრულებაში და შიდა აუდიტის პრაქტიკულად ჩატარებაში.

კოდექსის პრინციპების პრეამბულა აქცენტს აკეთებს შიდა აუდიტორის პასუხისმგებლობაზე, ხოლო ქცევის კოდექსის პრინციპები განსაზღვრავენ ქცევის მინიმალურ დონეს. შიდა აუდიტის ეთიკის კოდექსი (ისე, როგორც გარე აუდიტორის მგზავსი კოდექსი) ხაზს უსვამს, რომ აუდიტორმა არამარტო აღიაროს დამოუკიდებლობა, არამედ უნდა აღკეეთოს კიდეც ის ქმედებანი, რომლებსაც, ფაქტიურად, შეუძლიათ დაარღვიონ იგი და ბიძგი მისცენ დამოუკიდებლობის უგულველყოფას.

საყურადღებოა, რომ ეკონომიკური სუბიექტის ხელმძღვანელობამ უნდა გაითვალისწინოს, რომ შიდა აუდიტის ეფექტურ და ადეკვატურ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებლობა მას ეკისრება, ამიტომ იგი ყოველდღიურ ზრუნვას უნდა იჩენდეს შიდა აუდიტის სამსახურის მიმართ, კარგად უნდა ერკვეოდეს მის ბუნებასა და მიზნებში, იყოს კომპეტენტური, იკავებდეს შიდა აუდიტორთა მხარდამჭერ პოზიციას და აშკარად გამოხატავდეს თავის პოზიტიურ დამოუკიდებლობას მის მიმართ და რაც მთავარია, აცნობიერებს, რომ კარგად ორგანიზებული შიდა აუდიტის სისტემა ის ფუნდამენტია, რომელზე დაყრდნობითაც ხორციელდება ორგანიზაციის, მისი მიზნების, საქმის წარმოებისა და რესურსების კონტროლი და წარმოადგენს ყველაზე საომედო საშუალებას უტყუარი ინფორმაციის მიღების, კანონიერი რეჟიმის და საშემსრულებლო დისციპლინის ინტეგრირებული მიზნების მისაღწევად.

ამრიგად, საწარმოს კონტროლის სამართავი სისტემის განუყოფელ შემადგენელ ნაწილს შიდა აუდიტი წარმოადგენს. თუმცა შიდა აუდიტის მიზნების და ამოცანების განსხვავებულია გარე აუდიტის მიზნებისა და ამოცანებისაგან. როგორც უკვე აღინიშნა შიდა აუდიტის სამუშაო პროგრამას ადგენენ ეკონომიკური სუბიექტის ხელმძღვანელები ან მესაკუთრეები, ხოლო გარე აუდიტორი გარიგების წერილის საფუძველზე ატარებს აუდიტს და დამოუკიდებლად ახდენს წარმოდგენილი ბუღალტრული ანგარიშების შეფასებას, ასევე, შიდა აუდიტი მიმართულია მენეჯერებისადმი დახმარების აღმოჩენისაკენ მათ მიერ კონტროლის ფუნქციების განხორციელების საქმეში, მაშინ, როდესაც გარე აუდიტის მიზანია სამეურნეო სუბიექტის საქმიანობაზე ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების უტყუარობაზე, სისრულეზე მიუკერძოებელი აუდიტორიული დასკვნის შედგენა. მიუხედავად ამ სხვაობისა, ორივეს ძირითადი ინტერესი აუდიტორული ორგანიზაციის რისკის იდენტიფიკაცია და მისი შიდა კონტროლის ორგანიზაციულ სისტემაში გარკვევაა.

ცხრილში ნათლად ჩანს ამ ორი სამსახურის აუდიტის ჩატარების მეთოდების მსგავსება, თუმცა თითოეული მათგანის წვლილი ამ საქმიანობის კონტროლის მთლიან პროცესში არსებითად განსხვავებულია.

ცხრილი

ფაქტორები	შიდა აუდიტი	გარე აუდიტი
ამოცანა	მართვის მოთხოვნებიდან გამომდინარე განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, როგორც მთლიანად საწარმოს, ისე საწარმოს ქვედანაყოფების მიხედვით მართვის ცალკეული ფუნქციონალური ამოცანების გადასაწყვეტი, ამოცანებისათვის წინადადებების მომზადება, საინფორმაციო სისტემის დამუშავება და შემოწმება	განისაზღვრება დამოუკიდებლობა, ეკონომიკური სუბიექტის ხელმძღვანელობასა და აუდიტური ფირმას (ინდივიდუალური აუდიტორის შორის გაფორმებული ხელშეკრულებით ან/და გარიგების წერილით განისაზღვრება, ძირითადად, ეკონომიკურ სუბიექტში დაფუძნებული ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშების მოხაცემებზე
ობიექტი	საშემსრულებლო საქმიანობა	სამეწარმეო საქმიანობა

საქმიანობის სახე საქმიანობის ორგანიზაცია	ეკონომიკური სუბიექტის ხელმძღვანელობის კონკრეტულ დავალებათა შესრულება შიდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა გათვალისწინებით	დამოუკიდებლად განსაზღვრავს აუდიტორი იმ წესების და პროცედურების მოთხოვნების გათვალისწინებით, რაც განსაზღვრულია აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით.
ურთიერთდამოკიდებულება	უშუალოდ ეკონომიკური სუბიექტის ხელმძღვანელზე დაქვემდებარება	თანაბარუფლებიანი პარტნიორობა, დამოუკიდებლობა, როგორც დამკვეთისაგან, ისე მესამე მხარისაგან, აგრეთვე, იმ აუდიტური ფირმის მესაკუთრეებისა და ხელმძღვანელებისაგან, სადაც ისინი მუშაობენ.
სუბიექტი	საწარმოს შტატში მყოფი ხელმძღვანელობისადმი დაქვემდებარებული თანამშრომლები განსაზღვრავს ეკონომიკური სუბიექტის ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებული დებულება, გააჩნია დამოუკიდებლობის ნაკლები ხარისხი და შედარებით დაბალი პროფესიული დონე.	დამოუკიდებელი აუდიტორები, რომლებსაც შესაბამისი სერთიფიკატი და ლიცენზია გააჩნიათ აღნიშნული საქმიანობის განხორციელების უფლებაზე.
კვალიფიკაცია	საშტატო განრიგით განსაზღვრული სარგოების მიხედვით	მკაცრად არის რეგლამენტირებული საქართველოს "აუდიტორული საქმიანობის შესახებ" კანონით
ანაზღაურება	ერთიდაიგივე ამოცანების გადაწყვეტისას არ არის გამორიცხული ერთი და იგივე მიდგომა (მაგ: ინფორმაციის უტყუარობის შეფასება, შერჩევითი შემოწმებისას გამოყენება), თუმცა ახასიათებს განსხვავება სიზუსტისა და დეტალურობის საკითხში "	ხელშეკრულებით ან/და გარიგების წერილით განსაზღვრული წესით, პირობებით და მოცულობით დამკვეთის წინაშე და მესამე პირის მიმართ კანონმდებლობით დადგენილი ნორმატიული აქტების საფუძველზე
პასუხისმგებლობა მეთოდები ანგარიშვალდებულება	ეკონომიკური სუბიექტის ხელმძღვანელობის წინაშე	იგივე მეთოდები, რაც შიდა აუდიტზეა გათვალისწინებული აუდიტორული დასკვნა შეიძლება გამოქვეყნდეს, ხოლო ანალიტიკური ნაწილი, აუდიტორის წერილობითი ინფორმაცია (ანგარიში) გადაეცემა დამკვეთს.

ცხრილიდან გამომდინარეობს, რომ შიდა და გარე აუდიტს შორის ძირითადი განსხვავება ისაა, რომ შიდა აუდიტი მიმართულია მენეჯერებისადმი დახმარების აღმოჩენისაკენ მათ მიერ კონტროლის ფუნქციების განხორციელების საქმეში მაშინ, როდესაც გარე აუდიტი ემსახურება უცხო, გარე ჯგუფების ინტერესებს, შეიძლება ითქვას, რომ კონტროლის ამ ორი აღნიშნული სახის ფუნქციები ერთმანეთს ავსებს, ემსახურებიან რა სხვადასხვა მიზნებს, მაგრამ სინამდვილეში პოტენციურად მნიშვნელოვნად ფარავენ ერთმანეთს.

გარე და შიდა აუდიტორთა ურთიერთდამოკიდებულება, მათი საქმიანობის კოორდინაციის ძირითადი პრინციპები, რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს შიდა კონტროლის მონაცემები, რომ იგი გამოყენებულ იქნას გარე აუდიტორის მიერ, ფართოდ არის განხილული აუდიტს საერთაშორისო სტანდარტ „შიდა აუდიტის სამუშაოთა გათვალისწინება". სტანდარტში გარდა იმისა, თუ როგორ უნდა შემუშავდეს ორგანიზაციაში შიდა აუდიტის სამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურა

და მის მიერ განხორციელებული საქმიანობა, დეტალურად არის განხილული ის მოთხოვნები და ასპექტები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდეს გარე აუდიტის მიერ ჩატარებულ აუდიტში შიდა აუდიტორების მოკლეული მასალების ასახვას. სტანდარტის მოთხოვნაა: „გარე აუდიტორი კარგად უნდა გაერკვეს შიდა აუდიტორის საქმიანობაში, რაც მას დაეხმარება აუდიტის დაგეგმვასა და ეფექტური აუდიტორული მიდგომის შემუშავებაში."

სტანდარტის მოთხოვნებიდან გამომდინარე, გარე აუდიტორმა ეკონომიკურ სუბიექტთან ხელშეკრულების გაფორმებისთანავე უნდა ჩამოაყალიბოს აზრი შიდა აუდიტის კონტროლის საქმიანობაზე, რომელიც მას დაეხმარება აუდიტორული დაგეგმვასა და ეფექტური აუდიტორული მიდგომის შემუშავებაში. გარე აუდიტორმა უნდა შეადგინოს შიდა კონტროლის სისტემის შეფასების პროგრამა, თავის სამუშაო დოკუმენტაციაში ასახოს დასკვნები, რომელიც შიდა აუდიტორის კონკრეტულ სამუშაოს ეხება და იგი მის მიერ შესწავლილი, შეფასებული და ტესტირებულია. გარე აუდიტორის მიერ შიდა აუდიტის ფუნქციების წინასწარი შეფასება განსაზღვრავს, გამოყენებულ იქნას თუ არა შიდა აუდიტორის მასალები, რაც, უდავოდ, გამოიწვევს გარე აუდიტის პროცედურების ხასიათს, ვადებსა და მოცულობის მოდიფიცირებას. დაგეგმარების სტადიაში შიდა კონტროლის შეფასებისას, გარდა შიდა აუდიტის ორგანიზაციული სისტემისა, გასათვალისწინებელია:

- კომპეტენტურობა-აუდიტორის პროფესიული განათლება და მუშაობის გამოცდილება, მათ წინაშე დასახული ამოცანებისა და პრობლემების აღქმის ხარისხი.

პროფესიული დონე-შიდა კონტროლის სამსახურის დაგეგმარებისა და დოკუმენტირების მდგომარეობა, სამუშაო პროგრამებისა და დოკუმენტაციის შინაარსი;

- ფუნქციონალური ჩარჩოები-იმ სამუშაოთა მოცულობა და შინაარსი, რომელიც შიდა აუდიტორულ სამსახურს აქვს შესრულებული;

- მნიშვნელობის დონე-ასრულებს თუ არა შიდა აუდიტის რეკომენდაციებს ეკონომიკური სუბიექტის ხელმძღვანელობა ან მისი მფლობელი.

დაგეგმარების სტადიაში გარე აუდიტორმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება: გამოიყენოს თუ არა მოცემული მასალა გარე აუდიტის მიზნებისათვის. იმ შემთხვევაში, თუ გარე აუდიტორი გადაწყვეტს გამოიყენოს შიდა აუდიტის სამსახური, აუცილებლად უნდა გაეცნოს და შეისწავლოს სიდა აუდიტის სამუშაო დოკუმენტაცია, რათა დაადგინოს:

- შიდა აუდიტორთა სამუშაოს მოცულობა და შესაბამისი პროგრამები პასუხობს თუ არა მოწვეული აუდიტორის მიზნებს;

მიმდინარეობს თუ არა შიდა აუდიტორთა სამუშაოები დამტკიცებული გეგმის მიხედვით და გაფორმებულია თუ არა იგი სრულყოფილი დოკუმენტების საფუძველზე;

- შიდა აუდიტორთა მიერ მიღებული დასკვნები საკმარისად თუ არის დასაბუთებული და შესაბამისობაშია თუ არა არსებულ გარემოებებთან;

- ეკონომიკური სუბიექტის სპეციალისტებისათვის ცნობილი რისკის ზონები გათვალისწინებულია თუ არა შიდა აუდიტის სამუშაოთა დაგეგმარებისას;

- კონსტრუქციულია თუ არა შიდა აუდიტოროთა მიერ შემუშავებული შენიშვნების და წინადადებების დამოკიდებულება ხელმძღვანელობის ან მეპატრონის მხრიდან განიხილოს ისეთი ფაქტები, რომელმაც უნდა დაარწმუნოს იგი, რომ ეს ინფორმაცია დასაბუთებულია და შეესაბამება მის ხელთ არსებულ ინფორმაციას და, რაც მთავარია, აუდიტის მიზნებს. სტანდარტებში აღწერილია წარმოდგენილი ინფორმაციის დასაბუთებულობის დოკუმენტების და შეფასების პროცედურები, მისი შესაბამისობა აუდიტის დროს მიღებულ ინფორმაციასთან, აგრეთვე მისი ხარისხის შეფასების გზები. სტანდარტი განიხილავს, აგრეთვე ხელმძღვანელობისაგან წერილობითი განმარტების მიღების პირობებს და იმ შემთხვევებს, როდესაც ხელმძღვანელობა უარს აცხადებს წერილის შედგენაზე. რეკომენდებულია ხელმძღვანელობის მიერ წარსადგენ წერილობით ინფორმაციასთან დაკავშირებული პროცედურები აუდიტორმა შეუთანხმოს ხელმძღვანელობას აუდიტის დაწყებამდე, რათა შემცირდეს იმის შესაძლებლობა, რომ ხელმძღვანელობა უარს აცხადებს აუდიტორთან თანამშრომლობასა და ამგვარი წერილობითი ინფორმაციის მოწოდებაზე.

ასევე, სტანდარტში განხილულია იმ პროცედურების ჩატარების წესი, როდესაც აუდიტორი ვერ მოიპოვებს ოფიციალურ ინფორმაციას იმ საკითხებზე, რომლებიც

მას ესაჭიროება. ასეთ შემთხვევაში აუდიტორმა უნდა განიხილოს აუდიტორული დასკვნის შეზღუდვის (პირობითობის) საკითხი. სტანდარტს დანართის სახით ერთვის „ხელმძღვანელობის მიერ წარსადგენი წერილის ნიმუში“, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ეს არ არის სტანდარტული წერილი. ვინაიდან სავარაუდოა, ხელმძღვანელობის წერილი შეიძლება განსხვავებული იყოს არამარტო სხვადასხვა საწარმოსათვის, არამედ, ერთი და იმავე აუდიტის დამკვეთისათვისაც სხვადასხვა წლებში.

ქვემოთ მოყვანილია აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) ინტერპრეტაცია, კერძოდ:

სტანდარტში აღწერილია ის შემთხვევები, როდესაც დამოუკიდებელი აუდიტორი აუდიტის განსახორციელებლად ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშების აუდიტის დროს სამუშაოდ იწვევს სხვა დამოუკიდებელ აუდიტორს, რათა ჩატარებულ იქნეს აუდიტი მოცემული ორგანიზაციის ერთი ან რამდენიმე ქვეგანყოფილების, ფილიალის, შეილობილი ან ასოცირებული კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, რომელთა კონსოლიდირებაც სათაო ორგანიზაციის ანგარიშგებაზე აისახება.

ეს სტანდარტი არ ეხება იმ შემთხვევებს, როდესაც ერთად ინიშნება ორი ან მეტი აუდიტორი და არც აუდიტორს აქვს ურთიერთობა მის წინამორბედ აუდიტორთან. სტანდარტში განმარტებულია „მთავარი აუდიტორის“ და „სხვა აუდიტორის“ ცნება, ასევე, განხილულია ის პროცედურები, რომელიც უნდა განახორციელოს მთავარმა აუდიტორმა სხვა აუდიტორის მიერ შესრულებული სამუშაოს გამოყენებისას, მოწვეული აუდიტორის პროფესიული კომპეტენციის გათვალისწინებით და მოცემულია იმ პროცედურების ჩამონათვალი, რომელიც უზრუნველყოფს ამ სამუშაოთა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რათა მთავარი აუდიტორი დარწმუნდეს, რომ შესრულებული სამუშაო ადეკვატურია იმ დავალებისა, რაც კონკრეტული ორგანიზაციის აუდიტის მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად არის დაგეგმილი. ამასთან ერთად განხილულია ის პროცესები და წესები, რომლებიც მთავარი აუდიტორისა და სხვა აუდიტორის ურთიერთთანამშრომლობამ უნდა განაპირობოს და მათი პასუხისმგებლობის განსაზღვრას შეეხება, აგრეთვე ის შემთხვევები, როდესაც სხვა აუდიტორის მიერ შესრულებული სამუშაოს გამოყენება შეუძლებელია ან სხვა აუდიტორს არ ეძლევა კანონიერ და მაღალპროფესიულ დონეზე მოამზადოს ინფორმაცია, რომელმაც შემდგომში სათანადო ასახვა უნდა პოვოს ფინანსურ ანგარიშგებაზე მომზადებულ ერთიან აუდიტორიულ დასკვნაში.

ასს 610 “შიდა აუდიტის სამუსაოთა გათვალისწინება”

სტანდარტში განიხილება სააღრიცხვო სისტემები, შიდა კონტროლის ელემენტები, შეზღუდვები და აუდიტორული პროცედურები, რომლებიც დაკავშირებულია შიდა კონტროლის სისტემის მდგომარეობის და ფუნქციონირების შეფასებასთან. ასს მოითხოვს, რომ გარე აუდიტორი კარგად გაეცნეს შიდა აუდიტის ფუნქციებში, რადგან მისი შესწავლის შედეგად მიღებული მონაცემების მნიშვნელოვანი ნაწილი მას დაეხმარება ეფექტურად ჩატაროს აუდიტი და ასევე, დაადგინოს შესაძლებელია თუ არა აუდიტორთა მიერ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობა, რაც ნებისმიერ შემთხვევაში გავლენას მოახდენს კონტროლის გარემოსა და აუდიტორული რისკის შეფასებაზე. გარე აუდიტორმა, მიუხედავად იმისა, რომ მას აკისრია პირადი პასუხისმგებლობა აუდიტორული დასკვნის შინაარსზე, უნდა გაითვალისწინოს გარე აუდიტის პროცედურები ხასიათის, ეადებისა და მოცულობის განსასაზღვრავად, მან შიდა აუდიტის მნიშვნელოვანი ნაწილი შეიძლება გამოიყენოს აუდიტის ჩატარების, როგორც პროცესში, ისე დასკვნით ეტაპზე.

სტანდარტში მოცემულია პროცედურები, რომელიც უნდა გაითვალისიწნოს დამოუკიდებელმა აუდიტორმა შიდა აუდიტის სამუშაოთა შეფასებისას, აგრეთვე განხილულია ის პრინციპები, რასაც უნდა დაეყრდნოს შიდა აუდიტორისა და გარე აუდიტორის ურთიერთდამოკიდებულება და მათი საქმიანობის კოორდინაცია. ასს-ში განხილულია იმ პროცედურების ჩატარების მეთოდები და შეფასების გზები, როდესაც გარე აუდიტორი იყენებს შიდა აუდიტორის რომელიმე სამუშაოს, რათა დადასტურდეს მისი ადეკვატურობა გარე აუდიტორის მიზნებთან. ასს მოითხოვს, რომ გარე აუდიტორმა დოკუმენტურად გააფორმოს თავისი დასკვნები მის მიერ შესრულებული და ტესტირებული შიდა აუდიტის ცალკეული სამუშაოს შესახებ; თუმცა გარე აუდიტორმა უნდა გაითვალისწინოს, რომ “ყველა მსჯელობა და

მოსაზრება, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური ანგარიშების აუდიტთან, ეუთვნის გარე აუდიტორს". ასს ეს სტანდარტი არ ეხება იმ ცალკეულ შემთხვევებს, როდესაც შიდა აუდიტის პერსონალი ეხმარება გარე აუდიტორს გარე აუდიტის პროცედურების ჩატარებაში.

ასს 620 „ექსპერტის მიერ შესრულებული სამუშაოს გამოყენება"

სტანდარტში მოცემულია რეკომენდაციები აუდიტორული შემოწმების დროს ექსპერტის (სპეციალისტის) მიერ შესრულებული სამუშაოს, როგორც აუდიტორული მტკიცებულების, გამოყენებაზე. იმის გამო, რომ აუდიტორს განათლება და გამოცდილება საშუალებას აძლევს დამკვეთის საქმიანობაში გაერკვეს ზოგადად, მაგრამ მას არ მოეთხოვება ისეთივე მაღალკვალიფიციური იყოს, როგორც რომელიმე სხვა პროფესიის ადამიანი, ამიტომ აუდიტორი იძულებულია დამკვეთთან შეთანხმებით მოიწვიოს სპეციალისტი (ექსპერტი), რომელსაც აუდიტორისაგან განსხვავებით, აქვს რომელიმე კონკრეტულ სფეროში სპეციალური კვალიფიკაცია, ცოდნა და გამოცდილება, სტანდარტში მოყვანილია ისეთი სიტუაციის მაგალითები, რომლის დროსაც აუდიტორს შესაძლოა დასჭირდეს ექსპერტის სამუშაოს გამოყენება, აგრეთვე, გარემოებები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს ამგვარი პროფესიული კონტაქტების განხორციელების დროს. განსაზღვრულია მიდგომები, როგორც ექსპერტის მომზადების დონის, კვალიფიკაციის, კომპეტენტურობის, ასევე ექსპერტის ობიექტურობის და მისი სამუშაოს შედეგების შეფასებაზე.

სტანდარტის მოთხოვნაა, როდესაც აუდიტორი იყენებს ექსპერტის მიერ შესრულებულ სამუშაოს, მან უნდა მოიპოვოს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმაზე, რომ ეს სამუშაო აუდიტის მიზნების ადეკვატურია. აუდიტორი ექსპერტს სამუშაოდ იწვევს კონტრაქტით, დამკვეთთან შეთანხმებით, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთი რაიმე მიზეზით უარს იტყვის ასეთი კონტრაქტის გაფორმებაზე და ექსპერტისათვის გაუვალისწინებელ სამუშაოზე მტკიცებულების მოპოვების სხვა წყარო არ არსებობს, აუდიტორმა უნდა შეაფასოს პირობითი დასკვნა. აუდიტორმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ექსპერტი ობიექტური ვერ იქნება, თუ ის დაკავშირებულია სამეურნეო ერთეულთან, ფინანსურად არის დამოკიდებული მასზე ან ინვესტიციები აქვს დაბანდებული ამ სამეურნეო ერთეულში.

ქვემოთ გადმოცემულია ასს „შიდა კონტროლი" (400-499) მიმოხილვა. კერძოდ: ასს 400 „რისკის შეფასება და შიდა კონტროლი". ასს-ში აღწერილია ბუღალტრული აღრიცხვისა და შიდა კონტროლის სისტემების, აუდიტორული რისკისა და მისი კომპონენტების შესწავლასთან დაკავშირებული პროცედურები, აგრეთვე შიდა კონტროლის შეზღუდვის ის ელემენტები, რომლებიც გაელენას ახდენენ აუდიტორიული შემოწმების ეფექტურად განხორციელებაზე და აუდიტორიული რისკის შეფასებაზე. ასს-ში განსაზღვრულია „აუდიტის რისკის" და მისივე სამი კომპონენტის „თანდაყოლილი რისკის", „კონტროლის რისკის" და „შეუმჩნეველი რისკის" ცნებები, ასევე, განმარტებულია „ბუღალტრული აღრიცხვის სისტემის", „შიდა კონტროლის სისტემის", „კონტროლის გარემოს" და „კონტროლის პროცედურების" ძირითადი ელემენტები, რომლებიც გაელენას ახდენენ არსებითი უზუსტობების რისკზე.

ასს-ში პასუხისმგებლობა აღრიცხვისა და ანგარიშგების სისტემების უზრუნველყოფაზე, რომელშიც ინკორპორებულია შიდა კონტროლის სისტემები ორგანიზაციის სიდიდისა და ხასიათის მასშტაბებით (თუმცა შიდა კონტროლის სისტემის უმრავლესობა, რომელიც შეეფერება დიდ და სამეურნეო სტრუქტურას, არ გამოდგება მცირე საწარმოსათვის), ეკისრება მის ხელმძღვანელობას, მიუხედავად ამისა, ფინანსური ანგარიშების უტყუარობის დასადგენად, აუდიტორი საკმარისად უნდა იყოს დარწმუნებული შიდა კონტროლის და ანგარიშგების სისტემების ადეკვატურობაში. ამასთან ერთად აუდიტის პროცესში აუდიტორმა უნდა გაითვალისწინოს უკუდამოკიდებულება **შეუმჩნეველი რისკისა** თანდაყოლილ და კონტროლის რისკთან. ამ მიზნით აუდიტორი ადგენს სათანადო ტესტებს, რომლებიც განსხვავებულია თავიანთი მიზნებით, თუმცა მათ შეუძლიათ ხელი შეუწყონ სხვა ტიპის ტესტების შედგენას და, აქედან გამომდინარე, მიზნების მისაღწევად სხვადასხვა სახის პროცედურების განხორციელებას,ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ რაც უფრო მაღალია თანდაყოლილი კონტროლის რისკის შეფასება, მით მეტი აუდიტორიული მტკიცებულებების მოპოვებაა საკონტროლო რისკის წინასწარ დაგეგმვისა და შეფასებისათვის და სხვა სახის რეკომენდაციები.

სტანდარტს დანართის სახით დართული აქვს აუდიტორიული რისკის კომპონენტების ურთიერთდამოკიდებულებების მაგალითები, სადაც ნათლად ჩანს თუ რამდენად შეიძლება განსხვავდებოდეს შეუმჩნეველობის რისკის მისაღები დონე თანდაყოლილი და კონტროლის რისკების დონისაგან და ის არსებითი უკუდამოკიდებულება შეუმჩნეველობის რისკსა და თანდაყოლილ და კონტროლის რისკების კომბინირებულ დონეს შორის.

ასს, წარმოადგენს სახელმძღვანელოს აუდიტორებისათვის შიდა სამეურნეო და საკონტროლო რისკების შეფასების საკითხებში და ამ შეფასების გამოყენების ხასიათის, ვადების და ხარისხის განსასაზღვრავად, რომელშიც აუცილებელია შესაბამისი პროცედურების გატარება, რომელიც საშუალებას მისცემს აუდიტორს შეამციროს რისკი მისაღებ დონემდე. ამიტომ სტანდარტის მოთხოვნაა, რომ კონტროლის ტესტების მეშვეობით მოიპოვოს ისეთი აუდიტორიული მტკიცებულება, რომელიც უზრუნველყოფს კონტროლის რისკის შეფასებას.

ასს №401 „აუდიტი კომპიუტერული საინფორმაციო სისტემების გარემოში"

სტანდარტი შეიცავს დამატებითი პროცედურების და რეკომენდაციებს, რომლებიც გამოიყენება მონაცემთა ელექტრონული დამუშავებისას, და მის გავლენაზე აუდიტის პროცესებზე განურჩევლად იმისა, თუ ვის მიერ ხორციელდება ეს პროცესები–თვით სამეურნეო სუბიექტის თუ მესამე მხარის მიერ. სტანდარტში განხილულია აუდიტის კომპიუტერულ გარემოში (აკგ) გამოყენების ძირითადი ეტაპები და შესაძლო შემთხვევები, რომელიც უნდა გაითვალისწინონ აუდიტის ჩატარების პროცესში, რადგან ამ შემთხვევაშიც აუდიტის საბოლოო მიზანი და მასშტაბები არ იცვლება. სტანდარტში განსაზღვრულია მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს აუდიტური მომზადება და კვალიფიკაციის დონე მოცემული სამუშაოსათვის, ასევე განსაზღვრულია მისი პასუხისმგებლობის საკითხი ამ სამუშაოს დელეგირების შემთხვევაში მესამე პირის მიერ ჩატარებული შედეგების გამოყენებაზე. სტანდარტის მოთხოვნაა, რომ აუდიტორს თუ ეკონომიკური სუბიექტში აკგ დანერგილი, მას უნდა გააჩნდეს საკმარისი ცოდნა, რათა დაგეგმოს, წარმართოს, ზედამხედველობა გაუწიოს და განიხილოს შესრულებული სამუშაოს შედეგები, რათა დაადგინოს ამ სისტემის გაელენა ბუღალტრული აღრიცხვისა და შიდა კონტროლის სისტემაზე, განსაზღვროს მისი გაელენა მთლიანი რისკის შეფასებაზე. აგრეთვე, რისკის შეფასებაზე ანგარიშთა ნაშთებისა და ოპერაციათა კატეგორიის მიხედვით, დაგეგმოს და ჩაატაროს შესაბამისი კონტროლის ტესტები და ძირითადი პროცედურები, ხოლო თუ მათი შესრულება მის შესაძლებლობებს აღემატება, უნდა მოიწვიოს გარეშე პირი და გამოიყენოს მის მიერ მოპოვებული მასალები იმ მოთხოვნების გათვალისწინებით, რასაც ასს №620 „ექსპერტის მიერ შესრულებული სამუშაოს გამოყენება" მოითხოვს.

სტანდარტში დაგეგმვა, რისკის შეფასება და აუდიტორიული პროცედურები – განხილულია ასს №400 „რისკის შეფასება და შიდა კონტროლი" მოთხოვნების გათვალისწინებით და ერთობლიობაში, რადგან რისკები და კონტროლის მეთოდები გაელენას ახდენენ რისკის აუდიტორიულ შეფასებაზე, პროცედურების ხასიათზე, ვადებსა და მოცულობაზე. ამასთან ერთად, აუდიტორმა უნდა გაითვალისწინოს ა.კ.გ. აუდიტის პროცედურების დაგეგმვისას, რაც საშუალებას მისცემს მას შეამციროს აუდიტორიული რისკი დაბალ დონემდე. ამასთან ერთად, სტანდარტი არ ზღუდავს აუდიტორებს, პროცედურების განსაზღვრას. მას საკმარისი მტკიცებულებების მოსაპოვებლად შეუძლია გამოიყენოს ის პროცედურები, რომელიც მიღებულია წეეულებრივ, აუდიტის დროს ან ორივე ერთად.

ასს №402 „აუდიტორული მოსაზრებები სამეურნეო სუბიექტის მიერ მომსახურე ორგანიზაციების გამოყენებაზე"

სტანდარტით განისაზღვრება სავალდებულო ნორმები და სახელმძღვანელო მითითებები იმ აუდიტორებისათვის, რომლის დამკვეთიც იყენებს სხვა ორგანიზაციების მომსახურეობას ამა თუ იმ სფეროში დასახმარებლად.

სტანდარტი ავალდებულებს აუდიტორებს, რომ მათ დაგეგმვის სტადიაზე განსაზღვრონ, იყენებს თუ არა დამკვეთი სხვა ორგანიზაციის მომსახურებას რომელიმე სფეროში და თუ იყენებს, რა გაელენას ახდენს ეს დამკვეთის ბუღალტრული აღრიცხვისა და შიდა კონტროლის სისტემაზე, რათა შესაბამისად დაგეგმონ აუდიტი

და შეიმუშაონ აუდიტის ეფექტური მიდგომა. ამგვარად, აუდიტორს ესაჭიროება გაწეული მომსახურეობის პირობების შეფასებაც - ეს ინფორმაცია აუცილებელია იმისათვის, რომ აუდიტორმა შეაფასოს აუდიტორული რისკი და ამ მომსახურეობის გაელენა მის აუდიტორიულ პრეცედურებზე. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ ასეთ შემთხვევაშიც აუდიტორს მაინც ესაჭიროება საკმარისი, შესაფერისი და სარწმუნო მტკიცებულებების შეკრება. მეორეს მხრივ, სხვა ორგანიზაციის მომსახურეობის გამოყენება არ ამცირებს ხელმძღვანელების პასუხისმგებლობას-დამაკმაყოფილებლად წარმართონ სამეურნეო სუბიექტის საქმიანობა.

აუდიტორმა უნდა განსაზღვროს, რა გაელენას ახდენს აუდიტისათვის შესაფერისი საქმიანობა მის მიერ შეფასებულ თანდაყოლილ რისკზე, აგრეთვე დამკვეთის კონტროლის გარემოზე.

სტანდარტი განსაზღვრავს თანდაყოლილ რისკს, რომელიც გაელენას ახდენს აუდიტორისეულ შეფასებაზე, კერძოდ,

- მომსახურე ორგანიზაციის მიერ დამკვეთისათვის გაწეული მომსახურეობის ხასიათი;
- მომსახურე ორგანიზაციაზე დელეგირებული უფლებამოსილების ხარისხი;
- ღონისძიებები, რომლებიც ტარდება მომსახურე ორგანიზაციის მიერ გაწეული მომსახურეობის ხარისხის უზრუნველსაყოფად;

შედის თუ არა საქმიანობაში ისეთი აქტივები, რომელთაც მიდრეკილება აქვთ დაკარგვის ან უკანონო მითვისებისადმი;

- იმ პირთა პატიოსნება, რომელთაც პასუხისმგებლობა აკისრიათ მომსახურე ორგანიზაციის მართვასა და ხელმძღვანელობაზე;
- მომსახურე ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობა.

თუ აუდიტორი გადაწყვეტს, რომ შესაძლებელია დამკვეთის კონტროლის პროცედურებზე დაყრდნობა და შესაბამისად, ძირითად ტესტირების მოცულობის შემცირება, მან საფუძვლიანად უნდა შეაფასოს კონტროლის რისკი.

აუდიტორმა ასევე უნდა განიხილოს, შესაძლებელია თუ არა მომსახურე ორგანიზაციის ჩანაწერებიდან (დოკუმენტაციიდან) საკმარისი, შესაფერისი და სარწმუნო მტკიცებულებების მოპოვება და განსაზღვროს, რა პროცედურები უნდა ჩაატარონ აუდიტისათვის საჭირო მტკიცებულებების შესაკრებად. სტანდარტი უფლებას აძლევს აუდიტორს, მტკიცებულებების ერთ-ერთ წყაროდ გამოიყენოს მომსახურე ორგანიზაციის აუდიტორული დასკვნა (თუ ასეთი არსებობს). მაგრამ ამაზე დროს ეალდებულებს აუდიტორს, რომ გაითვალისწინოს ამ დასკვნის ხასიათი და შინაარსი, აგრეთვე, მომსახურე ორგანიზაციის გარე აუდიტორების მიერ შესრულებული სამუშაო და შეაფასოს აუდიტორული დასკვნის სარგებლიანობა და შესაფერისობა. თუმცა სტანდარტი მოითხოვს, რომ აუდიტორმა თავის აუდიტორულ დასკვნაში არ მოიხსენიოს ის ფაქტი, რომ მან აუდიტის პროცესში გამოიყენა მომსახურე ორგანიზაციის გარე აუდიტორების აუდიტორიული დასკვნა.

სახელმძღვანელოში მოყვანილია აუდიტის საერთაშორისო პრაქტიკის დებულებების (1000-1100) მოკლე მიმოხილვა

ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის აუდიტის საერთაშორისო პრაქტიკის კომიტეტი (2001 წლიდან ეწოდება აუდიტისა და მარწმუნებელი საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო - IAASB) გამოსცემს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს (სსს – ISAS) და დაყოფილთაოდ აღიარებულ პრაქტიკასა და მასთან დაკავშირებულ მომსახურებაზე დებულებებს – (აუდიტის საერთაშორისო პრაქტიკის დებულებები ასჰდ - -IAPS). ეს სტანდარტები, დებულებები გამიზნულია მთელ მსოფლიოში აუდიტური პრაქტიკისა და მასთან დაკავშირებული მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად, აუდიტორისათვის პრაქტიკული დახმარების გასაღწევად. ასჰდ-ს მიზანია აუდიტორთა უზრუნველყოფა დამატებითი მითითებებით, აღნიშნული სტანდარტების გავრცობითა და განმარტებებით დაეხმაროს აუდიტორებს აუდიტის ჩატარებისას, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ დებულებაში მოცემული პროცედურებისა და პრაქტიკული მეთოდების ჩამონათვალი მთლიანად, ამომწურავად ასახავდეს იმ პროცესებსა და პროცედურებს, რაც აუდიტის დროს გამოიყენება. ამასთან ერთად, ეს დებულებები არ არის განკუთვნილი იმისათვის, რომ სარგებლობდეს სსს-ის უფლებამოსილებით.

ასჰდ № 1000 „ბანკთაშორისი დასტურის პროცედურები“

ასპდ მომზადებული და დამტკიცებულია IFAC – აუდიტის საერთაშორისო პრაქტიკის კომიტეტის, ათი ძირითადი ინდუსტრიული ქვეყნის -შვეიცარიის საბანკო საქმიანობის რეგულირებისა და საზედამხედველო კომიტეტის მიერ. დებულების მიზანია პრაქტიკული დახმარება გაუწიოს როგორც გარე, ისე შიდა აუდიტორებს ბანკთაშორისი დასტურის მიღების პროცედურებში, თუმცა მას არ აქვს ასს-ს უფლებამოსილება.

ასპდ-ში განიხილება აუდიტორის ქმედებების თავისებურებანი იმ პროცედურებთან დაკავშირებით, რომლებიც ეფუძნება სხვა ბანკებიდან ბუღალტრულ ბალანსში ნაჩვენებ ნაშთებს და სხვა თანხებს პირდაპირი დასტურის მისაღებად, ასევე იმ პროცედურებს, რომლებიც მოითხოვენ სხვა ინფორმაციას ბალანსის გარეშე მუხლების მონაცემების დადასტურების მიღებას. სტანდარტის მოთხოვნაა, რომ აუდიტორი ეცადოს ასეთი დასტურის მიღებას პირადად, პირდაპირ, დამოუკიდებელი წყაროებიდან, რადგან იგი უფრო სარწმუნოა, ვიდრე ბანკის დოკუმენტაციიდან არის მიღებული.

ამასთან ერთად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ ეს პროცედურები სხვადასხვა ქვეყნებში შეიძლება განსხვავებული იყოს, მაგრამ აღნიშნულის გამო აუდიტორი ვალდებულია ამ პროცედურების განხორციელებისას გამოიყენოს ადგილობრივი პრაქტიკის მეთოდებიც. მართალია, დებულება არ ითვალისწინებს აუდიტორული პროცედურების ყველა საკითხის ამომწურავ აღწერას, მაგრამ მასში აქცენტი გადატანილია ზოგიერთ მნიშვნელოვან ქმედებაზე, რომელიც აუდიტორმა უნდა განახორციელოს დასტურის მოთხოვნის მისაღებად.

სტანდარტში დეტალურად არის განხილული ის ძირითადი დამახასიათებელი თავისებურებები, რომელიც კერძო პირებთან ან საფინანსო დაწესებულებების საქმიან ურთიერთობებთან არის დაკავშირებული და ის მიზნები, რა დანიშნულებითაც უნდა იყოს გამოყენებული ეს ინფორმაცია. ამასთან ერთად, სტანდარტი განსაზღვრავს მოთხოვნების (ინფორმაციის მიღების) მომზადების, გაგზავნისა და პასუხის მიღების ფორმებსა და პროცედურებს, აგრეთვე დასტურის მოთხოვნების შინაარსს, რასაც ემსახურება ეს მოთხოვნა.

სტანდარტში განხილულია მოთხოვნილი ინფორმაციის სახეობები, რომლებიც უფრო ხშირად სჭირდება აუდიტორს, აგრეთვე სხვა კატეგორიის ინფორმაციები, რაზეც დამოუკიდებელი დასტური არის საჭირო. სტანდარტს დანართის სახით აქვს გლოსარი, სადაც განმარტებულია სტანდარტში გამოყენებული ტერმინების ის ცნებები, რომლებიც გამოიყენება ბანკთაშორისო დასტურის მოთხოვნებში, თუმცა იგი არ არის გაიზიარებული იმისათვის, რომ მოიცვას ყველა ის ცნება, რომლებიც გამოიყენება ბანკთაშორისო დასტურის მოთხოვნებისას.

ასპდ № 1001 "კომპიუტერული საინფორმაციო სისტემების (კსს) გარემო – განსაკუთრებული მიკროკომპიუტერები"

აღნიშნული ასპდ ერთ-ერთი იმ დებულებათაგანია, რომელიც გამიზნულია იმისათვის, რომ დაეხმაროს აუდიტორს ასს და ასპ დებულებების განხორციელებაში სხვადასხვა სახის კომპიუტერული საინფორმაციო სისტემების საშუალებით, აგრეთვე აღნიშნული სისტემების ზემოქმედების აღწერით ბუღალტრული აღრიცხვის სისტემაზე, მასთან დაკავშირებული შიდა კონტროლის და აუდიტორულ პროცედურებზე.

აუდიტორი უნდა იცნობდეს და ითვალისწინებდეს კსს გარემოს მახასიათებლებს, რადგან ისინი გავლენას ახდენენ ბუღალტრული აღრიცხვისა და შესაბამისი შიდა კონტროლის მეთოდების შერჩევაზე, აუდიტორული პროცედურების ხასიათზე, ვადებსა და მოცულობაზე. ასპდ № 1001 ამასთანავე ავსებენ ასს №400 „რისკის შეფასება და შიდა კონტროლი" – და ასპდ № 1008 „რისკის შეფასება და შიდა კონტროლი" – კსს მახასიათებლები და მათი განხილვა" მოთხოვნათა განხორციელებაში ისეთი მიკროკომპიუტერული სისტემის აღწერით, რომლებიც გამოიყენება როგორც დამოუკიდებელი კომპიუტერიზებული სამუშაო ადგილები.

სტანდარტში დეტალურადაა განხილული მიკროკომპიუტერების (პერსონალური კომპიუტერების) გამოყენებით ბუღალტრული აღრიცხვის ოპერაციების კონფიგურაცია და განსაზღვრულია აუდიტის ქმედებები იმ დროს, როდესაც დამკვეთმა საბუღალტრო აღრიცხვის წარმოებისას გამოიყენა საინფორმაციო სისტემების აღნიშნული სახეობა. სტანდარტში ცალ-ცალკეა განხილული „მიკროკომპიუტერების მახასიათებლები", „შიდა კონტროლი მიკროკომპიუტერულ გარემოში", „ხელმძღვანელობის

უფლებამოსილება მოკროკომპიუტერების ფუნქციონირებაზე", „ფიზიკური უსაფრთხო მოწყობილებები", „ფიზიკური უსაფრთხოება სტაციონარული და არასტაციონარული დამამახსოვრებელი საშუალებებით", „პროგრამები და მონაცემების უსაფრთხოება", „პროგრამული უზრუნველყოფისა და მონაცემთა მთლიანობა", ამასთანავე, გაინხილება ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ბუღალტრული აღრიცხვის სისტემისა და მასთან დაკავშირებულ შიდა კონტროლზე და მათი გავლენა აუდიტორულ პროცედურებზე. სტანდარტში ასევე განხილულია მიკროკომპიუტერების გამოყენების სხვადასხვა კონფიგურაციების გამოყენების შემთხვევისას მათი გამოყენების მეთოდები.

ასდკ № 1002 „კსს გარემო– ოპერატიულ რეჟიმში მომუშავე კომპიუტერული სისტემები

ასკდ №1002 როგორც ასკდ № 1001 მიზანია ასს №400-ის შევსება და იგი წარმოადგენს ასკდ №1002 -ის შემადგენელ ნაწილს რომლის მიზანია დაეხმაროს აუდიტორს განახორციელოს ასს და ასკდ მოთხოვნები სხვადასხვა სახის კომპიუტერული საინფორმაციო სისტემების ფუნქციონირებისას. ასკდ-ში აღწერილია ოპერატიულ რეჟიმში მომუშავე კომპიუტერული სისტემის გავლენა ბუღალტრული აღრიცხვის სისტემაზე, მასთან დაკავშირებულშიდა კონტროლისა და აუდიტორულ პროცედურებზე, რადგან ოპერატიულ რეჟიმში მომუშავე კომპიუტერული სისტემები მომხმარებელს ერთდროულად სხვადასხვა ფუნქციების განხორციელების საშუალებას აძლევს. სტანდარტში განხილულია თითოეული იმ ფუნქციის არსი და მნიშვნელობა, მათი ოპერატიულ რეჟიმში მუშაობის ტემპები და კომპიუტერული სისტემის მახასიათებლები.

დაწვრილებითაა განხილული შიდა კონტროლის ოპრაციები ოპერატიულ რეჟიმში მომუშავე კომპიუტერულ სისტემებში და მისი გავლენა ბუღალტრული აღრიცხვის სისტემებისა და მასთან დაკავშირებულ კონტროლზე. სტანდარტის მოთხოვნაა, რომ აუდიტორმა ასეთი რეჟიმის სისტემისას აუდიტის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მის გავლენას აუდიტორულ პროცედურებზე და ჩამოთვლილია ის ოპერაციები, რომლებიც დამახასიათებელია კსს რეჟიმში მომუშავე კომპიუტერული სისტემებისათვის. ასკდ № 1002 აუდიტის პროცესში გამოყენებით განისაზღვრება აუდიტორების ქმედებები იმ ოპერაციების აუდიტისათვის, რომლებიც კსს-სისტემის მუშეეობით გამოყენებულია საბუღალტრო ანგარიშების წარმოებისას.

ასკდ № 1003 „კსს გარემო – მონაცემთა ბაზის სისტემები"

ეს დებულება ერთ-ერთი იმ დებულებათაგანია, რომელიც გამიზნულია იმისათვის, რომ დაეხმაროს აუდიტორს ასს და ასკდ განხორციელებაში სხვადასხვა სახის კომპიუტერული საინფორმაციო გარემოს გზით. ამასთან ერთად დაეხმაროს აუდიტორს ასს №400 და ასკდ № 1000 გათვალისწინებული პროცედურების განხორციელებაში. მოცემულ ასკდ-ში განსაზღვრულია აუდიტორის ქმედებები დამკეეთთან აუდიტის ჩატარებისას იმ დროს, როდესაც იგი სარგებლობს მონაცემთა ბაზის სისტემით. სტანდარტში მოცემულია მონაცემთა ბაზის მქონე სისტემის კომპონენტების, მონაცემთა ბაზისა და მონაცემთა ბაზის მართვის სისტემის განსაზღვრებები და მათი ურთიერთქმედებები მთლიანი კომპიუტერული სისტემების სხვა ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფის ასპექტებთან.

სტანდარტი შეიცავს რეკომენდაციებს პროგრამული უზრუნველყოფისა და შესამოწმებელი მონაცემებისას, განხილულია კსს – გამოყენების ძირითადი ეტაპები და შესაძლო შემთხვევები, ფაქტორები, რომლებიც მხედველობაში უნდა მიიღოს აუდიტორმა მისი გამოყენების გადაწყვეტისას. ამავე დროს მან ყურადღება უნდა მიაქციოს, რომ ხშირ შემთხვევაში მონაცემთა ბაზის მქონე სისტემების მახასიათებლები შეიძლება უფრო ეფექტური იყოს აუდიტორისათვის, რათა წინასწარ შეასრულოს ახალი ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამების განხილება და არა კომპიუტერში მათი ჩატვირთვის შემდეგ.

პროგრამების ამგვარი წინასწარი განხილვა აუდიტორს მისცემს საშუალებას საჭიროებისამებრ მოითხოვოს დამატებითი ფუნქციები, როგორიცაა აუდიტორული რეჟიმის ან კონტროლის ჩართვა პროგრამის კონსტრუქციაში აუდიტორმა უნდა გაითვალისწინოს რომ მონაცემთა ბაზის სისტემები, როგორც წესი, მონაცემთა საიმედოობის უფრო დიდ შესაძლებლობას უზრუნველყოფს, ვიდრე ისეთი სისტემა, სადაც არ არსებობს მონაცემთა ბაზა. სტანდარტში დაწვრილებითაა განხილული

მონაცემთა ბაზის გაელენა შიდა კონტროლის გარემოში და სხვა სახის როგორც პროცედურები, რომლებიც ახასიათებს მონაცემთა სისტემის გარემოს.

ასპდ 3 1004 „ბანკის ზედამხედველობისა და გარე აუდიტორების ურთიერთობა“

დებულების მიზანია უზრუნველყოს ინფორმაცია და მითითებები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს გარე აუდიტორებისა და ბანკის ზედამხედველობის ურთიერთობები ურთიერთსარგებლობის მიზნით, რამაც საბოლოო ჯამში ხელი შეუწყოს ამ ორი პროფესიის შესაბამისი ფუნქციების ურთიერთგაგების გაღრმავებასა და საჭიროების შემთხვევაში მეტი საკომუნიკაციო გზების გამონახვას. როგორც აუდიტის პრაქტიკა ცხადყოფს, მრავალ საკითხში ბანკის ზედამხედველები და გარე აუდიტორები ერთი და იმავე სირთულეების წინაშე დგებიან და მათი ფუნქციებიც ურთიერთშემავსებელ ფუნქციად მიიჩნევა. ზედამხედველები არამარტო ეყრდნობიან აუდიტორული მუშაობის შედეგებს, არამედ სულ უფრო მეტად მიმართავენ მათ საზედამხედველო მოვალეობის შესრულების ხელშეწყობისათვის, რათა მათზე დაკისრებული ამოცანები უფრო სრულყოფილად განახორციელონ. იმის გათვალისწინებით, რომ ბანკის საქმიანობის მოწესრიგებული გარემოს განხორციელებაზე პასუხისმგებელია სამი მხარე: პირველი – თვით ბანკის ხელმძღვანელობა, მეორე – გარე აუდიტორები და მესამე – საზედამხედველო სამსახურები. დებულება იძლევა რეკომენდაციებს, თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული თითოეული მხარის მიერ იგი, რათა უფრო შედეგიანი გახდეს თითოეული მხარის შესასრულებელი სამუშაო. სწორედ ამ მიზნის განსახორციელებლად დებულება განსაზღვრავს ბანკის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობას, ბანკის ზედამხედველების და გარე აუდიტორის ფუნქციების ძირითად თავისებურებებს, იმ მოთხოვნების გათვალისწინებით, თუ რამდენად ემთხვევა ზედამხედველებისა და აუდიტორის ურთიერთობა და ამასთან ერთად იძლევა რეკომენდაციებს ზედამხედველებსა და აუდიტორს შორის ეფექტური კოორდინაციის მექანიზმის შემუშავებისათვის, მათი განსხვავებული დამოუკიდებელი ამოცანების განსახორციელებლად. დებულებაში დეტალურად არის განხილული ბანკის გარეაუდიტორების ფუნქცია, საზედამხედველო ფუნქციაში აუდიტორის ფუნქციების გაფართოების საჯარაუდო კრიტერიუმები, მიმართულებები, სადაც შესაძლებელია აუდიტის ფუნქციების გაფართოება და საზედამხედველო სამსახურებისა და აუდიტორს შორის მუდმივი დიალოგის აუცილებლობა.

ასპდ № 1005 “ცალკეული მოსაზრებები მცირე საწარმოთა აუდიტზე”

ასპდ განკუთვნილია ნებისმიერი სამეურნეო სუბიექტის ფინანსური ინფორმაციის აუდიტისათვის, მიუხედავად მათი სიდიდისა, თუმცა მცირე საწარმოებს ხშირად ისეთი მახასიათებლები აქვთ, რომ აუდიტორი იძულებულია შეცვალოს თავისი ჩვეული აუდიტორული მიდგომა. ასეთი საწარმოებისათვის დამახასიათებელია მოვალეობის შეზღუდული დანაწილება ან უფროსი რანგის ხელმძღვანელის ან მესაკუთრის წამყვანი როლი საქმიანობის ყველა ძირითად ასპექტში.

სტანდარტში აღწერილია მცირე საწარმოსათვის დამახასიათებელი საერთო ხასიათის თავისებურებები და ნაჩვენებია როგორი გაელენის მოხდენა შეუძლიათ მათ ასს გამოყენებაზე ანუ ასპდ-ს მიზანია პრაქტიკული დახმარება გააუწიოს აუდიტორებს ასს გამოყენებაში მცირე საწარმოს აუდიტის დროს. სტანდარტი მოიცავს: მცირე საწარმოთა თავისებურებების განხილვას, სახელმძღვანელო მითითებებს ასს გამოყენებაზე მცირე საწარმოს აუდიტში. იმის გამო, რომ მცირე საწარმოს თავისებურებები გაელენას ახდენენ ფინანსური ანგარიშების აუდიტის ჩატარების მიდგომაზე ასპდ –ში განხილულია საკითხები, რომლებიც უნდა გაითვალისწინოს აუდიტორმა მცირე საწარმოს ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დროს. მცირე საწარმოების აუდიტური დასკვნა ძირითადად ეუწყნება ასს №700 „„აუდიტორის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე“ მოთხოვნებს. ასპდ-ს დანართის სახით თან ერთვის აუდიტის პირობითი დასკვნის ნიმუში, როდესაც ბუღალტრული ჩანაწერების სისრულე არ არის დადასტურებული, თუმცა ასეთი აუდიტის მასშტაბების შეზრუდვა ხელს არ უშლის აუდიტორული დასკვნის გაცემას და მეორე დანართი აუდიტორის დასკვნის ნიმუშის სახით, როდესაც აუდიტორი უარს აცხადებს ფინანსური ანგარიშგების შესახებ აზრის გამოთქმაზე, რადგან ბუღალტრული ჩანაწერების სისრულე არ არის დასაბუთებული. რის გამოც აუდიტის მასშტაბები არ არის დასაბუთებული, რის გა-

მოც აუდიტის მასშტაბები შეზღუდულია, რაც იმდენად მნიშვნელოვანია, რომ აუდიტორს არ შეუძლია თავისი მოსაზრება გამოთქვას.

ასპდ № 1006 "საერთაშორისო კომერციული ბანკების აუდიტი"

ასპდ დეტალურად არის განხილული ბანკის მნიშვნელობა ქეყანაში ფინანსურ სტაბილურობასთან მიმართებაში, მისი პირველადი ფუნქციები, განსხვავებები სხვადასხვა კომერციულ საწარმოებთან და ის სპეციფიკური პროცესები, რომლებიც ბანკის აუდიტის ჩატარებას გააჩნია, ანუ ყველა ის ფუნქციები, რომლის განხორციელების შედეგად ბანკი უნდა იმსახურებდეს საზოგადოებისა და იმ მხარეების ნდობას, რომლებთანაც საქმიანი ურთიერთობა აქვთ. საბანკო აუდიტის ძირითადი მიზანია ასს-ზე დაყრდნობით იმ დასკვნის მომზადება, რომელიც წარდგენილი უნდა იყოს ბანკის წლიურ ანგარიშგებაზე და მომზადებული ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების ან შესაბამისი ეროვნული სტანდარტების მიხედვით ბანკებისათვის მიღებულ ჩარჩოებში. სწორედ ამ მოთხოვნების გათვალისწინებით ასპდ დებულება აგებულია ბანკის აუდიტის სხვადასხვა სტადიების შესახებ მსჯელობაზე, სადაც ყურადღება გამახვილებულია ისეთ საკითხებზე, რომელიც დამახასიათებელია ან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მხოლოდ ბანკის აუდიტისათვის.

ასპდ-ში დაწერილები არის გადმოცემული მოთხოვნები, რომელიც საერთაშორისო ბანკების აუდიტს წარედგინება. აუდიტის მიზნებისა და პროცესების აღწერა, აუდიტორული დავალების პირობების განსაზღვრა, სამუშაოს დაგეგმვა, შიდა კონტროლის შესწავლა, არსებითი აუდიტორული პროცედურების შესრულების წესი და მოთხოვნები აუდიტორის შემაჯამებელი დოკუმენტების მოსამზადებლად. ამ პროცესების უკეთ აღქმის მიზნით და თვალსაჩინოებისათვის დებულებას ერთვის დანართი, სადაც განხილულია:

პირველი – შიდა კონტროლის ტიპიური პროცედურები, რომლებიც საყარაულოდ უნდა არსებობდეს ბანკის საქმიანობის სამ ძირითად სფეროში, როგორიცაა სესხის გაცემა, უცხოური ვალუტით ვაჭრობა და სატრასტო საქმიანობა;

მეორე – ფინანსური კოეფიციენტები, რომლებიც ჩვეულებრივ გამოიყენება ბანკის ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის ანალიზში.

მესამე – გაცემული სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვების შეფასების ძირითადი აუდიტორული პროცედურები. ბანკების აუდიტის პროცესში აუდიტორი გარდა აღნიშნული ასპდ-სა, ხელმძღვანელობს ასს-ს № 200 „ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მიზანი და ზოგადი პრინციპები", ასს-ს 210 „აუდიტის ჩატარების პირობები", ასს № 300 „დაგეგმება", ასს „საქმიანობის ცოდნა", ასს № 320 „აუდიტორული არსებითობა", ასს № 400 „რისკის შეფასება და შიდა კონტროლი", ასს № 580 „ხელმძღვანელობის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია" ასს №610 „შიდა აუდიტის სამუშაოს გათვალისწინება" და ასპდ № 1004 „ურთიერთობა ბანკის ზედამხედველებსა და გარე აუდიტორებს შორის". ასპდ-ში აღწერილია თითოეული ამ ასს-სა და ასპდ-ის პროცედურები, რომლებიც უნდა გამოიყენოს აუდიტორმა ბანკის აუდიტის დროს. ამ მიზნით ასპდ-ში ცალ-ცალკეა განხილული აუდიტის დაგეგმვა, შიდა კონტროლისადმი ნდობის ხარისხის დადგენა, ძირითადი პროცედურების ჩატარების წესები და მეთოდები და ფინანსურ ანგარიშგებაზე ანგარიშის წარდგენის წესები.

თუმცა ზემოთ ჩამოთვლილი სტანდარტებისაგან განსხვავებით, ასპდ-ში განხილულია ბანკის ოპერაციების კონკრეტული ძირითადი პროცედურების ხასიათის, ვადებისა და მოცულობების გათვალისწინებით და, რაც მთავარია, ახსნილი, კლასიფიცირებული და აღწერილია ფინანსური ანგარიშგების სათანადო სტრუქტურული საფუძვლების შესაბამისად.

ასპდ №1006 –ში სხვა ასს-სა და ასპდ-საგან განსხვავებით, დაწერილებით არის განსაზღვრული აუდიტის ამოცანები, რომლებიც ჩვეულებრივ ძალიან მნიშვნელოვანია ბანკის ფინანსური ანგარიშგების ტიპიური მუხლებისათვის და, რომლის გამოყენება შესაძლებელია იმ მუხლებთან მიმართებით, რომელიც შეარჩია აუდიტორმა შესამოწმებლად. ასპდ-ში ამ მიზნით ცალ-ცალკეა განხილული ისეთი ფინანსური ანგარიშების მუხლები და მისი სტატისტიკური და ფინანსური ინფორმაციის მოპოვების წყაროები, რომლის გამოყენებაც შეუძლია აუდიტორს, როგორც ტენდენციების, ასევე ჯგუფების ძირფესვიანი მიმოხილვის ჩასატარებლად. ასპდ-ში განხილულია ფინანსური ანგარიშგების მუხლების შემოწმებისას აუდიტის მიზნები, რათა დად-

გენილ იქნეს მისი არსებობა, უფლებები და ვალდებულებები,ასევე შეფასება, წარდგენა და ახსნა – განმარტება ისეთ მუხლებზე, როგორიცაა ძვირფასი ლითონები, ნაშთები სხვა ბანკებთან, ფულადი ბაზრის ფასიანი ქაღალდები, სავაჭრო ფასიანი ქაღალდები, სხვა ფინანსური აქციები, სესხები, დეპოზიტური ანგარიშები, გაუთვალისწინებელი და სახელშეკრულებო ვალდებულებები, საპროცენტო შემოსავალი დებულებები მოგების გადასახადებისათვის და სხვა.

ასპდ-ს ბოლოს განხილულია ანგარიშის წარდგენა ფინანსურ ანგარიშგებაზე, რომელიც ეფუძნება ასს № 700 „აუდიტორის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე". თუმცა აუდიტორმა ბანკის ფინანსური ანგარიშგების შესახებ თავისი მოსაზრების (დასკვნის) ფორმირებისას უნდა გაითვალისწინოს, რომ აუცილებელია სპეციალური ფორმატების, ტერმინოლოგიისა და ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების დაცვა, რაც დადგენილია კანონით, მარეგულირებელი ორგანოების, პროფესიული ორგანიზაციებისა და დარგში დამკვიდრებული პრაქტიკით. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ასპდ № 1006 ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის აუდიტის საერთაშორისო პრაქტიკის კომიტეტის მიერ გამოცემული სტანდარტებიდან ყველაზე დიდი მოცულობისაა და მასში თითქმის ყველა საკითხის განხილვის გარდა მოცემულია აუდიტის პროცესში განსახორციელებელი პროცედურების ტექნოლოგია, ახსნილია მისი მიზნები და ამოცანები და, რაც მთავარია, დამაჯერებლად არის გადმოცემული საბანკო სფეროში საქმარისი გამოცდილების არსებობა, რომელიც შესაფერისი იქნება ბანკის სამეურნეო საქმიანობის აუდიტისათვის.

ასპდ № 1007 „ურთიერთობა ხელმძღვანელობასთან"

ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დროს აუდიტორებისათვის აუცილებელია კონსტრუქციული სამუშაო ურთიერთობის დამყარება იმ ორგანიზაციის ხელმძღვანელობასთან, სადაც აუდიტი ტარდება, რათა კვალიფიციურად, ეფექტურად, და ყოველგვარი კომპლექსების გარეშე ჩატარდეს აუდიტი. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ასპდ №1007, რომლითაც განსაზღვრულია პრაქტიკული მითითებები ხელმძღვანელობასთან ურთიერთობისათვის. თუმცა ხელმძღვანელობასთან აუდიტორის ურთიერთობების ზოგიერთი ასპექტი განსაზღვრულია ასს და ასპდ-ით, აგრეთვე საკანონმდებლო და პროფესიული მოთხოვნები, როგორიცაა აუდიტორის ეთიკის კოდექსი, რომელშიც განსაზღვრულია აუდიტორის პროფესიული პასუხისმგებლობის პრინციპები. ასპდ განიხილება დამკვეთსა და აუდიტორს შორის გარიგების წერილის პრინციპები, რომელიც ძირითადად ასს № 210 „აუდიტის ჩატარების პირობებს" ეფუძნება. ასევე განიხილება ის მითითებები, რომელიც ხელმძღვანელობის მიერ უნდა წარდგენილი აუდიტორს, რითაც მან უნდა დაადასტუროს პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურულ საფუძვლებთან შესაბამისობაში. ასეთი ინფორმაცია ეყრდნობა იმ მოთხოვნებს, რომელსაც ასს № 580 „ხელმძღვანელობის მიერ წარდგენილი ოფიციალური ინფორმაცია" მოიცავს. ასპდ-ში დეტალურად არის განხილული როგორც აუდიტის მსვლელობისას აუდიტორებისა და ხელმძღვანელობის ურთიერთობის ძირითადი პრინციპები, ისე ის პროცედურები, რომლებიც უნდა ჩატარდეს აუდიტის დამთავრების შემდეგ. ცალკე განიხილება შიდა კონტროლის შესახებ ინფორმაციის მოპოვების ძირითადი პრინციპები და ის საკითხები, რომლებსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს აუდიტორმა. განხილულია ბუღალტრული აღრიცხვისა და შიდა კონტროლის სტრუქტურა და ამ სტრუქტურის ფუნქციონირების ის არსებითი ნაკლოვანებები, რომლებსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს შიდა კონტროლის განხორციელებისას. აუდიტორის ურთიერთობა ხელმძღვანელობასთან სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით არ გამორიცხავს იმასაც, რომ აუდიტორმა გაითვალისწინოს მათი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებასა და აუდიტზე.

ასპდ № 1008 „რისკის შეფასება და შიდა კონტროლი" –კომპიუტერული საინფორმაციო სისტემების (კსს) მახასიათებლები და მათი განხილვა

ასპდ №1008 გამიზნულია შს № 400-ის „რისკის შეფასება და შიდა კონტროლის" შეცვლებისათვის. იმასთან დაკავშირებით, რომ ნებისმიერ კსს გარემოში სამეურნეო სუბიექტი აყალიბებს ორგანიზაციულ სტრუქტურებს და პროცედურებს კსს პროცედურების მიმართ. აუდიტორმა უნდა იცოდეს და გაითვალისწინოს აუდიტის პროცესში კსს გარემოს მახასიათებლები, რადგან ისინი გარკვეულ გავლენას ახდენენ ბუღალტრული აღრიცხვისა და, შესაბამისად, შიდა კონტროლის მეთოდებზე, შიდა

კონტროლის მეთოდების შერჩევაზე, აგრეთვე აუდიტორულ პროცედურებზე, რომლებსაც უნდა დაეყრდნოს იგი აუდიტორული დასკვნის შედგენისას. დებულებაში განხილულია მონაცემთა დამუშავების პროცესები და ის პროცესები, როგორიცაა სისტემაში შესატანი დოკუმენტების არქონა, ოპერაციის ვიზუალური კვალის და შედეგების არქონა, მონაცემებისა და კომპიუტერული პროგრამებისადმი მიმართვის თავისუფლება. დაწვრილებით არის განხილული აღრიცხვისა და ანგარიშგების სისტემების და მასთან დაკავშირებული შიდა კონტროლის სისტემების შესწავლისა და შეფასების საკითხები მონაცემთა ელექტრონული დამუშავების დროს. აღწერილია მონაცემთა ელექტრონული დამუშავების პროცესის უფრო ხშირად გაერცელებული მახასიათებლები; მათ რიცხვში ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ მის ორგანიზაციასა და სტრუქტურაზე. აგრეთვე განხილება მონაცემთა დამუშავების ხასიათი და პროცედურები, რომლებიც შიდა კონტროლის აღრიცხვისა და ანგარიშგების სისტემაში გამოიყენება. განსაზღვრულია განსხვავებები და დადგენილია კავშირი მონაცემთა ელექტრონული დამუშავების პროცესის საერთო კონტროლის (რომელიც საერთო გავლენას ახდენს საკუთრივ პროცესებზე) და ამ პროცესის გამოყენების კონტროლს შორის (რომელიც გავლენას ახდენს აღრიცხვისა და ანგარიშგების მეთოდებზე), რადგან ცსს კონტროლი შესაძლოა ძლიერ გავლენას ახდენდეს სისტემაში ოპერაციების დამუშავების პროცესებზე.

ასპ № 1009 „აუდიტის ჩატარების მეთოდიკა კომპიუტერის მეშვეობით"

წარმოდგენილი დებულების მიზანია მითითებების უზრუნველყოფა კომპიუტერული აუდიტის მეთოდიკის გამოყენებაზე, რომელიც მოიცავს ისეთ მეთოდებს, სადაც ინსტრუმენტის სახით გამოიყენება კომპიუტერი. ეს დებულება ეხება ყველა სახის კომპიუტერული აუდიტის მეთოდიკას, რომელშიც მონაწილეობს ნებისმიერი ტიპის ან ზომის კომპიუტერი. სწორედ ამი გამო შეიძლება მიეჩინოთ სახელმძღვანელოდ აუდიტორისათვის აუდიტის კომპიუტერული მეთოდების გამოსაყენებლად, განსაკუთრებით, კომპიუტერული პროგრამებისა და ტესტებისათვის საჭირო მონაცემთა გამოყენების ნაწილში. განხილულია შემთხვევები, რომელთა დროსაც დაშვებულია კომპიუტერული ტექნიკის გამოყენება და ის ფაქტორები, რომელთა მხედველობაში მიღება აუცილებელია კომპიუტეერული მეთოდების მიზანშეწონილობის განსაზღვრის დროს. ასევე განხილულია სამუშაოს ძირითადი ეტაპები, რომლებიც ამ მეთოდების გამოყენებით სრულდება. ამის გარდა განიხილება კომპიუტერული მეთოდების გამოყენების თავისებურებანი მცირე საწარმოთა აუდიტის პირობებში. სტანდარტის მოთხოვნაა, რომ აუდიტორს უნდა გააჩნდეს სპეციალური ცოდნის დონე კამის სირთულესა და ხასიათზე. შესაბამისად, ზოგიერთ შემთხვევაში კამ-ის გამოყენებისატვის შეიძლება საჭირო იყოს ამ სფეროს გაცილებით ღრმა ცოდნის მქონე პირების მოწვევა.

როგორც ცნობილია, აუდიტორული საქმიანობა წარმოადგენს ფასიან მომსახურებას და იგი ხორციელდება ინდივიდუალური აუდიტორების ან აუდიტური ფირმების მიერ ხელშეკრულების საფუძველზე, რომლითაც რეგულირდება ურთიერთდამოკიდებულება აუდიტორ ფირმასა (აუდიტორს) და დამკვეთს შორის; ანუ, ხელშეკრულება გახდება ორი ან რამდენიმე პირის (იურიდიული ან ფიზიკური) შეთანხმების იურიდიული აღიარება გარკვეული მოქალაქეობრივი უფლებისა და ვალდებულებების განსაზღვრის, მათი შეცვლის და შეწყვეტის შესახებ. ამიტომ, როგორც აუდიტორი, ისე დამკვეთი (ეკონომიური სუბიექტი) აუცილებელია კარგად ერკვეოდეს და ეფექტურად იყენებდეს იმ სამართლებრივ წესებსა და ნორმებს, რომელიც არეგულირებს ხელშეკრულების მონაწილე მხარეების უფლება-მოვალეობებს, ვალდებულებათა იურიდიულ-სამართლებრივ ასპექტებს და ადამიანის ქცევას საბაზრო ურთიერთობების პირობებში.

აუდიტორულ საქმიანობაში გამოყენებული ხელშეკრულებები, ისე როგორც სხვა სფეროებში მოქმედი ხელშეკრულებები, მისი მონაწილე მხარეების ურთიერთშეთანხმებული ინტერესების გამომხატველი ოფიციალური იურიდიული დოკუმენტია, საიდანაც გამომდინარეობს სამართალურთიერთობათა ვალდებულებები და, ამასთან ერთად, წარმოადგენს სასავნლო-ფუნდი კავშირების რეგულირების ძირითად საშუალებას., განსაზღვრავს სამართალურთიერთობის შინაარსს მასში მონაწილეთა უფლებებსა და მოვალეობებს, აფიქსირებს – დამკვეთსა და შემსრულებელს. მას შემდეგ, რაც საქართველოში აუდიტორული მომსახურება აუდიტის საერთაშორისო

სტანდარტების მოთხოვნათა საფუძველზე ხორციელდება, არსებითად შეიცვალა ხელშეკრულების როგორც ფორმა, ისე სტრუქტურა და მისი საფუძველი გახდა დამკვეთის მიერ აუდიტორული ფორმისათვის (აუდიტორისათვის) გაგზავნილი წერილი-მოწვევა — ოფერტა და მის საფუძველზე აუდიტორის მიერ მომზადებული გარიგების წერილი, რომელშიც განსაზღვრულია დამკვეთთან მომავალი ურთიერთობის ძირითადი საკითხები. ფორმალურად, აუდიტორულ მომსახურებაზე გაფორმებული ხელშეკრულება გარდა აღნიშნული პრინციპებისა, არ განსხვავდება ჩვეულებრივი ხელშეკრულებისაგან, მაგრამ აუდიტორულ შემოწმებაზე გაფორმებულ ხელშეკრულებას აქვს არსებითი თავისებურება, კერძოდ, მესამე მხარის (საფინანსო ინფორმაციის მომხმარებელთა) ინტერესების გათვალისწინება. ეს კი ნიშნავს, რომ აუდიტორ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელ არა მარტო დამკვეთის, არამედ მესამე პირების (ინფორმაციის მომხმარებელ წინაშეც.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტი №210 „აუდიტის ჩატარების პირ ზუსტად არის განსაზღვრული დამკვეთთან აუდიტორულ მომსახურებაზე ხელ ლების გაფორმების ძირითადი თეზისები და წესები. ამ სტანდარტის შ ხელშეკრულების დადების საფუძველს წარმოადგენს დამკვეთისა და ა წერილობითი ინფორმაციები, კერძოდ, დამკვეთი აგზავნის წინადადებას ლების დადებაზე (ოფერტა), ხოლო აუდიტორი ოფერტის მიღებისას იღ დებას ხელშეკრულების დადებაზე (გარიგების წერილის შედგენით ან

თავი 15

შიდა აუდიტი

შიდა აუდიტი ჰგავს გარე აუდიტს და ამავე დროს მისგან განსხვავდება.ამ თავში შევისწავლით ამ განსხვავებებს და მოკლედ განვიხილავთ, რა როლი უჭირავს შიდა აუდიტს ორგანიზაციებში. გარე აუდიტის ჩატარების დროს,აუდიტორს ხშირად სჭირდება შიდა აუდიტორის მიერ შესრულებული სამუშაოს გამოყენება.ასს 610-„შიდა აუდიტის სამუშაოთა გათვალისწინება“ - სწორედ ამ ასპექტებს ეხება.შიდა აუდიტი მზარდი დარგია და ბევრი სიახლეა ამ სფეროში

მიზნები

ამ თავის შესწავლის შემდეგ შეგიძლიათ:

- ახსნათ შიდა აუდიტორის ფუნქციები,
- გაიგოთ, რა დონეზე შეუძლია გარე აუდიტორს შიდა აუდიტზე დაყრდნობა;
- გაიგოთ, რას წარმოადგენს ფინანსური, საოპერაციო, მმართველობითი და შესაბამისობის აუდიტი;
- გაიგოთ, რა არის ეფექტიანობა, ეკონომიურობა და მწარმოებლობა;
- შეაფასოთ, რა როლს თამაშობს შიდა აუდიტი კორპორაციული მართვის საქმეში და აუდიტის კომიტეტებთან მიმართებით.

„შიდა აუდიტი“ არის შეფასებითი საქმიანობა, რომელიც დაარსებულია ხელმძღვანელობის მიერ, როგორც ორგანიზაციის ერთ-ერთი სამსახური, ბუღალტრული აღრიცხვისა და შიდა კონტროლის სისტემების მიმოხილვის მიზნით. შიდა აუდიტი ახორციელებს ამ სისტემების მიმოხილვასა და მონიტორინგს და ხელმძღვანელობას აწვდის რეკომენდაციებს, მათი გაუმჯობესების შესახებ.

შიდა აუდიტის სხვა ფუნქციებია:

ა) საფინანსო და საოპერაციო ინფორმაციის შემოწმება და შეფასება. ეს არის პერმამენტული პროცესი და გარე აუდიტორის სამუშაოს ჰგავს;

ბ) სამეურნეო სუბიექტის ოპერაციების, მათ შორის არა საფინანსო კონტროლის პროცედურების ეკონომიურობის, მწარმოებლობისა და ეფექტიანობის მიმოხილვა;

გ) გარე კანონებთან და მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის მიმოხილვა;

დ) შიდა პოლიტიკის მიმოხილვა;

ე) სამეურნეო ოპერაციების უფლებამოსილების მიმოხილვა. ამგვარი მიმოხილვა შეიძლება ითვალისწინებდეს:

- ✓ იმის დადასტურებას, რომ სათანადო ნებართვა იყო გაცემული ორგანიზაციის აქტივების ყიდვისა და გაყიდვის თაობაზე, სათანადოდ არის ისინი დაცული და გამოიყენება მწარმოებლურად. შიდა აუდიტორი მარტო იმაში კი არ უნდა დარწმუნდეს, რომ აქტივების ყიდვა-გაყიდვა სათანადო ნებართვის საფუძველზე მოხდა, არამედ იმაშიც, რომ ეს აქტივები (რადგან ორგანიზაციის საკუთრებაა) სათანადოდ არის დაცული, მაგალითად, დაზღვევა, მარაგის უსაფრთხოების დაცვა. გარდა ამისა, უნდა დარწმუნდეს, რომ აქტივები ეფექტურად გამოიყენება, მაგალითად, იმგვარად, რომ საწარმოო ნარჩენები მინიმუმამდეა დაყვანილი, ხოლო ჯართი (ლითონის საწარმოო ნარჩენები) იყიდება ან ხელახლა ჩაირთვება საწარმოო ციკლში, როდესაც ეს შესაძლებელია;
- ✓ იმის დადასტურებას, რომ ხარჯები გაწეული იყო მხოლოდ ორგანიზაციის კანონიერი სამეურნეო ოპერაციებისათვის. შიდა აუდიტორმა უნდა იცოდეს ორგანიზაციის მიერ შესრულებული ყველა ტიპის ოპერაცია, რათა მაშინვე მიხვდეს, თუ აღებული ვალდებულება სამეურნეო ოპერაციის შესაფერისი არ არის. მან უნდა შეაფასოს ყველა ტიპის ინფორმაცია, მათ შორის დირექტორთა საბჭოს ოქმებიც, სადაც შეიძლება ნებართვა იყოს გაცემული არაორდინალურ ოპერაციებზე;

ვ) სპეციალური გამოკვლევების ჩატარებას, მათ შორის თაღლითობის გამოკვლევას;

ზ) რისკების შეფასებას.

1999 წელს შიდა აუდიტორთა ინსტიტუტმა დაამუშავა შიდა აუდიტის ახალი განმარტება, სადაც შიდა აუდიტის აქცენტი შეცვლილია და ყურადღება გადატანილია უფრო მეტ რისკზე დაფუძნებულ, ტიპურ საკონსულტაციო საქმიანობაზე და

აღიარებულია, რომ შიდა აუდიტი ყოველთვის არ არის ორგანიზაციის შიდა განყოფილება, არამედ შეიძლება იყოს გარე მომსახურე ორგანიზაციის მიერ შესრულებული საქმიანობა. შიდა აუდიტორთა ინსტიტუტის განმარტება მოიცავს შემდეგ ძირითად განმარტებებს:

- ეს არის დამოუკიდებელი, ობიექტური, სარწმუნო და საკონსულტაციო მომსახურება;
- მისი დანიშნულებაა, გაზარდოს ორგანიზაციის მიერ შექმნილი ღირებულება და გააუმჯობესოს მისი საქმიანობა;

და ეხმარება ორგანიზაციას თავისი მიზნების განხორციელებაში, სისტემური, მეცნიერული მიდგომის გამოყენებით რისკის მართვის, კონტროლისა და რეგულირების ეფექტიანობის შესაფასებლად და გასაუმჯობესებლად.

არსებითი განსხვავებები შიდა და გარე აუდიტორებს შორის

განსხვავება	შიდა აუდიტორი	გარე აუდიტორი
(1) სფერო	განსაზღვრავს ხელმძღვანელობა	განსაზღვრავს კანონმდებლობა
(2) მიდგომა	უნდა უზრუნველყოს გარანტია,რომ სისტემა ეფექტურია და მიაწოდოს ხელმძღვანელობას ზუსტი და არსებითი ინფორმაცია	დაწმუნდება, რომ აქციონერებისათვის წარსადგენი ფინანსური ანგარიშგება ასახავს უტყუარ და სამართლიან თვალსაზრისს
(3) პასუხისმგებლობა	ხელმძღვანელობის წინაშე	აქციონერთა წინაშე

გარე აუდიტორი და შიდა აუდიტზე დაყრდნობა ასს 610 „შიდა აუდიტის სამუშაოთა გათვალისწინება“.

ამ სტანდარტის ისტორიული ფონი განსაკუთრებით საინტერესოა, ვინაიდან მისი ინტერპრეტაცია სხვადასხვანაირად ხდება, ისე როგორც აღიქმება შიდა აუდიტი. დღეს შიდა აუდიტორები თავისი საქმიანობის ობიექტს აღარ მიიჩნევენ ბუღალტრის პროფესიის ერთ-ერთ დარგად, არამედ მიიჩნევენ მას თვითმყოფად მრავალდარგოვან სამსახურად. შიდა აუდიტორებს თაეიანთი სამუშაოს არეალი ძალიან ფართო ეჩვენება და მზად არიან შეასრულონ სხვა ფუნქციებიც იმის გარდა, რაც ტრადიციულად იყო დაკავშირებული გარე აუდიტორულ საქმიანობასთან.

სამართლიანი იქნება თუკი ეიტკენით, რომ გარე აუდიტორები შიდა აუდიტს არ მიიჩნევენ მყარი მოხმარების პროდუქტად და ბუნებრივია, უხალისოდ ეკიდებიან შიდა აუდიტის სამუშაოებზე დაყრდნობის საკითხს. თუმცა, უკანასკნელ პერიოდში მათ უკან დაიხიეს, ვინაიდან გარე აუდიტორები მოექცნენ ზოგიერთი დამკვეთი ორგანიზაციის ხელმძღვანელობის ზეწოლის ქვეშ, რათა გარე აუდიტორებმა ნდობა გამოუცხადონ შიდა აუდიტორების სამუშაოს.

ურთიერთთანამშრომლობა შიდა და გარე აუდიტორების მუშაობაში

იმ ფაქტის მიუხედავად, რომ შიდა და გარე აუდიტის მიზნები განსხვავებულია, ამ მიზნების მიღწევის გზები ხშირად მსგავსია და შიდა აუდიტის სამუშაოთა გამოყენება შესაძლებელია გარე აუდიტორული პროცედურების ხასიათის, ვადებისა და მოცულობის შესაცვლელად. ცხადია, გარე აუდიტორი რჩება მთლიანად პასუხისმგებელი აუდიტორულ მოსაზრებაზე, თუნდაც იმიტომ, რომ შიდა აუდიტორისათვის შეუძლებელია იმ დონის დამოუკიდებელობის მიღწევა რაც ესაჭიროება გარე აუდიტორს.

თანამედროვე პრაქტიკა ამ ორ განსხვავებულ პოზიციას შორის ხიდის როლს ასრულებს კერძოდ: ა) შიდა აუდიტის ზოგიერთი მიზანი შეიძლება გარე აუდიტის მიზნის მსგავსი იყოს და, ამდენად, პროცედურებიც შეიძლება იმის მსგავსი იყოს, რომელიც გარე აუდიტის დროს ტარდება;

ბ) შიდა აუდიტის გავრცელების ზოგიერთი არეალი და მიზანები ძალიან ფართოა და დამოკიდებულია იმ პასუხისმგებლობაზე, რომელსაც ხელმძღვანელობა დააკისრებს შიდა აუდიტის განყოფილებას, აგრეთვე საწარმოს სიდიდესა და სტრუქტურაზე, შიდა აუდიტორების კვალიფიკაციასა და გამოცდილებაზე.

გ) როდესაც შიდა აუდიტის სამუშაოზე დაყრდნობას აპირებს, გარე აუდიტორმა უნდა გაითვალისწინოს შიდა აუდიტის პროგრამა და შესაბამისად შეცვალოს თავისი სამუშაოს მოცულობა;

დ) გარე აუდიტორმა შეიძლება ხელმძღვანელობასთან შეათანხმოს, რომ შიდა აუდიტორებს შეუძლიათ მისთვის უშუალო დახმარების გაწევა გარკვეული პროცედურების ჩატარებით (მთავარი შიდა აუდიტორის ხელმძღვანელობით), რომელიც აუცილებელია გარე აუდიტის მიზნების მისაღწევად;

ე) გარე აუდიტორებისათვის უშუალო დახმარების გაწევამ, შიდა აუდიტის სამუშაოთა შენაცვლების გზით, შეიძლება გავლენა იქონიოს თვითონ შიდა აუდიტის სამუშაო პროგრამაზეც და გათვალისწინებული უნდა იყოს შიდა და გარე აუდიტის ერთობლივ გამოყენებასთან დაკავშირებული შესაბამისი დანახარჯების შეფასება.

შიდა აუდიტის შეფასება

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები მოითხოვს, რომ გარე აუდიტორებმა საკმარისად კარგად შეისწავლონ შიდა აუდიტის ფუნქციები, რაც მათ დაეხმარება აუდიტის დაგეგმასა და აუდიტის ჩატარების ეფექტური მიდგომის შემუშავებაში, ასევე იმის დადგენაში, შესაძლებელი და მიზანშეწონილი არის თუ არა შიდა აუდიტის სამუშაოებზე დაყრდნობა.

ნებისმიერ შემთხვევაში, ეს შეფასება გავლენას იქონიებს კონტროლის გარემოსა და აუდიტორული რისკის აუდიტორისეულ შეფასებაზე. გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორები:

ა) **შიდა აუდიტის ორგანიზაციული სტატუსი**

- შიდა აუდიტორს უნდა ჰქონდეს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან (ე. ი. დირექტორთა საბჭოსთან ან აუდიტის კომიტეტთან) კომუნიკაციის უფლება;
- აუდიტორი გათავისუფლებული უნდა იყოს ნებისმიერი ოპერატიული პასუხისმგებლობისაგან;
- უნდა შეეძლოს სრული კომუნიკაცია გარე აუდიტორთან;

ბ) შიდა აუდიტის ფუნქციების არეალი და მოქმედებს თუ არა ხელმძღვანელობა შიდა აუდიტის რეკომენდაციების გათვალისწინებით;

გ) შიდა აუდიტორების ტექნიკური კომპეტენცია; გამოცდილებისა და პროფესიული კვალიფიკაციის თვალსაზრისით – აქ შესაფერისია შიდა აუდიტორების დაქირავებისა და პრაქტიკული წვრთნის პოლიტიკა;

დ) სათანადო პროფესიული გულისხმიერება - საზოგადოდ, ჩანს თუ არა, რომ შიდა აუდიტის სამუშაო სათანადოდ არის დაგეგმილი, სათანადოდ ხორციელდება თუ არა ამ სამუშაოთა ზედამხედველობა, განხილვა და დოკუმენტური გაფორმება, რაც მტკიცდება სათანადო ინსტრუქციების, სამუშაო პროგრამებისა და სამუშაო დოკუმენტების არსებითობით.

გარე აუდიტორმა დოკუმენტურად უნდა გააფორმოს თავისი ზოგადი შეფასება და დასკვნები და ყოველ წელს განაახლოს თავისი შეფასებები. გარდა ამისა, მან ხელმძღვანელობას წერილობით უნდა აცნობოს შიდა აუდიტის ფუნქციებში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები, რაც მისთვის გახდა ცნობილი.

გარე აუდიტორმა შიდა აუდიტის გეგმები, შეძლებისდაგვარად, სწრაფად უნდა განიხილოს. როდესაც გარე აუდიტორი შიდა აუდიტის სამუშაოზე დაყრდნობას გადაწყვეტს, მიზანშეწონილია წინასწარ შეათანხმოს ამ სამუშაოთა მასშტაბები, ტესტების დონეები, შერჩევის მეთოდები, დოკუმენტაცია, მიმოხილვისა და საანგარიშგებო პროცედურები. აუდიტის მსვლელობისას, შიდა და გარე აუდიტორები რეგულარულად უნდა ხვდებოდნენ რათა ერთმანეთს ანგარიში ჩააბარონ ისეთ საკითხებზე, რომლებიც გავლენას იქონიებს თითოეული მათგანის სამუშაოზე.

შიდა აუდიტის სამუშაოთა შეფასება და ტესტირება

ქვემოთ განხილული რეკომენდაციები ეხება ისეთ სიტუაციებს, როდესაც გარე აუდიტორი გადაწყვეტს, რომ შესაძლებელია შიდა აუდიტის სამუშაოებზე დაყრდნობა.

(ა) განხილვა:

- ტესტირებისათვის გამიზნული სფეროების ან მუხლების არსებითობის, ასევე იმ ინფორმაციის, რომლის მოპოვებაც შესაძლებელია შიდა აუდიტიდან;
- ტესტირებისათვის გამიზნული სფეროებისათვის ან მუხლებისათვის, ან შიდა აუდიტიდან მოსაპოვებელი ინფორმაციისათვის დამახასიათებელი თანდაყოლილი აუდიტორული რისკის დონის;
- საჭირო განსჯის დონის;
- დამატებითი აუდიტორული მტკიცებულებების საკმარისობის;
- შიდა აუდიტის პერსონალის სპეციალიზებული კვალიფიკაციის.

ბ) შიდა აუდიტის სამუშაოებზე დაყრდნობის დაგეგმილი მოცულობის განსაზღვრა დაგეგმვის მემორანდუმში, ასევე ამ გადაწყვეტილების დასაბუთების დოკუმენტირება;

გ) შიდა აუდიტის სამუშაოების შეფასება და ტესტირება, რათა აუდიტორი დარწმუნდეს, რომ:

- შიდა აუდიტის სამუშაოები შეასრულა სათანადო ტექნიკური მომზადებისა და კვალიფიკაციის მქონე პერსონალმა და ასისტენტებმა, ხორციელდება სათანადო ზედამხედველობა;
- შეკრებილი იყო საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები გამოტანილი დასკვნების განსამტკიცებლად;
- გამოტანილი დასკვნები შესაფერისია და შიდა აუდიტის ანგარიშები შეესაბამება გამოტანილ დასკვნებს;

გამოვლენილი გადახრები ან არაორდინალური საკითხები გადაჭრილია. შეიძლება აუცილებელი გახდეს ზოგიერთ შიდა აუდიტორულ პროცედურაზე დაკვირვება, ასევე ზოგიერთი პროცედურის ხელახლა, დამოუკიდებლად ჩატარება. დოკუმენტებში სრულყოფილად უნდა აისახოს გარე აუდიტორის დაყრდნობის დონე შიდა აუდიტორის სამუშაოებზე

ფულის ღირებულება/საოპერაციო აუდიტი. განსხვავება ფინანსურ საოპერაციო და მმართველობით შიდა აუდიტს შორის

როდესაც საწარმო განსაზღვრავს შიდა აუდიტის განყოფილების მოვალეობებს, შესაძლებელია ფუნქციების დაყოფა სამ კატეგორიად: **ფინანსური, საოპერაციო** და **მმართველობითი**

ფინანსური შიდა აუდიტი მოიცავს ჩანაწერებისა და მტკიცებულებების შემოწმების საყოველთაოდ მიღებულ მიზნებს, რათა გამოვლინდეს შეცდომები და თავიდან იქნეს აცილებული თაღლითობა. მან უნდა მოიცვას შაბლონური ფინანსური და მმართველობითი ანგარიშების მიმოხილვა, რათა ამ მონაცემებიდან გამოავლინოს ტენდენციები და ამდენად განსაზღვროს ნორმებიდან მნიშვნელოვანი გადახრები.

საოპერაციო შიდა აუდიტი მოიცავს კონტროლის პროცედურების შემოწმებას და პრაქტიკულად სრულდება თუ არა ეს პროცედურები. ამგვარი შემოწმება მიზნად ისახავს ისეთი სფეროების გამოვლენას, რომლიც საჭიროებს მწარმოებლურობის გაუმჯობესებას ასევე შიდა კონტროლის ნაკლოვანებების გამოვლენას და შიდა შემოწმების ჩატარებას. ხელმძღვანელობამ თითოეულ მთავარ საოპერაციო სექტორში უნდა შეაფასოს შესაძლებლობები და რისკები. შემდეგ შიდა აუდიტორი განსაზღვრავს ამ სექტორებში საქმიანობების შედეგების ზრდის შესაძლებლობებს საოპერაციო ეკონომიურობის, მწარმოებლურობისა და ეფექტიანობის გაუმჯობესებით

მმართველობითი შიდა აუდიტი უკავშირდება ორგანიზაციის მართვის სტრუქტურისა და მენეჯერების მუშაობის (როგორც ცალ-ცალკე ასევე ჯგუფურად) მაჩვენებლების მიმოხილვასა და შეფასებას, იგი მოიცავს იმ გარემოს შეფასებას, სადაც ხორციელდება მართვის პროცესი, ასევე გარე მართვის შედეგების შეფასებას დადგენილ კრიტერიუმებთან მიმართებით.

ფულის ღირებულების აუდიტი

ფულის ღირებულება უკავშირდება მინიმალური რესურსების პირობებში სხვადასხვა სახის მომსახურების საუკეთესო კომბინაციის მიღებას.

ამ გაგებით ფულის ღირებულების შემოწმებას საფუძველი ჩაეყარა გაერთიანებულ სამეფოში, 1980-იანი წლების პირველ ნახევარში, ადგილობრივი ხელისუფლების სახელმწიფო სექტორში, როგორც დანახარჯების მოცულობაზე კონტროლის განხორციელების ორიენტირს. მისი მიზანი იყო იმაში დარწმუნება, რომ ფული რომელიც დაიხარჯა, ეფექტურად იყო დახარჯული. ამგვარი შემოწმების წარმატებამ განაპირობა ის ფაქტი, რომ მისი გამოყენება დაიწყეს ცენტრალურ სახელისუფლებო უწყებებში, ნაციონალიზებულ დარგებსა და კერძო სექტორში. კერძო სექტორში ამგვარ შემოწმებას ახორციელებს შიდა აუდიტორი, საოპერაციო აუდიტის ფარგლებში.

ამგვარად, ფულის ფულის ღირებულება არის სწრაფვა ეკონომიურობისაკენ, მწარმოებლურობისა და ეფექტიანობისაკენ. ფულის ღირებულება არის ამ სამი ელემენტის ერთიანობა, რაც მნიშვნელოვანია. ამგვარად, წარმოების ქვედანაყოფი შეიძლება წარმატებული იყოს საჭირო რაოდენობის საქონლის დროულად მიწოდების საქმეში. ამიტომ, მისი მუშაობა ეფექტურია. თუმცა, თუ არსებობს დიდი რაოდენობის საწარმო ნარჩენები, ეს იმაზე მეტყველებს, რომ ქვედანაყოფი ეკონომიურად არ მუშაობს. ამგვარად, შიდა აუდიტორმა წარმოების ქვედანაყოფს უნდა შესთავაზოს დანახარჯების შემცირების ისეთი კრიტერიუმი, საზომი, რომელიც დააკმაყოფილებს ეკონომიურობის მიზანს. მაგრამ, თუ წარმოების ქვედანაყოფი ვერ აწარმოებს საჭირო რაოდენობის პროდუქციას, ეს ცვლილება არ იქნება ეფექტური.

ეკონომიურობასა და ეფექტურობას შორის ბალანსი მიიღწევა მესამე ფაქტორის-მწარმოებლურობის მეშვეობით. შეუძლია აუდიტორს საწარმო პროცესში განსახორციელებელი ისეთი ცვლილებების შეთავაზება, რომ ეკონომიურობა გაუმჯობესდეს, ხოლო ეფექტიანობა მნიშვნელოვნად არ შეცირდეს. მწარმოებლურობის კრიტერიუმის შემოღება ამ შემთხვევაში შეიძლება იმას ნიშნავდეს, რომ მიღებული იქნება ასეთი გადაწყვეტილება–გარკვეული დანახარჯების ეკონომიიდან მიღებული სარგებელი აღემატება ზოგიერთი პროდუქციის საკონტროლო ციფრის შესრულებლობის დანახარჯებს.

შიდა აუდიტის ჩატარება გარე წყაროებით. ფუნქციების გადაცემა გარე მომსახურე ორგანიზაციაზე

დამკვეთის მომსახურებაში უკანასკნელი პერიოდის სიახლეა შიდა აუდიტის ფუნქციების გადაცემა პროფესიონალ ბუღალტერთა ფირმებზე. ამჟამად, ბევრი ფირმა ამგვარ მომსახურებას უწევს დამკვეთებს და ბევრი მათგანი ამბობს, რომ მათი პრაქტიკის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ამ ტიპის მომსახურებაზე მოდის. როდესაც ფირმა დამკვეთს ზემოაღნიშნულ მომსახურებას უწევს, მათი ფართო გამოცდილება ბევრი სხვადასხვა საწარმოს სისტემებისა და პროცედურების ცოდნის სფეროში დამკვეთის დამატებით სარგებელს აძლევს.

გარე წყაროებით ჩატარებული შიდა აუდიტის უპირატესობები

- პროფესიონალი ფირმები უფრო მეტად არიან დამოკიდებულები, ვიდრე ტრადიციული შიდა აუდიტის განყოფილების პერსონალი;
- პროფესიონალ ფირმას უფრო მეტი საშუალება აქვს, რომ ჰყავდეს მაღალკვალიფიციური პერსონალი;
- პროფესიონალი ფირმის დაქირავება შეიძლება მუდმივად, ან ნებისმიერ დროს, როდესაც ამის საჭიროება იქნება, ხოლო ტრადიციული შიდა აუდიტის განყოფილების ადვილად გაფართოება ან შექმნა შეუძლებელია;
- პრაქტიკული წერთნის საკითხები სპეციალისტების ხელშია;
- პროფესიონალი ფირმა პასუხისმგებელია თავის საქმიანობაზე. შესაძლებელია მის წინააღმდეგ საქმის აღძრა და დაზღვევის მიღება;
- პროფესიონალ ფირმას აქვს იგივე ეთიკის სტანდარტები, რომელიც მის პროფესიულ ორგანიზაციას გააჩნია;
- შეუძლებელია, რომ პროფესიონალ ფირმაზე გაელენა მოახდინოს ხელმძღვანელობამ;
- პროფესიონალი ფირმის მოქნილობა და გამოცდილება შეიძლება უფრო ეფექტური იყოს დანახარჯების თვალსაზრისით.

გარე წყაროებით ჩატარებული შიდა აუდიტის ნაკლოვანებები

- პროფესიონალ ფირმას შეიძლება არ ჰქონდეს ისეთი პირადული ცოდნა და კონტაქტები, როგორიც სამეურნეო სუბიექტის თანამშრომლებს ექნებათ;
- პროფესიონალი ფირმა შეიძლება დაემორჩილოს თავის კონტრაქტს, მაგრამ შეუძლებელი იქნება მისთვის ინსტრუქციების მიცემა ზუსტად ისეთივე გზით, როგორც თანამშრომელთათვის;
- პროფესიული საზღაური უფრო მეტი იქნება.

შიდა და გარე აუდიტორების მიერ შესრულებული სამუშაო მსგავსია (თუმცა, როგორც ვნახეთ, მათი სამუშაოს გავრცელების არეალი და მიზნები მნიშვნელოვნად განსხვავებულია) და ამდენად, შეიძლება სასარგებლო იყოს პროფესიონალი ფირმის დაქირავება როგორც შიდა ასევე გარე აუდიტისათვის.

შიდა აუდიტის პროფესიის განვითარება

თანდათან შიდა აუდიტი გადაიქცა ისეთ პროფესიად, რომელიც განსხვავდება გარე აუდიტისგან, თუმცა ფაქტობრივად, ორივე ბუღალტრული აღრიცხვის დარგებია. უკანასკნელ წლებში მრავალმა ფაქტორმა შეუწყო ხელი შიდა აუდიტის პროფესიის სწრაფ განვითარებას. ეს ფაქტორებია:

- საწარმოთა სიდიდის ზრდა შერწყმისა და შთანთქმის შედეგად;
- გლობალიზაცია და ამით განპირობებული თვალყურის დევნების საჭიროება საზღვარგარეთის ფილიალებსა და შვილობილ საწარმოებზე;
- ბიზნესის სხვადასხვა სფეროში მიმდინარე სწრაფი ცვლილებები;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება ისეთი ტემპებით, როგორც არასდროს;
- კონკურენციის გამწვავება (გლობალიზაციის ფენომენის ნაწილი) და დაბალი მოგების მარჯები, რაც იწვევს მკაცრი კონტროლის საჭიროებას ბიზნესის ყველა ასპექტზე;
- გარე აუდიტის მაღალი ფასი - ბევრმა სამეურნეო სუბიექტმა გააფართოვა შიდა აუდიტის განყოფილებები, რათა შეემცირებინა გარე აუდიტორების პროფესიული საზღაური;
- კანონმდებლობისა და მარეგულირებელი ნორმების მაღალი ტემპებით ზრდა (მაგალითად 1960-იან წლებში ბევრ ქვეყანაში არ არსებობდა ბუღალტრული აღრიცხვის ან აუდიტის სტანდარტები) და აქედან გამომდინარე, მათი დაცვის საჭიროება;
- მსჯავრდების კულტურის განვითარება და რეალური თუ ცილისმწამებლური სასამართლო პროცესების ზრდა.

ყოველივე ამის გამო, შიდა აუდიტი გადაიქცა ხელმძღვანელობის მნიშვნელოვან იარაღად.

შიდა აუდიტი და შესაბამისობა

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ კანონებისა და სხვა მარეგულირებელი ნორმების რიცხვი, რომელთა დაცვაც საწარმოებს ევალებათ. ხშირად ამბობენ, იმდენი წესები არსებობს, რომ ნებისმიერ დროს ნებისმიერი საწარმო არღვევს კანონსა თუ წესებს ისე, რომ ამის შესახებ არაფერი იცის. კანონმდებლობის დაცვის (შესაბამისობის) საჭიროება ძალიან მნიშვნელოვანია ვინაიდან შეუსაბამობამ შეიძლება ბევრი პრობლემა შეუქმნას საწარმოს, მათ შორის: სისხლის სამართლის ჯარიმები, საურავები და დანახარჯები, იურიდიული (სასამართლოს) დანახარჯები, მოკვლევა, ცუდი რეკლამა, ისეთი საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, რომლის გაკეთებაც მხოლოდ ლიცენზირებულ საწარმოებს შეუძლიათ და ა.შ.

შიდა აუდიტი, პირველ რიგში, ხელმძღვანელობის ინსტრუმენტი იყო, რათა:

- ხელმძღვანელობას შეძლებოდა უფრო ეფექტურად მართვა;
- ხელმძღვანელობას შეძლებოდა მისთვის მიწოდებული ინფორმაციის ნდობა;
- ხელმძღვანელობა დარწმუნებული ყოფილიყო, რომ შიდა კონტროლი მუშაობდა;
- ხელმძღვანელობას ჰქონდა ოპერაციების ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და მწარმოებლურობის გარანტიები.

უკანასკნელ წლებში, შიდა აუდიტი ასევე გადაიქცა ხელმძღვანელობის იარაღად კანონების, წესების და სხვა მარეგულირებელი ნორმების დაცვის უზრუნველყოფის საქმეში.

საქმიანობა მრავალ რეგიონში და შიდა აუდიტი

დღეს ბევრ საწარმოს აქვს ფილიალები, შვილობილი საწარმოები და მრავალი ქვედანაყოფი მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ამგვარი საწარმოები შიდა აუდიტს მიიჩნევენ ეფექტიანი მართვის იარაღად. ასეთ სიტუაციაში შიდა აუდიტის განყოფილებებს პრობლემა ექმნებათ: როგორ უნდა იყვნენ ერთდროულად მრავალ ადგილას. პრობლემის გადაწყვეტის გზა შეიძლება იყოს:

- რეგულარული ჩასვლა თითოეულ ადგილზე;
- შემთხვევით ან მოულოდნელად ჩასვლა თითოეულ ადგილას;
- თითოეულ ადგილზე მისვლა ისე, რომ ხანმოკლე პერიოდში ყველა ადგილზე მოხერხდეს მისვლა;
- ისე დაიგეგმოს ვიზიტები, რომ უფრო ხშირად მსხვილ და პრობლემურ ქვედანაყოფში ჩავიდეს;
- ჰქონდეს შიდა აუდიტის ქვედანაყოფები ყველა ადგილას (ჩეკულებრივ, ეს ძალიან ძვირია) ან მსხვილ ან მთავარ რეგიონალურ ცენტრებში.

აუდიტის კომიტეტები და კორპორაციული მართვა

როგორც სახელმძღვანელოს წინა ნაწილში ვნახეთ, დღეს ბევრ ქვეყანაში კოტირებული საწარმოებს აქვთ არააღმასრულებელი დირექტორებისგან დაკომპლექტებული აუდიტის კომიტეტები. როდესაც არსებობს შიდა აუდიტორული სამსახური, აუდიტის კომიტეტმა უნდა მიმოიხილოს შიდა აუდიტის პროგრამა, უზრუნველყოს გარე და შიდა აუდიტორების თანამშრომლობა და დარწმუნდეს, რომ შიდა აუდიტორული სამსახური სათანადოდ არის უზრუნველყოფილი რესურსებით და საწარმოში შესაფერისი რეპუტაცია აქვს მოპოვებული.

აუდიტის კომიტეტს ასევე ეხება შიდა გამოკვლევებით გამოვლენილი მთავარი ფაქტებისა და ამ გამოკვლევებზე რეაგირებისათვის ხელმძღვანელობის მიერ გატარებული ღონისძიებების მიმოხილვა, რომელთაგან ბევრს შიდა აუდიტის განყოფილება ანხორციელებს. გარე აუდიტორებიც წამოჭრიან მთელ რიგ საკითხებს, მათ შორის, შიდა კონტროლისა და შესაბამისობის პრობლემებზე. შიდა აუდიტის განყოფილებას მოეთხოვება გამოვლენილი ფაქტების გაკონტროლება და ნებისმიერი შედეგის გამოსწორება.

კორპორაციული მართვა

სამეურნეო სუბიექტის შიდა კონტროლის სისტემებზე პასუხისმგებელია დირექტორთა საბჭო. მან უნდა შეიმუშაოს სათანადო პოლიტიკა შიდა კონტროლისათვის და მუდმივად ესწრაფოდეს ისეთი გარანტიების მოპოვებას, რაც მას დაარწმუნებს, რომ სისტემა ეფექტურად მუშაობს. საბჭომ დამატებით უნდა უზრუნველყოს იმის გარანტია, რომ შიდა კონტროლის სისტემა ეფექტურია რისკების მართვის თვალსაზრისითაც და რისკების მართვა ხორციელდება საბჭოს მიერ დამტკიცებული პროცედურებით. შიდა აუდიტის განყოფილებას საუკეთესო მდგომარეობა აქვს საწარმოში იმისათვის, რომ დირექტორები უზრუნველყოს მათთვის საჭირო გარანტიებით.

გაერთიანებულიო სამეფოს ერთიან კოდექსში, სადაც მოცემულია მითითებები დირექტორებისათვის შიდა კონტროლის საკითხებზე, დირექტორთა საბჭოებს ეძლევათ რეკომენდაცია, რომ მათ შიდა აუდიტორული სამსახურის საჭიროების საკითხი შეაფასონ სულ მცირე წელიწადში ერთხელ მაინც და შეფასების დროს გაითვალისწინონ საწარმოს საქმიანობის მაშტაბები, მრავალფეროვნება და სირთულე. როდესაც არსებობს შიდა აუდიტორული სამსახური, საბჭომ უნდა განიხილოს მისი სამუშაოს მაშტაბები, უფლებამოსილება და რესურსები. თუ საწარმოს არ აქვს შიდა აუდიტის განყოფილება და არ განიხილავს მისი საჭიროების საკითხს, სათანადო ბირჟაზე კოტირების წესები მოითხოვს, რომ საბჭომ წლიურ ანგარიშში განმარტება მისცეს ამ ფაქტს

თავი 16

ფინანსური რისკების შეფასება და მართვა

ცნობილია, რომ რისკი – არის არასასურველი მოვლენების, საშიშროებების, დანაკარგებისაგან ან ზარალისაგან დაუცველობის რეალიზაციის ალბათობა. ფინანსური სფეროსადმი მიმართებაში – რისკი იმ შესაძლებლობის მახასიათებელია, რომ ინვესტიციის ფაქტიური შემოსავლიანობა შეიძლება მოსალოდნელზე ნაკლები აღმოჩნდეს. რისკის მიზეზია – განუსაზღვრელობა, სამომავლო შედეგების მრავალვარიანტულობა, ხოლო თვით მომავალი კი – მთლიანობაში განუსაზღვრელია თავისი ბუნებით.

რისკი იმდენად უფრო ძლიერია, რამდენადაც მეტია შესაძლო დანაკარგების სიდიდე გარკვეული გარემოების დადგომისას და მათი დადგომის ალბათობა მაღალია. რამდენად მეტია განუსაზღვრელობის მიზეზების შესახებ ინფორმაცია, იმდენად უფრო ეფექტურია მისი მართვა. აქედან გამომდინარე, რისკი გამოცდილების ფუნქციაა. ბიზნეს გარემოს ცვლილებასთან ერთად რისკებიც იცვლება გარდაქმნების ძირითად ფაქტორებს წარმოადგენენ: გლობალიზაცია, ინფორმაციისა და კაპიტალის მოძრაობის გზაზე ბარიერების მოხსნა, ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიები და ფინანსური ინსტრუმენტები.

ფინანსური რისკების – აქტივების ღირებულებისა და მათი შემოსავლიანობის განუსაზღვრელობის ხარისხის ტრადიციულ საზომებს – დისპერსიის, სტანდარტული გადახრის – და ვარიაციის კოეფიციენტის – ვარ. მაჩვენებლები გამოიყენება.

სტანდარტული გადახრა განისაზღვრება როგორც:

$$\sigma = \sqrt{\frac{\sum_{i=1}^{n}(x_i - \bar{x})^2}{n-1}} \qquad (1)$$

სადაც: x - არის შემთხვევითი სიდიდის ფაქტიური მნიშვნელობა,

$\bar{x}$ - არის შემთხვევითი სიდიდის საშუალო მნიშვნელობა,

n – არის შემთხვევითი სიდიდის მნიშვნელობის რაოდენობა.

ვარიაციის კოეფიციენტი განისაზღვრება როგორც:

$$K_{\text{ვარ}} = \frac{\sigma}{\bar{x}} \qquad (2)$$

განვიხილოთ ფინანსური რისკების ძირითად სახეობები, რომლებიც კომერციულ ბანკებში და მსხვილ კომპანიებში მართვის ყოველდღიურ პრაქტიკასთან უფრო მჭიდროდ არიან დაკავშირებულები და მათი მართვის ფაქტორებისა და მეთოდების თავისებურებებია მიხედვით განსხვავდებიან.

რისკის თითოეული სახეობის განსაზღვრის სირთულე მათ მრავალასპექტიანობასთან არის დაკავშირებული. ფინანსური რისკების ძირითად სახეობებს წარმოადგენენ: **ინფლაციის, საკრედიტო, ლიკვიდურობის, სავალუტო და საბაზრო რისკები.**

საკრედიტო რისკი – არის ვალის ძირითადი თანხისა და მის სარგებლობაზე დარიცხული პროცენტების ვადაში და სრული მოცულობით **დაუბრუნებლობის რისკი.** საკრედიტო გარიგების მეორე მხარე – მსესხებელი – საკრედიტო რისკის საპირისპირო – ლიკვიდურობის რისკის მატარებელია.

ლიკვიდურობის რისკი – არის ვალდებულებების ვადაში სრული მოცულობით **შეუსრულებლობის რისკი.** აღნიშნული რისკი კომპანიის აქტივების ლიკვიდურობის ხარისხით განისაზღვრება. აქტივების ლიკვიდურობა, თავის მხრივ, გადახდის საშუალებად მათი სწრაფად და ღირებულების დანაკარგის გარეშე გარდაქმნის შესაძლებლობით განისაზღვრება.

პროცენტული რისკი – არის საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ზრდის შემთხვევაში ფიქსირებული შემოსავლიანი აქტივების საბაზრო ღირებულების შემცირების რისკი.

სავალუტო რისკი – არის ვალუტის კურსის არასასურველი ცვლილების შედეგად წარმოქმნილი დანაკარგების რისკი.

საბაზრო რისკი – არის ნებისმიერი სახის საბაზრო ფასების არასასურველი ცვლილებების შედეგად მიღებული დანაკარგების რისკი.

რისკების უმრავლესობა ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული და ყველა რისკი, საბოლოო ჯამში, ლიკვიდურობის რისკში ვლინდება. ფინანსური რისკი ამ სიტყვის „ვიწრო“ მნიშვნელობით – ნასესხები სახსრების გამოყენების რისკს წარმოადგენს.

რისკის მართვის ციკლი. ყველა მენეჯერს გაურკვეველობის შემთხვევაში უხდება გადაწყვეტილების მიღება. რისკი გულისხმობს იმას, რომ მენეჯერებმა შეიძლება უარყოფითი შედეგები მიიღონ ამგვარი გადაწყვეტილებებიდან ან წარმატებით არ გამოიყენონ ხელთ არსებული შესაძლებლობები. რისკის მართვის მიზანია მენეჯერების მომზადება, რათა შეძლონ შეგნებულად გარისკონ, საჭიროების შემთხვევაში, შეამცირონ ისინი და სათანადოდ შეხედნენ მომავალს, რომლის პროგნოზირება აბსოლიტური სიზუსტით შეუძლებელია.

რისკის მართვა კარგ მენეჯმენტს განსაზღვრავს, რომელიც შემდეგ ნაბიჯებს მოიცავს: ბიზნესის სისტემის შექმნა; მნიშვნელოვანი რისკების განსაზღვრა; რისკების შეფასება; ყველაზე მნიშვნელოვანი რისკების მოგვარება; პროცესების მონიტორინგი.

რისკის მართვისთვის უნდა შეიქმნას მკაფიო ბიზნესსისტემა. აღნიშნული უნდა იყოს დოკუმენტირებული **რისკის მართვის პოლიტიკის** ფარგლებში. ის უნდა მოიცავდეს: კორპორაციულ დამოკიდებულებას რისკისა და რისკისადმი სწრაფვის მიმართ – რისკის ტიპები და დონეები რომლებიც მისაღებად ითვლება; რისკის მართვის პასუხისმგებლობებს – რისკი უნდა განიხილებოდეს მენეჯმენტის ყველა ინიციატივის დროს, მაგრამ რისკის მართვის სპეციფიკური ასპექტები უნდა დაევალოთ მენეჯერებს; რისკის მართვის პროცედურების ფორმალურ მინახაზს, მიმოხილვას და ანგარიშგების ვადებს; ორგანიზაციაში რისკის აღქმის და კომუნიკაციის სათანადო დონის უზრუნველყოფის პროცედურებს.

დოკუმენტური, კორპორაციული და უწყებრივი ამოცანების განსაზღვრა რისკის მართვის წინაპირობაა. რისკის მართვაზე პასუხისმგებლობა ენიჭება შესაბამის ორგანოს, რომელმაც პასუხისმგებლობა უნდა შეინარჩუნოს კომპანიის წინაშე არსებულ ძირითად რისკებზე. თუმცა, ყველა დონის მენეჯერი და თანამშრომელი უნდა გრძნობდეს და ათვიცნობიერებდეს რეალურ პასუხისმგებლობას რისკის მართვაზე საკუთარი საქმიანობის კერძო სფეროში.

ყველა მნიშვნელოვანი რისკის განსაზღვრა. მენეჯერებს წარმოდგენა უნდა ჰქონდეთ იმ რისკებზე, რომლებზეც პასუხს აგებენ. თითოეული კომპანია სარგებელს მიიღებს, თუ უზრუნველყოფს სტრუქტურულად ყოველ ეტაპზე რისკების იდენტიფიკაციასა და შეფასების განხორციელებას მენეჯმენტის იერარქიის შიგნით. აღნიშნული უნდა მოიცავდეს დაღმავალ მიდგომას კორპორაციულ დონეზე, აღმავალ მიდგომას უწყებრივ ან ქვედანაყოფის დონეზე და მათ შორის არსებული კავშირის ანალიზს. მენეჯმენტის ზედა რგოლი და განყოფილებების მენეჯერები პასუხისმგებლები უნდა იყვნენ ორგანიზაციის წინაშე არსებული რისკების დეტალური იდენტიფიკაციის განხორციელებაზე კორპორაციული მიზნების მიღწევის პროცესში. შეხედრები ყოველ ეტაპზე უნდა ჩატარდეს მენეჯერთა ჯგუფებთან ორგანიზაციის შიგნით, რათა: ა) მოხდეს თითოეული განსახორციელებელი საქმიანობის წინაშე არსებული რისკების კოლექტიური განხილვა; ბ) განისაზღვროს კონტროლის არსებული მექანიზმები რისკების შესამცირებლად და განხორციელდეს აუცილებელი შემდგომი ღონისძიებები; გ) განისაზღვროს თითოეულ რისკზე პასუხისმგებელი მენეჯერები და კონტროლთან დაკავშირებული ღონისძიებები; დ) მისაღწევია შეთანხმება განსახორციელებელი მონიტორინგის შესახებ.

როგორც ცნობილია, ზოგიერთ კომპანიაში რისკის მართვა განეითარდა სადაზღვეო ფუნქციიდან. თუმცა რისკის მართვა დაკავშირებული უნდა იყოს არა მარტო სადაზღვეო რისკებთან, არამედ ის უნდა მოიცავდეს ყველა გაურკვეველ საკითხებს და იმ შესაძლებლობას, რომელიც ორგანიზაციის წინაშე არსებობს. ეს რისკები შეიძლება შემდეგნაირად გაანალიზდეს: პოლიტიკური/პოლიტიკასთან დაკავშირებული; კორპორაციულ საკითხებთან დაკავშირებული; პერსონალთან დაკავშირებული; საფინანსო; კომერციული; სამართლებრივი; ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული; საოპერაციო; რეპუტაციასთან დაკავშირებული.

რისკების იდენტიფიკაციისას ბევრი მენეჯერი განსაზღვრავს რისკის სიმპტომებს. თუმცა, მათი ეფექტური მართვისთვის უნდა განისაზღვროს რისკის გამომწვევი მიზეზი.

რისკების შეფასების ასპექტები. არსებობს **რისკის შეფასების ორი ასპექტი**: ა) რისკის ზეგავლენა – როგორია პოტენციური ზიანი, რომელიც ემუქრება კომპანიას? და ბ) რისკის ალბათობა – როგორია ალბათობა იმისა, რომ ზიანი მიადგება ორგანიზაციას? რისკის შეფასების ერთი მიდგომა მდგომარეობს თითოეული რისკისათვის მონეტური ღირებულებისა და ალბათობის განსაზღვრაში, მაგრამ უფრო პრაქტიკულია შეფასების მიცემა თითოეული ასპექტისათვის. საყურადღებო უნდა იყოს სირთულის ხარისხი, რომელიც აუცილებელია რისკების მნიშვნელობის განხილვისას. რისკის გაელენა და ალბათობა შეიძლება განისაზღვროს როგორც მაღალი, საშუალო და დაბალი. რისკების იდენტიფიკაციის და შეფასების პროცესი შეიძლება განვიხილოთ როგორც რისკის პროფილის განსაზღვრა. მას შემდეგ, რაც მოხდება რისკის პროფილის განსაზღვრა, ყველაზე მნიშვნელოვანი რისკი უნდა განიხილებოდეს ეფექტური მართვის უზრუნველსაყოფად.

პრაქტიკაში არსებობს რისკების მართვის ოთხი ძირითადი გზა: დაშვება; შემცირება; თავიდან აცილება; გადაცემა.

რისკები შეიძლება იყოს დაშვებული იმ შემთხვევაში, თუ მოახდენენ უმნიშვნელო გაელენას ან შეიძლება საერთოდ არანაირი გაელენა არ იქონიონ. მაღალი ზეგავლენის მქონე, მაგრამ დაბალი ალბათობის რისკები შეიძლება დასაშვებად იყოს მიჩნეული, თუმცა რისკების კრისტალიზაციის შემთხვევაში, უნდა შემუშავდეს გეგმა კომპანიის უწყვეტი საქმიანობის უზრუნველსაყოფად.

რისკები შეიძლება შემცირდეს შიდა **კონტროლის გაუმჯობესებით**. მაგალითად, შიდა აუდიტის რეკომენდაციების დანერგვით რისკების აღმოფხვრა საჭირო არ არის და ხშირად შეუძლებელიცაა, მაგრამ უნდა მოხდეს მათი შემცირება ისეთ დონემდე, რომელიც დასაშვები იქნება კომპანიისათვის. თუ რისკი კომპანიისათვის იმდენად მასშტაბურია, რომ მისი შემცირება არაპრაქტიკულია, მაშინ ასეთი რისკი თავიდან უნდა აეიცილოთ.

დაზღვევა რისკების გადაცემის ჩვეულებრივი გზაა, განსაკუთრებით კი მაღალი ზეგავლენის მქონე რისკებისა, რომლებიც არ შეიძლება დასაშვებად ჩაითვალოს. ალტერნატივის სახით, რისკი შეიძლება გადაეცეს გარკვეული ფუნქციების სახელშეკრულებო გადაცემით ან ერთობლივი საწარმოების მეშვეობით.

მას შემდეგ, რაც მოხდება კომპანიის, განყოფილების ან ქვედანაყოფის ძირითადი რისკების იდენტიფიკაცია, შეფასება და სათანადო ღონისძიებების განსაზღვრა, პროცესი უნდა მოექცეს **მონიტორინგის** და **შემოწმების** ქვეშ. კომპანიის წინაშე არსებული რისკების სრული შეფასება სამ წელიწადში ერთხელ მაინც უნდა განხორციელდეს. ამასთან რისკის მართვის პროცესი თითოეულ დონეზე, კომპანიის შიგნით, ოფიციალურად უნდა შეისწავლონ. ასევე უნდა გაითვალისწინონ კრისტალიზებული რისკები და ნებისმიერი ცვლილება თითოეული მნიშვნელოვანი რისკის გაელენასა და ალბათობაში.

არსებითი უზუსტობების რისკების შეფასება. აუდიტორი ვალდებულია, დაადგინოს და შეაფასოს არსებითი უზუსტობების რისკები ფინანსური ანგარიშგებისა და კონკრეტული მტკიცების დონეზე ოპერაციების კატეგორიების, ანგარიშთა ნაშთებისა და ახსნა-განმარტებების მიხედვით. ამ მიზნით აუდიტორი: აღგებს რისკებს კომპანიისა და მისი გარემოს, მათ შორის ამ რისკებთან დაკავშირებული კონტროლის შესაფერისი პროცედურების გაცნობით და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ოპერაციების კატეგორიების, ანგარიშთა ნაშთებისა და ახსნა-განმარტებების განხილვით; დადგენილი რისკებიდან გამომდინარე, განსაზღვრავს, რა შეიძლება იყოს მცდარი კონკრეტული მტკიცების დონეზე; განიხილავს, არის თუ არა ეს რისკები იმდენად მნიშვნელოვანი, რომ გამოიწვიოს ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობის არსებობა; და განიხილავს იმის ალბათობას, შეუძლია თუ არა ამ რისკებს არსებითი უზუსტობის გამოწვევა ფინანსურ ანგარიშგებაში.

რისკის შესაფასებელი პროცედურების შედეგად შეკრებილ ინფორმაციას, მათ შორის აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც მოიპოვა კონტროლის პროცედურების საპროექტო კონსტრუქციის შესაფასებლად და იმის დასადგენად, დადგენილია თუ არა ისინი პრაქტიკაში, აუდიტორი იყენებს, როგორც აუდიტორულ

მტკიცებულებებს რისკის შეფასების განსამტკიცებლად. აუდიტორი რისკის შეფასებას იყენებს ჩასატარებელი დამატებითი პროცედურების ხასიათის, ვადებისა და მოცულობის დასადგენად.

აუდიტორი განსაზღვრავს, დადგენილი არსებითი უზუსტობების რისკები ხომ არ არის დაკავშირებული კონკრეტული კატეგორიების ოპერაციებთან, ანგარიშთა ნაშთებსა და ახსნა-განმარტებებთან, თუ უფრო ყოელისმომცველი ხასიათისაა, დაკავშირებული მთლიანად ფინანსურ ანგარიშგებასთან და პოტენციურად ბევრ მტკიცებაზე ახდენს გაელენას. ამ უკანასკნელი ტიპის რისკების წარმო'შობა უფრო შესაძლებელია სუსტი კონტროლის გარემო'ში.

სუსტი კონტროლის გარემოს მიზეზით წარმოშობილი **რისკების** ბუნება ისეთია, რომ საეარაუდოდ, ისინი არ შემოიფარგლება არსებითი უზუსტობების სპეციფიკური ინდივიდუალური რისკებით განსაკუთრებული კატეგორიების ოპერაციებში, ანგარიშთა ნაშთებსა და ახსნა-განმარტებებში. კონტროლის გარემოს ნაკლოვანებამ, რომელიც ხელმძღვანელობის არაკომპეტენტურობაში გამოიხატება, შესაძლოა გაცილებით ყოელისმომცველი გაელენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაზე და აუდიტორის მხრიდან საჭირო იყოს საერთო ხასიათის საპასუხო ღონისძიებების გატარება.

რისკის შეფასების პროცეს'ში აუდიტორმა შეიძლება ისეთი **კონტროლის პროცედურები** დაადგინოს, რომლებიც, საეარაუდოდ, თავიდან აიცილებენ ან გამოავლენენ და შეასწორებენ არსებით უზუსტობას გარკეულ მტკიცებებში. საზოგადოდ, აუდიტორი ეცნობა კონტროლის პროცედურებს და მათ უკავშირებს იმ პროცესებსა და სისტემებს, სადაც ისინი არსებობს. ამის გაკეთება სასარგებლოა, ვინაიდან ცალკეული სახეობის მაკონტროლებელი საქმიანობა, თავისთავად, მიმართული არ არის რომელიმე რისკზე. ხშირად, რომელიმე რისკზე ორიენტირებისათვის, საკმარისია მხოლოდ ერთობლივი მაკონტროლებელი საქმიანობის განხორციელება, შიდა კონტროლის სხვა ელემენტებთან ერთად.

მნიშნელოვანი რისკები, რომლებიც საჭიროებს სპეციალურ აუდიტორულ განხილვას

აუდიტორი ვალდებულია განსაზღვროს, დადგენილი რისკებიდან, რომელია ისეთი რისკი, რომელიც სპეციალურ აუდიტორულ განხილვას საჭიროებს, აშგეარ რისკებს "მნიშნელოვანი რისკები" ეწოდება.

მნიშნელოვანი რისკები ბევრ აუდიტ'ში წარმოიშობა, მაგრამ იმის დადგენა, რომელი რისკებია მნიშნელოვანი, **აუდიტორის პროფესიული განსჯის საგანია,** მსჯელობის დროს აუდიტორი გამორიცხავს ამ რისკთან დაკავშირებული, მის ჭირ დადგენილი კონტროლის პროცედურების გაელენას, რათა განსაზღვროს, არის თუ არა რისკი ისეთი ბუნების და პოტენციური უზუსტობის საეარაუდო სიდიდე, მათ შორის მისი ალბათობა იმ დონის, რომ რისკმა გამოიწვიოს მრავალჯერადი უზუსტობები; ხოლო რისკის ხდომილობის ალბათობა ისეთი სიდიდის, რომ საჭირო გახდეს სპეციალური აუდიტორული განხილვა. მარტივი ოპერაციები, რომელთა დამუშავება სისტემატურად ხდება, ნაკლებად სარწმუნოა, რომ წარმოშობს მნიშნელოვან რისკებს, ვინაიდან მათთვის დამახასიათებელია დაბალი დონის თანდაყოლილი რისკი. მეორე მხრივ, მნიშნელოვანი რისკები ხშირად ბიზნესის რისკებიდან წარმოიშობა, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს არსებითი უზუსტობა.

რისკების ბუნების არსზე მსჯელობისას, აუდიტორი სხვადასხვა საკითხს განიხილავს, მათ შორის: არის თუ არა მოცემული რისკი **თაღლითობის რისკი;** დაკავშირებულია თუ არა რისკი თანამედროვე მნიშნელოვან მიღწეებთან ეკონომიკის, ბუღალტრული აღრიცხვის ან სხვა სფეროებში და მაშასადამე, მოითხოვს თუ არა განსაკუთრებულ ყურადღებას; ოპერაციების სირთულეს; დაკავშირებულია თუ არა რისკი დაკავშირებულ მხარეებთან შესრულებულ მნიშნელოვან ოპერაციებთან; მოცემულ რისკთან დაკავშირებული, საფინანსო ინფორმაციის შეფასების სუბიექტურობის ხარისხს, განსაკუთრებით ისეთის, რომელიც მრავალი სხვადასხვა განუსაზღვრელობის შეფასებას მოიცავს; დაკავშირებულია თუ არა რისკი ისეთ მნიშნელოვან ოპერაციებთან, რომელიც სცილდება კომპანიის ჩვეული საქმიანობის ფარგლებს.

მნიშნელოვანი რისკები ხშირად დაკავშირებულია მნიშნელოვან არაშაბლონურ ოპერაციებთან და განსასჯელ საკითხებთან. არაშაბლონური ისეთი ოპერაციებია,

რომლებიც უჩვეულოა თავისი სიდიდის ან ბუნების გამო და ამდენად, იშვიათად ხდება. განსასჯელი საკითხები შესაძლოა მოიცავდეს ისეთი სააღრიცხვო შეფასებების დამუშავებას, რომელთა გაზომვასთან მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობაა დაკავშირებული.

მნიშვნელოვანი რისკებისათვის აუდიტორი ვალდებულია, შეაფასოს კომპანიის შესაბამისი კონტროლის პროცედურების, მათ შორის, შესაფერისი მაკონტროლებელი საქმიანობის საპროექტო კონსტრუქცია და განსაზღვროს, პრაქტიკაში დანერგილია თუ არა ისინი, თუ აუდიტორს ეს უკვე არ გაუკეთებია. იმისათვის, რომ გაერკვეს მნიშვნელოვან რისკებთან დაკავშირებულ კომპანიის კონტროლის პროცედურებში, საჭიროა აუდიტორი უზრუნველყოფილი იყოს სათანადო ინფორმაციით, რათა შეიმუშაოს ეფექტური მიდგომა აუდიტის ჩასატარებლად. **ხელმძღვანელობისათვის ცნობილი უნდა იყოს მნიშვნელოვანი რისკების შესახებ;** თუმცა, ხშირად, მნიშვნელოვან არაშაბლონურ ან განსასჯელ საკითხებთან დაკავშირებული რისკები ნაკლებად სარწმუნოა, რომ დაექვემდებარება ჩვეულებრივ, ტრადიციულ კონტროლს. ამგვარად, როდესაც აუდიტორი ინფორმაციას კრებს იმის შესახებ, აქვს თუ არა კომპანიას მნიშვნელოვანი რისკებისათვის შემუშავებული და დანერგილი კონტროლის პროცედურები, მან უნდა გაარკვიოს, რეაგირებს თუ არა და როგორ რეაგირებს ხელმძღვანელობა ამ რისკებზე და დანერგილია თუ არა ამ რისკებზე რეაგირებისათვის **მაკონტროლებელი საქმიანობები,** როგორიცაა: ზემდგომი რანგის ხელმძღვანელობის ან ექსპერტების მიერ დაშვებების მიმოხილვა, ოფიციალური პროცედურები სააღრიცხვო შეფასებებისათვის, ან კომპანიის მმართველი სტრუქტურების მიერ ამ შეფასებების დამტკიცება.

რისკები, რომელთა შესახებ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ვერ უზრუნველყოფს მარტო ძირითადი პროცედურები

აუდიტორი ვალდებულია შეაფასოს კომპანიის კონტროლის პროცედურების, მათ შორის შესაფერისი მაკონტროლებელი საქმიანობების საპროექტო კონსტრუქცია და დაადგინოს, დანერგილია თუ არა ისინი პრაქტიკაში იმ რისკებისათვის, რომელთა შესახებ, აუდიტორის აზრით, შეუძლებელია ან არაპრაქტიკულია კონკრეტული მტკიცების დონეზე არსებითი უზუსტობების რისკების შემცირება, მისაღებ დაბალ დონემდე, მარტო ძირითადი პროცედურებით მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებებით.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესისათვის შესაფერისი საინფორმაციო სისტემის შესწავლა აუდიტორს საშუალებას აძლევს განსაზღვროს არსებითი უზუსტობების ისეთი რისკები, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული შაბლონური კატეგორიების ოპერაციების ან ანგარიშთა ნაშთების აღრიცხვასთან და სანდო ფინანსური ანგრიშგების მომზადებასთან; ამ ტიპის რისკებში შედის ოპერაციების არასწორი ან არასრულყოფილი დამუშავება. ჩვეულებრივ, ამგვარი რისკები დაკავშირებულია მნიშვნელოვანი კატეგორიის ოპერაციებთან, როგორიცაა, კომპანიის ამონაგები, შესყიდვები, ასევე ფულის მიღება ან გადახდა.

რისკის შეფასების შესწორება

კონკრეტული მტკიცების დონეზე არსებითი უზუსტობების რისკების აუდიტორისეული შეფასება ეყრდნობა მის ხელთ არსებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ეს შეფასება შესაძლოა შეიცვალოს აუდიტის მსვლელობისას, თუ აუდიტორი დამატებით მტკიცებულებებს მოიპოვებს. კერძოდ, რისკის შეფასება შეიძლება ეყრდნობოდეს იმის ვარაუდს, რომ ამა თუ იმ მტკიცების დონეზე კონტროლის პროცედურები ეფექტიანად მუშაობს არსებითი უზუსტობის თავიდან აცილების, ან გამოვლენისა და შესწორების კუთხით. როდესაც აუდიტორი კონტროლის ტესტებს ატარებს, რათა მოიპოვოს აუდიტორული მტკიცებულებები კონტროლის პროცედურების ფაქტობრივი ეფექტიანობის შესახებ, აუდიტორმა შესაძლოა მოიპოვოს **აუდიტორული მტკიცებულება** იმაზე, რომ კონტროლის პროცედურები ეფექტიანად არ მუშაობდა აუდიტისათვის შესაფერის დროის მონაკვეთში. ანალოგიურად, ძირითადი პროცედურების ჩატარების დროს, აუდიტორმა შესაძლოა გამოაკლისნოს, რომ არსებობს უზუსტობები თანხებში, ან უზუსტობების სიხშირე იმაზე მეტია, რაც თავსებადი იქნებოდა რისკების აუდიტორისეული შეფასებებისათვის. იმ შემთხვევაში, როდესაც აუდიტორი აუდიტორულ მტკიცებულებებს კრებს დამატებითი აუდიტორული პროცედურების ჩა-

ტარებით და ეს მტკიცებულებები ეწინააღმდეგება მის მიერ ადრე შეკრებილ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომელსაც ეყრდნობა რისკის თაედაპირველი შეფასება, აუდიტორი ასწორებს ამ შეფასებას და შესაბამისად, ცვლის დაგეგმილ დამატებით აუდიტორულ პროცედურებს.

არსებითობასა და **აუდიტორულ** რისკს შორის არსებობს **უკუკავშირი**: რაც უფრო მაღალია არსებითობის დონე, მით უფრო დაბალია აუდიტორული რისკი და პირიქით. აუდიტორი არსებითობასა და აუდიტორულ რისკს შორის არსებულ უკუკავშირს ითვალისწინებს ყოველთვის, როდესაც განსაზღვრავს **აუდიტორული პროცედურების** ხასიათს, ვადებსა და მოცულობას; მაგალითად, თუ რომელიმე აუდიტორული პროცედურის დაგეგმვის შემდეგ აუდიტორი დაადგენს, რომ მისაღები არსებითობის დონე დაბალია, აუდიტორული რისკი იზრდება. ამის კომპენსაციას აუდიტორი ახდენს: შეფასებული კონტროლის რისკის დონის შემცირების გზით, სადაც ეს შესაძლებელია და უფრო ერცელი ან დამატებითი კონტროლის ტესტების ჩატარებით არსებითობის ამ შემცირებული დონის შესანარჩუნებლად; შეუმჩნეველობის რისკის შემცირების გზით, დაგეგმილი ძირითადი პროცედურების ხასიათის, ვადებისა და მოცულობის შეცვლით.

კომპანიები დასახული მიზნების მისაღწევად მოქმედებენ სტრატეგიული გეგმების შესაბამისად და აწყდებიან სხვადასხვანაირ ფინანსურ რისკებს, თავიანთი საქმიანობისა და დარგის თავისებურებების, სიდიდისა და სირთულის და იმ მარეგულირებელი გარემოს მიხედვით, რომელშიც უხდებათ საქმიანობა. ამგვარი რისკების დადგენასა და რეაგირებაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. ამასთან, ყველა ეს რისკი არ არის დაკავშირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასთან. საბოლოო ჯამში, აუდიტორს საქმე აქვს მხოლოდ ისეთ რისკებთან, რომელთაც შეუძლიათ გაელენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

აუდიტორი კრებს და აფასებს აუდიტორულ მტკიცებულებებს, რათა მოიპოვოს დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, ასახავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება უტყუარ და სამართლიან თვალსაზრისს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის შესაფერისი ჩარჩოების შესაბამისად. დასაბუთებული რწმუნების კონცეფცია ალიარებს იმის რისკს, რომ შესაძლებელია აუდიტორული მოსაზრება არ იყოს ადეკვატური. [რისკს იმისა, რომ აუდიტორი გამოთქვამს შეუფერებელ აუდიტორულ მოსაზრებას, როდესაც ფინანსური ანგარიშგება არსებითად მცდარია, ეწოდება „აუდიტორული რისკი“.]

აუდიტორი ვალდებულია, ისე დაგეგმოს და ჩაატაროს აუდიტი, რომ აუდიტორული რისკი შეამციროს აუდიტის მიზნისათვის შესაფერის მისაღებ დონემდე. აუდიტორი აუდიტორულ რისკს ამცირებს ისეთი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვითა და ჩატარებით, რომ მოიპოვოს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები, რაც საშუალებას მისცემს მას, გამოიტანოს დასაბუთებული დასკვნები, რომლებიც საფუძვლად დაედება აუდიტორულ დასკვნას. დასაბუთებული რწმუნება მაშინ ექნება აუდიტორს მოპოვებული, როდესაც მას აუდიტორული რისკი შემცირებული ექნება მისაღებ დაბალ დონემდე.

აუდიტორული რისკი წარმოადგენს შემდეგი ორი რისკის ფუნქციას: ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკი (ანუ რისკი იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება შეიცავდა არსებით უზუსტობას აუდიტის ჩატარებამდე) და რისკი იმისა, რომ აუდიტორი ვერ გამოაელენს ამ უზუსტობას („შეუმჩნეველობის რისკი“). აუდიტორი ატარებს აუდიტორულ პროცედურებს არსებითი უზუსტობის რისკის შესაფასებლად და მიზნად ისახავს, ამ შეფასებაზე დაყრდნობით, შეუმჩნეველობის რისკის შეზღუდვას დამატებითი აუდიტორული პროცედურების ჩატარებით. იმისათვის, რომ აუდიტორმა მოიპოვოს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები, აუდიტის პროცესი ითვალისწინებს პროფესიული განსჯის განხორციელებას, კერძოდ, მაშინ, როდესაც აუდიტორი გეგმავს აუდიტის ჩატარების მიდგომას, ყურადღების კონცენტრირებით იმაზე, რა შეიძლება იყოს მცდარი ფინანსური ანგარიშგების მტკიცების დონეზე და როდესაც ატარებს აუდიტორულ პროცედურებს შეფასებულ რისკებზე რეაგირების მიზნით.

აუდიტორს ეხება არსებითი უზუსტობები და ის არ არის პასუხისმგებელი ისეთი უზუსტობების გამოაელენაზე, რომლებიც არ არის არსებითი მთლიანად ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებით. აუდიტორი განიხილავს, არსებით გაელენას იქონიებს

თუ არა მთლიანად ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოვლენილი შეუსწორებელი უზუსტობები, როგორც ცალ-ცალკე, ასევე ერთობლივად. არსებითობა და აუდიტორული რისკი ერთმანეთთან არის დაკავშირებული. იმისათვის, რომ აუდიტორმა დაგეგმოს აუდიტორული პროცედურები იმის დასადგენად, არსებობს თუ არა ისეთი უზუსტობები, რომლებიც არსებითი იქნება მთლიანად ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებით, ის განიხილავს არსებითი უზუსტობის რისკს ორ დონეზე: მთლიანი ფინანსური ანგარიშგების დონეზე და ოპერაციების კატეგორიების, ანგარიშთა ნაშთების, ახსნა-განმარტებებისა და შესაბამისი მტკიცებების მიმართ.

აუდიტორი არსებითი უზუსტობის რისკს განიხილავს მთლიანი ფინანსური ანგარიშგების დონეზე. განხილება ეხება არსებითი უზუსტობის ისეთ რისკებს, რომლებიც ყოველისმომცველი, გამჭოლი ხასიათისაა ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებით და პოტენციურად ბევრ მტკიცებაზე იქონიებს გავლენას. ასეთი ტიპის რისკები ხშირად უკავშირდება კომპანიის კონტროლის გარემოს, მაგრამ ყოველთვის არ იქნება ეს ისეთი რისკები, რომელთა დადგენა შესაძლებელია კონკრეტული მტკიცებების მიმართ ოპერაციების კატეგორიების, ანგარიშის ნაშთის ან ახსნა-განმარტების დონეზე. უპირატესად, ზემოაღნიშნული საყოველთაო ხასიათის რისკები ისეთ პირობებსა და ვითარებაზე მეტყველებს, რომლებიც ზრდიან იმის რისკს, რომ არსებითი უზუსტობები იარსებებს მთელ რიგ სხვადასხვა მტკიცებებში, მაგალითად, ხალმძღვანელობის მიერ შიდა კონტროლის უგულებელყოფის გამო. ამგვარი რისკები შეიძლება განსაკუთრებით შეეფერებოდეს ისეთ სიტუაციას, როდესაც აუდიტორი განიხილავს თაღლითობით გამოწვეულ არსებითი უზუსტობის რისკს. აუდიტორის რეაგირების ღონისძიებები მთლიანი ფინანსური ანგარიშგების დონეზე შეფასებულ არსებითი უზუსტობის რისკზე მოიცავს: იმ პერსონალის ცოდნის, კვალიფიკაციისა და შესაძლებლობების განხილვას, რომელთაც მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა აკისრიათ მოცემული დაკვეთის შესრულებაში, მათ შორის, იმის განხილვას, საჭიროა თუ არა ექსპერტების დახმარება; სათანადო ზედამხედველობის განხორციელებას, ასევე იმის განხილვას, ხომ არ არსებობს ისეთი მოვლენები ან პირობები, რომლებიც მნიშვნელოვან ეჭვს კბადებს კომპანიის შესაძლებლობაზე, გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

აუდიტორი ასევე განიხილავს არსებითი უზუსტობის რისკს ოპერაციების კატეგორიების, ანგარიშის ნაშთისა და ახსნა-განმარტებების დონეზე, ვინაიდან ამგვარი განხილვა აუდიტორს უშუალო დახმარებას უწევს მოცემული მტკიცების დონეზე დამატებითი აუდიტორული პროცედურების ხასიათის, ვადებისა და მოცულობის განსაზღვრაში. აუდიტორი, ოპერაციების კატეგორიების ანგარიშთა ნაშთისა და ახსნა-განმარტებების დონეზე საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებების შესაკრებად ისეთ გზებს ეძიებს, რომელიც მას საშუალებას მისცემს აუდიტის დამთავრებისას გამოთქვას თავისი მოსაზრება მთელ ფინანსურ ანგარიშგებაზე, მისაღებად დაბალი დონის აუდიტორული რისკის პირობებში. ამ მიზნის მისაღწევად აუდიტორი სხვადასხვა მიდგომებს იყენებს.

განვიხილოთ აუდიტორული რისკის კომპონენტები. არსებითი უზუსტობის რისკი მტკიცების დონეზე შედგება შემდეგი ორი კომპოტენტისაგან: **[„თანდაყოლილი რისკი“** არის ამა თუ იმ მტკიცების მიდრეკილება ისეთი უზუსტობისაკენ, რომელიც შეიძლება, ცალკე აღებული ან უზუსტობებთან ერთად, არსებითი იყო, იმის დაშვებით, რომ არ არსებობს შესაბამისი კონტროლის პროცედურები]. ამ ტიპის უზუსტობის რისკი შედარებით დიდია ზოგიერთი მტკიცებისათვის და მასთან დაკავშირებული ოპერაციების კატეგორიების, ანგარიშთა ნაშთებისა და ახსნა-განმარტებებისათვის. მაგალითად, უფრო მეტია იმის ალბათობა, რომ რთულ გამოთვლებში იქნება დაშვებული შეცდომები, ვიდრე მარტივ გამოთვლებში. ანგარიშები, რომელთა თანხები ისეთი სააღრიცხვო შეფასებების შედეგად მიიღება, რომლებიც მნიშვნელოვანი დინის განუსაზღვრელობის შეფასებას საჭიროებს, უფრო დიდი რისკის ფაქტორს ექვემდებარება, ვიდრე ისეთი ანგარიშები, რომლებიც შედგება შედარებით შაბლონური ფაქტობრივი მონაცემებისაგან. თანდაყოლილ რისკზე შეიძლება გავლენას ახდენდეს ისეთი გარეშე პირობებიც, რომლებიც ფინანსურ რისკებს წარმოშობს. მაგალითად, ტექნოლოგიურმა მიღწევებმა შეიძლება გამოიწვიოს რომელიმე კონკრეტული პროდუქციის მორალური ცვეთა და ამდენად, შეიძლება გაცილებით მეტი იყოს იმის შესაძლებლობა, რომ მარაგი გადიდებულად იქნება შეფასებული. იმ

პირობებისა და ვიტარების გარდა, რომლებიც დამახასიათებელია ამა თუ იმ მტკიცებისათვის, კონკრეტულ მტკიცებასთან დაკავშირებულ თანდაყოლილ რისკზე შეიძლება გავლენა იქონიოს კომპანიაში და მის გარემოში მოქმედმა ფაქტორებმა, რომლებიც უკავშირდება რამდენიმე ან ყველა კატეგორიის ოპერაციების, ანგარიშის ნაშთებსა თუ ახსნა-განმარტებებს. ამ უკანასკნელ ფაქტორებში შედის, მაგალითად, საქმიანობის გასაგრძელებლად საჭირო საკმარისი საბრუნავი კაპიტალის უქონლობა, ან დარგის მახასიათებლების გაუარესება ბევრი საწარმოს მარცხის გამო.

„კონტროლის რისკი" არის რისკი იმისა, რომ უზუსტობას, რომელიც შეიძლება არსებობდეს ამა თუ იმ მტკიცებაში და შეიძლება არსებითი იყოს, ცალკე აღებული ან სხვა უზუსტობებთან ერთად, ვერ აიცილებს თავიდან, ან ვერ გამოავლენს და შეასწორებს დროულად კომპანიის შიდა კონტროლი. აღნიშნული რისკი წარმოადგენს შიდა კონტროლის საპროექტო კონსტრუქციისა და მუშაობის ეფექტიანობის ფუნქციას, კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების შესაფერისი მიზნების მიღწევაში. გარკვეული კონტროლის რისკი ყოველთვის იარსებებს შიდა კონტროლის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო.

თანდაყოლილი და კონტროლის რისკები კომპანიის რისკებია; ისინი არსებობს ფინანსური ანგარიშგების აუდიტისაგან დამოუკიდებლად. აუდიტორს მოეთხოვება არსებითი უზუსტობის რისკის შეფასება მტკიცების დონეზე, რის საფუძველზეც უნდა განსაზღვროს შემდგომი აუდიტორული პროცედურები. ამასთან, რისკის შეფასება მსჯელობითი ხასიათისაა და არა რისკის ზუსტი საზომი. როდესაც აუდიტორის მიერ შეფასებული არსებითი უზუსტობის რისკი ითვალისწინებს კონტროლის პროცედურების ფაქტობრივი ეფექტიანობის მოსალოდნელობას, აუდიტორი ატარებს კონტროლის ტესტებს რისკის შეფასების განსამტკიცებლად. კონტროლის ტესტებს ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ. ჩვეულებრივ, თანდაყოლილი და კონტროლის რისკები ცალ-ცალკე არ განიხილება, მიუხედავად ამისა, აუდიტორს შეუძლია ცალ-ცალკე ან ერთად შეაფასოს ეს რისკები, იმისდა მიხედვით, აუდიტის როშელ ტექნიკასა და მეთოდოლოგიას ანიჭებს უპირატესობას და რა პრაქტიკულ მოსაზრებას ისახავს მიზნად. არსებითი უზუსტობის რისკის შეფასება შეიძლება გამოისახოს რაოდენობრივად. ნებისმიერ შემთხვევაში, აუდიტორისათვის გაცილებით მნიშვნელოვანია თვითონ იმის აუცილებლობა, რომ სათანადოდ შეაფასოს რისკები, ვიდრე იმ მიდგომებში არსებული განსხვავება, რომელსაც გამოიყენებს რისკების შესაფასებლად.

„შეუმჩნეველობის რისკი" არის რისკი იმისა, რომ აუდიტორი ვერ აღმოაჩენს ამა თუ იმ მტკიცებაში არსებულ ისეთ უზუსტობას, რომელიც ცალკე აღებული ან სხვა უზუსტობებთან ერთად, შეიძლება არსებითი იყოს. შეუმჩნეველობის რისკი წარმოადგენს აუდიტორული პროცედურისა და აუდიტორის მიერ მისი გამოყენების ეფექტიანობის ფუნქციას. შეუმჩნეველობის რისკის შემცირება ნულამდე შეუძლებელია, იმის გამო, რომ აუდიტორი, არ ამოწმებს ამა თუ იმ კატეგორიის ყველა ოპერაციას, ანგარიშის ნაშთს ან ახსნა-განმარტებას, აგრეთვე სხვა ფაქტორების გამოც. სხვა ფაქტორებში შედის იმის შესაძლებლობა, რომ აუდიტორი შეუფერებელ აუდიტორულ პროცედურას შეარჩევს, ან შესაფერის აუდიტორულ პროცედურას არასწორად გამოიყენებს, ან არასწორ ინტერპრეტაციას მისცემს აუდიტის შედეგებს. ჩვეულებრივ, ზემოაღნიშნული სხვა ფაქტორების გაელენის გვერდის აქლა შესაძლებელია ადეკვატური დაგეგმვით, პერსონალის სათანადო განაწილებით დაკვეთის შემსრულებელ ჯგუფში, შესრულებული აუდიტორული სამუშაოს ზედამხედველობითა და მიმოხილვით.

შეუმჩნეველობის რისკი უკავშირდება იმ აუდიტორული პროცედურების ხასიათს, ვადებსა და მოცულობას, რომლებსაც აუდიტორი განსაზღვრავს აუდიტორული რისკის მისაღებ დაბალ დონემდე შესამცირებლად. აუდიტორი რისკის მიცემული დონის პირობებში, შეუმჩნეველობის რისკის მისაღები დონე უკუპროპორციულ დამოკიდებულებაშია არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებასთან მტკიცების დონეზე. რაც უფრო დიდია არსებითი უზუსტობის რისკი, რომლის არსებობაშიც დარწმუნებულია აუდიტორი, მით უფრო ნაკლებია შეუმჩნეველობის რისკის დონე, რომელიც შეიძლება მისაღები იყოს.

მონიტორინგის (კონტროლის) ტესტების ფორმირება. აუდიტორს მაშინ მოეთხოვება კონტროლის ტესტების ჩატარება, როდესაც აუდიტორისეული რისკის შეფასება

ითვალისწინებს კონტროლის პროცედურების ფაქტობრივი ეფექტიანობის შესაძლებლობას, ალბათობას ან როდესაც მარტო ძირითადი პროცედურების ჩატარება ვერ უზრუნველყოფს საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ამა თუ იმ მტკიცების დონეზე. როდესაც აუდიტორის მიერ ამა თუ იმ მტკიცების დონეზე შესაფასებელი არსებითი უზუსტობების რისკები ითვალისწინებს იმის შესაძლებლობას, რომ კონტროლის პროცედურები ეფექტურად მუშაობს, აუდიტორი ვალდებულია ჩაატაროს კონტროლის ტესტები საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად იმის შესახებ, რომ კონტროლის პროცედურები ეფექტურად მუშაობდა შესაფერის დროის მონაკვეთში, აუდიტს დაქვემდებარებულ საანგარიშო პერიოდში.

არსებითი უზუსტობების რისკის აუდიტორისეული შეფასება, ამა თუ იმ მტკიცების დონეზე, შესაძლოა ითვალისწინებდეს იმის ალბათობას, რომ კონტროლის პროცედურები ეფექტიანად მუშაობს. ასეთ შემთხვევაში, აუდიტორი კონტროლის ტესტებს ატარებს ამ პროცედურების ფაქტობრივ ეფექტიანობაზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. ტესტები კონტროლის პროცედურების ფაქტობრივ ეფექტიანობაზე მხოლოდ კონტროლის იმ პროცედურებზე ტარდება, რომლის საპროექტო კონსტრუქციასაც აუდიტორი შესაფერისად მიიჩნევს ამა თუ იმ მტკიცებაში არსებითი უზუსტობის თავიდან ასაცილებლად, ან გამოსაელენად და შესასწორებლად.

რისკის შესაფასებელი ზოგიერთი პროცედურა, რომელსაც აუდიტორი იყენებს კონტროლის პროცედურების შესაფასებლად და იმის დასადგენად, რომ ისინი დანერგილი იყო, შესაძლოა ვერასდროს უზრუნველყონ აუდიტორი აუდიტორული მტკიცებულებებით კონტროლის პროცედურების ფაქტობრივ ეფექტიანობაზე და შესაბამისად არ გამოდგეს კონტროლის ტესტად. **მაგალითად**, აუდიტორმა შესაძლოა ჩაატაროს ხელმძღვანელობის გამოკითხვები ბიუჯეტების გამოყენების თაობაზე, დააკვირდეს საბიუჯეტო და ფაქტობრივი ხარჯების ყოველთვიურ შედარებას, რომელსაც ხელმძღვანელობა ატარებს და დაათვალიეროს ანგარიშები, რომლებიც ეხება საბიუჯეტო და ფაქტობრივ თანხებს შორის განსხვავებების გამოკვლევას. ზემოაღნიშნული აუდიტორული პროცედურები ცოდნას იძლევა კომპანიის ბიუჯეტირების პოლიტიკის კონსტრუქციაზე და დანერგილია თუ არა იგი პრაქტიკაში. ასევე, აუდიტორს უსრუნველყოფს აუდიტორული მტკიცებულებებით იმის შესახებ, ეფექტიანია თუ არა საბიუჯეტო პოლიტიკის ესა თუ ის ოპერაცია ხარჯების კლასიფიკაციაში არსებითი უზუსტობების თავიდან აცილების ან გამოვლენის უნარის თვალსაზრისით. ასეთ შემთხვევაში, აუდიტორი განიხილავს, საკმარისია თუ არა აღნიშნული აუდიტორული პროცედურებიდან მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები.

კონტროლის ტესტების ფაქტობრივი ეფექტიანობის შესახებ რწმუნების მოსაპოვებლად აუდიტორი არჩევს **აუდიტორულ პროცედურებს**. თუ რწმუნების დაგეგმილი დონე იზრდება, აუდიტორი უფრო მეტად საიმედო აუდიტორულ მტკიცებულებებს ეძებს. როდესაც აუდიტორი ისეთ მიდგომას ირჩევს, რომელიც უპირატესად კონტროლის ტესტების ჩატარებას გულისხმობს, კერძოდ, იმ რისკებთან მიმართებით, სადაც შეუძლებელი ან არაპრაქტიკულია საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება მარტო ძირითადი პროცედურებით, აუდიტორი როგორც წესი, ატარებს კონტროლის ტესტებს, კონტროლის პროცედურების ფაქტობრივ ეფექტიანობაზე უფრო მაღალი დონის რწმუნების მისაღწევად.

აუდიტორი კონტროლის პროცედურების ფაქტობრივი ეფექტიანობის **ტესტირების** მიზნით, ვალდებულია გამოკითხვასთან ერთად, სხვა აუდიტორული პროცედურებიც ჩაატაროს. მიუხედავად იმისა, რომ აუდიტორი კონტროლის პროცედურების საპროექტო კონსტრუქციისა და დანერგვის მდგომარეობის გაცნობიდან სხვა მიზანს აღწევს, ჩვეულებრივ, კონტროლის პროცედურების ფაქტობრივი ეფექტიანობის ტესტებიც იმავე ტიპის აუდიტორულ პროცედურებს მოიცავს, რომელსაც აუდიტორი იყენებს კონტროლის პროცედურების კონსტრუქციისა და დანერგვის მდგომარეობის შესაფასებლად. გარდა ამისა, შესაძლოა ამ პროცედურებში შედიოდეს აუდიტორის მიერ რომელიმე კონტროლის პროცედურის ხელახლა შესრულება. ეინაიდან მარტო გამოკითხვა საკმარისი არ არის, აუდიტორი კონტროლის პროცედურების ფაქტობრი-

ვი ეფექტიანობის შესახებ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად, ერთად იყენებს სხვადასხვა აუდიტორულ პროცედურას.

კონტროლის პროცედურები, რომელთა ტესტირებაც გამოკითხვის საშუალებით მოხდება და იმავდროულად შემოწმდება დათვალიერების გზით ან ხელახლა შესრულდება აუდიტორის მიერ, ჩვეულებრივ, უფრო მაღალი დონის რწმუნებით უზრუნველყოფს აუდიტორს, ვიდრე ის კონტროლის პროცედურები, რომელთა შესახებ აუდიტორული მტკიცებულებები.

კონკრეტული კონტროლის პროცედურების ხასიათი გაელენას ახდენს იმ აუდიტორული პროცედურის ტიპზე, რომელიც საჭიროა აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად იმის შესახებ, ეფექტურად მუშაობდა თუ არა კონტროლი დროის სათანადო მონაკვეთებში, აუდიტს დაქვემდებარებული პერიოდის განმავლობაში.

ზოგიერთი კონტროლის პროცედურისათვის ფაქტობრივი ეფექტიანობა მტკიცდება დოკუმენტაციიდან. ასეთ შემთხვევებში, კონტროლის პროცედურის ფაქტობრივ ეფექტიანობაზე აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, მოცემულ მტკიცებებთან პირდაპირ დაკავშირებული კონტროლის პროცედურების ფაქტობრივი ეფექტიანობის განსამტკიცებლად, ასევე ისეთ არაპირდაპირ კონტროლის პროცედურებზე, რომელზეც ზემოაღნიშნული კონტროლის პროცედურებია დამოკიდებული. მაგალითად, აუდიტორმა შესაძლოა დაადგინოს, რომ მომხმარებლის მიერ გადახრების ანგარიშის განხილვა არის რომელიმე მტკიცებასთან პირდაპირ დაკავშირებული კონტროლის პროცედურა. ასეთ შემთხვევაში აუდიტორი განიხილავს მომხმარებლის მიერ ამ ანგარიშის მიმოხილვის ეფექტიანობასაც და ასევე კონტროლის იმ პროცედურებსაც, რომელიც დაკავშირებულია ანგარიშში ასახული ინფორმაციის სიზუსტესთან.

ავტომატიზებული გამოყენებითი კონტროლის შემთხვევაში, საინფორმაციო ტექნოლოგიისათვის დამახასიათებელი ინფორმაციის დამუშავების პროცესის სტაბილურობის გამო, თუ აუდიტორი ამა თუ იმ კონტროლის შესრულება'ზე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს განიხილავს, იმ აუდიტორულ მტკიცებულებებთან ერთად, რომელიც მოიპოვა კომპანიის საერთო კონტროლის ფაქტობრივი ეფექტიანობის შესახებ, ამით ის მიიღებს არსებით, მნიშვნელოვან აუდიტორულ მტკიცებულებებს გამოყენებითი კონტროლის ფაქტობრივ ეფექტიანობაზე დროის შესაბამისი პერიოდისათვის.

შეფასებულ რისკზე რეაგირების მიზნით, აუდიტორმა შესაძლოა დაგეგმოს კონტროლის ტესტები, რომელსაც ჩაატრებს იმავე ოპერაციის ელემენტების ტესტებთან ერთად. კონტროლის ტესტები იმისთვისაა განკუთვნილი. რომ აუდიტორმა შეაფასოს, ეფექტურად მუშაობდა თუ არა ესა თუ ის კონტროლის პროცედურა.

ოპერაციის ელემენტების ტესტების მიზანი კი ის არის, რომ გამოვლინდეს არსებითი უზუსტობები კონკრეტული მტკიცების დონეზე. მართალია, ეს მიზნები განსხვავებულია, მაგრამ შესაძლებელია ორივე ტიპის ტესტის ჩატარება ერთად – ერთი და იმავე ოპერაციისათვის კონტროლის ტესტიც ჩატარდება და ოპერაციის ელემენტების ტესტებიც. ამ ტიპის ტესტს ორმაგი მიზნის ტესტსაც უწოდებენ.

კონტროლის ტესტების ვადები დამოკიდებულია აუდიტორის მიერ დასახულ მიზანზე და განსაზღვრაეს დროის იმ მონაკვეთს, როდესაც შესაძლებელია კონტროლის პროცედურებზე დაყრდნობა. თუ აუდიტორი კონტროლის ტესტებს ატარებს დროის გარკვეული მომენტისათვის, ის აუდიტორი მტკიცებულებებს მოიპოვებს მხოლოდ იმაზე, რომ კონტროლის აღნიშნული პროცედურები ეფექტურად მუშაობენ დროის მოცემულ მომენტში. ამასთან, თუ აუდიტორის კონტროლის ტესტები მოიცავს დროის რომელიმე მონაკვეთს, მაშინ ის კონტროლის ფაქტობრივ ეფექტიანობაზე აუდიტორულ მტკიცებულებებს მოიპოვებს მოცემული პერიოდის შესახებ.

აუდიტორი კონტროლის პროცედურების ფაქტობრივ ეფექტიანობაზე აუდიტორული მტკიცებულებების შეკრებისას შუალედურ პერიოდში, ვალდებულია განსაზღეროს, რა დამატებითი აუდიტორული მტკიცებულებები უნდა მოიპოვოს დარჩენილ

პერიოდზე. ამ დროს აუდიტორი განიხილავს მოცემული მტკიცების დონეზე შეფასებული არსებითი უზუსტობების რისკების მნიშვნელობას, კონტროლის კონკრეტულ პროცედურებს, რომელტა ტესტირებაც შეალედურ პერიოდში ჩაატარა, რა ხარისხის აუდიტორული მტკიცებულებები მოიპოვა კონტროლის ფაქტობრივ ეფექტიანობაზე, დარჩენილი საანგარიშგებო პერიოდის ხანგრძლივობას, რა დონეზე აპირებს აუდიტორი შემდგომი ძირითადი პროცედურების შემცირებას კონტროლის პროცედურებზე დაყრდნობით, ასევე კონტროლის გარემოს.

აუდიტორი აგროვებს აუდიტორულ მტკიცებულებებს **შიდა კონტროლში** მომხდარი ყველა მნიშვნელოვანი ცვლილების ხასიათისა და გაერცელების არეალის შესახებ, მათ შორის საინფორმაციო სისტემაში, პროცესებსა და პერსონალში მომხდარ ცვლილებებს, რასაც ადგილი ჰქონდა შუალედური პერიოდის შემდეგ. მაგალითად, აუდიტორმა დამატებითი აუდიტორული მტკიცებულებები შესაძლოა მოიპოვოს კონტროლის პროცედურების ფაქტობრივი ეფექტიანობის ტესტების გაერცელებით დარჩენილ პერიოდზე, ან კომპანიის კონტროლის პროცედურების მონიტორინგის პროცესის ტესტირებით.

როდესაც აუდიტორი აპირებს კონტროლის პროცედურების ფაქტობრივ ეფექტიანობაზე წინა აუდიტში შეკრებილი აუდიტორული მტკიცებულებების გამოყენებას, იგი ვალდებულია მოიპოვოს აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, შეიცვალა თუ არა რამე ამ კონკრეტულ კონტროლის პროცედურებში წინა აუდიტის შემდეგ. აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, ადგილი ჰქონდა თუ არა ზემოაღნიშნულ ცვლილებებს, აუდიტორმა უნდა მოიპოვოს გამოკითხვის ჩატარებით, დაკვირვების ან დათვალიერების პროცედურასთან ერთად, რათა დაამტკიცოს კონკრეტული კონტროლის პროცედურების შესახებ მიღებული ინფორმაცია. თუ აუდიტორი მიმდინარე პერიოდშიც გეგმავს წინა პერიოდებში მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების გამოყენებას, მაშინ ის ატარებს აუდიტორულ პროცედურებს იმის დასადგენად, რომ აუდიტორული მტკიცებულებები შესაფერისია ამჟამადაც.

აუდიტორი როდესაც გეგმავს კონტროლის ისეთ პროცედურებზე დაყრდნობას, რომლებიც შეცვლილია უკანასკნელი ტესტირების შემდეგ, აუდიტორი ვალდებულია ტესტი ჩაატაროს აღნიშნული კონტროლის პროცედურების ფაქტობრივ ეფექტიანობაზე მიმდინარე აუდიტში. ცვლილებები შესაძლოა გაელენას ახდენდეს წინა პერიოდებში მოპოვებული აუდიტორული მკიცებულებების შესაფერისობაზე, ვინაიდან ისინი შეიძლება აღარ გამოდგეს ამჟამად დასაყრდენ ბაზად.

აუდიტორი შესაძლოა არ დაეყრდნოს კონტროლის ფაქტობრივი ეფექტიანობის შესახებ წინა აუდიტებიდან მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს ისეთ კონტროლის პროცედურებზე, რომლებიც ბოლო ტესტირების შემდეგ შეცვლილია, ან პროცედურებზე, რომლებიც ამსუბუქებს რომელიმე მნიშვნელოვან რისკს. აუდიტორის გადაწყვეტილება, დაეყრდნოს თუ არა წინა აუდიტებიდან მოპოვებულ აუდიტორულ მკიცებულებებს დანარჩენ კონტროლის პროცედურებზე, **პროფესიული განსჯის** საგანია. გარდა ამისა, აუდიტორის განსასჯელია ასევე დროის იმ მონაკვეთის ხანგრძლივობის განსაზღვრა, რომლის შემდეგაც ხელახლა უნდა ჩატარდეს ამგვარი კონტროლის პროცედურების ტესტირება, მაგრამ ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს ორ წელს.

აუდიტორი როდესაც მსჯელობს, მიზანშეწონილია თუ არა კონტროლის პროცედურების ფაქტობრივ ეფექტიანობაზე წინა აუდიტებიდან მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდობა და გადაწყვეტს, რომ მიზანშეწონილია, ამასთან საზღვრავს დროის იმ ინტერვალს, რომელიც შესაძლოა დატოვოს ამათუ იმ კონტროლის პროცედურის ხელახლა ტესტირებამდე, აუდიტორი განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: შიდა კონტროლის სხვა ელემენტების ეფექტიანობას, მათ შორის კონტროლის გარემოს, კომპანიაში დანერგილ კონტროლის პროცედურების მონიტორინგის პროცესსა და რისკის შეფასების პროცესს; კონტროლის პროცედურების მახასიათებლებიდან წარმოშობილ რისკებს, მათ შორის კონტროლის პროცედურები მანუალურია თუ ავტომატიზებული; საინფორმაციო ტექნოლოგიის საერთო ხასიათის კონტროლის პროცედურების ეფექტიანობას; კონტროლის პროცედურების ეფექტიანობას და როგორ იყენებს მას კომპანია, მათ შორის კონტროლის მოცემული პროცედურის გამოყენებაში არსებული გადახრების ხასიათსა და სიხშირეს, კონტროლის ფაქტობრივ ეფექტიანობაზე წინა აუდიტებში ჩატარებული ტესტების მიხედვით;

შეცვლილი პირობებიდან გამომდინარე, წარმოშობს თუ არა რისკს ის ფაქტი, რომ ესა თუ ის კონტროლის პროცედურა შეცვლილი არ არის; არსებითი უზუსტობების რისკს და კონტროლის პროცედურებზე დაყრდნობის ხარისხს.

ამრიგად, რაც **უფრო მაღალია არსებითი უზუსტობის რისკი**, ან შიდა კონტროლის პროცედურებზე დაყრდნობის **ხარისხი**, მით უფრო ნაკლები იქნება ზემოაღნიშნული შუალედური ინტერვალი, თუ კი იარსებებს ის. ფაქტორები რომლებიც, როგორც წესი, ამცირებს შიდა კონტროლის ხელახალი ტესტირების პერიოდს ან იწვევს იმას, რომ აუდიტორი საერთოდ არ დაეყრდნობა წინა აუდიტებიდან მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს, მოიცავს: კონტროლის გარემოს ნაკლოვანებას; კომპანიაში დანერგილი კონტროლის პროცედურების მონიტორინგის პროცესის ნაკლოვანებას; შესაფერის კონტროლის პროცედურებში მნიშვნელოვანი მანუალური ელემენტების არსებობას; პერსონალის ცვლილებებს, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კონტროლის გამოყენებაზე; პირობების იმგვარ შეცვლას, რაც შიდა კონტროლის შეცვლის აუცილებლობაზე მიანიშნებს; ნაკლოვანებას საინფორმაციო ტექნოლოგიის საერთო ხასიათის კონტროლის პროცედურებში.

აუდიტორი ვალდებულია ყოველ აუდიტში ჩაატაროს ზოგიერთი კონტროლის პროცედურის ფაქტობრივი ეფექტიანობის ტესტირება, როდესაც რამდენიმეა კონტროლის ისეთი პროცედურა, რომლის შესახებაც იგი გადაწყვეტს, რომ მისაღებია წინა პერიოდში მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების გამოყენება. გარდა იმისა, რომ ეს მოთხოვნა უზრუნველყოფს მტკიცებულებებს იმ კონტროლის პროცედურების ფაქტობრივ ეფექტიანობაზე, რომლის ტესტირებაც მიმდინარე აუდიტის დროს ჩატარდება, აღნიშნული ტესტები დამატებით, არაპირდაპირ მტკიცებულებებს იძლევა კონტროლის გარემოს პერმანენტული ეფექტიანობის შესახებაც. ამდენად, ეს ხელს შეუწყობს გადაწყვეტილების მიღებას იმის შესახებ, მისაღებია თუ არა წინა პერიოდის აუდიტებიდან მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობა.

აუდიტორი როდესაც საზღვრავს, რომ ამა თუ იმ მტკიცების დონეზე შეფასებული არსებითი უზუსტობების რისკი მნიშვნელოვანი რისკია და გეგმავს კონტროლის იმ პროცედურების ჰაქტობრივ ეფექტიანობაზე დაყრდნობას, რომლებიც გამიზნულია აღნიშნული მნიშვნელოვანი რისკების შემსუბუქებაზე, აუდიტორი ვალდებულია მოიპოვოს აუდიტორული მტკიცებულებები კონტროლის ზემოაღნიშნულ პროცედურებზე კონტროლის ტესტების ჩატარებით მიმდინარე პერიოდში. რაც უფრო დიდია არსებითი უზუსტობის რისკი, მით მეტ აუდიტორულ მტკიცებულებებს კრებს აუდიტორი იმაზე, რომ შესაბამისი კონტროლის პროცედურები ეფექტიანად მუშაობს. აუდიტორი ხშირად ითვალისწინებს წინა აუდიტებიდან მოპოვებულ ინფორმაციას იმ კონტროლის პროცედურების ტესტების დასაგეგმად, რომელთა დანიშნულებაა რომელიმე მნიშვნელოვანი რისკის შემსუბუქება, მაგრამ არ ეყრდნობა წინა აუდიტიდან მოპოვებულ ამა თუ იმ აუდიტორულ მტკიცებულებებს, ამგვარ რისკებთან დაკავშირებული კონტროლის პროცედურების ფაქტობრივ ეფექტიანობაზე. ამის ნაცვლად, აუდიტორი კრებს აუდიტორულ მტკიცებულებებს ამგვარ რისკებთან დაკავშირებული კონტროლის პროცედურების ფაქტობრივ ეფექტიანობაზე, მიმდინარე პერიოდში.

ამრიგად, აუდიტორი გეგმავს კონტროლის ტესტებს, რათა მოიპოვოს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმაზე, რომ კონტროლის პროცედურები ეფექტიანად მუშაობდა დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში.

ქვემოთ ჩამოთვლილია საკითხები, რომლებიც შესაძლოა აუდიტორმა განიხილოს აუდიტორის **კონტროლის ტესტების მოცულობის** განსაზღვრის დროს: კომპანიის მიერ შესრულებული კონტროლის პროცედურების სიხშირე მოცემულ პერიოდში; დროის იმ მონაკვეთის ხანგრძლივობა აუდიტს დაქვემდებარებული პერიოდიდან, რომლის დროსაც აუდიტორი ეყრდნობა კონტროლის პროცედურების ფაქტობრივ ეფექტიანობას; იმ აუდიტორული მტკიცებულებების შესაფერისობა და საიმედოობა, რომელიც მოპოვებულია იმის განსამტკიცებლად, რომ მოცემული კონტროლის პროცედურა თავიდან აიცილებს, ან გამოაელენს და შეასწორებს არსებით უზუსტობებს მტკიცების დონეზე; რა ხარისხისაა სხვა კონტროლის ტესტებიდან მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები მოცემულ მტკიცებაზე; რა დონეზე გეგმავს აუდიტორი კონტროლის პროცედურების ფაქტობრივ ეფექტიანობაზე დაყრდნობას რისკის შეფასების დროს; სავარაუდო გადახრა კონტროლის პროცედურიდან და სხვა.

შესაბამისად, აუდიტორი რაც უფრო მეტად ენდობა კონტროლის პროცედურების ფაქტობრივ ეფექტიანობას რისკის შეფასების დროს, მით მეტია აუდიტორის კონტროლის ტესტების მოცულობა. გარდა ამისა, თუ კონტროლის პროცედურიდან საეარაუდო გადახრის დონე იზრდება, აუდიტორი ზრდის კონტროლის ტესტების მოცულობასაც. ამასთან, აუდიტორი განიხილავს, არის თუ არა საეარაუდო გადახრის დონე იმის მაჩვენებელი, რომ კონტროლის მოცემული პროცედურა საკმარისი არ იქნება შესაფერისი მტკიცების დონეზე არსებითი უზუსტობების რისკის შესამცირებლად, აუდიტორის მიერ შეფასებული რისკის დონემდე. თუ მოსალოდნელია, რომ საეარაუდო გადახრის დონე ძალიან მაღალი იქნება, აუდიტორმა შესაძლოა გადაწყვიტოს, რომ კონტროლის ტესტების ჩატარება ამა თუ იმ კონკრეტული მტკიცებისათვის ეფექტური არ იქნება.

საინფორმაციო ტექნოლოგიური პროცესისათვის დამახასიათებელი სტაბილურობის გამო, აუდიტორს შესაძლოა არ დასჭირდეს ტესტირების გაფართოება ავტომატიზებული კონტროლის პროცედურისათვის. ავტომატიზებული კონტროლი მუდმივად უნდა ფუნქციონირებდეს, თუ პროგრამა არ შეიცვალა. თუ აუდიტორი დაადგენს, რომ ავტომატიზებული კონტროლის პროცედურა ისე მუშაობს, როგორც დაპროექტებული იყო, აუდიტორი ითვალისწინებს ტესტების ჩატარებას, რათა დაადგინოს, რომ კონტროლის პროცედურა ახლაც ეფექტიანად მუშაობს. ამ ტიპის ტესტები შესაძლოა გულისხმობდეს იმის დადგენას, რომ პროგრამაში არაფერი შეცვლილა ისეთი, რომ სათანადოდ არ შეცვლილიყო პროგრამული კონტროლის პროცედურები. ასევე, ოპერაციების დამუშავებისათვის გამოიყენება პროგრამის ნებადართული ვერსია და შესაბამისი საერთო კონტროლის პროცედურებიც ეფექტიანად მუშაობს. გარდა ამისა, ამგვარი ტესტები შესაძლოა გულისხმობდეს იმის დადგენასაც, რომ პროგრამებში არაფერი შეცვლილა. ეს იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანია პაკეტურ პროგრამულ უზრუნველყოფას პირდაპირ, შეუცვლელად ან გამოუცდელად იყენებს.

ამრიგად, **კონტროლის როლი** და მისი კავშირი მართვის სხვა ფუნქციებთან ვლინდება მიღებულ მმართველობით გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებაში; სწორედ სამართაო ობიექტის ფაქტიური მდგომარეობის კონტროლი იძლევა საშუალებას **მართვის სუბიექტმა** თაიისდროულად მოახდინოს რეაგირება მიმდინარე ცვლილებებზე და აუცილებლობის შემთხვევაში მმართველობით გადაწყვეტილებაში შეიტანოს სათანადო კორექტივები წარმატებული საქმიანობის უზრუნველსაყოფად.

თავი 17

შიდა აუდიტის სტანდარტები და მათი გამოყენების პრაქტიკული ასპექტები

როგორც წესი, აუდიტის სამსახურმა უნდა შეიმუშაოს საკუთარი სტანდარტები, რომლებშიც შევა ქვემოთ მოყვანილი მაღალი და დაბალი დონის სტანდარტები, მაგალითად, აუდიტორული შემოწმების დოკუმენტაციის მომზადება. სასურველია კონკრეტული სტანდარტების თავმოყრა ერთ სახელმძღვანელოში, რომელსაც აუდიტის დეპარტამენტი ყველა აუდიტორისათვის ამზადებს.ეს სტანდარტები შეიძლება მოიცავდეს შემდეგ საკითხებს: დამოუკიდებლობა „შიდა აუდიტორული შემოწმებები უნდა ჩატარდეს მაღალ პროფესიულ დონეზე და სათანადო ყურადღებით".

მაღალი პროფესიული დონის მისაღწევად მნიშვნელოვანია:

- ✓ კადრების სწორად შერჩევა;
- ✓ სათანადო კვალიფიკაცია;
- ✓ აუდიტორული მუშაობის მკაცრი ზედამხედველობა;
- ✓ კარგი ურთიერთობის დამყარება მათთან, ვინც ექვემდებარება აუდიტორულ შემოწმებას;
- ✓ შესაბამისი განათლების დონე;
- ✓ განუწყვეტელი ზრუნვა პროფესიული სრულყოფისათვის
- ✓ სამუშაო მასშტაბი.

„შიდა აუდიტი უნდა მოიცავდეს ორგანიზაციაში შიდა კონტროლის სისტემის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შესწავლასა და შეფასებას, ასევე დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად გაწეული მუშაობის ხარისხის შეფასებას."

აუდიტორული მუშაობის სათანადო მასშტაბის მისაღწევად საჭიროა უზრუნველყოფილ იქნეს:

- ✓ ინფორმაციის საიმედოობა;
- ✓ დადგენილი პროცედურების დაცვა;
- ✓ ფასეულობათა საიმედოდ შენახვა;
- ✓ რესურსების ეფექტიანად გამოყენება;
- ✓ საქმიანობის განხორციელება.

აუდიტის სამსახურის მუშაობა უნდა მოიცავდეს აუდიტორული შემოწმების დაგეგმვას, ინფორმაციის შესწავლასა და შეფასებას, შედეგების თაობაზე ინფორმირებასა და აუდიტის შემდგომ კონტროლს (გაწეული რეკომენდაციების შესრულებაზე ზედამხედველობა).

აუდიტორული საქმიანობის წარმატების საწინდარია:

- სწორად დაგეგმვა;
- სრულყოფილი ანალიზი;
- სრული ინფორმაცია აუდიტის შედეგების შესახებ;
- აუდიტის შემდგომი კონტროლის ღონისძიების რეგულარულად განხორციელება;
- შიდა აუდიტის სამსახურის მართვა

მთავარი შიდა აუდიტორი ეალდებულია სათანადოდ უხელმძღვანელოს შიდა აუდიტის დეპარტამენტს'.

კვალიფიციური მართვის მისაღწევად აუცილებელია:

- უფლებებისა და მიზნების მკაფიოდ განსაზღვრა;
- სრულფასოვანი დაგეგმვა;
- პროცედურების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;
- კადრების სწორად შერჩევა
- კარგი ურთიერთობა გარე აუდიტორებთან;
- რეგულარული, მაღალი დონის, კვალიფიციური მომსახურების გაწევა.

სხვადასხვა ორგანიზაციაში აუდიტის სახეების კლასიფიცირება სხვადასხვაგვარად ხდება და ასევე განსხვავებულად კეთდება აქცენტები. ცენტრალური ბანკისათვის, ისევე როგორც ეს საქართველოს ეროვნულ ბანკშია მიღებული, შეიძლება

გამოყენებულ იქნეს აუდიტის შემდეგი სახეები: **ფინანსური აუდიტი** რომელიც იძლევა იმის რწმუნებას, რომ **ფინანსური აღრიცხვა** – ანგარიშგების ოპერაციებსა და პროცედურებთან დაკავშირებული რისკები ადეკვატურად კონტროლდება და ეს კონტროლის მექანიზმები რეალურად ფუნქციონირებს. კონტროლის მექანიზმების ადეკვატურობის განსაზღვრის დროს აუდიტორი ატარებს **სისტემის აუდიტს**, ხოლო კონტროლის მექანიზმის შემოწმებისას – **შესაბამისობის აუდიტს**. იმ შემთხვევაში, თუ აუდიტორს ფინანსური აქტივების ფიზიკური არსებობის შემოწმება სჭირდება, იგი ატარებს **დაცულობის აუდიტს**.

კომპიუტერული სისტემების აუდიტის სამსახური უზრუნველყოფს ბანკის მასშტაბით ფუნქციონირებადი კომპიუტერული სისტემების სათანადო კონტროლს. სახელდობრ, ფიზიკურად რამდენად კონტროლირებადია სათავსო, სადაც კომპიუტერებია განთავსებული; რეგულარულად ხდება თუ არა სათადარიგო სერვერებზე მონაცემების შენახვა; რა სიხშირით იცვლება პაროლები. აღნიშნული სამუშაოების შესრულების დროს აუდიტორი ატარებს ოპერაციულ აუდიტს. კომპიუტერული სისტემებისა და მათზე კონტროლის პროცედურების შემოწმება, როგორც წესი, ფინანსური აუდიტორების მოვალეობაა, რადგან კომპიუტერული სისტემები საწარმოო პროცესის ნაწილია. არანაკლებ მნიშვნელოვანია აუდიტორების მონაწილეობა ნებისმიერი ახალი კომპიუტერული სისტემის შექმნაში, ამ უკანასკნელის შემუშავების სტადიაზე. ეს უზრუნველყოფს ამ სისტემებში კონტროლის საჭირო ელემენტების ჩართვას. საქმიანობის ამ სახეს პროექტების აუდიტი ეწოდება.

სარჯებისა და სარგებლის აუდიტორული შემოწმების მეშვეობით ბანკის ხელმძღვანელობას წარმოდგენა ექმნება კონკრეტული პროცესიდან მიღებულ შედეგებზე, ამ პროცესებში გაწეული დანახარჯების გათვალისწინებით. აღნიშნული არ წარმოადგენს სისტემაში რისკების მართვის საკითხების მიმოხილვას. ამასთან დაკავშირებით ზოგიერთი შიდა აუდიტორი მიიჩნევს, რომ საქმიანობის ცალკეული პროცესების ეფექტიანობის აუდიტი საკუთარი ან მოწვეული მენეჯმენტ-კონსულტანტების მიერ უნდა ტარდებოდეს.

კონტროლის თვითშეფასება აუდიტის ერთ-ერთი სახეა, რომელსაც თავად ოპერაციებსა და საქმიან პროცესებში მონაწილე პერსონალი განახორციელებს. ამ პროცესში ხშირად შიდა აუდიტორებიც მონაწილეობენ. კონტროლის ეს ფორმა ორგანიზაციის ხელმძღვანელობას შესაძლებლობას აძლევს, განსაზღვროს რეალურად არსებული მდგომარეობა ქვემოთ ჩამოთვლილი **კრიტერიუმების შეფასების საფუძველზე**, კერძოდ:

- ძირითადი რისკები კონკრეტული ოპერაციებისა და პროცესების მიხედვით;
- თითოეული რისკის ფინანსური შედეგი;
- რისკების მართვისათვის მიღებული ზომები;
- კონტროლის მექანიზმების მუშაობის უზრუნველმყოფი ღონისძიებები.

კონტროლის თვითშეფასება არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ორგანიზაციის დამოუკიდებელი აუდიტის შემცველი შემოწმება. კონკრეტული ოპერაციებისა და პროცესების წარმმართველი ხელმძღვანელობის მიერ ეფექტიანად განხორციელებული კონტროლის თვითშეფასება დამოუკიდებელი აუდიტის ჩატარებისათვის კარგ საწყის ბაზას ქმნის.

კონტროლის თვითშეფასების **უპირატესობებია**: კონკრეტული დარგის ხელმძღვანელობა მეტ ყურადღებას აქცევს რისკებს და მათ კონტროლს; კონტროლის ღონისძიებების მიმოხილვა კეთდება უფრო ხშირად, ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ევალება შიდა აუდიტის სამსახურს; მოცემული სფეროს ხელმძღვანელობას შეუძლია უფრო მარტივად გამოაელინოს კონტროლის პროცედურების არაადეკვატურობა; მოცემულ დარგში მომუშავე თანამშრომლები მეტ ყურადღებას უთმობენ კონტროლის საკითხებს.

კონტროლის თვითშეფასებების **ნაკლოვანებებია**: დასაშვებია, რომ მოცემული სფეროს ხელმძღვანელობამ დაფაროს არსებული ხარვეზები; შესაძლოა მოხდეს შიდა აუდიტის სამსახურის მუშაობის დუბლირება; მოცემული სფეროს ხელმძღვანელობამ კონტროლის აუცილებლობა შესაძლოა ბიუროკრატიულ, თავსმოხვეულ ღონისძიებად ჩათვალოს; შეიძლება მოცემული სფეროს ხელმძღვანელობამ კონროლის თვითშეფასებისათვის საჭირო დრო ვერ გამონახოს.

შიდა აუდიტის პრაქტიკული ასპექტები ამოცანაა რისკების მართვის საიმედოდ განხორციელების უზრუნველყოფა. ამისათვის, შიდა აუდიტის ჩასატარებლად გამოყოფილი რესურსები უნდა მიიმართოს ყველაზე დიდი რისკის შემცველი სფეროებისაკენ.

რისკების შეფასება რთული საკითხია, რომელიც არ არის მეცნიერული ხასიათის, რადგან პროცესი მრავალ სუბიექტურ შეფასებას ეყრდნობა. ამდენად, რისკების შესაფასებლად შეიძლება მხოლოდ განზოგადებული მდგომარეობის გამოყენება, რომელთა შემუშავება შესაძლებელია სხვადასხვა ხერხით. ქვემოთ მოყვანილია ე.წ. „რისკზე დაფუძნებული აუდიტის" მეთოდოლოგია, რომელიც გამოიყენება საქართველოს ეროვნულ ბანკში:





- ✓ შეცდომა;
- ✓ არაკომპეტენტურობა;
- ✓ დაუდევრობა;
- ✓ დატაცება;
- ✓ გარეეკონომიკური და სხვა ფაქტორების ნეგატიური ზემოქმედება;
- ✓ თაღლითობა
- ✓ კორუფცია
- ✓ კანონის დარღვევა;
- ✓ კონფიდენციალური ინფორმაციის გაჟონვა;
- ✓ წესების დარღვევა;
- ✓ კომპიუტერულ ვისურსების შეღწევა სისტემაში.

კრისტალიზაცია

ფინანსური დანაკარგი, აწუ:

1) შეცდომის, დატაცების ან თაღლითობის შედეგად პროცესიდან, სფეროსა ან ოპერაციიდან მოსალოდნელ არსებითი დანაკარგის (ზარალს მიღება);

2) სფეროს, პროცესის ან ოპერაციების სირთულის გამო მოსალოდნელ არსებით დანაკარგის (ზარალს) მიღება;

3) გარენეგატიური ეკონომიკური და სხვა მაკროფაქტორების ზემოქმედებით მოსალოდნელ დანაკარგის მიღება.

რეპუტაციის შელახვა (მოსალოდნელ)

1) ხელშეკრულების, წესის ან კანონის დარღვევის შედეგად
2) კონფიდენციალური ინფორმაციის გაჟონვით;

4) საქართველოს ეროვნულ ბანკის პირითად ფუნქციის არასათანადოდ შესრულების ან ამ ფუნქციაზე ნეგატიურად ზემოქმედების შედეგად

ცდუნების რისკი (მოსალოდნელ)

1) კორუფციის შედეგად
2) მიუსაბების ან ქურდობის

გამო.

რაც შეეხება დანაკარგებს, როგორც წარმოდგენილი მაგალითიდან ჩანს, გამოიყო ორი სახის დანაკარგი - ფინანსური და რეპუტაციული, რომელთაც შეფასების მეთოდოლოგიის ობიექტურობის ზრდის გამო წინასწარ მიენიჭება არსებითობის წონა (პროცენტი), რომელთა არითმეტიკული ჯამი უდრის 100 პროცენტს.

(პროცენტი), რომელთა არითმეტიკული ჯამი უდრის 100 პროცენტს.

ცხრილი:

ფინანსური რისკი	30 მათ შორის:		
შეცდომის, ტტცეების ან თაღლითობის შედეგად პროცესის დ ხელის ან ოპერაციის მოსალოდნელ არსებით დანაკარგის (ზარალის) მილება	10		
სწორ, პრილის ან ოპერაციების ხარისხის გამო შესაძლ არსებით დანაკარგის (ზარალის) მილება	10		
კარე შეგაბერი ეკონომიკური დ სხვა დაქვემდებარების ზემოქმედებით მოსალოდნელ დანაკარგის მირება	10		
რეპუტაციული რისკი	50 მათ შორის:		
ხელშეკრულების, ნესის ან კანონის დარღვევის შედეგად	20		
კონფიდენციალური ინფორმაციის გაჟონვის შედეგად	20		
საკარმიდამო ეროვნულ ბანკის ძირითად ფუნქციის არასახარბიელოდ შესრულების ან ამ ფუნქციაზე შეგაბერად ზემოქმედების შედეგად			
ფულების რისკი	20 მათ შორის:		
კორუფციის შედეგად	10		
მოპოვისების ან ქურდობის გამო	10		

გარდა რისკის წყაროებისა და შედეგების შეფასებისა, რისკის შეფასების ახალი მეთოდოლოგია ბანკის კონკრეტულ სფეროს, პროცესსა თუ ოპერაციას აფასებს თითოეული მათგანის ცდუნების რისკთან დამოკიდებულებაში. ეს უკანასკნელი მით უფრო იზრდება, რაც უფრო იზრდება კონკრეტულ სფეროში დასაქმებული პირების შეხების ხარისხი სხვადასხვა პრეფერენციებსა და უფლებებთან, კონფიდენციალურ ინფორმაციასთან, ფულად ღირებულებებსა და ძვირფასეულობასთან.

ამ საწყისი ინფორმაციის საფუძველზე, შიდა აუდიტორული სამსახურის მიერ ხდება წინასწარ შერჩეული აუდიტის ცალკეული ობიექტების ზემოაღნიშნული რისკებისადმი დაქვემდებარების ხარისხის შეფასება. ამ მიზნით გამოიყენება ქულათა შემდეგი სისტემა:

ქულა	ინტერპრეტაცია
0	საქმიანობის ეს სფერო არ ექვემდებარება კონკრეტულ რისკს (ნულოვანი) რისკი.
1	საქმიანობის ეს სფერო მეტად დაბალ ხარისხით ექვემდებარება კონკრეტულ რისკს (დაბალ რისკი).
2	საქმიანობის ეს სფერო გარკვეულ ხარისხით ექვემდებარება კონკრეტულ რისკს (საშუალო რისკი).
3	საქმიანობის ეს სფერო არსებითად ექვემდებარება კონკრეტულ რისკს (მაღალ რისკი).

აღნიშნული მეთოდოლოგიით ფასდება ასევე ბანკის ცალკეული სფეროს, პროცესისა და ოპერაციების შიდა კონტროლის სისტემის ადეკვატურობის, ანუ ე.წ. „კონტროლის რისკი", რომლითაც განისაზღვრება ამ პროცესის, სფეროსა თუ ოპერაციის კონტროლის პროცედურების ეფექტიანობა. ამ დროს ძირითადად ეყრდნობიან წინა პერიოდის მონაცემებს, შიდა აუდიტის გამოცდილებას და ბანკის აუდიტის (როგორც შიდა, ისე გარე) ჩატარების შემდეგ მოპოვებულ ახალ ინფორმაციას. ამ შემთხვევაშიც გამოიყენება **არსებითობის წონის** კოეფიციენტები, რომელთა მნიშვნელობაც განისაზღვრება ქვემოთ მოყვანილ მაგალითში:

წინა გეგმიური შემოწმების შედეგები.	60
სხვა ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება კონკრეტულ სფეროს შიდა კონტროლს.	40

საბოლოო პროცედურებისას აუდიტის ყველა ობიექტს ენიჭება "რისკის რაოდენობრივი რეიტინგი". ამის შემდეგ ობიექტების ერთ რომელიმე აუდიტურ ციკლში მოქცევის მიზნით, პირობითად გამოიყოფა რეიტინგების რაოდენობრივი ზღვრები. ეს პროცედურა საკმარისია აუდიტის წლიური პროგრამის მოსამზადებლად.

პროგრამის შემუშავების დროს კიდევ დგინდება აუცილებელი ადამიანური, დროითი და ფინანსური რესურსების საჭიროების მოცულობა, რომელშიც, როგორც წესი, გათვალისწინებულია აუდიტის ხარჯის შესაბამისობა რისკის მნიშვნელობასთან. დაგეგმვის პროცესში ჩართული უნდა იყვნენ აუდიტორულ შემოწმებას დაქვემდებარებული დეპარტამენტების უფროსები, რათა საჭიროების შემთხვევაში დაადასტურონ აუდიტორების შეფასებები რისკთან დაკავშირებულ სფეროების მიმართ.

სასურველია, აუდიტის პროგრამაში გათვალისწინებულ იქნეს გარკვეული თავისუფალი დროითი და ადამიანური რეზერვები (მთლიანი მოცულობის დაახლოებით 10-15 პროცენტი) ორგანიზაციის ხელმძღვანელობის სპეციალური დავალებების შესასრულებლად.

შიდა აუდიტის სამსახურის ორგანიზაციული საქმიანობის პროცესის მართვა (კომპრეციული ბანკის მაგალითზე)

იმისათვის, რომ შიდა აუდიტის სამსახურმა ეფექტურად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები აუცილებელია აუდიტის პროცესის ოპტიმალურად ორგანიზება.

ყველაფერი იწყება შიდა აუდიტის მუშაობის დაგეგმვით. როგორც წესი, გეგმა კეთდება წლის დასაწყისში და მასში დეტალურად არის გაწერილი თუ რომელმა თანამშრომელმა, რა ეადებში რომელი სტრუქტურული ერთეული უნდა შეამოწმოს. შიდა აუდიტის სამსახურის შეზღუდული რესურსების პირობებში შეუძლებელია მთლიანად ყველა ოპერაციისა და პროცესის შემოწმება. აქედან გამომდინარე აუცილებელია მაქსიმალურად სარისკო პროცესების გამოცლენა.

დაგეგმარებისას აუცილებელია წინასწარ საკმაოდ დიდი მოსამზადებელი სამუშაოს ჩატარება. პირველ რიგში უნდა გამოიყოს ცალ-ცალკე ბანკში მიმდინარე პროცესები, შემდეგ ეს პროცესები უნდა იქნას შეწონილი დანაკარგების ალბათობის და არსებითობის მიხედვით. უნდა გაანალიზდეს ამ პროცესებში არსებული შიდა კონტროლის მექანიზმის ადექვატურობა. საბოლოო ჯამში გამოიყოფა ყველაზე მაღალი რისკის მატარებელი პროცესები. შიდა აუდიტის სამსხურის რესურსები პირველ რიგში უნდა იქნას მიმართული სწორედ ამ მაღალი რისკის მქონე პროცესების შესასწავლად. შიდა აუდიტის საქმიანობაში შედარებით ახალი ფუნქციაა – დისტანციური მონიტორინგი. ეს არის შიდა აუდიტის სამსახურის თანამშრომლების მიერ საბანკო ოპერაციების ყოველდღიური კონტროლი, სარიკსო და თაღლითური ოპერაციების გამოვლენის მიზნით. დისტანციური კონტროლის მოქმედი სქემის აწყობა ძალიან რთულია, თუმცა ის საშუალებას აძლებს შიდა აუდიტის სამსახურს ოპერატიულად გამოავლინოს საეჭვო გარიგებები და ოპერატიულად მოახდინოს მათზე რეაგირება. ეს თავის მხრივ ძლიერი პრევენციული საშუალებაა.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია აუდიტორული შემოწმების პროგრამის სწორად შედგენა. შემოწმების პროგრამა აკეთებს შემოწმების სტრუქტურიზებას და სტანდარტიზაციას. შიდა აუდიტის სამსახურის უფროსმა იცის თუ რას და რატომ ამოწმებენ მისი აუდიტორები. ასევე ნებისმიერ დროს შეიძლება იმის დასაბუთება თუ რატომ დასჭირდა შემოწმებას ამდენი დრო ან რატომ არ შემოწმდა ესა თუ ის კონკრეტული ოპერაცია.

აუდიტორული შემოწმების რეპორტი არის აუდიტის საქმიანობის საბოლოო შედეგი. არასწორად ფორმირებული რეპორტი ფაქტიურად არაეფექტურს ხდის მთლიანად შიდა აუდიტის სამსახურს. რეპორტის მომხმარებელი არის როგორც ბანკის უმაღლესი მენეჯმენტი ისე შემოწმებული სტრუქტურული ერთეული. აქედან გამომდინარე, რეპორტი უნდა იყოს დაწერილი გასაგები ენით, იყოს საკმაოდ დეტალური და ამავდროულად საკმაოდ ზოგადი. ამის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ რეპორტის ორ ნაწილად - დასკვნებად და დანართებად დაყოფის შემთხვევაში.

არანაკლებ მნიშვნელოვანია აუდიტორული შემოწმების შედეგად მიცემული რეკომენდაციების შესრულებაზე კონტროლი. იმისათვის, რომ რეკომენდაცია შესრულდეს, აუცილებელია თვითონ რეკომენდაცია იყოს გასაგები, შესრულებადი, საკმაოდ კონკრეტული. ჰყავდეს პასუხისმგებელი შემსრულებელი და ჰქონდეს შესრულების კონტკრეტული ვადა. აუცილებელია მუშაობის სქემის ისე აწყობა, რომ უშუალოდ შემსრულებელს დაეკალოს რეკომენდაციების შესრულება მისი ხელმძღვანელობის მიერ და ასევე ცალსახად განისაზღვროს რეკომენდაციის შესრულების კონტროლზე პასუხისმგებელი პირი.

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი პროცესების ეფექტურად წაძღოლა არის წინაპირობა შიდა აუდიტის სამსახურის ეფექტურად ფუნქციონირებისა. შიდა აუდიტის სამსახური თანამედროვე ქართულ ბანკში უნდა იყოს მუდმივად განვითარებადი და ინოვაციების დანერგვისკენ მიმართული. მხოლოდ ესეა შესაძლებელი ბანკების დაცვა მათ წინაშე მდგარი რისკებისგან.


შიდა აუდიტის სამსახურის აღნიშნული ფუნქციების და მოეალეობების შესასრულებლად აუცილებელია ცალსახად განისაზღვროს შიდა აუდიტის სამსახურის სტა-

ტუსი და დაქვემდებარება მთლიანად ბანკის სტრუქტურაში. ეს სტატუსი ცალსახად განსაზღვრულია ეროვნული ბანკის შესაბამისი ნორმატივებით.

იერარქიული სტუქტურის უკეთ გასაგებად და მასში შიდა აუდიტის სამსახურის ადგილის საჩვენებლად, ქვემოთ მოყვანილია ერთ-ერთი ქართული ბანკის იერარქიული სტრუქტურის მაგალითი.

რეალურად ნებისმიერი ქართული ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურა გაცილებით რთული და კომპლექსურია.

ქართული კომერციული ბანკის შესაძლო იერარქიული სტრუქტურა



როგორც იერარქიული სტრუქტურიდან ჩანს, შიდა აუდიტის სამსახური სრულიად დამოუკიდებელია გენერალური დირექტორისა და დირექტორთა საბჭოსგან, რაც უზრუნველყოფს მის ოპტიმალურ ფუნქციონირებას.

შიდა აუდიტის სამსახურის ეფექტურად ფუნქციონირებისათვის ასევე აუცილებელია თვითონ სამსახურის ოპტიმალური სტრუქტურის განსაზღვრა.

შიდა აუდიტის სამსახურის სტრუქტურა არ არის ცალსახად რეგლამენტირებული, რომელიმე ზედამხედველი ორგანოს მიერ. არსებობს ასეთი სტრუქტურის მრავალი ვარიანტი. ფაქტიურად ყველა ქართულ ბანკს აქვს ერთმანეთისგან განსხვავებული სტრუქტურები.

შიდა აუდიტის სამსახურის იერარქიული სტრუქტურა დამოკიდებულია:

- მიზნებზე, რომლის მიღწევაც სურს შიდა აუდიტის სამსახურს;
- სამსახურის თანამშრომლების რაოდენობაზე;
- სამსახურის თანამშრომლების კვალიფიკაციაზე.


როგორც წესი, შედარებით პატარა აუდიტის სამსახურებში მუშაობენ უნივერსალური აუდიტორები, რომლებსაც შეუძლიათ ბანკის მრავალი სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის შემოწმება. შედარებით დიდ სამსახურებში კი, როგორც წესი, მუშაობენ რომელიმე კონკრეტულ საკითხზე სპეციალიზებული აუდიტორები.

მთლიანად ყველა საბანკო ოპერაციის შემოწმება და ყველა პროცესის მუდმივად კონტროლი შეუძლებელია. ასეთ შემთხვევებში ბანკის თითოეულ თანამშრომელს უნდა ჰყავდეს ერთი აუდიტორი, რაც ეკონომიკურად არაეფექტურ და წამგებიან პროცედურად გვევლინება.

რეალურად შიდა აუდიტის სამსახურის თანამშრომლების რაოდენობა შეადგენს ბანკის თანამშრომლების რაოდენობს დაახლოებით 1%-ს. ეს მაჩვენებელი რა თქმა უნდა განსხვავებულია სხვადასხვა ბანკებისთვის.

ქვემოთ მოცემულია საშუალო ზომის შიდა აუდიტის სამსახურის ერთ-ერთი ეფექტური სტრუქტურის მაგალითი.

შიდა აუდიტის სამსახურის სტრუქტურა



ლოგიკურად რომ ვიმსჯელოთ, შიდა აუდიტის სამსახურს შეუძლია გააკონტროლის საბანკო ოპერაციების მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი. ასეთ პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სარისკო პროცესების სწორად გამოელენას და შიდა აუდიტის სამსახურის რესურსების სწორად გამოყენებას.

შიდა აუდიტის სამსახურის ეფექტური მუშაობისთვის აუცილებელია მთლიანად შიდა აუდიტის საქმიანობის პროცესის სწორად ორგანიზება. როგორც წესი ეს პროცესი შედგება შემდეგი ნაწილებისგან:

- დაგეგმვა;
- დისტანციური მონიტორინგი;
- შემოწმების პროგრამის შედგენა;
- შემოწმების ჩატარება;
- შემოწმების აქტის გაფორმება;
- მიცემული რეკომენდაციების შესრულებაზე კონტროლი;
- ყოველკვარტალური და წლიური ანგარიშგება;

ყველა ეს პროცესი ძალიან მნიშვნელოვანია. ფაქტიურად მხოლოდ ამ პროცესების ერთმანეთში შერწყმითაა შესაძლებელი ეფექტური შიდა აუდიტის სამსახურის ჩამოყალიბება. ჩვენ თითოეული ზემოთ აღნიშნული პროცესის ყველა შემადგენელ ნაწილს უფრო დეტალურად შევეხებით და აღვწერთ.

როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, შიდა აუდიტის სამსახურის მუშაობის დაგეგმვა შიდა აუდიტორული საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია, რადგანაც სწორ დაგეგმაზეა დაფუძნებული შემდგომი აუდიტორული პროცესის განხორციელება და სწორი ფუნქციონირება.

როგორც წესი გეგმა დგება წლის დასაწყისში. მასში გაწერილია 6 თვის ან 1 წლის სამოქმედო პროგრამა. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია გეგმის კორექტირება.

გეგმის შედგენისას არ არის აუცილებელი წინასწარ გაიწეროს ყველა შესამოწმებელი სტრუქტურული ერთეული. პირიქით, შიდა აუდიტის სამსახურმა უნდა დაიტოვოს თავისუფალი ადამიანური რესურსი რათა ჩაატაროს მოულოდნელი შემოწმებები, რომელთა წინასწარ დაგეგმვაც ფაქტიურად შეუძლებელია.

საქართველოში გამოიყენება აუდიტორული საქმიანობის **დაგეგმვის** ორი ძირითადი პრინციპი:

პირველი პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ იღებენ ბანკის ფილიალების და სხვა სტრუქტურული ერთეულების რაოდენობას და გეგმას იმის მიხედვით ადგენენ, რომ ყველა სტრუქტურული ერთეულის მუშაობა 1 ან მაქსიმუმ 2 წელიწადში ერთხელ მაინც შემოწმდეს. ეს პრინციპი შედარებით მარტივია და არაეფექტური. ასეთი დაგეგმარება ეფექტურია შედარებით პატარა მასშტაბების მქონე ორგანიზაციებში, რომლებიც შედგება მაქსიმუმ 20-25 ფილიალისგან.

შედარებით დიდ ორგანიზაციებში იგივე მეთოდის გამოყენება არაეფექტურია, რადგან მოითხოვს ბევრად მეტი ადამიანური რესურსების გამოყენებას.

დიდი ორგანიზაციები (დღევანდელ ქართულ რეალობაში კი არიან ბანკები, რომელთა ქსელი 50 ფილიალს აჭარბებს) გამოყენება ალტერნატიული მიდგომა, რომელიც დაფუძნებულია ბანკში მიმდინარე პროცესების **ანალიზზე** და მათი **რისკების** მიხედვით **შეწონვაზე**. ჩვენ ამ მეთოდს უფრო დეტალურად განვიხილავთ. პროცესების რისკის მიხედვით შეწონვისთვის, პირველ რიგში უნდა დაეყოთ ბანკში მიმდინარე პროცესები სხვადასხვა ჯგუფებად.

საქართველოს კომერციული ბანკების უმეტესობაში გამოიყოფა შემდეგი პროცესები:

1) **საკრედიტო საქმიანობა** – ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროცესია, რომელიც ბანკის **აქტივების** 60%-დან 90%-მდე შეადგენს.

საკრედიტო საქმიანობა თავის მხრივ იყოფა:

- კორპორატიული კლიენტების დაკრედიტება;
- საშუალო საწარმოების დაკრედიტება;
- მცირე ბიზნესების დაკრედიტება;
- ფიზიკური პირების საცალო დაკრედიტება;

2) **საოპერაციო საქმიანობა** – ეს პროცესი საკმაოდ მრავალისმომცველია და საკმაოდ მაღალ საოპერაციო რისკებთან არის დაკავშირებული.

საოპერაციო საქმიანობა თავის მხრივ იყოფა:

- დეპოზიტებად;
  საველუტო გაცვლით ოპერაციებად;
  უნაღდო ანგარიშსწორებად;

პლასტიკურ ბარათებად;
ანგარიშების გახსნა-დახურვად;

- სწრაფ გზავნილებად;
- საშემნახველო სეიფებად.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი პროცესებისა, რომლებიც უშუალოდ კლიენტურის მომსახურებას ეხება, ბანკში არის მთელი რიგი სათაოს ფუნქციები და ე. წ. „ბექ ოფისური" პროცესები, რომლებიც თავის მხრივ ძალიან მნიშვნელოვანია და შესაბამისად მაღალი რისკის მატარებელი. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ, ხაზინის მიერ წარმოებული ოპერაციები, რომლებსაც არ აქვთ უშუალო შეხება ბანკის კლიენტურასთან, მაგრამ ამავდროულად საკმაოდ **რისკის** მატარებელია, რაც თავის მხრივ ძალიან მნიშვნელოვანია, მითუმეტეს დღევანდელ არასტაბილურ ეკონომიკურ ვითარებაში.

აუცილებლად გასათვალისწინებელია მაღალი რისკის სფეროებში შიდა კონტროლის მექანიზმის ადეკვატურობა. თუმცა, ეს არ არის მარტივი. ამისათვის აუცილებელია შიდა აუდიტის სამსახურმა გააანალიზოს თუ რა კონტროლის მექანიზმები აქვს შემუშავებული ბანკს არსებული რისკებისგან დასაცავად.

დაგეგმვის ეტაპზე შიდა კონტროლის სისტემის ანალიზის ერთ-ერთი ეფექტური და ხშირად გამოყენებადი საშუალებაა **კითხვარების** შევსება. მსგავსი კითხვარი მოიცავს ყველა იმ სარისკო მომენტს, რომელიც შიდა აუდიტის სამსახურმა გამოავლინა შემომწმებების დაგეგმვის წინა ეტაპებზე. ამასთან შესამოწმებელი ობიექტი ვალდებულია უპასუხოს კითხვარში დასმულ შეკითხვებს. მისი პასუხებიდან გამომდინარე შიდა აუდიტის სამსახური უკვე საბოლოოდ განსაზღვრავს შესასწავლ სფეროში რისკის მოცულობას.

ქვემოთ მოყვანილია ბანკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სფეროს კორპორატიული დაკრედიტების დეპარტამენტის კითხვარის მაგალითი. (იხ.ცხ.2.1)

ცხრილი 2.1 კორპორატიული დაკრედიტების დეპარტამენტის კითხვარი

I.	რა არის სამსახურის ძირითადი ფუნქციები და მოვალეობები? რომელია განყოფილების ადგილი ბანკის ორგანიზაციულ სტრუქტურაში?	
II.	დამოკიდებულება ფილიალებთან? აქვს თუ არა განყოფილებას ზემოქმედება ფილიალის საქმიანობაზე? შეუძლია თუ არა, მაგალითად პირდაპირი მითითება მისცეს ფილიალის ხელმძღვანელობას? თუ არა, რაშია რა სახით ხდება ურთიერთობა ფილიალსა და სათაოს შორის კორპორატიული დაკრედიტების კუთხით?	
III.	რა შიდა და გარე ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე ახორციელებს სამსახური თავის საქმიანობას? არსებობს თუ არა რაიმე სტანდარტიზებული სახელმძღვანელო (მაგ. მოდელა-ზარალის უწყისი ან ბალანსი)? თუ არსებობს ეს დოკუმენტი, ერთნაირია ყველა ფილიალისთვის თუ არა? ვინ არის პასუხისმგებელი აღნიშნული დოკუმენტის მომზადებასა და დამტკიცებაზე?	
IV.	საკვანძო პოლიტიკა - რომელ ხდება განყოფილების კადრების დაკომპლექტება? რა მინიმალურ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს თანამშრომელი, იმისათვის რომ შესაძლებელი იყოს მისი აყვანა კორპორატიულ დაკრედიტების განყოფილებაში? როგორია არსებული კადრების კვალიფიკაცია და აკმაყოფილებენ თუ არა ისინი მინიმალურ მოთხოვნებს? რომელია განყოფილებაში საჭიროსი სტრუქტურა და შეესაბამება თუ არა ეს სტრუქტურა მაზარეზე არსებულ სახელმძღვანელო განაკვეთებს? რამდენად მაღალია კვალიფიციური კადრების დატოვების რისკი?	
V.	საკრედიტო პროდუქტები - რა ძირითადი საკრედიტო პროდუქტები არის ბაზარზე კორპორატიული დაკრედიტების კუთხით? არსებობს თუ არა ამ პროდუქტების დამტკიცებული აღწერილობები? ვინ არის პასუხისმგებელი ახალი საკრედიტო პროდუქტების შემუშავებასა და მათ დანერგვაზე? ვის აქვს უფლება დამტკიცოს ახალი საკრედიტო პროდუქტი	

	ან დაშვებას პროდუქტიდან გამომდინარე? რამდენად მართებული არიან ფილიალი პროდუქტის შეფუთვასა და არსებული პროდუქტების დახვეწაში?	
VI.	რის მიხედვით არის გამიჯნული ერთმანეთისგან ცალკე და საშუალო პიროვნებები? არსებობს თუ არა დაფასადად ჩამოყალიბებული სტანდარტები - იც რომელი კლიენტი ითვლება კონკრეტულად და რომელი არა?	
VII.	ხასიათის ფუნქციებში შედის თუ არა ხარისხიანი პროდუქტების გაყიდვა, თუ მხოლოდ საკრედიტო პროდუქტებზე მუშაობენ? თუ შედის, მაშინ რა პროდუქტებზეა საუბარი და არსებობს თუ არა მათ აღწერილობა?	
VIII.	ფილიალში საკრედიტო პროცესების აღწერა. 1. ვინ ამუშავებს ხელისს? 2. ხავალხებელია თუ არა მსესხებლის პიროვნების წარმოების ადგილის და უძრავიქონების გირავნობით დათალიერება? 3. რა ხდება, როდესაც კლიენტს აქვს არარეალური ან არასწორი ფინანსური ანგარიშგება? 4. ვინ აფასებს ხელისის უძრავიქონებას? შეფასებასთან დაკავშირებით იქმნება თუ არა რაიმე დოკუმენტი? 5. რის ხანგრძლივ ხდება ხელისის საპროცენტო განაკვეთის შეხახებ გადაწყვეტილების მიღება? არსებობს თუ არა რაიმე გაწერილი კრიტერიუმები? 6. ვინ აფორმებს ხელისის გაცემასთან დაკავშირებულ იურიდიულ ხელშეკრულებებს და ვინ ამოწმებს მათ სისწორეს? 7. ვინ ამოწმებს ფინანსური ანალიზის დროს და დასრულებს? 8. არის თუ არა ფილიალი პასუხისმგებელი წარმოდგენილ ინფორმაციის სისწორეზე? 9. ვინ აბრკოლებს ხელხებს? არსებობს თუ არა რაიმე დელეგირების ლიმიტები? 10. ვინ ირგანიზაციაში? რა ხარეთის ხანგრძლივობით? 11. ვინ აკეთებს გადარიცხვების ავტორიზაციას? რა ხარეთის ხანგრძლივობით? ვინ გასცემს თანხას და რა ხარეთის ხანგრძლივობით? 13. ვინ აკეთებს ხელხების მონიტორინგს? რა სახის მონიტორინგები არსებობს და რა შემთხვევაში ტარდება იგი (ფინანსური, უძრავიქონების)? 14. რამდენად ფუნქციურად ხდება მონიტორინგის დროს მსესხებლის ფინანსური ანგარიშგების შესწავლა? 15. ვინ ამოწმებს მონიტორინგის ჩატარების ფაქტს? ხდება თუ არა მონიტორინგის შედეგების რაიმე ხახით განხილვა და თუ ხდება, ვინ მიერ? 16. ვინ იღებს გადაწყვეტილებებს ხელხის პროლონგირების ან რესტრუქტურიზაციის შესახებ? ახალ შემთხვევაში თავიდან ტარდება თუ არა ფინანსური ანალიზი და ხდება თუ არა უძრავიქონების შეფასება? 17. რის მიხედვით ხდება ხელხის მესაძღვ დანაკარგების რეზერვის განსაზღვრა? 18. ვინ იღებს გადაწყვეტილებას ხელხის ჩამოწერაზე ან პროლენტის დარიცხვის გაჩერებაზე? რა შემთხვევაში ხდება ახალი გადაწყვეტილების მიღება? 19. საკრედიტო პროცესი ოპერაციული თუ ქაღალდზე? თუ არა, მაშინ რა განსხვავებები არსებობს?	
I.	რაოდენა აკრედიტების დამტკიცების პროცესი? ანუ ვისთან მიდის კლიენტი, ვინ აბეშვებს მის მოხოდნას? რა ხარეთში ითხოვენ? ვინ ამოწმებს ხარეთის ხისწორეს? ვის იღებს	

	გადწყვეტილებას? რა რილ აქვს ხათის დ ფილიალს? აუდიტორსა თუ არა, რომ კლიენტს ანგარიშზე ჭარბად დებეტირებული თანხა, თუ შესაძლებელია სესხის გაცემა? როგორია პროცესი ორივე შემთხვევაში?	
II.	რა სახით ხდება არსებულ აკრედიტივების აღრიცხვა? ვის შეუძლია აკრედიტივები ბანკის საოპერაციო დღის პროგრამაში? ვინ უფლებს ავტორიზაციას? ხდება თუ არა აკრედიტივების დაზღვევა? თუ ხდება რის მიხედვით განისაზღვრება შესაძლო დანაკარგების რეზერვის ოდენობა?	
III.	რა ძირითად პრობლემები აქვს განხორციელებას აკრედიტივის გაცემის პროცესში?	
3	*ფილიალის გარანტიების განხორციელება*	
I.	როგორია გარანტიების დამტკიცების პროცესი? ანუ ვისთან მიდის კლიენტი, ვინ ამუშავებს მის მოთხოვნას? რა საბუთებს ითხოვენ? ვინ ამოწმებს საბუთების სისწორეს? ვინ იღებს გადწყვეტილებას? რა რილ აქვს ხათის დ ფილიალს? აუდიტორსა თუ არა, რომ კლიენტს ანგარიშზე ჭარბად დებეტირებული თანხა, თუ შესაძლებელია სესხის გაცემა? როგორია პროცესი ორივე შემთხვევაში?	
II.	რა სახით ხდება არსებული გარანტიების აღრიცხვა? ვის შეუძლია გარანტიები ბანკის საოპერაციო დღის პროგრამაში? ვინ უფლებს ავტორიზაციას? ხდება თუ არა გარანტიების დაზღვევა? თუ ხდება რის მიხედვით განისაზღვრება შესაძლო დანაკარგების რეზერვის ოდენობა?	
III.	თუ ბანკს მოუხდა გარანტიის აწაზღაურება, მაშინ რა ზომებს მიმართავს ბანკი? თანხის დაბრუნების რა ვერიანტები გააჩნია მას?	
IV.	რა ძირითად პრობლემები აქვს განხორციელებას გარანტიების გაცემის პროცესში?	

რა თქმა უნდა ზემოთ მოყვანილია მხოლოდ კითხვარის **შემოკლებული** ვერსია. მთლიანად პროცესის აღსაწერად აუცილებელია გაცილებით მეტი ინფორმაციის მოპოვება.

პროცესების რისკების მიხედვით შეწონის და რისკის დაზღვევის ფაქტორების გათვალისწინების შემდეგ შიდა აუდიტის სამსახურმა უნდა განსაზღვროს თუ რა მოცულობის სამუშაოს ჩატარებაა შესაძლებელი მის ხელთ არსებული დროითი თუ ადამიანური რესურსების გათვალისწინებით და ამის შემდეგ შეამოწმოს ბანკისათვის ყველაზე მაღალი რისკის მატარებელი პროცესები.

შიდა აუდიტის გეგმა აუცილებლად უნდა გაიწეროს თითოეული აუდიტორის ჭრილში და მისი შედგენისას შედგენისას უნდა იქნეს გათვალისწინებული წინა პერიოდების აუდიტორული შემოწმების შედეგებიც. შიდა აუდიტის სამსახურის სამუშაო გეგმა ასევე აუცილებლად უნდა მოიცავდეს წინა შემოწმებების დროს მიცემული რეკომენდაციების შესრულების გადამოწმებას.

როგორც უკვე აღინიშნა, შიდა აუდიტის სამსახურის მუშაობის დაგეგმვა ერთერთი ყველაზე რთული, შრომატევადი და ამავდროულად მნიშვნელოვანი პროცესია. მხოლოდ სწორი დაგეგმვის შემთხვევაშია შესაძლებელი შიდა აუდიტის სამსახურის ხელთ არსებული მინიმალური რესურსების საშუალებით მაქსიმალური შედეგის მიღწევა. ამისათვის აუცილებელია:

1. ბანკის საქმიანობის პროცესებად დაყოფა და თითოეულის შესწავლა;
2. თითოეული პროცესის რისკის მიხედვით შეწონა;
3. ბანკის მიერ შექმნილი შიდა კონტროლის მექანიზმის შესწავლა;
4. საბოლოოდ მაღალი რისკის სეგმენტების გამოვლენა და მათ შესასწავლად შიდა აუდიტის სამსახურის რესურსების მიმართვა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, შიდა აუდიტის სამსახურში, როგორც წესი მუშაობს მთელი ბანკის თანამშრომლების დაახლოებით 1%. ამასთან ბანკის მიერ ჩატარებული ოპერაციების რაოდენობა ძალიან დიდია და დღის განმავლობაში რამოდენიმე ათეულ ათასს აღწევს. დიდ ბანკებში კი ეს ციფრი გაცილებით დიდია. აქედან გამომდინარე ფაქტიურად შეუძლებელია, რომ შიდა აუდიტის სამსახურმა აკონტროლოს ბანკის მიერ ჩატარებული ყველა ოპერაცია.

ხშირ შემთხვევაში მაღალი რისკის მქონე პროცესების საკონტროლებლად არ არის საკმარისი მხოლოდ წელიწადში ერთხელ ჩატარებული აუდიტორული შემოწმებები. ეს პროცესები აუცილებლად საჭიროებენ მუდმივ მონიტორინგს.

სწორედ დისტანციური მონიტორინგი არის ის მუდმივი კონტროლის მექანიზმი რომელიც აქვს შიდა აუდიტის სამსახურს. ანუ შიდა აუდიტის სამსახური თავისი ოფისიდან გამოუსელელად ყოველდღიურად ან რაიმე პერიოდულობით აკონტროლებს სარისკო ოპერაციებს და რაიმე ანომალიის გამოვლენის შემთხვევაში ახდენს სწრაფ რეაგირებას.

ისმის კითხვა, რას იკვლევს შიდა აუდიტის სამსახური დისტანციური მონიტორინგის დროს? პასუხი მარტივია – პირველ რიგში თაღლითურ ოპერაციებს და განსაკუთრებით ბანკის თანამშრომლების მიერ ჩადენილ **თაღლითურ ოპერაციებს**. თუმცა დისტანციური მონიტორინგის მიზანი არ არის პირდაპირ თაღლითური ოპერაციის გამოვლენა. მისი მიზანია შიდა აუდიტის სამსახურს მისცემს მინიშნება თუ სად და რომელი ოპერაციები შეიძლება იყოს თაღლითური.

დისტანციური მონიტორინგი პირველ რიგში აკეირდება მასიურ პროდუქტებს, სადაც, როგორც წესი, კლიენტურის დიდი რაოდენობის გამო დაბალია კონტროლის შესაძლებლობა.

ასეთ მაღალი რისკის ოპერაციებს განეკუთვნება:

1. ოპერაციები პლასტიკური ბარათებით;
2. ოპერაციები სალაროში;
3. სამომხმარებლო სესხები;
4. იპოთეკური სესხები;
5. განაღდებები;
6. ოვერდრაფტები მიმდინარე ანგარიშებზე;
7. ლომბარდული სესხები;
8. ოპერაციები ბანკის თანამშრომლების ანგარიშებზე;
9. ოპერაციები კლიენტთა მიმდინარე ანგარიშებზე.

ამ ოპერაციებზე არსებობს მრავალი თაღლითობის შესაძლებლობა, თუმცა ყველაზე გავრცელებულია რამდენიმე სახის თაღლითობა, კერძოდ:

1. პლასტიკურ ბარათის პინ კოდის მითვისება და კლიენტის თანხების მოხსნა;
2. პლასტიკური ბარათების ინტერნეტით გადახდის კოდის მითვისება და ინტერნეტით კლიენტის სახელით პროდუქციის ყიდვა;
3. სალაროში არსებული თანხების მითვისება;
4. სამომხმარებლო სესხების სხვის სახელზე გაფორმება და რეალურად საკმაოდ დიდი თანხების მითვისება;
5. სესხის გაცემიდან წილის აღება;
6. ფინანსური პირამიდების აგება;
7. ლომბარდული სესხების შემთხვევაში გირაოს საგნის გამოცვლა ან შეგნებულად არასწორად შეფასება;
8. ანგარიშებზე არაავტორიზებული ოვერდრაფტების დაშვება;
9. კლიენტთა მიმდინარე ანგარიშებიდან დროებით თანხის მითვისება (განსაკუთრებით დეპოზიტებიდან და უმოძრაო ანგარიშებიდან) და ფინანსური პირამიდის აგება, მაგრამ თუ ოპერაციების მოცულობა იმდენად დიდია, ისმის კითხვა, როგორ არის შესაძლებელი. რომ შიდა აუდიტის სამსახურმა ოფისიდან გაუსვლელად აკონტროლოს ეს ოპერაციები? პასუხი აქაც მარტივია. ყველა ზემოთ ჩამოთვლილ თაღლითურ ოპერაციას აქვს თავისი დამახასიათებელი ნიშნები. მაგალითად, როდესაც სესხები ერთი ადამიანის ნაცვლად გადის რამდენიმე ადამიანზე, როგორც წესი ამ სესხების გადახდას ახორციელებს ერთი ადამიანი. თუ დაიჭერთ ასეთ გადახდებს ძალიან მაღალია ალბათობა, რომ საქმე გვაქვს თაღლითურ ოპერაციასთან.

შიდა აუდიტის სამსახური, მის მიერ შექმნილი პროგრამული ფილტრების საშუალებით ახდენს საეჭვო ოპერაციების იდენტიფიცირებას და შემდგომ რეაგირებას.

თაღლითული ოპერაციების დამახასიათებელი ნიშნები და მათი პოვნის გზები საკმაოდ განსახვავებულია ერთმანეთისგან. როგორც წესი ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ ოპერაციებს, რომლებიც ანალოგიურ ოპერაციათა დიდი მასივიდან

გამოირჩეიან რაიმე პარამეტრებით. დიდია ალბათობა, რომ სწორედ ეს ოპერაცია წარმოადგენს თაღლითურ ოპერაციას.

როგორც წესი, ამ რისკებს უნდა აკონტროლებდნენ თვითონ დეპარტამენტები, თუმცა ქართულ რეალობაში ხშირ შემთხვევაში ეს კონტროლის მექანიზმი არ არსებობს. რის გამოც შიდა აუდიტის სამსახურს უწევს ამ ფუნქციის შეთავსება.

შიდა აუდიტის სამსახურის მიერ დისტანციური კონტროლის საშუალებით საეჭვო ოპერაციების გამოვლენის შემთხვევაში შესაძლებელია იყოს რამდენიმე სახის რეაგირება:

1. ფილიალიდან ოპერაციის დამადასტურებელი საბუთების დედნების მოთხოვნა;
2. ადგილზე გასვლა და მოულოდნელი შემოწმება.

ნებისმიერ შემთხვევაში, რეაგირება ხდება დაუყოვნებლივ და ეჭვის დადასტურების შემთხვევაში შემოწმების შედეგები დაუყოვნებლივ წარედგინება ბანკის მენეჯმენტს.

დისტანციური მონიტორინგის შედეგები. დისტანციურ კონტროლს აქვს რამდენიმე დადებითი მხარე:

1. ის იძლება საშუალებას გაანალიზდეს დიდი რაოდენობის ინფორმაცია საკმაოდ მოკლე დროში;
2. ბანკის ყველა თანამშრომელმა იცის, რომ მათ მუშაობას მუდმივად აკვირდებიან. ეს კი თავის მხრივ, მნიშვნელოვნად ამცირებს მათ მიერ თაღლითური ოპერაციების ჩატარების რისკს;
3. შესაძლებელია თაღლითური ოპერაციების დროული იდენტიფიცირება, სანამ ამ ოპერაციებმა მიიღო დიდი მასშტაბი. ეს კი თავის მხრივ ახდენს ბანკის დანაკარგების მინიმიზებას.

ამრიგად, დისტანციური კონტროლი შიდა აუდიტის სამსახურის ფუნქციონირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. მისი კარგად აწყობა საკმაოდ ძნელია, რადგან მოითხოვს ბანკის მიერ წარმოებული ოპერაციების და შესაძლო თაღლითური ოპერაციების ზედმიწევნით ცოდნას. გარდა ამისა, აუცილებელია ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის ჩართვა, რათა შესაძლებელი გახდეს ინფორმაციის დიდი მასივების ეფექტურად გაანალიზება. საბოლოო ჯამში დისტანციურ მონიტორინგი არის ის მექანიზმი შიდა აუდიტის სამსახურისთვის, რომელიც მას საშუალებას აძლევს ოპერატიულად მოახდინოს რისკების იდენტიფიცირება და ბანკის შესაძლო დანაკარგების მინიმიზება.

დისტანციური მონიტორინგი ასევე აუცილებელია ეფექტური შემოწმების პროგრამის შესამუშავებლად. იმისათვის, რომ აუდიტორული შემოწმება მაქსიმალურად ეფექტურად წარიმართოს აუცილებელია მისთვის წინასწარ მომზადება. გარდა ამისა, დროის ოპტიმალურად გამოსაყენებლად აუდიტორმა წინასწარ უნდა იცოდეს თუ რა შეამოწმოს და როგორ. აქედან გამომდინარე აუცილებელია ამ ყველაფრის აუდიტორული შემოწმების პროგრამაში თაემოყრა.

ფაქტიურად შემოწმების **პროგრამა** აკეთებს შემოწმების სტრუქტურიზებას და სტანდარტიზაციას. შიდა აუდიტის სამსახურის უფროსმა იცის თუ რას და რატომ ამოწმებენ მისი აუდიტორები. ასევე ნებისმიერ დროს შეიძლება იმის დასაბუთება თუ რატომ დასჭირდა შემოწმებას ამდენი დრო, ან რატომ არ შემოწმდა ესა თუ ის კონკრეტული სესხი.

ფაქტიურად ნებისმიერ დროს არსებობს რისკი იმისა, რომ აუდიტორის შერჩევაში არ მოყვება რაიმე პრობლემატური საკითხი. კარგი შემოწმების პროგრამაში სჩანს თუ რატომ შეარჩია აუდიტორმა ესა თუ ის საკითხი. შესაბამისად შემოწმების პროგრამა აუდიტორისთვის გარკვეულწილად დაცვის მექანიზმიცაა.

ფაქტიურად შემოწმების პროგრამა უზრუნველყოფს მთლიანად შემოწმების პროცესის გამჭვირვალობას.

შემოწმების პროგრამა უნდა შედგებოდეს შემდეგი ნაწილებისგან:

1. შესამოწმებელი საკითხების ჩამონათვალი;
2. ნორმატიული დოკუმენტების ჩამონათვალი, რომლის მიხედვითაც უნდა შემოწმდეს სტუქტურული ერთეული;
3. კონკრეტული ოპერაციების/საბუთების შერჩევის კრიტერიუმები;
4. შერჩეული ოპერაციების/საბუთების ჩამონათვალი;

5. იმ ადამიანის სახელსა და გვარს, ვინც დაამტკიცა შემოწმების პროგრამა (როგორც წესი ეს არის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი);

6. კონტრეტული საკითხის შემოწმებაზე პასუხისმგებელ აუდიტორს/ აუდიტორებს;

7. შენიშვნას გეგმის შესრულების შესახებ.

ასეთი პრინციპით შექმნილ შემოწმების პროგრამას აქვს ბევრი **დადებითი** მხარე, კერძოდ:

1. ცალსახად გამიჯნულია სხვადასხვა აუდიტორების პასუხისმგებლობა სხვადასხვა საკითხების შემოწმებასთან დაკავშირებით;

2. ცალსახად გამოყოფილია თუ რა უნდა შეამოწმოს აუდიტორმა;

3. აუდიტორი აკეთებს შენიშვნას იმის შესახებ, შეამოწმა თუ არა ესა თუ ის საკითხი, რაც ფაქტიურად გამორიცხავს რომელიმე მნიშვნელოვანი საკითხის არშემოწმებას;

4. ცალსახად განსაზღვრულია შესამოწმებელი ოპერაციების და საბუთების შერჩევის კრიტერიუმები;

5. წარმოდგენილია ნორმატიული ბაზა, რომლის მიხედვითაც უნდა ჩატარდეს შემოწმება. ეს კარგია როგორც აუდიტორისთვის, ისე ბანკის ფილიალებისთვის. ფაქტიურად ნებისმიერ დროს თუკი აუდიტორს რაიმე დააეჭვებდა მას შეუძლია ჩაიხედოს შემომწების პროგრამაში და ნახოს თუ სად უნდა მოძებნოს მისთვის საჭირველი ინფორმაცია. ფილიალმა კი შეიძლება სულ არ იცოდეს რომელიმე ნორმატიული დოკუმენტის არსებობის შესახებ (და ეს არც თუ ისე იშვიათია). ანუ შემოწმების პროგრამა ფაილისთვის არის ახალი ინფორმაციის მიღების წყარო;

ფაქტიურად ასეთი ტიპის შემოწმების პროგრამა უზრუნველყოფს აუდიტორული შემოწმების გამჭვირვალობას და სტანდარტიზაციას. სტანდარტიზაცია თავის მხრივ ზრდის შემოწმების ხარისხს და სხვადასხვა შემოწმების შედეგების შედარების საშუალებას იძლევა.

მიუხედავად ყველა დადებითი მხარისა, შემოწმების განახლების პროგრამას აქვს ერთი მნიშვნელოვანი ნაკლი. ის ასე ეთქვათ „აზარმაცებს" აუდიტორს. ფაქტიურად აუდიტორი მიყვება პროგრამას და არ ფიქრობს ინოვაციების შემოტანაზე. არადა ასეთი ტემპებით განვითარებად ქართულ საბანკო სისტემაში, ინოვაციური აზროვნების გარეშე ეფექტურად ფუნქციონირება შეუძლებელია.

აქედან გამომდინარე აუცილებელია შემოწმების პროგრამების შაბლონების ხშირად გადახედვა და განახლება. ამასთან, ამ პროცესში აუცილებლად უნდა იყვნენ ჩართული ის აუდიტორები, რომლებიც უშუალო მონაწილეობას იღებენ ამა თუ იმ სტრუქტურული ერთეულის შემოწმებაში არსებითია თუ აუდიტორული შემოწმების პროგრამის გადახედვა მოხდება ყველა შემოწმების წინ. ანუ ყოველი კონკრეტული სტრუქტურული ერთეულის (მაგალითად ფილიალის) შემოწმებისას, შემოწმების პროგრამაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს ამ სტრუქტურული ერთეულის მუშაობის სპეციფიკა.

ასეთ შემთხვევაში უნდა იყოს ერთი, ყოელისმომცველი შემოწმების პროგრამა, რომლიდანაც მოხდება სხვადასხვა ნაწილების ამოკრეფა ყოველი ინდივიდუალური შემოწმებისთვის.

ასეთ დროს შემოწმებისათვის მომზადებაში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება დისტანციურ კონტროლს. ფაქტიურად დისტანციური კონტროლის შედეგად მოპოვებული მონაცემების საფუძველზე უნდა მოხდეს შემოწმების პროგრამის შედგენა და შემოწმების პრიორიტეტების განსაზღვრა.

აუდიტორული შემოწმება. აუდიტორული შემოწმება ტარდება შესაბამისი ბრძანების საფუძველზე. ბრძანებას ხელს აწერს შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი ან ბანკის გენერალური დირექტორი.

ყოველი კონკრეტული შემოწმებისთვის ინიშნება შემომწების ჯგუფის უფროსი, რომელიც პასუხისმგებელია შემოწმების ხარისხიანად, სრულად და დროულად ჩატარებაზე.

შემოწმების პროცესი მიმდინარეობს წინასწარ შედგენილი შემოწმების პროგრამის შესაბამისად. ამასთან, შემოწმების დროს შიდა აუდიტის სამსახურის თანამშრომლებს აქვთ შესაბამისი უფლებები და მოვალეობები.

სარეზიო ჯგუფის (შემოწმების) ხელმძღვანელს უფლება აქვს:

აუცილებლობის შემთხვევაში შიდა აუდიტის სამსახურის უფროსთან შეთანხმებით უზრუნველყოს ქვედანაყოფის საქმიანობის ცალკეული საკითხების დამატებითი შემოწმება;

ქვედანაყოფის ხელმძღვანელებისაგან მოითხოვოს შემოწმებისათვის აუცილებელი მასალები (მათ შორის ელექტრონული), ასევე წერილობითი ახსნა-განმარტებები გამოვლენილი დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით.

შემოწმების ხელმძღვანელი ვალდებულია შემოწმების ჩატარების ორგანიზება უზრუნველყოს ისე, რომ არ დაირღვეს ქვედანაყოფის მუშაობის ჩვეული რიტმი.

შესამოწმებელ საკითხებს ჯგუფის წევრებს შორის ანაწილებს შემოწმების ხელმძღვანელი.

შემოწმების ჯგუფის წევრებს მიცემული დავალების ფარგლებში უფლება აქვთ:

• შეამოწმონ ფინანსური, საბუღალტრო და სხვა დოკუმენტები, განახორციელონ შემოწმებითი ღონისძიებები ნაღდ ფულთან, ფასიან ქაღალდებთან, სასაქონლო-მატერიალურ და სხვა ფასეულობებთან მიმართებაში. მოითხოვონ ხელმძღვანელი პირებისაგან ახსნა-განმარტებები და საჭირო ცნობები შემოწმების დროს წამოჭრილ საკითხებთან დაკავშირებით;

• ჩაატარონ მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია (მთლიანი ან ნაწილობრივი);

• დაათვალიერონ შენობა-ნაგებობები, ტერიტორია, აღჭურვილობა, ქონება, სატრანსპორტო საშუალებები, სამეურნეო ინვენტარი, საწყობები და ა.შ.;

• დაესწრონ შესამოწმებელი ქვედანაყოფის მიერ ოპერაციების ჩატარებას (მათ შორის მესამე პირის განკარგულებაში არსებული დაგირავებული ქონების შემოწმებას);

• ჩაატარონ ცალკეული საბანკო ოპერაციების ქრონომეტრაჟი

• გამოვლენილი ფაქტების დასადასტურებლად მოითხოვონ შესაბამისი დოკუმენტების ასლების ან ცნობების წარმოდგენა, არსებული ძირითადი დოკუმენტების საფუძველზე და ხელმოწერილი იმ ხელმძღვანელის მიერ, რომელიც უშუალოდ არის პასუხისმგებელი მოცემული უბნის მუშაობაზე;

• მიიღონ ნებართვა შემოწმების ჩატარებისათვის საჭირო ყველა აუცილებელ ინფორმაციის, მათ შორის ბანკში დადგენილი წესის მიხედვით, ელექტრონული სახით შენახული ინფორმაციის გასაცნობად.

ამ უფლებებს რევიზიის (შემოწმების) ჯგუფის წევრები ახორციელებენ მხოლოდ შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის დავალების საფუძველზე. შემოწმების ჯგუფის წევრები ვალდებული არიან საიდუმლოდ შეინახონ შიდა აუდიტორული საქმიანობის განხორციელების დროს მიღებული ინფორმაცია, არ გაახმაურონ კომერციული საიდუმლოების შემცველი ცნობები, არ გამოიყენონ ისინი თავისი ან მესამე პირის ინტერესებისათვის, განუხრელად დაიცვან საბანკო საიდუმლოება.

შემოწმების ჩატარების წესი. შემოწმების ჯგუფის ხელმძღვანელი შემოწმების დაწყებისას, შესამოწმებელი ქვედანაყოფის ხელმძღვანელს წარუდგენს განკარგულებას (ბრძანებას) შემოწმების ჩატარებაზე, რომელიც ადასტურებს აუდიტორული ჯგუფის წევრების უფლებამოსილებას შემოწმების ჩატარების შესახებ.

შესამოწმებელი ქვედანაყოფის ხელმძღვანელი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი შემოწმების ხელმძღვანელის მოთხოვნის საფუძველზე წარმოადგენს ყველა საჭირო დოკუმენტსა და ინფორმაციას. შესამოწმებელი ქვედანაყოფის ხელმძღვანელი პერსონალურად არის პასუხისმგებელი დოკუმენტებისა და ინფორმაციის არადროულად ან/და არასრულად წარდგენაზე. ინფორმაციის გამოთხოვა შემოწმების ხელმძღვანელს შეუძლია, როგორც შემოწმების მიმდინარეობის დროს, ასევე უშუალოდ მის ჩატარებამდე.

პირველადი დოკუმენტებისა და საბუღალტრო აღრიცხვის ჩანაწერების შემოწმება წარმოებს მთლიანად ან შერჩევითი წესით. პირველად დოკუმენტებში ასახული ოპერაციების უტყუარობა აუცილებლობის შემთხვევაში, შესაძლებელია დადასტურებულ იქნეს მესამე მხარისაგან წერილობითი სახით მიღებულ მონაცემებთან შედარების გზით.

ფულადი და სხვა მატერიალური ფასეულობების და მათთან დაკავშირებული ოპერაციების **რეზიზია** ტარდება მხოლოდ იმ მატერიალურ პასუხისმგებელ პირთა თანდასწრებით, რომელთა გამგებლობაშიც არის ეს ფასეულობები.

დარღვევების აღმოჩენისას შემოწმების ჯგუფის წევრებს უფლება აქვთ მოითხოვონ, ხოლო შესამოწმებელი ქვედანაყოფის ხელმძღვანელი ვალდებულია წარადგინოს წერილობითი ახსნა-განმარტებები (მათ შორის თანამდებობის და მატერიალურად პასუხისმგებელი პირების) და გამოვლენილ ფაქტებთან დაკავშირებული დოკუმენტები.

შემოწმების ჯგუფის წევრებს წარედგინებათ ნამდვილი (ტექსტის დედანი) დოკუმენტები.

სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ დოკუმენტები და მასალები რჩება შემოწმების ჯგუფის სამუშაო ოთახში. ხოლო საჭიროების შემთხვევაში ეს დოკუმენტები და მასალები ან მათი ნაწილი ყოველდღიურად უბრუნდება მათ მუდმივად შენახვაზე პასუხისმგებელ პირს. კომერციული საიდუმლოების შემცველ ინფორმაციასთან მუშაობა წარმოებს დადგენილი წესის მიხედვით.

სამუშაო დღის ბოლოს შემოწმების ჯგუფისათვის გამოყოფილი სამუშაო ოთახი უნდა დაიკეტოს გასაღებით და ჩაბარდეს ობიექტის დაცვას.

შემოწმების დამთავრების შემდეგ შემოწმების ჯგუფის ხელმძღვანელი ვალდებულია დააბარუნოს მიღებული ყველა დოკუმენტი (დედანი). შემოწმების პერიოდში წარმოდგენილი დოკუმენტების ასლები რჩება შიდა აუდიტის სამსახურში. შემოწმების შედეგად მოძიებული დოკუმენტების ასლები ინახება შიდა აუდიტის სამსახურში. ამათან რეკომენდებულია ამ ასლების ისე გადანომრება, რომ ნებისმიერ დროს შეიძლებოდეს მათი მარტივად პოვნა და იმის გარკვევა, თუ რა მიზნით იყო შესაბამისის საბუთების ასლები გადაღებული.

შემოწმების აქტი. აუდიტორული აქტის ძირითადი მიზანია შემოწმების შედეგების დოკუმენტურად გაფორმება. აქტი გამიზნულია სხვადასხვა მომხმარებლისთვის, დაწყებული უშუალო შემსრულებლით და დამთავრებული ბანკის უმაღლესი მენეჯმენტით. იმისათვის, რომ აქტი იყოს ეფექტური, იგი უნდა აკმაყოფილებდეს ყველა შესაძლო მომხმარებლის მოთხოვნებს, ანუ უნდა იყოს საკმაოდ დეტალური და შემოწმებული სტრუქტურული ერთეულისთვის და საკმაოდ ზოგადი ბანკის უმაღლესი მენეჯმენტისთვის. ასევე აქტის დასკვნით ნაწილში მოცემული უნდა იყოს გამოვლენილი ნაკლოვანებები და რეკომენდაციები. ქვემოთ მოყვანილია საქართველოში არსებული ერთ-ერთი ბანკის ფილიალის აუდიტორული შემოწმების აქტი.

შემოწმების აქტი

კორპორატიული ბიზნესის
მიკროკრედიტის მიმართულების ხელმძღვანელს
ბ-ნ _____
ქ. თბილისის მიკროკრედიტის ცენტრალური ოფისის უფროსს
ბ-ნ _____
აგროკრედიტის რეგიონალურ მენეჯერს
ბ-ნ _____
ბანკის _____ ხარისხის კონტროლის
აუდიტორული შემოწმების

ა ქ ტ ი

მოგახსენებთ, რომ თქვენი განკარგულების თანახმად, მიმდინარე წლის 22 ოქტომბრიდან 31 ოქტომბრის ჩათვლით განხორციელდა ბანკის ხარისხის კონტროლის მიკროკრედიტის მიმართულების განყოფილების აუდიტორული შემოწმება, შემოწმებას ატარებდნენ მიკროკრედიტების დეპარტამენტის აუდიტის უფროსი ხელეიალიტი დ. ხელეიალიტი. აუდიტორული შემოწმების დროს გამოვლენილ იქნა: აუდიტ- დაქვემდებარებული მხსნელების შერჩევის რამოდენიმე მეთოდი, რასაც დაქვემდებარებული (დადგენილებული სესხები). პოტენციური (სესხის ოფორმა). სახეობით (ბიზნეს სესხი, ეკსპრესი), ქრონოლოგიური (სესხის გაცემის მიხედვით). ანალიზის მეთოდის გამოყენებით განხორციელდა შერჩევა დ აუდიტორულ შემოწმებას დექვემდებარა ბანკის ხარისხიანების მიკროკრედიტის პორტფელს მოცულობის 53% (იხ. ხახ. 2.3.) დ. მიკროკრედიტის პორტფელის რისკიანობის 32% (იხ. ხახ. 2.4). ამგვარად აუდიტორული შემოწმების პროცესში განხორციელდ მსესხებლების გასესხო შემოწმება ფინანსური მდგომარეობის მონიტორინგის თვალსაზრისით სულ 19 კლიენტი. კლიენტების დაფარვა განხორციელდ შემოწმების პროცესში. მსესხებლები შერჩეულ იქნენ გაცემული თანხის ოდენობის, დაფინანსების ხელოვნ დ დადგენილებების მიხედვით.

ბანკის სერვისიენტების მიკრომკრედიტების განყოფილების შემადგენლობა:

წამყვანი სპეციალისტი; სპეციალისტი; სპეციალისტი; სპეციალისტი

აღსანიშნავია სერვისიენტების მიკრომკრედიტების განყოფილების მთელ შემადგენლობის ოპერატიულობა და მობილობა, რაც გამოიწვინდ აუდიტორულ შემოწმების პერიოდში. ბანკის სერვისიენტების მიკროსაკრედიტო პორტფელის მთლიანი მოცულობა 30.09.08 წლის მდგომარეობით შეადგენს 1 695 291 ლარს, რომელთანრავად - 229 მსესხებელი. ვიზუალური დკვირვებიდნ გამომდნარე შეგვიძლია დვასკვნათ, რომ საკრედიტო საქმეების აბსოლუტური უმრავლესობა მოწესრიგებულია (დანართი).

გარდ დდებით ასპექტებისა, შემოწმებისას გამოვლინდ რიგი ნაკლოვანებები. ხშირია შემთხვევები როდ საქმეში არ არის მსესხებლის ხელმოწერები საკრედიტო საქმის შემადგენელ რიგ დოკუმენტებზე, არ სრულდება მიზნობრიობა, ხელფასდად ან უკურდღებობის გამო გახსრდლა ან შემცირებულა ბანკის აქტივისა თუ პასივის მუხლები, არის რამოდნიმე შემთხვევა, როდ სესხის გაცემა ფინანსური ინფორმაციიდნ გამომდნარე იყო დუშებელი, ხშირია შემთხვევები როდ არ არსებობს არანაირი მტიცებულება (ჩანაწერების ასლები) წარმოდგენილ ფინანსურ ინფორმაციასთან მიმართებაში. აუდიტორულ შემოწმებისას გამოვლინეს ამ და სხვა გადაცდომებს ფტალურად განვიხილეთ აქტის მომდვნო ნაწილში, საკრედიტო სპეციალისტების საკრედიტო პორტფელების კონკრეტულ მსესხებლებისა და საკრედიტო საქმეების მიხედვით.

ჩატარებულ აუდიტორულ შემოწმებიდნ მეგვიძია დვასკვნათ, რომ საერთო ჯმში, განყოფილების მუშაობა შეიძლება შეფასდს დმაკმაყოფილებლდ. ამავე დროს საჭიროა შემუშავდს რამოდნიმე რეკომენდცია საქმიანობის სწორად დგეგმვისა და წარმართვის კუთხით.

საკრედიტო საქმეები უნდა არსებობდს (ასლების სახით) მოყვანილი ფინანსური ინფორმაციის მტკიცებულებით მასალ.

1) გაძლერდს კონტროლი ექსპერტს სესხების პროექტებზე. (დდო რისკის მატარებელ)

2) განახორციელდ გასვლით შემოწმება ფინანსური მდგომარეობის მონიტორინგის თვალსზრისით.

3) გამახვილდს ყურდღება საკრედიტო საქმეში ყველ საჭირო დოკუმენტისა და ხელშეკრულის არსებობაზე.

ამავდროულდ რეკომენდირებულია სერვისიენტის მიკრომკრედიტების განყოფილების წევრებმა წარმოდგინონ გამოვლინე ნაკლოვანებების აღმოფხრისთვის საჭირო ღონისძიებების გატარების შესაძლებლობები ვადების მითითებით.

ამრიგად, შიდა აუდიტორული სამსახურის მიერ შესრულებული საქმიანობის შედეგად უნდა შეფასდეს ბანკის შიდა კონტროლის სისტემის ადეკვატურობა და ეფექტიანობა, აგრეთვე დირექტორის მუშაობის ხარისხი. კერძოდ: **დამოუკიდებლობის, პროფესიული უზრუნველყოფის, სამუშაოს მასშტაბის, აუდიტორული სამუშაოს შესრულებისა და შიდა აუდიტორული სამსახურის მართვის საკითხები.**

დამოუკიდებლობის მახასიათებლებია: პროფესიული სტატუსი – შიდა აუდიტორულ სამსახურს შიდააუდიტორული მიზნების მისაღწევად უნდა ჰქონდეს საკმარისი ორგანიზაციული სტატუსი;

ობიექტურობა შიდა აუდიტორები აუდიტის ჩატარებისას ობიექტურობის შესანარჩუნებლად არ უნდა იყვნენ დამოკიდებული იმ საქმიანობაზე, რომლის აუდიტსაც ახორციელებენ.

პროფესიული უზრუნველყოფის მახასიათებლებია:

სამსახურის კომპეტენტური და საკმარისი რაოდენობის შიდა აუდიტორებით დაკომპლექტება, რომლებსაც ექნებათ სათანადო განათლება და ტექნიკური გამოცდილება;

სამსახურის მუშაკების ცოდნის, უნარისა და კვალიფიკაციის დონის ამაღლება იმ დისციპლინებში, რომლებიც არსებითი და აუცილებელია აუდიტთან დაკავშირებული ვალდებულებების შესასრულებლად;

- შიდა აუდიტის ჩატარების სათანადო კონტროლი;
- შიდა აუდიტორების მიერ პროფესიული ქცევის ნორმების დაცვა;
- შიდა აუდიტორების მიერ ტექნიკური კომპეტენციის დონის შენარჩუნება და განმტკიცება მომზადება-გადამზადებისა და შემდგომი განათლების მეშვეობით;
- შიდა აუდიტორების პროფესიული მიდგომა შიდა აუდიტისადმი.

სამუშაოს მასშტაბი მოიცავს შიდა აუდიტორული სამსახურის მიერ მისთვის მინიჭებული ვალდებულებების შესრულებისას ბანკის შიდა კონტროლის სისტემის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის, აგრეთვე დირექტორატის **მუშაობის ხარისხის შეფასებას**. კერძოდ:

➢ შიდა აუდიტორებმა უნდა შეაფასონ საფინანსო და საოპერაციო ინფორმაციის სანდოობა და სისწორე, აგრეთვე ის პრაქტიკა და პროცედურები, რომლებიც გამოიყენება ასეთი ინფორმაციის გამოვლენის, შეფასებისა და კლასიფიცირებისათვის, რაც მნიშვნელოვანია მოხსენებების მოსამზადებლად;

➢ შიდა აუდიტორებმა უნდა შეისწავლონ სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის მიერ ჩამოყალიბებული ბანკის სამოქმედო სტრატეგიის, პოლიტიკისა და მართვის სისტემის შესაბამისობა მოქმედ ნორმატიულ აქტებსა და ეროვნული ბანკის მოთხოვნებთან და უნდა განსაზღვრონ, იცავს თუ არა ბანკი მათ;

➢ შიდა აუდიტორებმა უნდა შეისწავლონ აქტივების დასაცავად გამოყენებული კონტროლი და დაადასტურონ ასეთი აქტივების არსებობა;

➢ შიდა აუდიტორებმა უნდა შეაფასონ რესურსების გამოყენების ეფექტიანობა;

➢ შიდა აუდიტორებმა უნდა შეისწავლონ ბანკის ოპერაციები და პროგრამები, რათა განსაზღვრონ, შეესაბამება თუ არა შედეგები დასახულ მიზნებს, აგრეთვე სრულდება თუ არა ოპერაციები და პროგრამები დაგეგმილის შესაბამისად.

შიდა აუდიტის სამსახურის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია გამოაქვეინოს სარისკო მომენტები და მისცეს ისინი გამოსასწორებლად რეკომენდაციაში. ასევე შიდა აუდიტის სამახურმა გამოავლინოს მაღალი რისკის სეგმენტები და უნდა აკონტორლოს შესაძლო თაღლითობები. ასევე უნდა გაანალიზდეს თუ რამდენად ეფექტურია რეკომენდაცია და როგორ უნდა გაკონტროლდეს მისი შესრულება. დასკვნების და რეკომენდაციების შემუშავება შიდა აუდიტის ერთ-ერთი აღსაწერი ბოლო ეტაპია, მაგრამ შესასრულებლად შესაძლოა ერთ-ერთი უმთავრესი იყოს. სისტემის წინასწარი ცოდნა და მენეჯერებთან საწყისი შეხვედრები ყველაზე გამოცდილ აუდიტორებს საშუალებას მისცემს შეიმუშაონ საკუთარი მოსაზრებები კონტროლის გარემოსა და მისი შესაძლო გაუმჯობესების შესახებ. ეს მოსაზრებები უნდა შემუშავდეს და დაიხვეწოს აუდიტის ყოველ ეტაპზე. აუდიტის ანგარიშგება, ოფიციალური ანგარიშის მომზადება და მენეჯერებთან დისკუსიები, წარმოადგენს მნიშვნელოვან ეტაპს აუდიტორის მიერ ბანკის, მისი სისუსტეებისა და პოტენციური გაუმჯობესების აღქმის პროცესში. აუდიტის ანგარიშგება, ასევე, უნდა იძლეოდეს კონტროლის სისტემის თითოეული ასპექტის ჭეშმარიტი მნიშვნელობის მშვიდად განხილვის საშუალებას მთლიანი ბანკის კონტექსტში.

თავი 19

მმართველობითი აუდიტის პროცედურების გამოყენების ასპექტები საბანკო ბიზნესის ფინანსური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში

ცნობილია, რომ საბანკო სისტემა, საბაზრო ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესში სახელმწიფო წნეხისგან ოპტიმალურად გამთავისუფლდა და იგი ეკონომიკის ფინანსური კონტროლის მართვაში აქტიურ ინსტრუმენტად გარდაიქმნა. ამასთანავე, როგორც საბანკო სისტემის პრობლემების კვლევის შედეგები მიუთითებენ, ფრიად აქტუალურია ბანკის უსაფრთხოების არსებული მდგომარეობის შედარება მათი ფუნქციონირების თავისებურებებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით.

ბანკის ძირითადი ფუნქციების განსახორციელებლად მნიშვნელოვანია კონტროლის ყოელისმომცველი სისტემის შექმნა კომერციულ ბანკებში, რომელიც ბანკისათვის ძირითადი ფინანსური ოპერაციებისა და მომსახურების განხორციელებისადმი დადგენილი საეალდებულო და სარეკომენდაციო ნორმატივებისა და ლიმიტების დაცვას, ასევე ლიცენზიებისა და საიდუმლოებების დაცვის, საბანკო საქმეში გამოყენებადი ავტომატიზირებული სისტემის გაფართოებისა და ეკონომიკური უსაფრთხოების რეგულირების მექანიზმების სრულყოფას უზრუნველყოფს.

საბანკო საქმიანობის ფინანსური უსაფრთხოება არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ხდება რესურსების ყველაზე უფრო ეფექტური გამოყენება კომერციული ბანკების უსაფრთხოების თავიდან ასაცილებლად და მათი სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად. კომერციული ბანკებისთვის საკუთარი ფინანსური უსაფრთხოების დაცვის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია საბანკო ბიზნესის არა მარტო წარმატებული მართა, არამედ მისი პერსპექტიული განვითარებაც არაპროგნოზირებადი კონიუნქტურის პირობებში. შესაბამისად, **უსაფრთხოების მართვა** წარმოადგენს შიდა საბანკო მენეჯმენტის ერთ-ერთ აუცილებელ ელემენტს, რომელიც უნდა განხორციელდეს მთლიანი მმართველობითი სისტემის ფარგლებში.

მმართველობითი აუდიტის მთავარ **მიზანს** წარმოადგენს შექმნას შიდა **კონტროლის სისტემები**, რომლებიც უზრუნველყოფენ ინვესტორების, ბანკებისა და მათი კლიენტების ინტერესების დაცვას ბანკის თანამშრომლების მიერ კანონმდებლობის, კონტროლის დაწესების, ინტერესთა კონფლიქტების მოგვარების და საიმედოობის ისეთი დონის უზრუნველყოფის გზით, რომელიც შეესაბამება ბანკის მიერ ჩასატარებელი ოპერაციების შინაარსისა და საბანკო საქმიანობის რისკების მინიმიზაციას.

მმართველობითი აუდიტი უნდა განეახორციელოთ როგორც ბანკის სისტემა მეანაბრეთა ინტერესების დაცვისათვის, ბანკის საქმიანობაში კონკრეტული შედეგების მიღწევისა და მდგრადობის შენარჩუნებისათვის. ბანკებში შიდა კონტროლის (აუდიტის) ორგანიზაციის ძირითად საკითხებს უმთავრესად ორგანიზაციის ძირითად საკითხებს უმთავრესად ეროვნული (ცენტრალური) ბანკის ნორმატიული აქტები – დებულებები და მითითებები განსაზღვრავს.

ბანკში შიდა აუდიტის სისტემის ძირითად **დანიშნულებას** წარმოადგენს შემოწმების შემდეგი მიმართულებით წარმართვა, კერძოდ:

- მოქმედი კანონმდებლობის დაცვა;
- საკრედიტო ორგანიზაციის საქმიანობის შესაბამისობა მისი განვითარების გეგმასთან;
- ფინანსური და სამმართველო ინფორმაციის სარწმუნოობა, ოპერატიულობა და კონტროლი;
- ბანკის ლიკვიდურობის, რენტაბელობისა და მდგრადობის შენარჩუნებისათვის გატარებულ ღონისძიებათა რაციონალურობა.

ბანკის საქმიანობის აუდიტის სისტემა მოიცავს მონიტორინგულ მოწყობას ბანკის მუშაობის ყველა უბანზე, მათი საქმიანობის შედეგების შესაფასებლად და საბანკო ბიზნესის შემდგომი გაუმჯობესებისა და განვითარების მიზნის სტრატეგიული გეგმის ფორმირებისათვის გადაწყვეტილების მისაღებად, რომელმაც უნდა უზრუნველყოს კომერციული ბანკის ფინანსური უსაფრთხოების დაცვა.

შიდა საბანკო აუდიტის (კონტროლის) მოქმედი სისტემა მოიცავს მიმდინარე და მომდევნო კონტროლს ბანკებში და შიდა კონტროლის ორგანიზებას, რომელთა ეფექტიანი სისტემის (სპეციალური ქვედანაყოფის) უზრუნველყოფის დიდმნიშნელოვანი ფაქტორია საბანკო რისკების მოვლენისა და შეფასების სისტემის შექმნა ბანკში. ასევე, მნიშნელოვანია ხარისხიანი შიდა კონტროლის ჩასატარებლად სრული და სარწმუნო ინფორმაციის არსებობა, როგორც საკუთრივ ბანკში, ისე კონკურენტ ბანკებში შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

შიდა კონტროლის სამსახურის წარმატებული საქმიანობისათვის აუცილებელია შემდეგი დოკუმენტების არსებობა, როგორიცაა: გადაწყვეტილებების მიღების პროცედურების, ბანკის ქვედანაყოფებსა და თანამშრომლებს შორის ფუნქციებისა და უფლებამოსილების განაწილების, სახსრების მოზიდვისა და მისი განთავსების პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი და სხვა.

რისკების კონტროლის დროს რეკომენდირებულია როგორც ადმინისტრაციული, ისე ფინანსური კონტროლის ჩატარება, რომელიც უნდა მიმდინარეობდეს ერთი მხრივ, წინასწარი, მიმდინარე და შემდგომი კონტროლის წესებით, მეორე მხრივ, სამ ძირითად დონეზე: ინდივიდუალურ, (თანამშრომლის დონე), მიკრო და მაკრო დონეზე.

ინდივიდუალურ (თანამშრომლის) დონეზე გამოყოფენ იმ რისკებს, რომლებიც ცალკეული მუშაკების არამართლზომიერი ან არაკომპეტენტური გადაწყვეტილებებით შეიძლება იყოს გამოწეული (ფასეულობათა დატაცება, ბანკის დაკავშირება კრიმინალურ ეკონომიკასთან და სხვა). ამ შემთხვევაში კონტროლის ძირითადი ობიექტია ცალკეული მუშაკი, მისი მისი მოტივაცია და კომპეტენტურობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ინდივიდუალურ დონეზე მისი განხორციელებული წინასწარი კონტროლი მოიცავს კადრების შერჩევასა და განწესებას; მიმდინარე კონტროლის რეჟიმში ამოწმებენ მუშაკის მიერ თავის მოვალეობათა შესრულების ხარისხს, ხოლო მომდევნო კონტროლის ეტაპზე ახორციელებენ მუშაკის მიერ ჩატარებული ოპერაციების შედეგების რეგულარულად განხილვას ხელმძღვანელის მიერ.

მიკრო დონეზე გამოყოფენ რისკებს, რასაც მმართველი გუნდის გადაწყვეტილებები აყალიბებს, როგორიცაა: საკრედიტო, საბაზო „საპროცენტო, საოპერაციო, ლიკვიდობისა და კაპიტალის შემცირების, რეპუტაციის დაკარგვის, სამართლებრივი რისკები და სხვა. მიკრო დონეზე აუდიტის ძირითადი ობიექტია ბანკში გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმი და ტექნიკის შესაბამისობა ბანკის მიზნებთან. კონტროლის წინასწარ ეტაპზე აუდიტის სამსახური ამზადებს დასკვნას დასახული მიზნების რეალობის შესახებ და წინადადებებს დასახული მიზნების მიღწევისათვის (მისაღწევად) აუცილებელი ორგანიზაციული გადაწყვეტილებების შესახებ. მიმდინარე კონტროლის ეტაპზე შიდა კონტროლის სამსახური ატარებს რეგულარულ კომპლექსურ და თემატურ შემოწმებას, აკონტროლებს რისკების ოპტიმიზაციის წესების დაცვას, ხოლო მომდევნო კონტროლის ეტაპზე ხორციელდება რისკების ანალიზი და მართვის პრაქტიკის შეფასება.

მიკრომდონეზე გამოყოფენ იმ რისკებს, რომლებსაც განაპირობებს ბანკის საქმიანობის მაკროეკონომიკური და ნორმატიულ-სამართლებრივი პირობები. მაკრო დონეზე წინასწარი კონტროლის ეტაპზე მმართველიბითი აუდიტის სპეციალური ქვედანაყოფის სამსახური ამოწმებს მონაცემთა საწყისი ბაზის შემადგენლობას, სისრულესა და განახლების თავისდროულობას; მიმდინარე კონტროლის ეტაპზე ანალიზისა და პროგნოზირების ამოცანების შესრულება ბანკში მენეჯერებისა და ქვედანაყოფების მიერ ხორციელდება, ხოლო მომდევნო კონტროლის ეტტაპზე აუდიტის პროცესში ანალიტიკური სამსახურების დასკვნებისა და რეალური ვითარების მონაცემთა შედარება და ანალიზის შედეგების საფუძველზე წინადადებ ები შემუშავება ხდება ბანკის უმაღლეს მენეჯერთათვის.

ინვესტორებისა და კლიენტების ინტერესების დაცვის მიზნით საბანკო პრაქტიკაში გამოიყენება ე. წ. კომპლაენის (complaisance – თავაზიანობა, ზრდილობა) – კონტროლის საშტატო თანამდებობა, რომელიც აკონტროლებს, თუ როგორ იცავენ ბანკის თანამშრომლები კანონმდებლობას ფინანსური ბაზრების შესახებ და ამ ბაზრებზე პროფესიული საქმიანობის სტანდარტებს.

ამრიგად, მიმდინარე საბანკო ცონტროლს ახორციელებენ საბანკო ოპერაციების ყოველდღიური გგატარების პროცესში საოპერაციო აპარატის მუშაობის ორგანიზების ყოველ უბანზე: დოკუმენტბრუნვის ორგანიზების დროს ოპერაციების კანონიერების შემოწმება და დოკუმენტების გაფორმების სისწორის დაცვა; კლიენტებისაგან ფულადი საანგარიშსწორებო საუთების მიღების დროს ამოწმებენ სახსრების არსებობას კლიენტის ანგარიშსწორების ანგარიშზე, აუცილებელი რეკვიზიტების შევსების სისწორეს, შესრულებული ოპერაციების კანონიერებას, კლიენტის მისამართზე შემოსული ფულადი სახსრების ჩარიცხვისას ამოწმებენ საბუთის უტყუარობას, რომელიც უკავშირდება ფიზიკური პირრების სახსრების უნაღდო გადარიცხვებზე ანაბრების დასასესხო ანგარიშის გახსნისა და კრედიტის დაფარვის ვალდებულებათა შედგენის სისწორეს და სხვა.

შიდა საბანკო კონტროლის სისტემაში ასევე მნიშვნელოვანია **მომდევნო კონტროლის** ორგანიზება, რომლის ძირითად ამოცანებად გვეელინება: აღრიცხვისა და დოკუმენტმიმოქცევის საქმის დაყენების შემოწმება; საოპერაციო-საოპერაციო აპარატის მუშაკებზე დაკისრებული მოვალეობების შესრულების სისწორის დადასტურება; შესრულებული ოპერაციების კანონიერებისა და მათი გაფორმების სისწორის შემოწმება. მომდევნო შემოწმება ტარდება თემატური გეგმის შესაბამისად. მომდევნო კონტროლის განხორციელებისას შერჩეით სწავლობენ იმ დოკუმენტებს, რომლებიც მიმდინარე კონტროლით არ შეუმოწმებია ბანკის მთავარ ბუღალტერს (მის მოადგილეებს ამ დროს დგინდება ოპერაციების კანონიერება, მათი გაფორმებისა აღრიცხვაში ასახვის სისწორე.

მომდევნო კონტროლის წესით კეთდება რევიზია. შემოწმებისა და რევიზიის შედეგებს განიხილავს კომერციული ბანკის ხელმძღვანელი, რასაე მოჰყვება გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხერის და მომავალში მათი წარმო'შობის თავიდან აცილების ღონისძიების შემუშავება და რეალიზაცია.

როგორც უკვე აღინიშნა, ყოველ კომერციულ ბანკში მიმდინარე და მომდევნო კონტროლის გარდა, მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების თანახმად, უნდა ფუნქციონირებდეს შიდა აუდიტის სისტემა. აუდიტის მიერ შეგროვებული ინფორმაციის ღირებულება დამოკიდებულია მისი დამოუკიდებლობის დონეზე, აუდიტორების კომპეტენციაზე და აუდიტის მასშტაბზე.შიდა აუდიტის სამსახური შეიძლება უშუალოდ დაექვემდებაროს ბანკის მმართველს ან დამფუძნებელს, რომლის მუშაობა უნდა წარმართოს ბანკის მმართველის მიერ სპეციალურად დადგენილი გეგმების შესაბამისად, რომელ'მიც აუცილებლად ითვალისწინებენ კომერციული ბანკის ფილიალების, განყოფილებების და ქვედანაყოფების შემოწმების ჩატარებას.

ბანკის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული შემოწმების პროგრამათა ძირითადი ნაწილები მოიცავს: ბანკის ჩამოყალიბების კანონიერების: საწესდებო კაპიტალის; სარეზერვო და სხვა ფონდების ფორმირების ვადიანობის, სისწორისა და კანონიერების; აღრიცხვასა და ანგარიშგებაში საანგარიშგებო ოპერაციების გატარების კანონიერებისა და სასრულებლობის; დაკრედიტებისა და საკასო ოპერაციების განხორციელების სისწორესა და კანონიერების; სასაგარეო-ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების მართლზომიერებისა და სისწორის; ბანკის ძირითადი სახსრების და სხვა აქტივების გატარებისა და ასახვის სისწორის და აღრიცხვაში ბანკის შემოსაელებისა და გასაელის ასახვის სისრულის, სისწორისა და სარწმუნოების მაჩვენებელთა შემოწმებას აუდიტორები აფასებენ საბუღალტრო და ადმინისტრაციული კონტროლის მასშტაბს. სააუდიტო პროგრამამ უნდა შეაფასოს ადმინისტრაციული პროგრამის ეფექტურობა და დაადასტუროს, რომ ბანკის ყველა განყოფილებაში დანერგილია ადეკვატური კონტროლი და საგარანტიო პროგრამა. შიდა აუდიტი უნდა ჩატარდეს საყოველთაოდ მიღებული საერთაშორისო საბანკო და საბუღალტრო პრაქტიკასთან შესაბამისობაში და წლიური ანგარიშგება შიდა კონტროლის ანგარიშგების შესახებ წარდგენილი უნდა იქნას ეროვნულ (ცენტრალურ ბანკში.

საბანკო კონტროლი ეფუძნება „საბანკო საქმიანობაზე ეფექტიანი ზედამხედველობის საბაზო პრინციპებს". ზედამხედველობამ უნდა უზრუნველყოს საბანკო ოპერაციების ჯეროვნად შესრულება და საიმედოობა, რათა ბანკების კაპიტალი და რეზერვები საკმარისი იყოს მათ მიერ დაკაეებული სარისკო ოპერაციების მხარდასაჭერად. მკაცრი და ეფექტიანი საბანკო ზედამხედველობა ემსახურება საერთო

კეთილდღეობას და ეფექტიან მაკროეკონომიკურ პოლიტიკასთან ერთად ნებისმიერ ქვეყანაში ფინანსური სტაბილურობის უმნიშვნელოვანესი პირობაა.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ეროვნული ბანკის ერთ–ერთი ძირითადი მიზნისა და ფუნქციის უზრუნველსაყოფად სტაბილურ ბაზარზე დამყარებული ფინანსური სისტემის ლიკვიდურობის, გადახდისუნარიანობის და სათანადო ფუნქციონირების მისაღწევად აუცილებელია საბანკო დაწესებულებათა ფინანსური მდგომარეობის შესახებ ადეკვატური და მაღალი ხარისხის ინფორმაციები. შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკის, როგორც საბანკო სექტორის შემმოწმებლის ფუნქციის შესასრულებლად შეიქმნა. „კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობა-რეგულირების მეთოდური სახელმძღვანელო“ (1999), რომელშიც განხილულია საკითხები საბანკო დაწესებულების ინსპექტირების პროგრამისა დამეთოდოლოგიის შესახებ, რომელიც („ქემელის“) სახელით არის ცნობილი. იგი ეფუძნება ხუთი მთავარი კომპონენტის – ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის, აქტივების ხარისხის, ბანკის მენეჯმენტის, მოგება-შემოსავლიანობისა და ლიკვიდობის შეფასების.

ზემოთ აღნიშნული მეთოდოლოგიით, შესაძლებელია ბანკის საიმედოობისა და მდგრადობის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიღება ასევე წარმოდგენას იძლევა ბანკის არსებული და მოსალოდნელი სისუსტეებისა და ფინანსური მდგომარეობის გაუარესების შესახებ. შესაბამისად, CAMEL-ით ცნობილი მეთოდები საერთაშორისოდ არის აღიარებული, როგორც ბანკების ზედამხედველობის, რეგულირებისა და მონიტორინგის ეფექტური სისტემა.

ამრიგად, თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს საბანკო საქმიანობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის კონცეპტუალური საკითხების გადაწყვეტა. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ საბანკო საქმიანობა ყოველთვის დაკავშირებული რისკთან, კონფიდენციალური ინფორმაციის შესაძლო გაჟონვასთან, შიდა და გარე საფრთხეების არსებობასთან. ქვეყანაში დაძაბული, კრიზისული და კრიმინოგენური სიტუაცია, ეკონომიკური შპიონაჟის აქტიურად მოქმედი სტრუქტურების არსებობა, საერთაშორისო ორგანიზაციული დამნაშავეობა, საბანკო სტრუქტურებზე ხისტი ზემოქმედების მეთოდების გამოყენება კიდევ უფრო ამწვავებს საბანკო საქმიანობის უსაფრთხოების დაცვის პრობლემას.

საბანკო საქმიანობის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მთავარი მიზანია საბანკო ბიზნესის მაქსიმალურად სტაბილური ფუნქციონირების მიღწევა. მისი სამომავლო განვითარების პრიორიტეტების ფორმირება მიუხედავად ობიექტური და სუბიექტური რისკ-ფაქტორებისა. ასევა, საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფა საბანკო მენეჯმენტის აუცილებელი ელემენტების განვითარებით მთლიანი მმართველობითი სისტემის ფარგლებში.

შესაბამისად, ფინანსური უსაფრთხოების შენარჩუნების მთავარი **პრინციპია** ეკონომიკური სისტემის შემოსაველებისა და ხარჯების კონტროლი და ბალანსირება.

ფინანსური უსაფრთხოების შენარჩუნებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს **შიდა და გარე ფაქტორები**. კერძოდ:

ა) შიდა ფაქტორები, როგორიცაა სააღრიცხვო და საფინანსო-ეკონომიკური პერსონალის კვალიფიკაცია; ბანკის უმაღლესი მმართველობის კვალიფიკაცია და უნარ-ჩვევები; ბანკის კონტრაქტებისა და ხელშეკრულებების იურიდიული უზრუნველყოფა და ექსპერტიზა; შიდა კონტროლის სისტემის ეფექტურობა; საკასო, საგადასახადო და საანგარიშსწორებო დისციპლინა; ბანკის გაყიდვების დამარკეტინგული სტრატეგია.

ბანკის ფინანსურ მდგრადობასა და უსაფრთხოებაზე მოქმედ შიდა საფრთხეებს მიეკუთვნება მენეჯმენტის შემთხვევითი და განიზნული შეცდომები: ბანკის ფინანსების მართვაში; აქტივებისა და პასივების მართვასა და ოპტიმიზაციაში; დებიტორული და კრედიტორული დავალიანების მართვაში; საინვესტიციო პროექტების არჩევანში; საამორტიზაციო და საგადასახადო პოლიტიკის ოპტიმიზაციაში.

ბ) გარე ფაქტორები როგორიცაა: საბანკო საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზა; დებიტორების გადახდისუნარიანობა; სახელმწიფო მართვის ორგანოების და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების საქმიანობა; კრედიტორების აქტივობა ვალების მოთხოვნის კუთხით; ეფექტური საქმიანი

ურთიერთობები საფინანსო-საბანკო სისტემასთან; პარტნიორებისა და კონტრაგენტების საიმედოობა.

მთავარი გარე საფრთხეები, რომლებიც ემუქრება ბანკის ფინანსურ უსაფრთხოებას, არის:

– არასასურველი პარტნიორების მიერ ბანკის აქციების და ვალების შესყიდვა;

– ბანკის მნიშვნელოვანი ფინანსური ვალდებულებების არსებობა;

– კაპიტალის ბაზრისა და მისი ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა;

– ინვესტორების უფლებების დაცვის არასათანადო სამართლებრივი ბაზა და კანონების არასათანადო შესრულება;

– ფულადი და საფინანსო-საკრედიტო სისტემის კრიზისები;

– ეკონომიკის არასტაბილურობა;

– სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების მექანიზმების არასრულყოფილება.

ბუნებრივია, რომ ფინანსური უსაფრთხოების უზრუნველყოფა უნდა ეყრდნობოდეს არსებულ კანონმდებლობას, ანუ გააჩნდეს სამართლებრივი ბაზა. დღეისათვის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკანონმდებლო ბაზა არასაკმარისადაა შემუშავებული, ხოლო მრავალი ნორმატიული აქტი, მაგალითად, საგადასახადო ბაზა, ძალზედ სწრაფად იცვლება და არსებით გავლენას ახდენს საბანკო საქმიანობის შედეგიანობაზე და ნეგატიურ გავლენას ახდენს ბანკის ფინანსურ მდგრადობაზე.

ფინანსური რესურსების დაბალანსებულობა მათი წარმოქმნის წყაროებისა და გამოყენების მიმართულებების თვალსაზრისით აუცილებელი პირობაა საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთ საკვანძო პრობლემის ბანკის გადახდისუნარიანობის უზრუნველსაყოფად ზოგადად, გადახდისუნარიანობა წარმოადგენს ბანკის უნარს დროულად და აუცილებელი მოცულობით დააკმაყოფილოს თავისი საგადასამხდელო ვალდებულებები.

შესაბამისად, ფინანსური უსაფრთხოების ძირითადი ამოცანაა მუდმივი ფინანსური წონასწორობის შენარჩუნება ბანკში შემომავალი და ბანკიდან გამავალი მდგრადი განვითარების სტრატეგიის ფორმირება. ასევე მნიშვნელოვანია ფინანსური რესურსების დაცვის მექანიზმების შექმნა და გამოყენება კომერციული ბანკების საფრთხეების თავიდან ასაცილებლად, მათი სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

საბანკო ბიზნესის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სტრატეგია წარმოადგენს გრძელვადიანი მიზნებისა და მმართველობითი მიდგომების ერთობლიობას, რომელთა რეალიზაცია უზრუნველყოფს საკრედიტო-საფინანსო ორგანიზაციის დაცვას კომერციული საიდუმლოების განმუღავნების პოტენციური საფრთხისაგან ასევე მისთვის ქონებრივი ან არაქონებრივი ნებისმიერი სხვა ზარალის მიყენებისაგან.

ბანკის უსაფრთხოების **უზრუნველყოფის სტრატეგიას** შეიძლება გააჩნდეს ერთერთი ქვემოთ ჩამოთვლილი კონცეფციის ფორმა:

1. აქტიური **წინმსწრები უკუზემოქმედების კონცეფცია**. ეს კონცეფცია არის ბანკის მიერ არჩეული მზარდი განვითარების სტრატეგიის მიმართულება, რომელიც გულისხმობს უსაფრთხოების სამსახურის მიერ გამოყენებულ იქნას შესაძლო საფრთხეების პროფილაქტიკისა და უკუზემოქმედების ყველა შესაძლო აქტიური მეთოდები. არჩეულის მთავარი კრიტერიუმია ამა თუ იმ მეთოდის მაქსიმალური ეფექტურობა, ამასთან მათი გამოყენების ეთიკურობის პირობები ხდება მეორეხარისხოვანი. განსახილველი კონცეფციის რეალიზაციისას დაიშვება საბანკო შპიონაჟი, საკუთარი პერსონალის ლოიალობაზე კონტროლის არალეგიტიმური მეთოდები და სხვა.

წინმსწრები უკუზემოქმედების **კონცეფციის უპირატესობებია**:

– ბანკში წარმოქმნილი უსაფრთხოების დაცვის ამოცანების გადაწყვეტა სახელმწიფოს ჩარევის გარეშე;

– პროფილაქტიკური უკუზემოქმედების მეთოდების პრიორიტეტი;

– შიდასაბანკო მენეჯმენტის, კერძოდ მარკეტინგისა და პერსონალის მართვის, ეფექტური მხარდაჭერა.

კონცეფციის ნაკლოვანებებია:

– ასეთი პოლიტიკის შედეგად დაზარალებული კონკურენტებისაგან ადეკვატური პასუხის მაღალი ალბათობა;

– გარდაუვალი წინააღმდეგობა მოქმედ კანონმდებლობასთან და გამომდინარე აქედან, პრობლემები სამართალდამცავ, სასამართლო და საზედამხედველო ორგანოებთან;

– რესურსული მხარდაჭერის უფრო მარალი დონის არსებობის აუცილებლობა–საფინანსო, საკადრო, მატერიალურ-ტექნიკური.

რეკომენდაციები გამოყენებისათვის: მსხვილი ბანკებისათვის, რომლებიც ორიენტირებულნი არიან მაღალრენტაბელური საწარმოების(დარგების) მომსახურებაზე ან რომლებიც მუშაობენ ხისტი ზეწოლის პირობებში კრიმინალური სტრუქტურების მხრიდან.

2. პასიური დაცვის კონცეფცია.

ეს კონცეფცია არის ლოგიკური შედეგი ბანკის მიერ არჩეული სტრატეგიისა და გამომდინარეობს მისი პასიური კონკურენტული სტრატეგიიდან. იგი გულისხმობს ბანკის პრიორიტეტულ ორიენტაციას დაცვაზე სახელმწიფოს, კერძოდ კი სამართალდამცავი და სასამართლო ორგანოების მხრიდან. ეს საშუალებას იძლევა მინიმალურად შეიზღუდოს საკუთარი უსაფრთხოების სამსახურები და მათ ინსტრუმენტარში შენარჩუნდეს პოტენციური საფრთხეების პროფილაქტიკისა და მათთვის წინააღმდეგობის გასაწევი ინსტრუმენტარის მინიმალური ნაკრები

კონცეფციის უპირატესობებია:

– მინიმალური ხარჯები მისი პრაქტიკული რეალიზაციისათვის;

– ბანკისადმი სახელმწიფოს მხრიდან სადამსჯელო სანქციების გამოყენების საფრთხის არარსებობა ბანკის კანონმორჩილების გამო.

კონცეფციის ნაკლოვანებები:

– ბანკის უსაფრთხოების სრული დამოკიდებულება სამართადამცავი ორგანოების ეფექტურ მუშაობაზე;

– ორიენტირება უკვე არსებული საფრთხეების გასანეიტრალებლად, ვიდრე პრევენციული ბრძოლა პოტენციურად არსებულ საფრთხეებთან,

რეკომენდაციები გამოყენებისატვის: მცირე ზომის ბანკებისათვის, რომლებიც მუშაობენ მცირე ბაზრებზე ან სახელმწიფოს უშუალო პატრონაჟის ქვეშ.

3. ადეკვატური პასუხის კონცეფცია.

ეს კონცეფცია არის ბანკის მიერ არჩეული შეზრუდული ზრდის სტრატეგიის ლოგიკური შედეგი და მისგან გამომდინარე შემტევითი კონკურენტული სტრატეგიისა. იგი გულისხმობს უსაფრთხოების სამსახურის მიერ გამოყენებულ იქნას პოტენციური საფრთხეების თავიდან აცილების ყველა ლეგიტიმური შეთოდებისა და ინსტრუმენტების ერთობლიობა. გამონაკლისის სახით დაიშვება არალეგიტიმური მეთოდების გამოყენებაც, ოღონდ ისეთი კონკურენტების მიმართ, რომლებმაც პირველებმა გამოიყენეს ასეთი სახის მეთოდები ბანკთან საბრძოლველად.

საბანკო საქმიანობის უსაფრთხოების უზრუნველმყოფელი კონცეპტუალური ხედვის მესამე ვარიანტი არის კომპრომისული პირველ და მეორე კონცეფციებს შორის, არბილებს მათ რადიკალურ ნაკლოვანებებს, თუმცა არ იძლევა მათი უპირატესობების სრულიად გამოყენების საშუალებას. თანამედროვე პირობებში გამოიყენება მეტი წილი ბანკების მიერ.

ამრიგად, ბანკის უსაფრთხოების სისტემის ფორმირების, ექსპლოატაციისა და განვითარებისას აუცილებელია დაცულ იქნა ზოგიერთი ზოგადი მეთოდური მოთხოვნები და მიდგომები კერძოდ: **პირველი** უმთავრესია სისტემური მიდგომის გამოყენება უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემისადმი. აქ იგულისხმება, რომ დაუშვებელია უსაფრთხოების სამსახურის ძალისხმევის კონცენტრირება მხოლოდ რამოდენიმე საფრთხეზე და დანარჩენის უგულველყოფა.

მეორე მეთოდური მიდგომით განისაზღვრება პოტენციური საფრთხეების თავიდან აცილების ღონისძიებათა პრიორიტეტი, ანუ პროფილაქტიკური სამუშაოები. იგი არ მოითხოვს დამატებით დასაბუთებულობას, ვინაიდან გულისხმობს საფრთხის დადგომის არდაშვებას, მაშინ, როდესაც სხვა მეთოდები გულისხმობენ საფრთხეების დადგომის შედეგების განეიტრალებას და დამნაშავეების დასჯას.

მესამე მოთხოვნა უსაფრთხოების სისტემის ორიენტირება კომფიდენციალური ინფორმაციის პრიორიტეტულ დაცვაზე და მხოლოდ ამის შემდეგ სხვა ობიექტების დაცვაზე. საინფორმაციო ტექნოლოგიების როლი საბანკო საქმიანობაში დღითი დღე

მაღლდება, შედეგად ინფორმაციის გაჟონვას შეუძლია დიდი ზიანის მიყენება ბანკისათვის და მის მიერ კონკურენტუნარიანობის დაკარგვაზე.

მეოთხე მოთხოვნაა ბანკის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში მისი ყველა სტრუქტურული ერთეულის უშუალო მონაწილეობა მათი კომპეტენციისა და პასუხისმგებლობის ფარგლებში. საკუთარი პერსონალისაგან გამომდინარე საფრთხეების თავიდან აცილება პრაქტილულად შეუძლებელია უსაფრთხოების სამსახურის ძალით. ამიტომაც აქ ძალზედ მნიშვნელოვანია იდეოლოგიური მუშაობა და შესაბამისი მეთოდების შესწავლა დამნაშავეობის თავიდან აცილების მიზნით.

მეხუთე მოთხოვნაა უსაფრთხოების სამსახურის ურთიერთქმედება მენეჯმენტის სხვა რგოლებთან. აღნიშნული მოთხოვნა უნდა რეალიზებულ იქნას როგორც ოპერატიული მართვის, ისე სტრატეგიული მართვის დონეზე.

მეექვსე მოთხოვნა არის უსაფრთხოებაზე გაწეული ხარჯების თანაფარდობა საფრთხის რეალურ დონესთან. იგი დაკავშირებულია გონიერული საკმარისობის პრინციპთან. მართვის სისტემის საბოლოო ეფექტურობის პოზიციებიდან გამომდინარე დაუშვებელია საქმიანობის ამ მიმართულებაზე სახსრების ეკონომია, მაგრამ ასევე არ არის მიზანშეწონილი ისეთი ხარჯების გაღება, რომლებიც თავის თავს ვერ ანაზღაურებენ.

მე7შვიდე მოთხოვნაა უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების მკაცრად განსაზღვრული უფლებები და პასუხისმგებლობები. ბანკის სხვა თანამშრომლების საქმიანობა ხშირად დგას თავისი უფლებამოსილების აღმატების შესაძლებლობების ზღვარზე. შედეგად მაღალია ალბათობა ბანკის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეებისა და სამოქალაქო დავების აღძრის შესაძლებლობებისა, რომლებიც შეეხება მოქმედი სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებს.

ამრიგად, კომერციული ბანკების ფინანსური რესურსების, ფულადი ნაკადების მართვა და ფინანსური უსაფრთხოების უზრუნველყოფა გვევლინება საბანკო მენეჯმენტის ერთერთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციად, რომელის წარმატებული განხორციელება უსაფრთხოების ზოგადი თეორიის საფუძველზე დასაბუთებული ალგორითმის გამოყენებით არის შესაძლებელი.

კონტროლის მექანიზმების განვითარებამ, ორგანიზაციების მისწრაფებამ თვითრეგულირებისაკენ მოითხოვა, რომ ობიექტურად შეფასებულიყო ეკონომიკური საქმიანობის ეფექტიანობა, რამაც ბიძგი მისცა კონტროლის ახალი ინსტრუმენტის **აუდიტორული საქმიანობის** შექმნას და დანერგვას პრაქტიკაში. აუდიტორული საქმიანობა, როგორც არასახელმწიფოებრივი კონტროლის საყოველთაოდ აღიარებული და ცხოვრებაში პრაქტიკით შემოღებული ფორმა, ფართო მასშტაბურ გამოყენებას პოულობს ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობათა პრინციპებზე მოწყობის პირობებში.

შიდა აუდიტი ორგანიზაციის ფარგლებში დამოუკიდებელი, ე. წ. „მარწმუნებელი" საქმიანობის ერთერთი სახეა. აღნიშნული სამსახურის ამოცანებს განეკუთვნება ორგანიზაციის წინაშე წარმოქმნილი **რისკების შეფასება**, მათგან დასაცავად კონტროლის ღონისძიებების ადეკვატურობის თვალსაზრისით გადასინჯვა და კონტროლის მექანიზმების დასახულ მიზნებთან შესაბამისობის შემოწმება. მოცემულ განსაზღვრებაში **შიდა აუდიტორის** მიერ გამოყენებული ტერმინოლოგიიდან აქცენტი კეთდება სამ ძირითად ცნებაზე. ესენია:

დამოუკიდებლობა შიდა აუდიტორის დამოუკიდებლობა ორგანიზაციის სხვა დანარჩენი სტრუქტურული ერთეულების ოპერაციული საქმიანობისაგან აუცილებელი პირობაა. აღნიშნული მიდგომა უკავშირდება აუდიტორის მოვალეობას, დააფიქსიროს საკუთარი მიუკერძოებელი აზრი არადამაკმაყოფილებელი კონტროლის პროცედურების და მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ. შესაბამისად, თუ აუდიტორი შესამოწმებელი სფეროსგან დამოუკიდებელი არ არის, შესაძლოა გამოვლენილი ნაკლოვანებები არასათანადო დონეზე და არაობიექტურად აისახოს მათ ანგარიშში ან სულაც დამალულ იქნას.

რისკი – ბანკის საქმიანობის შეფასებისა (საქმიანობის რისკი) თუ საქმიანობის პროცესის (აუდიტის რისკი) დაგეგმვისა და განხორციელების დროს შიდა აუდიტორისათვის რისკი ამოსავალი პუნქტია. აუდიტის ფუნქციის შესრულება ორგანიზაციისგან დიდ ფინანსურ ხარჯებს მოითხოვს, ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია, რომ აუდიტორებმა მათ ხელთ არსებული რესურსების ფოკუსირება ორგანიზაციის

მაქსიმალური რისკის მქონე საქმიანობის სფეროზე მოახდინონ. ასეთებად, როგორც წესი, ცენტრალური ბანკისათვის განიხილება ის უბნები, სადაც ფინანსური დანაკარგის ან რეპუტაციის შელახვის მეტი რისკი არსებობს.

კონტროლი – აუდიტორის ძირითადი მიზანია შიდა კონტროლის სისტემის ადეკვატურობისა და ეფექტიანი მუშაობის შეფასება. კონტროლის სათანადო მექანიზმები შესაძლოა საკმაოდ ძვირადღირებული იყოს, ამიტომ მათი ადეკვატურობის შეფასებისას აუდიტორს მეტი ყურადღება მართებს, რომ რეკომენ-დაციები არ გაუწიოს კონტროლის იმ მექანიზმების დანერგვას, რომელთა გამოყენებასთან დაკავშირებული ხარჯი მისგან მისაღებ სარგებელს აღემატება.

ამჟამად შემუშავებული ძირითადი პრაქტიკული დებულებებიდან გამომდინარეობს, რომ შიდა აუდიტორმა ყოველდღიურ საქმიანობაში უნდა გაითვალისწინოს, კერძოდ:

• აუდიტორები არ უნდა მოქმედებდნენ, როგორც შიდა კონტროლის სისტემის ნაწილი. მაგალითად, აუდიტორის მიერ ბალანსის აქტივის მუხლის შემოწმება არ უნდა ჩაენაცვლოს აღნიშნული აქტივის მართვაზე პასუხისმგებელი თანამშრომლების მიერ ჩატარებულ შემოწმებას. თავისი არსით შიდა აუდიტი წარმოადგენს შიდა კონტროლის სისტემის მაკონტროლებელ სტრუქტურას, ანუ ე. წ. „კონტროლის კონტროლს“.

• აუდიტორებმა უნდა დაიცვან იმ კონკრეტულ სფეროში მოქმედი წესები და მოთხოვნები, რომლის აუდიტსაც ატარებენ. შიდა აუდიტი წარმოადგენს ორგანიზაციის ხელმძღვანელობისათვის გაწეულ მომსახურებას. აუდიტორები უნდა გაუფრთხილდნენ აუდიტორის საპატიო სახელს და გააცნობიერონ, რომ მათ მიერ შესრულებულმა სამუშაომ ორგანიზაციის საქმიანობაში შესაძლოა გარკვეული შეფერხებები გამოიწვიოს და რომ აუდიტორები არ არიან პოლიციელები. აუდიტორებმა ასევე მნიშვნელოვანია გაითვალისწინონ, რომ მათი, როგორც ინსპექტორის როლი ძალზე სწრაფად შეიძლება საეჭვო გახდეს, ხოლო მათი მხრიდან ზედმეტი და უადგილო თავგამოდება აუდიტორთა მიერ შეთავაზებული მომსახურების უგულებელყოფის საფუძველი.

• აუდიტორი ვალდებულია, ხელმძღვანელობას აცნობოს ყველა იმ პირადი ინტერესთა კონფლიქტის თაობაზე, რომელმაც შეიძლება მათი აუდიტის პროცესში მონაწილეობის მიზანშეწონილობა კითხვის ქვეშ დააყენოს. იგულისხმება ეითარება, რომელსაც შეუძლია ხელი შეუშალოს კონკრეტულ სფეროში ჩასატარებელ აუდიტორულ შემოწმებას. მაგალითად, შესაძლოა აუდიტორს დაევალოს ისეთი სფეროს აუდიტის ჩატარება, სადაც მისი მეგობარი ან ნათესავია დასაქმებული.

• კონფიდენციალურ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით აუდიტორის ვალდებულებაა, მკაცრად დაიცვას საიდუმლოება. სავსებით დასაშვებია, რომ აუდიტორული შემოწმებისას აუდიტორებს საიდუმლო დოკუმენტებთან მოუხდეთ შეხება, განსაკუთრებით ცენტრალური ბანკის აუდიტის დროს შესაძლოა მათ ხელთ აღმოჩნდეს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტები.

• აუდიტორმა მკაცრად უნდა დაიცვას ეთიკური ნორმები. აუდიტორის მიერ მოპოვებული ინფორმაცია შეიძლება გამოყენებულ იქნეს პირადი დაინტერესების მიზნით. ამიტომ აუცილებელია, შემუშავდეს სპეციალური ნორმატიული აქტი, რომელიც დაავალდებულებს აუდიტორებს, წინასწარ აცნობონ მთავარ აუდიტორს მათი მონაწილეობის შესახებ აქციების მართვის ან სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ ოპერაციებში. ასევე უნდა არსებობდეს წესი, რომლითაც აიკრძალება მესამე პირისგან საჩუქრის მიღება და შესამოწმებელ სუბიექტებთან მათი წინადადებების დაკმაყოფილებაზე შეთანხმება.

რისკების მართვასა და კონტროლის პროცედურებში შიდა აუდიტის სამსახურის ძირითადი ფუნქცია არის ორგანიზაციის წინაშე არსებული რისკების მართვის პროცესის ადეკვატურობის შეფასება და შეძლებისდაგვარად ამ პროცესის მხარდაჭერა. ორგანიზაციაში შიდა აუდიტის სამსახურის არსებობა არ წარმოადგენს მენეჯმენტის მიერ განხორციელებული კონტროლის ღონისძიებების არც დამატებით და არც მის ჩამნაცვლებელ ფუნქციას. რისკების მართვა და ადეკვატური კონტროლის სისტემის შექმნა ორგანიზაციის ხელმძღვანელობის უშუალო პასუხისმგებლობაა, რომელიც მან შიდა აუდიტზე დაყრდნობის გარეშეც უნდა განახორციელოს.

ცნობილია, რომ სხვადასხვა ორგანიზაციების საქმიანობა განსხვაებული სახის რისკებთან არის დაკავშირებული, მაგრამ მათი უმრავლესობა განსაკუთრებულად ფულადი ზარალის მიღებისა და რეპუტაციის შელახვის რისკებს მიიჩნევს. ამგვარი მიდგომა მეტად მნიშვნელოვანი და გამართლებულია ცენტრალურ ბანკში, რომლისთვისაც ფულადი დანაკარგი მეტწილად სახელმწიფო ფულის დაკარგვას, ან დანაკარგის საკომპენსაციოდ გამოყენებას ნიშნავს. აღნიშნული, თავის მხრივ, უთუოდ გამოიწვევს ბანკის რეპუტაციის შერყევას. საბანკო დაწესებულების რეპუტაცია შეილახება იმ შემთხვევაშიც, თუ იგი ცუდად მართაეს საზოგადოებისათვის ისეთ მგრძნობიარე სფეროს, როგორიც არის, მაგალითად, ფულის ნიშნების ბეჭდვა, რასაც შესაძლოა მოჰყვეს დაბალი ხარისხის ან ადვილად გასაყალბებელი ბანკნოტების მიმოქცევაში გაშვება. ფულის დანაკარგი ან რეპუტაციის შერყევა მაღალი დონის რისკების კატეგორიას განეკუთვნება. პრაქტიკაში დანაკარგი შესაძლოა წარმოიქმნას სხვადასხვა მიზეზით. ეს მიზეზები განსაზღვრავს მეორეული რისკების დონეს, რასაც აუდიტორებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ. ბანკისათვის ამგვარი რისკების წყაროებს მიეკუთვნება:თაღლითობა; შეცდომა; ძარცვა; მცდარი გადაწყვეტილება; არასწორი სტრატეგიული დაგეგმვა; კომპიუტერული სისტემების არაეფექტური უზრუნველყოფა; კანონის დარღვევა; ინფორმაციის დაკარგვა; უძრავი ქონების დაკარგვა; პარტნიორის გადახდისუუნარობა; ხელმძღვანელობის არასრული ინფორმირება; სისტემაში კომპიუტერული ვირუსის შეღწევა.

საგულისხმოა, რომ ყველა ტიპის რისკი მხედველობაშია მისაღები. განსხვაებულია მხოლოდ საქმიანობის სფეროები, რომელშიც წარმოიქმნება რისკის ესა თუ ის კატეგორია.

შიდა აუდიტორების ინსტიტუტი შიდა კონტროლს შემდეგნაირად მოიაზრებს: **შიდა კონტროლი არის მმართველობის პროცესის ნაწილი.** აღნიშნული გულისხმობს ბანკის ხელმძღვანელობის ისეთ ქმედებებს, რომლებიც უზრუნველყოფს გარკვეული ღონისძიებების დაგეგმვას, ორგანიზებასა და განხორციელებას, რათა მიღებულ იქნეს სათანადო რწმუნება, რომ სრულდება ოპერაციებისა და პროგრამების დასახული მიზნები და ამოცანები; რესურსები ეკონომიურად და ეფექტიანად გამოიყენება; ინფორმაცია საიმედო და სრულია; პოლიტიკის, გეგმების, პროცედურების, კანონების, ბრძანებებისა და დებულებების მოთხოვნები დაცულია; არსებობს შიდა კონტროლის სხვადასხვა სახეები, რომლებსაც შიდა აუდიტორების პრაქტიკაში შეიძლება შეხედეთ. მაგალითად, ცენტრალურ ბანკში რისკების მართვისთვის გამოიყენება შიდა კონტროლის შემდეგი მექანიზმები:

• **თანამშრომლებზე კონტროლი.** საკმარისი და შესაბამისი გამოცდილება; ადეკვატური პროფესიული მომზადება; კადრების საკმარისი რაოდენობა; ღია ურთიერთობები.

• **ოპერაციების შესრულებაზე კონტროლი.** უფლებამოსილებათა დელეგირება; დროის ლიმიტი; აუცილებელია **ორი ხელმოწერა** ფულადი სახსრების გადარიცხვაზე; შემაჯამებელი მასვენებლების შემოწმება ციფრების უტყუარობის დასადასტურებლად.

• **კონტროლი გარიგებათა დადებაზე.** გარიგების დადების ოპერაციათა გამიჯვნა ანგარიშსწორების აღრიცხვის ოპერაციებისაგან; ანგარიშსწორების ინსტრუქციების შემოწმება; გარიგებათა ლიმიტები; ვერიფიკაციის პროცედურების გამიჯვნა ანგარიშსწორების პროცედურისაგან; ანგარიშგება დადგენილი ლიმიტების დარღვევის განსაკუთრებულ შემთხვევებთან დაკავშირებით; დილერთა სატელეფონო საუბრების ჩაწერა.

• **ფასეულობათა კონტროლი.** ფასეულობათა საცავში დაშვების **ორმაგი** კონტროლი, როგორც წესი, ხორციელდება **ორი გასაღების** მეშვეობით, რომლებიც ინახება სხვადასხვა პირებთან; რეგულარული ინვენტარიზაცია და საბალანსო მონაცემებთან შედარება; ფასეულობათა დაცვის ოპერაციების გამიჯვნა მათი აღრიცხვისაგან; საცავის ვიდეოაპარატურით აღჭურვა.

• **კომპიუტერული სისტემების კონტროლი** ინფორმაციის დამატებითი ასლების შექმნა ცენტრალურ კომპიუტერში შენახული ინფორმაციის დაკარგვის შემთხვევისათვის; ძირითადი საცავისაგან დაშორებული დამხმარე საცავის არსებობა ხანძრის გაჩენის შემთხვევისათვის; სისტემების საჭირო დოკუმენტაციით უზრუნველყოფა, რათა ტექნიკოსებს აპარატურის გაუმართაობის ადვილად გამოვლენის საშუალება მიეცეთ; ელექტროენერგიის შეუფერხებელი მიწოდება კრიტიკულად

მნიშვნელოვანი სისტემებისათვის; პაროლის გამოყენება კომპიუტერულ სისტემაში დასაშვებად; პროგრამის შეცვლის პროცესზე მკაცრი კონტროლის დაწესება; შიფრის გამოყენება ქსელში არასანქცირებული შეღწევის რისკის შესამცირებლად; ფიზიკური კონტროლის დაწესდება კომპიუტერების საცავში შესვლაზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კონტროლის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება ბანკის ხელმძღვანელობის მოვალეობაა. მიუხედავად ამისა, აუდიტორებს შეუძლიათ ამა თუ იმ ოპერაციისათვის გამიზნული კონტროლის კონკრეტული მექანიზმების რეკომენდაციის სახით შეთავაზება. მენეჯერების მიერ შემუშავებულ კონტროლის მექანიზმებზე ზეგავლენას ახდენს დირექტორთა პოზიციაც. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან ქმედითი კონტროლის გარემოს ჩამოყალიბება სწორედ ორგანიზაციის ხელმძღვანელობის ზემდგომი რგოლებიდან უნდა მოდიოდეს. ცენტრალური ბანკის შემთხვევაში ესაა ბანკის მმართველი ან მის სტატუსთან გათანაბრებული პირი.

დანაკარგების ალბათობა და არსებითობა. ზარალის თავიდან ასაცილებლად გამიზნული შიდა კონტროლის ნებისმიერი პროცედურა თავისთავად უკავშირდება გარკვეულ ხარჯებს. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ კონტროლის ძვირადღირებული ღონისძიებები მიიმართოს მაქსიმალური რისკის შემცველი ოპერაციისაკენ. ეს არ გულისხმობს მაინცდამაინც იმ ოპერაციებს, რომელთა არასწორად წარმოების დიდი ალბათობა არსებობს. ამდენად, მნიშვნელოვანია არამარტო **ალბათობის** სიდიდე, არამედ შესაძლო დანაკარგის მოცულობაც. მაგალითად, საკმაოდ მაღალი ალბათობა არსებობს იმისა, რომ თანამშრომელმა მოითხოვოს გაბერილი ხარჯების კომპენსაცია, თუმცა ამასთან დაკავშირებული ფულადი დანაკარგი, შესაძლოა, არც თუ დიდი ოდენობის იყოს. მეორე მხრივ, ალბათობა იმისა, რომ ბანკის მიერ გაგზავნილი ვალის დაფარვის შეტყობინებებს ვინმე ხელში ჩაიგდებს და შეცვლის, საკმაოდ დაბალია, თუმცა ბანკისათვის დანაკარგების თვალსაზრისით არსებითია. აქედან გადაწყვეტილება იმის თაობაზე, თუ რომელი მიმართულებით უნდა განხორციელდეს კონტროლის ძვირადღირებული ღონისძიებები, დამოკიდებულია როგორც რისკის მოხდენის ალბათობაზე, ისე შესაძლო დანაკარგის ოდენობაზეც. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ასახულია ზემოაღნიშნული ორი ცვლადის ურთიერთმიმართების მატრიცა:



დანაკარგის მაღალი ალბათობა	მაღალი რისკის სფერო	მაღალი რისკის სფერო	საშუალო რისკის სფერო
დანაკარგის საშუალო ალბათობა	მაღალი რისკის სფერო	საშუალო რისკის სფერო	დაბალი რისკის სფერო
დანაკარგის დაბალი ალბათობა	საშუალო რისკის სფერო	საშუალო რისკის სფერო	დაბალი რისკის სფერო

აუდიტის ჩასატარებლად გამოყოფილი რესურსები, პირველ რიგში, მიმართული უნდა იყოს მაღალი და საშუალო რისკის სფეროებისაკენ.

1. საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ“ – 2010 წელი
2. ჯიქია მ., – ფინანსური ანალიზი (ლექციების კურსი) თსუ, თბ., მერიდიანი 2011 წ. გვ. 291
3. ბარათაშვილი ე., ფარესაშვილი ნ. და სხვა თანამედროვე ბიზნესის სტრატეგიები სახელმძღვანელო გამომცემლობა „უნივერსალი“ თბ., 2011 გვ. 255
4. საქართველოს კანონი „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ 2006 წელი
5. ქუთათელაძე რ., კობიაშვილი ა. – „აუდიტის საფუძვლები“ თბილისი: საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2009 წელი
6. ლიპარტია ზ., გეგარამია ნ., ლანჩავა ე., – „ეკონომიკური ანალიზი“, მიკროეკონომიკური ანალიზის პრაქტიკუმი თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“, 2007 წელი, ნაწილი II, გვ. 494
7. სახოკია გ., ზაქარიაძე ი., მუჯირიშვილი ვ., – „ფინანსური კონტროლის საფუძვლები“, მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო. თბილისი: „გაეროს განვითარების პროგრამისა და კონტროლის პალატის პროექტ სახელმწიფო კონტროლის სისტემის ქმედუნარიანობის გაძლიერება“, 2006 წელი, გვ. 293
8. ცაავა გ., აბრამია თ., ცაავა დ., – „რისკოლოგია“, ფინანსური და საბანკო-საკრედიტო რისკების მენეჯმენტი თბილისი: გამომცემლობა „აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია“, 2007 წელი, გვ. 567
9. ცირამუა ე. – „აუდიტი“, თეორია და პრაქტიკა თბილისი: 2006 წელი
10. ქებაძე ნ. – „აუდიტის საფუძვლები“, დამხმარე სახელმძღვანელო, თბილისი: 1998 წელი, ნაწილი I, გვ. 144
11. გოგსაძე ლ., ნიკვაშვილი ზ., ლალაზაშვილი ზ., ფარცხალაძე თ., დოლიძე ი., ხარატიშვილი ზ., – თარგმნილი ინგლისურიდან, „აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო ოფიციალური დოკუმენტების ცნობარი“ თბილისი: „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია“, 2004 წელი, გვ. 659
12. ლიპარტია ზ. – „კორპორაციული ფინანსების მართვა“, ახალციხის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გამომცემლობა „უნივერსალი“ 2009 წელი, გვ. 506
13. ლიპარტია ზ. ქინქლაძე რ., – სტატისტიკა, ტექნიკური უნივერსიტეტი, თბ. 2009, გვ. 119-127
14. მონტგომერი – „აუდიტი“ თარგმნილი საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ თბ. 1998, გამომცემლობა „ფინანსები“, 589 გვ.
15. http://www.ifc.org/ifcext/gcgp.nsf. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 09.06.2010.
16. ბერიძე რ., – საბანკო მენეჯმენტი, თბ., „უნივერსალი“, 2009.
17. კოჟანაძე ი. – საქართველოს კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემები და მათი გადაწყვეტის სრულყოფის გზები გარდამავალი ეკონომიკის პირობებში, თბ., 2003.
18. ლიპარტია ზ. – კორპორაციული ფინანსების მართვა, თბ., „უნივერსალი“, 2009.
19. ცაავა გ. – საბანკო საქმე, თბ., 2005.
20. საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ“. 2011.
21. საქართველოს კანონი აუდიტორული საქმიანობის შესახებ. 1996.
22. Белых Л. П. Устоичивость коммерческих банков. М.: Банки и биржи. 2007.
23. Сафронов В. А. Аналитические аспекты оценки финансовой устоичивости банковской системы. \\ Денги и кредит. – 2005, №2.
24. Financial institunion management, Fred C. Keager, Prentice-Hall, 2006.
25. ზარანდია ც. – მენეჯერული აღრიცხვა (სალექციო კურსი), თბ. „უნივერსალი“, 2011 წელი
26. ფინანსური ინფორმაცია მენეჯერებისათვის წიგნი ACCA 1.1 თბ. ბაფი 2006 წელი
27. აუდიტი და შიდა მიმოხილვა წიგნი 2.5 ბაფი თბ. 2003 წელი
28. ზარანდია ც., ბარბაქაძე გ. სახოკია გ. – აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტი, თბ. 2009 წელი
29. ზარანდია ც., ხუციშვილი ქ. – აღრიცხვა საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებებში, თბ. 2011 წელი

PVIF ცხრილი №1 ახლანდელი ღირებულება $PV = \frac{1}{(1+i)n}$ PV = FV * PVIF

	1.00%	1.25%	1.50%	1.75%	2.00%	3.00%	4.00%	5.00%	6.00%	7.00%	8.00%	9.00%	10.00%	12.00%	14.00%	15.00%
1	0.9901	0.9877	0.9852	0.9828	0.9804	0.9709	0.9615	0.9524	0.9434	0.9346	0.9259	0.9174	0.9091	0.8929	0.8772	0.8696
2	0.9803	0.9755	0.9707	0.9659	0.9612	0.9426	0.9246	0.9070	0.8900	0.8734	0.8573	0.8417	0.8264	0.7972	0.7695	0.7561
3	0.9706	0.9634	0.9563	0.9493	0.9423	0.9151	0.8890	0.8638	0.8396	0.8163	0.7938	0.7722	0.7513	0.7118	0.6750	0.6575
4	0.9610	0.9515	0.9422	0.9330	0.9238	0.8885	0.8548	0.8227	0.7921	0.7629	0.7350	0.7084	0.6830	0.6355	0.5921	0.5718
5	0.9515	0.9398	0.9283	0.9169	0.9057	0.8626	0.8219	0.7835	0.7473	0.7130	0.6806	0.6499	0.6209	0.5674	0.5194	0.4972
6	0.9420	0.9282	0.9145	0.9011	0.8880	0.8375	0.7903	0.7462	0.7050	0.6663	0.6302	0.5963	0.5645	0.5066	0.4556	0.4323
7	0.9327	0.9167	0.9010	0.8856	0.8706	0.8131	0.7599	0.7107	0.6651	0.6227	0.5835	05470	0.5132	0.4523	0.3996	0.3759
8	0.9235	0.9054	0.8877	0.8704	0.8535	0.7894	0.7307	0.6768	0.6274	0.5820	0.5403	0.5019	0.4665	0.4039	0.3506	0.3269
9	0.9143	0.8942	0.8746	0.8554	0.8368	0.7664	0.7026	0.6446	0.5919	0.5439	0.5002	0.4604	0.4241	0.3606	0.3075	0.2843
10	0.9053	0.8832	0.8617	0.8407	0.8203	0.7441	0.6756	0.6139	0.5584	0.5083	0.4632	0.4224	0.3855	0.3220	0.2697	0.2472
11	0.8963	0.8723	0.8489	0.8263	0.8043	0.7224	0.6496	0.5847	0.5268	0.4751	0.4289	0.3875	0.3505	0.2875	0.2366	0.2149
12	0.8874	0.8615	0.8364	0.8121	0.7885	0.7014	0.6246	0.5568	0.4970	0.4440	0.3971	0.3555	0.3186	0.2567	0.2076	0.1869
13	0.8787	0.8509	0.8240	0.7981	0.7730	0.6810	0.6006	0.5303	0.4688	0.4150	0.3677	0.3262	0.2897	0.2292	0.1821	0.1625
14	0.8700	0.8404	0.8118	0.7844	0.7579	0.6611	0.5775	0.5051	0.4423	0.3878	0.3405	0.2992	0.2633	0.2046	0.1597	0.1413
15	0.8613	0.8300	0.7999	0.7709	0.7430	0.6419	0.5553	0.4810	0.4173	0.3624	0.3152	0.2745	0.2394	0.1827	0.1401	0.1229
16	0.8528	0.8197	0.7880	0.7576	0.7284	0.6232	0.5339	0.4581	0.3936	0.3387	0.2919	0.2519	0.2176	0.1631	0.1229	0.1069
17	0.8444	0.8096	0.7764	0.7446	0.7142	0.6050	0.5134	0.4363	0.3714	0.3166	0.2703	0.2311	0.1978	0.1456	0.1078	0.0929
18	0.8360	0.7996	0.7649	0.7318	0.7002	0.5874	0.4936	0.4155	0.3503	0.2959	0.2502	0.2120	0.1799	0.1300	0.0946	0.0808
19	0.8277	0.7898	0.7536	0.7192	0.6864	0.5703	0.4746	0.3957	0.3305	0.2765	0.2317	0.1945	0.1635	0.1161	0.0829	0.0703
20	0.8195	0.7800	0.7425	0.7068	0.6730	0.5537	0.4564	0.3769	0.3118	0.2584	0.2145	0.1784	0.1486	0.1037	0.0728	0.0611
21	0.8114	0.7704	0.7315	0.6947	0.6598	0.5375	0.4388	0.3589	0.2942	0.2415	0.1987	0.1637	0.1351	0.0926	0.0638	0.0531
22	0.8034	0.7609	0.7207	0.6827	0.6468	0.5219	0.4220	0.3418	0.2775	0.2257	0.1839	0.1502	0.1228	0.0826	0.0560	0.0462
23	0.7954	0.7515	0.7100	0.6710	0.6342	0.5067	0.4057	0.3256	0.2618	0.2109	0.1703	0.1378	0.1117	0.0738	0.0491	0.0402
24	0.7876	0.7422	0.6995	0.6594	0.6217	0.4919	0.3901	0.3101	0.2470	0.1971	0.1577	0.1264	0.1015	0.0659	0.0431	0.0349
25	0.7798	0.7330	0.6892	0.6481	0.6095	0.4776	0.3751	0.2953	0.2330	0.1842	0.1460	0.1160	0.0923	0.0588	0.0378	0.0304
26	0.7720	0.7240	0.6790	0.6369	0.5976	0.4637	0.3607	0.2812	0.2198	0.1722	0.1352	0.1064	0.0839	0.0525	0.0331	0.0264
27	0.7644	0.7150	0.6690	0.6260	0.5859	0.4502	0.3468	0.2678	0.2074	0.1609	0.1252	0.0976	0.0763	0.0469	0.0291	0.0230
28	0.7568	0.7062	0.6591	0.6152	0.5744	0.4371	0.3335	0.2551	0.1956	0.1504	0.1159	0.0895	0.0693	0.0419	0.0255	0.0200
29	0.7493	0.6975	0.6494	0.6046	0.5631	0.4243	0.3207	0.2429	0.1846	0.1406	0.1073	0.0822	0.0630	0.0374	0.0224	0.0174
30	0.7419	0.6889	0.6398	0.5942	0.5521	0.4120	0.3083	0.2314	0.1741	0.1314	0.0994	0.0754	0.0573	0.0334	0.0196	0.0151

PVAIF ცხრილი №2 ანუიტეტის ახლანდელი ღირებულება $PV_A = \frac{1 - \frac{1}{(1+i)^n}}{i}$ PVA = FVA * PVAIF

	1.00%	1.25%	1.50%	1.75%	2.00%	3.00%	4.00%	5.00%	6.00%	7.00%	8.00%	9.00%	10.00%	12.00%	14.00%	15.00%
1	0.9901	0.9877	0.9852	0.9828	0.9804	0.9709	0.9615	0.9524	0.9434	0.9346	0.9259	0.9174	0.9091	0.8929	0.8772	0.8696
2	1.9704	1.9631	1.9559	1.9487	1.9416	1.9135	1.8861	1.8594	1.8334	1.8080	1.7833	1.7591	1.7355	1.6901	1.6467	1.6257
3	2.9410	2.9265	2.9122	2.8980	2.8839	2.8286	2.7751	2.7232	2.6730	2.6243	2.5771	2.5313	2.4869	2.4018	2.3216	2.2832
4	3.9020	3.8781	3.8544	3.8309	3.8077	3.7171	3.6299	3.5460	3.4651	3.3872	3.3121	3.2397	3.1699	3.0373	2.9137	2.8550
5	4.8534	4.8178	4.7826	4.7479	4.7135	4.5797	4.4518	4.3295	4.2124	4.1002	3.9927	3.8897	3.7908	3.6048	3.4331	3.3522
6	5.7955	5.7460	5.6972	5.6490	5.6014	5.4172	5.2421	5.0757	4.9173	4.7665	4.6229	4.4859	4.3553	4.1114	3.8887	3.7845
7	6.7282	6.6627	6.5982	6.5346	6.4720	6.2303	6.0021	5.7864	5.5824	5.3893	5.2060	5.0330	4.8684	4.5638	4.2883	4.1604
8	7.6517	7.5681	7.4859	7.4051	7.3255	7.0197	6.7327	6.4632	6.2098	6.9713	5.7466	5.5348	5.3349	4.9676	4.6389	4.4873
9	8.5660	8.4623	8.3605	8.2605	8.1622	7.7861	7.4353	7.1078	6.8017	6.5152	6.2469	5.9952	5.7590	5.3282	4.9464	4.7716
10	9.4713	9.3455	9.2222	9.1012	8.9826	8.5302	8.1109	7.7217	7.3601	7.0236	6.7101	6.4177	6.1446	5.6502	5.2161	5.0188
11	10.3676	10.2178	10.0711	9.9275	9.7868	9.2526	8.7605	8.3064	8.8869	8.4987	8.1390	6.8052	6.4951	5.9377	5.4527	5.2337
12	11.2551	11.0793	10.9075	10.7395	10.5753	9.9540	9.3851	8.8633	8.3838	7.9427	7.5361	7.1607	6.8137	6.1944	5.6603	5.4206
13	12.1337	11.9302	11.7315	11.5376	11.3484	10.6350	9.9856	9.3936	8.8527	8.3577	7.9038	7.4869	7.1034	6.4235	5.8424	5.5831
14	13.0037	12.7706	12.5434	12.3220	12.1062	11.2961	10.5631	9.8986	9.2950	8.7455	8.2442	7.7862	7.3667	6.6282	6.0021	5.7245
15	13.8651	13.6005	13.3432	13.0929	12.8493	11.9379	11.1184	10.3797	9.7122	9.1079	8.5595	8.0607	7.6061	6.8109	6.1422	5.8474
16	14.7179	14.4203	14.1313	13.8505	13.5777	12.5611	11.6523	10.8378	10.1059	9.4466	8.8514	8.3126	7.8237	6.9740	6.2651	5.9542
17	15.5623	15.2299	14.9076	14.5951	14.2919	13.1661	12.1657	11.2741	10.4773	9.7632	9.1216	8.5436	8.0216	7.1196	6.3729	6.0472
18	16.3983	16.0295	15.6726	15.3269	14.9920	13.7535	12.6593	11.6896	10.8276	10.0591	9.3719	8.7556	8.2014	7.2497	6.4674	6.1280
19	17.2260	16.8193	16.4262	16.0461	15.6785	14.3238	13.1339	12.0853	11.1581	10.3356	9.6036	8.9501	8.3649	7.3658	6.5504	6.1982
20	18.0456	17.5993	17.1686	16.7529	16.3514	14.8775	13.5903	12.4622	11.4699	10.5940	9.8181	9.1285	8.5136	7.4694	6.6231	6.2593
21	18.8570	18.3697	17.9001	17.4475	17.0112	15.4150	14.0292	12.8212	11.7641	10.8355	10.0168	9.2922	8.6487	7.5620	6.6870	6.3125
22	19.6604	19.1306	18.6208	18.1303	17.6580	15.9369	14.4511	13.1630	12.0416	11.0612	10.2007	9.4424	8.7715	7.6446	6.7429	6.3587
23	20.4558	19.8820	19.3309	18.8012	18.2922	16.4436	14.8568	13.4886	12.3034	11.2722	10.3711	9.5802	8.8832	7.7184	6.7921	6.3988
24	21.2434	20.6242	20.0304	19.4607	18.9139	16.9355	15.2470	13.7986	12.5504	11.4693	10.5288	9.7066	8.9847	7.7843	6.8351	6.4338
25	22.0232	21.3573	20.7196	20.1088	19.5235	17.4131	15.6221	14.0939	12.7834	11.6536	10.6748	9.8226	9.0770	7.8431	6.8729	6.4641
26	22.7952	22.0813	21.3986	20.7457	20.1210	17.8768	15.9828	14.3752	13.0032	11.8258	10.8100	9.9290	9.1609	7.8957	6.9061	6.4906
27	23.5596	22.7963	22.0676	21.3717	20.7069	18.3270	16.3296	14.6430	13.2105	11.9867	10.9352	10.0266	9.2372	7.9426	6.9352	6.5135
28	24.3164	23.5025	22.7267	21.9870	21.2813	18.7641	16.6631	14.8981	13.4062	12.1371	11.0511	10.1161	9.3066	7.9844	6.9607	6.5335
29	25.0658	24.2000	23.3761	22.5916	21.8444	19.1895	16.9837	15.1411	13.5907	12.2777	11.1584	10.1983	9.3696	8.0218	6.9830	6.5509
30	25.8077	24.8589	24.0158	23.1858	22.3965	19.6004	17.2920	15.3725	13.7648	12.4090	11.2578	10.2737	9.4269	8.0552	7.0027	6.5660

FVIF ცხრილი №3 მომავალი ღირებულება $FV = (1+i)^n$ FV = PV * FVIF

	1.00%	1.25%	1.50%	1.75%	2.00%	3.00%	4.00%	5.00%	6.00%	7.00%	8.00%	9.00%	10.00%	12.00%	14.00%	15.00%
1	1.0100	1.0125	1.0150	1.0175	1.0200	1.0300	1.0400	1.0500	1.0600	1.0700	1.0800	1.0900	1.1000	1.1200	1.1400	1.1500
2	1.0201	1.0252	1.0302	1.0353	1.0404	1.0609	1.0816	1.1025	1.1236	1.1449	1.1664	1.1881	1.2100	1.2544	1.2996	1.3225
3	1.0303	1.0380	1.0457	1.0534	1.0612	1.0927	1.1249	1.1576	1.1910	1.2250	1.2597	1.2950	1.3310	1.4049	1.4815	1.5209
4	1.0406	1.0509	1.0614	1.0719	1.0824	1.1255	1.1699	1.2155	1.2625	1.3108	1.3605	1.4116	1.4641	1.5735	1.6890	1.7490
5	1.0510	1.0641	1.0773	1.0906	1.1041	1.1593	1.2167	1.2763	1.3382	1.4026	1.4693	1.5386	1.6105	1.7623	1.9254	2.0114
6	1.0615	1.0774	1.0934	1.1097	1.1262	1.1941	1.2653	1.3401	1.4185	1.5007	1.5869	1.6771	1.7716	1.9738	2.1950	2.3131
7	1.0721	1.0909	1.1098	1.1291	1.1487	1.2299	1.3159	1.4071	1.5036	1.6058	1.7138	1.8280	1.9487	2.2107	2.5023	2.6600
8	1.0829	1.1045	1.1265	1.1489	1.1717	1.2668	1.3686	1.4775	1.5938	1.7182	1.8509	1.9926	2.1436	2.4760	2.8526	3.0590
9	1.0937	1.1183	1.1434	1.1690	1.1951	1.3048	1.4233	1.5513	1.6895	1.8385	1.9990	2.1719	2.3579	2.7731	3.2519	3.5179
10	1.1046	1.1323	1.1605	1.1894	1.2190	1.3439	1.4802	1.6289	1.7908	1.9672	2.1589	2.3674	2.5937	3.1058	3.7072	4.0456
11	1.1157	1.1464	1.1779	1.2103	1.2434	1.3842	1.5395	1.7103	1.8983	2.1049	2.3316	2.5804	2.8531	3.4785	4.2262	4.6524
12	1.1268	1.1608	1.1956	1.2314	1.2682	1.4258	1.6010	1.7959	2.0122	2.2522	2.5182	2.8127	3.1384	3.8960	4.8179	5.3503
13	1.1381	1.1753	1.2136	1.2530	1.2936	1.4685	1.6651	1.8856	2.1329	2.4098	2.7196	3.0658	3.4523	4.3635	5.4924	6.1528
14	1.1495	1.1900	1.2318	1.2749	1.3195	1.5126	1.7317	1.9799	2.2609	2.5785	2.9372	3.3417	3.7975	4.8871	6.2613	7.0757
15	1.1610	1.2048	1.2502	1.2972	1.3459	1.5580	1.8009	2.0789	2.3966	2.7590	3.1722	3.6425	4.1772	5.4736	7.1379	8.1371
16	1.1726	1.2199	1.2690	1.3199	1.3728	1.6047	1.8730	2.1829	2.5404	2.9522	3.4259	3.9703	4.5950	6.1304	8.1372	9.3576
17	1.1843	1.2351	1.2880	1.3430	1.4002	1.6528	1.9479	2.2920	2.6928	3.1588	3.7000	4.3276	5.0545	6.8660	9.2765	10.7613
18	1.1961	1.2506	1.3073	1.3665	1.4282	1.7024	2.0258	2.4066	2.8543	3.3799	3.9960	4.7171	5.5599	7.6900	10.5752	12.3755
19	1.2081	1.2662	1.3270	1.3904	1.4568	1.7535	2.1068	2.5370	3.0256	3.6135	3.3157	5.1417	6.1159	8.6128	12.0557	14.2318
20	1.2202	1.2820	1.3469	1.4148	1.4859	1.8061	2.1911	2.6533	3.2071	3.8697	4.6610	5.6044	6.7275	9.6463	13.7435	16.3665
21	1.2324	1.2981	1.3671	1.4395	1.5157	1.8603	2.2788	2.7860	3.3996	4.1406	5.0338	6.1088	7.4002	10.8038	15.6676	18.8215
22	1.2447	1.3143	1.3876	1.4647	1.5460	1.9161	2.3699	2.9253	3.6035	4.4304	5.4365	6.6586	8.1403	12.1003	17.8610	21.6447
23	1.2572	1.3307	1.4084	1.4904	1.5769	1.9736	2.4647	3.0715	3.8197	4.7405	5.8715	7.2579	8.9543	13.5523	20.3616	24.8915
24	1.2697	1.3474	1.4295	1.5164	1.6084	2.0328	2.5633	3.2251	4.0489	5.0724	6.3412	7.9111	9.8497	15.1786	23.2122	28.6252
25	1.2824	1.3642	1.4509	1.5430	1.6406	2.0938	2.6658	3.3864	4.2919	5.4274	6.8485	8.6231	10.8347	17.0001	26.4619	32.9190
26	1.2953	1.3812	1.4727	1.5700	1.6734	2.1566	2.7725	3.5557	4.5494	5.8074	7.3964	9.3992	11.9182	19.0401	30.1666	37.8568
27	1.3082	1.3985	1.4948	1.5975	1.7069	2.2213	2.8834	3.7335	4.8223	6.2139	7.9881	10.2451	13.1100	21.3249	34.3899	43.5353
28	1.3213	1.4160	1.5172	1.6254	1.7410	2.2879	2.9987	3.9201	5.1117	6.6488	8.6271	11.1671	14.4210	23.8839	39.2045	50.0656
29	1.3345	1.4337	1.5400	1.6539	1.7758	2.3566	3.1187	4.1161	5.4184	7.1143	9.3173	12.1722	15.8631	26.7499	44.6931	57.5755
30	1.3478	1.4516	1.5631	1.6828	1.8114	2.4273	3.2434	4.3219	5.7435	7.6123	10.0627	13.2677	17.4494	29.9599	50.9502	66.2118

FVAIF (ცხრილი №4 ანუიტეტის მომავალი ღირებულება $FV_n = \frac{(1+i)^n - 1}{i}$ FVA = PVA * FVAIF

1.00%	1.25%	1.50%	1.75%	2.00%	3.00%	4.00%	5.00%	6.00%	7.00%	8.00%	9.00%	10.00%	12.00%	14.00%	15.00%
1.0000	1.0000	1.0000	1.0000	1.0000	1.0000	1.0000	1.0000	1.0000	1.0000	1.0000	1.0000	1.0000	1.0000	1.0000	1.0000
2.0100	2.0125	2.0150	2.0175	2.0200	2.0300	2.0400	2.0500	2.0600	2.0700	2.0800	2.0900	2.1000	2.1200	2.1400	2.1500
3.0301	3.0377	3.0452	3.0528	3.0604	3.0909	3.1216	3.1525	3.1836	3.2149	3.2464	3.2781	3.3100	3.3744	3.4396	3.4725
4.0604	4.0756	4.0909	4.1062	4.1216	4.1836	4.2465	4.3101	4.3746	4.4399	4.5061	4.5731	4.6410	4.7793	4.9211	4.9934
5.1010	5.1266	5.1523	5.1781	5.2040	5.3091	5.4163	5.5256	5.6371	5.7507	5.8666	5.9847	6.1051	6.3528	6.6101	6.7424
6.1520	6.1907	6.2296	6.2687	6.3081	6.4684	6.6330	6.8019	6.9753	7.1533	7.3359	7.5233	7.7156	8.1152	8.5355	8.7537
7.2135	7.2680	7.3230	7.3784	7.4343	7.6625	7.8983	8.1420	8.3938	8.6540	8.9228	9.2004	9.4872	10.0890	10.7305	11.0668
8.2857	8.3589	8.4328	8.5075	8.5830	8.8923	9.2142	9.5491	9.8975	10.2598	10.6366	11.0285	11.4359	12.2997	13.2328	13.7268
9.3685	9.4634	9.5593	9.6564	9.7546	10.1591	10.5828	11.0266	11.4913	11.9780	12.4876	13.0210	13.5795	14.7757	16.0853	16.7858
10.4622	10.5817	10.7027	10.8254	10.9497	11.4639	12.0061	12.5779	13.1808	13.8164	14.4866	15.1929	15.9374	17.5487	19.3373	20.3037
11.5668	11.7139	11.8633	12.0148	12.1687	12.8078	13.4864	14.2068	14.9716	15.7836	16.6455	17.5603	18.5312	20.6546	23.0445	24.3493
12.6825	12.8604	13.0412	13.2251	13.4121	14.1920	15.0258	15.9171	16.8699	17.8885	18.9771	20.1407	21.3843	24.1331	27.2707	29.0017
13.8093	14.0211	14.2368	14.4565	14.6803	15.6178	16.6268	17.7130	18.8821	20.1406	21.4953	22.9534	24.5227	28.0291	32.0887	34.3519
14.9474	15.1964	15.4504	15.7095	15.9739	17.0863	18.2919	19.5986	21.0151	22.5505	24.2149	26.0192	27.9750	32.3926	37.5811	40.5047
16.0969	16.3863	16.6821	16.9844	17.2934	18.5989	20.0236	21.5786	23.2760	25.1290	27.1521	29.3609	31.7725	37.2797	43.8424	47.5804
17.2579	17.5912	17.9324	18.2817	18.6393	20.1569	21.8245	23.6575	25.6725	27.8881	30.3243	33.0034	35.9497	42.7533	50.9804	55.7175
18.4304	18.8111	19.2014	19.6016	20.0121	21.7616	23.6975	25.8404	28.2129	30.8402	33.7502	36.9737	40.5447	48.8837	59.1176	65.0751
19.6147	20.0462	20.4894	20.9446	21.4123	23.4144	25.6454	28.1324	30.9057	33.9990	37.4502	41.3013	45.5992	55.7497	68.3941	75.8364
20.8109	21.2968	21.7967	22.3112	22.8406	25.1169	27.6712	30.5390	33.7600	37.3790	41.4463	46.0185	51.1591	63.4397	78.9692	88.2118
22.0190	22.5630	23.1237	23.7016	24.2974	26.8704	29.7781	33.0660	36.7856	40.9955	45.7620	51.1601	57.2750	72.0524	91.0249	102.4436
23.2392	23.8450	24.4705	25.1164	25.7833	28.6765	31.9692	35.7193	39.9927	44.8652	50.4229	56.7645	64.0025	81.6987	104.7684	118.8101
24.4716	25.1431	25.8376	26.5359	27.2990	30.5368	34.2480	38.5052	43.3923	49.0057	55.4568	62.8733	71.4027	92.5026	120.4360	137.6316
25.7163	26.4574	27.2251	28.0207	28.8450	32.4529	36.6179	41.4305	46.9958	53.4361	60.8933	69.5319	79.5430	104.6029	138.2970	159.2764
26.9735	27.7881	28.6335	29.5110	30.4219	34.4265	39.0826	44.5020	50.8156	58.1767	66.7648	76.7898	88.4973	118.1552	158.6586	184.1678
28.2432	29.1354	30.0630	31.0275	32.0303	36.4593	41.6459	47.7271	54.8645	63.2490	73.1059	84.7009	98.3471	133.3339	181.8708	212.7930
29.5256	30.4996	31.5140	32.5704	33.6709	38.5530	44.3117	51.1135	59.1564	68.6765	79.9544	93.3240	109.1818	150.3339	208.3327	245.7120
30.8209	31.8809	32.9867	34.1404	35.3443	40.7096	47.0842	54.6691	63.7058	74.4838	87.3508	102.7231	121.0999	169.3740	238.4993	283.5688
32.1991	33.2794	34.4815	35.7379	37.0512	42.9309	49.9676	58.4026	68.5281	80.6977	95.3388	112.9682	134.2099	190.6989	272.8892	327.1041
33.4504	34.6954	35.9987	37.3633	38.7922	45.2189	52.9663	62.3227	73.6398	87.3465	103.9659	124.1354	148.6309	214.5828	312.0937	377.1697
34.7849	36.1291	37.5387	39.0172	40.5681	47.5754	56.0549	66.4388	79.0582	94.4608	113.2832	136.3075	164.4940	241.3327	356.7868	434.7451

საქართველოს კანონი
სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის მიზნები და მოქმედების სფერო

1. ეს კანონი არეგულირებს სახელმწიფო სექტორში სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის დანერგვის წესს, პრინციპებს და სხვა საკითხებს, რომლებიც მნიშვნელოვანია სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის შემუშავებისათვის, ჩამოყალიბებისა და განხორციელებისათვის.

2. ამ კანონის საფუძველზე განისაზღვრება სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის არსებობისთვის აუცილებელი მეთოდოლოგია, სტანდარტები და ამ სისტემის დანერგვისას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ჰარმონიზაციის ცენტრსა და სხვა სუბიექტებს შორის ურთიერთობები, მათი უფლებამოსილებები და მოვალეობები.

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო არის უფლებამოსილი ორგანო, რომელიც კოორდინაციას უწევს სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის ჩამოყალიბებასა და განვითარებას, ხოლო ჰარმონიზაციის ცენტრი სამდივნოს მეშვეობით ახორციელებს აღნიშნული საკითხების კოორდინაციასა და ჰარმონიზაციას.

4. სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემა მოიცავს:

ა) ფინანსურ მართვას და კონტროლს;

ბ) შიდა აუდიტს;

გ) ჰარმონიზაციის ცენტრს.

მუხლი 2. კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) შიდა აუდიტის სუბიექტი – დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფი (ერთეული) ან დაწესებულებისადმი დაქვემდებარებული ერთეული, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს შიდა აუდიტი ამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად;

ბ) შიდა აუდიტორი – შიდა აუდიტის სუბიექტის თანამშრომელი, რომელიც ახორციელებს შიდა აუდიტს ამ კანონით დადგენილი წესით;

გ) შიდა აუდიტის ობიექტი – დაწესებულება, მისი სტრუქტურული ქვედანაყოფი (ერთეული) ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეული, რომელშიც ხორციელდება შიდა აუდიტი;

დ) დაწესებულება – ამ კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებული დაწესებულებები;

ე) შიდა კონტროლი – მენეჯერული, ფინანსური და სხვა სახის კონტროლის მექანიზმების სისტემა, რომელიც მოიცავს ორგანიზაციულ სტრუქტურას, მეთოდებს, პროცედურებს, შიდა აუდიტს და რომელიც ყალიბდება, რათა დაეხმაროს დაწესებულებას, მიაღწიოს თავის მიზნებს და კანონიერად, ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად წარმართოს თავისი საქმიანობა. შიდა კონტროლის სისტემის ჩამოყალიბება არის დაწესებულების ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა, რომლის საშუალებითაც უნდა იქნეს მიღწეული დაწესებულების მიზნები საბიუჯეტო სახსრების კანონიერი, გამჭვირვალე, ეკონომიური, ეფექტიანი და პროდუქტიული გამოყენებით;

ვ) ფინანსური მართვა და კონტროლი – შიდა აუდიტთან ერთად შიდა კონტროლის სისტემა, რომელიც ინერგება და ხორციელდება ხელმძღვანელების მიერ,

რაც უზრუნველყოფს დაწესებულების მიზნების მიღწევისას საბიუჯეტო სახსრების კანონიერ, გამჭვირვალე, ეკონომიურ, ეფექტიან და პროდუქტიულ გამოყენებას;

ზ) შიდა აუდიტი – დაწესებულების საქმიანობის გაუმჯობესებისა და მისი მიზნების მიღწევის უზრუნველყოფისკენ მიმართული დამოუკიდებელი, ობიექტური და საკონსულტაციო საქმიანობა, რომელიც სისტემატიზებული, დისციპლინებული მიდგომით აფასებს და აუმჯობესებს რისკის მართვის, კონტროლისა და მმართველობითი პროცესის ეფექტიანობას და მიმართულია დაწესებულების ამოცანების სრულყოფილად შესრულებისკენ;

თ) შიდა აუდიტორული შემოწმება – სარეკომენდაციო შემოწმება, რომელიც მოიცავს შიდა აუდიტის ობიექტში განსახორციელებელი ქმედებების, დავალებებისა და პროცესების ერთობლიობას;

ი) ჰარმონიზაციის ცენტრი – საქართველოს მთავრობასთან შექმნილი შიდა კონტროლთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი საბჭო, რომელიც სამდივნოს მეშვეობით უზრუნველყოფს სახელმწიფო სექტორში სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის დანერგვას, განვითარებას, ფუნქციურ სრულყოფას და აღნიშნული საკითხების კოორდინაციას;

კ) სისტემური აუდიტი – ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასება;

ლ) შესაბამისობის აუდიტი – შიდა აუდიტის ობიექტის მიერ სახელმწიფო სახსრების, სახელმწიფოს სხვა მატერიალური ფასეულობების, სახელმწიფოს ქონებრივი ღირებულების არამატერიალური სიკეთეების ხარჯვის, გამოყენების, მართვისა და დაცვის კანონიერებისა და მიზნობრიობის შესწავლა და ანალიზი;

მ) ეფექტიანობის აუდიტი – სახელმწიფო პროგრამების შედგენის, საინვესტიციო, ფინანსური, ადამიანური, მატერიალური და სხვა რესურსების გამოყენებისა და მართვის სფეროში განხორციელებული საქმიანობისა და მიღებული გადაწყვეტილებების ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის ანალიზი და შეფასება;

ნ) ფინანსური აუდიტი – შიდა აუდიტის ობიექტის ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შემოწმება საქართველოს კანონმდებლობასთან და სტანდარტებთან მათი შესაბამისობის დადგენის მიზნით;

ო) ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტი – ინფორმაციული ტექნოლოგიების ადეკვატურობისა და სისტემის უსაფრთხოების დაცულობის შემოწმება და შეფასება სისტემის კონფიდენციალურობის, მთლიანობის და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით;

პ) შიდა აუდიტორული ანგარიში – შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგად შიდა აუდიტორის მიერ შედგენილი ანგარიში, რომელიც ასახავს შიდა აუდიტის შედეგებს, შიდა აუდიტის განხორციელების პროცესსა და გამოვლენილ ფაქტებს, მათ ანალიზს და მათ საფუძველზე შემუშავებულ რეკომენდაციებს, აგრეთვე შიდა აუდიტის ობიექტის არგუმენტაციას (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ჟ) შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსი – პრინციპები, რომლებიც ვრცელდება შიდა აუდიტორებზე და მოიცავს მათი ქცევის ძირითად წესებს;

რ) შიდა აუდიტის სტანდარტები – კრიტერიუმები ან მაჩვენებლები, რომლებიც განსაზღვრავს შიდა აუდიტის ძირითად პროფესიულ მოთხოვნებს და არის შიდა აუდიტორის მთავარი გზამკვლევი შიდა აუდიტის განხორციელებისას;

ს) შიდა კონტროლის საერთაშორისო სტანდარტები – უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) „საჯარო სექტორში შიდა კონტროლის სტანდარტების სახელმძღვანელო“;

ტ) რისკი – ალბათობა ისეთი მოვლენის მოხდენისა, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს დაწესებულების მიზნების მიღწევასა და ამოცანების შესრულებაზე;

უ) ეკონომიურობა მინიმალური რესურსის გამოყენებით შესაბამისი შედეგისა და ხარისხის მიღწევა;

ფ) ეფექტიანობა გარკვეული ღონისძიებების განხორციელების შემდეგ მიღებულ შედეგებსა და დაგეგმილ მიზნებს შორის თანაფარდობა;

ქ) პროდუქტიულობა გამოყენებული რესურსით მაქსიმალური შედეგისა და ხარისხის მიღწევა.

მუხლი 3. შიდა აუდიტის სუბიექტისა და შიდა აუდიტორის დამოუკიდებლობა

1. შიდა აუდიტის სუბიექტი ანგარიშვალდებულია დაწესებულების ხელმძღვანელის წინაშე და ამ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში მოქმედებს ჰარმონიზაციის ცენტრთან კოორდინირებულად.

2. შიდა აუდიტის სუბიექტი დაწესებულების სხვა სუბიექტებისგან ფუნქციურად დამოუკიდებელია.

3. შიდა აუდიტის სუბიექტი ფუნქციურად დამოუკიდებელია შიდა აუდიტის დაგეგმვის, განხორციელებისა და ანგარიშგების პროცესში.

4. შიდა აუდიტორი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის, შიდა აუდიტის სტანდარტების, შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის, შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსისა და სხვა ინსტრუქციებისა და სამართლებრივი აქტების საფუძველზე. დაუშვებელია შიდა აუდიტორის საქმიანობაში ჩარევა ან მასზე სხვაგვარი ზემოქმედება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5. დაწესებულების ხელმძღვანელი უზრუნველყოფს შიდა აუდიტორის ფუნქციურ დამოუკიდებლობას აუდიტის დაგეგმვის, განხორციელების, ანგარიშგებისა და გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის პროცესში.

6. დაწესებულების ხელმძღვანელი უზრუნველყოფს შეთანხმებულ რეკომენდაციებზე შესაბამის რეაგირებას.მუხლი 4. შიდა აუდიტის სუბიექტების შექმნა ცალკეულ დაწესებულებებში

1. შიდა აუდიტის სუბიექტები იქმნება შემდეგ დაწესებულებებში:

1. შიდა აუდიტის სუბიექტები იქმნება შემდეგ დაწესებულებებში:

ა) საქართველოს სამინისტროებში;

ბ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროებში;

გ) იმ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში, რომლებიც ფინანსდებიან სახელმწიფო ბიუჯეტიდან და რომელთა ჩამონათვალსაც განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა;

დ) ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოებში – გამგეობებში (მერიებში), შესაბამისი საკრებულოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

2. შიდა აუდიტის სუბიექტი შესაძლოა შეიქმნას ასევე კერძო სამართლის იურიდიულ პირსა (რომლის აქციების ან წილის 50 პროცენტზე მეტს ფლობს სახელმწიფო) და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციაში, მათივე გადაწყვეტილებით.

თავი II

ფინანსური მართვა და კონტროლი

მუხლი 5. ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის შემუშავება

1. თითოეული დაწესებულება ამ კანონის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებისა და ჰარმონიზაციის ცენტრის მიერ შემუშავებული და საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების წესისა და პროცედურების შესახებ ინსტრუქციის შესაბამისად შეიმუშავებს ფინანსური მართვისა და კონტროლის საკუთარ სისტემას.

2. დაწესებულების ყველა იერარქიულ საფეხურზე მდგომი ხელმძღვანელი თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია იმისთვის, რომ ზემდგომ

ხელმძღვანელს აცნობოს ფინანსურ მართვასა და კონტროლთან დაკავშირებით განხორციელებული ქმედებების შესახებ.

მუხლი 6. ფინანსური მართვისა და კონტროლის მიზანი

1. ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა ინერგება ფინანსური მართვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გაუმჯობესებისათვის, დაწესებულების მიზნების მისაღწევად და ამოცანების შესასრულებლად, რაც ხორციელდება შემდეგი საშუალებებით:

ა) დაწესებულების მიერ განხორციელებული ოპერაციების შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან, მარეგულირებელ წესებთან, შიდა პოლიტიკასთან, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებთან;

ბ) ფინანსური და ოპერაციული ინფორმაციის თაობაზე სრულყოფილი, ამომწურავი და სანდო ანგარიშგება;

გ) საბიუჯეტო სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენება;

დ) აქტივების, ინფორმაციისა და სხვა რესურსების დაცვა დაკარგვისაგან, არამართლზომიერი გამოყენებისაგან ან მართვისაგან და დაზიანებისაგან.

2. ფინანსური მართვა და კონტროლი ხორციელდება დაწესებულების ხელმძღვანელების მიერ დაწესებულების ყველა სტრუქტურულ ქვედანაყოფში (ერთეულში) და დაწესებულებისადმი დაქვემდებარებულ ყველა ერთეულში.

3. ფინანსური მართვა და კონტროლი მოიცავს დაწესებულების საქმიანობასთან დაკავშირებულ როგორც ფინანსურ, ისე არაფინანსურ პროცესებს, ოპერაციებსა და ქმედებებს.

მუხლი 7. მენეჯერული ანგარიშვალდებულების არსი

1. დაწესებულების ყველა იერარქიულ საფეხურზე მდგომი ხელმძღვანელი პასუხისმგებელია ზემდგომი ხელმძღვანელის წინაშე თავის მიერ განხორციელებული ქმედებისა და სახელმწიფო სახსრების კანონიერი, ეკონომიური, ეფექტიანი და პროდუქტიული მართვის გზით დაწესებულების მიზნების მიღწევისა და ამოცანების შესრულებისათვის.

2. რომელიმე პროგრამაზე ან პროექტზე ერთზე მეტი დაწესებულების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფის (ერთეულის) ან დაწესებულებისადმი დაქვემდებარებული ერთეულის მუშაობის შემთხვევაში შესაბამისი ხელმძღვანელები წერილობით უნდა შეთანხმდნენ თითოეული მათგანის მენეჯერული ანგარიშვალდებულების მოქმედების სფეროზე.

მუხლი 8. მენეჯერული ანგარიშვალდებულებისა და პასუხისმგებლობის ფარგლები

1. დაწესებულების ხელმძღვანელი თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) ახდენს რისკის იდენტიფიცირებას, შეფასებასა და მართვას;

ბ) განსაზღვრავს დაწესებულების მიზნებსა და ამოცანებს; დასახული მიზნების მისაღწევად და ამოცანების შესასრულებლად შეიმუშავებს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებსა და პროგრამებს;

გ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრავს და მართავს დაწესებულების მიზნების მისაღწევად და ამოცანების შესასრულებლად საჭირო რესურსებს;

დ) ხელს უწყობს ადამიანური რესურსების ეფექტიან მართვას და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას;

ე) ხელს უწყობს მონაცემთა დაცვისა და მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბებას;

ვ) დაკისრებული მოვალეობის ეფექტიანად შესასრულებლად შეიმუშავებს და აყალიბებს ოპტიმალურ ორგანიზაციულ სტრუქტურას;

ზ) ახდენს უფლებამოსილების დელეგირებას გადაწყვეტილების მიღების, განხორციელებისა და კონტროლის პროცესში;

თ) უზრუნველყოფს დაწესებულების მიერ განხორციელებული ყველა ოპერაციის სრულად, ზუსტად, დროულად და რეგულარულად აღრიცხვის პროცედურების დანერგვას;

ი) ხელს უწყობს შიდა აუდიტის სუბიექტის ფუნქციონირებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

კ) უზრუნველყოფს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის მონიტორინგს, სისტემის გასაუმჯობესებლად იღებს შესაბამის ზომებს შიდა აუდიტორების რეკომენდაციებსა და სხვა შეფასებებზე დაყრდნობით;

ლ) ახორციელებს და ხელს უწყობს ანტიკორუფციული ღონისძიებების პროცედურების დანერგვას;

მ) ახორციელებს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის მდგომარეობის შედეგების შეფასებას;

ნ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. დაწესებულების ხელმძღვანელი ამ კანონის მოთხოვნათა ფარგლებში პასუხისმგებელია შიდა აუდიტის სუბიექტის შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფისა და მისი უწყვეტი ფუნქციონირებისათვის.

3. დაწესებულების ხელმძღვანელი ასრულებს ჰარმონიზაციის ცენტრის მიერ განხილულ და მოწონებულ, ამ მუხლის პირველი პუნქტის გათვალისწინებით გამოცემულ მეთოდურ მითითებებს მენეჯერული ანგარიშვალდებულების შესახებ, რომლებსაც ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

მუხლი 9. უფლებამოსილების დელეგირება

1. დაწესებულების ხელმძღვანელს შეუძლია მოახდინოს ამ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების დელეგირება მისდამი დაქვემდებარებულ უფლებამოსილ პირზე.

2. უფლებამოსილების დელეგირება დაწესებულების ხელმძღვანელს არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან მის მიერ დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისას.

მუხლი 10. ფინანსური მართვისა და კონტროლის კომპონენტები

1. ფინანსური მართვა და კონტროლი ეფუძნება შიდა კონტროლის საერთაშორისო სტანდარტებს და ხორციელდება შემდეგი ურთიერთდაკავშირებული კომპონენტების საშუალებით:

ა) კონტროლის გარემო;

ბ) რისკის მართვა;

გ) კონტროლის ღონისძიებები;

დ) ინფორმაცია და კომუნიკაცია;

ე) მონიტორინგი და შეფასება.

2. დაწესებულების ხელმძღვანელი, დაწესებულების საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ფინანსური მართვისა და კონტროლის კომპონენტების შემუშავებას, ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებას.

მუხლი 11. კონტროლის გარემო

ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ფუნქციონირებისათვის დაწესებულების ხელმძღვანელები უზრუნველყოფენ შესაბამისი კონტროლის გარემოს ჩამოყალიბებასა და დახვეწას, რომელიც მოიცავს:

ა) ხელმძღვანელთა და თანამშრომელთა პირად და პროფესიულ პატიოსნებას და ეთიკურ ღირებულებებს;

ბ) მართვის პროცესებსა და მეთოდებს;

გ) დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფის (ერთეულის) საქმიანობის მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრას;

დ) ორგანიზაციულ სტრუქტურას, რომელიც მოიცავს პასუხისმგებლობებისა და უფლებამოსილებების განაწილებას, ასევე ანგარიშგების საფეხურების იერარქიულობას;

ე) ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკასა და პრაქტიკას;

ვ) დაწესებულების თანამშრომელთა კომპეტენტურობას.

მუხლი 12. რისკის მართვა

1. რისკის მართვა არის იმ შესაძლო მოვლენებისა და სიტუაციების განსაზღვრის, შეფასების, კონტროლისა და მონიტორინგის პროცესი, რომლებიც გავლენას ახდენს დაწესებულების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფის (ერთეულის) ან დაწესებულებისადმი დაქვემდებარებული ერთეულის მიზნების მიღწევასა და ამოცანების შესრულებაზე და გულისხმობს რისკის შესამცირებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელებას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რისკის მართვა ხორციელდება დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ყოველწლიურად დამტკიცებული რისკის მართვის სტრატეგიის შესაბამისად.

მუხლი 13. კონტროლის ღონისძიებები

1. კონტროლის ღონისძიებები ყალიბდება რისკის ოპტიმალურ დონემდე შესამცირებლად, დაწესებულების მიზნების მისაღწევად და ამოცანების შესასრულებლად და ეფუძნება შესაბამის ინსტრუქციებსა და პროცედურებს.

2. კონტროლის ღონისძიებები უნდა შეესაბამებოდეს დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფის (ერთეულის) საქმიანობას და მათი განხორციელების ხარჯები არ უნდა აღემატებოდეს მოსალოდნელ სარგებელს.

3. კონტროლის ღონისძიებები მოიცავს:

ა) უფლებამოსილების მინიჭების პროცედურებს;

ბ) მოვალეობების იმგვარ განაწილებას, რომ ერთი და იგივე პირი არ იყოს პასუხისმგებელი უფლებამოსილების მინიჭებაზე, ქმედების განხორციელებასა და კონტროლზე;

გ) ხელმოწერის ორმაგი სისტემის დამკვიდრებას, რაც შეუძლებელს გახდის ვალდებულების აღებას და გადახდის განხორციელებას დაწესებულების ხელმძღვანელისა და მისი სტრუქტურული ქვედანაყოფის (ერთეულის) ხელმძღვანელის ან სხვა უფლებამოსილი პირის მიერ ერთდროულად ხელმოწერის გარეშე;

დ) აქტივებისა და ფინანსური და არაფინანსური ინფორმაციის ხელმისაწვდომობის წესებს;

ე) წინასწარი და შემდგომი კონტროლის განხორციელებას;

ვ) დაწესებულების მიერ განხორციელებული ყველა ოპერაციის სრულად, ზუსტად, დროულად და რეგულარულად ასახვის პროცედურების დამკვიდრებას;

ზ) დაწესებულების მიერ განხორციელებული ოპერაციის ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის, პროცესებისა და ქმედებების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის შეფასებას;

თ) ზედამხედველობას;

ი) ადამიანური რესურსების ეფექტიანი მართვის პროცედურების დამკვიდრებას;

კ) დაწესებულების მიერ განხორციელებული ყველა ოპერაციის დოკუმენტირებას და სხვა.

მუხლი 14. ინფორმაცია და კომუნიკაცია

დაწესებულების ხელმძღვანელი ნერგავს და განავითარებს სანდო, სრულყოფილ და ხელმისაწვდომ საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემას, რომელიც:

ა) უზრუნველყოფს დაწესებულების საქმიანობის შესახებ უახლესი და სანდო ინფორმაციის სათანადო ხელმისაწვდომობას დაწესებულების ყველა იერარქიულ საფეხურზე;

ბ) დაწესებულების ყველა თანამშრომელს მისცემს შესაძლებლობას, რომ თავიანთი ფუნქციისა და პასუხისმგებლობის შესახებ მიიღონ სრულყოფილი და ზუსტი ინფორმაცია, მითითებები და ინსტრუქციები.

მუხლი 15. მონიტორინგი და შეფასება

1. დაწესებულების ხელმძღვანელი პასუხისმგებელია ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის მონიტორინგისა და შეფასებისათვის, მისი ადეკვატურობის, ფუნქციონირების შენარჩუნებისა და დროულად განახლების მიზნით. მონიტორინგი უზრუნველყოფს ასევე შიდა აუდიტორული ანგარიშით გათვალისწინებული რეკომენდაციების დროულ და შესაბამის შესრულებას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება უწყვეტი მონიტორინგისა და თვითშეფასების მეშვეობით, შიდა აუდიტის სუბიექტთან ერთად.

მუხლი 16. ფინანსური მართვისა და კონტროლის შესახებ ანგარიშის წარდგენა

დაწესებულების ხელმძღვანელი პასუხისმგებელია ჰარმონიზაციის ცენტრისთვის ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის შემუშავებისა და შემოღების შესახებ წლიური ანგარიშის მომდევნო წლის იანვრის ბოლომდე წარდგენისათვის.

თავი III

შიდა აუდიტი

მუხლი 17. შიდა აუდიტის სუბიექტის საქმიანობის განხორციელების ძირითადი პრინციპები

შიდა აუდიტის სუბიექტის საქმიანობა ხორციელდება შიდა აუდიტის სტანდარტების, შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსის, შიდა აუდიტის სუბიექტის დებულების, საქართველოს კანონმდებლობისა და შემდეგი ძირითადი პრინციპების დაცვით:

ა) დამოუკიდებლობა;

ბ) კეთილსინდისიერება;

გ) ობიექტურობა;

დ) პროფესიონალიზმი;

ე) კონფიდენციალურობა;

ვ) კანონიერება;

ზ) გამჭვირვალობა.

მუხლი 18. შიდა აუდიტის სუბიექტის უფლებამოსილება და მიზნები

1. შიდა აუდიტის სუბიექტის უფლებამოსილება ვრცელდება იმ დაწესებულების სისტემაზე, სადაც ის არის ჩამოყალიბებული.

2. შიდა აუდიტი ეხმარება დაწესებულებას მიზნების მიღწევაში შემდეგი საქმიანობების განხორციელებით:

ა) დაწესებულების წინაშე არსებული რისკების დადგენა და მათი მართვის ხარისხის შეფასება;

ბ) ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასება;

გ) დაწესებულების საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის შეფასება/მონიტორინგი;

დ) დაწესებულების საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება;

ე) ფინანსური და სხვა ინფორმაციის სანდოობის, სიზუსტისა და სისრულის შეფასება;

ვ) დაწესებულების აქტივების, სხვა რესურსებისა და ინფორმაციის ადეკვატურად დაცულობის შეფასება;

ზ) სხვა საქმიანობები, რომლებიც გამომდინარეობს დაწესებულების საქმიანობის სპეციფიკიდან და არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, ამ კანონის მიზნებს და შიდა აუდიტორის დამოუკიდებლობის პრინციპებს.

3. შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში შესწავლისა და ანალიზის საგანი შესაძლებელია იყოს დაწესებულების სისტემაში მიმდინარე ყველა პროცესი და საქმიანობის სფერო.

4. შიდა აუდიტის ობიექტის თანამშრომლები ვალდებული არიან ითანამშრომლონ შიდა აუდიტორებთან თავიანთი საქმიანობის განხორციელების დროს და უზრუნველყონ მათი კომპეტენციისათვის მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებული ყველა ინფორმაციის თაობაზე არსებული მონაცემთა ბაზებისა და დოკუმენტების ხელმისაწვდომობა ან/და ქმედებების განხორციელება.

მუხლი 19. შიდა აუდიტორის უფლებები და მოვალეობები

1. შიდა აუდიტორი უფლებამოსილია შიდა აუდიტორული შემოწმების განხორციელების პროცესში მიიღოს მისთვის საჭირო ყველა ინფორმაცია, დოკუმენტი და ხელი მიუწვდებოდეს მონაცემთა ბაზებზე, მიუხედავად მათი ფორმისა (ელექტრონული ვერსია და სხვა). შიდა აუდიტორს ასევე უფლება აქვს, შიდა აუდიტის ობიექტს მოსთხოვოს დოკუმენტის სახელმწიფო ენაზე წარდგენა, გადაიღოს დოკუმენტის ასლები და სხვა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვებისა.

2. დაწესებულების ხელმძღვანელი და თანამშრომლები ვალდებული არიან თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში სათანადო დახმარება გაუწიონ შიდა აუდიტორს შიდა აუდიტორული შემოწმების განხორციელების პროცესში.

3. შიდა აუდიტორი ვალდებულია:

ა) დაიცვას შიდა აუდიტის სუბიექტის დებულება, შიდა აუდიტის სტანდარტები, შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსი, შიდა აუდიტის მეთოდოლოგია და შიდა აუდიტის მარეგულირებელი სხვა სამართლებრივი აქტები;

ბ) შიდა აუდიტორული შემოწმების დაწყებამდე შიდა აუდიტის ობიექტს წარუდგინოს აუდიტორული შემოწმების ინდივიდუალური გეგმა;

გ) უზრუნველყოს შიდა აუდიტის ობიექტის სახელმწიფო, სამსახურებრივი, კომერციული და პირადი საიდუმლოების დაცვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და არ გაამჟღავნოს ის ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა თავისი საქმიანობის განხორციელებისას ან მასთან დაკავშირებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი გამომდინარეობს შიდა აუდიტორული შემოწმების მიზნიდან ან/და გათვალისწინებულია შესაბამისი კანონმდებლობით;

დ) დაწესებულების ხელმძღვანელის თანხმობის გარეშე არ გახადოს საჯარო შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგები, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 20. შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი

1. შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვროს შიდა აუდიტის განხორციელებისათვის საჭირო აუდიტის სახე, მოქმედების სფერო, შიდა აუდიტის განხორციელების სიხშირე და შიდა აუდიტორთა რაოდენობა.

2. შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი წარმართავს შიდა აუდიტის სუბიექტის საქმიანობას ამ კანონისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად.

3. შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი:

ა) შეიმუშავებს და დაწესებულების ხელმძღვანელს დასამტკიცებლად წარუდგენს შიდა აუდიტის სტრატეგიულ და წლიურ გეგმებს;

ბ) კოორდინაციას უწევს შიდა აუდიტორთა საქმიანობას და უნაწილებს მათ ფუნქციებს ცოდნისა და კვალიფიკაციის შესაბამისად;

გ) ახორციელებს მონიტორინგს შიდა აუდიტის წლიური გეგმის შესრულებაზე და შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის გამოყენებაზე;

დ) უზრუნველყოფს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის, ასევე დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურისა და ფუნქციების შეფასებას;

ე) უზრუნველყოფს კვალიფიციური შიდა აუდიტორების შერჩევას და დაწესებულების ხელმძღვანელს წარუდგენს მათ დასანიშნად;

ვ) თანამშრომლობს ჰარმონიზაციის ცენტრთან და მოთხოვნის შემთხვევაში აწვდის მას შესაბამის დოკუმენტაციასა და ინფორმაციას;

ზ) ითვალისწინებს ჰარმონიზაციის ცენტრის მიერ საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში გაცემულ შესაბამის რეკომენდაციებსა და მითითებებს;

თ) ახორციელებს მონიტორინგს შიდა აუდიტის ობიექტისთვის მიცემული რეკომენდაციების შესრულებაზე;

ი) შეიმუშავებს და ახორციელებს შიდა აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების პროგრამას.

მუხლი 21. შიდა აუდიტის დაგეგმვა

1. შიდა აუდიტის გეგმის სახეებია:

ა) შიდა აუდიტის სტრატეგიული გეგმა;

ბ) შიდა აუდიტის წლიური გეგმა;

გ) აუდიტორული შემოწმების ინდივიდუალური გეგმა.

2. შიდა აუდიტის დაგეგმვა ხდება რისკის შეფასების საფუძველზე. მისი შედეგები აისახება შიდა აუდიტის სტრატეგიულ გეგმაში, რომლის საფუძველზედაც შემუშავდება შიდა აუდიტის წლიური გეგმა.

3. შიდა აუდიტის სტრატეგიულ გეგმას შეიმუშავებს შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი და ამტკიცებს დაწესებულების ხელმძღვანელი. შიდა აუდიტის სტრატეგიული გეგმა გამომდინარეობს დაწესებულების გრძელვადიანი მიზნებიდან, მოიცავს სამწლიან პერიოდს და განსაზღვრავს შიდა აუდიტის სფეროში სტრატეგიული განვითარების მიმართულებებს.

4. შიდა აუდიტის წლიურ გეგმას შეიმუშავებს შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი და ამტკიცებს დაწესებულების ხელმძღვანელი. შიდა აუდიტის წლიური გეგმა ეფუძნება შიდა აუდიტის სტრატეგიულ გეგმას და ასახავს კონკრეტულ შიდა აუდიტორულ შემოწმებებს.

5. რეკომენდაციების შესრულების ადეკვატურობის, ეფექტიანობისა და დროულობის შესაფასებლად შიდა აუდიტის წლიურ გეგმაში გათვალისწინებული უნდა იქნეს გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი.

6. შიდა აუდიტის სტრატეგიულ და წლიურ გეგმებში ნებისმიერი ცვლილება ხორციელდება შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსის წინადადებით, რისკის შეფასების საფუძველზე.

7. შიდა აუდიტის წლიური და სტრატეგიული გეგმები მტკიცდება დაგეგმილი პერიოდის დაწყებამდე.

8. შიდა აუდიტის წლიურ და სტრატეგიულ გეგმებს, ასევე მათში განსახორციელებელ ცვლილებებს ამზადებს შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი და ამტკიცებს დაწესებულების ხელმძღვანელი. ისინი ეგზავნება ჰარმონიზაციის ცენტრს.

9. თითოეული შიდა აუდიტორული შემოწმებისათვის შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი შეიმუშავებს და ამტკიცებს აუდიტორული შემოწმების ინდივიდუალურ გეგმას, რომელიც განსაზღვრავს შიდა აუდიტის მოქმედების სფეროს, ამოცანებს, ხანგრძლივობას, რესურსების განაწილებას, შიდა აუდიტის განხორციელების მეთოდებს, ფარგლებს, აუდიტის სახეს და სხვა.

მუხლი 22. შიდა აუდიტორული შემოწმება

1. შიდა აუდიტორული შემოწმება ხორციელდება ინფორმაციის იდენტიფიკაციის, შეგროვების, ანალიზის, შეფასებისა და დოკუმენტირების საშუალებით.

2. შიდა აუდიტორული შემოწმება შედგება შემდეგი ეტაპებისაგან:

ა) აუდიტის დაგეგმვა;

ბ) აუდიტის განხორციელება;

გ) ანგარიშგება;

დ) გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი.

3. შიდა აუდიტორული შემოწმების სახეებია:

ა) სისტემური აუდიტი;

ბ) შესაბამისობის აუდიტი;

გ) ეფექტიანობის აუდიტი;

დ) ფინანსური აუდიტი;

ე) ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტი.

მუხლი 23. შიდა აუდიტორული ანგარიში

1. შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგად შიდა აუდიტის სუბიექტი ადგენს შიდა აუდიტორული ანგარიშის პროექტს, რომელიც ასახავს შიდა აუდიტის შედეგებს და მოიცავს შიდა აუდიტის პროცესსა და გამოვლენილ ფაქტებს, მათ ანალიზს და მათ საფუძველზე შემუშავებულ რეკომენდაციებს.

2. შიდა აუდიტორული ანგარიშის პროექტი ეგზავნება შიდა აუდიტის ობიექტს იმ მიზნით, რომ მან წარმოადგინოს საკუთარი მოსაზრება ანგარიშში დასმულ საკითხებზე.

3. შიდა აუდიტის ობიექტს უფლება აქვს, არ დაეთანხმოს შიდა აუდიტორული ანგარიშის პროექტს, რაც გათვალისწინებული იქნება საბოლოო შიდა აუდიტორულ ანგარიშში. შიდა აუდიტის ობიექტის საპასუხო წერილი და შეთანხმებული რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმა ეგზავნება შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსს.

4. შიდა აუდიტის სუბიექტი შიდა აუდიტის ობიექტის მიერ მოსაზრების მიღებისა და მასთან კონსულტაციის შემდეგ საბოლოო სახით აყალიბებს შიდა აუდიტორულ ანგარიშს, გაცემული რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმას და უგზავნის დაწესებულების ხელმძღვანელს.

5. შიდა აუდიტის ობიექტის უფროსი პასუხისმგებელია შიდა აუდიტორულ ანგარიშში ასახული და შეთანხმებული რეკომენდაციების შესრულებისათვის და მათ შესრულებასთან დაკავშირებული სამოქმედო გეგმის შემუშავებისათვის, რომელსაც წარუდგენს შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსს და დაწესებულების ხელმძღვანელს.

მუხლი 24. შიდა აუდიტის წლიური ანგარიში

1. შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი ამზადებს შიდა აუდიტის წლიურ ანგარიშს, რომელშიც აისახება:

ა) ინფორმაცია განხორციელებული შიდა აუდიტორული შემოწმებების შესახებ;

ბ) ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები დაწესებულებაში არსებული ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის შესახებ;

გ) შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ შიდა აუდიტის წლიური გეგმის შეუსრულებლობის მიზეზები (მათი არსებობის შემთხვევაში);

დ) შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესასრულებლად შიდა აუდიტის ობიექტის მიერ განხორციელებული შესაბამისი ქმედებები და ინფორმაცია შეუსრულებელი რეკომენდაციების შესახებ;

ე) ინფორმაცია შიდა აუდიტის მიმდინარეობისას შიდა აუდიტორის საქმიანობის ნებისმიერი შეზღუდვის თაობაზე;

ვ) წინადადებები შიდა აუდიტის განვითარების შესახებ.

2. შიდა აუდიტის წლიური ანგარიში წარედგინება დაწესებულების ხელმძღვანელსა და ჰარმონიზაციის ცენტრს მომდევნო წლის იანვრის ბოლომდე.

მუხლი 25. შიდა აუდიტის სუბიექტის თანამშრომლობა სხვა უწყებებთან

1. შიდა აუდიტის სუბიექტი თანამშრომლობს საქართველოს კონტროლის პალატასთან, მოთხოვნის შემთხვევაში აწვდის მას შესაბამის ინფორმაციას ან/და დოკუმენტაციას და მასთან ურთიერთობას წარმართავს შიდა კონტროლის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

2. შიდა აუდიტის სუბიექტი ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტის განხორციელებისას თანამშრომლობს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთან და აწვდის მას აღნიშნული აუდიტორული შემოწმების ანგარიშს მისი მომზადებიდან ერთი თვის ვადაში.

3. შიდა აუდიტის სუბიექტის საქართველოს კონტროლის პალატასთან და სხვა უწყებებთან თანამშრომლობა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 26. ინტერესთა კონფლიქტი

1. შიდა აუდიტორს უფლება არა აქვს, დაწესებულებაში შეასრულოს სხვა ფუნქციები, გარდა ამ კანონით და მისგან გამომდინარე სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ფუნქციებისა.

2. შიდა აუდიტორი არ მონაწილეობს შიდა აუდიტორულ შემოწმებაში, თუ გამოვლინდა ინტერესთა კონფლიქტის ერთ-ერთი შემდეგი შემთხვევა:

ა) შიდა აუდიტორი შესამოწმებელ პერიოდში მუშაობდა შიდა აუდიტის ობიექტში;

ბ) შიდა აუდიტორის პირველი და მეორე რიგის მემკვიდრეებს ბოლო ერთი წლის განმავლობაში უკავიათ ან შესამოწმებელ პერიოდში ეკავათ ხელმძღვანელი თანამდებობები შიდა აუდიტის ობიექტში;

გ) ინტერესთა კონფლიქტის სხვა შემთხვევა, რომელსაც აფასებს შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი.

თავი IV

შიდა კონტროლის კოორდინირება და ჰარმონიზება

მუხლი 27. ჰარმონიზაციის ცენტრი

1. ჰარმონიზაციის ცენტრი უზრუნველყოფს როგორც შიდა აუდიტის, ისე ფინანსური მართვისა და კონტროლის კოორდინირებასა და ჰარმონიზებას. ჰარმონიზაციის ცენტრი ანგარიშვალდებულია საქართველოს მთავრობის წინაშე.

2. ჰარმონიზაციის ცენტრი უზრუნველყოფს:

ა) სახელმწიფო სექტორის შიდა აუდიტის სტრატეგიისა და მეთოდოლოგიის განახლებას;

ბ) შიდა აუდიტის სუბიექტების დებულებების შემუშავების მიზნით პრაქტიკული სახელმძღვანელოებისა და მითითებების შემუშავებას;

გ) შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსის შემუშავებას, მის შემდგომ განახლებასა და დახვეწას;

დ) შიდა აუდიტის, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბებისათვის შესაბამისი სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის შექმნას, მათ შემდგომ განახლებასა და დახვეწას; ე) შიდა აუდიტის სფეროში საერთაშორისო აუდიტორულ ორგანიზაციებთან, სხვა სახელმწიფოთა სახელმწიფო სექტორის შიდა აუდიტის ორგანოებთან საერთაშორისო ურთიერთობების დამყარებასა და კოორდინაციას;

ვ) შიდა აუდიტის სუბიექტების თანამშრომლებისთვის და ფინანსურ მართვასა და კონტროლზე პასუხისმგებელი პირებისთვის პერიოდულად სასწავლო/პრაქტიკული სემინარებისა და ტრენინგების ჩატარებას, მათ მხარდაჭერას და მათი საქმიანობის კოორდინაციას;

ზ) შიდა აუდიტის სუბიექტისთვის ინსტრუქციების შემუშავებას, მათ შორის, შიდა აუდიტის სუბიექტში დასანიშნი მინიმალური საკადრო რესურსისა და მისი საკვალიფიკაციო მოთხოვნების, შიდა აუდიტორის ინტერესთა კონფლიქტის წესების, შიდა აუდიტის ხარისხის გარანტიისა და შიდა აუდიტის ანგარიშგების მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ;

თ) შიდა აუდიტის მარეგულირებელი კანონმდებლობის, შიდა აუდიტის სტანდარტების, შიდა აუდიტის მეთოდოლოგიისა და სხვა სახელმძღვანელო ინსტრუქციების შესრულების შეფასებასა და მონიტორინგს;

ი) შიდა აუდიტის სტრატეგიის, შიდა აუდიტის მეთოდოლოგიისა და სახელმწიფო სექტორში შიდა აუდიტის განხორციელების საკითხებზე რეგულარული შეხვედრებისა და დისკუსიების ორგანიზებას;

კ) სამდივნოს მიერ შედგენილი სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარების შესახებ კონსოლიდირებული წლიური ანგარიშის ყოველი წლის 30 აპრილამდე განხილვას.

3. ჰარმონიზაციის ცენტრის შემადგენლობა, მისი საქმიანობის სფერო და ძირითადი მიმართულებები, მისი ფუნქციები, მის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი და მის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები რეგულირდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული ჰარმონიზაციის ცენტრის დებულებით.

4. ჰარმონიზაციის ცენტრში იქმნება სამდივნო, რომლის საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებას და რომლის ორგანიზაციულ-მატერიალურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. სამდივნოს შემადგენლობაში შედიან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლები, ხოლო საქართველოს ფინანსთა მინისტრის გადაწყვეტილებით აგრეთვე სხვა პირები. სამდივნოს შემადგენლობა მტკიცდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. სამდივნოს უფლება-მოვალეობები და მის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები განისაზღვრება ჰარმონიზაციის ცენტრის დებულებით.

თავი V (ამოღებულია)

თავი VI (ამოღებულია)

მუხლი 29. (ამოღებულია)

თავი VII (ამოღებულია)

მუხლი 30. (ამოღებულია)

მუხლი 31. (ამოღებულია)

თავი VIII

გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 32. გარდამავალი დებულებანი

1. საქართველოს მთავრობამ ამ კანონის ამოქმედებიდან 4 თვის ვადაში დაამტკიცოს შიდა აუდიტის სტანდარტები და მეთოდოლოგია, შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსი და სახელმძღვანელო პრინციპები.

2. (ამოღებულია).

3. (ამოღებულია).

31. საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს შიდა აუდიტთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი საბჭოს შექმნა და მისი დებულების დამტკიცება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო შიდა კონტროლის ეროვნული ცენტრის ლიკვიდაციისთანავე.

4. ამ კანონის მე-4 მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა ამ კანონის ამოქმედებიდან 4 თვის ვადაში უზრუნველყონ შიდა

აუდიტის სუბიექტების შექმნა თავიანთ დაქვემდებარებაში არსებულ დაწესებულებებში, გარდა ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული დაწესებულებებისა.

5. საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრომ და ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულმა დაწესებულებებმა 2014 წლამდე უზრუნველყონ შიდა აუდიტის სუბიექტების შექმნა.

6. ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი შიდა აუდიტის სუბიექტის შექმნამდე უფლებამოსილია შიდა აუდიტის განსახორციელებლად თხოვნით მიმართოს სახელმწიფო მაკონტროლებელ ორგანოსთან არსებულ შიდა აუდიტის სუბიექტს, რომელიც დაწესებულების ხელმძღვანელთან და საბჭოსთან შეთანხმებით უზრუნველყოფს ამ საჯარო სამართლის იურიდიულ პირში შიდა აუდიტის განხორციელებას.

7. ამ კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“, „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სისტემური, ეფექტიანობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტების განხორციელება დაიწყოს 2013 წლის 1 იანვრიდან.

8. ამ კანონის საფუძველზე და მის შესაბამისად დასამტკიცებელი სამართლებრივი აქტები, ინსტრუქციები და სხვა ოფიციალური დოკუმენტები დაამტკიცონ ამ კანონით განსაზღვრულმა შესაბამისმა პირებმა/ორგანოებმა, ხოლო თუ ასეთი პირები/ორგანოები ამ კანონით არ არის განსაზღვრული საქართველოს ფინანსთა მინისტრმა შესაბამისი სამართლებრივი აქტების, ინსტრუქციებისა და სხვა ოფიციალური დოკუმენტების ჰარმონიზაციის ცენტრის მიერ განხილვისა და მოწონების შემდეგ.

9. ამ კანონის II თავით გათვალისწინებული ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბება უზრუნველყონ ამავე კანონით განსაზღვრულმა დაწესებულებებმა მას შემდეგ, რაც ჰარმონიზაციის ცენტრი შეიმუშავებს და საქართველოს მთავრობა დაამტკიცებს ამ კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ინსტრუქციას.

10. სამსახურებრივი გადაცდომის ან/და დაწესებულების მიზნებთან შეუსაბამო ქმედების არსებობის შემოწმებისა და აღმოჩენის მიზნით სამსახურებრივი შემოწმების ღონისძიებებს ახორციელებს ინსპექტირების ქვედანაყოფი, რომელიც შესაძლოა არსებობდეს დაწესებულებაში ერთ-ერთი სტრუქტურული ქვედანაყოფის (ერთეულის) სახით. ინსპექტირების ქვედანაყოფის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უფლებამოსილება, საქმიანობის წესი, მიზნები და ამოცანები განისაზღვრება შესაბამისი დაწესებულების დებულებით.

მუხლი 33. დასკვნითი დებულება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი *მ. სააკაშვილი*

თბილისი,

2010 წლის 26 მარტი.

№2839–Iს

ს ა რ ჩ ე ვ ი

სამეცნიერო რედაქტორებისაგან ——— 3

ნაწილი I. მმართველობითი აღრიცხვა ——— 5

თავი 1. შინანსური ინფორმაცია ხელმძღვანელობისათვის ——— 5

თავი 2. მართვის საინფორმაციო სისტემა. მართვის სისტემის ელემენტები ——— 12

თავი 3. დანახარჯების აღრიცხვა. დანახარჯების კლასიფიკაცია. დანახარჯთა ძცევა ——— 17

თავი 4. მასალებზე დანახარჯების აღრიცხვა. შრომითი დანახარჯების აღრიცხვა. ზედნადები დანახარჯების აღრიცხვა ——— 23

თავი 5. კალკულაცია ზღვრული დანახარჯებით და დანახარჯთა სრული განაწილებით ——— 32

თავი 6. დანახარჯი–მოცულობა–მოგების (CVP) ანალიზი ——— 35

თავი 7. შემზღუდველი ფაქტორების ანალიზი ——— 40

თავი 8. პროცენტისა და ინვესტიციების შეფასების გამოყენება სტრატეგიული მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ——— 43

თავი 9. მენეჯერული გადაწყვეტილების მიღების პროცესი ——— 55

თავი 10. კაპიტალდაბანდებების (ხარჯების) ბიუჯეტირება და კონტროლი ——— 62

თავი 11. ანგარიშგება სეგმენტების მიხედვით ——— 67

თავი 12. კორპორაციის (საწარმოს) საქმიანობის შინანსური ანალიზის მეთოდურ-პრაქტიკული ასპექტები ——— 71

ნაწილი II. მმართველობითი აუდიტი (შიდა საფინანსო კონტროლის სისტემა) ——— 75

თავი 1. შინანსური კონტროლის მახასიათებლები საბაზრო ეკონომიკის პირობებში. შინანსური კონტროლის ძირითადი პრინციპები, შუნქციები და გარემო ——— 75

თავი 2. საერთაშორისო მაკონტროლებელი ორგანოები (ორგანიზაციები) და საზღვარგარეთის ქვეყნების შინანსური კონტროლის თანამედროვე მდგომარეობის დახასიათება ——— 85

თავი 3. ბიზნესის სამართლებრივი და შინანსური უზრუნველყოფის მახასიათებლები ——— 111

თავი 4. სახელმწიფო შინაბანკო კონტროლის სისტემა და საჯარო დაწესებულებების კონტროლინგი (შიდა აუდიტისა და ინსპექტირების ასპექტები)

თავი 5. აუდიტორული საშინაბანკო კონტროლის ორგანიზაცია

თავი 6. აუდიტის კლასიფიკაცია და აუდიტური შემოწმების კონცეფციები (მიდგომები)

თავი 7. საგადასახადო საბიუჯეტო სისტემის აუდიტის ასპექტები

თავი 8. აუდიტის და ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტებში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინება. (შესავალი აუდიტში)

თავი 9. ბიზნესის რისკის მიდგომა აუდიტში

თავი 10. დაგეგმვის საკვანძო საკითხები და აუდიტის საერთო გეგმა

თავი 11. აუდიტორული მტკიცებულებები

თავი 12. აუდიტორული დასკვნების მომზადება და მნიშვნელობა

თავი 13. შიდა კონტროლის სისტემის ინტეგრირებულ მოდელ-კონცეფციების ინტერპრეტაციები (COSO-მოდელი)

თავი 14. შიდა კონტროლის სისტემის მართვის პროცესის მახასიათებლები და პროცედურების მონიტორინგი

თავი 15. შიდა აუდიტი

თავი 16. შინანსური რისკების შეფასება და მართვა

თავი 17. შიდა აუდიტის სტანდარტები და მათი გამოყენების პრაქტიკული ასპექტები

თავი 18. შიდა აუდიტის სამსახურის ორგანიზაციული საქმიანობის პროცესის მართვა (კომერციული ბანკის მაგალითზე)

თავი 19. მმართველობითი აუდიტის პროცედურების გამოყენების ასპექტები საბანკო ბიზნესის შინანსური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში

გამოყენებული ლიტერატურა

დანართი 1

დანართი 2

საგომომცემლო ჯგუფი: *ლარისა გურგენიძე*
ლია ზედგინიძე

გამომცემლობა
„ახალციხის უნივერსიტეტი“

ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. № 106,
ტელ.: 0(365) 22-19-90, 568-31-33-78
ელ ფოსტა: contact@ akhaltsikhe.edu.ge